**UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312**
**ა-376**

# ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

# ათინათი

**2017 / 4 / (26)**

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2017



## უწმინდესი და უნეტარესი,
## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

### უწმინდესო!

უწმინდესო, დიდი რწმენით
ასუფთავებთ არეალს,
ღმერთი მალე შეეწევა
თეთნულდსა და დარიალს,
მირონს აცხებს ქართულ მიწას
საქართველოს მადლიანს,
შეეწევა იბერიის აღმოსავლეთ–დასავლეთს,
დაგვიბრუნებს ყველა კუთხეს
ტაო–კლარჯეთს, აფხაზეთს,
ჰერეთსა და სამაჩაბლოს
შევავედრებთ მაღალ ღმერთს

უწმინდესო, უნეტარესს
რას ვინატრებთ სანატრელს
ღვთისმშობელი წმინდა მანდილს
გადმოაფენს არიალს,
ოქროსფერად გაანათებს
თქვენს სანატრელ დარიალს.
თქვენ სიცოცხლის დღეს დიდს გიძღვნის
უწმინდესს და მადლიანს,
თქვენი ლოცვით გააბრწყინებს
საქართველოს არიალს.

*ლიანა ჯანეზაშვილი-*
*თათანაშვილი*



## მამა გაბრიელი

***

რამდენ მადლს მაძლევ, მამავ, წმინდანო,
ფრთხილად ვეხები შენს ნაყარ მიწას,
მცხეთის ეზოში, მწვანე მიდამოს,
შენი მადლი და მირონი იცავს.

*გულნაზ ხარაიშვილი*



**წმინდა გრიგოლ ხანძთელი**

ხატმწერები: გიორგი და ხატია ლარიაშვილები



**ექვთიმე ღვთისკაცი**

მოქანდაკე: გიორგი (გელა) ლარიაშვილი




**ხატმწერები: გიორგი და ხატია ლარიაშვილები**



**მეუფე თადეოზი**
**(მირიან იორამაშვილი)**

***

შენი სული ღმერთთან არის ვიცი,
სიონში კი საფლავის ქვა სახლობს,
მე კი ისევ ძველი დარდით ვიწვი,
მანდ რომ მოვალ, როგორ მინდა გნახო.

მეუფეო, მეც ღვთის რწმენით ვცოცხლობ,
ჩემი გული საქმის ალით იწვის,
ვცდილობ ნისლი შრომით გადავფერთხო,
სამშობლოსთვის მეც ერთ სიტყვას ვიტყვი.

***გულნაზ ხარაიშვილი***



## მამა ამირან

თუმც დარჩენილი სიცოცხლე
ვაგლახ, შემექმნა ამაო;
ასაკით შენზე უფროსმა
უნდა მოგმართო – მამაო!...
შენი ღირსების ჩამოთვლა
ბევრი ისმინა ყურებმა.

მთლად მრევლს ამშვიდებს მამაო,
მაგ სათნო სახის ყურება.
შემოგტრფის ერი ნიჭიერს,
გონიერს, ყოვლად გულით მნათს,
მიტომ გაღმერთებ, ორივე...
თაიგულად ვთვლით „ათინათს"!...

*ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე*



**გულნაზ ხარაიშვილი**
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

## ვიცი

ვიცი, ჩემს ფიქრს თავს მოვუყრი ახლა...

განვლილ გზებზე დარჩეს სუფთა კვალი.

ქვეყნის ბედი ჩხუბ–კამათით წახდა,

ცას არ წამყვეს საქართველოს ვალი!

# პოეზია



**მეუფე თადეოზი**
**(მირიან იორამაშვილი)**

## ციდან უფლის წყალობა მალე მოგვევლინება

თუ კეთილნი ვიქნებით, თუ განგებამ ინება,
უფლის მადლი, წყალობა მზეებრ მოგვევლინება,
სხეულს ტანჯვა მოელის და სულს კი გაბრწყინება,
ქება, ქვეყნის გამჩენის, ნუღარ მოგვეწყინება
მივუტევოთ ერთმანეთს გულის ტკენა, წყინება,
გაზაფხულის ძალას ჰგავს სულის აღორძინება.
გაჰკვეთს რკინა-კლდეებსაც ჩვენი გულმოდგინება –
ავიტანოთ უფლისთვის ტანჯვა, დევნა, გინება,
სიმართლისთვის წამებულთ ელით შვება, ლხინება.
გზა-ბილიკებს ავიფრენთ, თუმც ჩანს მთაგრეხილებად,
სულის თვალი, მარადზე, როცა აგვეხილება,
კარგზე ქება მოგველის და ცოდვისთვის მხილება,
ყველაფერი გამოჩნდეს – ფიქრიც განიხილება,
ვიდრე ცის გზებს გაივლის, სული შიშით ილევა,
ღმერთმა კარი გვიჩვენა – წმინდანთ გამოცდილება.

## ლოცვადექსებად

ნეტარ არიან მორწმუნენი...
ნეტარ არიან...
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან
რადგან სიკვდილიც ვერ აშინებთ, რაც მთავარია,
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან,
შვილნი ნათლისა, ცის მამულში, ღმერთთან არიან...
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
რადგან სიკეთეს ასხივებენ, მზეებრ არიან,
რადგან სიხარბემ მათი გული ვერ გადარია,
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
ჰყავის მათ სულში სიყვარული, მშვიდი დარია,
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
ულვთოდ რამდენი სიბრმავე და სიმწუხარეა?...
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
ვინ გცეს ნუგეში, როცა სულში ავი ბზარია?...
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
მამულო, შენი გადამრჩენი მხოლოდ ჯვარია...
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
მამულო, შენთვის თავდადება ზეცის კარია,
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან.
რწმენავ, მომავლის იმედები შენ გაბარია,
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან,
შენი სამკვიდრო ღმერთის შეჰვედრე – დედავ მარიამ...
ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ არიან...

1982 წ. ივნისი

***

ღმერთო, გვიშველე, კვლავ აგვიშენე
სალოცავები შენი;
მამულის მტერი გადაგვიშენე
შენ ხომ ყველაფერს შველი?!
არცა მოგვშლია, არც მოგვეშალოს,
ქვეყნად იმედი შენი.

1980წ. 20 მაისი.

## ლოცვა მუხლმოყრით

ყოვლად კეთილო და სახიერო,
დიდება შენდა, ღმერთო ძლიერო!
შენი სიკეთის, შენი სიკეთის,
ვინ გადიხადოს სამაგიერო?
დიდება შენდა, ღმერთო ძლიერო!
დიდება შენდა, ღმერთო ძლიერო!
თვალშეუდგამი ნათლით ბრწყინავ შენ,
ვძრწი უღირსების ჩემისა გამო..
ვით წარმოვდგები მე შენს წინაშე
ჩემი მზის დასვლის როს დგეს საღამო?
ცხოვრება ჩემი სავსეა ბიწით,
და არაფერი არ მიჩნს საამო.
ნეტარ არს, ვინაც განსწმინდა სული,
ცრემლით, ვედრებით ღამისმთეველი,
ვინც წინ აღუდგა საკუთარ სურვილს,
ამაოების არ მიმთნეველი,
და აღავლინა ლოცვა უმანკო
ტკბილსასურველი, ვით საკმეველი.
გამოუთქმელი საკვირველების,
მიუწვდომლობის, ყოველივესი,
სიბრძნის, სიკეთის, სახიერების —
შენ ხარ მიზეზი,
შენ ხარ მიზეზი...
შენ გევედრები ყოვლად ცოდვილი,
ქედდადრეკილი, მუხლმოყრით ესე:
ნუ თანაწარმწყვედ ცოდვათა ჩემთა,
გულდამძიმებულს საწუთროს შხამით,
და დაუშრეტელ ცეცხლის დამშრეტად.
მომმადლე ცრემლი დღითა და ღამით..
ვინც მვედრებელთა ვედრებას ისმენ,
მარადიული ტანჯვისგან მიხსენ.
1974 წ.

***

ღმერთო, ამანთე წმინდა კელაპტრად,
მანათებინე ღამე უკუნი...
დიდი სიცოცხლის მზე მომენატრა
საუკუნეთა უტყვი გუგუნით;
მოჯარებულან წმინდა ლანდები...
არა ლანდები — ნათლის სვეტები...
ჩვენი დანახვის მოიმედენი.

## ვედრება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი

ნათლის-მშობელო,
ივერიის მფარველო დედავ
გადიდებთ მზეზე უბრწყინვალესს
და გევედრებით,
ყველა ჭირთაგან დაიფარე ჩვენი ქვეყანა,
იმედი ჩვენი უკვდავების რწმენით სავსეა
არ მოგვაკლდება სიხარული და სასოება,
ვიდრე შენ ჰფარავ, საქართველოს
ყოვლად-წმინდაო
აღამაღლე გონება ჩვენი
ზეციური მამულისადმი,
რათა წარმავალის დამტევებელთა
ვიფიქროთ წარუვალზე,
მოგვეცი ძალი შეწევნისა,
მოთმინებისა და სიყვარულისა
„ყოველთა შექმნულთა ნათელთა
უბრწყინვალესო ნათელო...
ყოველთა ქმნულთა სამკაულთა
უმშვენიერესო სამკაულო.
გამოაფხიზლე გონება ჩვენი,
განასპეტაკნე სული ჩვენი.
შენ გშვენის დიდება სამარადისო
ლოცვის მადლით უხრწნელად
აყვავილებულო.
ასულნი ჩვენნი კვლავ შემოსე მაღალი სულით,
პატიოსნებით, ერთგულებით,
სიწმიდით, რწმენით,
მამულისათვის თავდადებით, მზიურ ხილვებით,
რათა მოიღონ მათ ტევანნი ჯანსაღ ვენახის.
ჭაბუკნი ჩვენნი აზიარე ქრისტეს მცნებათა,
ჯვარის მტვირთველნი მიჰყვებოდნენ
უკვდავების გზას,
წინაპართაგან ანთებული წმინდა ლამპარი
რომ არ ჩაუქრეთ და არ დარჩნენ ბნელში
უმწეოდ.
ო, გევედრებით მოკრძალებით და სასოებით,
ლმობიერებით, წმიდა ცრემლთა უხვად
მფრქვეველნი,
ვედრება ჩვენი შეისმინე სახიერებით
და სიხარულად გარდასცვალე წუხილი ჩვენნი.



**მამა ამირან ამირანაშვილი**

# ცხოვრების გზაზე

## 24 მარტი 2012 წელი

### პირველი ოცი

ზუსტად ერთ თვეში ჩამორეკავს სამოცდახუთი,
ხუთთვიან ზამთარს გააცილებს შეშლილი მარტი,
თოვლის ნარჩენებს ამოანგრევს მორცხვი იები
და გაიშლება ჩემს სოფელში წითელი ვარდი.

მიწა სიმორცხვით გამოძვრება თოვლის საბნიდან,
მონატრებულ მზეს ძლივს უსწორებს ბრდღვიალა თვალებს,
მზე სხივებს გაშლის, გულში იკრავს უნაზეს სატრფოს
და მათი შერწყმა კვლავ შეშურდა გაცრეცილ მთვარეს.

შემასკდა გულზე გაზაფხულის სურნელი ნაზი,
დადნა მყინვარი, წამოხვეტავს არწივი ჩრდილებს
პატარა მწყემსი სალამურით ლოცავს გაზაფხულს,
ადამ და ევა დალოცავენ ღვთივნაკურთხ შვილებს.

ბუთხუზა ბავშვი დაიბადა ოცდაოთხ აპრილს,
მარიამ ბებო „ამირანას“ არქმევს პატარას,
ფეხი აიდგა, აბაჩუნდა, დაარქვეს „ბაჩი“
და ამირანი ანგელოზებმა სად არ ატარა.

მიდის და მიდის ამ ურთულეს ვიწრო ბილიკზე,
ხან აღმართია, ხან დაღმართი, ხანაც უფსკრული,
ბევრი ცოდვები, ბევრიც მადლი, ბევრიც განცდები,
მედგრად მიაპობს თავის აღმართს ტანჯული გული.

პირველი ოცი ბიჭობაა მკვირცხლი და მარდი,
პირველი კოცნა, მწარე ცრემლი, დიდი გასტროლი,
სწავლა და შრომა იყო სვეტი ამოსავალი,
იყო თეატრი, პატარა თუ მთავარი როლი.

გასტროლებიდან პირველია ვარშავა–ლოძი,
იყო მოსკოვი, ვოლგოგრადი და ავსტრალია,
ინდოეთი და სინგაპური, დიდი სიდნეი,
ოკეანები გადალახე – ბრავო ძამია!

# სხალთის ზარები

სხალთის ტაძარო, ქართველების მზეო ბეჭედო,
როცა შენში ვარ, ცოდვა სრულად განიდევნება.
ოდეს შენს გუმბათს ანგელოსნი ეალერსება.
ღვთივდალოცვილო, ქვეყანაზე ვინ შეგედრება.
რამდენი ტანჯვის მოწამე ხარ, წმიდა ტაძარო,
რა წამებაში, რა ცეცხლში ხარ გამონავლელი.
უფალი ისმენს შენში ნათხოვნ ლოცვა–ვედრებას,
შემოგღაღადებს სულის ლხენას ყველა ქართველი.
ამაყად მდგარო, მტერს აბრმავებს შენი მშვენება,
ფხიზლად დარაჯობ საქართველოს დიდ აჭარიდან.
შენ დაიფარე, ვინც ინება შენი შენება,
უფლის დარბაზო, შეგვავედრე ჩვენ მამა ღმერთთან.
დალოცვილ იყოს, საქართველო, ერი ქართველი,
ჩვენი მამული დაიფარე იმერ–ამიერ,
აჭარის მთებში განამტკიცე სარწმუნოება,
ლოცვა–კურთხევა არ მოგვაკლო, მრავალჟამიერ!

# დაუფასებლობა

მზესუმზირებით მოფენილია ცის კიდობანი,
მზესუმზირები ვერ დატეულან დედამიწაზე,
ვერც ჩვენ ვეტევით ადამიანნი ამ მიწის ზურგზე,
და ყველას გვინდა ავფრინდეთ და გავეკრათ ცაზე.
მიწისგან ვიღებთ ყველა საზრდოს ყველა სულდგმული,
მზესუმზირასაც მიწა ზრდის და მიწა ახარებს,
მზესუმზირა კი სულ მზეს უმზერს შეყვარებული,
მიწის ზრუნვას კი არად აგდებს, არად აფასებს.
განა კაცთ მოდგმა არ წააგავს იმ მზესუმზირებს?
ვინც გვასაზრდოებს, ვერ ვაფასებთ, როგორც წესია,
არაფრად ვაგდებთ მშობლის ამაგს, მშობლის ნაოფლარს,
განა იმკიან მას, რაც ჩვენთვის დაუთესიათ?!
ალბათ ეს არის ამ ბუნების უკუღმართობა,
ასეა ალბათ ოდითგანვე კაცთა მოდგმაში,
სანამ არიან, ვერც კი ვამჩნევთ მათ წარმავლობას,
როცა დავკარგავთ, თავებს ვიკლავთ, კვნესა–ოხვრაში.

24.IV. 1984 წ.
37 წლის ამირანი

***

მთელი ცხოვრება ერთი ლექსია.
უფალი არის მისი ავტორი.
თუ არ ჩაწვდები ამ ლექსს ბოლომდე,
არ გეყოლება ქვეყნად პატრონი.

## მეორე ოცი

ნანატრ სცენაზე ბევრს ვსწავლობდი, ბევრს ვთამაშობდი,
„პეტრუჩიო“ და ბერი მეფე „პერიკოლაში“,
მეორე მეფე „დინარაში“ მომერგო ძლიერ,
განგსტერი ვიყავ ამერიკულ „ოკლაჰომაში“.

მერე სპექტაკლში „დონ-კიხოტის“ ვიცმევ მუზარადს,
ვიყავ „არჩილი“, მკვლელი „შაო“, გიჟი „გიჟუა“,
„ბესიკოს“ ცვლიდა მოხუცი „დევი“ და „ლანცელოტი“
„კავალერი“ და „ალდემარო“, გლეხი „მიტუა“;

იყო „ცანგალა“, მეფე „რენე“ იოლანტაში,
ბრძენი „გრემინი“ და ცბიერი „მეფისტოფელი“,
„დონ ბაზილიო“, „მარტია“ თუ პატარა „ჩარლი“
ყველას ვერც მოვთვლი, ვერც დაიტევს მთელი სოფელი.

დიდი „ერეკლე“ საქართველოს ბოლო მონარქი...
როგორ მიყვარდა ამ გმირებთან ურთიერთობა,
მაგრამ უფალმა მომიწოდა „უარყავ თავი“,
„აღიღე ჯვარი“, რომ მიიღო ჩემგან შენდობა...

## მესამე ოცი

მესამე ოცით გავაოცე წინა ოცები...
დედა ღვთისმშობელს ვუგალობდი სტუდენტობიდან,
მეფე დავითის აღსარება წარმოვთქვით გულით,
და გალობანი შეიწირა ამბიონიდან.

საკურთხეველში მიხმო ქვეყნის საჭეთმპყრობელმა,
პროტოდიაკვნად დამადგინა თვითონ უფალმა,
მუხლმოდრეკილმა უარვყავი ძველი დიდება,
და მძიმე ჯვარი მხრებით ვიტვირთე თავისუფალმა.

რვა წელიწადი პატრიარქის გვერდით ვიდექი,
უღირსი მონა, ისტორიის ნაწილი გავხდი.
„ივერონიდან“ „დედაღვთისას“ მოვაბრძანებდი,
კონსტანტინეპოლს გამოვსტაცეთ დიდი ტრაქტატი.

სამი დიპლომით ვეზიარე აკადემიას,
სულიერობის რომ მიმეღო უფლის დასტური,
აქ ვეზიარე საქართველოს ძველ ისტორიას,
აქვე ვისწავლეთ ბერძნული და ძველი ქართული.

კონსტანტინეპოლს გავიცანი პატრიარქები —
დემეტრიოსი და ჩვენი ძმა ბართლომეოსი.
რას ვიფიქრებდი, თუ ამ ძმასთან ვიმსახურებდი
და დამადგენდა უწმიდესი ფრანგთა საძმოში.

ჰოი, სამშობლოვ, საქართველო, ჩემო ქვეყანა,
ვერ ავიტანე უშენობა, სკდებოდა გული.
აღარაფერი არ მინდოდა ამ სამყაროში
ჩემი ოჯახი, ცოლი, შვილი, ლოცვა ქართული,

მადლობა უფალს, დედა სიონს, რომ დამაბრუნა
უძღები შვილი, კვლავ ჩამიკრა „ბაბუკამ“ გულში,
იმავე კვირას მაკურთხა და გავხდი მოძღვარი,
მომცეს ბრძანება, გავეშურე ქალაქ ბათუმში.

ზღვა და ხმელეთი მომეგება დიდი სითბოთი,
ქალაქის ცენტრში დამასახლეს, დავიდე ბინა,
„სამებისა“ და „ნიკოლოზის“ წმიდა ლოცვებით
ამ ხუთმა წელმა სიზმარივით გადაიფრინა.

ისევ სიონი და საოცრებავ! — ნიუ-იორკი,
ამდენ მეგობრებს რაც იქ შევხვდი — როდის წავიდნენ,
მართლმადიდებელთ ახლა უდგათ დიდი ტრიუმფი,
იყო ლოცვები, იყო ცრემლი, გულიც გამიღეს.

მერე გრიგოლი ჩავიყვანე, გაიბა ხიდი,
მე ვლოცულობდი, გრიგოლმა კი არჩია სწავლა,
ამხელა ხიდმა ოკეანეს გადაუარა
ზოგს აგერ უჭირს, თბილისიდან ჩხარამდე ჩასვლა.

ცრემლიანია ამერიკის მწვანე დოლარი,
ჩვენი ქალები მოხუც ბაბუებს უვლიან დღე-ღამ,
პატარა ბავშვებს უმღერიან ქართულად „ნანას“,
ვინც დარაჯია, ვერ იძინებს ისევ ამაღამ...

მერე პრაღაში მივულოცე ქართველთ აღდგომა
„ქრისტე აღსდგა ზე“ დაიქუხა მთელმა ტაძარმა,
თანამოძმენი შეკრებილან მთელს ევროპიდან
გამთენიაზე შეგვახურა ჩეხურ საგზალმა...

ამ ოც ნოემბერს ვეთხოვები სიონის ტაძარს,
იყო ცრემლები, მოფერება, იყო შენდობა,
მერე „სამება“, ცოტა ჭორი, ცოტა განკითხვა,
მამა რევაზის მოუწია ბრძანების ნდობა.

დღეს ანჩისხატი თავის ჭერქვეშ აღგვავსებს მადლით,
საპატრიარქოს მისადგომთან დგას ბერი მუხა,
დახუნძლულია ჩვენი ნავი, ძმებით და მრევლით,
გაზაფხულდაო, — ზეციერმა კვლავ დაიქუხა.

მოდის აღდგომა, ამაღლება, სულთმოფენობა,
მოდის იმედი, დაცემულთა კვლავ ამაღლებით.
უფალო ღმერთო, დაგვილოცე ქვეყანა ჩვენი
გაამთლიანე საქართველო ღვთისმშობლის ნებით.



მაყვალა გონაშვილი

## მერაბს

თუმც არ მასვენებს ბედი – მდევარი,
მაინც სიმშვიდის ვეძებ სამანებს.
მე შენი დიდი სიყვარულისთვის
ალბათ, ლექსებსაც დავასამარებ.
ისე მიყვარხარ, რომ ვიტანჯები,
სავსე ვარ შენით და ბედნიერი,
შენით ნათდება აღმოსავლეთი,
შენით ბაცდება დასალიერი.
ათწლეულთა იქითაც, ალბათ,
ერთურთს ეძებდნენ ჩვენი სულები,
უერთმანეთოდ ამ ქვეყანაზე
მარტოსულები, დაკარგულები.
მე მიყვარს შენი სული მღელვარე,
სავსე მთოვარის იდუმალებით.
შენში წვიმს ჩემი თეთრი სიზმრები,
ჩემში წუხს შენი შლეგი ქარები.
მე რომ ვიცოდე, გზა გაქვს ტკივილის,
ტკივილის გზაზეც არ შეგელევი,
გამაუკვდავე, განმამეორე,
შენი სისხლით და შენი გენებით.
თუმც თავს ვიმკობდი ლექსის მძივებით,
მე უკვდავება შენით ვიწამე.
ღმერთო, გვაშორე თვალი მოშურნე,
ერთად გვამყოფე ცაშიც, მიწაზეც.

## ოჯახი

სთქვი: – ვინ არიან ჩვენი შვილები?
ხიდი, რომელიც გვაერთიანებს?
ჯაჭვი, რომელიც გვაბამს ოჯახზე?
შოლტი, რომელიც სამუშაოდ მიგვერეკება?
ჩვენი გენების ოქროს ყულაბა?
ვნება, რომელსაც უკვდავება ჰქვია სახელად?
ან იქნებ ჩვენი საუკეთესო მესაფლავენი?
ხომ ასეც არის?
შვილი ფასდება მეტადრე იმით,
რაც უფრო კარგად, ღირსეულად დაკრძალავს მშობლებს.
იქნებ სარკეა ჩვენი ნაკლის და ღირსებების?
და ამიტომაც, თუკი თავის მოწონება გვსურს
შვილებს ვახსენებთ. ანდა პირიქით
დაუსრულებლად ვცდილობთ რაიმე შევასწოროთ
მათ წრფელ ღიმილში.
ჩვენ საკუთარ ხინჯს სარკეებშიც ვერ ვხედავთ ხშირად,
და თუ ბავშვებს ვსჯით, ერთმანეთის ჯინაზე ვტანჯავთ.
შვილებში მხოლოდ ერთმანეთის ნაკლი გვაცოფებს.
– დედაშენივით დაბნეული რატომ ხარ, შვილო?
– მამაშენივით, როგორ მუდამ ბურტყუნებ, შვილო!
– დედაშენივით გინდა მხოლოდ სიტყვით იცხოვრო?
– მამაშენივით ფიცხი ხარ და დაუნდობელი!
და ტირის ბავშვი, უმწეო და მიუსაფარი
და მხრები ისე უკანკალებს, ვით მშობლებს გული!
ვიხუტებ მკერდში, თავბრუს მახვევს შენი სურნელი,
იხუტებ მკერდში და ჩემეულ თვალებში კოცნი.
მშვიდდება ბავშვი ბედნიერი და სანუკვარი
ბავშვის ღიმილით გვიშუშდება ყველა ჭრილობა,
ბავშვის ღიმილით გვავიწყდება სოფლის ავ-კარგი,
ბავშვის ღიმილით გვინათდება მთელი სამყარო,
– სთქვი, სად არის შენი სული?
– ჩემი სული შვილებშია!
– სთქვი სად არის შენი სული?
– ჩემი სული შვილებშია.
მხარს მხარზე გადებ და გვეზრდება მხრები ფრთებივით,
რომ დავიფაროთ ავთვალისგან ჩვენი კერია.
თვით უკვდავებაც მათ ღიმილთან, არაფერია!

## სიტყვის „სანოვარს“

მე არც „გრუზია“ მინდა ვიყო და არც „ჯორჯია“
ჩემი სამშობლო, ჩემი მიწა ერთი გოჯია,
აქ თითო კენჭი ჩემი სისხლით დაწინწკლულია,
ასე რომ ბორგავს ზღვა კი არა ჩემი გულია.
და რახანია შეხსნილი მაქვს მკერდზე იარა,
მომხვდურის ჩექმამ ამ მკერდზედაც გადაიარა.
გადაშლილია დედამიწა — დაფა ჭადრაკის,
ჭადრაკის ნაცვლად ყომარბაზი ნარდით ერთობა.
და პირდაფჩენილ ხალხის მასას, ვით საწოვარას
ტენიან სიტყვებს „სამართალი“, „ხალხთა ერთობა“,
„ადამიანთა უფლებები“, „დემოკრატია“
სცენაზე ქოროდ ჩამომდგარა ათი პარტია.
მთავარ როლისთვის ლიდერები შებმიან ერთურთს,
ტაკიმასხარა ტანზე ირგებს გმირის მანტიას.

ტირის ქალწული ქორწილამდე დაქვრივებული
ბავშვებს აცვიათ მეორადი ტანზე ჭინჭები.
და ვირტუალურ სამყაროში სიკვდილის ჩრდილებს
სიცოცხლის ფასად ამარცხებენ ჩვენი ბიჭები.
ჩემი სიმცირით მამცირებენ, ჩემი სიკეთით,
პოლიტიკას კი საძაგელი სუნი აქვს შმორის.
ვდგევარ დაღლილი სიმართლის და სიცრუის კართან
და ვეძებ საზღვარს სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის.
ღმერთო, შენ მიხსნი, კიდევ... ჩემი ძველი ფესვები
მე რა გამტეხავს სანამ ჩემი ზეცა მახურავს.
როგორ ვასმინო მე სიმღერა ბრძნული, ქართული,
კაცობრიობას, გადაქცეულს ფულის მსახურად:
„ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადია ცელობა,
ცხვრადვე მამყოფე ისევა ოღონდ ამშორდეს მგელობა!“

## სამოთხე დედათა ფერხთითაა

მუჰამედის შეგონებიდან

ჩემო მერკო, მერკუციო,
აღარა გვყავს დედა,
გულმა როგორ გააცივოს
მოგიზგიზე სევდა,
თვალმა როგორ გააცილოს
სულეთისკენ დედა,
შენ გეგონა ბედი, თურმე
ბედისწერა გდევდა.
რა მწარეა ყველა ცრემლი
სულში ჩაღვენთილი,
რა მკაცრია ამ ცხოვრების
ყველა გაკვეთილი,
რა ლამაზი იყო დედა,
ღმერთო, რა კეთილი.

დგახარ, როგორც შორი მგზავრი
წვიმასა და ქარში,
როგორ უცებ მოგერია
ეგ ჭაღარა თმაში;
უკვე არვინ დაგაბრუნებს
წამით ბავშვობაში:
სანთელივით ხელში ჩაქრა
დედა — საფიცარი.
რა გაშორებთ? გოჯი მიწა,
კიდევ — ცხრა ფიცარი.
მერე მორცხვი ბალახები,
ბალახებზე — ცვარი.
ცვარი დედის ცრემლია და
ნუთუ ვერ იცანი.

როგორ გავხარ ახლა ბუდე–
ჩამოქცეულ მერცხალს,
მოვა ძილში ისევ დედა,
საბანს შეგიკეცავს.
ნუ სთხოვ მიწას გულის სითბოს,
სხივი სთხოვე ზეცას.
დრო ჩააქრობს ყველა ტკივილს,
კოცონს გააცივებს,
ბედს მოსტაცებს ბედნიერს და
მტირალს გააცინებს.
სამოთხიდან... სამოთხემდე
მანძილია მცირე.

# ჯგუფი ზღვარი



სერგი ლომაძე



კახა ბაციკაძე

## სანბენიტო – ოცდამეერთე

ზუსტად ის დრო, რომ შეიცნო იესო ქრისტე,
ჯვარის მუსიკას ეზიარო სივრცეთა შორის,
უსასრულობა მიანიჭო განწირულ ფიქრებს,
და საკუთარ გულს წააწერო „მემენტო მორი“.
სწორედ ის დროა, ჩამოიმსხვრეს გუმბათი ზეცის,
რადგან სამყაროც ვეღარ იტევს გრძნობათა გრიგალს,
ნელ–ნელა ხვდები, რომ ამ ქვეყნად ვერაფერს
შეცვლი,
და სამსხვერპლოზე, შენი გული, დუმილით მიგყავს.
შენ ის ხარ, ვინაც ცოცხლობს მხოლოდ სტრიქონებს შორის;
ბრწყინავდი, თუმცა იმ დროისგან ღრუბლები რჩება;
საკუთარ გულზე ამოტვიფრე „მემენტო მორი“,
რადგანაც ყველა სიდიადე, ოდესმე, კვდება...
ვის აგრძნობინო, ოკეანეს რომ იტევს სული;
უთვალავ წლობით უმზერ, წყლისგან, კლდეებს,
ჩამომსკდართ...
შენი ცხოვრება არის ახლა მხოლოდ წარსული...

ბარათაშვილის და გრანელის ფიქრი წამოგცდა...
სიცოცხლე არის პრობლემების უსრული რიგი,
ადამიანთა მოგონილი უაზრო მახე,
შენ კი ფიქრობდი, შეგეცვალა, როგორმე, იგი,
ფიქრს არიდებდი პაოლოს და კარმელის სახელს,
თუმც ტრაგედია არ იცვლება, როგორცა ნახე...
სისხლი, შიმშილი, გაფითრებულ ქუჩების ექო...
წლები წლებს მისდევს, წევს ქვეყანა, როგორც
საპყარი;
და მარტოობის შავ ობობის მონობის ქვეშ ხომ
უბადრუკია იმედების თავშესაფარი;
მაღლა იცვლება ტახტები და მათზე მჯდომელნი,
დაბლა კი რჩება უფერული, ცუდი ზღაპარი...
დარეკა ზარმა... მაშ, ბოლომდე შეიცან ქრისტე,
ჯვარის მუსიკას ეზიარე სივრცეთა შორის,
თეთრ, მარადიულ სიცოცხლეში გადადი მყისვე,
თუმცაღა გულზე ტვიფრად დარჩეს „მემენტო მორი...“

**სერგი ლომაძე**

## გული

***(იმ ქალს, რომელიც უმანკო თოვლივით დამამახსოვრდა).***

ვთრთი, ფეხაკრეფით მივდივარ სადღაც,
შენი დაღლილი ხმა მწვდება, მათოვს;
და მე არ ვიცი, რასა ვგრძნობ ახლა;
და შენ არ იცი, ვარ რარიგ მარტო;
ფეხდაფეხ მომსდევს შუქები ღამის,
შუქები ფიფქთა თაიგულს ანთებს;
იცი? — თქმა მინდა უთვალავ რამის,
მაგრამ თეთრ ღამეს სიტყვას ვერ ვკადრებ.

აი, შენი ხმა კი მკრთალად ისმის,
ისმის, ვით ფიფქთა შრიალის ექო,
ან ვით ცახცახი ნაძვის ხის წიწვის,
მე კი სულ ვფიქრობ, სულ ვფიქრობ მე ხომ!..
მივდივარ, სულში იღვრება სისხლი,
მარტო ვარ, ფიფქის სულს ვხედავ თითქოს,
და უთეთრესად წითელი ფიფქი
მკვდარი გულივით ეცემა მინდორს...

## ლექსი, რომელიც ვერ დავასათაურე

ის მიდიოდა ნისლების იქით,
ნისლების აქეთ ხალხი რჩებოდა,
მას თან მიჰქონდა იმგვარი ფიქრი,
ქვეყნად ყველას რომ დავიწყებოდა.
იტოტებოდა ცად ელვის ხაზი,
დღე-ღამე ისე ერთად კვდებოდა,
რომ ფითრდებოდა სიმბოლო – ვაზი,
და მთებზე ჯვარი იხატებოდა...
არი, სამყარო, უფალის ფიქრნი,
ერთ-ერთ ასეთ ფიქრს ვინ აბოლოვებს?–
უმალ ის მგზავრი, სადღაც რომ მიდის,
და ნისლებიან წვიმებს რომ სტოვებს...
ის მიდიოდა ნისლების იქით....

კახა ბაციკაძე

## ცის ბინადარი

სულს სისხლისფერი დაღი ატყვია, –
როცა ხურავენ სარკმელს ოცნების,
გული კი თითქოს ჩუმი ბარტყია,
რომელსაც ზაფრავს ჩრდილი ცხოვრების.
მე ვწერდი ლექსებს ადრეც, ვწერ ეხლაც,
(მზეც იჭრის ვენებს მწვანე გორებზე),
ვარჩიე ბედთან სასტიკი შეხლა,
ვარჩიე ფიქრი ცის სიშორეზე,
და მდაღავს ჩემივ ოცნების რკალი,
როგორც ბეთჰოვენს – ნოტების ღელვა...
ბოლომდე ვრჩები, ვით იდუმალი
ნათება, ზეცის მოლურჯო ელვა...

## ზეცისკენ

აზრი არა აქვს ზამთარზე ჩივილს, –
ცხოვრება მაინც უფრო მხეცია;
და მე არა მწამს ისეთი ჩიტის,
ფრთები რომ მუდამ დაუკეცია.
ლექსის მორევში ვარ დაკარგული,
ვქარგავ სტრიქონებს ფერად კონებად,
და მე არა მწამს ისეთი გულის,
გონების კარნახს რომ ემონება.
ცხოვრებისათვის კვლავ არ მცალია
სული იგუბებს სევდის ნაწვიმრებს;
პოეზია კი ის მწვერვალია,
რომ შეიფარებს გრძნობის არწივებს.
ისევ თან დამაქვს ხმა უწინდელი,
გული ცხოვრებას კვლავ ეურჩება,
და მე არა მწამს ისეთ ფრინველის,
ცას რომ ვარსკვლავად ვერ შემორჩება.
ლექსის მორევში ვარ დაკარგული,
ვქარგავ სტრიქონებს ფერად კონებად;
ვამბობ: არ მესმის ისეთი გულის,
გონების კარნახს რომ ემონება...

## მუსიკის დედოფალს

(...დაიბადე ოცნებათა სამყაროში,
სადაც გრძნობა ფერებისგან ირთვება;
კვლავ შევხვდებით ჩვენ ერთმანეთს
ზღვისფერ დროში,
ზღვისფერ დროში, საუცხოო რითმებად...).

თეთრ კლავიშებზე, თეთრი თითები,
ჰყვებიან გრძნობის პოეტურ ამბავს...
მე თვით მუსიკის ნისლით ვირთვები,
(ზეცა თოვლისფერ ვარსკვლავებს ნაბავს).
ქალი, რომელიც მოჰგავს ანგელოზს,
უკრავს საოცარ მუსიკას სულის,
მე – პოეზიის მიქელანჯელოს,
მაქვს აღტაცება, ამ ხილვით, სრული.
რაც უფრო მეტად ამძაფრებს დაკვრას,
გულს მისერავენ ლურჯი ნოტები,
მან არცკი იცის, რომ, ასე, კაცს კლავს,
ზის როიალთან განმარტოებით;
გამანადგურებს მე ეს ჰანგები,
შერწყმულნი ზღაპარს მისი მშვენების,
და ამ მუსიკის ზღვისფერ მხარეში
მისი თვალების ჯვარზე ვევნები...
როიალი კი აგრძელებს შრიალს,
შლის საზღვარს ყოფნა-არყოფნას შორის...
და კლავიშებით სამყაროს ქმნიან
თეთრი თითები, თითები ბროლის...

## სამყაროს შეგრძნება

წვიმის წვეთები, თითქოს — თითები,
ქალაქი, თითქოს — როიალი,
ქუჩები, სახლები — როგორც კლავიშები,
ღამე — როგორც შვება, ხსნა, თავის დაღწევა
ადამიანთა უაზრო ფუსფუსიდან
(საერთო — ცხოვრებიდან),
და მოსვლა შენთან, ოცნებებში,
ხილვა შენი ლანდის,
ჩურჩული, როგორც ვარსკვლავთა ციმციმი,
და მხრები, თეთრი მხრები —
მსუბუქი, ლამაზი ფრთები,
მხრები — როგორც ვნების გზატკეცილები...
არა აქვს მნიშვნელობა,
ეს ოცნებაა თუ რეალობა...
მე ვგრძნობ შენს თითებს,
ვგრძნობ შენი თვალების პოეზიას,
ვგრძნობ სიმღერას, რომელსაც ღიღინებ,
და ფრთებს, რომლითაც ავფრინდებით,
და დავხედავთ ქალაქს,
როგორც წარსულის ნაშთს,
თუ — პრეისტორიულ მუზეუმს,
მერე კი წავალთ უსასრულობისაკენ,
და შენი ტანის გამჭვირვალე, უნაზესი ტილო,
მოიხატება ჩემი ლექსებით...
არ არის საჭირო რაიმეს დაკონკრეტება,
ხო, არაა აუცილებელი კონკრეტიკა,
ეს, უბრალოდ, მირაჟია
სიკვდილ—სიცოცხლის ზღვარზე,
ყოფნა არყოფნის ზღვარზე...
ჩვენ, პოეტები, ვტეხდით ზეცას,
ყველას გვერგო ჩვენი წილი ნატეხი,
მე ამ ნატეხს შენ დაგაბნევ ყელზე,
ლურჯ ბრილიანტივით...
მირაჟი ქრება...
ალბათ, თენდება...
წვიმის წვეთები — თითები...
სამყარო — როიალი...



**გიორგი ზუხბაია**

## პოეტების „რულეტკა"

*(ყველა პოეტი: ყველა — პირველი)...*

არის თამაში სისხლიანი, არის ამქვეყნად,
რომ გულსაც, სუნთქვას, თვითონ გულსაც სუნთქვას უკეტავს...
არის თამაში სისხლიანი, ძნელი იმდენად,
რომ მას სახელად, ჰუსარების, ჰქვია, „რულეტკა",
ძნელი იმდენად, რომ მიწიდან გაღწევა ჰქვია,
(რომ ადამიანს ცაში ყოფნის ოცნებით ავსებს):
შენ იარაღის დოლურაში დებ ერთ ცალ ტყვიას,
ატრიალებ და რიგრიგობით გაისვრით თავზე;
რამოდენიმე ცრუ გასროლა, და მერე ცაში
ერთი თქვენგანი აღმოჩნდება სრულიად კენტად...
მხოლოდ ერთ ტყვიას... მაგრამ არის, ქვეყნად, თამაში,
ამ რულეტკაზე უფრო მძიმე — ათასჯერ მეტად.
თვითონ ცხოვრებაც დადუმდება, სიტყვას არ იტყვის,
თვით ფორტუნასაც იგი გულის სუნთქვას უკეტავს;
ეს თამაშია უფრო ცხელი, უფრო სასტიკი,
და მას სახელად, პოეტების, ჰქვია, „რულეტკა"...
პირველი კვდება!.. თვით გულია ბედი ამრიგად,
სიგიჟე ხდება სისხლიანი თამაშის არსი,
როს იარაღის დოლურაში, ერთის მაგივრად,
ყველა ტყვიაა ჩადებული, სუყველა შანსი...
სულში შეაღწევს, ცის მუსიკად, შეშლილი ტყვია,
და თვით ცხოვრებას ჩამოანგრევს, სულმთლად გაცვეთილს...
თამაშს სახელად პოეტების „რულეტკა" ჰქვია,
როდესაც შანსი არ არსებობს, ქვეყნად, არცერთი...

# რიქშა

(რიქშა – აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის ზოგ
ქვეყანასა და სამხრეთ აფრიკის კავშირში: მსუბუქი,
ორთვლიანი ეტლი, რომლის ხელნებშიც შებმულია ადამიანი;
იყენებენ მგზავრების გადასაყვანად).

დღე დაელია თვალებს ღრუბლიანს,
ცაზე ჩანს ყვითელ ყვავილის ნიშა,
დღეს ვერ ვიშოვე ერთი რუპიაც
და მოწყენილი დგას ჩემი რიქშა.

შიმშილის გრძნობა ისე დიდია,
რომ ამ ზეცასაც შევჭამდი თუნდაც...
მაგრამ უეცრად, ქუჩის კიდიდან,
მე დავინახე უფალი–ბუდა.

ის მოდის ჩემსკენ და ბრწყინავს თითქოს,
და ჩემს რიქშაში უსიტყვოდ ჯდება,
მესიზმრება თუ, უბრალოდ, ვფიქრობ?
არ ვიცი, მხოლოდ დუმილი მრჩება.

ან სხვა რა მქონდა, დუმილის გარდა,
და – ეს შიმშილიც, სულის მლესავი...
ბუდა კი ბრწყინავს, ფოსფორის ვარდად,
და მსუბუქია ბრინჯაის მზესავით...

და მიმყავს იგი, ჩემი რიქშათი,
სანსარას ტბისკენ, ბამბის მიწაზე,
მე, ვარსკვლავების მზერის წინაშე,
მიპყრობს საღამოს გრილი სინაზე...

მივედით კიდეც, და მაშინ, ბუდა,
ჩავიდა ჩემი რიქშიდან ნელა,
და ბუდას მხარზე, სხივების გუნდად,
ჩამოჯდა ლიმნის დიდი პეპელა.

მაშინ თვალებზე ვიგრძენი სიცხე,
ამავსო სხივთა რბილმა სხურებამ;
და მის ფეხებთან გაჩენა იწყეს
მანათობელმა საფეხურებმა.

ის ფრთხილად აჰყვა ამ საფეხურებს
და ალუბლისფერ ცაში შევიდა;
მე კი მის ბრწყინვას დიდხანს ვუყურე,
სანამ არ გაქრა, სადღაც, ზევიდან...

ბუდამ რუპიაც არ მომცა ბოლოს,
მიწაზე დავრჩი მე ჩემი რიქშით,
საოცრება კი ის იყო „მხოლოდ“,
რომ აღარ ვგრძნობდი მე, უკვე, შიმშილს...

დღე მიიწურა, და ღრუბლის გედებს
უფალი–ბუდა მარად ხლებია...
ო, იმ უცნაურ ამბავის შემდეგ,
არც არასოდეს მომშიებია...



თეა კანდელაკი

## დაბრუნება სამოთხეში

საქართველოში მოვკვდე ღმერთმა ქნას
და მისი მიწა საბნად მეფინოს.
რომ, სულმა ჩემმა იხილოს ღმერთი,
ტანს უფლის მადლი გადმომეფინოს.
დილის ცვარად ან ჟუჟუნა წვიმად,
სამშობლოს ციდან მადლად ქცეული...
დაუბრუნდება სული სამოთხეს
ჯოჯოხეთიდან გამოქცეული.

06.21.2005
აშშ

## ოი, ღმერთების დიადო მუზავ

ოი, ღმერთების დიადო მუზავ,
კდემამოსილი შეგევედრები;
გაყუჩდებიან იადონები,
ტოტებს დახრიან მწვანე ვერხვები.
და მე, ამაყი ამ საუფლოის
შენს წინ, ლოცვაში მუხლსაც მოვიდრეკ,
წინ აღვუდგები შურს და სიყალბეს,
შენს წმიდა გზაზე ძალას მოვიკრებ.
თუ გამიყოლებ ღმერთების მუზავ,
„იმ მწვერვალების" დასალაშქრავად,
რასაც გონი და სიმართლე ჰქვია,
თუნდ ხალხის თვალში ვიყო მაშვრალად...
მე მირჩევნია ვიყო შენს ჩრდილში,
ვიდრე, დემონის მედგას გვირგვინი !
მე მირჩევნია სამების ფერხთით
ვიდგე ქედმოხრით როგორც იფქილი!
ოი, ღმერთების დიადო მუზავ,
კდემამოსილი შეგევედრები,
ამ უგონობის დასამარხავად
უფალმა ერთხელ ივნო ფერდები
ამ უგონობის დასამარხავად
უფალმა ერთხელ ივნო ფერდები
და დაინერწყვა ღვთიური სახე,
ეშმამ ათრია მისი მანტია,
დროთა ტრიალში მივხვდი ერთადერთს –
ამ ცხოვრებაში რაც მინატრია
უდიადესი, ყველაზე წმინდა,
არის გონება–უფალი ღმერთი!
დაე, გაქარწყლდეს ფუჭი გულისთქმა!
დაე, დიადი დარჩეს ეს ერთი!
ოღონდ ამრავლოს ჩვენში სიკეთე
ამ უგონობის აღმოსაფხვრელად,
დე, ღრუბლებს ზემოთ იდგეს უფალი,
ცოდვა – მივუგდოთ დემონს სახვრელად...
და მე ამაყი ამ საწუთროში,
ჯერ, არავისთან კრძალვით ნახლები,
შენ შემოგწირავ ჩემს სულს და სხეულს
და მუხლმოყრილი მოგეახლები.

10.05.2005

## პასუხი „არამკითხე მოამბეს"

რომ გაიგო, ჯერ შეიცნო უნდა ბევრი, მაგრამ კარგო,
ბევრის ცოდნით უფრო ვხვდებით უვიცობას...
შენ კი წიგნის ფურცელიც არ წაგიკითხავს!
ამზეურებ, სწრაფობას და უტიფრობას ...

## ქვათა ღაღადისი

ქვათა ღაღადისი, დედაო ღვთისავ,
ზეცად აღვლენილი ქნარი,
ფეხდაუდგამი ბიბინა მდელო,
ფოთლებთან მოჩურჩულე ქარი.
მთიდან გადმომსკდარი ნაკადული,
დედის ცრემლებივით წმინდა,
მუდამ ხელისგულზე ნატარები,
ჩემი საქართველო ციდა.
გულში ჩავიკრავ შენს მთებს და ფერდობებს,
ერთ სუნთქვად ჩასუნთქულო ქნარო,
შენთან აღსარება მომენატრა
სევდად მოდუდუნე მტკვარო.
შენი ღრუბლები რომ მანდილად მეფინოს,
მინდვრის ყვავილები კაბად,
რაღა ამივსებდა ამ თვალებს ცრემლებით,
ცხოვრებაც მექცეოდა ზღაპრად.
ქვათა ღაღადისი, დედაო ღვთისავ,
ზეცად აღვლენილი ქნარი...

ივნისი 2005

## შევედარო?!

ახლა მეც გრანელს შევედარო?!
ფრენას ვინატრებ.
შეშლილ რითმათა სიყვარულსაც
მხრებით გიტარებ.
სად არ წავაწყდი – ხან ქვესკნელში,
ხან კი – სიონში,
მაგრამ დემონი არ მიხილავს
გალაკტიონში!!!

## რეალობა

ცა მოკრიალე, ცა მტრედისფერი,
ცა, როგორც სარკე უცოდველ სულზე,
დაეფინება ოქროს მანტიად
ვრცელ ოკეანის ტალანთა გულზე
და მონუსხული, როგორც თილისმა,
როგორც აკლდამა ვდგავარ მდუმარე,
გთხოვთ, ნუ დამირღვევთ ამ მყუდროებას
და ახლა ნუღარ მკითხავთ ნურაფერს...
თუ სად გამქრალა სულის სიმშვიდე,
თუ ვინ მომასხა თეთრი მანტია,
ან, თვალთმაქცობის ოქროს ნიღბები,
ამ მეჯლისისთვის რად არ მარგია...
გაფრინდა, გაჰყვა შორით ნიავ-ქარს,
დამტოვა მარტო ასე ეული
და შემატოვა ირგვლივ სამყარო
შურით და ბოღმით გადარეული.

01.12.2006

## ნუთუ

ნუთუ დემონი დაინახე ჩემზე ფიქრებში,
რამ განგაშორა ასე უხმოდ
მოფრენილ მუზას?!
გემი კი, როცა აფრებს აშლის მაშინ სათქმელად
დუმილს ნუ განკვეთ
და ნურასოდეს ჩაუშვებ ღუზას.

* * *

ჯამბაზი ვარ თუ მარიონეტი?
-ზოგჯერ სევდა ვარ,
ამაოება,
ხან – იმედიც ვარ,
არის მომენტი.



**გურამ ჭავჭანიძე**
**Гурам Чавчанидзе**

## თოვდა

თოვდა ისე მეფურად,
ისე ჩამობარდნილა,
გათოშილი ბეღურა,
ხიდან ჩამოვარდნილა.
თანაც ისე დათოვა,
გაქრა ნაფეხურები,
აღარც ჩვენი დატოვა,
აღარც ნაბეღურები.
წელს უშენოდ მათოვს და
თვალი დამენამება,
ერთად როცა გვათოვდა,
ის დრო დამენანება.
თოვს და კიდევ ითოვებს,
ციდან ფიფქი რამდენი,
მწარე ფიქრებს მიტოვებს
ფიფქი, ცრემლის დამდენი.
წელსაც, წინანდებურად,
უხვად ჩამობარდნილა,
არ ჩანს ხეზე ბეღურა,
ალბათ ჩამოვარდნილა.
თანაც ისე დათოვა,
გაქრა ნაფეხურები,
აღარც ჩემი დატოვა,
აღარც ნაბეღურები.

## კარგი, ერთი!

ნაცისტი და თბილისელი?
კარგი, ერთი, „სპასი ელი“,
აღარ მითხრა ეგ სახელი,
ნაცისტი და თბილისელი?
კარგი, ერთი!...

## პოეტის სიყვარული

შენც ხომ იცი, რომ პოეტის
სიყვარული სხვა არი,
შენც ხომ იცი, რომ პოეტი
სიყვარულის ზღვა არი.
მეც იმიტომ განდობ დარდებს,
რომ თავად ხარ პოეტი,
მეც იმიტომ არ მადარდებს
ზოგის მიეთ-მოეთი!

## ქალო, მზექალო!

არც შენი ტრფობა არ გამიქრება,
არც ეს ცა, შენი თვალების ფერი,
მიყვარხარ, აბა, როგორ იქნება,
რომ არ მიყვარდეს ეს ყველაფერი.
ქალო, მზექალო, ნატვრა მაქვს ერთი,
„მაგ თვალთა კრთომა“ ნუ გამეცლება,
არ დამეკარგო, იწამე ღმერთი,
მე ხომ უშენოდ არ გამეძლება.

## შენი თვალები

ყოველთვის, როცა ეშვება ბინდი,
არ მასვენებენ შენი თვალები,
მე მაინც ვცდილობ, რომ ვიყო მშვიდი,
ყოველთვის, როცა ეშვება ბინდი.
და თუმც არც ცოდვა მაქვს რამე დიდი
და არც ვისიმე მაწევს ვალები,
ყოველთვის, როცა ეშვება ბინდი,
არ მასვენებენ შენი თვალები.

## დეკემბერია თბილისში

დეკემბერია ნამდვილი,
ხეებს დასცვივდა ფოთლები,
რას ქაქანებენ ამ დილით
სკვერში უბნელი ლოთები.

ეს ჩვენი ქუჩის მხვეტავი
რა მოხდენილი ქალია,
თუ გაეხუმრნენ, ნეტავი,
აბა, სხვა რა უხარიათ.

დეკემბერია თბილისში,
ქარს მიჰყვებიან ფოთლები,
რას ქირქილებენ, ვინ იცის,
სკვერში უბნელი ლოთები.

## თბილის ქალაქს

გაუმარჯოს თბილის ქალაქს
ძმობის ქალაქს, ტრფობის ქალაქს,
იმ აშუღს და იმ მეზურნეს,
იმ მეეტლეს და იმ დალაქს,
ყველას, ვინც აქ ჩამოვიდა,
იქნებ წავიდ-წამოვიდა,
მაგრამ ბოლოს აქ დარჩა და
მისგან კაცი გამოვიდა.
ვინც თბილისის ცა მოხატა,
ვინც უმღერა თბილისელებს,
კრძალვით ქუდი მოუხადა
ლამაზმანებს, გულის მკვლელებს.
ვისაც ახსოვს საოცარი
თბილისური ეზოები,
ყველა ჯურის, ყველა გვარის
თან შეზრდილი მეზობლები.
ვისაც ახსოვს სანუკვარი
დუქნები და ყაფაზები,
მტკვარზე — ტივი, ტივზე — კვარი,
სირაჯები, ხაბაზები,
ვინც იხსენებს: „საათნოვა
რომ მღეროდა შაითანთან“,
ვისაც ტრფობამ დაათოვა
და თბილისით დაიშანთა,
ვისაც ახსოვს ანაიდა,
ერთა ძმობის მომღერალი,
გულმართალი, სათნო, წმინდა,
სიყვარულით სავსე ქალი,
გაუმარჯოს, ვინაც მტკვარში
თავი გაიმამაცურა,
თავის დროზე, ბავშვობაში,
ვინაც მტკვარი გადაცურა,
ვინც თბილისი შეიცნო და
მისი ტრფობა დაინათლა,
ვინც თბილისი შეიგრძნო და
თბილისელად მოინათლა.
გაუმარჯოს თბილისელთა
ნაირ-ნაირ გვარ-სახელებს,
ვინც ლოცულობს თავის ღმერთთან,
მაგრამ თბილისს ასახელებს.
ყველას, ვინც აქ ჩამოვიდა,
მაგრამ სამტროდ არ მოვიდა,
ვინც შეირგო თბილისი და
თბილისელი გამოვიდა,
გაიხარეთ, თბილისლებო,
დიდებო და პატარებო,
ჩვენო დებო, ჩვენო ძმებო,
ხელის გულზე სატარებო.
გაუმარჯოს თბილის ქალაქს,
ძმობის ქალაქს, ტრფობის ქალაქს,
იმ მეეტლეს, იმ მეჩექმეს,
იმ მექუდეს და იმ დალაქს,
ყველას, ვინც აქ ჩამოვიდა,
იქნებ წავიდ-წამოვიდა,
მაგრამ ბოლოს აქ დარჩა და
მისგან კაცი გამოვიდა!

## ჩემს თბილის ქალაქს

ჩემს თბილის ქალაქს ჩემი ლექსებით
ვეფერები და ვეალერსები,
რადგან თბილისში ჩემი სულია,
ჩემი ტრფობა და სიყვარულია,
აქ გაილია ჩემი ბავშვობა,
ზღვა სიხარული, ზღვა თამაშობა,
თანაც თბილისი ქვეყნად ერთია
და როგორც დედა, ჩემი ღმერთია.

## მანანა გორგიშვილს

შენ რომ გამითბე ეს გული,
მეც ხომ ვარ შენი ერთგული?
მეც ხომ მწვავს ტრფობის ალები
და ლამაზმანის თვალები?
არ დაიჯერო, ეს გული
არ იყოს შენი ერთგული,
ღვინო არ შევსვა ფიალით,
არ ვიყო შენი ტრფიალი,
მიყვარს, როგორ არ მიყვარდეს,
ღვინოც, ეს ოხერტიალი,
იქნება დროჟამს მიბარდეს
ცხოვრების ორომტრიალი!

**А и г у л**

*Ты цветёшь, как роза мая,*
*Жаль – не мне тебя добыть,*
*Но ты милая такая,*
*Не смогу тебя забыть.*

**Я Вас люблю**

*«Я Вас люблю, к чему лукавить»,*
*Но вы другому отданы,*
*И вероятно подданны,*
*И эту боль мне не убавить...*



თამარ ჯაჭვაძე

## სამშობლო მიკვდება

ისევ გავაბრუნე მუზა გულმოსული,
ქვეყანა გიკვდება, რა დროს ლექსებია!
დარდი დაგათოვს და ქარით ფერწასული
ზამთრის მზეს ღიმილი ვერ უსესხებია.
ერი ემიგრანტებს როცა ველარ ითვლის,
გულით დანაღმულან მართლა პოეტები,
რა დროს ჯირითია უცხო სახე-რითმის,
ლექსით ღობე-ყორეს როცა მოედები.
როცა სამშობლოში არვის უხარია,
მითხარით რა ჰქვია მაშინ გაცინებას?
ქვეყანა ილევა მზეა თუ ქარია...
გულმა თავმომწონე ლექსი არ ინება.
კაცი ველარ კაცობს, ქალი გასტამბულდა,
გროშებზე ყიდიან სხეულს... დედამიწის...
ნედლი სტრიქონები სისხლით დასტამბულა,
ჩადგება სირცხვილის წრეში მზე და იწვის.
დანაშაულია როდესაც იმედი,
საჯიშე ქალ-ვაჟებს უჯიშოდ იმეტებ...
სადღაც საშოვარზე წასულ დედის მეტი
ვინ დარდობს,
ვინ გაძლევს მომავლის იმედებს?
ვის უნდა ეგ ყალბი ძოწი და ბივრილი,
ვის უნდა ამაო ტაში და დიდება?!
და თუმცა არ მიყვარს ცრემლი და ტირილი,
ვიხარო? როდესაც სამშობლო მიკვდება?!
ვილექსოთ?! კაცებო, ხმალია საჭირო,
ვიდრე დასაკლავად დანებს დალესავენ...
თუ ვერ ივარგო და ვერ გადაარჩინო
დაგირჩეს სამშობლო ცაგაულექსავი.

## თუ ვერ მიცანი

ასი პოეტის ასი ლექსის ასი სტრიქონი,
ასიათასჯერ პოეტი ვარ, ყველა პოეტზე.
ვერ მომერია სისხლიანი ქორონიკონი...
მარტო მტერი დგას ისტორიის ჰორიზონტებზე.
ნაკადულის ხმით რაკრაკი ვარ, მძინარე მოლის
მწყერი, მწევარმა წამომაგდო მწიფე ლელიდან...
ცრემლი კი არა, სიმღერა ვარ ობოლ ოლოლის
მყვირალობისას ხმა ნატყორცნი ირმის ყელიდან.
გეპატიება, ღვთიურია ეს პატიება,
გეპატიება, მხარი გექცა და ვერ მიცანი...
გეპატიება სულთსაყუდრის სხვაგან ძიება...
სხვაგან ნაპოვნი სალოცავი დასაფიცარი.
დადუმდებიან სტრიქონები და პოეტები,
ძველი ქართულით ჩახლართული საღვთო წერილი.
ვის აცვდებიან, შენი ქვეყნის მიწის ბელტები,
შენს მარჯვენაზე მკოცნელი და ჯვარდაწერილი?!
უცხო მხარეში უთვისტომოს რა დაგამშვიდებს?!
სხვის სამოთხეში გამომწყვდეულს უნდა გეტირა...
მე სამშობლო ვარ და ვეძახი დაკარგულ შვილებს
მე გაყიდული საქართველოს მიწის ბელტი ვარ!

## ლექსი ჩემი ტკივილების სამურველი

დაგიძახე, ლოცვასავით ისე ჩუმად,
რომ ხეებზე ვერ გაიგეს ბეღურებმა.
შენთან მოვალ შუაღამის შარიშურად
დაღლილ მხრებზე ცის თავშალი მეხურება.

გაზაფხულმა სიყვარული გამოფინა,
და მათრობდა ზეცის ფერი და სურნელი...
დამიწუნა მაძღარმა და კმაყოფილმა,
ლექსი, ჩემი ტკივილების სამურველი.

## რატომ მიდიან?!

საით მიდიან, რად გვტოვებენ, თავგამეტებით,
სად ეგულებათ სხვა სამოთხე და სხვა ედემი?!
ბნელ ეპოქაში მზის სხივებად ნაიმედები,
რატომ მიდიან სამშობლოდან ჩვენი დედები?

რად მოგვისაჯა საუკუნემ, „გაზრდა უდედოდ,
მამელუქებად ახლა დედებს რად გვიყიდიან?!
ღმერთო, ჩვენ შვილებს ჩვენი ბედი არ დაუბედო!
ყოფნა?–არყოფნა? — საქართველო ბეწვზე ჰკიდია.

დაბრუნდებიან და გეტყვიან, გზაშეშლილები;
– ჩემო სიბერის საყუდარო და თვალის ჩინო,
რომ ჩემი წილი საქართველო, ჩემი შვილები,
ჯვარცმული ქვეყნის მომავალი გადავარჩინო!

გამიუცხოვდი, მაინც შენი სითბო მწყურია,
ისევ მიყვარხარ, დედი, ისევ მეიმედები...
გადაარჩენენ, თუ სამშობლო განწირულია,
მამელუქებად გაყიდული ჩვენი დედები!

## ზეცას არ ვატკინო სულის ნაფეხური

მოჩანს გაჩერება ჩემი მატარებლის,
მიწას არ ვატკინე მე ნაფეხური და...
გულში ჩამესახე, გულით გატარებდი,
ოხვრას ამოჰყევი დაღლილი გულიდან.

სიოს მონაბერით, წიგნი დამეხურა,
წავა ქალი, ხელისგულით სატარები...
დარჩება ლექსები სულის ნაფეხურად,
მოჩანს გაჩერება ჩემი მატარებლის.

## მადლობელი ვარ ბებო

გაჩინჩხლა მინავლული ცა
დამიცხო ბედისკვერი,
ბებომ თვალისა მილოცა,
ვერ მომერიოს მტერი!..

სულ ოთხ სიტყვაში ჩატია
აზრი გზასავით გრძელი,
— სიკეთე გულუბრყვილოა,
ბოროტებაა ბრძენი!

სტუმარი ხარ და აქედან
ვერაფერს წაიღებო...
სიკეთის გზებით იარე,
შენ შემოგევლოს, ბებო!

***

იქიქინე ქარო, ქარო არ იჩქარო!
კვირტის ღიმილია, ვარდისფერი თოვა...
შენ სადა ხარ, თორემ, ჩემი სულისდარო,
გაზაფხული? გაზაფხული ისევ მოვა!



მანანა ბრაჭული

***

თუ უხერხდება უარყოფას თქვენგან შენდობა,
ამ შემოდგომით მომიტევეთ შორი უარი.
სექტემბრის გულში მარტოობის გვალვა თუ არის,
თქვენს სახლთან ახლა წვიმა ჰკოცნის მწვანე ბუერებს,
ო, არ იფიქროთ, სინანული თითქოს ცრუ არის,
ხო, მენანება თქვენს თვალებში ლურჯი სინათლე,
იყო წინათვე განწირული ბროწეულები,
სხვა მზე უყვარდათ და ესაა მთელი სიმართლე!..

## უცნობს

შენ ბოტიჩელის დახატულ ქალებს
ჰგავხარ, თავს გიხრის ღიმილით ქუჩა.
მოღიავებულ კარს და აივნებს
ზაფხულის ცხელი თითები უჩანთ.
რა უმოწყალოდ, სიცხიან ღრუბლებს,
მზე დავიწყებულ სიზმრისგან ჩურჩავს.
შენი მშვენებით გაფითრებული
ტორტმანებს სივრცე და თვალებს ხუჭავს...
შენ ბოტიჩელის დახატულ ქალებს
ჰგეხარ და ლამის წაიქცეს ქუჩა...

## ნაწვიმარზე

ნაწვიმარზე ცა იღიმის
და წვიმაზე უფრო ბროლი
მდინარეში კენჭი ელავს,
ღელავს ამღვრეული ჩქორი.
თრთოლვით მოინაცვლებს ყალამს,
კაკლებს უფერადებს ჩქორებს,
შემომხედავს შემოდგომა
და გაზაფხულს ამიჩქროლებს.

## ნოემბრის ეფემერა

მოიწყვეტს ზეცა უცნაურ კრეველს,
გაადიადებს ცრემლის ქარვებად,
მწუხარებაში დაძირავს დღეებს
ეფემერული მზის განქარვება.
მოედავება ქარი სნეული,
დაუსრულებელ გზათა ნათლიას,
წაკიდებული მაღალ ჩინარებს
გულში უტოვებს დროის ნატყვიარს.
ვიღაც მეტია ადამიანზე –
არის მგოსანი, არის გენია,
გაიმეტებენ არდანახვისთვის,
არაპოეტი აქ იმდენია...
მაგრამ არ სძინავთ მართალ დრიადებს,
შემოაქცევენ ავდრებს დარებად...
თავისუფლების სჯერათ პოეტებს
სასწაულად და შეუდარებლად.
მოიწყვეტს ზეცა ბრწყინვალე კრეველს,
მზერა მდევარის ალმაცერია.
ვინც „სივრცეებმა დაიბინადრეს“,
მისთვის სიკვდილიც არაფერია!

## ნონეცი

იცის ცამ, იცის მზემ, იცის ზღვამ,
არა შენ, არა მან, არა სხვამ,
თვალებში დაღლილი წლებია,
უსაზღვრო საზღვართან წყდებიან.
ანგელოსს ვიტყვი და არ კია,
ლილიტი ჩემს მზეს რომ აჰკვრია.
ფოთლები ტაშს უკრავს თანატოსს,
ტოტები ფესვებს რომ ღალატობს
ქარში ვარ, ქარშივე ვთავდები
თქვენა ხართ ბრალშიც და თავდებშიც,
ნეტავ მას, ვის აგეს ორძილი,
სულისა სულთანა ქორწილი...

### ტრიოლეტი

ჩემი დღე უმზეო დარია
და მზეთა მარადი ლოდინი,
გულში გულზე დიდი ბზარია,
ჩემი დღე უმზეო დარია.
ცივი და უნდო და მკვდარია,
ქარების გაშლილი ლოგინი,
ჩემი დღე უმზეო დარია
და მზეთა მარადი ლოდინი.

*27.12.2011 წ. თბილისი*

### მტვერია

ტ. გრანელს

ყველაფერი მტვერია და ნაცარი,
ცის სარკეში ნისლებია უძირო,
დავიღალე მოლოდინით სინათლის,
როგორც მიწა მცივანი და უძილო.
ყველაფერი სავსე ცარიელია,
ქარნაცემი ხევნარების სადარი,
ყვავილობა კვირტებში რომ მოკვდება,
სამომავლო იმედები სად არი?!
ყველაფერი მტვერია და ნაცარი,
ზედმეტია ცრემლები და რიდება,
როცა ზეცა გადაწონის ყველაფერს,
როცა სული მზესთან გაირინდება.

*28.03.2012 წ. თბილისი*

### შორია თამარ!

ბნელი გიშრის თმით სამხრეთის ღამევ,
გადამინამე ცრემლით ბალიში,
შენს წამწამებში ციცინათელობს
ჩემი შვილი და შენი ბადიში.
ახლა ბოდიში რა გვიანია,
რომ ბედის წიგნში ეწერა ასე,
ქარებს სველი აქვთ მწვანე თვალები
ჩემთვის ნაცნობი ტკივილით სავსე.
დეკემბერია. თოვლის მინორი
ხელებს უკოცნის დარდიან ხეებს.
შორია თამარ, შორია თამარ,
და მზე აკლდება დარჩენილ დღეებს.

*16.12.2014 წ. თბილისი*

### ანა!

ა. კ.-ს

ამ გამზირს კიდევ რამდენი
აივლ-ჩაივლის ანა?!
სუყველა ანა იქნება?!
ათასში ერთიც არა...
„ვარდის ფურცლობის ნიშანი“ –
შენი მზეობის ხანა
ქარები დაგიძახებენ
ანაო, ანა, ანა!..
ნეტავ რამდენი აივლის
ამ გამზირს შენისთანა!..

*17.12.2014 წ. თბილისი*

### სადგური

ბო-ძიუ-ი-ს

მე სადგური ვარ და დგანან ჩემში
ნატვრა ხნიერი, ფიქრები ბერი,
ქარებს მიაქვთ და მოაქვთ ზამთრები
ყოფიერების სუნით და ფერით.
მე სადგური ვარ, მაგრამ ვარ მგზავრიც,
ყველა წესით და ყველა უფლებით,
და ამაყი ვარ სულ ერთი კედლით,
ღია ცითა და თავისუფლებით.
ვდგევარ, ვდარაჯობ ცისა და მიწის
მარადიული ტკივილის სანგრებს,
რასაც მგზავრების ნება კი არა,
უფრო ძლიერის სურვილი ანგრევს...
მე სადგური ვარ ავდარშიც დარშიც,
მგზავრთა მსახური მარტოც და სავსეც
და გულით მინდა, ყოველდღე თითო,
ბედნიერების ბილეთიც გავცე.

*20.11.2014 წ. თბილისი*



მანანა ზაზიკაშვილი

## ახალი წლის შემობრძანება

აულაგებელი საწერი მაგიდა...
ღამეგანათევი ლექსების წერაში...
მასალა იმდენი დამგროვებია...
ამ საახალწლოდ სუფრას ვერა ვშლი.
ღამე შიშნაჭამი...
ბომბების ბათქუნი...
იქვე კედელზე სატევარი,
ბათუმში დავრეკე, ჯინჯიხაძესთან,
არ მეკონტაქტება ბათუმი...
რუსუდან, როგორ ხარ?! რა მოგივიდა?!
მობილურს რად შემოწყერი?
მინდა სუყველას მოგილოცოთ,
დამდეგი ახალი წელი!!!
სოხუმი, სოხუმი... სვეტლანა ქდანოვა...
გილოცავ, გილოცავ, ახალ წელს!!!
ჩამოდი თბილისში, გელოდები,
წერილებს რატომ არა მწერ?!...
ლარსის ხეობიდან ენრიკო გაიყვანეს,
თავის სამარხლოს ნახავს,
ახალი წელი უნდა მიულოცოს
თავის ცოლშვილსა და მძახალს...
ენრიკო კვალინიძე მთასავით კაცი,
ცხინვალში დაკრძალეს გუშინ,
ოთხი შვილის მამა, „ლევანას“ ავტორი,
მჯიღს იცემს ახლა ცივ გულში.

## საფიქრალი

გიქებენ კალამს და
გიქებენ ენას,
შენ ვერ გაჯობებ
ვერასდროს, ვერა!
შენი სიტყვისა
მჯეროდა, მჯერა,
გამიცისკროვნე
ქალური მზერა!
შენა ხარ ჩემი
მუზა და ლექსი,
შენი კარგი ხმა
მალამოდ მესმის!
შენზე რომ ვფიქრობ,
თითქოს ცაში ვარ,
ასე მგონია ისევ
ბავშვი ვარ!
სიტყვებით მაინც
გული გამითბე,
სულ ერთი წუთი,
მუდამ დამითმე!
გულში ნაღველი
რომ არა მქონდეს,
ლაღი ლექსები
შენთვის დამქონდეს!
მთელ მსოფლიოში
ჩემთვის ხარ ერთი,
საფიქრალი და
თითქოსდა ღმერთი!...
აწი, რა მომკლავს,
სათქმელი გითხარ,
იცოცხლე მარად...
ლამაზად...
დიდხანს!!!



**ნანა ბერაია**
**ნანა ბერაიას ლექსები**

## მამადავითი

რამდენჯერ უნდა დავიბადო,რომ შევიყვარო,
რამდენჯერ უნდა ავატირო მე ღვთისმშობელი,
რამდენჯერ უნდა წავიკითხო მამაო ჩვენო,
მერე ცოდვები თეთრ თაბახზე გადავიტანო...
რამდენჯერ უნდა ავირბინო მამადავითზე,
მოვინახულო წმინდა მიწა,მოსვლა ვახარო,
ტაძარში მცხოვრებთ მივეახლო მუხლზე დაცემით
და სულის ტკივილს სიყვარული შემოვაფარო....
აღარ დაბნელდეს,მამადავითს ეს არ უხდება,
ზეცაში ფრენდნენ თეთრყირმიზა ანგელოზები,
მზე იცინოდეს,ასხივებდეს მიწას ღვთისმშობლის,
ტაძრის კარებთან არ ტიროდნენ სერაფიმები...
დრო არ გაჩერდეს,ისევ რეკდნენ სამრეკლოს ზარებს,
ზეცის კალთიდან დაგვცქეროდეს დედაოღვთისა,
მამაო ჩვენოს კითხულობდნენ მედავითნენი,
უფლის გზაათ ჭეშმარიტი,ყველაზე წმინდა....

***

მხრებით ვატარეთ ისტორია,ქართული ზეცა,
მხვნელიც ვიყავით და მთესველნიც,რანი ვართ ახლა?!
ნინომ ჯვრითა და ბზის ყვავილით მთა-ველი კეცა,
უფლის შეწევნით ივერთ ერის ოცნება ახდა...
მაგრამ დრო-ჟამი შეიცვალა,დავდივართ მრუდედ,
ქართულ მიწაზე გაზრდილები რად ვგავართ უცხოს?!
იქნებ,ოდესმე დავუბრუნდეთ მერცხლები ბუდეს,
გვერეკებოდნენ „საძოვარზე" ოდითგან უხმოდ...
ნუ დავივიწყებთ წმინდა მამებს,მთაში არწივებს,
ღვთისმშობლის ლოცვა გავიხადოთ თანაზიარად,
დღემდე ვატარეთ სიყვარული,გავინაწილეთ,
ვთესოთ მარცვალი,ნუ ვატარებთ ცოდვის იარაღს...
რადგან ღალატმა,ბოროტებამ მოკლა სიკეთე,
ძმა-ძმისთვის გახდა მოშურნე და უცხო,გულგრილი.
აღსდექი ერო! ..და უფალი კვლავაც ინებებს,
მზეს ამოიყვანს,გადაივლის ჭექა-ქუხილი.....

***

წუხელ გახლეჩილ საქართველოს ვიყავ სტუმარი,
ისევ ვიხილე მავთულხლართი,უხმოდ ავტირდი.
მე ორიოდე ტკბილი სიტყვა ჩუმად ვუთხარი
და ქართულ მიწას ვეამბორე,როგორც დავპირდი.....
ო,როგორ მსურდა გამეგონა ხმა საამური,
გულის საზღვართან დამხვედროდნენ ძმები ოსები,
აკვნესდებოდა ძველებურად ხის სალამური,
ლექსებს დაწერდნენ ოს-ქართულად ჩვენი მგოსნები....
გაჩაღდებოდა ქორწილები მამაპაპური,
არ მაწამებდა მოგონება,ეჭვი,დარდები.
მტრობა და შური გაქრებოდა ვითარცა მდგმური,
არ იცხოვრებდნენ ქვეყანაზე ცრუ და ხარბები...
ვერ გავექეცით მტრის რისხვას და გასროლილ ტყვიას,
მაგრამ დღეიდან დასაჯიჯგნად არ მივცემთ ქორთა,
დამისხით ღვინო,გაუმარჯოს უსიტყვო ტრფიალს,
თასით შემასვით სიყვარული,ქართველთა-ოსთა.....



**ამირან ჯანჯღავა**

## დეჟავუ

უყურებ მთვარეს ღრუბლების ჩადრით
როგორ იფარავს გადაღლილ სახეს
როცა მზე მშვიდად ეზოში ჩადის
ქუჩებში ტოვებს ბეტონის სახლებს.
რუტინას ისევ ანაცვლებს სარკე
კისერზე გიჭერს ფიქრების ხლართი
დგები ყოველდღე შენ ასე ცალკე
ატარებ სხეულს სულ სხვების ხათრით
უცხადებ პროტესტს განგებას აშარს
სუნთქვა კი ხდება დღითი-დღე მძიმე
ამინდი ფიქრებს ქარებით აშრობს
მაგრამ ვერ შველის ჩვეულ სამძიმარს
რომ ეს სხეული – განგების ქარგა
არის ალიბი სულ უფრო მკვეთრი
რომ შენზე კონტროლს სამყარო კარგავს
და მის გარეშეც სივრცეებს კვეთავ
ბრუნდები ზოგჯერ...
მგზავრობამ ხშირმა
დაგღალა უკვე გტკივდება გვერდი,
ნაწილი შენი სხეულის – შირმა
ვერ ეგუება სამყაროს ვერდიქტს.
უყურებ ისევ ღრუბლების დაფას
გამარჯვებულის აწერენ სახელს
და სიმბოლურად ფიფქები დაფნის
გვირგვინის მსგავსად ახურავთ სახლებს.
სარკის წინ მშრალი ფიქრები გელის
ფიქრები შენი სხეულის ყურე
და მაინც სადღაც სიღრმეში გულის
ფიქრობ რომ ნანახ კადრებს უყურებ

## ასეა რადგან

ასეა რადგან შევეგუო მეც უნდა ამ წესს
არ ავიწყდებათ აქ ამინდებს მოტანა წვიმის
სველდება უკვე დღეებია რამდენი ამწე
და იტკიებენ სიცივისგან დაჟანგულ წვივებს
უშვერენ კერტებს მიტოვებულ კაუჭებს შიშველ
ცივი ჰაერით გამოტენილ ერთ ბეწო ქალაქს
და მოტეხილი ფრჩხილებივით ეზრდებათ შიში
უფროს კაცებთან სიყვარულზე საუბრის ქალებს
ამიტომ ალბათ შენც ამ ქალურ ლოგიკის გასწვრივ
პოულობ დროის გამოგონილ ალესილ ხიჭვებს
და ვერ იჯერებ რომ ყოველდღე მე ტკივილს გასწრებ
შენი სხეულით შენი მხრებით შენ თვალებს ხუჭავ
არადა წლების ამ უფერულ მტკივნეულ ზონარს
ხომ შეიძლება შენც დაუსხლტე სხეულის მიღმა
მარამ არც იცი რომ უშენო სიცოცხლეს ზომავს
ცა ჩემს სხეულზე აორთქლებულ ცრემლებს რომ მიღვრის
და სხვა რა გზაა ვეგუები მარტივად ამ წესს
იზომებიან აქ კაცები რატომღაც წლებით
ბოლო ხანია მე და კიდევ ასობით ამწე
სველი სხეულით თხელ ბალახზე მსუბუქად ვწვებით
და ვაკვირდებით სიცოცხლე რომ სიკვდილებს არწევს

## გადა-უშენო

ჩემს ფინჯანში ბევრია შაქარი, ჩაი არა.
ჰგავს ეს რაღაცით ჩემს ცხოვრებას, თანაც უშენოს.
შენ შეგიძლია უბრალოდ გვერდზე ჩამიარო
და ჩემს არსებას იმედები გადა-უშენო
რადგან უშენოდ ყველაფერი რჩება უცვლელი
მატარებლებიც ვერ უცვლიან მგზავრებს ადგილებს
და ეს სამყაროც დარჩენილი ასე უცოლოდ
ცდილობს წვიმებით უშენობა გამიადვილოს
მაგრამ დღეები ნისლებივით არის უმწეო
მოჰგავს ღრუბლების ამჩატებულ ცაზე ფორიაქს
შენი ფილტვები მთელ სამყაროს სუნთქვას ურწევენ
და ამინდებსაც შენი თხელი კანის ფერი აქვთ.
თოვლის თითებით დაკემსილი თეთრი შინელი
აცვიათ ხეებს და ტოტებით დააქვთ კვირტები
შენც დაიჯერებ რომ სამყაროს ვიღაც შინ ელის
ჩემს თვალებიდან ამინდებს თუ დააკვირდები
ახლა ღამეა, ფინჯანი კი ჩაის გარეშე
გავს ჩემს ცხოვრებას ფერმიხდილს და თანაც უშენოს
ჩემზე ფიქრები შენ მარტივად ფენით გაიშრე
და ჩემს არსებას იმედები გადაუშენე

## შენი სქოლიო

რაც მიფიქრია, რისიც მჯეროდა
(შენს მხრებზე თოვლის თეთრი კარნახი)
დღეს ძლივს გამომყავს შიშის ჩეროდან
შენზე ფიქრები, შენ რომ არ ნახო..
ვილაგებ ხელებს პირზე, ვაჩერებ
სიტყვებს ფიქრებით ისე გაჟღენთილს,
რომ შენი ტანის ჩამოდგა ჩერო
და მახსენდება ის დღე გაზეთის
პირველ გვერდზევე წერდა ვინმე ლ.ა.
– არ ღირს ცისი იქით სიცოცხლის ძებნა.
და მე წამომცდა შენთან პირველად
ჩემი თავი და შენში დამებნა.

რაც მიფიქრია, რისიც მჯეროდა
ყოფილა თურმე შენი სქოლიო
ფიქრი ვერ გამაქვს შენი ჩეროდან...
ჰაერიც ახლა ისე სქელია,
დგება ჩვენს შორის, დგება ჯიუტად
ჰაერი — ღმერთის თეთრი კარნახი
მე სხეულს სიკვდილს ისე მივუტან
შენზე ფიქრები სხვამ რომ არ ნახოს
მაგრამ ვერ ვმალავ იმ დღეს პირველად
ჩემი თავი რომ შენში დამებნა
და დაწერს მერე ალბათ ვინმე ლ.ა.
– არ ღის ცის იქით სიცოცხლის ძებნა.

## უშენობის სამყარო

მე უშენობის სამყარო მოვიგონე, რადიუსით
ერთი მეტრი. მეტრო –ჩემი სხეულის მაკეტი,
მარტი — მარტივი მოტივი, ვიღებ მაკრატელს
და ცხოვრების კადრებს ვანაწევრებ. რადიოში
ტალღებზე წოლას ვამჯობინებ ზღვას. რელიქვიად
ცა მიმაჩნია. ახლა გათენებას მე მთხოვენ
ღამეები. ვუსმენ ყანჩელს და არა ბეთხოვენს.
ჩემს ლექსიკონში სიყვარულს მაინც „მერი„ქვია.
ფილტვებში ჩაფენილ სამყაროს ვურევ ნიკოტინს
ვუმატებ კოფეინს, ფილმის ნაცვლად ცას ვუყურებ.
შენ სამყაროს იქით ხარ გულს მხოლოდ ეს მიკორტნის
აქ ნაძვებს ძალიან უხდებათ წვიმის საყურე.
ცხოვრება ბანქოს მეთამაშება, ცა წეროებს.
სხეულს ყოველთვის არ ვატარებ,
დედამიწაზე ვარ პოეზიის ავატარი.
ჩემი ოთახის კედლები სავსეა წარწერებით
ლაშა, ოთარი, შოთა, მირზა, ლადო, აჩიკო...
ქუჩები სახეს იმალავენ ნისლის ვუალით
ისე უხდებათ სურვილი გაქვს ვარდი აჩუქო
ვფიქრობ სიცოცხლე ჩემთვის იყო გარდაუვალი
ალბათ სასჯელი ჩადენილი ცუდი ქმედების
დასჯა კი მკაცრი — უშენობით სავსე ძარღვები
სხეული — სულზე შემოკრული მძიმე ქედები,
ბოლოს საჯინჯგი უნდა იყოს რადგან ძაღლების
მე მოვიგონე სულ სხვა სამყარო რადიუსით
ერთი მეტრი, მეტროს მარტივი მაკეტი.
კოფეინს ვუმატებ ნიოტინს, ვიღებ მაკრატელს,
ვჭრი ფოტოებს. უშენობას ვსწავლობ რადიოში.

## ფიფქების ქორო

ცა იფარებდა სახეზე ღრუბლებს
ცას თითქოს ციდან გაქცევა სურდა
მაგრამ ცის იქით ცისფერი ზღურბლი
ცის აქეთ თოვლი, წვიმა და სურდო
იყო მიზეზი გაქცევის არსად
იყო მოტივი უსიტყვო ყოფის
ბანალურია სიცოცხლის არსი
როცა სიცოცხლედ ცხოვრება გყოფნის
მაგრამ ის ღამე არ გავდა ასეთს
იღიმებოდნენ კაცები შორით

და იღლიაში ამოჩრილ გაზეთს
დაჰქონდა მთელი სამყაროს ჭორი
ქარები ლექსით ჩახლეჩილ ხორხებს
უშვერდნენ ცას და ირჩევდნენ მიზანს
შენ კითხულობდი იმ ღამით ბორხეს
მე ვკითხულობდი ლადოს და მირზას
ქალაქის ორთქლი მსუბუქი ერთობ
დაქონდათ ღამე გატეხილ ქარებს
მე კი ვიდექი გარეთ და ღმერთო
შენი ფიფქების ვუსმენდი ქოროს



**ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი**

## ჭანგა

ჭანგა მორევია ჩემს ბაღ–ბოსტანს,
    ველური ჭანგა.
ჰგონია თავის უხამსობით ველ–მინდორს
    ქარგავს.
სურს, მიწის გულში გადგას ფესვები,
    უფსკრულშიც ჩავა.
თავის უგვანო სურვილებით
    ოცნებობს ჭანგა,
მაგრამ რა იცის, ბალახადაც
    რომ სულ არვარგა.
ის კი ოცნებობს, ჩემს ყვავილნარში
    შუაგულს ჩავრგა
ამიტომ მსურს რომ ჩემი ბარით
    მოვთხარო ჭანგა.

*******

რა გინდა ჩემგან ბულბულო,
რად არ მანებებ თავსაო,
დამჭიკჭიკობ და დამგალობ,
ამშვენებ ჩემსავ ბაღსაო.
მეგონა მღერა ვიცოდი,
ხმა ჩამიწყვიტე ქალსაო,
როგორც კი ბაგეს გავიხსნი,
შენ ამღერდები წამსაო,
დაჰგალობ ლამაზ არიებს
ჩემივ ბაღნარის ვარდსაო,
მეც შვებას მაძლევ დარდიანს,
ლხენით შემიცვლი დარდსაო.

## კვამლი ბოლავს

თითქოს ცეცხლი აზიდულა ზეცად,
თითქოს კვამლი კვალში მისდევს მზის სხივს,
იკლაკნება, ზლაზვნით მისდევს კვალში,
თითქოს მიწის სიყვარულით იწვის.
ღრუბელს ცეცხლის ალი ცდილობს
მისწვდეს,
კვამლი ბოლავს სიზარმაცეს ებრძვის,
ნელი სიო ცდილობს ძალა მისცეს,
ქარიშხალს კი ეშინია ზეცის
დაბლა ღმუის, გადაგავა მიწა,
ტრიალებს და სურს გაფანტოს ცეცხლი.
წვიმა ცდილობს გააგრილოს მიწა,
მიწა, ცეცხლის გიზგიზით რომ იწვის.
კვამლი ბოლავს, იკლაკნება ზევით
ღრუბელს ნისლად ცდილობს შეერიოს
ასეთ ზეცას ვერ იხილავთ ვერსად
ცდილობს ჩვენს მტერს ისიც მოერიოს.

## საფლავის ქვებმა მიამბეს

საფლავის ქვებმა მიამბეს,
დარდი ეძალათ ძლიერი
ყვავილნარს მუმლი მოედო,
გადაეფარათ იელი.
– მზე სხივებს აღარ იმეტებს
მთვარემ დამძახა ზემოდან,
გამოდევნილა სიკეთე
მესაფლავეთა ეზოდან.
ყველაფერს ხავსი მოედო,
ყველგან შეცვლილა იერი,
ვარდის მაგივრად მაგივრობს
ფესვებგადგმული იელი.
საფლავის ქვებმა მიამბეს,
დარდი ეძალათ ძლიერი,
აღარც ყვავილობს ენძელა,
გაბუტებულან იები,
შვილები აღარსად სჩანან,
მოსულან გადამთიელნი.
საფლავის ქვებმა მიამბეს,
სტკივათ ქვის გული ძლიერი.

## როგორ შევეცილო ღამეს

როგორ შევეცილო ღამეს
მთვარის გამონათება,
როგორ შევეცილო დილას,
მზის პირველი სხივები?!
როგორ გადავივლი ბილიკს
გაუკვალავ ბუჩქნარში?

თუ პირველი ვერ ვიქნები –
ბოლო მაინც ვიქნები.
და თუ ჩემსკენ გადმოლახეს,
გადმობარეს მიჯნები,
შურს ბოროტად არ ვიძიებ,
მაგრამ გავემიჯნები!

## იხმაურეთ

იხმაურეთ, რომ თქვენი ხმა
თვითონ ღმერთმა გაიგოს,
გაიცინეთ, რომ დარდები
იმ სიცილმა წაიღოს.
ნუ ინაღვლებთ მომავალში
თქვენს ადგილზე სხვა მოვა,
დარდი არც თუ ადვილია,
სევდით არა გამოვა.
იცოდეთ, რომ ლეში კვდება,
სული დიდ ღმერთს ეკუთვნის,

ბოროტებას ნუ დათესავ,
მოიმკი რაც გეკუთვნის.
იხმაურეთ, რომ ხმაურმა
დარდს თავის გზა უჩვენოს,
ღმერთს არ უნდა ჩვენი თხოვნა,
გვასამართლებს უჩვენოდ.
იხმაურეთ, რომ თქვენი ხმა
თვითონ ღმერთმა გაიგოს,
გაიცინეთ, რომ დარდები
იმ სიცილმა წაიღოს.

საქართველო თავისი მადლიანი მოსავლით სხვებსაც ეხმარებოდა, დღეს ეს ბარაქა აღარ ტრიალებს, და თითქოს სხვისი სამადლო გავხდით.

## ნიშავ და ხარო ლაბაო!

დიდაო, დიდო დედაო,
შენს ტანჯვას ვგრძნობ და ვხედაო,
გუთნეულს უჭირს ხვნა-თესვა,
გან-გან გაიწევს ლაბაო.
შენ, ნიშა ხარო, რა გიჭირს,
აპეურს რისთვის წყვიტავო,
რკინის ლაგამი ამოგდეს,
ხნული გან-განა დგებაო.
დამშვიდდი ხარო ნიშაო,
კვალი სწორ-სწორად აგუთნე,
დაწყნარდი ხარო ლაბაო,
შენც, რაღაც სიმწრით ქანაობ!
ნახნავში გრილი ნიავი
თავისთვის წყნარად ნანაობს.
ტლაპოში დინჯი კამეჩი
სიამოვნებით ბანაობს.

შენ რკინის სალტა ასალტე
კვლავ მოიკრიფე ძალაო.
ჩაუდექ კვალში ნიშა ხარს
გაუორკეცე ძალაო.
აგუთნეთ სწორად სახნავი,
გააჯეჯგილეთ ყანაო.
გაუთბეთ გული ობოლ გლეხს,
დაალბოს პურის ალაო.
თქვენ თქვენი ძალა აჩვენეთ,
ნუ შეგაშინებთ ხანაო,
გლეხს დაუბრუნეთ იმედი,
და მიწის მადლის ძალაო.
აგუთნეთ მიწა ძველებურ
ნიშავ და ხარო ლაბაო,
მტერს თვალის ჩინი წაართვით
მოყვრულს უჩინეთ ძალაო.

9.05.2013 წ.



**ზეინაბ ასისტიშვილი**

## რუსთავის გიმნაზიის პედაგოგს

*ლეილა ციცქიშვილს*

ნეტავ ბევრია
თქვენისთანა ქართველი ქალი,
როგორც დედიკოს,
ჩემს მასწავლებელს, ისე შეგხარი.
ჩემო ძვირფასო,
საყვარელო მასწავლებელო!
ლეილა გქვიაო,
ჩემი გულის გამხარებელო:
მეტად კეთილი, სათნო ქალი
და მეტად ტკბილი,
ბავშვებზე რომ ხართ
თქვენ უზომოდ შეყვარებული;
რით შეგიძლიათ, ამდენი შრომა,
ოჯახში ჩვენთან,
ამდენი ფიქრი, ჩვენზე დარდი,
არასდროს მორჩა.
ძილის წინ მუდამ გახსენდება,
ჩვენი თვალები,
ნუ მოიწყინე, ჩემო პატარავ;
გვემუდარები.
ღმერთს შეავედრებ, საკუთარ ოჯახს,
შვილებს, პატარებს,
მინდა იცოდეთ, თქვენს სიყვარულს,
გულით ვატარებ.
დამილოცნიხართ!
ჩემო კარგო, მასწავლებელო!
დააფრთიანეთ ბევრი პატარა
იგივ მშობელო.
იცოცხლეთ დიდხანს,
სანამ ცაზე მზე და მთვარეა,
ბედნიერ იყოს, თქვენი მშობელი,
დედა, ქალია;

## სიკეთე

*(ასე უკეთესია)*

ბევრი რამ გავცე,
სიკეთე ვთესო,
აი ეს არის ჩემი იდია
ვინც არის ძუნწი,
ის ღარიბია,
მასში არ არის
აზრი დიდია.
რომ არ ვიქნებით
არავინა სთქვას
რომ ცხოვრებაში
იყო ბინდია,
თუ გავცემთ, მაშინ
მოგვბაძავს სხვაც და
მყარი იქნება,
ჩვენი ხიდია

სიკეთის მარცვალს
თუ გავამრავლებთ,
მოსავალიც ხომ
მაშინ დიდია,
ჩვენც გავახაროთ
ჩვენი მოძმენი,
ასეთი არის ჩემი იდია.
ცოტა მაქ, მაგრამ
მაინც ვიმეტებ
ცოტადან ცოტა
რომ ერგოს სხვასა,
ეს არის ჩემთვის
ბედნიერება,
ეს მახარებს და
მინათებს გზასა.

ჩემი მიზანი
ერთია მხოლოდ,
როდესაც წავალ,
გავხურავ კარსა,
ჩემი მოკეთე
გამაცილებს და
მათ დაუტოვებ
ცრემლიან თვალსა,
სიტყვას იტყვიან,
რაც რომ სიკეთე
ამ ქვეყანაზე მიკეთებია
სიყვარულს ბევრის
გულში დავტოვებ,
აი, ეს არის
ჩემი იდია...

## ბედი

თუ ორნი ჩნდებით,
მაშინ ცხოვრება,
მართლაც კარგია.
თუ არა იტყვი,
რატომ მოვედი?
რა დამკარგვია?
ერთი ბედია
რომელიც შენი ტყუპისცალია,
მასთან გაჩნდები,
ცხოვრებაც ხომ საოცარია
ბედი გიღიმის
ყოველ წუთს და
ცისმარე დღესა,
ღრუბლიან დღესაც მზე დაგნათის,
სჯობიხარ ბევრსა,
თუ მარტო ჩნდები,
არ იბადება, შენთვისა ბედი,
კარგიც რომ იყო
გაუხარელი, ვარდიცა ჭკნები.
გულიც აჩუქო,
გიყვარდეს ყველა.
შენ ვერავისგან
მიიღო ლხენა.
შენთვის არავის,
არაფერი გამეტებია,
თბილი სიტყვა და
გაღიმებაც მთლად ზედმეტია,
აკეთე კარგი,
მაინც არა აქვს,
არაფერს ფასი.
გული გაგიტყდა,
რა ეძებო, ნეტავი სხვაში.
უსიხარულოდ, უსიყვარულოდ,
ფიფქივით დნები,
უსიხარულოდ მოსულხარ და
ასევე კვდები.

## ჩემს ახალსოფელს

ჩემი სოფლის, მთა-ბარი,
გადაშლილი ველები,
მიყვარს ჩემი სოფელი
მუდამ მოვეფერები.
ჩემი სოფელი კავკასიის,
მთების შვილია.
მის ძირთან არის ლამაზი და
ფრთაგაშლილია,
ორი ხევი რომ ჩამოუდის,
ტკბილად მღერიან:
ახალსოფელო იდღეგრძელე!
დღენი შენია.
შენ გამზარდე, ჩემო ახალსოფელო,
შენ დამატკბე,
ჩემო ტკბილო მშობელო,
გამზარდე და ცოტა,
შორს კი წავედი,
მაგრამ გულით, შენთან დავიარები,
შენს გარეშე,
მუდამ მშია მწყურია,
მიყვარს შენი,
გოშიაც და მურიაც
ყველა მიყვარს,
შენი წმინდა ტაძარი,
მე ხომ ვიცი;
ეს სიმდიდრე, რაც არი.
შენზე კარგი,
არსად არაფერია,
დაილოცოს, შენი წმინდა კერია.
მუდამა გფარავს,
წმინდა გიორგი
და ღვთისმშობლის,
ძალა ძლიერი,
დავით გარეჯის, სამების,
თუ წმინდა ბარბარეს.
ერის საუნჯე ახალსოფელი,
თქვენ ჩაგაბარეთ
კიდევ მრავალი;
წმინდა ადგილი, წმინდა ტაძარი,
ახალსოფელო! შენს კალთებზე,
ბევრი სხვაც არის!
სუყველას ერთად,
ძველ ფუძეს და ახალ კედლებსა,
დღეგრძელობა აქვს,
უფლის მადლით ახალსოფელსა!

## ჭრელა-ჭრულა ფოთლები

ჭრელა-ჭრულა ფოთლები,
მიწას ეფინება,
თითქოს თვითონ ეშინია,
მას კი ეფერება,
ისიც თავის საიდუმლოს,
ჩუმად ეუბნება,
არ შეშინდეთ ლამაზებო,
სიცოცხლე არ ქრება.
გაზაფხული კვლავაც მოვა,
კვირტი გაიშლება,
ერთმანეთის მოფერებით
ბუნება ცოცხლდება.
გაპენტილი ყვავილები,
ერთურთს ეჯიბრება,
სურნელება აირევა,
მათრობელა ხდება.
მათრობელას ზემოდან,
ნამი ეპკურება,
შენც ხალისობ
სიცოცხლის ძალა გეუფლება.



**ლამარა ასისტიშვილი-ჯამასპიშვილი**

## მე ყვარელში დავიბადე

„დიდ ილიას სამშობლოში დავიბადე,
და მისივე მიწა–წყალი მზრდის,
იმ საყვარელ ბუნებაში აღვიზარდე,
და ნიავიც შევისუნთქე მთის.
იქ მივიღე საშუალო განათლება,
და სხივები მოელვარე მზის...
დამყოლია, პოეზიის სიყვარული,
და მისივე ქარი ჩემში ჰქრის.
ჩემზედ არის დღეის შემდეგ დანარჩენი,
ბედის ურო ბევრმა თვითონ დაჰკრეს,
გავაღვივებ იმ პატარა ნაპერწკალს,
რომ ავარდეს ალად და არ ჩაქრეს.
იცით დღემდე ბევრი ლექსის ავტორი ვარ,
ეს თითები კიდევ მრავალს დასწერს,
იმ ბუმბერაზ ილიას მე არ შევარცხვენ,
ქარო, შენ კი ნუ დამიგებ ფაცერს.
ჩემში ვხედავ, გულნატკენი პოეტია,
და დაჭრილ მკერდში გული ძგერს,
ლექსის წერა, სურვილების მომენტია,
გაუმარჯოს, რუსთაველის ერს!...

***

„უხეშობას და სიბრიყვეს,
არ მოაქვს არაფერი.
მხოლოდ ტკივილი გულისა,
დარდი და სევდა ბევრი...
ამით რა შეგემატება,
სხვას რომ ატკინო გული...
იყავ თბილი და კეთილი,
სიტყვა ამოთქვი ტკბილი,
ღამით შენც მშვიდად იძინე,
არც სხვას დაუფრთხო ძილი...“

## „ჩემს შვილიშვილს,

*6 წლის გიორგი ჯამასპიშვილს...“*

„დაგილოცავ პირველ ნაბიჯს,
სკოლის გზაზე მიმავალს,
სულ 10–ზე გესწავლოს,
იყავ წარმატებული.
გზები გქონდეს ლამაზი,
საამაყო ქებული...
— უფალმა დაგილოცოს,
მომავალი შენი,
ასახელე სამშობლო,
ასახელე ერი...“

**ყვარელი ჩემი სამშობლო არის**

ჩემი სამშობლო, ჩემი აღმზრდელი,
საამაყოა და საყვარელი;
დიდი ილიას სამშობლო არის,
ჩემი ყვარელი, ჩემი ყვარელი.
ბევრი მოსულა დაღონებული და დარდიანი,
და უფრო მეტი, ფეხაკრეფით მაღლა ასულა;
ვისაც უხილავს, ილიას გორა,
ვისაც უხილავს, ყვარლის ქედები,
დაღონებული აღარავინ აღარ წასულა.
ბევრს რომ გლოცავენ, ბევრს რომ გაქებენ,
შენ ყვარელი ხარ,
ბევრი პატარა — გოლიათად რომ აგიღზრდია,
მართლაც კარგი და საყვარელი ხარ.
ჩემო სამშობლოვ, ჩემო აღმზრდელო,
საამაყო და საყვარელი ხარ,
შენ ხომ ილიას სამშობლოცა ხარ,
შენ ყვარელი ხარ, შენ ყვარელი ხარ.

**„თავს განაცვალებ...“**

„იბრწყინე მუდამ, ჩემო სამშობლოვ!
შენ დაგელოცოს გზა და კვალია,
ჩემი სოცოცხლე შენ შემოგევლოს,
შენთვის ვლოცულობ დღე და ღამეა...
გეყო, რაც ტანჯვა გამოიარე,
ახლა იარე დიადი გზებით.
შენთვის ვსტირივარ, შენთვის ვმღერივარ,
თავს განაცვალებ, თუ დაგჭირდები...“

## „ვედრება ღმერთთან“

(ეს ლექსი დავწერე 1985 წლის 27 ოქტომ-
ბერს, თბილისის მე-2 სამშობიარო სახლში,
სადაც ჩემი ილია დაიბადა. იგი იყო ძალიან
ცუდად. ღმერთთან ვედრება და ლოცვა
სიტყვებით გამოვთქვი ამ ლექსში)

— ქვეყნად სადაც კი სალოცავია,
ყველას ვიწამებ ერთად.
ოღონდაც, ჩემი ილია
გადამირჩინოს ღმერთმა.
ოღონდაც მისი სიცოცხლე,
სულ ბედნიერი იყოს.
ჯანმრთელად იყოს, ჩემი ილია,
მე როგორც გინდა ვიყო.
მთელი ოჯახი ფეხზე წამოდგა,
როცა გაიგეს, რომ იყო ბიჭი.
ისმოდა დიდხანს, მათი სიმღერა,
და სიამაყით გამოცლა ჭიქის...
— ღმერთო!, შენს ძალას ვიწამებ მუდამ,
და შემისრულე თხოვნა
ნურას მოაკლებ ჩემს პაწაწინას,
და აღმიზარდე, ყოვლად.
უვნებელ იყოს, მისი ჯანი და
მისი ცხოვრება მუდამ.
კიდევაც გეტყვი; — გიწამებ მარად,
— და შემისრულე თხოვნა,
რომ გავიხაროთ, ოჯახში ყველამ.
იმის ამაყმა მამამ.
არ დაგვიჩაგრო, პატარა გული.
ვედრებით შეგთხოვთ ამას.
როდესაც გაჩნდა ჩემი ილია,
მას შემდეგ, ჩვენთან მუდამ ლხინია,
ისმის სიმღერა, ბავშვის დალოცვა,
და ღვინო სავსე ჭიქის გამოცლა.
ქვეყნად სადაც კი სალოცავია,
ყველას ვიწამებ ერთად.
— ოღონდაც ჩემი ილია,
გამაზრდევინოს ღმერთმა“.

### „შენ საქართველოვ!“

„შენ საქართველოვ! დიდება და თაყვანისცემა,
არ მოგკლებოდეს არასოდეს, შვილთა შენთა,
სულ გამარჯვების ფრთებით ფრენდნენ შენი ასულნი!
სულ გამარჯვების გზაზე გევლოს, ძეთა შენითა!
ვაშენოთ ქვეყნად, ყველაფერი კარგი ვაშენოთ;
ყველგან სიკეთე ვთესოთ და ვმკათ მამა-პაპურად;
ავსა და ბოროტს, მოვუსწრაფოთ სიცოცხლის დღენი,
მოყვარს მოყვრულად, მტერს დავუხვდეთ ყველანი მტრულად.
— მაშ მოდით ძმებო! ჩავჭიდოთ ხელი ერთმანეთს ძმურად.
რომ საქართველომ, სულ სიკეთის გზებით იაროს,
ერთად ვაშენოთ, ერთად ვჭექოთ სიმღერა ჩვენი!, .
ჩვენი გულისთქმა, ერთურთს ძმურად გავუზიაროთ...
— შენ საქართველოვ!, დიდება და თაყვანისცემა,
არ მოგკლებოდეს, არასოდეს შვილთა შენითა...
სულ გამარჯვების ფრთებით ფრენდნენ შენი ასულნი,
სულ გამარჯვების გზაზე გევლოს ძეთა შენითა...

## „ქართველო ვაზო“

ქართულო ვაზო, გლეხის ნაზარდო,
ხელს გავლებს ბავშვი, ფრთხილად, ნაზადო,
დაგიკიდია მძიმე მტევნები...
შენს ნაყოფს ხშირად, მეც ვეფერები,
ალალი გულით მითხარ ძვირფასო,
შენი ნერგები, სად, როგორ ფასობს...
— განა არსებობს?! ისეთი მხარე,
სადაც შენს ფესვებს, არვინ ახარებს.
სითბოთი გიცქერს, ყველა ქართველი,
ყველა პატარებს ახარებთ რთველი,
ქართულ ვაზს, უმღერს ყველა გლეხკაცი,
ყურძნის მტევანს სჭრის თვითონ ბერკაციც,
ბარაქიანი შენი მტევნებით,
უცბად ივსება ჩალის კალათი.
ჩალის კალათებს გოდორში ჰყრიან,
და თან ზიდავენ, გლეხის მარანში.
დამილოცნიხარ, ქართულო ვაზო!,
ქართველ ვაჟ-კაცის ხელით ნაზარდო!
იხაროს შენმა ფესვმა და ღერომ,
კვლავ საქართველო რომ ასახელო!..



**ილია ზაქარაშვილი**

*

ამ სამყაროში მომიმრავლდნენ გარდაცვლილები,
რომლებიც სადღაც ჩემს გარეშე ისევ ცოცხლობენ
და ახლა უკვე სულიერად გარდაქმნილები,
ჩემს სამყაროსაც კრძალავენ და აქეთ გლოვობენ.
ჰორიზონტი კი ძველებურად სუნთქვის მაგვარი,
ათასნაირი საფლავი და ძველი წარწერა,
ჩემს გონებაში აღარ დაგრჩა ფიქრი ამგვარი,
საფლავის ქვაზე გარდაცვლილმა თავად დაწერა.
აქ ასე ხდება, ეს ცხოვრება არავის ინდობს,
თვალი თვალის წილ ისე როგორც ითხოვს კანონი,
რატომ და რისთვის გამუდმებით ამაზე ვფიქრობ.
კითხვები მრჩება და გთხოვ ღმერთო ჩემთან ჩამოდი
და იცი ქარსაც წაუღია ჩემი სხეული,
ჯანდაბას ყველა დოგმატური ჩემი ოცნება,
დღეში ათასჯერ გაცოცხლებას გადაჩვეული.
მივიწყებულმა გამახსენა ძველი ცხოვრება,
ამ ყოველდღიურ დაკრძალვებზე იგივე ხდება,
უცნობი ნაცნობს ანუგეშებს მოკლე ფრაზებით,
გარდაცვლილებს კი სიამაყე და ძვლები გვრჩება.
და გზა მიყვება პროცესიას მსგავსი აზრებით,
თანდაყოლილი სუიციდის გრძნობა, შენდობა,
რაღაც ცხოვრებას მოწყვეტილი მძიმე წლებია,
შენ სხვას შესთხოვე, სხვამ კი ვიღაც უცხოს შესთხოვა,
ჩვენთან ხომ თავად სიკვდილამდე ადრე კვდებიან.
ამ სამყაროში მომიმრავლდნენ გარდაცვლილები,
რომლებიც სადღაც ჩემს გარეშე ისევ ცოცხლობენ
და ახლა უკვე სულიერად გარდაქმნილები,
ჩემს სამყაროსაც კრძალავენ და აქეთ გლოვობენ...



**ნაირა ნიჟარაძე**

## ჯუმბერ ლეჟავას

შენ, დიდებულო ქართველო,
მსოფლიო შემოგივლია,
ფეხით კი არა, არამედ,
ველოსიპედით გივლია.

გინეზის წიგნში შესულხარ,
დიდ მწვერვალებზე ასულხარ,
შენი მიღწევით ვამაყობთ,
ქართველიაო, — ვტრაბახობთ.

გმირი ყოფილხარ, გმირულად,
ყოველ საქმეში იმარჯვებ,
შენ გააოცე სამყარო,
და სამყაროში ინათებ!

## წადი

*მანანა ზაზიკაშვილს*

აგარაკი მიატოვე,
როს გაგქურდეს, იმ წამში,
სხვა ურჯულო ჩასახლდება,
შენს ნაწვალებ ბინაში.

გხედავ გიჭირს, სულს ვერ ითქვამ,
ერთ პატარა ოთახში,
ვინ გირჩია ფეხის ჩადგმა,
უცებ, მაგ დიდ ცოდვაში?!

გენატრება მინდვრის ფხალი,
ისპანახი, ჭინჭარი,
წყაროს წყალსაც შემოსწყერი?!
წიწაკაც ვერ იცანი!...

წადი, წადი, გელოდება,
ობლად მყოფი ნაკვეთი,
მუქთად, ნეტავ ვინ მოგართმევს,
ხილ-ბოსტნეულს დაკვეთით?!

მოგაკითხავს სიბერე და,
მერე გვიან იქნება,
სულ მახსოვხარ, მედარდები,
და წამიღო ფიქრებმა...

აგარაკზე ლექსებს დაწერ,
უცხოს არ გააკარებ,
ღმერთო ჩემო, სიზარმაცე,
ყველა ქართველს გვაკმარე!



## ნანა გოგოლაძე

***

რა ყოფილა სიყვარული,
რომელიც ქმნის კერას,
მინდა ენა ამოვიდგა
და გიამბოთ ყველას.
ბიჭს გოგონა შეუყვარდა,
პაწაწინა ქალი,
ლამაზი და მშვენიერი,
როგორც წმინდა ლალი.
ტან-ფეხი აქვს ჩამოსხმული
მწვანე დიდი თვალით,
უმწიკვლო და უნაზესი,
მართლა კოხტა ქალი.
შეუყვარდათ ერთმანეთი,
დიდი სიყვარულით.
შემოვიდა და ოჯახი
აღსდგა სიხარულით.
ძვირფასი და საყვარელი
ლელა, ჩემი შვილი
სიყვარულით მას ვუწოდე
ჩემი ქალიშვილი.
გადის დრო და იბადება
ბიჭი, ბებოს გული,
ცას სწვდებოდა ეს ამბავი
დიდი სიყვარულით
შემდეგ გაჩნდა ქალიშვილი,
ჩემი ნატვრა ახდა
და ის გოგო პაწაწინა
ბებოს გული გახდა,
იბადება კიდევ ერთი,
მომღერალი სულით,
ანას არქმევს მას ძამიკო,
დიდი სიყვარულით.
მინდა გითხრათ კიდევ ერთი
დიდი სიხარული,
მოევლინა ამ ქვეყანას
დიდი სიყვარული.
გაჩნდა კიდევ ერთი ბიჭი,
მოსახელე ბიძის,
თაზო ჰქვია სახელად
და ხარ დავითის-ძის.

***

(ვუძღვნი ჩემს სძალს ლელა კაციაშვილ-გოგალაძეს)

სიყვარულისთვის შექმნილხარ
ჩემო პატარა ქალო,
მინდა გულში რომ ჩაგიკრა
ბრილიანტო და ლალო.

შენ ჩემი სიყვარული ხარ,
გულს ანთებული სანთელი,
რძალი კი არა, შვილი ხარ,
უკვე გითხარი სათქმელი;

ამრავლე ჩვენი ოჯახი,
გულს საბნად გადაეფარე,
ისეთი ტკბილი გოგო ხარ,
შვილივით შეგიყვარე.

***

(ვუძღვნი ჩემ შვილიშვილს თამაზის)

გილოცავ დაბადების დღეს,
შეგსრულებოდეს ასი.
დე, მუდამ გეტარებინოს,
სახელი კაცურ კაცის.

ჯერ გაიზარდე, დაკაცდი,
ჯანი, ღონით და გონებით,
მოგძალებოდეს სიკეთე,
მოყვარეს მოეწონები.

გააძლიერე ქვეყანა,
იყავ ნამდვილი ქართველი,
გაიხარე და გამრავლდი,
გახდი ოჯახის მმართველი.



ნელი ქველაძე

## ცეცხლში გაგვხვიეს...

ძველთაგან მოგვდევს გატანა, ძმობა,
მიტომ ილტვოდა ბევრი ხიზანი...
სანამ უჭირდათ, არ იყო მტრობა,
თურმე კი ჰქონდათ სულ სხვა მიზანი...
ჩვენ კი, წყლის ნაცვლად ღვინო მივართვით,
არ დაგვიკლია პური და ლხინი,
მადლობის ნაცვლად ლახვარი ჩაგვცეს,
აქამდე ზრახვებს ფარავდნენ ლიქნით;
ცეცხლში გახვიეს სოხუმი, გაგრა,
სამაჩაბლოდან გოდება ისმის,
ეჰ, ლხინი ჭირად გადაგვიგვარდა,
სისხლის წვიმები მოვიდა თბილისს!
გვედავებიან მიწა-წყალს, ტაძარს...
ეზო-კარს, სადაც მივიღეთ სტუმრად,
მოსულმა მკვიდრი გაინაპირა,
ერთად ურევენ ტყუილს და მართალს,
ქალაქ-სოფლები გადაგვიბუგეს,
ცდილობენ მტკვარმაც იდინოს აღმა,
ვერა, ვერ მოშლით არწივთა ბუდეს,
ვერ ჩაგვაყუდებთ უფსკრულში დაღმა!
უძლეველია ქვეყნად ღვთის ნება,
ვერვინ დაამხობს ქვეყანას რჩეულს,
ველარ წაგვართმევთ თავისუფლებას,
გონზე მოგიყვანთ მტერსა და ურჩხულს!
მადლი ტრიალებს სვეტიცხოველში,
დაუნჯებულა კვართი უფლისა,
ქვეყნის აღდგენის რწმენა ცხოველი,
„წმინდა სამების“ სასწაულისა!

## პირიმზეს ჩივილი

მაღლა მზე ბრწყინავს, ქვემოთ მე,
ვარ დედამიწის ვარსკვლავი,
მიტომ დამარქვეს პირიმზე,
მზის სხივს მიმიგავს მხარმკლავი.
მსურს სხვა ყვავილნი დავჩაგრო,
გაჯავრდებიან ჩქარაო,
რაისთვის, აბა ვინ მოსჩანს,
მაქვს აბა მეტი ჩარაო?
რიღასთვის გული გატკინოთ,
ოჰ, რად მორთულხართ ასეო,
გადაგიშლიათ გულმკერდი,
ვის ელით დღე და ღამეო?
დეკავ, ღვიანო, ზიზილო...
დაცლილა არე-მარეო,
და აბა ვინღამ გვიმზიროს
თუ არ დაბრუნდნენ მალეო!?
„დაჯარდით“, ხევსურთ ასულნო!
ქალაქს „ვუმტვრიოთ კარები“
კვლავ დავაბრუნოთ შატილში,
ვაჟები აბჯრიანები!
ისევ გაჩაღდეს კერია,
ცას მიწვდებოდეს კვამლიო
კვლავაც ბრუნავდეს, „ჯარაა“,
მტერმა დახუჭოს თვალიო!
ხარები გალაღდებიან,
განახლდეს ხვნა და თესვაო.
ცხორ გასწევს იალაღებზე
ვაჟები „საფიხვნოსაო!“
მოგივლენ ტურფა ასულნი,
თავს მოვაწონებთ მათაო,
გვირგვინში ჩაწვნენ ყვავილებს,
და დაიდგამენ თავსაო!
ნეტავ, ეს ტკბილი სიზმარი,
ამიხდებოდეს ცხადშიო!
ვერას დამაკლებს ზამთარი,
ვიქნები განცხრომაშიო.



**გიგა მუჭაური**

*** * ***

მუდამ ყველასი და არავისი,
თან ვარ ანგელოზი, თან სატანა,
ვიცი ყველაფერი, თან არ ვიცი,
რთულზე რთულიც კი ვარ ასატანად...

ჩემში უამრავი პიროვნება,
ჩემში უამრავი ცხოველია,
სადაც ცოდო მადლი იწონება,
ყველგან, ყველა კარში მომელიან...

ბინა სამოთხეშიც მეგულება
და არც ჯოჯოხეთი აღარ მიშვებს,
ჩემში ისაა თუ ეს ბუნება
ბოლოს დაითვლიან ანგარიშებს...

ჩემში ანგელოზმაც ინავარდა,
ჩემში ინავარდა სატანამაც,
ბოლოს გაირკვევა ვინა ვარ და
ცრემლით ჩემი გული რამ დანამა...

მუდამ ყველასი და არავისი,
ასი მადლითა და ასი ცოდვით,
მგონი არაფერი აღარ ვიცი,
მგონი არაფერიც არ ვიცოდი.

15-10-2017, 00: 30

## სიკვდილ-სიცოცხლის სანაპიროსთან...

მშიერს და მწყურვალს ვხატავ ფიროსმანს,
გვერდით სისხლიან ფუნჯით ტაბიძეს,
სიკვდილ-სიცოცხლის სანაპიროსთან
ბედი მეც მითვლის მძიმე ნაბიჯებს.
ვხატავ ღამეს და ღრუბლის ფიგურებს,
ხელის კანკალით ვარჩევ საღებავს,
ბედნიერებაც ჩუმად მიყურებს,
სადღაც გამირბის, არ მენახვება.
არ დამიხატავს მე ჯერ ნათელი,
ღია ფერებს ხომ ძვირი ფასი აქვს,
ამ ცხოვრებისგან ბევრჯერ გათელილს,
ყველა მიწუნებს მძიმე ხასიათს.
ვინმემ ხომ უნდა ხატოს სხვაგვარად,
ბედი რომ აღარ სწყალობთ იმათთვის,
ქორფა სხეული, გული ჭაღარა,
სვავებს საჯიჯგნად მიტომ მივართვი...
აი ამიტომ ვხატავ ტანჯულებს,
გულში ამიტომ ვირტყამ ამ ხიშტებს,
ჩემში მებრძოლი ვერ მოვარჯულე,
რავქნა თქვენსავით ვერ ვიარტისტე.
ვხატავ მომავალს ხელის კანკალით,
წელში ტყდებიან ჩემი ფუნჯები,
„მერის" მაგივრად მომყავს სხვა ქალი
და ვერც ნიკოს ბედს გადავურჩები.
ვხატავ ოსტატის მოჭრილ მარჯვენას
ჯერაც შერჩენილ ჩემი მარჯვენით,
თუ სატანჯველად მერგო გაჩენა,
ვითმენ, ამქვეყნად ვინ ვართ დამრჩენი...
ღმერთი დახატავს ბოლოს ნახატებს
და ფრთებს შეისხამს ჩემი ოცნება,
ამ სამყაროში ვისაც გახადეს,
იმ სამყაროში შეიმოსება.

16-08-2017. 03: 30

**არდევან ჯახაია**

## დედა მატრონას

არჩენდა და ყველასთვის ზრუნავდა
ავადმყოფებს თვითონ დაეპატრონა,
სნეულებს და მომაკვდავებს კურნავდა
უხუცესი ქალი დედა მატრონა.

## მისი ძალა იყო გასაოცარი

ჯანმრთელს ხდიდა მას, ვინც იყო ცუდ დღეში,
ღმერთმა მისცა მას ძალა და უნარი,
იყო ყველას იმედი და ნუგეში,
ნუკრი იყო, ვაჟა, ანდა გურამი.

## წმინდა მამა გაბრიელი

დაილოცოს საქართველოს
მშვენიერი ტყე და ველი,
ხალხს მკურნალობს ხალხს მფარველობს
წმინდა მამა გაბრიელი,
წმინდა ბერი გაბრიელი.

## 25 მაისი

***დიდ ჯვართ ამაღლება, იესო ქრისტესი***

ხან ბობოქრობს მდინარე
ხან კი იწყებს კლებასა,
დიდება დღეს დღევანდელს,
დიდ ჯვართ ამაღლებასა.
დიდ ჯვართ ამაღლებასა.

## საღვთო ლექსები

მჯერა და მწამს ქრისტე ღმერთის
როგორც ყველას მშობელი,
წმინდანები პეტრე–პავლე,
ლუკა მახარობელი

წმინდა გიორგის პატივსა ვცემთ,
როგორც ხალხის მფარველი,
მათე თომა იოანე
ქრისტეს ნათლისმცემელი.

ბევრი იყო წმინდანები
გიორგი თუ მცხეთელი,
წმინდა ნინო და ბარბარე
წმინდა აბო თბილელი.

ქრისტე ღმერთი წმინდანებო,
ცათა აგელოზებო,
თქვენი მუდამ ვართ მორჩილნი
გიმღერთ ლამაზმანებო,
მჯერა ისე როგორც მზისა

იესო ქრისტე ღმერთისა
ღმერთის მშობელი მარიამი,
წმინდა ნიკოლოზისა.
ქრისტიანი წმინდანები
ღმერთო, შენ შემაყვარე,
წმინდა გიორგი, წმინდა ნინო
დიდ–მოწამე ბარბარე.

დიდი მამა იუსტე
და კლიენტი მთავარი,
წმინდა ნინო და ბარბარე,
წმინდა მეფე თამარი.

ქრისტე ღმერთო გევედრებით
ანთებული სანთლებით,
დაგვაბრუნეთ აფხაზეთში
გთხოვთ და გემუდარებით.
გთხოვთ და გემუდარებით.
ამინ, ამინ!



ნუკრი ლობჟანიძე

## მხატვარი

სულ მარტო-მარტოდ
გამოკეტილ მყუდრო ოთახში,
ებრძვის და ებრძვის საუკუნის დაუღლელ წყვდიადს...
მაინც რაღაცის იმედი აქვს, იმედი ხვალის
და ათასგვარი ფანტაზიით სახავს ქვეყანას...
მისთვის ფუნჯი და ტილო არის
მთელი სიცოცხლე,
სიკვდილის ჟინი უნდა მაინც
ჩაახშოს ფანქრით...
და ეს ქვეყანა დღეს სხვაგვარი
და ხვალ სხვაგვარი რამაა მისთვის,
რომელსაც იგი ყოველ წამში
ფერს და სვლას უცვლის...

***

შენ მოდიოდი
გაზაფხულის სურნელით მთვრალი,
მოგდევდა ფიქრი,
ყვავილები გეყარა თმაში...
იყო ლამაზი გაზაფხულის ყვავილთა თოვა,
შენ მოდიოდი,
სიმღერების მოგდევდა გროვა,
მე მხოლოდ ზღაპარს მივამსგავსე
ყოველი მაშინ...
შენ მოდიოდი,
ყვავილები გეყარა თმაში...

## წვიმა, შენ და ყაყაჩო

ჩამოიცალა წვიმა ნელი-ნელ,
შენც აღარ ჩანხარ ჩემო ვარსკვლავო;
ღამის სიბნელეს შეჩვენებული,
ვხედავ წვიმაში ტირის ყაყაჩო...
ძილიც არ მინდა შენგან დანარბევს,
ბრძოლის ქარცეცხლი უფრო მწვავდება,
მაგრამ უშენოდ ბრძოლა განვლილი,
როგორ შევხვდები ამ გათენებას.
ჩემი ოცნების პატარა კედელს,
უნდა შენც ედგე უფლის ხატივით;
მეც შენთან ერთად უნდა ვიომო,
არ მავიწყდება შენი პატივი...
ყაყაჩო გარეთ კი ისევ ტირის,
ღამის სიჩუმე სადღაც მეძახის,
ძილგატეხილი რამდენი ფიქრით,
ჩუმად შევდივარ სიზმრის ფერადში...

***

ვნებდები ღამეს,
მე მივდივარ შენ გტოვებ მარტო
და თვალებს შენსას
განშორების სინანულს ვატყობ...
ვაზაში ლამაზ სირინოზებს
დაუდევთ თავი,
მე კი მივდივარ,
მარტოობის ტკივილით მთვრალი...
ღამე კუპრისფერ სამოსელში
წამიყვანს სადღაც,
ვნებდები ღამეს,
ის სიზმარი ახდება ცხადად...
შენ რჩები მარტო
და არ ჯავრობ გატეხილ ღამეს,
შენ რჩები მარტო,
განშორების ცრემლებით სავსე...

## პაპის საფლავთან

ჩემი ხევი თუ ისევე ლამაზია,
ჩემი წყარო თუ ისევე მოდის ცივი,
ამიხსენი, ამიხსენი არ მცალია,
მეუბნევი ხოლმე ახლაც თითქოს ძილში...
ჩემი ტყე და ჩემი ველი ისევ ცოცხლობს?!
ჩემი სუნთქვა აქ დარჩაო ძალზე ბევრი;
ეზო ჩემი შამბნარმა თუ დაფარაო,
შენ ხმა კი სამარიდან ისევ მესმის...
დაისვენე, დაისვენე რა გაშინებს?
ისევ მხნედ ვართ ასულნი და შენი ძენიც...

## ქვა და თავისუფლება

ათასი წლები, გაუვალი საუკუნენი,
ბნელი, წყვდიადი დადიოდა ჩუმად მუხლებით...
შენ ქვავ ჩუქურთმად რა ხელებმა გადაგაქცია,
თავისუფლება ვინ გაღირსა, დასამალია?!
შენს ჩუქურთმაზე რამდენ სანთელს თავი დაუდევს,
ქვა საუკუნე, ქვა სიცოცხლე და ქვა საუნჯე...
ხავსი ხელებით სათითაოდ ვინ აგაცალა,
ქვა, ქვა უბრალო ვინ გაგხადა დასადაფნავად!
ათასი წლები, კიდევ მეტიც ათიათასი,
ქვამ ნირუცვლელმა საუკუნო ჰპოვე საფლავი...

***

თოვდა...
ბუხართან პაპა იჯდა ზღაპარს ყვებოდა
და სითეთრეში ყველაფერი იძირებოდა...
თოვდა, ყოველი მე მეგონა ცხადი სიხმარი,
ბავშვობა მუდამ დარჩებოდა გასაოცარი...
თოვდა...
ბუხარში ცხემლის შეშა ნაცრად ცვიოდა,
მაშინ მე ალბათ, არც მცხელოდა არცა მციოდა...
ახლა ბაბუის ზღაპარს აბა სადღა ვუსმინო,
კიდეც ითოვებს და იქნება თოვა უძირო,
ცხოვრება უფრო მკაცრი ხდება რაც და დრო გადის,
ბაბუის ზღაპარს ვეღარ ვუსმენ,
მე დრო მეძახის...

***

არც მოლოდინი,
დიდიხანი გავიდა ისევ...
შენ გამთენიის ვარდისფერა ითვლიდი ნისლებს...
არც ფიქრი კიდევ,
რა იქნება შემდეგ ან ხვალე,
შენ ყველაფერი საკუთარი თვალებით ნახე...
არც რა ლოდინი,
ისევ ისე გავიდეთ გზაზე...
ვარ დამხობილი?!
არაუშავს აღვდგები მალე!...

## ვაზის ტირილი

სულ ასე ჩუმად რატომ ტირი, რაღა დაკარგე,
შენ თვითონ ხედავ გეფერება ხელი ყოველი,
ალბათ დასტირი თემურ-ლენგის აჩეხილ ზვარებს,
დასტირი იმ დროს რომ გმუსრავდა დამამხობელი...
ქართულმა სულმა საკუთარი შვილივით გზარდა,
რაღა გატირებს, თან ლამაზი ცრემლები გაწვიმს...
ვაზო ლამაზო, ქალწულივით ნაზო და წყნარო,
გშვენის ფოთლებში ჩაკონილი ბრწყინვალე ნამი...

## ფაზისი

აბა სად არის არგონავტები,
ანდა მედეას სასახლე თუ ჩანს;
ზღვა კიდევ კარგი არ დამალულა,
გულს რომ გიკოცნის ფაზისო მუდამ...
ოქროს საწმისი, სადღა დაიმხო?!
პალმის ჩრდილებში დაჯდომაც მიჭირს;
კოლხს კოლხეთური სალამი უნდა,
ქარიც გიამბობს წარსულის ტკივილს...
გარინდებულა წარსული მოწმედ,
აქ ისევ ძველი ფიქრები მღერის,
კოლხთა და ეგრთა ქალაქო დიდო,
დაგბედებია წვიმების თქეში...

## მონატრება

ამ შემოდგომის გადამწვარ ველზე მოთოვა წუხელ
და მონატრება მოიტანა სევდიან გულზე...
ცხოვრების მძიმე ანბანს ჰყვება ეს თოვლის ღამე.
ვაჰ, რა შორსა ხარ და უნდეხარ ამ დაღლილ თვალებს...
გულს მონატრება დარდად ექცა რამდენი რამის,
არ გაამხილო თუ მარტო ხარ, შენთან ვარ ველში...

***

თვალებს საკუთარს ვერ ვცნობ ხანდახან,
ხან სევდით, ხანაც სავსეს ნათელით,
ვწუხვარ, რომ მტერმა ბევრი წაგვართვა,
მიხარის, ისევ დგას ალავერდი!...

***

ცა სველი არის და ღამე ტირის
რაღაც ტკივილი აწამებს ტირიფს...
ცა იდუმალი ფიქრებით სავსე,
რაღაც უცნაურ სიმღერას ბადებს.
და შემოდგომის გაძარცვულ ახოს,
ვესათუთები, შენ არ ხარ ახლოს!...

***

მარტი, ქარი და წვიმების თქეში,
რაღაც უცნაურს ჰგავს დღესასწაულს...
შენ გელოდები უნდა მოხვიდე,
რომ ამაცილო ამ აურზაურს...
ცხოვრების მრუმე დრამაში ვდგავარ,
წვიმების თქეში მაგიჟებს ასე...
შენ ალბათ ახლა მშვიდად დადიხარ
და წვიმა ჩუმად გისველებს ბაგეს!
შენ ანგელოზად გიწამე დღემდე,
ჩუმად დავხურე ცხრავივე კარი,
მარტი ისეთად გაგიჟდა მგონი,
ლამის წვიმაში დაიხრჩოს თავი...
შენ გელოდები უნდა მოხვიდე,
თორემ დამფარავს სულ მალე ხავსი...

## მონატრება

ამ შემოდგომის გადამწვარ ველზე მოთოვა წუხელ
და მონატრება მოიტანა სევდიან გულზე...
ცხოვრების მძიმე ანბანს ჰყვება ეს თოვლის ღამე.
ვაჰ, რა შორსა ხარ და უნდეხარ ამ დაღლილ თვალებს...
გულს მონატრება დარდად ექცა რამდენი რამის,
არ გაამხილო თუ მარტო ხარ, შენთან ვარ ვალში...

## ვაზის ტირილი

სულ ასე ჩუმად რატომ ტირი, რაღა დაკარგე,
შენ თვითონ ხედავ გეფერება ხელი ყოველი,
ალბათ დასტირი თემურ-ლენგის აჩეხილ ზვარებს,
დასტირი იმ დროს რომ გმუსრავდა დამამხობელი...
ქართულმა სულმა საკუთარი შვილივით გზარდა,
რაღა გატირებს, თან ლამაზი ცრემლები გაწვიმს...
ვაზო ლამაზო, ქალწულივით ნაზო და წყნარო,
გშვენის ფოთლებში ჩაკონილი ბრწყინვალე ნამი...

## მხატვარი

სულ მარტო-მარტოდ
ვამოკეტილ მყუდრო ოთახში,
ებრძვის და ებრძვის საუკუნის დაუღლელ წყვდიადს...
მაინც რაღაცის იმედი აქვს, იმედი ხვალის
და ათასგვარი ფანტაზიით სახავს ქვეყანას...
მისთვის ფუნჯი და ტილო არის
მთელი სიცოცხლე,
სიკვდილის ჟინი უნდა მაინც
ჩაახშოს ფანქრით...
და ეს ქვეყანა დღეს სხვაგვარი
და ხვალ სხვაგვარი რამაა მისთვის,
რომელსაც იგი ყოველ წამში
ფერს და სვლას უცვლის...

## ქვა და თავისუფლება

ათასი წლები, გაუვალი საუკუნენი,
ბნელი, წყვდიადი დადიოდა ჩუმად მუხლებით...
შენ ქვავ ჩუქურთმად რა ხელებმა გადაგაქცია,
თავისუფლება ვინ გაღირსა, დასამალია?!
შენს ჩუქურთმაზე რამდენ სანთელს თავი დაუდევს,
ქვა საუკუნე, ქვა სიცოცხლე და ქვა საუნჯე...
ხავსი ხელებით სათითაოდ ვინ აგაცალა,
ქვა, ქვა უბრალო ვინ გაგხადა დასადაფნავად!
ათასი წლები, კიდევ მეტიც ათიათასი,
ქვა ნირუცვლელმა საუკუნო ჰპოვე საფლავი...

***

თოვდა...
ბუხართან პაპა იჯდა ზღაპარს ყვებოდა
და სითეთრეში ყველაფერი იძირებოდა...
თოვდა, ყოველი მე მეგონა ცხადი სიხმარი,
ბავშვობა მუდამ დარჩებოდა გასაოცარი...
თოვდა...
ბუხარში ცხემლის შეშა ნაცრად ცვიოდა,
მაშინ მე ალბათ არც მცხელოდა არცა მციოდა...
ახლა ბაბუის ზღაპარს აბა სადღა ვუსმინო,
კიდეც ითოვებს და იქნება თოვა უძირო
ცხოვრება უფრო მკაცრი ხდება რაც და დრო გადის,
ბაბუის ზღაპარს ვეღარ ვუსმენ,
მე დრო მეძახის...

## წვიმა, შენ და ყაყაჩო

ჩამოიცალა წვიმა ნელი-ნელ,
შენც აღარ ჩანხარ ჩემო ვარსკვლავო;
ღამის სიბნელეს შეჩვენებული,
ვხედავ წვიმაში ტირის ყაყაჩო...
ძილიც არ მინდა შენგან დანარჩენებს,
ბრძოლის ქარცეცხლი უფრო მწვავდება,
მაგრამ უშენოდ ბრძოლა განვლილი,
როგორ შევხვდები ამ გათენებას.

ჩემი ოცნების პატარა კედელს,
უნდა შენც ედგე უფლის ხატივით;
მეც შენთან ერთად უნდა ვიომო,
არ მავიწყდება შენი პატივი...
ყაყაჩო გარეთ კი ისევ ტირის,
ღამის სიჩუმე სადღაც მეძახის,
ძილგატეხილი რამდენი ფიქრით,
ჩუმად შევდივარ სიზმრის ფერადში...

## პაპის საფლავთან

ჩემი ხევი თუ ისევე ლამაზია,
ჩემი წყარო თუ ისევე მოდის ცივი,
ამიხსენი, ამიხსენი არ მცალია,
მეუბნევი ხოლმე ახლაც თითქოს ძილში...
ჩემი ტყე და ჩემი ველი ისევ ცოცხლობს?!
ჩემი სუნთქვა აქ დარჩაო ძალზე ბევრი;
ეზო ჩემი შამბნარმა თუ დაფარაო,
შენ ხმა კი სამარიდან ისევ მესმის...
დაისვენე, დაისვენე რა გაშინებს?
ისევ მხნედ ვართ ასული და შენი ძენიც...

***

შენ მოდიოდი
გაზაფხულის სურნელით მთვრალი,
მოგდევდა ფიქრი,
ყვავილები გეყარა თმაში...
იყო ლამაზი გაზაფხულის ყვავილთა თოვა,
შენ მოდიოდი,
სიმღერების მოგდევდა გროვა,
მე მხოლოდ ზღაპარს მივამსგავსე
ყოველი მაშინ...
შენ მოდიოდი,
ყვავილები გეყარა თმაში...

***

ვნებდები ღამეს,
მე მივდივარ შენ გტოვებ მარტო
და თვალებს შენსას
განშორების სინანულს ვატყობ...
ვაზაში ლამაზ სირინოზებს
დაუდევსთ თავი,

მე კი მივდივარ,
მარტოობის ტკივილით მთვრალი...
ღამე კუპრისფერ სამოსელში
წამიყვანს სადღაც,
ვნებდები ღამეს,

ის სიზმარი ახდება ცხადად...
შენ რჩები მარტო
და არ ჯავრობ გატეხილ ღამეს,
შენ რჩები მარტო,
განშორების ცრემლებით სავსე...

***

არც მოლოდინი,
დიდიხანი გავიდა ისევ...
შენ გამთენიის ვარდისფერად ითვლიდი
ნისლებს...

არც ფიქრი კიდევ,
რა იქნება შემდეგ ან ხვალე,
შენ ყველაფერი საკუთარი თვალებით
ნახე...

არც რა ლოდინი,
ისევ ისე გავიდეთ გზაზე...
ვარ დამხობილი?!
არაუშავს ავდგები მალე!...

## ფაზისი

აბა სად არის არგონავტები,
ანდა მედიას სასახლე თუ ჩანს;
ზღვა კიდევ კარგი არ დამალულა,
გულს რომ გიკოცნის ფაზისო მუდამ...
ოქროს საწმისი, სადღა დაიმხო?!
პალმის ჩრდილებში დაჯდომაც მიჭირს;

კოლხს კოლხეთური სალამი უნდა,
ქარიც გიამბობს წარსულის ტკივილს...
გარინდებულა წარსული მოწმედ,
აქ ისევ ძველი ფიქრები მღერის,
კოლხთა და ეგრთა ქალაქო დიდო
დაგბედებია წვიმების თქეში...



## ყვირილა

მაღალ მთაში აგიღია სათავე,
ძალა გერჩის, თავს არავის უყადრებ,
გზად მიმავალს გეგებება ჩიხურა,
ძლიერდები, ხმაურს უფრო უმატებ.
ახლო-მახლო დაგინამავს მინდვრები,
ამოსულა ენძელა და გვირილა,
ცელქი რომ ხარ, გიყვარს აურ-ზაური,
ამიტომაც მონათლულხა ყვირილად.

აცოცხლებ და ალამაზებ გარემოს,
მოიმღერი, ბანს გაძლევენ მთები
ჯრუჭულას რომ ჩაიხუტებ სხეულში.
წყნარდები და უფრო ლაღი ხდები.
დამშვიდებულს შენი შენაკადებით,
მოთმინებით გელოდება რიონი,
გულს გაგიხსნის, ჩაგიკრავს, გზას განაგრძობთ
მხიარულად, ლაღად, ვით მაყრიონი.

ლეილა გაფრინდაშვილი

## მონატრება

წარსულ წლების გახსენებამ გამარინდა,
წრფელმა ლოცვამ გზა გამიხსნა
ზეცით, ღმერთთან,
ქრისტესშობის ნათელ ღამეს მიბიძგა და
მონატრებით ჩამახუტა იმერეთთან.
ჩემს წარსულს რომ სიამაყის ძალას მატებს,
გაგიმხელთ და შეგახსენებთ, არის ერთი-
ზრდილობით და სიყვარულით დახუნძლული,
იმერეთი, მშობლიური იმერეთი.
შემოგბედავთ, არ შემრცხვება ხმამაღლა ვთქვა,
ღირსეულთა, მხნეთა შორის კიდევ ერთი,
კულტურით და განათლებით მხარგაშლილი
ჩემი ბავშვობის ოცნების იმერეთი.
ვიხსენებ და თვალთ ნათელი მიელვარებს,
ოდეს სტუმარს მოგვივლენდა დიდი ღმერთი,
მასპინძლობით მთელ წლის სითბოს უბოძებდა
მოსულს, ჩემი საყვარელი იმერეთი.
აღტაცებით დავფრიალებ ფიქრითა ზღვაში,
მიხარია, ძლიერთ შორის არის ერთი,
მოდინახეს“ და აკაკის დედაბოძი,
მშობლიური, ჩემი ზემო იმერეთი.
რა ძალა აქვს სიყვარულის გახსენებას,
ძილს არ ვუხმობ, გავათიე ღამე თეთრად,
მოვიწონე ბევრი, მაგრამ გაგიტყდებით,
ვერაფერი ვერ აღვიქვი იმერეთად.
ქრისტეშობის გაბრწყინებულ,
ნათელ ღამეს,
ფიქრთ აშლილმა მოვინატრე მხოლოდ ერთი,
სისპეტაკით, მორიდებით თავდახრილი,
მომლოდინე, მშობლიური იმერეთი.

## მასწავლებელო

შუაღამეა,რითმები
ჩემს სასთუმალთან სხედან,
თვალწინ ხატივით დამიდექ,
ჩემო მეორე დედავ!
ბაღში როდესაც დამტოვეს
და თვალი მქონდა სველი,
ფაქიზად გამომიწოდე,
მასწავლებელო, ხელი.

ალერსით შემომატარე
ბაღის დარბაზი, ეზო
მერე ტოლებიც გამაცან
ნინო, ნათია, რეზო...
ახლა, 60-ს რომ გადავცდი,
ჭაღარა ჭარბობობს თმაში,
დღეს უფრო ნათლად შევიგრძენ
შენი ამაგის ფასი.

თუ ლექსთა წვიმად ვიღვრები
და პიროვნება მქვია,
ლამპარივით რომ მინათებს
ეს შენი გულის მზეა.
შუაღამეა ბობოქრობს,
დუღს შთაგონების წყარო,
თავდახრით ვდგავარ შენს ჩრდილთან,
მასწავლებელო, ქალო!

## ცრემლი

მუხლმოდრეკით მლოცველმა
ავანთე სანთელი,
სარკმლის ჭუჭრუტანიდან
აირეკლა ნათელი.
მჭიდროდ ჩავებღაუჭე
არ გამისხლტეს ხელიდან,
გრძნობის ამანათები
შერჩენილი ძველიდან.
ალერსით და ამბორით
ფურცელ–ფურცელ გავშალე...

შინაარსიანია,
ვერც ერთი ვერ წავშალე.
უფალს ხმა მივაწვდინე!
დამიბრუნა წარსული,
კაბის კალთას მისველებს
ცრემლი, ზღვარგადასული.
რადგან ჩრდილად დაგლანდე
სახე შენი არ ჩანდა,
ჩვენი უღლის ჭრიალი
ნაადრევად დამთავრდა.

## გლოცავ

ჭერათხევი და ძირულას ნაპირები,
სიცივისგან აბუზული ხეები,
„კლდის სხეულზე მიყინული წყაროს წყალი,
მმოწყენილი, თავდახრილი ტყეები.
იმერელი ხელკოჟრება გლეხი კაცი,
კალათაში გასაყიდი ვაშლი,
თვალვედრებით მომზირალი, სახემნათი,
ნნაპერწკალა, თმახუჭუჭა ბავშვი....

დდგას ამაყად მხრებგაშლილი ნაძვის ტოტი,
შემოსილი მდიდრულად და მწვანედ,
თვალს უსწორებს ალვის ხე და შურს ვერ მალავს,
თელას, მუხას ეღიმებათ მწარედ.
გგაზაფხულის და სამოსის მომლოდინე,
გგულს იმშვიდებს მინდორი და მდელო,
ცა ფირუზი და ჩონგური აწყობილი,
აკაკის დარ – გლოცავ საქართველო!

## გვირილა

მინდორზე გადაღებულა
მწვანეზე თეთრად ბიბინებს,
წყლის ნაპირს დავეხეტები
ვეალერსები გვირილებს.
ბავშვობის ოცნებებში ვარ,
ანცობს მდინარე ყვირილა,
მორცხვად,ღიმილით,თავდახრით
შემომეგება გვირილა.
თეთრი,ლამაზი არშია
ყვითელ გულს უდგას დარაჯად,
დინჯად ზის მწვანე ღეროზე
და იღიმება ხალასად.
დღეს ახალციხეს ვსტუმრობ და
არის ივნისის შაბათი,

ჯავახეთს ვეალერსები
დამცქერის ციხე რაბათი.
ამ გვირილების გროვაში
ვიღვრები ცრემლად,ტირილად
შენ ქველმოქმედიც ყოფილხარ
ჩემო კოპწია გვირილა.
თურმე სიცოცხლეს წირავდი
სნეულთა გადასარჩენად,
მუხლს გიდრეკ, ამბორს გიგზავნი
ღმერთმა გიცოცხლოს მარჯვენა!
გვირილობაა, შევგროვდეთ
სნეულთა ვიყოთ მკურნალი,
სული ჯანსაღი გვქონოდეს,
ღიმილი გაუხუნარი.



**ლეილა ვადაჭკორია**

## დედა

ვისი სხივია გზას რომ გინათებს
თავზე რომ გადგას რწმენის გვირგვინად,
ვინ არის მუდამ სიმშვიდეს რომ გრგვის
მეხმა უეცრად თუ დაიგრგვინა.
გადაგატარებს ღრუბლის მთა–გორებს
შენთვის სალ კლდესაც შეეჩეხება,
ეს დედა არის შენთვის მლოცველი
ღვთისმშობლის კალთას როცა ემთხვევა.

## ჩემო საბუდარავ

რა ვიცი და იქნებ
კი შემესხას ფრთები,
გადაუფრენ სივრცეს
ფრთების მსუბუქ ქნევით.
დარიალს და შატილს
თეთნულდსა და შხარას
სულის მოსათქმელად
იალბუზზე ავალ.
ყველას ვინახულებ
არ დავტოვებ კუთხეს,
ყველგან პაწაწინას
ავიშენებ ბუდეს.
თივა ბლომადა მაქვს
ბუმბულ ქვეშაგებლად,
ღმერთო ... ვარსკვლავებთან
ღამის თევაც მნებავს.
უფლის ნებით ჩემთვის
მოზომილო რკალად,
ჩემო საბუდარავ
შენგან შორს ვერ წავალ.

## ედემი

გამოაცოცხლე ეზო ყურე
ახალ ელფერით
დარგე ხეები ყვავილებსაც
უჩინე კუთხე,
შენი მარჯვენით სანუკვარი
შექმენ ედემი,
მოფრინდნენ ჩიტნი შენს ხეებზე
დაიდეს ბუდე.

ისმის ჭიკჭიკი და გალობა
ნაირნაირი
უსმენ და ტკბები, სამოთხეში
გგონია თავი,
შენი სახელი სამუდამოდ
შერჩება ამ ბაღს
გაიმეორებს მერამდენედ
სურნელით მთვრალი.

გაღიმებული, აღტაცებულ
სახის იერით,
ჩაივლის მგზავრი, ფეხის წვერზე
დგება მავანი,
წლები გავიდა, მაგრამ ბაღის
მაღალ მესრიდან
ისევ ამაყად იცქირება
იასამანი.

## ცის კაბადონი

დადგა ზამთარი, იმატა ღამემ
ფიქრების ზვავმა წამლეკოს ღამის,
ის რაც ზაფხულში ვლამბე ოცნებით
დავაგვირისტებ ზამთარში ღამით.
ზამთარში კიდევ უფრო მძაფრდება
ცხელი ზაფხულის ფოლიანტები,
ვალაგებ სკივრს და თითოეულ პინწვალს
ვახვევ ფიფქების კორიანტელში.
ფერადი ძაფით აუშვებ მაღლა,
აუშვებ მაღლა საფრენად ცაში,
ვერ შეეხება მსახვრალის ხელი
დაბინავებულს ცის კიდობანში.

## ცხოვრება

ჭექა-ქუხილო შენ შემძარი
და დამინგრიე,
სრული სიმშვიდე მიღწეული
თვითგვემის ფასად
და გაწუწული ბედურების
ბედით შემზარე,
ძაღლის წკმუტუნით რომ მიხმობდა
საშველად კართან.
შენ დამაფიქრე ქვეყანაზე
რომ ვიშვი მადლით,
რომ ვცოცხლობ ისევ და ცხოვრება
ჩემი ვალია,
რომ ეს ცრემლები, ეს წუხილიც
და სიხარულიც
სიყვარულის ღმერთის ჩემს გულზე რომ
დაუქარგია.

## ამ კაცს უყვარს საქართველო

ვაზს დაუსო კაცმა ჭიგო
ულვაშს უთვლის ღერა-ღერა,
უალერსებს როგორც პირმშოს
და ღიღინებს ოროველას.
ყანას მარგლის, ეზო-ბაღი
ყვავის, როგორც ედემია,
მისი შრომით, მისი გარჯით
კალია ვერ შესევია.
თავს არ გაწყენს ცრუ ყბედობით
მისთვის წყნარად დაგურგულობს
და გვასწავლის შვილნო ჩვენო
მამულს როგორც უერთგულოთ.
სამშობლოსთვის თავს გასწირავს
მტერმა რომ არ გადათელოს,
მწყემსიც არის მშენებელიც
ამ კაცს უყვარს საქართველო.

## თუკი...

არ მიკვირს დღემდე
თუ ვერ შემნიშნე,
განა ყველანი ვხედავთ
აჩრდილებს,
შენი მუდმივი
თანამგზავრი ვარ
და ახლაც ვითვლი
შენს მკრთალ ნაბიჯებს.
რა ბედნიერი ვიქნები თუკი ,
ჩემს გულზე აღარ
გადააბიჯებ.

## ჩემს საუფლოსკენ

მზის სხივებს მოვდევ ჩემს საუფლოსკენ
ვერ შემაშინებ შენი მუქარით,
ლაბირინთების ვიწრო ხვეულებს
გამაკვლევინებს ვიცი უფალი.
მიჩვეული ვარ ზეცის ლაჟვარდებს
როგორც მიწაზე ხვნას, ანეულებს,
მზემ გამიკაჟა ისე ნერვები
ღრუბელო ვეღარ მანერვიულებ.
მე ქარაშოტმა დამაფრთიანა
და ჩემი ჯიშიც ფრთებშესხმულია,
უნდა წავშალო სამშობლოს ცაზე
ავი ზმანების ჩრდილი სრულიად.

## უთქმელად

შენ დუმხარ თუმცა,
შენს თვალებში ვკითხულობ
ნაღველს,
მე სულ შენთან ვარ,
არც არასდროს დაგტოვებ
მარტო,
შენდა უთქმელად გადავივლი
ცხრა მთას,
ცხრა კლიტულს
და აგისრულებ შენ რომ ასე
მდუმარედ ნატრობ.

## მრევლის სავანე

დადუმებულა შენი სამრეკლო
ხემ გაიხარა ნაოხვრალ მკერდზე,
არ დაგიყრია მაინც ფარ-ხმალი
და მაინც ლოცვით მოსულხარ დღემდე.
ლოცვებით სძლიე ეშმაკის მოდგმას
ფრთები დაკეცა ურვთომ ცდუნების,
ახლა განათებს წმინდა სანთლები
ღვთის სიყვარულით და ერთგულებით.
ნახე მტრედები დაფრენენ ლაღად
მზის სხივი ბზის ტოტს ეალერსება,
ყვავილებსა შლის იასამანი
და სიხარულით გული გევსება.



**იზა ჭიკაიძე**

## ცოტა რამე გამაგებინეთ

წლებს დავუმსხვრიე საოცნებო გულის კარები,
ჟამებს წავართვი სანეტარო ფიქრები მზეთა,
დღეებს დავტყუე მშვენიერი ღამის სიზმარი
და სახვალიო გაცისკრებას ბნელეთშიც ვხედავ!
მაგრამ, ზოგიერთს სხვებისათვის სული ეშურვის,
კარგისთვის ბრმაა, ბოღმით ურევს ცოდვებს და მადლებს,
ერთი სიტყვითაც არ ულამპრებს ცოცხალ კაცს სიტყვას,
ნეკროლოგებში უკვდავების სახელებს არქმევს!
შერქმეულ ხმებით, ხან უაზრო გუნდრუკის კმევით
ვერ მოვიცილეთ საწუთროში რისხვის ფერები,
სიჩქარის წამზე დახვეული შურით, ბოროტით
მოგულძვირესაც სიყვარულით ვერ ვეფერებით!
თითქოს გაჭირდა!! . . დამეხმარეთ დროის რჩევაში
და საამქვეყნო ცოტა რამე გამაგებინეთ . . .
ღვთიური ნებით ვიდრე წავალ იმა ქვეყანას,
დედამიწაზე ვინმემ ფეხი დამადგმევინეთ!

## ლევან ქვანიას

ნახევრად დედაშენი ვარ, ნახევრად – კარგი ძმაიო,
მეორე შვილად მოგნათლე, გაგიღე გულის კარიო!
შენც შეიფერე შვილობა, დამიდევ მტკიცე ზღვარიო,
უფრო მაღლდები საღირსოდ, რაც გადის დრო და ხანიო!
ღმერთმა დიდებას გაწიოს, გქონდეს გრძელ ჟამთა ყანაო,
გამრავლოს! ათ შვილს უქარგე „საქართველო“ და „ნანაო“,
მანამდე, ლევან, უფალმა მეც არსად წამიყვანაო . . .
ყველა ქართველმა გაზარდოს შვილები, შენისთანაო!

## მოგიკვდი, ჩემო

კვლავ ქლიავისფერს ავედევნე ჩუმად შარაგზას
და უნაბისფერს დავესესხე დღეებს, ფერები,
დედავ მშობელო, ზოგჯერ შვილო, უფრო დიადო,
მოგიკვდი, ჩემო, შესაფერად ვერ გეფერები!
არარაობა როცა მჩაგრავს გულზე ბრჭყალებით,
მე გენიოსი შოთას მამულს ვეთაყვანები!
აბიბოსს, დავითს, იოანეს, სტეფანე ხირსელს,
ცხრა ძმა კოლაელს,    ქრისტეს შვილებს ვენაცვალები!
ხან აბოს ჯვარზე მინდა ლოცვა, ხანაც – ხანძთელთა,
ბაგრატიონთა – მრავალგვარი საქმის ღირსებით,
თევდორე მღვდელი გზას აუბნევს უმწეო რითმებს
და არჩილ მეფის დამამშვიდებს გლეხზე ფიქრები . . .
აქეთ, ილიას და აკაკის ჩანგის ჟღერაში
ვაჟას ალუდას დაათენდა ქისტის მზერაში,
ეჯიბრებიან არწივები რითმით ფრენაში,
რა დააბერებს საქართველოს მართვეთ ლხენაში!
დამერანობენ ტატოს ირგვლივ ლურჯა ცხენები,
გალაკტიონი, მერის ნაცვლად ანას უღიმის
და სადღეისო პოეტებზე შემრჩა წუხილი . . .
ვაგლახო, ჩემო მუზის დღეო, წარსულს მივტირი . . .
თქვენ, ჰე, ჩალაბავ, ტარიელ და სათნო მაყვალა,
ემაგ აზრებით, სადეკემბრო მიწაც გამთბარა,
ყრმანო და ძმანო, საგულწრფელო სიტყვის პატრონო,
თავატკიებულ ჩვენს სამშობლოს ცოტა ვადროვოთ,
რადგანაც, თუ არ დავამშვიდეთ ზღვა და მინდორი,
აგვიტალახდა ფიქრის გორა ათას კავშირით,
ენას და რწმენას, თავისუფალ ერის ღირსებას
ქართველი კაცი, არაფერზე, არსად არ ჰყიდის!
ბრუნავს ბორბალი პოლიტიკის, თუმცა ჭრიალებს . . .
ამ ჩემს მამულში ზოგი ბამბა კაკლად ჩხრიალებს,
მაგრამ ფესვებზე, ქორფა ყლორტის სუნი ტრიალებს
და გამარჯვების ქართული მზე კვლავ იბრიალებს!
დღეს, ქლიავისფერს ავედევნე ჩუმად, შარაგზას
და უნაბისფერს დავესესხე დღეებს ფერები,
დედავ მშობელო, ზოგჯერ შვილო, მასზე დიადო!!
მოგიკვდი, ჩემო, საკადრისად ვერ გეფერები . . .

## გაზრდა თუ გინდა

უწიგნურს წიგნს ნუ აჩუქებ,
უღმერთოს — ხატს და სანთელსა,
თავხედს გაგიხდის საწყევარს,
მზეს დაგიბნელებს ნათელსა.
შეგრაცხავს დედის გინებით
და თავის სახელს დაგარქმევს,
პასუხს თუ გასცემ საღირსოს,
უფრო უარესს გაკადრებს.
უტვინო კაცი, გონიერს
რომ ვერ მისწვდება გონითა,
თავს ესხმის, კბილსაც გამოჰკრავს
ბილწი ენით და ჭორითა.
ჭკვიანი, თავის სიმდაბლით
ვითომ ვერ უგებს ზრახვასა . . .
მატლივით ცოცავს უგონო,
ედება ალთა—ბალთასა!
მდაბალი, თავისზე კარგებს
მუდამ ჩრდილებში მალავსო.
გაზრდა თუ გინდა, გახსოვდეს,
ემოყვრე შენზე მაღალსო! !

## ეს არის ქართველი

ლხინსაც და ჭირსაც უსაზღვრობით ვიხატავთ გულზე,
ქართლოსიანთა მამა—პაპის გვკარნახობს გენი,
შიმშილს ავირჩევთ, სტუმრისათვის ვალებს დავიდებთ,
თარგამოსების ფესვის ღერი, — ეს არს ქართველი!
შიშველს შევმოსავთ ღარიბული ჩვენივ სამოსით,
მოღალატისთვის ერთგულების ძალით ვნეტარობთ,
ჭირსაც სიმღერით დავიმგლოვებთ, ლხინს ცას შევაწვდენთ,
ეს არს ქართველი, არავისში არ შეგეშალოთ!
გადაბრუნებულ სიტყვას არვის ვაწევთ არასდროს,
გადამთიელს რომ ავქართულით თავი ეწყალოს,
შურს სიყვარული ამათრახებს, ავს კარგით წავშლით,
ეს არს ქართველი, არავისში არ შეგეშალოთ!
მუმლი მუხებს რომ ესეოდა, ჩაკრულოს ბანზე
მზე სხივოსნობდა, — გაფრინდიო, შავო მერცხალო!
არწივი ფრენდა! გმირი ბჭობდა ალესილ ჰანგზე, —
ქართველი ვარო, სხვა ვინმეში არ შეგეშალოთ!
სიცოცხლე გვატკბობს მამულის და უფლის საზღაურ, —
სრულად სამყაროს ვუმეორებთ არა ერთგანო,
ღმერთით კურთხეულ მიწას ყველა ზედ დავაკვდებით!
ეს არს ქართველი, არავისში არ შეგეშალოთ!

## ჩრდილიდან სამზეოში

ღმერთო, ორბის თვალი მომეც
და მუხლები — რუხი მგლისა,
სიძლიერე ლომის მინდა,
გული — ხევსურთ არწივისა!
ბედნიერმა და გულსავსემ
ლელო ყველგან გავიტანო,
შენი ჯვარი, გოლგოთაზე
ნეტარებით ავიტანო!

ძალა მომეც ისეთი, რომ
არასოდეს დავიღალო,
უჩინარი ჩრდილებიდან
სამზეოში გამიყვანო!!
ისერიგად გამახაროთ,
მამულო და ჩემო შვილო,
რომ არავინ და, არასდროს,
არაფერი დავიჩივლოთ!

## სამ მზის ნათლის ბრწყინვალებავ

*(გულნაზ ხარაიშვილს)*

სამ მზის ნათლის ბრწყინვალებავ,
უფალო და სამებაო,
სიყვარულის ძიებაში
გული რწმენით ამებნაო
ქალი ვნახე ქალოსანი,
სიტყვა–კაზმულ–ფერიაო,
ერთგულებით და სინაზით
ჩემი შესაფერიაო,

მდაბალი და ნათელგონი,
სიტყვა მახვილ მჭრელიაო,
ვითარ დედა, და, მამული,
ჩემი მოსაფერიაო...
სამ მზის ნათლის ბრწყინვალებავ,
უფალო და სამებაო,
სამადლობელ რითმის პირზე
გული რწმენით ამებნაო!..



**დათო ყანდაშვილი**

## უხილავი ვულკანი

როცა ვიღაცის სიყვარულით გული ბრუვდება
ჩემი სამყაროს დიადი ნგრევა იწყება მაშინ,
ხდება რაღაცის უცნაური არ დაბრუნება,
სამაგიეროდ ხელახლა ვხდები პატარა ბავშვი.
შიგნით რაღაცა აფეთქდება აყვავილდება,
ირგვლივ ყველაფერს ლავასავით დასწვავს და დაღვრის
და ვიდრე იგი არ ჩაცხრება, არ გაცივდება,
ვერ დავასვენებ ვერც ერთ უჯრედს ცეცხლისგან დაღლილს.
ჩემი ცხოვრება თავად არის ვულკანთა ფრქვევა,
ჩემი ცხოვრება თავად არის მეხთა ქუხილი,
როგორც მოვედი უცნაური, ასევე წავალ,
არ გეკადრება დამიჯერე, დათო, წუხილი.
მხოლოდ სულელებს უხარიათ თავის წამება,
ამით ჰგონიათ ვინმეს რამის აძლევენ ხალისს,
არ შეიძლება შენთვის ამის კეთება, არა,
შენ ვისაც გინდა იყო ღვთისა და იყო ხალხის.

## სიყვარული

თუ რაღაცისთვის, ვიღაცისთვის აღარა კვდები,
თუუ სიგიჟეებს მოულოდნელს აღარ სჩადიხარ,
თუ რაც იქნება წინასწარ გრძნობ, წინასწარ ხვდები,
მაშინ დიდ, გიჟურ სიყვარულში ველარ ვარგიხარ.
თუ ყველაფერს რაც მოხდება წინასწარ გეგმავ,
თუ არ გწყურია იმის ნახვა, რაც დღეს არ იცი,
თუ შენს გულში ზომიერი სიხარულია,
მაშინ ეგ გული დიდ სიყვარულს ველარ განიცდის.
თუ არ გესმის მზის სხივებში ჩუმი ღიღინი,
თუ ველარ გრძნობ გაზაფხულზე წვიმის ფერებას,
თუ აღარ გსურს ნიავის თითებს მიანდო თავი,
მკვდარი ხარ, მკვდარი, აღარაფერი არ გეშველება.

## ***Обязательное условие***

Коль маленькое что-то уловил,
Не убегай открыть тому дорогу.
Да, может этим всех бы удивил,
Но этим самым послужил льбы Богу?!

## ***Для соблюдения правил игры жизни***

Какую власть дала тебе судьба
Будь честен и предельно верен ей,
Всегда держи открытыми глаза,
Чтоб в них жестокость не открылоб дверь.

## ლამაზი სევდა

რატომ ვწერ? არ ვიცი, რაღაცა მაწვება,
შიგნით არ ეტევა, ვერაფრით თავდება.
ვზივარ და ღამდება, ნერვები მაწყდება,
მაგრამ როცა ვწერ, ხელახლა ნათდება.

რატომ ვწერ? აქ მაინც მას ვიტყვი,
რაც გულში ყვირის და გამოთქმა სწყურია,
დღეს ხომ ამისათვის არავინ არ იცლის,
დღეს ფული სურს ყველას, ლექსი კი, სულია.

რატომ არ დავწერო ის ხომ იწერება,
ის ხომ იკითხება, ის ხომ იმღერება,
კაცი თუ არ მღერის, ქალი თუ არ ცეკვავს,
ბავშვი თუ არ ხატავს, სიცოცხლე გბეზრდება.

ის, რასაც ვაკეთებ გულით თუნდაც უნიჭოდ,
ის, რასაც გავჯლაბნი ოქროზე მეტია,
ის სიყვარულს აჩენს ლამაზს და უბიწოს,
ის ჩემი სევდაა, ის ჩემი ბედია.

რატომ არა ვცდილობთ ვიყოთ ფაქიზები,
როცა გვეტირება ცრემლი გამოვუშვათ,
გავხდით თხუნელები, ვიყავით არწივები,
თხუნელა მიწას სთხრის, არწივი დაფრინავს.

ვინც არ დაფრინავს ის ვერ გამიგებს,
მე კი, მსურს იქ მოვკვდე, ფრენა რომ მორჩება.

## განცდების წისქვილი

მოძველებული ზღაპრის დუდუნში
დრო უსასრულო ცვარად იღვრება,
თუ მომეძალა ვინმეს წყურვილი
ვიცი, რომ მაინც ფუჭი იქნება.
ხმალამოწვდილი მეომარივით
მაინც არ ვდრკები, არ ვეპუები,
ნეტავ ის მაინც გამაგებინა
ქარის წისქვილს ხომ არ ვეომები.
გადაღლილი და გადაქანცული
სულ ყველგან სულის სიმშვიდეს ველი,
ხანდახან ვამბობ — ალბათ გავძვერი,
ხანდახან ვამბობ — შტერი ვარ, შტერი.
ყველაზე მეტად მყუდრო სიმშვიდეს
ის მინგრევს, რამაც უნდა მამშვიდოს.
თუკი ვიღაცის სიყვარულს ვიტევ,
ვიცი წამება უნდა დაიწყოს.
არა, არაფერს კი არ ვემდური,
უბრალოდ მინდა ტრფობაც, ოცნებაც,
რომ სიყვარულის გიზგიზა ცეცხლი
სულ არ ჩამიქროს ამაოებამ.
თუ არ იქნება არც სიყვარული,
არც მეგობრობა, არც გაზაფხული,
მაშინ რაღაა ჩემი ცხოვრება,
მაშინ რატომ ვარ კაცად სახული.

იმ სისუფთავეს, რაც ჩემს შიგნით ძევს,
თუ ჩემს გულის სწორს ვერ ვუზიარებ,
თუ არ ვითრობი მისი ალერსით,
რიღასთვის ვწვალობ, ვიტან ზიანებს.
სუსტი ყოფილა კაცის ბუნება,
ქალის გარეშე არ შეუძლია,
მე და ჩემნაირ სულელებს, ალბათ,
ეს უბრალო რამ, ვერ შეუგნიათ.
რატომ აღელდა გული, რა უნდა:
კოცნა? ალერსი? სიტყვების ცვენა?
არა, სხვა რამე არის უთქმელი,
მას ვერ გადმოსცემ, ვერა და ვერა.
რას დავუჯერო ახლა არ ვიცი
გულს უნდა წასვლა, ტვინი კი ფრთხილობს,
გული ჯიუტობს: მინდა და წახვალ.
ტვინი კი ამბობს: ვინა ხარ ვინო?
და ამ კამათში მათ შორის მე ვარ,
ხან ერთს შევყურებ, ხანაც მეორეს,
და სადღაც კრთება ტკივილი წამთა,
ოღონდ ის აღარ გამიმეორდეს.
აი, რად არ სურს ტვინს თურმე წასვლა,
რომ ის ტკივილი არ განმეორდეს,
ოღონდ ის აღარ გამიმეორდეს,
ოღონდ ის ააღარ გამიმეორდეს...

## მარადისობა

როგორ გგონიათ სიყვარული სადმე მთავრდება?
სადმე კვდება? სადმე რჩება? სადმე თავდება?
სიყვარულით ყველაფერი ყველგან ნათდება,
ეს ჩვენ ვბნელდებით, ჩვენ ვიცლებით, ვხდებით თავნება.
თორემ დრო, წამი ან საათი ან საუკუნე
რა ბედენაა, როცა შუქი სწვდება უკუნეთს,
ის ხომ არასდროს არაფერზე არა ჰკიდია,
ჩვენზე კი არა, ყველაფერზე უფრო დიდია.
ჩვენ ვიცვლებით და ვიძახით, დრონი მიდიან,
სინამდვილეში ვქრებით, ვჭკნებით, სხვაგან მივდივართ.

იქ, სადაც უკვე ვეღარ ვხედავთ ნათელს უბიწოს
და ვიძახით თითქოს ის დრო იყო უმიზნო.
როცა არ იყო ის დაგეგმილი, რაც იყო წმინდა,
რაც არ ჰგავდა დამახსოვრებულს ხილულს არაფერს,
მსურს დავინახოთ, ვაღიაროთ სწორედ ის ღირდა,
როცა უბრალოდ მზის ამოსვლაც სადღაც აღგაფრენს.
ნუ წავალთ ბნელში, იქ რა გვინდა, იქ ხომ ცუდია,
მოდით, იქ ვიყოთ, სადაც ყოფნა სიყვარულია,
სადაც რაღაცა ან ვიღაცა უფრო ცოტაა,
ვიდრე ის შუქი თვალთამჭრელი ჩვენთვის, მოკვდავთა.

### ***Чего не недо забывать никогда***

Признание надо заслужить
А не насилием дабиваться,
Да, лучше уж никем не быть,
Чем из-за славы убиваться.

### ***Любовь не привычка***

Чтобы в кого нибудь влюбиться,
Лишь стоит по просту вглубиться,
Но если слепо глубоко зайти,
Быть может рабство для себя найти.

**ილია სხირტლაძე**



## სიყვარული მყარი და სათუთი იყო

ილია სხირტლაძემ, როდესაც სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტე დაამთავრა, თავისი ბედი დაუკავშირა მედეა ფურცელაძეს. ქალბატონ-მა მედიკომ დაამთავრა თუ არა ტექნიკური უნივერსიტეტი, სამსახური თბილისში დაიწყო. სხვადასხვა სპეციალობებმა შეყვარებული წყვილი კვირაობით დააცილა ერთმანეთს, მაგრამ მათი ურთიერთობა იმდენად მყარი და სათუთი იყო, ამით არაფერი იცვლებოდა. ქალბატონი მედი-კო შაბათკვირა ჩამოვიდოდა სოფელში, ჩამოყავდა შვილები და პატარა მარინესა და კახას, ბებიისა და ბაბუის სიყვარულს უნერგავდა და უფ-როსებისადმი სიყვარულს ასწავლიდა. ოჯახსაც სისუფთავეს არ აკ-ლებდა. მერე ისევ ბრუნდებოდა თბილისში, სადაც უნდა ემუშავა და შვილები უფრო კარგად აღეზარდა, ასე გრძელდებოდა წლობით სანამ პენსიაში არ გავიდა, მერე კი ქმრის სოფელში, ქარელის რაიონ სოფელ კოდაში დაიდო ბინა. ამ პერიოდში სამაჩაბლოში ომი დღითიდღე მწვავდებოდა, მაგრამ ქალბა-ტონ მედიკოს ერთი დღეც არ დაუტოვია ქმრის ოჯახი. მარინე ამჟამად თბილისის ეროვნული ბიბლიოთეკაში მუშაობს, მთავარ სპეციალისტად. კახამ უმაღლესი დაამთავრა, დაოჯახდა, არაჩ-ვეულებრივი მეუღლე შეირთო და რძალმა (ნინომ) ოჯახს პატარა ნიკუშა აჩუქა. ნიკუშას ისეთი ნიჭი აქვს, გენიოსს ეძახიან.

ომმა და ასაკმაც გატეხა ქალბატონი მედიკო და ოთხმოცდაათი წლის გარდაიცვალა. ვინც ილო სხირტლაძის ლექსის თავსათაურს წაიკითხავს, შეიძლება თავისდაუნებურად გაიფიქროს, ოცდამეერთე საუკუნე არეულობით, ათასნაირი კატაკლიზმებით დაიწყო, ახალგაზრდები იხოცე-ბიან და...

აქ კომენტარს არ გავაკეთებ, იმას კი ალალად ვიტყვი, უყვარდა, ცოლქმარს წმინდა სიყვა-რულით ერთმანეთი, და ტკივილმა და მონატრებამ 80 წელს გადაცილებულ პიროვნებას კალამი აალებინა. ეს მისი პირველი ლექსია.

*რედაქტორი*

## ქალო მზესავით ნათელო

(მედიკო ფურცელაძეს)

ქალო, მზესავით ნათელო,
იარებოდი ლხენითა,
მინდა რომ ლექსი მოგიძღვნა,
ჩემი მარჯვენა ხელითა;
ჩემთვის იყავი ამ ქვეყნად,
ულამაზესი ქალიო,
ისე ლამაზი იყავი,
არ გყავდა ტყუპისცალიო.
სპეციალობის მიხედვით,
მე სოფლად ვიყავ, შენ ქალაქს,
სიბერის ასაკს მივედით,

ჩემო ტკბილ–თაფლო, მზექალავ,
ოთხმოცდაათის წახვედი,
სიბერე შემომაწურე,
შენს ოთახში რომ გავედი,
ცრემლით თვალ–გუბე დავწურე,
მე შენს გარეშე არ მინდა,
სიცოცხლე ერთი წამითაც
მზე ისეც უკვე ჩავიდა,
სიზმრად მსურს გნახო ღამითა.
უფალმა ვიცი მიგიღო,
წმინდად იცავდი ქალობას.

მიყვარდი, მიტომ მოგტირი,
კვლავ შენგან მინდა წყალობა.
ჩემი და შენი მშობლები,
მწამს ტკბილად მოგეფერება
შენს საალერსოდ ძვირფასო,
პოემა დამეწერება
დამტოვე – ბევრი იწვალე,
დაგტრიალებდით ქმარშვილი
ვეცადე, ვეღარ გიშველეთ
და დავრჩით ბუდეაშლილი.

# ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო



იროდი ასანაშვილი

**ო**ცდახუთ დეკემბერს ქრისტე მოევლინა,
**ც**იდან უფლის ნებით მოვიდა იესო,
**დ**აჲრდომილს კურნავდა – ყრუსა და ავადმყოფს,
**ა**მბობდა: ბოროტშიც სიკეთეს მიეგნოს.
**ხ**ალხში სიკეთეს და სიმშვიდეს თესავდა,
**უ**ამრავ სასწაულს ღვთის ნებით ახდენდა,
**თ**ქვენ როგორც ირწმუნებთ, ისე აგიხდებათ,
**ს**ასწაულმოქმედი იესო აღსდგება.
**ა**დამიანი უფლის მადლით ჩნდება,
**დ**ავმდაბლდეთ, ვილოცოთ, ერთურთი ვიწამოთ,
**ე**რმა კურთხეულმა, ღვთისაგან რჩეულმა,
**კ**უთვნილ მიწა-წყალზე სულ უნდა ვიხაროთ.
**ე**რთგული მსახურნი ვიყოთ უფლისათვის,
**მ**არადიული გზა განვვლოთ ჭეშმარიტად,
**ბ**რძნულად, გონივრულად განვჭვრიტოთ ყოველი,
**ე**რთიანად ვიხსნათ თავი ეშმაკისგან.
**რ**ომელნიც მადლიან ბილიკს მიჰყვებიან,
**ს**იმართლე ყველასთვის იყოს ჩირაღდანი,
**ა**დიდეთ უფალი, გზათა გამკვალავი,
**ქ**ართველთა წმიდათა წმიდა მიწა-წყალი.
**რ**ოგორმე გავიტანოთ ამ დიდ გაჭირვებას,
**ი**დიდებს უფალი, ძე ღვთისა, იესო,
**ს**აქართველოს ნათელს ღვთის ძალა მოაფენს,
**ტ**აძარში ვილოცოთ და უფალს მივენდოთ.
**ე**რს მარადიულად ღმერთი დაიფარავს,
**ი**მისი ნათელი გზას მარად გვინათებს,
**შ**ეუპოვარი და მებრძოლი ერი ვართ,
**ვ**ლოცულობთ: უფალო, შვილები გვიმრავლე...
**ა**მ წმინდა მიწაზე დაღვრილ სისხლის წვეთებს...
**ბ**უმბერაზ, ძლიერ სულს შევნატრით, იესო,
**ე**ს იუდეველნი როგორა გდევნიდნენ?
**თ**ვალთაგან ცრემლი გვდის... და შენს გზას მიეგოს!..
**ლ**აჟვარდ ცის ნათებას ზეცისას შევხარით,
**ე**რს უძლიერესი მადლი მოგვაფინე,
**მ**ამა ღმერთის ძე ხარ, ყველას განმგებელი,
**ს**ამყაროს სიკეთის რწმენა მოავლინე.
**ა**მ საოცრებათა დღეები იდიდებს,
**ო**ცნება ზეციდან მარადჟამს იბრწყინებს!..



**ლამზირა შეყილაძე**

## საკუთარ ხსოვნას

მე, ახლა ისევ, გულს მიღრღნის დარდი,
ძარღვებში თითქოს შედედდა სისხლი.
ასე გგონია შორს გადავსახლდი,
იარებს მიხვევს დაჭრილი ფიქრი.
ვიხსენებ მაგრამ არა–რა მახსოვს,
ტანზე მეკრობა სამოსი სველი.
სიმართლის ძებნამ წამართვა სასო...
ფერმკრთალ ღაწვებზე დამაკვდა ცრემლი...
არა–რა დამრჩა დასაკარგავი,
გულიდან მწარე ნაღველი ჟონავს,
წილად მერგუნა ბედი ამგვარი.
ვსვავ გულდაწყვეტით საკუთარ ხსოვნას...
და მომეჩვენა ჩემს სასთუმალთან,
წუხელ მოვიდა იესო! ქრისტე...
მისი ღვთიური შუქი მათოვდა,
გულში ჩამიდგა იმედი ისევ.
სარკმელს მოაწყდა მზე ოქროსთვალა,
შემომაფრქვია თვალთა ციალი.
გულში ჩამიდგა სიცოცხლე ისევ,
ისევ დაიწყო გულმა ფრიალი.
თვალებს ეწვია ცისკრის ვარსკვლავი,
გადამავიწყდა ყველასგან წყენა...
კვლავ აბრიალდა გულში ხანძარი,
კვლავ აბობოქრდა სიცოცხლის რწმენა.
დიდება შენდა ღმერთო! დიადო...
რომ მიუსაფარს მადლი დამთოვე.
მადლობა შენდა ღმერთო! ძლიერო...
ცრუთა ჭაობში, რომ არ დამტოვე.

## სამშობლოვ ჩემო

სული მევსება, სამშობლოვ ჩემო,
შენი ხილვით და შენი ხსენებით.
რა სილამაზით ზეობ და ჩენობ,
ნეტავ გამაძღო შენი ფერებით.
მთა–მწვერვალები გულს მიამინდებს,
მოჭედილია ცა ვარსკვლავებით.
ბავშვივით შევმზერ შენს ღვთიურ ხიბლეთს,
ციურ წყალობით მესაკმევლები.
ჭიუხებიდან მომკივის ფიქრი,
შენი ზღვა გულის შესმა მწყურია...
ცას, რომ ჰკიდია რძის–ფერი ნისლი,
დედის მკერდივით საამურია.
მზე ალიონზე სხივებს გადაშლის,
სიკეთისა და სითბოს მსურველი.
სიჭრელე მათრობს შენი ზარდახშის,
სულს მილაქვარდებს იის სურნელი.
სიზმარეული ღამის წყვდიადში,
სამოთხის ბაღში დავეცეცები...
მთელი ცხოვრება შენს ტკბილ გულში და
შენს თბილ წიაღში დავეხეტები.

## არ დაიკარგები

არა სთქვა, არა სთქვა სიცოცხლე ფარსია
და წუთისოფელი უაზროდ ტრიალებს.
არა სთქვა, ცხოვრება სევდა და დარდია,
ვერხვები ფოთლების გარეშე შრიალებს.
ეცადე... ცხოვრებას შეხედო სინაზით,
ყველაფერს დაარქვა თავისი სახელი.
გული არ დაღალო დარდით და სიბრაზით,
შენს სულში ჩადგება სითბო და ნათელი.
არა სთქვა, არა სთქვა ცხოვრება ფუჭია,
ცხოვრების სიმძიმეს ვერ გაუმკლავდები.
შენს გულში ჯვარცმული იესო! თუ კია...
გწამდეს და გჯეროდეს არ დაიკარგები...

***

თვალზე ბინდი, რომ გადგივლის,
უნდა შეხედო ცას...
გამოგაფხიზლებს უფალი...
მერე განაგრძე გზა...

## მოვა სიკვდილი ესოდენ დიდი

ბეღურასავით ვზივარ სარკმელთან,
მწუხრის ჯარები ძვალ-რბილში ქრიან.
დავრჩი ეული მილეთ დარდებთან,
უმზეო წლები ფეხებთან ყრია.
შენაქრქოლები ელვა-ქუხილით,
სიცოცხლის ჟინით ვეღარ ვივსები.
გადავიღალე ურვა-წუხილით,
გულის ფერდობზე ძოვენ ნისლები.
ვეღარ მითბობენ გულს ლურჯი მთები,
უიმედობის ეჭვები მღრღნიან.
თვალებს მიცრემლებს ნაჯაფი წლები,
მოხეტიალე ფიქრებიც მღლიან.
მათრთოლებს ზამთრის ცივი ქარები,
ამ ჟამსაწუთროს ციებ-ცხელება.
არ ვიცი, საით მივექანები,
ან დაცლილ სხეულს რა ეშველება.

ეს ფოთოლთცვენაც დარდში გავლიე,
ძარღვებში სისხლი დუღს გაბრაზებით.
შხამ სატკივარი სიმწრით დავლიე,
გაფითრებით და ძილნაზმანებით...
გულს არასოდეს უგრძვნია ბოღმა,
არც არვის მიმართ მქონია ზიზღი.
აღარ გადარდებს არავის ბოდვა,
უკვე დავძლიე სიკვდილის შიში...
მოვა სიკვდილი ესოდენ დიდი
და პატიმრობის ბორკილებს ამხსნის
ამ წუთისოფლის ვაი და ვიში,
ჩემს ცივ სხეულთან თავს დაბლა დახრის.
ჩამოსხდებიან ჩემს სასახლესთან,
თვალცრემლიანი იასამნები...
დედა-მიწაში დავტოვებ მის წილს,
მე, მზის წიაღში გადავსახლდები.

## ადამიანთა სენი

ამპარტავნობა ყოფილა,
ადამიანთა სენი...
გინდაც სიცოცხლე აჩუქო,
მაინც შეჭმა სურთ შენი...
სულ-ცოტა, მაღლა თუ დადგა,
თითს წარა-მარა გიქნევს.
ძაღლს ერთი ლუკმაც, რომ არგო,
იგი არასდროს გიკბენს.

***

ვიცხოვრე მეამიტურად,
ამ ჟამსაწუთროს დარდში...
შენ, ჩემს ფასს მაშინ გაიგებ,
როცა დამკარგავ მაშინ.

## სერგი ღომაძეს

ცათა სიღრმეებს ზომავ თვალებით,
ზღვის ზვირთებივით შეუვალი ხარ...
შენ, ვერ დაგჩრდილავს მთა, მწვერვალები.
რადგანაც მთებზე უფრო დიდი ხარ.
ბევრსა სწადია ლურჯ-ცამდე ასვლა,
რომ პოეზიის მწვერვალებს მისწვდეს
შენ, ისე ღრმა და ისე დიდი ხარ,
შენს სიღრმეებში წვდომას ვინ შეძლებს.

***

ხშირად მაგემეს სიმწარე,
მაინც ვტყუვდები დღემდე.
მოვტყუვდი მეამიტურად,
კვლავ ადამიანს ვენდე.



**უშანგი მოსიაშვილი**

## სამთავისი



რა ხელმა შექმნა, შე მადლიანო
ძმადნაფიცივით რომ დგახარ ჯვარის,
თუ ჩვენ სიძველით ვიკვეხნით რამეს,
ეს სამთავისის ტაძარიც არის.
მან ხომ გაუძლო მრავალ დინებას,
არ ეშინია წვიმის, არც ქარის.
ამაყად მდგარი, ცისკენ მზირალი
დღესაც კოპწია იერით არის.
ამაყად მდგარს და ცადაწვდილ ტაძარს,
ჩანს, რომ უვლიდა ბერიც და ერიც,
მის იერიდან ამოვიკითხავთ,
რომ მას არ აკლდა მზრუნველი ხელი.
ასე ამაყად მიტომ დგას დღესაც,
რომ მომავალმაც დაადგას თვალი,
შთამომავლობა მას ფიქრობს მუდამ,
რომ წინაპართა არ დარჩეს ვალი.
და თუ მოვუვლით ნაბოძებს ღვთისას,
გაგვიხსენებენ ჩვენც მომავალში,
შთამომავლობას გადავცემთ ჩვენსა,
არ დაგვრჩებიან არასდროს ვალში.

## ოჰ, ღვინოვ!

(ხაიამისებური)

ოჰ, ღვინოვ, თურმე მათრობელა
რატომ ყოფილხარ,
გსურს, რომ მოგენდოს დარდიანი
გულის პატრონი,
რომ შეგსვამს ამით დარდი გაფანტოს
და გახდეს უცებ ბედნიერი
ქვეყნის ბატონი.

შენი წყალობით, მას ხომ თავი
გმირი ჰგონია,
სულ ავიწყდება, თუ ოდესმე
ჯავრი ჰქონია,
მშიერი კაცი თავის მსგავსად
მთვრალი ჰგონია,
სულ დაუხარჯავს, რაც ქისაში
ფული ჰქონია.

შენი წყალობით, ზოგს თაგუნა
ლომი ჰგონია,
ლომს რომ შეხედავს, მის თვალებში
თაგვის ტოლია,
ერთ კაცს უყურებს, დაჟინებით ამბობს
ორია
და მტკიცედ სჯერა, რომ ის ახლა
ღმერთის ტოლია.

ოჰ, ღვინოვ, თურმე წამალი ხარ
ჯავრიან გულის,
ბევრჯერ მომლხენი და მშველელი
მშფოთვარე სულის,
მაგრამ, თუ კაცი მთლად მოგენდო და
არ გაგიგო,
შენთან შეხვედრით მან ანდერძი
თვითონ აიგო.




## მეფე თამარი

მეფემ რომ სიბერე იგრძნო
გვერდზე დაიყენა ქალი,
მაშინ ალბათ ქვეყანაში
არა ჰყავდა მას ბადალი.
ტანით, სახით მშვენიერი
და გონებითაც ძლიერი
ხალხისთვის, სამშობლოსთვის
იყო ის გულისხმიერი.
მეფე ქალი ქვეყანაში
არ ყოფილა იმ დრომდისა,
ვინც ურჩობა გაუბედა
ყველას ბრდღვინი გაადინა.
კარგად ააწყო ქვეყანა,
კანონები შეარბილა.
და მის მნახველს ქვეყანაში
ყველას ცრემლი მოადინა.
შამქორსა და ბასიანში,
მომხვდურთ ბური აადინა,
და ქვეყნიდან ყველა მტერი
ერთიანად გაადინა.
მეფე ქალმა საქართველო
განავრცო და გაადიდა,
და მცხოვრები ქვეყანაში
ყველა ხალხი გაამდიდრა.
მან ქვეყანა დაგვიტოვა
ერთიანი და ძლიერი.
იქ მცხოვრები მთელი ერი,
იყო სულ მთლად ბედნიერი.

## სამშობლოს

ვაჟას უყვარდა სამშობლო,
ვით აკაკის და ილიას.
ვინა სთქვა მათი ფიქრები,
სამწილად გაყოფილია!
ჩამოგვეცალა მხარ-მკლავი,
დავრჩით მტრის გასამეტადა.

„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, —
ვნატრობ ყველაზე მეტადა“.
ღვთისმშობელს შევთხოვ მოგვხედოს,
რომ ძალა მოგვცეს ძლიერი,
მან გაგვიმთელოს სამშობლო
და მისცეს ძველი იერი.

## სტალინს

სიყვარულმა აგვამაღლა,
მივდევთ ჟამთა დინებას,
ვინ გვაღირსებს ნეტავ სოსო,
შენებრ გამობრწყინებას.
ოდითგანვე უძგერთ გული,
ქართველთ ვაჟკაცობისთვის.
არ გვინახავს შეწირული
არვინ თავკაცობისთვის.

თუ ვინმეს სურს შეგვილახოს
დიდება და ღირსება.
იგი სამშობლოს სიყვარულს
არასდროს ეღირსება.
შენ ეპოქის ნაშობი ხარ,
ქარიშხლებში ნავალი.
რაც უნდა ბევრი შეეცადოს,
ვერას გიზამს მავანი.

## ნუთუ დაკნინდა ქართველი ერი



ნუთუ დაკნინდა ქართველი ერი,
დღემდე ვერ შობა ძე ბედნიერი?
რომ შესძლებოდა კოსმოსში ფრენა,
მოგვნიჭებოდა ეს დიდი ლხენა.
მამულო ჩემო, შესთხოვე გამჩენს,
რომ შენს მიწაზე გულგმირი გაჩნდეს,
კოსმოსის კვლევის ისტორიაში,
რომ შენთა შვილთა გვარებიც დარჩეს.
არ მეგულება არსად ქართველი,
სულით დავარდეს, დაკნინდეს ერი,
შევთხოვ მაღალ ღმერთს, ბუნების ძალას,
რომ ქართველთ ჰყავდეთ გმირები ბევრი.
დროის ბრალია, ალბათ, ის ფაქტი,
ჯერ რომ არა გვყავს ჩვენ კოსმონავტი,
რომ ვერ მოწყვიტეს ქართველი მიწას,
ასეთი რამე ამ ქვეყნად ვის სწამს?
თუკი ცხოვრების ამ მონაკვეთში
არ გვიწერია წინსვლა, დიდება,
ჩვენს წინაპართა მისაბაძავად
ისტორიაში რაღა იდება?
შენს ქვეყნის შვილებს მუდამ ჰქონიათ
თვის წინაპართა მიბაძვა ჩვევად,
აბა, მომავალ საუკუნეში
ჩვენ ასე მხდალად როგორღა შევალთ?
მე ვისურვებდი, რომ შვილთა შენთა
ქვეყნისთვის ერგოთ ყველაზე მეტი,
რომ მათი წინსვლით, წარმატებებით,
მთლად დასცემოდეთ შენს მტრებს
თავს რეტი.

# შურიან კაცს

მოგცეს უფლება, არ ნიშნავს იმას,
წერო ყოველი, რაც რომ თქვენ გჯერათ,
შურით აღვსილ და ბოროტ სულიდან
გადმოანთხიო ნაღველი მთელად.

რომ სწერ იცოდე მაგ შენს ნაწერებს,
სადღაც უნდა ხომ ელოდეს ლხენა,
რომ სამომავლოდ შენმა ნაღველმა
არ შეგახვედროს დიდ გზაზე წყენა.

თუმც ოდითგანვე სჩვევიათ მავანთ,
რომ ბოროტებით სძლიონ კეთილი,
მაგრამ ცხოვრება თავისას შვრება,
მათ ვერ უშველით თუნდაც ვექილი,

თუ ცხოვრებაში გზას ვერ დაადექ,
ვერ ჩადექ ძმათა ფერხულში შენა.
სხვისი ძაგება შენ რას მოგიტანს,
თუნდაც წიწაკით დაიწვა ენა.

და თუ შენ ასე ძლიერად გჯერა,
შენ შენი ნიჭის გაქვს დიდი რწმენა.
კარგი კაცობით უფრო აჯობებ,
თუ ვინმემ შენზე ცუდი დაწერა,

მაგრამ თუ სულში გიზის სატანა,
გაგიჭირდება კარგის ატანა.
თუ ასე ცხოვრობ, იცოდე, ყველას
გაუჭირდება შენი გატანა.

თუ დაიჯერებ, სჯობს, დაიხიო,
სულში ჩაიდო სიკეთე ქვეყნის,
რაც გიჯღაბნია, სულ მთლად დახიო,
კარგ კაცის სახელს ვერავინ შერყვნის.

როცა ვფიქრდები, მსურს, დავიჯერო!
რომ ეშმაკი ხარ უფრო მელაზე.
თუ არ შეჩერდი, მალე გიხილავთ
ჩამოკიდებულს სახრჩობელაზე.





**ვასილ აფციაური**



მზიური დათიაშვილი-აფციაური

-1-

ვუძღვნი ჩემს არ გარდაცვლილ პირმშოს.

სიყრმის შვილს, ორმოცდაშვიდი წლის სიცოცხლედაუმ-თავრებელ ვაჟკაცს, მოსიყვარულე შვილს, მზრუნველ მამას და მეუღლეს, სამშობლოს პატრიოტს, აფხაზეთის ომის ვეტერანს, სოფელ დიდი ლილოს ღვთისმშობლის მონასტრის სახელობის ტაძრის ფუძემდებელს – ვასილ ვალერიანის ძე აფციაურს – დედა მზია (მზიქალა) დათიაშვილი-აფციაური.

უფალმა მოგვიბოძა ღმერთის საჩუქარი,
დედა ღვთისმშობელი თან გყავს,
მშვიდობად მოიცვალე, ყველას სამწუხაროდ.
დედის იავნანა გაგყვა.

დედა დაფერფლილი, დედა დალეწილი,
დედა, მიწაში რომ ჩაგყვა,
უფალს [illegible] [illegible] გევედრები :
შენი [illegible] [illegible]!

რამდენი [illegible] [illegible] [illegible],
[illegible] [illegible] [illegible] [illegible],
[illegible] არ [illegible] [illegible] [illegible],
სამყარო [illegible] რა [illegible]?!

ცათა [illegible] დიდი [illegible],
[illegible] სამყაროს [illegible],
[illegible] [illegible] და [illegible] [illegible],
[illegible] [illegible] თან [illegible]!

ჩვენ კი [illegible] შენ [illegible] [illegible] [illegible],
[illegible] ჩვენი თან გვყავს,
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible],
შენ [illegible] [illegible] არ გვყავს!

[illegible] დედა

ვ – [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible],
ა – [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible],
ს – [illegible] [illegible] ვაჟკაცს : [illegible] [illegible],
ი – [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible],
ლ – [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible],
ჩ – [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible],
ე – [illegible] [illegible], [illegible], [illegible] [illegible] [illegible]
ბ – [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible],
უ – [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible]!
ლ – [illegible] [illegible], [illegible] [illegible], [illegible] [illegible] შენ [illegible],
ი – [illegible] [illegible]! [illegible] [illegible] [illegible]

— 2 —

დედა ამქვეყნად არ არის, ცხედარი ყელევს წინათ,
ე-კლესიაში სანთელი კლდეწავენ კუთხის ჩინათ,
დ-აიმორჩილებს დედამ, დღენიადაგ ადგილდგენის შენით,
ა-კვნესდებოდა თმიშვილი, მაღლის კასხოერებოდის თვალით!

„ვასილი დიდი" (ნათლობის სახელი)

— ვინ ვინათლავთ? — ვკითხე ნათლობისას მოძღვართან სახელი ჩვილის,
აიაზმა რომ კალთავდა, მოისმა ბგერილი ჟღერის,
სიცოცხლით ნიჭიერი მოიყვანის „ვასილი დიდის!"
იყოს ვაჟკაცი ღვთისნიერი საშუქურის ბჭერის,
ლოცვას ბჭობდეს და მორჩილი ეგზის მის ლობილი,
ინათლე ეხმოდეს ის დიდების ეშმაკშე, თბილი,
ღვთისმშობელი დიდის ხატ-კალთა ეფარის, ცვდილის
სანთელი ჩვენ ვხედ ცხოვრების კასაკრავი ხსნილის,
დიდად ილოცოს, არ მიიღოს არა რა ჩრდილი,
იყოს მორჩილი, ბავშვიდე, ზეცაბით მილოცვით,
დიდ კასხოვნილი, საიქიო სიმით არ ჭკვი დიდი,
ისწავლოს ილოცოს: აღსაქმელის ეკლის კაცისთვის,
სათნოების დასამეგობრის ღვთისკან ქრისტეობი!

დიდი ეკლესიები კურთხეული, ოქროს ორნამენტი,
ემბაზში ჩასხმული არ ჯინდა ხმით მირონები,
დიდის კოცნა და ცრემლიანობდა, როგორც ღია-ვარდები,
იმედი დიდი მოლოდინა ქალთა ვარსკვლავები.
სიცოცხლე სიყვარული ღირსეულთ ადამიანებს,
აღიარებდა ღვთის, როცა ეს თემა დაბეჯითებს,
კურთხევა ეხმოდა, ეს და მოიწყალოს ნაბრძანებს,
ახლა და ეს ზეცით ყვავილს? — ითხოვ ათას ფრთიანებს! —
ნამდვილ ცხოვრების ხან და ერთი აახმიანებს!

მოიცდოდებენ...

წლების ვარდისფერი ხან სიცოცხლის ქვეშეფაქი,
კვალი არ ქვეყნის, სიმღერებენ მაღლი ზაქვი,
ვასოლციანი სიმღერე, როგორც ეპოპეა,
მოიცდოდებენ... ეს ცხოვრების ვერცხლისფერი...
და ჩვენ მოვისმენთ ყვავილს თავს ვაღვიძებთ,
ეს ქართველები ღვთისმშობელი მხოლოდ ბედნიერთ,
იმ და ზეცის ღრმა ნისლს, როცა ვიცოდეთ —
ვა დაბადებულ სიცოცხლისთვის ერთი წლოვანებს! დედაშენი ჩემი

-3-

ვადიდოთ უფალი!, რომ გვიხსნას ცოდვათაგან,
უ – რჯულს შევუდრკეთ: აგვიხსნას გონება,
ფ – აღუგზნა უფლისამ ვიხსნას მონობათგან,
ღ – მერთმა მოგვანიჭოს ცხონება!...
ვ – ისწავლისწერი ძალა გზავნის ცოდნათაგან,
ნ – ინებსა მონისა შენგან,
ი – მედი მოწამისა მოუყვებს მოძღვართაგან,
სიყვარულის მოუყვანს ღმერთთან!
ჩ – ემს ნათესავს გაწყვიტე. ზეციური გულითავ,
ე – რთგულო, ცოდნის ჩაიცვი ძალა.
მ – ამა სად შენ შვილთა, დაიჩემე მართალთამის,
ს – ანამ და მოდგმათაგან ვქადაგს.
ა – მ სოფლის ცხოვრებამ სიცოცხლე მოგვიშორა;
ნ – ისა ჩემი მოწამეც ვნახავს,
გ – ონებამ სიმართლეს გასხივებს მოგვაქცევს,
ა – ვსხი გული და ტანი,
რ – ამეთ სიმართლე აღავსეთ საყდართა ზედა და მოაჯირთა ზარსა,
დ – იდ სარ შენ, უფალო! – „რამეთუ აკურთხე, ჩვენი გულმოდგინება გზისა.
ა – ნგელი მოადგინონ ნებითა ძალისაკენ: „ვასწავლოთ" ვამცნებთ არა,
ც – ოდვილნი გვაიძულოთ, ნუ გვიქადებ, დაშორდეს,„სად, სად მიდიხარ ჩვენგან?–
„ვ – ასილ დიდი (ი)" ნათლისმცემ უფლისა მამამ,
ლ – ამაზ შვილის ნათლისცემა ზეცისად?
ი – ვისხა სახელი, მაშინვე განავრცო,
ლ – ოცვით მადლის აწყევს მყარად.
პ – ირველი, რაც მოინიჭოს უფლისგან დავდო:
ი – ესოს მადლმა ვფარო,
რ – ომელმან განმანა ჩვენ ნათლითა,
მ – ოსილა მოსავლით მარად!
შ – ესწირე რა ეკლესიას, სხვაც არ დავკარგო,
ლ – აშქი შეიქმნა ლოცვად.
ს – ამება გულმოდგინედ, უფალი შეიკრება მადლი ვერიდება ცისა,
ს – იყვარულს შენ ქმნილებ, ასევე იმედი და ნათელი მოგვანიჭოს ძმისა,
სიყვარულით სავსე ძმობის ნათელი შენგან,
ი – ქნება არ მოიცვა ცოდვა,...
ყ – ველა სიხარულს, რომ მოიყვანე ჩემსკენ.

-4-

რ – ეცხლი ვაჟკაცად ზრდისა.
მ – ენატრება ის დღე, როცა მომმართავდი, „კარგ სახლის ვყვარებ დედისა“,
ი – ფარავი მადლით, რომ იყავი შენ, სასიამოვნო ნახვის მისა,
ს – ამბე არს მადლისა, ხვალინდა ოცნებისა, გაზრდა ყოველი დღისა.
შ – ენს დიდებულ სულში ვერც ერთი დიდი,
ვ – აი, დედასთანა, გულში ვიცე მჭიდროსა,
ი – ცვნიდები რამე თვალი ნამგამი ცრემლისა,
ლ – ოცნებით ზღაპრის ცხელი და ადვილად ტკბილისა,
ს – ითოლი ზღაპრის ჭკვისა, როგორც ტაში ტკბილისა;
სიკეთის ითვლიან შენ სიკეთის ქმნისა.
თ – ბილი მაქით, მისი ლოცვა ვარდისა,
თ – ოვლიც სარი სახსნის შენსკენ ეწვევისა,
მ – ზი ერთ ფერს მისის დარლდი ვერსა არ ეტევისა,
თ – ოჭკიანი თემის ოცნების ზმა დაფარისოდებისა,
ც – რის თვალთაგან ცრემლი მისი ენდევისა,
დ – რო თუ ჩამოსულობს, მოცდა ეგებისა,
ა – ფციაობის სიკვდილი (ის) მოყვრია ერგებისა.
მ – ეტი არ გახდს ანგის, არც კეთილებისა,
ვ – ედრება ოცნებაში – მის გაზრდილებს იწვისა,
ი – ცხოდ თან დავსვდეს, როგორც ფარი დედისა,
დ – ადრი თავშესაფრის, ხვევა ვაჟკაცისა,
ი – დიადობს გერგლის სული ძმადნაფიცისა,
ნ – ყარი დამკვიდრებიან – ცრემლებისა დედისა,
ლ – ამის ჩადენისას ყოველი მტრედებისა;
ი – მგან ძე-ქალიშვილნი მოდგმისი გვარისა,
ს – ეგ ქალთა დარწმან მარის ლბილისა...
ს – ამშობლოდ თუ ეფრო, იმედი ჰქონდ დამრჩენის,
ი – ავი დიდ აჩვენ ტყავი წყალი სამოთხისა,
ც – ოცხლი ადგილ კოლხეთისა მთათა ასულისა,
თ – ოვლები დაარქმევენ მისს მამულისა,
ც – ხელი ფერხულები მთათა ოქროს ალაზნისა,
ხ – ავერდ დაგვებ ზეციური ფერის,
ლ – ამაზი ჩაწნული ჯვარი,
ე – ლის ვაჟკაცური სული ნაფიცის.
დ – ავლილი ადგილის ზღვრიდან თან დედისა:

-5-

ა–ფრცქვნილი ვარ მზეთა ვარსკვლავ–ცრემლისა,
უ–მძაფრესად ეძებდა წმინდანთ არ ცდომისა,
ქ–ოთილი არა ვფიქრობ არც რა შეცდომისა,
თ–რთის ვით ქალწულნი ნაზნის არავისა,
ა–რავე კოდამყრის მავ–ხოდე ხელისა,
ვ–ალივის იქოთქვენ სიტყვის შეკაკრისა,
რ–ოვერ დაკვეთნის კაი ყმის ხელისა,
ე–ჩვეულნი ვაჟკაცნი კიდამყარისა,
ბ–ედის ფიქრთაგან მეტრობით ლოცვისა,
ე–ვეზს სიყვარულით სიყვარულს ვანავდესა,
ლ–ექსიკონს არიგვის ნაპირნი სიმღერისა.

ვ–ალიდ მოეყარის, მამაშენი შვილო,
ა–ქვთიტია მზიანდ სარკე–წყნარი, ლიდო,
ქ–ას ვაშლიტის თვალი–მინდვრისა ლილილო,
ვ–ალის სოფელი შეწყდა, ერცლიადი მშვილდო.
ა–რც რა იყავ ქვეყნად დაუფრთხეელი ფრინო,
ც–რემლიც კი ნაკვალევი ომზიფარი ხილო,
ს–ოფელი კლდითია, ნასავალის წილო,
შ–ეს ლექსში ჩემი სანუკვარი შვილო.
თ–ოვლი მაღლისარ ძეთ ოცნებილო,
ს–იცოცხლის საწმისი შემოდგომელო წვეთილო,
ი–ღბლით მცირე კრძალვით შეჩერილო,
ყ–ველას სიყვარულით მოსულდემლო წყვილო,
ვ–არდნაშენი სული ფეფიჩაოჩრილო,
ა–ხტოვილო ნელად სიყვარული შვილო,
რ–ა ლია ცხადლო, დარეკვილო მზიო,
უ–ნარიდ შენილო რადა დაკვნრილო.
ლ–ამაზ წვერ–ულვაშა სანუკვარო შვილო.
ე–ნდროფი დედის შენ, არ გასაწირო.

შ–ეხიზელო ნდობად სინამდვილე შვილო,
ვ–აი, მამამისო, ის დღეიბიცდომის ვშლილო,
ი–ცოდნს ირეკვლევე ის მყოფი შენ რომ იდავლილობს,
ლ–ამაზ სახლის კიდნადებს ვვარის შენახვილო,
ს–ული დაკლდეს მისი და არ გაანწილო.
შ–ემდ რაც დაკვალო, ის იმდ შევსილებლის,
ი–სი ამწყდა ყვითლვან ქვეყნის დასავლილო,

ნ - ა იყავი ასეთ დიდის განაწირთ,
უ - ღონიერ ვიქმენ, ვერც ვცდილობ, როგორ ვიცნობი,
ნ - იმედიანი კაკუნს — ნაღვრით ამოყვირით.
ვ - ით მოვიძიებ ზეცმა სიმშვიდე კაცური,
ე - ლოდი ანგელოზო ზეცით მამაცურიო?
ლ - ია თავზე გაღმა ოცნებით ვაჟკაცურიო,
მ - ეძახოდი: — „მეგობრებს მომძებნეთ გულით!..“
ა - ღარ ფიქრობ, მშვიდად მიაცვალო, სული,
მ - იდიოდა ღვთისკენ... დაიბრუნა სოფლი,
ა - მა ქვეყნის სივრცე და ზღვა ამოსწურული.
ს - იმშვიდით წასვლით, არსად ქარიდა ხურდი.

დ - აითმინე ყველა, ცხოვრებაში რაც გხვდა,
ა - რავინ შეხედისე ვაჟკაცური ამოთქმა,
თან წაიღე ის, სანამ როგორ გამოთქვა.
მ - თელ დედამიწის სიხარული ცრემლჯვა,
ე - ხეთქა კედლებმა, სისხლის ანთებედა კანონის,
უ - იმედო დღდა დაემსგავსა მაცვანონს...
ლ - მიდის ვით მგელი, ან შვილ მკვდარი მსესი,
ლ - ამოზდა შენს შვილს: — „რა ქნა [illegible]?!“
ე - ხეთქა სიცოცხლეს, რა გაქვს დასავალი,
ს - ასწაული არ დგას, [illegible] გაწყებული...

ს - ითი ნანანავებ შვილის ვერ დაგთმობ, შეცდი...
ა - ღარ ესმით ჩემი, ვერვის ვუსწორ ტოლისა,
შ - ხილიდ შეუვეყარე იკვლევ მდოლის ჯოჯოხეთისა,
მ - ვიდი დამაწყნარე! — შემავსებე ჯვრისა...
ო - დისკ მაისც მოცხე! — არც რა ესმით მდუმრით...
ბ - ოწვა მკაცრიო ღირსის მოგეპარი,
ლ - ა ღამ მოსჭრის, თუ რომ წავა, მოწყალე,
ო - რმოცდაათ ხელი დგას ქალ მშიალე,
ს - იცოცხლის ბოლოს ჯვა შეყოლს ნაფეხალი.
ვ - ინ დაინახ სიცოცხლე სულის იყო ხსნა,
ა - ლბენები ცვარის, სოფლ იყო, ბევრ თვალის,
ც - რემლთით მომდარი ბუნების განათებით,
ო - ცნების ლუსავლი ოქროვ[illegible] კრძალ,
ი - ჩამეხლე, და დარჩ ღმერთს უშიშრად ჩვეთ.
ო - ქმი ჩიტის ფეთდა,
ტ - ანით, [illegible] ცხვარი,
ს - იცოცხლის სიხარული, ოქროს კაცთ სადღეგრძელო,
ა - ფხაზეთის მიწას — იმედის ახლოვსთ,
ფ - არული ტბადები, ძახლეველეებს რომ სხდავსთ,
ნ - ესი ოცდა ბუნდის, ღმერთ ყველას კლდევსთ.
ა - რც ალა, ყველა შენ გერიჩავსთ თავსთ,
ტ - აიგზე? — შენვე გადასახლება ჭვარსთ,
ე - რთ განსვენიდით არც მეგი ოქროს გვარსთ,
თ - ვალი თვალისა წილი, ცრემლით ნალოღვარსთ.
ი - ცრების ხმის დღეს, ნურც შენ იხამ ავსთ,
ს - ამშა ტყებული ხარ, გადმორჩენილი თავსთ.
ლ - მა ყველა ღვთისთვის ედაირება გრავსთ,
მ - იხედე ოცდაეთ! — ჩემ შვილო შენა გყავსთ,
ი - სმინე ოცდაეთმა: — დაჭრილი რა ოცდავსთ,
ს - აერთო დაგებოდა, ბრძოლის ველზე „ბავშვსთ“,
ვ - აი, ჭვილი, — ღმერთი! — „რომ ვასცოს წავსთ!..

ე–ცაო იბრძე, შორსაა თავზე!
ტ–ვირთად გაწვა თოფი სისხლგაქცეული ტანზე,
ე–ვინ ხარ–ჰასტამი?– საშინლად ითქვა განზე,
რ–ეგვი გაუძლოდა! — ცოცხალ, ცოცხალ ადრე,
ა–რია ცხენი, — ვაჟკაცი არ ჰყავსო...
ნ–აფრინდალი შუბი – სისხლი დაწვეთის მიწას,
ს–იცოცხლეს? — უფალი იქცევა და კიცავს.
ს–აქმეც კარგს, რომ შენ სამშობლოს ფიცავ,
თ–ავს უფრთხილდი, მარტო ჩოხას იცვამ,
ფ–ხიან ქართველს ჩუქავ, სისხლად გადაიწნავ,
ე–ფერები ყველას, მაგრამ რას არ იწუნავ.
ლ–ამს კი [illegible] [illegible], სიცოცხლეზე ტკბილო,
დ–არი სიმშვიდისა, ყველასათვის თბილო,
ი–მედი ხარ ახლაც [illegible] ტკბილო,
დ–აიდევი [illegible] შვილებს, სიმშვიდე ლოდინ,
ი–მედს მაძლევ, ვითარ ცოცხალს [illegible] შვილო,
ლ–ამაზა ჰქონია, [illegible] გაამრავლეთ.
ი–[illegible] [illegible] ოქროსა, შვილო,
ლ–ოცვაც [illegible] ქალწულად თავდახრილთა,
ჯ–ახა [illegible] წუწნავს [illegible] [illegible],
ს–ამშობლოდ [illegible] [illegible] კოცნა [illegible],
ლამის აჩვევს, ფხიზლობს, რა [illegible] ჭირშა.
ვ–აი, ადრია თქვას აქ ცოდვილთა ბრძოლა.
თ–ავისუფლად ევლო, შენთან დარჩეულმა;
ი–რემოთ და არწივი ყველას ახალ წყვილმა.
ს–იცოცხლე ბრძოლით იყოს გონებაში ჭირშა,
მ–არადიული გრძნობამ – სიყვარულმა ცხოვრებამ,
უ–ერთგული ყველამ გულით ანალებითა,
რ–წმენით სულის ჩრდილით გადარჩენისთვის,
ჯ–ერ ღრმა სიცოცხლის სიტყვით ანაყვანია,
ლ–ექსის ლოცვით, ვარდით ლექსის შვილში,
ი–სმის ლოცვის [illegible], ხმა არ ცვალოს ჩიტმა,
ს–ანთლის ამწიფებს ვერა, ვერ დაადგენ ჭირმა.
მ–იძინებს ცხენს მოსდევს მადლი ლოცვისა,
ი–მისთვის ზეცა [illegible] აქვს წყვილისა,
ძ–ალობამ რაც ნახე, ნახე ლოცვის ბრძოლა,
ი–ღბალი მოსწრო, ქართველთ აქვთ ეს ნიჭი ზეცისა,
ნ–ათელი ქრის სიყვარულ მონატრების ცისა,
ე–ფინება სახეს — დასვენებულ ძის,
ბ–ავშვ კვლავ ლოცულობს ადიდებულსა წვეთისა,
ი–მედს გვაძლევს მწუხარე ცრემლი განვლისა,
ს–იცოცხლე ფერს იცვლის მით სწორე ას სიკვდილისა,
ს–იცოცხლე ბრძოლებსა და თრგუნავს სიკვდილისა,
ა–ლოცავს თირსეხით, ლოცვაც ცრემლ მოს ჩრდილისა,
ს–ამ არ იქმნე შვილო, გიფიცავს ვით ჩვილისა,
ე–ვედრე უფალს და მოუწოდებს შენ ქმნილისა,
ლ–ოცვა გადაარჩენს სიკეთის გზითვა,
თ–ავ კაცს ვგლოვობთ, ვაი, როგორ დაიღალებოდა,
ბ–ოროტის ვერლშეთილით სიტყვა დაგვათრევით,
ი–ესოს სისხლზე მოუშინებს ზვერა,
ს–ულმა გვიახლოვა ლოცვას გზა ჩვენი.
ტ–აძარი აშენდ წმინდა კვირისა.
ა–ქე და ადიდე შენ სიმდაბლე ძმისა,

-8-

ძ - ღვინად ძალა ჰქვს დიდი — დიდა ღვთისმშობლისა (6)
ჩ - ძე ღმერთისჩვენს მისგან — წყარო დიდებისა,
ე - რწმენის სვეტი ეკლესია დიდისა.
ს - იცოცხლით ღირსწყალი ღირსეული წმიდისა.
ფ - ეჭირით ტაძარში ხარ, [illegible] [illegible],
ი - ლოცვა მამა(თ) [illegible] ქვეყნიდან „ოქროს",
ქ - არიალი ფერქალოვნების ცეცხლით დაამშვავსო,
ა - სულს მარიც არ ვეღირსე, მამა(თ) ამბობს ჰგავსო.
ლ - ელოსფერ დიდებულებში ტაძარი მშვიდ ჩანსო,
ბ - ასრული კრიმელში ეკლესის ჭვარი ჩანსო
ა - შენებული ტაძარს ერდა დაიარსო,
მ - ადლი ღვთისმშობლისა, ხმა ენდა მის ქებისა
„ჰ - ისარიონ მოსადიდებელი მარიამ ეკლესია შენიანა...
ე - ფერისწიდი შენს მიწიდან — ვასილის ყვავილები,...
ნ - ადმა საღმრთოს მწყემს საცოცხლო მრთელი ერთიანი,
ს - ამცნეობის მიიხლოვს ჩვენი ღმერთიანი.
ვ - ით მორინელებული, ლოცვით, ბავშვი დიდ მკერდს ტანი,
ა - რავინ იცის, რა გვერდ ძვლის შვიდი ზენიანი,
ს - იცოცხლის ღიღი ნიკორის იყოს ქვეყნიდ ყვავილები...
ი - ღრუბლით... გადა გზეთა ია-ვარდები,
ლ - აქმნილი კნინიერებით შენის დამშენებელი,...
ვ - ასილს არ იყვარს ლოცვითელი საქართველოთ,
ა - ლიდ კარები, მოიხვედრ, ოცნებათ.
ლ - ეთქვს ხე მოზიდე, [illegible] და გლოვით ძალადა,
ე - კლესიაში [illegible] ვამბობს მგზნობით მოლოდინ,
ჩ - ართული დიდი, ქვეყნის გარდენით ეკლესია ყვავის
ი - ფეხიდი, იქნიბ გამოიცნობ — ასე ია ქვეყნად,...
ა - ეკლესია, საწმინდის ძენის სამოთხის ხელად,
ნ - [illegible] [illegible], ყვავილს მოიყვანდა...
ი - მეფს არ ვაჩვენს ჩემი მეინი, ჩემი ვაჟკაცი,
ს - აქართველ ნაიდი სიმართლე ღვთისა, მარიამიც წარმოდგი,
ძ - ლვენი დიადი, ოხვადი ვარდი ამბავი,
ე - რქმ ჩაც ზეიდა, სიცოცხლით იყავ მამაცი,
ა - ლავისათვის დღეგრძელად იხის კარებში,
ფ - არიელად აჩვენს დამალვებისი ფანჯრით ტაძრები.
ც - ივ ნამოთარში კი მიზანმოზდა ქალთა ფარები.
ი - ყავ ბედნიერი, მოყვარული, მლოცველი მყვარები.
ა - რ გამოსაცვლელი ძალ ნაიამი ნაშვიოდ ფაცელებას,
ე - რის თქმასაც ვერ ზედავდე, ვაი, თუ ფეყნა...
ნ - ათელი დიდი სილქი ვერ ნუ, ოსნა ჩემზე, ვარდ ლოი,
ს - აყდარი იყო მისთვის ყვავილა, ყოველთვის მერცხლი,
დ - იდებულა ვარსკვლავ, ჯვარი მარადიულ, დიდი ჩემი ვედრება,
ე - დარიანად ყვავილს დაირო, ერთად დავიწყება,
დ - აევსებული ქვეყნის სიხარული — დიდა არ ვუმღერდა,
ა - რ არსებობდა სინათლე ვინც ჩავხედნით,
მ - ზიანებელი დიდა ნაყოფი ვახტანგ ვით გასცე,
ფ - არ-ხეისას ჩვენთან არსებობს გზანია მარიამ,
ი - ყავ ამაყი, დიდ თვინიში ამირვეი ჩაცხვე,
ე - მინდოდ არავის ენდობოდნენ, ეჩვენებოდა ჩაცხდა,...
ო - არავად სწორი, და ცხოვრების ზეცა დარჩენის აწყდა,
თ - ყავ ზეიმ ის ვთლიანობა, სიმშვიდის გასცდე.

-9-

ჭ – [illegible] ჭავჭავაძეებს ცრემლი ანკარა,
[illegible] [illegible] არ [illegible] არცა [illegible],
ე – [illegible] [illegible]... [illegible],
ქ – [illegible] [illegible] [illegible] მართალი [illegible],
ა – [illegible] [illegible] [illegible] [illegible],
ლ – [illegible] [illegible], [illegible], [illegible],
ა – [illegible] [illegible] [illegible], თუ [illegible],
დ – ა [illegible] [illegible] [illegible], არ [illegible],
ა – თის [illegible] [illegible] [illegible] არ [illegible],
თ – [illegible] [illegible] [illegible], [illegible] არ [illegible],
ი – ყო მართალი, [illegible] [illegible], [illegible] [illegible],
ა – [illegible] თუ [illegible] [illegible] [illegible],
შ – [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]...
ვ – [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible],
ი – [illegible] [illegible] [illegible] არც [illegible] [illegible],
ლ – [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible],
ი – [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible],
([illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible])
ა – [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible],
ფ – არ [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible],
ც – [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible],
ი – [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible],
ა – [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible],
ლ – [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
რ – [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible],
ი – [illegible] [illegible] [illegible] [illegible] — [illegible] [illegible].
ს – [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].
ა – [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] არ [illegible],
ვ – ა [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible],
ლ – [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible],
დ – [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible],
([illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible])
დ – [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible], [illegible], [illegible],
[illegible] – [illegible] [illegible] [illegible] [illegible] — [illegible],
[illegible] – [illegible] [illegible] [illegible], [illegible], [illegible].
[illegible] – [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible].
შ – [illegible] [illegible] [illegible] [illegible],
ვ – [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible],
ნ – [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] ([illegible]),
ი – [illegible] – [illegible], [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible],
შ – [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible]! —
ნ – [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible],
ი – [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]...,
ა – [illegible] [illegible] [illegible] [illegible]!..
ვ – [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible], [illegible] — [illegible],
ლ – [illegible] [illegible] [illegible], [illegible] არ [illegible] [illegible],
ო – [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible],
ც – [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible],
ა – [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible],
ვ – [illegible] [illegible]: მართალი ხარ, [illegible] არ [illegible] [illegible],
დ – [illegible] [illegible], [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible],
ე – [illegible] [illegible] [illegible]: [illegible] [illegible]...!
ს – [illegible] [illegible] — [illegible] და [illegible], [illegible]!
[illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible]!

30/XI–2017 [illegible]



## ტარიელ ხარხელაური

***

გაიცრიცება საღამოს ბინდი,
ვიცი,
ამ დილით უნდა მოთოვლოს,
ვიცი,
ჩემი გზა საითაც მიდის,
შენ საით წახვალ,
ხმელო ფოთოლო!
ამოვარდნილა ქარი ძლიერი,
ო, როგორ ცდილობს, რომ ამათრთოლოს.
და შენზე ამით ვარ ბედნიერი,
რომ ქარს არ ავდევ,
ხმელო ფოთოლო.
ლეგა ხეობებს გრიგალი სჭვალავს,
მთა დუმს,
ამ დილით უნდა მოთოვლოს,
ვიცი, ჩემი გზა საითაც წავა,
შენ სადღა წახვალ,
ხმელო ფოთოლო!...

***

დახურეთ ზეცა,
ვარსკვლავებთან საუბარს ვიწყებ,
მოსწიეთ მთვარე,
მოსაყრელად დამიდგით მუხლის
და თქვენ, ქარებო,
ჩამომბერტყეთ სიმძიმე მიწის,
რომ ჩემმა გმინვამ გაამღვრიოს სამყაროს მწუხრი.
სულნო შეშლილნო,
ყველასკნელის კარნი განახვნეთ,
რომ ჩემი მოსვლა ყველა ნერვით
იგრძნოს სამყარომ.
გადამიტანეთ, მზის მხურვალე მტვერში დამმარხეთ,
მიწის ცხელ მკერდზე ვარსკვლავებად გამომაყაროს.

***

დაზამთრდა...
თოვლი არც ისე მიკვირს
და არც სიცივე — სისხლში რომ ატანს,
მე მეშინია ამ ატმის კვირტის
გაზაფხულზე რომ ვერ გახსნას მარტმა.
მე მეშინია დამშრალი ღელის,
თოვლის ქვეშ წევს და უგონოდ სძინავს
და გვირილათა გაყინულ ველის
გამოღვიძება ვერ შესძლოს წვიმამ.
დასაწყისი არ მაფიქრებს ზამთრის —
როგორ შევხვდები ზამთრის დასასრულს?
ვაი, თუ ისევ დავობდე სახლში,
რომ ცეცხლთან მჯდომი
დავხვდე გაზაფხულს.
მე მეშინია შენი — შენს გამო,
არა თებერვლის ცივი ქარების,
გავიღვიძო და აღარ ვეწამო,
არ მომწყურდე და არ მეყვარები.
გავიღვიძო და მთათა კალთებზე
აღარ მიცდიდნენ ლეგა ნისლები,
იქნებ სჯობია, აღარ გავთენდე,
მოვკვდე და ნუღარ გარდავიცვლები.
არ მინდა შენი ჭკნობა ვიხილო,
ვიხილო შენი დაშლა ფერებად,
ჩემს მერე შენთან მოვა სიკვდილი
და მკერდზე ცივად მოგეფერება.
დაზამთრდა...
თოვლი არც ისე მიკვირს,
არც ეს სიცივე — სისხლში რომ ატანს,
მე მეშინია ამ ატმის კვირტის —
გაზაფხულდეს და ვერ გახსნას მარტმა.

***

მოვსულვარ,
მოვკვდე და შენთვის ვწერო,
მონა წარსულის,
ახლის მლოცავი...
შენ გამახსენე,
მამულო ჩემო,
რამე თუ დამრჩეს დაუკოცნავი.
მზე ელამ თვალებს მტვერით ამივსებს
და მიმილეწავს სულს ქარიშხლიანს,
უნდა დავმიწდე ბებერ კრწანისზე
და ზურგზე მუხა ავიშრიალო.
ცა, როგორც ცხენმა — ლაგამი, შევხარ,
გზა ოქროსფერით მოვავარაყე;
სამშობლოვ ჩემო,
პოეტი შენ ხარ,
მე შენი ენით მოლაპარაკე!

## ცანდების დარბაზი

სცენა...
ცრემლები ჩამომდის ღვარად,
ვტირი, უაზროდ ვიწყებ ბორიალს...
არა, ბატონო, არა და არა...! —
ეგ ჩემთვის მეტად დიდი როლია.
ცოტა ხმამაღლა, არ ისმის, რა სთქვი?!
ეს გრიგალებიც ზღვებს არყევს ძლიერ
და მაინც ვფიქრობ — გვირგვინი დაფნის
შუბლს მომილბობს და შემიცვლის იერს.
არც მოლოდინი ცით რისხვის მზარავს
და არც მსოფლიო შიში მაქვს წარღვნის,
არა, ბატონო, არა და არა,
მაგ როლზე ჩემი მოცდენა არ ღირს.
ვაცხადებ უარს, დღეებს მოავდრეთ
კვალში ვუდგევარ, ზათქით მივგრგვინავ.
თქვენ ვისაც გინდათ იმას მოარგეთ
ეგ სისხლიანი დაფნის გვირგვინი...
და სისხლიანი ეგ ველი ბრძოლის
მეც ბევრჯერ ვლოკე, არ ვამბობ უარს...
მაგრამ, ო, არა ეგ დიდი როლი
თქვენ ითამაშეთ, იოლი თუა.
ამ თამაშიდან გავიდე უნდა,
სიმართლე გითხრათ, კიდეც ვიღლები...
მე დამიბრუნეთ ეგ ჩემი გუდა
თქვენ დაიბრუნეთ თქვენი ნიღბები...
სცენა —
ცრემლები ჩამომდის ღვარად,
ვტირი, უაზროდ ვიწყებ ბორიალს.
არა, ბატონო, არა და არა!
ეგ ჩემთვის მეტად მძიმე როლია.

***

მე შევცვალე მთვარე წუხელ,
დავცქეროდი ნარიან მთას!
სთქვი, მამულო! რა გაწუხებს,
სთქვი, დავდგები დარიალთან.
სთქვი, დიდგორზე დავიქუხებ,
ბებერ კრწანისს ავაღელვებ.
სთქვი, მამულო! რა გაწუხებს
და წამოვშლი არაგველებს.
ტკივილებით მინამულო,
სთქვი, თუ უნდა დარი ამ მთას.
სთქვი, მამულო!
სთქვი, მამულო!
სთქვი, დავდგები დარიალთან.
სთქვი, დღეს სული შეშლილია,
მერე რა თუ შემოგვლევენ,
გეშინია,
გეშინია,
გეშინია?!
შემოგევლე.
ვდგავარ ცივი გარინდებით,
მშფოთვარ მიწას გადავყურებ,
სისხლიანი ამინდებით
შენს მოშულარს დავაპურებ.
სთქვი, დღეს სული შეშლილია,
მერე რა თუ შემოგვლევენ,
გეშინია,
გეშინია,
გეშინია, შემოგევლე!



ბექან ხარაიშვილი



ბექან ხარაიშვილის ბიუსტი
მოქანდაკე გიორგი ლარიაშვი

ძმაო, ახალგაზრდად დარჩი,
ბედმა ბევრნაირად გქექა.
ბიჭო, შენ პოეტად გაჩნდი,
მე კი ლექსებს ვჩორკნი, ბექან,
შენი სიტყვა იყო ბრძნული,
რადგან წლების შემდეგ ბრწყინავ.
ლექსი მზის სხივებით წნული,
ბედი, ქარიშხალი, წვიმა.

**გულნაზ ხარაიშვილი**



***

მე მივდიოდი საქართველოს გამოხრულ გულში –
ვარძიაში და შემაჩერეს უცბად აწყურთან,
და თითქოს ურო დამარტყეს თავში,
და თითქოს იქვე ადგილზე გავშრი, –
ჯარისკაცებმა მომთხოვეს საშვი...

ბებერი მტკვარი გაეკრა მიწას
და სირცხვილისგან იწითლა ცამან,
რად არ მოსთხოვა ხანძთელს საგზური
უკაცრიელმან ადგილმან ამან...

და ახლა, როცა მესხეთ-ჯავახეთს
ასდინდა სუნი ქართველთ სიმცირის,
მე უნდა აქეთ, აწყურთან ვიდგე,
ჯიშიან ძვლებზე მკბენდეს სიცივე...
და კარს უღებდეს უცხო ტურისტებს
ხერთვისი, ხანძთა, ბებერი ტაო,
გადამავიწყე დიდი თურქობა,
გადმიშვი მთაო!

**ხვედრი პოეტთა**

მტრედებმა ჩამიქროლეს თოვლის გუნდებივით,
ბალახები ჟანგისფერ სევდით ხუნდებიან...
– მირზა წავიდაო, –
ეს რა გამაგონეს,
– არ დაბრუნდებაო, –
თქვეს და ტყუვდებიან;
პოეტები ბრძოლაში ადრე მიდიან და
პოეტები ბრძოლიდან გვიან ბრუნდებიან.
ტყვიებს უკორტნიათ ყორანივით,
კბილებს უფრქვევიათ ბროლი,
პირიდან მძიმე-მძიმე
ბოლი ამოსვლია,
დაუწერელი ლექსების ბოლი.
წაქცეულს მკლავებში ჩაუკლავს სიკვდილი,
მის თვალებს ჩაჰყოლიათ ცეცხლობა,
პოეტები ყველაზე ადრე კვდებიან და
პოეტები ყველაზე დიდი ხნით ცოცხლობენ.

***

გულთან არ დამადო ხელი...
მტკივა...
მტკივა...
და
დანაღმული ვარ მკერდზე ძარღვებით.
ეჭვის მახრებით
ფაჩუნობს ღამე...
მთვარის ეკრანზე მე გხედავ მუდამ...
რა ხელმა უნდა აიღოს ნეტავ,
რომ ვერ დასძალავს
ისეთი გუნდა?!
ისევ გამისხლტა თვალთა მიმინო
და
შენს ფანჯარას
გარშემო უვლის, –
– ყველაზე დიდი სასაფლაოა
გული!

## მეგობრისადმი

წამოდი, იცი, სად?
 კაფეში კი არა, –
წყალი ვსვათ ხეკორძულის...
ჩავუდარაჯდეთ, იცი, ვის?
 გოგონებს კი არა,
წითელ მიმინოებს ჩვენი რჯულის
და მერე იქნებ ვინმე მადლიანმა
მოგვთხოვოს სული იაკობივით...
და მოგვჭრას მარჯვენა
გაღმა-გამოღმა ნაშენები კედლებისათვის.

***

ჩემს სახლში რომ მასპინძლად დამიჯექი,
ჩემს მაგიერ ჭურს რომ მიხდი მარანში,
შეხვედრისას გზას რომ მითმობ პირველად,
მე ვტყუივარ, შენ კი არა ამაში!



**გულნაზ ხარაიშვილი**

## მე ჩემს ბილიკს შევეხიზნე

მე ჩემი გზა ვიპოვნე და...
ჩემს ბილიკებს შევეხიზნე,
სამაჩაბლოს, წმინდა ფრონეს,
რადგან ტყვია დაუმიზნეს.
გზა მოვნახე მწვერვალების,
მწვერვალს შრომით მივაღწიე.
და ლექსების ელვარებით,
მწიფე ტოტიც დავიწიე.
ია-ია დავრგე ყველგან,
გვირილები თმებს ჩავიწან,
ლექსი დამდევს სულის შლეგად,
ლექსით ოქროს ქოშს ჩავიცვამ,
გაზაფხული გულს მეწვია,
შემოდგომამ მომცა შვება,
ჩემს ნაშრომებს მზის პეწი აქვს,
ფიქრი მთვარის სახლში წვება.

## სილამაზეზე წარსული ყვება

ხელს ვუფათურებ, სახის ნაოჭებს
და სიბერეზე ვბრაზდები ძლიერ
ასე დავბერდი? სარკევ მაეჭვებ,
თუ სიფაქიზეს შენ უცვლი იერს?
სილამაზეზე წარსული ჰყვება,
შენი ნაოჭი, სიბრძნის კვალია.
მითხრა სარკემ და სიბრაზეც ქრება,
ღირსება ყველა ქალის ვალია.

## ღამე

არ მინდა ზურგი მაქციო ღამევ,
არ მინდა ფიქრით ძილი გამიტყდეს.
გათენებისთვის ვითვლიდე წამებს,
ფიქრის მდინარეს, ფიქრი გამიყვეს.

## ღამის პერანგი

ღამის პერანგი, უკვე ჩავიცვი,
ლექსი – თეთრი და ლექსი რითმებით,
გაზაფხულებას ლექსით დავუცდი,
ლექსის გარეშე ან რა ვიქნები?

## ლექსის მდინარევ!

– ლექსო ძვირფასო, სიცოცხლის წყაროვ,
დამტოვე შენში, ბოლო წუთამდე.
ბრძოლის დროს ხმალო, წვიმავ და ქარო,
ჩემს გულის გულში მინდა გფუთავდე.
დარდის ნისლები არ მანებებენ,
მზის სხივებით, რომ შემომემწყვდიე,
მე არასოდეს მანებივრებენ,
ამიტომ ჩემით თვითონ გეწვიე,
რა დამავიწყებს ლექსის მდინარევ,
რომ ვბანაობდი უშიშრად შენში,
გეფერებოდი ღამით მძინარეს,
დღისით რა მექნა წვიმების ხელში?

## არ მეტკინება!

არ მეტკინება, რაც უნდა მითხრან,
რადგან ღრმადა მწამს რასაც ვაკეთებ...
ზოგი შემხვდება მგელი ან ვირთხა,
სიბოროტით რომ თვალებს აფეთებს.
განდმოანთხიონ, გადმოსანთხევი,
ეგებ მკურნალი მე გავხდე მათი,
ვშრომობ, ჯაფით ვარ, ღამენათევი,
ჩემი ჟურნალი არის სულმნათი.
ჯიჯგნონ ეს გული, თუკი მოშივდათ,
დანაყრდნონ ჩემით, დაკმაყოფილდნონ,
მე გავიხარებ იცით?... მაშინაც,
რომ დავრწმუნდები თუ რა ყოფილან.

## ... და უსასრულოდ

დუმს ეს კალამი, აღარ დახნა
ფიქრის ბელტები...
და უსასრულოდ ხეტიალით გადაიღალა.
მერე გამოწნა მზის სხივებით
ლექსის ჩელტები,
დარდს აჯობა და უსაქმურად
არ დაიღამა.

## მივწვდი კენწეროს

მივწვდი კენწეროს, სიმაღლიდან
გადმოვიხედე,
მაღლიდან ვხედავ უფრო კარგად
დედა სამყაროს.
თვალში ხის ტოტი ავიცილე,
არ მოვიხვედრე,
ზეცის შვილი ვარ, ეს ღრუბლებიც
უნდა გავყარო.

## ცათამწვარი

უმადურს შეუწვი ტაფამწვარი,
დანაყრდა და გაიბღინძა...
ადგილიდან ვეღარ დავძარი,
მასში სინდისმა არ გაიღვიძა.

## ქუჩები

ქუჩები მგლებით და ტურებით სავსეა,
მელა ყველაზე მოხერხებულია,
იტყუება და შარზეა,
ცბიერებით მუდამ მეფის კარზეა.

## დაისია

მევე გავხდი ჩემი საქმის ერთგული,
ვქმენ სიკეთე, მტერი ამით დაბრმავდა,
ერთგულები, აღარავინ მეგულვის,
უმადურნი დაისის მზეს ჩაბარდა.
საჯიჯე ნერგს ჩემს ეზოში მე ვრგავ და...
ყველაფერი დამშვიდდა და დალაგდა.

## ტყვიებს მესვრიან

ჩემს გულზე ბევრჯერ ნარდს თამაშობენ,
ტყვიებს მესვრიან თეთრი კამათლით...
ქარსა და წვიმას გთხოვთ გამაშორეთ,
რომ არ დავიწყო ისევ კამათი,
მინდა, რომ ვიყო სულის მკურნალი,
ბოროტებისთვის სადა მცალია,
სიკეთეს აფრქვევს ჩემი ჟურნალიც
და „ათინათში“ სულის რთველია.

## როცა გარდაიცვალა

ბეჟანი არ ეგუებოდა დუმილსა და
ლაჩრობას,
უსამართლობაზე ყვიროდა...
როცა გარდაიცვალა, მინდოდა სიკვდილის
დახრჩობა.
მტკიოდა...

## წავიდა
*(ჯანსულ ჩარკვიანს)*

წავიდა, გაყვა, ნატყვიარი
მოუშუშარი...
მაგრამ განგებამ, მეფის სახლი პოეტს
არგუნა.
თვით ლექსი იყო, სიტყვით მთქმელი და უშუშარი.
უმადურობამ, მისი გულიც გაანადგურა.

## დღეთა სიშორე

დღეთა სიშორემ ვერ დამავიწყა,
ტკივილი – შენგან რაც რომ ვიწვნიე
ვცდილობ სხივებით თმები დავიწნა,
ნედლი ტოტებიც ჩამოვიწიე.
დაუნდობელო, არ გაპატიებ,
შენთან – ვაპირებ ზურგის შექცევას...
გჯიბრობ, ვერასდროს ვერ ამატირებ,
არც შევეცდები არსად გაქცევას.
გეყოს, შეჩერდი! წადი, შენი გზით,
შორს ცის ღრუბლებთან გაინავარდე,
უნდა გავითბო გული ცხელი მზით,
რომ სამუდამოდ ძირს არ დავვარდე.

***

ბედო, არ ძალმიძს ამდენი ცრემლი,
ზღაპრებისათვის მეც მომაცალე...
გულო, გამგრდი, ურო და გრდემლო,
ისედაც ბევრჯერ გარდავიცვალეთ.

***

არ მაქვს სურვილი შენთან შეხვედრის,
შემხედეთ, ნისლის მთა მაფარია,
ლექსის მორევში ჩემით შევედი,
ზღვა — ჩემი სულის შესაფერია.

## აღარ გახსნებ

ცუდად არასდროს აღარ გახსენებ,
თუ მახრასავით მკერდს არ შემჭრები.
დაისი არის, ხომ მომასვენებ?!
მთელი სიცოცხლე სამტროდ მეძებდი.

## ვგრძნობ

გუმანით ვგრძნობ მზეს მივწვდები,
სხივებს მოვფენ ნათოშ მიწას,
არასოდეს განვდიდდები,
დარდიანნო, იმედს გიწნავთ.

## რამდენჯერ

*ძმობის იმედიც გარდამეცვალა*

რამდენჯერ უნდა მეტკინოს გული,
ვინაც მე ვიძმე ზურგი მაქცია...
მზეც ჩაესვენა, მზე ამოსული...
ნეტავ ბედისწრად გადამაქცია.
არავის ვავნებ, სიმართლის გზაზე,
ყველას საკადრისს სიტყვას შევაწევ...
არასდროს გავალ, შორს მრუდე გზაზე
თავს სატანების ბუდეს დავაღწევ,
დრო ისეც გარბის, დროს ვერ ვეწევი
აბა დროს ნეტავ არ ვინ აჯობა...
რატომ ვიარო, თვალის ცეცებით
მძულს სიბილწე და ხორცით ვაჭრობა.
გულს ერთი ძარღვიც აღარ შემორჩა
ნაისრ-ნაწიწკნი სულ ოდნავ ფეთქავს,
აღსარებაში ან რა გამომრჩა,
აღსარებაში კიდევ რა მეთქვა?

ვთქვი ყველაფერი, მაგრამ ისევე,
თვალი ისევე შემომეცრემლა...
ძმებიც ნატკენ გულს სიტყვით მისერენ,
ძმებიც ხელიდან გამომეცალა...
ვიცი, უფალი არ მიმატოვებს,
გასაჭირის დროს ღმერთი ახლოა,
ის შემიბრალებს, რომ არ დამთოვოს,
გული დარდების სამოსახლოა.
ახლა ღამეა... ვიცი სიზმარში,
ცათა სულები მესტუმრებიან...
ამოიღებენ ჩემს მტრებს მიზანში
ჩემთვის სულებიც ატირდებიან.
მტერს კვლავ ვუშველი?.. არა მგონია,
ძალა და ღონე გამომეცალა...
მადლს ვაფრქვევ ირგვლივ, მაინც ომია,
ძმების იმედიც გარდამეცვალა...

## თურმე სხვებივით

მთელი ეს წლები სისათუთით გიფრთხილდებოდი,
გაამებდი და გალაღებდი, რაც კი შემეძლო,
თურმე სხვებივით, შენც სხვებივით იღრინებოდი,
ვწუხ, გაგამხილე, აბა ჩუმად როგორ გამეძლო?!

## მგონი ის არ არის

სიკეთის მარცვალს, მაინც დავთესავ,
რომ გამიცელონ სულ მთლად ჯეჯილი,
კვლავ მტერს მოვუხმობ, იმ ძველ ნათესავს
მგონი ის არის შენზე კეთილი.

* * *

მე გაგეცალე ახლა კარგად ვარ,
გრილი სამოსი მხრებზე მოვირგე
მე ვისაც ვეძებ, შენ ის არა ხარ,
შენ არ ხარ ჩემი გულის მორიგე.

## ბრმა ყოფილხარ

ბრმა ყოფილხარ, ექიმბაში გჭირდება,
მეკი მზის გზამ სხივი შემომაშველა,
იცი ვფიცავ, სულ სიხარულს მპირდება.
მომევლინა ჩემი სულის საშველად.
მზის მკლავებზეც ხშირად ჩამოვისვენებ,
დროზე ადრე გაიშალა შინდები.
ამ წუთშიაც მხოლოდ ლექსით გიხსენებ,
დიდ აღმართსაც აღარ შევუშინდები.

## მადლი

მადლი ოქროა, ვერ იყიდი ამ დიდ ბაჯაღლოს,
მარგალიტია, სიმშვიდით ყოფნა,
გულო, არასდროს აღარ მაჯავრო,
ღმერთი მიშველის და რწმენით ლოცვა.

## ყინვამ დამსუსხა

ყინვამ დამსუსხა, უკვე მცივა
ავძაგძაგდები,
რით გამოვალღო გაყინული გული არ ვიცი,
მზეო, მომხედე, შენ არასდროს არ გაძაგებდი,
ძალიან შორს ხარ, ზღვამ ჩაგყლაპა,
სულ მთლად დამცილდი.

## დანაყრდებოდი

დანაყრდებოდი თვალით და...
თვალებს დაღლიდი ყურებით,
მათთან იქნები მთვრალი და...
სიყალბით დანაპურები.

## ნუ ბაირაღობ

ნუ ბაირაღობ, ქარქატა ქართან,
ქარი, ქარია, ბოლოს და ბოლოს.
გაგიჭირდება ზღვის გემის მართვა,
ქარს საბურთაოდ სჭირდები მხოლოდ.

**(ნანი მოსიაშვილს, უშანგი მოსიაშვილის მეუღლეს)**



## ტკბილი ენით მოსაუბრევ

ტკბილი ენით მოსაუბრევ,
წმინდა სულის დედავ...
გზას არავის არ აუბნევ,
სიყვარულით გკვებავ,
გიყვარს შვილი, შვილიშვილი,
სხვისი შვილთაშვილიც...
ცუდს არ ამბობს კაციშვილი,
დახვალ ფრთებგაშლილი...
შენნაირი დედა მინდა,
ბევრი იყოს ერში...
შენით ზეცაც გამობრწყინდა,
მტერის შესაშური,
გაიხარე, გაგვახარე,
ყველას დიდო დედავ...
შენით დარდი გადავყარე,
თვალით მზის შუქს ვხედავ.

## როგორ შევაქო

ისეთი თბილი, თანაც კეთილი,
ქალი — მე არსად არ შემხვედრია.
გული დარდით აქვს გადაფლეთილი,
ყველას ტკივილი, მისი ხვედრია.
სტკივა და უყვარს ირგვლივ მყოფები,
თავის შვილები, სხვისიც ასევე,
და საქართველოს დანაყოფები
კუთხე-კუნჭულის, მის ფიქრს ავსებენ.
ლოცვა ამშვიდებს, ლოცულობს დღისით,
ქალი-ქართველებს, უფალს ავედრებს,
თავისას ეტრფის, არ უნდა სხვისი,
სიკეთის მარცვალს მტერშიც დაეძებს.
ლექსით რას ვიტყვი, მის დიდ ღირსებას,
ან რას ჩამოვთვლი, რითი შევამკო,
დღეს ჩემი ფიქრი მისით იწყება,
მაგრამ კალამით როგორ შევაქო?

**პოეზია გურა-ანგურასი**



## ლექსები და გლოვის ზალადა

ჩვენ, ადამიანები, ხილვების სამყაროში მოარულებსა ვგავართ და გვსურს იქ ნანახი და გაგონილი აღვწეროთ. ჩვენ ვუბრუნდებით ჩვენს ბავშვობას და ამით თითქოს დაბადების ჟამს ვესწრებით და შემოქმედთან ერთად ვართ მარადიულ ქმნადობა-ცვალებადობაში, გარდაცვალების წრე-ბრუნვით მრავალფეროვნებას ნაზიარებნი. უტყვი ბუნება გვესაუბრე-ბა მრავალსახეობითა და მდუმარებით იმ სიტყვებით, რომელთა ძალმოსი-ლებით შექმნა უზენაესმა ეს სამყარო; ამოულეველი, უკიდეგანო, უსას-რულო, ყოველნით განფენილი, დაუსაბამო. ძალგვიძს კი, ადამიანებს სრულად შევიმეცნოთ და გამოვხატოთ მარადიულად ცვლადი არსი ჩვენი არსობისა? რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელია, მაგრამ მცდელობა, გავაკეთოთ ეს ნაწილობრივ მაინც, ჩვენი ვალია.

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს."

*(ნ. ბარათაშვილი)*

**თქვენი გურა-ანგურა**
**(გურამ გედევანიშვილი)**

### ოჰ, მოდი წვიმავ, წვიმაო...!

ოჰ, მოდი წვიმავ, წვიმაო...!
უშენოდ მომეწყინაო,
მომიყევ ზეცის ამბავი,
მზეს საით ჩაეძინაო,
მდუმარის წყლებზეც მითხარი;
ვინ წარსდგა ღმერთთან წინაო,
ვის უძღვნა წყალობის თვალი,
მიწად ვინ დააძინაო,
ვინ სთხოვა, მარად სიცოცხლე,
მარად სიცოცხლე სულისა,
ჩვენი ლამაზი კაცობის
საწყისი — დასასრულისა,
მეორედ მოსვლა ამ ქვეყნად,
წვიმად ან ნექტრის მწოველად,
პაწაწა მშრომელ ფუტკრადა,
ან ჰანგთა დამწყობელად
მგალობელ ჩიტად; ტოროლად,
ბულბულად, ანდაც შაშვადა,
თუ, შეუსრულე ვისმესა თხოვნა,
მამაყოფე ნარშავად,
შენ ხომ მშობელი დედა ხარ,
საწყისო, საწყისთ–საწყისის,
ვინ სად შობილა, ნეტა რად;
არ ყეფს, არ ყმუის, არ წივის.
ფრთებად მქმენ, ფრთებად, მეოხევ!
შემწევ ამ ჩემის ბედისა,
მადლობელი ვარ ყოვლისთვის,
რადგანაც სიმღერა მეღირსა.
ოჰ, მოდი წვიმავ, წვიმაო...!
უშენოდ მომეწყინაო,
მომიყევ ზეცის ამბავი,
მზეს საით ჩაეძინაო.

### სულო მცინარავ

ჰოი, პატარა, უსუსურო,
სულო მცინარავ,
ამ შუადღეზე,
რა ძილქუშმა დაგამძინარა,
რარიგ გიხდება,
დაფოთლილი იას ჩრდილები,
წყნარი დობილი — ნაკადული,
ნამის ღილები.
დრო მიმდინარებს,
შენ კი, მარად გძინავს შუადღით ,
მკრთალ მელოდიის
ქარვის ფიფქთა,
ლურჯი სურათით.

## მე, ოცნებაში ბაბილონის კოშკი ავაგე

მე, იცნებაში
ბაბილონის კოშკი ავაგე,
კოშკი იდგნენ და
ოცნებისა არა სჯეროდათ,
მე, ოცნებაში
ცათა ვსთხოვდი, ცათა არაფერს,
ცა მიყურებდა
და დაისის ფერით კვდებოდა.
ვიცი,
სიკვდილი თიხასავით
ყველას დაგვანგრევს,
თვალებს წაგვართმევს
და სიბრძნეში მოგვცემს ბერობას
მე, ოცნებაში
ბაბილონის კოშკი ავაგე,
კოშკი იდგნენ და
ოცნებისა არა სჯეროდათ.

## თვალნი ყინწვისის მზერა ცისკიდის შეერთვის ნისლს

ჩემი ფიქრები, ხვეული ვაზის,
ეხვევა ფერს,
გაცრეცილ ნაზის – ფერადი ხაზი,
ცისფერი ტბა,
ნამარხი ვაზის, გალობა ფაქიზ
წარსულში ჟღერს,
სურნელი დაფნის, გზად ფიანდაზი,
ალუბლის ხმა.
ვარდის ალმური, ფრთა სალამურის,
ხავერდი ძვლის,
დრო გაპარული, მზე დამალული
ლანდებში თვლემს,
თრთიან ზამბახნი, სხივნი მკათათვის
თითებსა სთლის,
მტრედი გართული ძოწის ალმურით,
ივლისის დღე.
სიო მიმოზის, ლურჯ სირინოზით
სივრცეში თოვს,
თვალნი ყინწვისის, მზერა ცისკიდის
შეერთვის ნისლს,
ო, ანგელოზო, დაბუგული
სხეული გრძნობს,
რომ იქ დაკარგვა და მორჩილად
სიკვდილი ღირს.

## ბინდი დასწოლია მთებს

ბინდი დასწოლია მთებს,
სევდა... განქრობა მშვიდი...
გულს რაიდ აღაგზნებს,
შენზე ოცნება – ფრინდი.

საით მივყევარ გზებს,
დახვეულ მთების კალთებს,
მგელთა თვალები ჰკვესს
და ჩემს ჯოჯოხეთს ანთებს.

შორი სილურჯე მკლავს,
სითაც მიიწევს გული,
სივრცე გადამხვევს მკლავს,
ჩანგურის ჩანგი – ჩუნგით,

მდინარე მოდის მდოვრედ,
ზეცა რამ დააფეთა,
კრიმანჭულები მოსდევს
მზე-მთვარეს ფეხდაფეხა,

ქორი ირაოს ჰკრავს,
სუნთქვა სიმღერამ შესვა,
ბინდი შენს თვალებს ჰგავს,
გადამექცევა ცეცხლად.

მთებში მარადის სდუმს,
ფერფლი სევდათა ბინდის,
საით მივყევარ მწუხრს,
ან გზა საითკენ მიდის.

## მომდევს სატევრით ჩუმი მდევარი

დროა დატევის,
მომდევს სატევრით
ჩუმი მდევარი,
სივრცე ნაქები,
ნისლით ნაგები
და სულ ეგ არის,
ვიცი, დაფლითავს,
გამშლის ხალიჩად,
სხივთა კიაფად,
ზღვაზე ნარინჯთა
ფერით დამიჯდა,
გადამიარა,
დროა მეწყერის,
წერო მეწევის,
ლაჟვარდს მთავაზობს,
მე კი, ვეცემი,
ჩემი ედემით,
სამარადჟამოდ.
ვიცი განგების;
ნისლთა ჰანგების
მახვევს სამოსელს,
თეთრი ვარდების
მკერდით მადნების
სასაფლაოზე.

## ორნამენტი მოკვეთილი ქვაზე

ორნამენტი მოკვეთილი ქვაზე,
არის გრძნობა დაწერილი სულით,
ამ უწმინდეს, უნატიფეს ხაზებს
არ უგრძვნიათ დროის დასასრული.
ამ, კვეთილებს, ამ, ფოთლოვან გამას
ზედ ატყვია უსახელო ვნება,
გაოცებას ქარის სუნთქვა ჰქარგავს
და ლანდების ჩრდილით იფარება.
აქ, გრეხილებს გრეხილები ერწყმის,
ტბა იშლება უჩინარი ჟრჟოლით,
მოქანავე, მოტირალი ლელწით,
ქალღმერთია ჭავლში მიმალული.
აქ, ქნარები მუსიკობენ ჰანგით,
რუშთმკვეთელის საალერსო მღერით
და იშლება კუდი ფარშევანგის
მოციაგე უთვალავი ფერით.
ვინც ხილვათა საუფლოში შესდგა
მოკრძალებით ფეხი საოცარი,
მას დაუხვდა უსრულეთის ფეთქვა
და სიცოცხლე წყალზე ნაოსანი.
მან იხილა უტურფესი გუნდი,
ფრთოსან ჩიტთა მანათობელ ფრთებით
მობნეული თვალნი იაგუნდის
და იმ გუნდში უხილავი ღმერთი.
ვინ დაწინდა სიზმარეთის გზები,
სიზმარეთის ედემური ბაღით,
ის აღენთო კოსმიური გზნებით,
მან იხილა ოქროსფერი თაღი.
ეზიარა უკვდავების სამანს,
ბროლის კამარს, გამოკვერილს დროით
აწ, გარდასულ და მომავლის ხანას
ჰპირდებოდა ნისლი, შორზე-შორი.
ორნამენტი მოკვეთილი ქვაზე,
არის გრძნება დაწერილი სულით,
ამ, უწმინდეს, უნატიფეს ხაზებს
არ უგრძვნიათ დროის დასასრული.

## ახსოვს ძველი ძეწნები

მარად მხიბლავს ფიქრებში, სანაპიროს სილაზე,
ზღვათა მშვენი ალერსი და ფერთა სილამაზე,
ახლაც გული მკვნესარე იმედით აღვსილია
და რაც დარჩა ნათელი ტალღით მონასილია.

სხვა, რა ვსთხოვო ზმანებას, სიხარულით, მე მეტი
ზვირთებში ქალღმერთებმა შეაცურეს ტანები.
მიუმატეს სილურჯე, შეაფრქვიეს ლილა სერს
და ლამაზი ყვავილი დააბნიეს მიმოზებს.

იძენძება ნისლები, სილუეტის ფონებით,
თვალს მღელვარე ცისფერით, ახსოვს ცის გოგონები.
ახსოვს ძველი ძეწნები, თმაჩაშლილი მდინარეს,
იმას, რასაც ვეძებდი, საუკუნოდ მძინარებს.

თვლემს ლანდების მირაჟი, ვით მიმინოს გაფრენა
ირეკლება მინაში წამიერი ნათება,
ვიცი ისევ მოვლიან ლილისფერი ხსოვნიდან
თოვს ირგვლივად სიჩუმით და სიმშვიდის თოვლია.

# ქარზე

ქარმა ჩუმად შემოაღო კარი,
ქარი იყო დამფრთხალი და მკრთალი,
შემოევლო შინას მდუმარ კედლებს
და გავიდა ფანჯრებიდან მზეზე.

მოიტანა იდუმალი სუნთქვა,
მყისიერად, ულანდავად, უცბად,
მიღმიერი სამყაროთა ყოფის
მას მოჰქონდა ბრძენთა მონათხრობი.

ის ვარსკვლავთა მიყვებოდა ამბებს,
ვით, დაუსხლტა კომეტათა ბანდებს,
წყვდიადეთში, სულ კბილების ღრჭენით,
გაიარა ზეცის ცხრავე ბჭენი.

იგი შეხვდა მდუმარ გალაქტიკებს,
ნისლეულებს სივრცედ მოტივტივეთ,
მზეს მოარულს ჩრდილის ქვეყნის თავზე,
მდუმარ წყლებზე იალქნებით სავსეს,

მნათობთ ნავებს მოქანავეთ სრბოლით,
თან მიჰქონდათ სხივოსანი ბროლი,
დიდი გზნება დაფარული ჟამით,
აწყობილი დროით, წამზე — წამით.

მე ქარს ვკითხე: ქარო, უხილავო,
შენთა მზერათ ვერსად წაუვანო,
უდაბნოთა ქვიშათ ბარხანები,
ვერც ჩანჩქერნი, კლდეზე დაქანებით,

ვერცა სფინქსის გამხედვარი მზერით,
ცისარტყელათ სპექტრალური ფერი,
პირამიდათ კოსმიური ხედვა
და ჩამოსვლა დედამიწად ღმერთთა.

ქარმა მითხრა: --- ეჰ, ძამიკო, ჩემო
ბევრი ვნახე მართლაც საოცნებო,
ბევრჯერ უსვამთ სიტკბოების თასი,
ისიც ვიცი, რაა გლოვის ფასი.

მე მინახავს ქარიშხალთა მსგავსად,
მეომართა მახვილების დახლა,
ქვიშის კვნესა და სიცოცხლის ქრობა,
ბინდის სხივთან მძიმე პაექრობა,

მდინარეთა სისხლის ტბორებს ვსდევდი,
ბედაურებს მე შევასხი ფრთები,
მშიერ — მწყურვალთ მირაჟები ვჩუქნე
და ღრუბლებით ცანი ჩავამუქე.

მახსოვს ყანა, ოდოქღერით მთვრალი
და ყანაში ლურჯ ღიღილოთ თვალი,
ცელთა ცივი მოწკრიალე მღერა
და ღალღების ჩუმი გადაფრენა,

ყმაწვილ ბიჭზე კუნთთა სხმული როკვა
და გოგონას ვნებიანი ოხვრა,
აღვსებული თრთოლვა — სიყვარულით,
სულ, ეს იყო, იმ დღის სასწაული.

...

...

ქარმა ჩუმად შემოაღო კარი
ქარი იყო უსაშველოდ მთვრალი.

# მთიბავი ცელს იქნევს

მთიბავი ცელს იქნევს;
თავწაჭრილები ჰყრია გვირილები,
ბალახის ცრემლები მიწას მკერდსა სწვავს
და ჭრილობებიდან მწვანე სისხლი სდით.
–მამა სათიბშია,
გიო, ნახირს წადი...
გარეკე...
თორემ, მზე გამოსცლის სასმისებს,
მთვრალია სიმწვანე მზიური ალერსით
და ძუძუ–სავსეებს რძე მოსდით მკერდიდან.
მზე ჰაერს აურევს,
მზე აირს აცეკვებს,
სამყაროს ედება ფერი – ქარვისფერი,
უკვე ათასწლოვან ცათა სილურჯეში
ისევ, იმ უძველეს სიმღერას ამღერებს.
როგორც ქორის ფრთები,
მთები გადაშლილან,
ლურჯი თვალები აქვთ მთებს,
სხეული წითელი ღვინით დაუფერავთ
ბორგავენ, საით წაუვლენ მზეს.
მზე ისე იცინის, როგორც მთვრალი ქალი,
მზე თვალებს ხუჭავს და თვლემს,
მთებო დაიჭირეთ ცათა ამორძალი,
ცათა ამორძალი მოახტა ცხენს...
თეთრი მდინარენი მის კვალს გაეკიდნენ
და როცა შეერთდნენ მგრგვინავ ოკეანედ,
შეჰკივლეს, ცისაკენ ხველებით აიჭრნენ
ვნებამორეული მზის ჩამოსატანად.
ჩუმად... ნაკადულთან ტყე გადაწოლილი
ჰყვებოდა ზღაპარს და სიზმრები ათოვდა,
გზა ეკარგებოდა, ვისაც მზე სწყუროდა...
გზები კი...
უგზო–უკვლოდ ობლად მიყრილები,
ვერაფერს შველოდნენ...
მშიერი სიკვდილის იწურებოდა
სისხლის მტევნები.
ჰოი, დედამიწავ, ნახვამდის, ნახვამდის,
ბოროტს შეეჭიდა სული შეუდრეკი,
ჩვენ ისევ მოვალთ ფერად ნახატებით,
ხედავთ,... გვირილები
ფერხულში ჩაბმულან,
ბალახებს შუა სდუღს
მიწის ცხელი მკერდი,
სხივებში თამაშობს ჩიტი–ჩიტოლია,
ღიღილოს მოუნდა კუკუმალიობა,
ყაყაჩო ყანაში ჩიტებს ემალება,
გიო... მზე ამოდის,
გარეკე ნახირი,
მამა სათიბშია,
გესმის მამაშენი!...
.........................................
და პეპელასავით მიფრინავს ოცნება.
......................................
მთიბავი ცელს იქნევს.

# ტბა ზამბახთა ლოდინის

მე ვეძებდი ბნელეთის თვალთ უხილავ დინებას,
მე და შავი ფრინველი, მე და რაში ქურანა,
მათ იქ ყოფნა ჩემეულ სურვილებით ინებეს,
მზე დავტოვეთ მჭვირვალი, ცად ღრუბელი უართა,

ტბა ზამბახთა ლოდინის, გზა იების სურნელით...
და დევების ლოდივით, ზვავთან შენაგუები,
უფსკრულს გადავიჩეხეთ, შორეული მთების ხმად,
ქვანტებს გამოპარული, იონთ შენატყუები.

კოსმიურ დერეფნებით, მოკაშკაშე ლანდები,
მკრთალი მინამღერებით, მრუდე გადაძახილით,
ირხეოდნენ ვარსკვლავთა გამჭვირვალე ფარდები,
სანთლის ნაზი ღერბი, დნობის ღვთიურ წადილით.

უკვე საუკუნეთა დამარხული დროები,
ისევე აბობოქრდნენ, იმ უხსოვარ ყიჟინით,
ესე, მოგზაურობა გაშიშვლებულ გონებით;
ესე, სრბოლა სივრცეში და გაფრენა გიჟივით;

ალბათ, ჩვენი ხვედრია ბრუნვა მარადიული,
მთვარეები გვესხმიან და მზეებიც წრიულად,
ცაზე დავლურს უვლიან, ვით მროკავი მთიები...
ეკვირინე... გეიგე...? გევიგონე... გიულა.

კუდიანმა ვარსკვლავმა ცაზე გეინავარდა,
ბანცალ–ბანცალ; ... გორა–გორს, მრუდედ, ფეხის არევით,
ოჯალეშით დამთვრალა, ახლა ცოლიკოურს გვთხოვს,
თან უტურფეს ქალწულთა (დღით და ამეღამეთი).

დიახ, ბნელეთს დავინთქით, ეჰ, ვინ მოსთვლის წყაროებს,
ეჰ, ვინ დასთვლის შადრევნებს და ქაფქაფა მორევებს,
აქ, სხივური ნაკადნი, ცივ ნათებას მონებენ
და სულების ზეცისკენ ამოჰყვება ქარ და ქარს.

ჩემი შავი ფრინველი ფარავს დროის მანძილებს,
რაში ოკეანეთა ტალღათ ბრუალს მიჰყვება,
აწი, რა დაგვაძინებს, აკინძულებს წამებად,
გადარეულს ეთერში, უსახელო ფიქრებად.

მე, არ ვიცი, სხვა გრძნობა, სხვა სურვილი ყოფისა,
ყმაწვილური ანცობა, მღელვარება თოფისა;
მინდვრის ბოლოს გაიქცა და იელის ბუჩქებში
გადეყარა უხილავს, მიმზიდველს და შფოთიანს.

დროს...? ... ვერ გეტყვით, არ ვიცი,
ღმერთს...? ... „ღმერთო, კი შეგცოდე“,
ფერს...? ... რა გითხრათ ალბათ მჟღერ
ჰანგებს გამოგვიწოდებს.

ყოვლის პირველ საწყისო!
მზევ, ბნელეთში მთვლემარევ...
სძოვს წარსული, ცეცხლით სძოვს
ფერფლად შემოგვეყარე,

ჩვენო დამბადებელო, მოარულო ბნელეთით,
ხედავ კაცობრიობამ ციური და ხმელეთი
არ დასტოვა, შენთან სვლად შარა... ბილიკ–ბილიკი
გადიარა, უგრძეს გზად; იმედით და ტირილით.

ლოცვად დადგა, მუხლთა ყრის აწ დაუდგა დროება;
შეეწიე ღვთიური ხმით, შენთან გამოთხოვება,
ვიცი ძვირად დაუჯდა და დაღვენთილ სანთელად თრთის;
წუთიერი ტანჯვანი, სიკვდილი და ბრძოლება.

ხოლო ჩვენ, კი ხოლო, ჩვენ, კვლავ ჩვენ უღალატონი
ვინაც გამოვიგონეთ ტრამვაი და ავტოსი,
მივსრიალებთ, მივყვებით ქვედაღმავალ სპირალებს
ზღვებს ერთვიან წყარონი და უხილავ მდინარეთ.

და იქ, შეუცნობადის სად აწმყო და მყობადი,
ისევ გარდამავალი წამ–წამებით იწვიან,
ზეიმობენ რჩებიან მარადისში ნამყონი
და მინდვრები მარხავენ გმირებს ფარაჯებიანს.

რისთვის, რისთვის, ვინ მოსთვლის კითხვას კითხვა ეხვევა,
სასაფლაოს ლოდებზე ცრემლთა ძაძა ბიბინებს,
ვითა მრავალეკალთა სისხლიანი ბარდები,
ღამეული იები, საღამოის ვარდები.

გეიგონე, ძამიკო! ბრძენნი სოფელს წუნობენ,
იყო არა, იყო რა, და ჩვენც აღარ ვიქნებით,
ბანზე, სახლის მყუდროზე ბოშვმა ხოხვა დაიწყო,
იქვე, ხეზე შემოჯდა უცნაური ფრინველი.

ბნელში იშვის ნათელი, დღე დაძენძავს ღამეთა,
საუკუნე გათელილ დასცქერს არე–მარეთა,
მკვდარ გადაყრილ ყვავილებს მზე, დამსხვრეულ იმედთა,
ღვთივ — საუფლოდ დარჩენილთ ისევ შემოიკრეფავს.

## სამი დღით ადრე იწყებოდა ჩვენი ქეიფი

სამი დღით ადრე იწყებოდა ჩვენი ქეიფი
სამი დღით ადრე ...
მაღალი გოგო, ვით ენძელათ ფერადი გუნდი,
გაანათებდა სარდაფის კედლებს.
დრო იყო ცივი, მარტების ქარში
და გაშმაგებით ჰკოცნიდა ქარი
ხეებს მთლად შიშველს ...
დრო იყო წვიმის — თქეშების ქსოვის,
დრო იყო ზამთრის — უწმინდეს ხსოვნის;
გოგონა სახლში — კედლების თალხი,
იების შუქით ...
მე ვიყავ მაშინ სული მდუმარე,
მე, მაშინ, მუნჯი წვიმები გახლდით.
...
ვეფერებოდი იმის სოველ თმებს,
მის მაღალ კანჭებს, წნელივით მკლავებს,
(და გაშლილ თმებში ჩაკარგული)
ვეკონებოდი; ლოყებს, ბაგებს, დიდრონ თვალებს,
ყელსა კოსმიურს,
ბორცვებს მინანქრის.
...
იგი დარბოდა — ყოჩივარდით ავსებდა ქუჩებს.
...
თუ კი გაივლი, იქ,
კვლავ ნახავ ღიმილის ტოტებს
აყვავებულებს ტყემლით, ალუბლით.
...
ეს ის დრო იყო; ალვის ხეთა მდუმარე ნისლით,
ვერეს უბნელთა ზმანება როს დატორტმანობდა.
...
სამი დღით ადრე იწყებოდა ჩვენი ქეიფი.

## წყნარი სონეტი თაქთაქიშვილის

წყნარი სონეტი თაქთაქიშვილის,
მთვრალი მიდამო, მძიმე ჩუქურთმა,
ძველი დროებით ამშვიდებს თბილისს...
აივანთ სევდის უნაპირობა.
სივრცის ალმური ნიავდება მუყაოს ფურცლით,
მოხუცი ქალის მიმქრალი მკერდით,
 თვალთა ნაოჭით,
ჭაღარა თმების აწეწილი სუბუქი ბუმბლით,
მოგონებანი ვნებიანი და განაოცი.
კლავიშებს ხელი, მოწყენილი ხელი აჟღერებს,
ვითარც ტკივილებს ვარდთ უიღბლო
 ფოთოლცვენისას,
პოეტო წამი, მოჩუმათო წამი დასწერე,
ჩვენი სიკვდილის და ჩვენივე გადარჩენისა.
ფრთხილობს სონეტი, ფეხაკრეფით
 მიდის დროება,
მზე იბლანდება სახლებს შორის,
 ხეთა ვარჯებზე,
ქვაფენილებზე კვდება სხივთა ჩუმი თავმოყრა
და დასდევს კატა ათინათთა ლანდურ კაეშნებს,
წარსული მარად უნაპირო, მარად უდროო,
წყნარი სონეტი, მკრთალი მიდამო,
 ძველი დროება;
მთას შეკიდული, დაბრეცილი
 ქუჩით მყუდროობს
და აღარავის აღარასდროს მოაგონდება.

## შიშველი მარტი

დრო გადიოდა...
თეთრ გაზაფხულს ველოდებოდით,
...
იგი მოვიდა;
თოვლით, ბარდნით და უგზოობით,
მთლად ფეხშიშველი გამორბოდა
ზამთრის მდელოთი,
აქათქათებულ თოვლის ფანტელში,
ვიღაცას მაშინ ახსენდებოდა შხაპუნა წვიმა, –
ვიღაცას — თაღი, ხეივანი — ცისფერი კვამლის,
ქარებს წაეღოთ შორეულში ხმა თებერვალის
და იდგა, იდგა იდუმალი, შიშველი მარტი;
ბნელი ფერების წიაღიდან დაბადებული,
შემოძარცვული თმებგაშლილი და ბედნიერი.
...
დრო გადიოდა...
თეთრ გაზაფხულს ველოდებოდით.



ლექსების კრებული
თბილისი, „ვერც ერთი ზმანებათ".
ნახატი: თამარ გელოვანიშვილისა

## ხეზე ვარსკვლავები დაეკიდა

შორეულ ვარსკვლავებს და ბროწეულებს,
ალმასებს შუქიდან მოხეულებს,
ხეზე ჰკიდებენ...

და შენ თინათინო შორეულო,
შორი ვარსკვლავების ორეულო,
დაისის სიმწვანეში იფეთქე.

მოგთხოვეთ ზღაპარი და ამბის თხრობა,
ვარსკვლავი სხვა ვარსკვლავზე ვით გათხოვდა,
კითხვა-ოცნებებით მოგესიეთ.

შენაც, არ დაყოვნდი, მოგვიყევი,
ვარსკვლავთ სიყვარული როდინდელი,
ნექტარ-ყვავილისა შევიმტკბარეთ.

გაიხსნა კაბადონი ასაფრენი,
ფრთები გამოგვესხა გარდაქმნების,
კოსმიურ ქარიშხლებით დაგვიბერე.

მოვწყდით დედამიწას, ცის კამარებს,
მისის მაგნეტიზმის ია-ვარდებს,
ასე, დავედარეთ მთვარეულებს.

ხორცეულ ნდომისაგან განვიბანეთ,
ტანზე გადავიცვით დღე და ღამე,
სხვისა ავემგზავრეთ მიმავალსა.

მიმსრბოლნი, მღვიმეთა ნაოსნები,
ვარსკვლავნი გვიმზერდნენ გაოცებით,
სტვენა მოისმოდა სერაფიმთა.

მზირალთ ყოველივე დაგვავიწყდა,
სჩანდა მირაჟებში დედამიწა,
ნატვრის ცრემლებითა მოვინამეთ.

ხოლო, მანამდე კი, გზისა პირსა,
ასე უცნაურად, შუადღისას
ხეზე ვარსკვლავები დაეკიდა.

## გასეირნება პლანეტა მარსზე

იქეთობისას შევიარე პლანეტა მარსზე,
მელნისფერ შუქით მოშუქობდა მისი აურა,
რაც გაგონილი მქონდა, ახლა და მეტიც, მასზე
მე, განმაცვიფრა სირინოზთა წრიულ ხმაურმა.
ქარის სისინმა, ნამყოს ცისიდან, არც რა მისმინა
ბორიალობდნენ ბოლეროთი „საპნის ბუშტები“,
ლანდნი მოჰქროდნენ, მოისრობით, თვითონ ისინდმაც
ზეცა გადახსნა, მოლუსკებით შენაქუჩები.
ბინდი სერავდა, ამწუხრებდა სერიდან – სერებს
სერიდან – სერებს დაისობის სევდა იპყრობდა.
ნისლით ამღვრევდა, აორთქლებდა ლამაზ სიმღერებს
ტალღით უსიტყვო, უნაპირო შარი-შურობა.
შემიპატიჟეს ერთ ოთახში, დიდის ქოთქოთით
იქ ოჯალეშის ღვინო მასვეს, კახურს დამპირდნენ
მასვეს იონიც ლამპიონით, მერე პროტონი,
მერე დიოდის უგემური ლუდი მაგემეს.
სუფრა გაშალეს, მაშარაფეს მაგმურ ქანებით,
წვრილი ღერღილის ნახავსარი ფაფა შემოსდგეს
სხვა საწებელთან აქ, შემიქეს მარილმჟავებიც,
უპირატესი პატივით და მეც ის ვირწმუნე.
ქვედაღმავალი ნაკადების იყო განფენა,
სახლები ჰგვანდნენ ოაზისურ რადიოპანელს,
მცირე ქვანტები გაფოთებულ მუხტებს დასდევდნენ
როგორც მშობლები უსაყვარლეს პატარა ბალღებს.
არსად მდინარე, არსად წყარო, არსად გუბურა,
არსად ბალახის მოღიმების მცირე ნასახიც,
რაიც მიწიერ მოარსებებს, ნდომით, გულს უნდა
არც ჩიტთა ცისკრით მოჟივჟივე შემონაძახი.
იქეთობისას, იქ და გზაში მერაც ვიხილე
ოხერი თვალით, გულისყურით, აზრთა გუმანით
ჩამოგიყარეთ, დაგიბერტყეთ, ჩამოგილხინეთ
ბევრიც დავატკბე, დუმილით და ჩუმის უარით
სხვა, რაღა გითხრათ წარმავალნო, მდინარეებით
აივსებიან კალაპოტნი, აბობოქრებით,
იქ, ზღვაც გაჩნდება, ზურმუხტოვან შუქით, მზეებრი,
სად ნაკადულთა უწმინდესი სუნთქვა განქრების.
მიიქცევიან მისაქცევნი მღვიმეთა შიგანს,
იმედთა ციცქნა ჭია – ჭია მაიკოები,
უსუბუქები გაფრინდება სულებში მიწა,
ვით ზეციერში მოკრეფილი იის კონები.





თბილისი, ლოტკინის [illegible] „ვერიკელების ჩხაკუნები".
ნახატი: თამარ გედევანიშვილისა.



[illegible]

[illegible]

ნახატი: თამარ [illegible].





ლექსების კრებული
თბილისი, "ვერის უბნის ბიჭები".
ნახატი; თამარ გელოვანიშვილისა.



# ჯონდოს სიკვდილი და დატირება

## (გლოვის ბალადა)

**მთქმელი:**

თავი მოიკლა ჯონდო ხარებავამ,
ვაჟკაცი იყო, ვაჟკაცი ბიჭი,
დედამ უბედურმა თავში ქვა იხალა
და შვილს მიაცილებს ნახევრად გიჟი.

ჰაერში გაისროლა ორჯერ, უხილავი
მტერი როს განგმირა ვაჟმა
მერე, უსულგულო ტყვიის – გამყინავის
გულში დაიპირა დახლა.

ახსოვს, ფეხშიშველი დაცვარულ ბალახზე
მზისკენ რომ მირბოდა იავნანა,
დედა დაინახა ცრემლში მონანავე
და იმ ოცნებაში გადავარდა.

მერე აგიჟებდა მთვარე მდუმარებით,
მთვარე, ცივი შუქის ციაგებით,
ერთი ფერგამკრთალი სხივი მწუხარების
ნისლით დაიგლოვებს და ცის მინანქრებით.

თრთოდა საფეთქელთან ძარღვი განუწყვეტლივ,
მერე, გაშმაგებამ ზარი ჩამორეკა,
სიკვდილმა შემართა ცელი დადინჯებით
და ჯონდომ ცხელი ტყვია შეაფეთა.

მაშინ, გადაიხსნა ზეცის შვიდი კარი,
გალობდა ანგელოზთა დასი დაბადების,
დედო, გამიხსენი სული სანუკვარი,
დედო, შენი გულის სითბო მენატრება.

როგორ დაესაჯა, როგორ დაეთრგუნა,
თუ, კი, მამალივით ყიოდა მეობა,
მთვარე ნაფლეთებად როგორ აეკუწა,
როგორ წაერთმია ცისათვის მზეობა

და გაშმაგებულმა ავაზამ, ზმორებით,
ცეცხლის ნაპერწკლები თვალთაგან დაკვესა,
ჩვენ ერთხელ მოვკვდებით, არ განვმეორდებით
და მზეს აორტიდან სისხლი შეაშხეფა.

**მოტირალნი:**

იაზონს მედეა მიჰყავდა ეგეოსს,
დოუ, ნანა ...
ჩქიმი ცოდო ჯონდოია, დოუ, ნანა,
...
არგონავტებმა გაშალეს იალქანი,
ზურგის ქარიც მათკენ არის,
კოლხი ჯონდოია გაჰყვა მზის გზას
და მზე უცებ მოკვდა ჰორიზონტს იქით,
დოუ, ნანა ...
ჯონდომ ზღვის ნაპირას თავი მოიკლა,
სისხლისფერი გახდა მოალერსე ტალღა,
სევდა გულსა სერავს,
ჯონდოია,
ბიჭო!
ჯონდოია! ...

**ხორო:**

ვისი მოკვლა უნდოდა ჯონდოს,
ჯონდო მტრის ჯავრს არ შესჭამდა,
მალე გაზაფხული მოთოვს,
როგორ, გადაურჩეს ტანჯვას.
მოცეკვავე ისე, როგორც ჟონგლიორი,
ატრიალებს ხანჯლებს აღტაცებულ მზერით,
ზღვას გაშლილად ერთვის მდინარე რიონი
რომ უმღერდა კლდეებს, გიჟურ გაშმაგებით.

**დედა:**

კარგ ვაჟკაცებს შვენით ბრძოლა – საყიჟინო,
მტერს მიეზღოს მტრული – ორლესული ცივი,
ნუთუ, მისთვის გზარდე თვალხატულო ბიჭო,
რომ გახადე დედა ბედით დასატირი.

**ხორო:**

დაჰქვითინებს საფლავს მარტოსული ქალი,
ქალი ღვთაებრივი, ანგელოზთა დარი,
კვიპაროსთა მზერა, ჩუმი, ოდნავ მწყრალი,
სულს სივრცეში ახვევს ფრთათა სინარნარით.

ბოროტების საწყისს ებრძვის ჯონდოს სული
ხარი ალესილი რქებით ეღირება,
ჯადოსანმა ბედი დააბედა კრული,
ხარია, თუ, შავი ღამის შეკივლება.

გუშინ იმ ბოჩოლას, იმ პატარა სულელს,
გულში იხუტებდა საალერსოდ მოსულს,
უკოცნიდა თვალებს, დრუნჩსაც მუდამ სოველს,
ნუთუ ბრმა მყოფადი უშობნია წარსულს.

**ძმაკაცთა ტირილი:**
მეხის გავარდნასავით იყო, ესე ამბავი,
ჯონდოს თავი მოუკლავს,
ჯონდოს თავი მოუკლავს,
ლეჩაქი, მოსართავი, ცოლო! დღეიდან შავი,
შენი მეგობარია და გლოვის სამკაული.
ბიჭო, ეს რა გვიყავი ...?!
(ძმაკაცთ გული წასვლიათ)

**ხორო:**
აწი, მარადისობის მდუმარების შვილია,
უცებ, ჩამოიშორა წუხილი და ვარამი,
აწ, იქნება, ტანჯვათა სხვა გზები აირჩია,
მტრის ბუნაგთან გაშალა საბრძოლველი კარავი,
სიკეთე–ბოროტების გულსა სწავავდა იარა.
ჯონდოს თავი მოუკლავს,
ჯონდოს თავი მოუკლავს,
მეხის გავარდნასავით იყო ესე ამბავი.

**მთქმელი:**
წვეთავს არაყი, ჯერ რახი არის,
ქვეყნად ლოთობა ვერვინ შერისხოს,
ცეკვავენ, სიკვდილს აცალონ ბრახი,
როკავენ, თითქოს ტანი მღერისო,
გაჩნდა ბიჭუნა, ტოტებზე ვაშლი
გამოინასკვა, ვით საოცრება,
მისი სიცოცხლე ჩიტივით გაშლის
ფრთებს და სივრცეებს ჩაეკონება.
ცერული, ტაში, გზნების ტაიჭებს
ველურ ყიჟინით მიაჭენებენ,
მარჯნების ტბაში, რაღა დაიჭერს,
გადაეშვნენ და კიდეც გასცურეს.

**ბავშვთა გუნდი:**
მზემ, როდესაც გაათბო გული დედამიწისა,
ენიშნა საქართველო წალკოტად ედემისა;
შინდი დაიბურება ციურ იაგუნდებით
და ტყეს გადაუფრენენ პეპელათა გუნდები,
ფერადი ხატულები, სხივთა ჩუმი ალერსით,
უცებ, მოფრინდებიან გაზაფხულის მხარეში.

**უფლისა განგებითა:**
იგი ამოვა პურის ყანაში
და შემოურბენს ჭიაკოკონებს,
ჭაობის ჭინკა ძველ ზღაპრებს უსმენს,
ნინიას მოზვერს გზა დაჰბნევია,
მგელი საკბილოს კვალზე შემდგარა
(თეთრი მხედარი, თეთრ რაშზე მჯდარი
ქარიშხალივით ცხენს მიაგელვებს)
გაუმართნიათ ქაჯებს თამაში,
დევებს დევური ძილითა სძინავთ,
ჩანჩქერი ხევებს ჩასდით ხახაში
და დედაბერი ვარდება კლდიდან.
...
მიწა მოისხამს ალისფერ ქოლოს,
სოფლის ლამაზი გოგო მოსძებნის,
მისი ნათალი თითები მხოლოდ
დაუბრუნებენ სიცოცხლის საწყისს.
ქალიშვილები ჰკრავენ თაიგულს,
ჰანგის მდინარე ღელავს ვარდებად,
ვარდებს ატანენ ათრთოლებულ გულს,
ვით მზეჭაბუკთა შემონათებას.
ტრიალ მინდორზე ცოცხის ყვავილი
სოსანისფერი ცეცხლით ანთია,
ველზე ქარივით გამორბის ალი
და ბზინვარება ღებავს განთიადს.
როგორც ულაყის სისხლის თარეში
ისე, ბობოქრებს თმები ალისა,
აჰ, გაებნენ ვნების მახეში
თვით ღმერთკაცები სილამაზისა.
სძინავს გოგონას ლამაზ სიზმრებში,
სიზმრები მორბის ნაკადულივით,
ნაკადულია ბიჭი გიქმაქი,
სურნელებათა ჰანგთ თაიგულით.

# ჯონდოს ხუცი და მისი ანდერძი

დაიფერფლება დღე სამყაროსი,
ჩემი მილევის დადგება ჟამი,
ბაღის ჩეროში გთხოვთ დამასვენოთ
და ჩემს ბავშვობას შეხსენით კარი.
დგას ფეხშიშველი ბიჭი სხივებში,
მსუბუქი, როგორც პეპელას ფრთები,
ვიწრო ორღობის ლაბირინთებში
მიდის ურემი და ვიღაც მღერის.
შეხუნძლულია ატმის რტოები,
სჩანს ქალიშვილი მორცხვი ღიმილით,
მთაზე მიუდით ჟღალი ხბორები
და სოფელს გაჰკვეთს მამლის ყივილი.
ბაღს მოსდებია ღელვა ნაყოფის,
კრეფავენ მიწის საკვირველებას,
თითქოს ჟამია ყოფნა-არყოფნის
თითქოს სათქმელი შემოლევიათ.
მზე მოუსხია ხეებს ნაყოფად;
ულევი, როგორც სივრცე, ზღვაური
დგას დიონისე, ვითარც დატკბობა,
როგორც ვენახი ცოლიკაურის.
გამორბის ბავშვი, მკერდამდე ყანა,
სხეული გრძნეულ თავთავში სცურავს,
დედა, იმ ყრმობის მიმღერე ნანა.
იმ, რძის ნაჟურით ამივსე სურა.
...
ჰაუ, აქედან სჩანან სერები,
სამკალ-სათიბი და საძოვრები,
მთიბავებს ბასრი მიაქვთ ცელები
და მოსალხენად სალამურები.
ჰე, მაშინ, წყნარად მიმეძინება
სიზმრებში, ციურ ყვავილთა ფიფქით,
როგორ მიყვარდა, გამახსენდება
და გავიღვიძებ აისის ჰიმნით.
მერე, მომძოვენ ჟღალი ხბორები,
მათი ვიქნები მე მაცხოვარი,
სამყაროს ისევ მოვაგონდები,
ნატვრის ყვავილი სწორუპოვარი.
დაისიც ქრება, ძლივს ისმის ხმები,
სივრცეს მიაპობს ხომალდი ჩქარი,
სხივთა უსიერ ტევრებში ვქრები
და ჩემს ბავშვობას ეღება კარი.




**ფრიდონ ზოიძე**

## აგვისტო

აგვისტოს ცხელი და მწველი დილა გათენდა მახსოვს
ქართული მზე კი, ვარვარებდა, იწვოდა ცეცხლზე.
თითქოს ამინდმაც ომის ყიჟინა ქართველებს გვამცნო,
ეს ის დღე იყო როცა იბრძოდნენ შინდისის ველზე.

მზე იმ დღეს თითქოს გასროლილი ჭურვივით გასკდა
და ნამსხვრევებად მიმოფანტა სხივები სიმწრის,
იმ დღეს ქართველთა სულის გოდება ყოველ ზღვარს გასცდა,
მზე კი ცხელ რისხვას ცოდვილ მიწაზე
ისვრის და ისვრის.

ოფლის მაგივრად მეომრებს შუბლზე მირონი მოსდით!
წმინდა გიორგი გამოეცხადა გმირ-გულა ბიჭებს.
სამშობლოსათვის თავ-განწირულ ჯარისკაცებთან,
აგვისტოს მოკლე ღამეებს მათზე
ლოცვაში ითევს.

ღმერთს შეავედრებს მათ სახელებს და ზეცაში მიჰყავს,
მიჰყავს უფალთან შესახვედრად წმინდა გმირები,
სამშობლოსათვის გადაიქცნენ მტვრადა
და მიწად
საქართველოსთვის თავდადებული ნორჩი ბიჭები.

ეჰ! ნეტავ მეც რომ ვყოფილიყავი იმათთან ერთად...
ეჰ! ნეტავ მეც რომ ვყოფილიყავი იმათთან ერთად...

## გამოგზაური

მზიან ამინდს, ეფარებოდა ცაზე ღრუბლები...
დრო აინუნშიც არ აგდებდა
სწრაფად ჟამთასვლას...
მე მომავლიდან, ცოტა ხანში კვლავ დავბრუნდები...
იქნებ იქამდე რომ გაუძლოთ სევდის თავდასხმას.
სუსხიან ქარებს, ღამით დარებს და სავსე მთვარეს,
ცხოვრებით ნაფერ ბუნებას და ნამქერის ნარჩენს...
შენ თვალებს ახელ, გულით ნამღერ გრძნობებს გაამხელ...
დილის მზესავით გამიღიმებ, მიგრძნობ ხმის გამცემს...
რომ ათინათებს, დილის სიო ტოტებში აბნევს...
განთიადია, ცის ლაჟვარდი ყველაფერს ამჩნევს...
უფოთლო ხეებს, მზიანი დღე სიცივეს ართმევს...
გამაღვიძებ, გიგრძნობ და კოცნის ალშებში გახვევ!
რომ გაგრძელდება უსასრულოდ დროში დღეები,
და მას მიჰყვება ღამეები, ცხელ სხეულებით...
ასჯერ მაინც მოისხამს კვირტებს, ფოთლებს ხეები!
და იმ მეასე შემოდგომით დავსნეულდები.
იმ დროს ხელებით თმებზე მორცხვად კვლავ შეგეხები,
და ლამის ჩამქრალ თვალთა ცქერით გაგითბობ ოთახს!
მივსდევ დროებას და ვერას გზით ვეღარ ვეწევი,
შენი პოეტი კალმით ხელში ლექსებით გმოსავ.
ამ ოცნებაში, მინდა ასე იქამდე დავრჩე,
იმ დრომდე, მანამ, ჩემი სუნთქვა შენს თმებს შეარხევს...
მსურს სიყვარულის ელექსირი იქამდე გავცეთ,
უფალი ჩემს ღრმა სიბერის
ჟამს სანამ შემამჩნევს.
არ, რა იქნება სათმენი და აუტანელი?
ტრფობის გიზგიზი, გულის ღადარში რომ აგიალებ?
დრო უცებ გავა, უფლის რწმენით, წმინდა სანთელი,
ჩემს საძვალესთან ამინთე და აბრიალე.
წინ დიდი დროა, შორი გზაა იქ მისასვლელი,
ამ ლექსის მერე, შორ აწყმოში როგორ გაჩერდი.
ქალო მზისთვალო, დაილოცოს შენი გამზრდელი,
და მოთმინება, რომ ჩემს ხელში ასე დაბერდი.

## ლექსი

ზოგჯერ არის რომ,
მოგროვილ დარდებს,
ვერ უმკვლავდები,
გინდა იტირო!
არ გსურს ფიქრები
გჭამდეს და გკლავდეს,
ან კიდევ ბოლო
ხმაზე იყვირო.
ისეც იქნება,
დაგროვილ სევდას,
დატბორილ ცრემლებს
ეპოვოს კვალი...
ამ ღამით მუზა,
რომ ამიმხედრდა,
ველარ მოვხუჭე
ვერცერთი თვალი.
ისეც ხდება, რომ
ცხოვრების რელსებს,
არც წინ მიჰყავხარ
და არც გაბრუნებს...
მაშ რა აზრი აქვს
დაწერილ ლექსებს,
როცა ტკივილი
გიტევს, გაბრუებს...
ჩემს დროებაში,
მე როგორც ვხედავ,
ხალხს არაფერი
აღარ აკვირვებს!
რას არ გაიგებ,
რას აღარ ბედავს,
ადამიანი რომ
დააპირებს.
ზოგჯერ მოხდება
უამრავ საქმეს,
არც უჩანს ბოლო
და არც ნაპირი...
როგორც ქუჩაში
ნაგვის ყუთს- სავსეს,
რომ ვერ უპოვეს
ვითომც ადგილი.
ასეთ ქალაქში
არ მსურს ცხოვრება...
და არც ჩემს ტყავში
მსურს გაჩერება!
გულ-ხორცს ვინ სჩივის?
სულის ცხონება,
ძნელია ცოდვის
არ გახსენება...
ჩვენ სადაცა, ვართ
მიმოფანტული,
იქ დავემსგავსეთ
უმწყემსო ფარას ...
წმინდანი ფულზე
გამოსახული,
მეფეს არაფრის
უფლება არ აქვს.
უგუნურ მეფეს
მწყემსი ჯობია,
ცუდ მწყმსს ბღავანა,
ურჩი ბატკანი!
ცხოვრება ასე
რთული როდია?
არავინ არის,
ვფიქრობ საწყალი!
ყველაზე დიდი
მტერი თავია!
თავი რომელიც
ტანზე გვაბია!
სხვა, სხვის საქმეში
სულ მართალია,
თავის საქმეში,
ხომ სულ გვამია.
ზოგჯერ კი არა ?
სულ ასე გორავს...
ქრისტეს ეკლიან
გზაზე ურემი...
ხან დაღმართია,
ხან აღმა გორა...
ხან თავი გვტკივა,
ხანაც ნუნები.

***

ქართველის გულში არასოდეს შეწყდება ბრძოლა,
ჩვენ ვაჟკაცობა წინაპართაგან, ოდითგან მოგვსდევს...
ყოველთვის, სულით ქართველს ჰქონდა ეს წინათგრძნობა,
ერთი „ძლევაი საკვირველი" რომ უნდა მოხდეს.
რაც უნდა მოხდეს, რაოდენ დიდი დაგვესხას მტერი,
უფალი თავის სამშობლოს და სახლს
არ მიატოვებს.
მუდამ გვჯეროდეს, რომ ყოველთვის მოვიგებთ ომებს,
თუ კი ერთმანეთს ბრძოლის ველზე
არ მივატოვებთ.
ჩვენ არაერთხელ მიგვანიშნა ამაზე ღმერთმა,
და მოგვივლინა შინდისის გმირთა გამოძახილი...
ასი ათასი საუკუნე გავიდეს
თუნდაც,
არ განელდება სამშობლოსთვის ბრძოლის წადილი...
თავისუფლება მუდამ იმეფებს ქართველის გულში...
არ დაჩლუნგდება ქართული გორდა,
არ დაბლაგვდება
არ განელდება, სამშობლოსთვის ბრძოლის წადილი...
არ დავივიწყოთ შინდისის გმირთა გამოძახილი.

# საბავშვო განყოფილება



ნაირა ნიჟარაძე



## სამკურნალო და შხამიანი კენკრები

ბებომ ლუკა წაიყვანა
ტყეში, კენკრა უნდა ნახოს,
— ეს კვრინჩხია, ეს მაყვალი,
სასარგებლო, ხარობს ახლოს.

ბუჩქებზე კი, რაც ხილია,
განა სულ დასაწუნია,
მას დათვიც კარგად მიირთმევს,
ციყვიც სადილობს წუნია.

ბუნება გვაძლევს საზრდოს და,
არვინ არ იცის რა გველის,
ყველა სულიერს ალაღებს,
წყალი, სითბო და ჰაერი.

გაზაფხულია გულთბილი,
ზაფხული მეტად მცხუნვარე,
შემოდგომას ხომ ვაღმერთებთ,
ზამთარი ზოგჯერ მძვინვარებს.

გაზაფხულს მოსავს სიმწვანე,
ახავერდება მთებისა,
მთვარე იდუმლად დაცურავს,
მადლობელია ბედისა.



აი, ასკილიც, გაზრდილა,
დახუნძლულია ნაყოფით,
ვიტამინებით სავსეა,
მოდი, დავკრიფოთ სამყოფი.

ჯერ ვარდად გადაიშლება,
მერე დაისხამს ხასხასას,
წითლად ღვინდება, მწიფდება,
ტოტზე დაჯდება ათასად.

მოვკრიფოთ, წვენი მივირთვათ,
ღვიძლის ტკივილებს უხდება,
გახმება, შეინახება,
დაჭკნება, არ გაფუჭდება.

პანტა — ვაშლის ხე აქვეა,
მაჟალო ავსებს კალათებს,
ღვიძლში კენჭებს შლის, აშორებს,
„პოდაგრას“ სპობს და ანათებს.

ასევე, მსხალი ტყიური,
სხეულს ზრდისა და ამაგრებს,
თირკმელების სამკურნალოა,
კამპოტებს ტკბილად განაგებს.

შორს, ქაცვი ბრწყინავს ყვითელი,
შველის დამწვრობას, მოყინვას,
აქრობს ანთებას, ეგზემას,
კარგად იცნობენ ოდიდან.

მწამს თორმეტგოჯა ნაწლავის,
ძლიერ ტკივილებს დაშლიდეს,
თბილ საშვილოსნოს ყელსაც კი
და სხვა სატკივარს ამშვიდებს.



გახედე ველებს, ბალახში,
მარწყვს ჩიტუნები ელიან,
სისხლნაკლულობას აღადგენს,
გიბერტონიის მტერია.

რამდენჯერ მოგვიკრეფია,
ბავშვებს წითელი მარწყვები,
თურმე რა სასარგებლოა,
მთის ფერდებს თუკი აჰყვები.

მრავალ სიკეთეს შეიცავს,
ა, ბ, ც და რ – ვიტამინს,
შაქარს, რკინას და მჟავეებს,
ტკბილ წვენსაც კარგად იტანენ.



მუხა დიდია, წერწეტი,
რვაას წელს ცოცხლობს თამამად,
რკო აქვს უხვი და საქები,
სისხლსაც ადედებს ანაზდად.

მისი ფოთლების ნახარში,
უხდება ავად ფილტვებსაც,
უხდება ყელის ტკივილსაც,
ღორი კბილებსაც ილესავს.

მაყვალი გნებავთ? აქვეა,
ბუჩქები მწვანედ შლილია,
ზედ შესკუპულან მარცვლები,
შავად მბზინავი ლილია.

ნაწლავთა კატარს უხდება,
კარგ ხასიათზე განგაწყობს,
ერთხელ ბებიამ შემწვარი,
წიწილი მასში ჩააწყო.



ჟოლო სულ ვარდისფერია,
სიცხის დამწევი კენკრაა,
სისხლნაკლულობას შეავსებს,
ვიტამინების კერაა.

არომატული მცენარე,
ტკბილი და მეტად ნაზია,
მუცლის ტკივილსაც ჩააქრობს,
ბუჩქის სიმაღლე არც კია.



ამშვიდებს ნერვიულ სისტემას,
წითლად მწიფდება ძახველი,
ათეროსკლეროზს უხდება,
განიკურნა მნახველი.



შოთხვი – ხასხასებს ფოთლებში
ბაქტერიების მტერია,
დავკრიფოთ, სახლში წავიღოთ,
შიგ ვიტამინი ბევრია.

ცხრატყავა – ლურჯად მწიფდება,
იგი სულ მალე გვაუწყებს,
თუ ნახარშს დავალევინებთ,
ავადმყოფს სიცხეს დაუწევს.

დრო მოვა, ლურჯი აპრილი,
იწყება ლხენა ყვავილთა,
წვიმით განბანილ ველებზე,
ჩამწკრივდებიან სალმითა.

მოცვი ხომ ყველას გსმენიათ,
წითელი – ტყეში იღვიძებს,
შველის თირკმლებს და „პოდაგრას“,
რევმატიზმების ტკივილებს.

შავი მოცვია მკურნალი,
შაქრის დიაბეტეს ჰკურნავენ,
ვიტამინებს რომ შეიცავს,
მასზე მიტომაც ზრუნავენ.

აქ ლურჯი მოცვიც იზრდება,
სამკურნალო აქვს კენკრები,
თვალის ანთებას უხდება,
უეცრად არ დაბერდები.

უხვია დედაბუნება,
თუ წვიმის წვეთი ეღვრება,
მცენარეების ფესვებსაც
დღესასწაული ექნებათ.



ნაძვს ყველა იცნობს, მშვენიერს,
სამკურნალოა გირჩები,
მეზღვაურებო, ცინგასაც,
მოირჩენთ, თუ გაირჯებით.

წიწვი სკიპიდარს შეიცავს,
და მინერალურ მარილებს,
კანით ავადმყოფს მოარჩენს,
სიკვდილს სურნელით არიდებს.

ფიჭვი მაღალი იზრდება,
ჰაერს წმინდავს და ამდიდრებს,
ფილტვები სუნთქავს თამამად,
ყველა მის ჰავას ადიდებს –



კუნელი – ტყეში იზრდება,
არისო გულის მკურნალი,

უძილოს ძილის მომგვრელი,
აქვს დამშვიდების უნარი.

აწყნარებს ნერვებს, ხველებას,
გულის კუნთები დუნდება,
წამლებს თუ მოამზადებენ,
ავადმყოფს ძილი უნდება.

ლურჯად ეკვრობა ტოტებზე,
კვრინჩხი ზამთრის პირს მწიფდება,
კომპოტს ხარშავენ გემრიელს,
ზამთარში კარგი იქნება.

ისიც კარგია, მარგია,
ვიტამინების წყაროა,
ეკლიანია, დაბალი,
იზრდება მწვანე მთა როა.



კრაზანა ყვითლად მბზინვარებს,
შენ იცი? მომწამვლელია,
ზეთს ხდიან, მისი მალამო,
ჭრილობის მართლა მცველია.



შროშანი — ფართოფოთლება,
თეთრი ყვავილით მშვენდება,
მისი წითელი კენკრები.
შხამიანია, ეზრდება

მათგან წამალი მზადდება,
სულ სამკურნალოდ თვალისა,
ეპილეფსიის საქრობად,
გადასარჩენად ქალისა.

მაჯაღვერი თუ გინახავს,
ის ხომ დაბალი ბუჩქია,
წითელ-წითელი კენკრებით,
ყველა ქალაქელს უქია.

არ ჭამო, უნდა იცოდე,
სიკვდილს ვერ გადაურჩები,
ახლოსაც არ გაეკარო,
ნურავის ნუ ეურჩები.

ხარისთვალაც კი არსებობს,
შავი კენკრაა — ავია,
შხამიანია, ბოროტი,
და მეტად მომწამვლავია.

ლენცოფა — იცი? მყრალია,
მწვანეა, არასანდოა,
სიცოცხლისათვის, იცოდე,
საშიში, სახიფათოა!

სვინტრი — ლურჯი აქვს ყვავილი,
დიდ ტყეში ხშირად იზრდება,
კენკრა შხამით აქვს ავსილი,
სულ საზიანო იქნება.

მშვენიერ საქართველოში,
ბევრი კეთილი იზრდება,
რა ვუყოთ, ასე ყოფილა,
ზოგი კი შხამით ივსება!

ნუ დაღონდებით, კენკრებით,
სავსეა ჩვენი მთა-ბარი,
თუ იცით გამოყენება,
ვერ შეგაშინებს ავდარი.

— ჰე, მთაო, მწვანე კორდებო,
მზით, მთვარით გამდიდრებულნო,

ლურჯ ცისქვეშ მარად იხარეთ,
ბალახნო, აფეთქებულნო!

ძალზე ბევრია მცენარე,
სამკურნალო და დღეგრძელი,
მაგრამ ყველას ვერ ჩამოთვლი,
მობინადრეა ედემის.

შინდის ბუჩქები აფრქვევენ,
ოქროსფერ ნარნარ ყვავილებს,
მისი ნაყოფი გულუხვად,
ც — ვიტამინებს არიგებს
მურაბებს ხარშავს ბებია,
მასზე ბავშვები ტკბებიან.



თხილი ჩამჯდარა პერანგში,
ნაჭუჭი ყავისფერია,
გულის რევმატიზმს უხდება,
სისხლნაკლულობის მტერია.

მიირთვი, არა, არ გაწყენს,
თაფლთან ერთად ხომ კარგია?!
ფოთლებით ჩაის ამზადებ,
ფოთლებიც ძალზე მარგია.

მზის ენერგიას იძენენ,
არ იშურებენ ფანდებსა,
მერე გასცემენ უსაზღვროდ
სითბოს და სილამაზესა.

სხვაგან რა გვინდა, ვისუნთქოთ,
ჰაერი მთის და მდელოსი,
ნაყოფიერი, მდიდარი,
მიწაა საქართველოსი!



# ფრინველთა სერენადები



როცა თოვლს ფერი ეცვლება,
გაიფანტება ელვითა,
როცა გაჩნდება რიჟრაჟი,
სიწითლითა და ფერითა.

გაზაფხულს მოუხარია,
მოაქვს ყვავილთა გუნდები,
როცა მზე მაღლით ამოდის,
დგება გათბობის წუთები.

როცა ლურჯ ცაზე დაფრინავს,
ზღვა სიყვარულის ჰანგები,
ხეები მწვანედ ირთვება,
დნება ყინულის ფარდები.

როცა დაქროლებს ნიავი,
სიამითა და ლხენითა,
გაისმის ხეთა შრიალი,
ნაზი, უთქმელი ენითა.

მოფრინდებიან ფრთხიალით
ნაირნაირი ფრთოსნები,
მათში ბევრია ჰანგებით,
ხმამოჭიკჭიკე მგოსნები.

მოდიან მოფრიალებენ,
ესალმებიან ერთმანეთს,
თბილ სამშობლოში დაბრუნდნენ,
და ლაღ სიმღერებს ბედავენ.

მოფრინავს კუდმაკრატელა,
ლამაზ მთა-ბარის მგოსანი,
მერცხალი მახარობელი,
ბუნების შემამკობელი.

ბუდეს აშენებს გულთეთრი,
ადამიანის მახლობლად,
მოფრინავს თბილი ქვეყნიდან,
სამშობლო მუდამ ახსოვდა.

მწერებსაც იჭერს მინდორში,
წყალს სვამს ცივსა და წანწკარას,
ჭიკჭიკებს მხნე და თამამი,
დაქრის სუსტი და ნაცარა.

ეს რა ხმა ისმის ზეციდან?
ნაზი, წკრიალა გალობა,
ეს მომღერალი ვინ არის?
ან ვინ უბოძა წყალობა?

— შენ, გაგიმარჯოს, ბულბულო, —
ყვავმა შესძახა ყრანტალით,
ან აქამომდე სად იყავ?
გელოდით მთელი ამალით.



იასამნების ტოტები,
როცა ყვავილით ივსება,
მას ესალმება ბულბული,
ტკბილი გალობა იწყება.

უყვარს ჭინჭველის კვერცხები,
გალობს დილით და საღამოს,
სურს — გაზაფხულის შემოსვლა,
მთა-ბარს სიმღერით ახაროს,

მამრი ბულბული პაწიებს,
არ აკლებს ჭია-ღუასა,
მდედრი კი ტკბილი სიმღერით,
არვის აყენებს ზიანსა...

— ეს ვინ არისო? დადიან,
ტყეში ბაჯბაჯა დათვები,
— ოღონდ იმღეროს ყოველდღე,
ჩვენ დილით ადრე ავდგებით.

— ჩიტს არასოდეს დავიჭერ,
მიყვარს ბულბულის ჭიკჭიკი,
ეს ის არ არის, რომ გვესმის,
ღელის ბაყაყის ყიყინი.

წყაროც ისმენს და აჩქეფდა,
— ეს რა გალობა სცოდნიათ?!

ნორჩ გაზაფხულზე სულ ერთად
თბილ სამშობლოში მოდიან.

— მე კი, დავფრინავ ტყე-ველად,
ჩემი სიმღერა ტკბილია,
ამბობს გულთეთრა ტოროლა,
მსოფლიო შემომივლია.

ტოროლა მგალობელია,
ყოველ გაზაფხულს ელიან,
— მოფრინდი, მოგვიალერსე, —
ემუდარება მელია.

გამოუჩეკავს ბარტყები,
ველზე, მინდორში, ბალახში,
რომ ერთად ააწკრიალონ,
ხმები, ჰანგები ხალასი.

მზის მეხოტბეა ტოროლა,
უსმენს: რუ, ნაკადულები,
ქერის ყანა და ხეობა,
ადამიანთა გულები.

ცის ტატნობისკენ მიფრინავს,
ფრთები აქვს სუსტი, პეპლისა,
მას უხარია სამშობლოს,
მთების ხილვა რომ ეღირსა.



იადონები — ფრთოსნები,
მაღაროელთა ძმებია,
იქ, მომწამვლელი გაზის დროს,
დაღუმდებიან ერთიან.

მაშინ მეშახტე არ ჩადის,
ადგილად ტოვებს მაღაროს,
რომ მომწამვლელმა მეთანმა,
ავი სენი არ შეჰყაროს!

ბეღურა — ცქნაფა, ფეხმარდი,
ზამთარ-ზაფხულის სტუმარი,

ხტის და ბუტბუტებს თავისთვის
ზოგჯერ დაფრინავს მდუმარი.

მეტად პაწია, ლამაზი,
ჭია – ღუების მტერია,

ის გადაარჩენს მოსავალს,
ბოსტანში ხშირად ელიან.

შემოხვდებიან ერთმანეთს,
არ მოაკლებენ ალერსსა,
ნაზი ჭიკჭიკით, სიმღერით,
ავსებენ არემარესა.

დილის სისხამზე მოფრინავს,
სკვინჩა – პაწია ფრინველი,
ტყეში გაჩნდება სიმღერით,
შემოფრინდება პირველი.

ეს ვიღა არის? გაჰყვირის,
ყველას ეძახის გუგული,
„კაფე – თესეო“, – მოგვძახის,
იგი მოგვიხმობს სულ-გულით,

– მე გაზაფხულის ჰიმნს ვმღერი –
ამბობს შოშია კრიალა,
ზის ლეღვის ტოტზე თამამად,
ისე უმღერის იალაღს.

შოშია უცნაურია,
ცხვრების ზურგზე რომ შეჯდება,
ბეწვში მწერებსაც პოულობს,
სადილად კარგად ერგება.

მოფრინავს შაშვი ნისკარტა,
გირლანდიებში ამღერდა,
წყაროშ ჩუხჩუხით ხმა მისცა,
აკისკისდა და ამღერდა.

კოდალას ნიჭი არა აქვს,
მაღალ სიმღერას ვერ ბედავს,
ხეს უკაკუნებს, ნისკარტით,
ბგერები ტყეში იბნევა.

ქერქიჭამიებს, ცხვირგრძელებს,
მატლებს მიირთმევს სადილად,
ნისკარტს ჩაჰკრავს და გულმშვიდად,
ხეს ჭიებს აცლის ადვილად.

კოდალა ხეზე მომჯდარა,
მწვანე ტყეების ერთგულად,
მას სილამაზეს ვერ ვუქებთ,
გრძელნისკარტაა, ფეთხუმი.

სკვინჩა ხომ გაგიგონიათ,
ისიც ბუნების შვილია,
ის სტვენით ართობს მიდამოს,
დილით რა დროის ძილია.

მუსიკის ჰანგით ღუღუნებს,
თვალის მიმტაცი ქედნები,
– გვიყვარს ეს ჩვენი სოფელი,
მისი მთა, მისი ქედები.

ბალახში ჩაბუდებული,
აღუღუნდება ქედანი,
მალე შვილებსაც დაჩეკავს
ძირს დაბრძანდება დედალი.

თუ ტყის სიღრმეში შემოხვალთ,
შემოგხვდებიან ყორნები,
ყრანტალა მამალს შევცქერით,
შავია, შემაშფოთები.

ბიძია ჩხიკვი გინახავთ?
ისიც ბრძანდება დიდ ტყეში,
სხვის ხმას აჯავრებს თამამად,
უყვარს შემოსვლა ბინდებში.

ფრინველთა ტკბილი კონცერტი,
მთვარიან ღამით გრძელდება,
შემოსხდებიან მავლულზე,
იციან, მალე თენდება.

რა მომხიბვლელი რამ არის,
მათი ჰანგები ტკბილია,
ეს ჩვენი ქვეყნის შვილები,
იქ, შორეთს, რისთვის მიდიან?!

რა ჭორიკანა – ჩიტია,
ჩხიკვი დაფრინავს მწვანეში,
ვის მოსწყინდება ქებანი
და სულიერის ალერსი?!

ღამურამ შემოიქროლა,
ღამე მას სულ არ აოცებს,

თვითმფრინავივით ღაღანებს,
აფრენის ჟამს რომ გამოსცემს.

მოლაღური კი პაწია,
სტვენით მიმოქრის ზევიდან,
ნაზია, როგორც სუმბული,
და მღერის, როგორც ფლეიტა.

ჩიტები გულს ახარებენ,
ჭიკჭიკით, გულში ნადებით,
გვატკბობენ მისი სიმღერით,
და ტკბილი სერენადებით.

ამ ჩვენს მშვენიერ სამშობლოს,
უმღერენ თავდავიწყებით,
და სიყვარულის ჰანგებით,
ავსებენ ზეცას სავსებით.

ოფოფს გრძელი აქვს ნისკარტი,
სავარცხელი აქვს ქოჩორზე,
ჭრელია, დადის გოგმანით,
ადის მთის მაღალ კორტოხზე.

ჭია-ღუებსაც მიირთმევს,
იძახის: „ოფ-ოფ, ოფოსო“,
მე აქ ვიქნები ვიდრემდის,
არე-მარეზე მოთოვსო.

დაბრუნდნენ თბილი ქვეყნიდან,
გუგული, გვრიტი, შოშია,
– მოდით ბავშვებთან, ფანჯრებთან,
საკვებს მოგაწვდით, თუ გშიათ.

ტარბი შემოჯდა ხის ტოტზე,
კუტკალიების მტერია,
ის გაზაფხულზე ბრუნდება,
სულმოუთქმელად ელიან.

ჩიტია – ჭიის მმუსვრელი,
მოსავლის გადამრჩენელი,
სიმღერაც იცის გულთბილი,
ველად მწერების მძებნელი,

ბოლოცეცხლა ხომ მარდია,
მავნე მწერებსაც მიირთმევს,
ჩიტუნა ჩვენი დამხმარე,
ჭიკჭიკიც იცის დილითვე.

შავი წივწივა გინახავთ?
ტოტიდან ტოტზე მხტომარე,
თავდავიწყებით იმღერის,
სულ მუდამ ფეხზე მდგომარე,

თუთიყუშები მოფრინდნენ,
გამოქცეულან ციხიდან,
– შენ დედას ცუდად ახსენებ,
რას იმეორებ, არ გინდა.

ერთი გაუწყრა მეორეს:
– დედა ძვირფასი რამ არის,
მან შემოგვწირა სიცოცხლე,
და სიყვარული ალალი.



მტერმა თუ მიწა წაგვართვა,
მაშინ როგორღა ვიხაროთ?!
როგორ იმღეროს ბულბულმა,
დღეობა თუ გაგვიმწარონ?!

გამომზეურდნენ ტყის პირას,
თეთრი, ბომბორა ძაღლები,
– უნდა სამშობლო დავიცვათ,
და წითელქუდა სახლები.

მაღლა ფრინავენ მერცხლები,
შოშიები და ბულბული,
– დატკბეს მშვიდობის გალობით,
ამ ქვეყნად ყველა სულდგმული.

კლდეზე დაფრინავს არწივი,
ფრინველი კლანჭშემართული,
შეჰყვარებია კლდე-ღრენი,
ეს ჩვენი მიწა ქართული.

უნდა დავიცვათ თანხმობით,
ჩვენი ლამაზი სამშობლო,
არ გადაგვიწვას მტრის ხელმა,
სადაც დღე და ღამ ვარსებობთ.

მჩხავანა ყვავი დაფრინავს,
თაგვების მტერი, ყვანჩალა,
ერთხელ ბებიის ბოსტანში,
წიწილა წააცანცალა.

ღრუბლებსაც ესმით მისი ხმა,
ცაში ნავარდობს თამამად,
თუ სადმე თაგვი გამოძვრა
ან დაიჭერს და ან არა.

ნამგალა დახტის პატარა,
მწერებს სპობს, რა დროს ძილია,
და თვითმფრინავის ფრთაზედაც,
იძინებს, არ ეშინია.

მავთულზე დასხდნენ ჩიტები,
ნაზები, მოჭიკჭიკენი,
ერთხმად თქვეს: ჩვენი სამშობლოს
მუდამ ერთგულნი ვიქნებით.

– როცა გაზაფხულს ვიხილავთ,
მზე მოვა სხივთა ფარდებით,
ჩვენ საქართველოს მთებისკენ,
მოვქრივართ სერენადებით!

მზეგული ტყეშელაშვილი



# ბაია და უფლისწული

ერთ სახელმწიფოში ცხოვრობდა ხელმწიფე, რომელსაც შვილი არ ჰყავდა, რასაც ხელმწიფე და დედოფალიც ძლიერ განიცდიდნენ. ღმერთო, ისე ნუ წაგვიყვან ამა სოფლიდან, რომ მემკვიდრის ღირსი არ გაგვხადოო, შესთხოვდნენ ღმერთს და იმედი ჰქონდათ, რომ ღმერთი, ადრე თუ გვიან, შეისმენდა მათ თხოვნას. ერთ ღამეს ხელმწიფემ სიზმარში თეთრწვერა მოხუცი ნახა, რომელმაც ასეთი რამ აუწყა: ზუსტად ერთი წლის შემდეგ ვაჟიშვილი შეგეძინება, მაგრამ რად გინდა, შეუსრულდება თუ არა თორმეტი წელი, მგლის წერა გახდებაო. სანუგეშოდ მხოლოდ ის შემიძლია გითხრა, რომ გამოჩნდება ადამიანი, რომელიც ამ განსაცდელისგან გიხსნის; შენ ოღონდ მეცხრე დღემდე არ დამარხო მიცვალებულიო. გოგონა, რომელიც შენს ვაჟს იხსნის სიკვდილისაგან, სამი წლის შემდეგ დაიბადება და მისი სახელი „ბ“ ასოთი იწყებაო. გამოეღვიძა გაოგნებულ ხელმწიფეს და დიდხანს ვერ მიხვდა, გახარებოდა თუ სწყენოდა სიზმრად ნანახი. დიდი ფიქრის შემდეგ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: იხმო თავისი ბრძენი ვეზირი, რომელთანაც სიყრმიდანვე იყო შეზრდილი და ძალიან ენდობოდა. იხმო და ყველაფერს მოუყვა, მერე რჩევა ჰკითხა. მოუსმინა ვეზირმა ხელმწიფეს, დაფიქრდა და მოახსენა: – მბრძანებელო, ეს სიზმარი კი არა ხილვა გახლავთ, რომელიც საგულისხმოა... მე მაინც გირჩევ, რომ დედოფალს ნურაფერს ეტყვი, დაველოდოთ თუ რა მოხდება. უსაფრთხოების ზომები მივიღოთ და ღმერთს მთელი გულით მივენდოთ, ვილოცოთ რწმენით. ძველებურად გააგრძელა ხელმწიფემ სახელმწიფოს მართვა. რა თქმა უნდა, მეუღლეს არაფერი უთხრა. გავიდა რამდენიმე თვე და დედოფალმა სიხარულით აუწყა მეუღლეს: ჩემო მბრძანებელო, დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთმა შეისმინა ჩვენი ვედრება, ფეხმძიმედა ვარ; ახალ წლამდე, წესით, შვილი უნდა გვეყოლოსო. გაიხარა ხელმწიფემ, თუმცა გული ეთანაღრებოდა, მაგრამ მეუღლეს არაფერი აგრძნობინა. ამ ამბავთან დაკავშირებით ხელმწიფემ ღარიბთათვის მოწყალება გასცა. მისივე ბრძანებით, არც ერთი შეჭირვებული არ უნდა დარჩენილიყო სახელმწიფოში წყალობის გარეშე; ამის გარანტი კი შენ უნდა იყოო, უთხრა ძმასავით შეზრდილ ვეზირს. სასახლეში დიდი ნადიმი გადაიხადა ხელმწიფემ, სადაც მოიწვია ყველა თავისი ნათესავი, ახლობელი თუ მოკეთე. სამი დღე და სამი ღამე ილხენდნენ სასახლეში. ხელმწფიფის ხილვიდან ერთი წლის და დედოფლის ფეხმძიმობიდან ცხრა თვის შემდეგ, დედოფალს მუცელი ასტკივდა, დაწვა ლოგინად და შობა სავსე მთვარესავით მშვენიერი ვაჟი. გაიხარა ოჯახმა და სახელმწიფომ. ჯერ ძეობას ზეიმობდნენ, მერე შობა-ახალ წელს, ნათლისღებას და, რა ვიცი, მთელს თვეს გასტანა ქეიფმა და ნადიმმა სასახლეში. ეს რა ტკივილიანი სიხარული მარგუნა ბედმაო, იტყოდა ვეზირთან საუბრისას ხელმწიფე და მწარედ ამოიოხრებდა. ბრძენი ვეზირი კი ამშვიდებდა და ურჩევდა, რომ უფრო ლმობიერი და სამართლიანი ხელმწიფე ყოფილიყო, ქველმოქმედებაც არ დავიწყებოდა და წირვა-ლოცვაც არ გამოეტოვებინა. უფლისწულს ცალკე სასახლეში ზრდიდნენ, რომელსაც გაძლიერებული დაცვა იცავდა. დაცვის უფროსად ხელმწიფემ თავისი ნდობით აღჭურვილი ვეზირი დანიშნა. მოკლედ, საიმედოდ იყო დაცული ადგილსამყოფელი, სადაც ტახტის მემკვიდრე იზრდებოდა. საგულდაგულოდ შერჩეული აღმზრდელები წვრთნიდნენ უფლისწულს სასახლეში, რომლებიც რიტორიკას, ისტორიას, მათემატიკას, მუსიკას და საბრძოლო ხელოვნებას ასწავლიდნენ ტატხის მემკვიდრეს. ყველა საგნის შესწავლას სერიოზულად ეკი-







დებოდა უფლისწული, საამისოდ არც ნიჭი აკლდა და არც მონდომება. განსაკუთრებით კი საბრძოლო საქმე იზიდავდა. ერთ დღეს, როცა უფლისწული მეთორმეტე წელს ასრულებდა, ბრძენმა ვეზირმა ასეთი რამ აუწყა მბრძანებელს: ამა და ამ სოფელში, ერთი ღარიბი გლეხის ოჯახში, ცხრა-ათი წლის გოგონა ცხოვრობს, მას ბაია ჰქვია და იმდენად ლამაზია, რომ მხოლოდ მზეს თუ შევადარებო. მერე ნათქვამს დაამატა: ის რომ დიდი კაცის შვილი ყოფილიყო, მასზე ლეგენდებს შეთხზავდნენო. საქმე იმაში გახლავთ; ჩემო მბრძანებელო, რომ სილამაზე ამ გოგონას ერთადერთი ღირსება როდია, იგი შესანიშნავად ფლობს სამკურნალო საქმეს, რომელიც თურმე სიზმარში უსწავლია და რასაც შესანიშნავად იყენებს ცხადშიო. დაამთავრა გოგონას შესახებ საუბარი ვეზირმა და მორჩილად დაელოდა, თუ რას ეტყოდა ხელმწიფე. – თვალყური გეჭიროთ მაგ ოჯახზე, ვინძლო არავინ შეაწუხოსო, – ბრძანა ხელმწიფემ. ერთხელ, სასახლეში უჩვეულო ჩოჩქოლი ატყდა. თურმე, ნუ იტყვით, მონადირეებისგან დამფრთხალი მგელი სასახლის ეზოში შევარდნილიყო და ენაგადმოგდებული დარბოდა, გასასვლელს ეძებდა და თვალებსაც უცნაურად აბრიალებდა. სასწრაფოდ გაიყვანეს უფლისწული ყველაზე დაცულ ოთახში და შიდამცველებიც მიუჩინეს. ამასობაში, ეზოს დაცვას სრულებით არ გასჭირვებია მგლის მოკვლა. სასახლის ეზოში მოსამსახურენი მოგროვდნენ: პირისფარეშნი, გუშაგები, ხაზაზნი... გამობრძანდნენ ხელმწიფე და დედოფალიც, ყველას სურდა, საკუთარი თვალით ეხილა სასახლის მყუდროების დამრღვევი. უფლისწულმაც ინება მოკლული მგლის ნახვა. მამახელმწიფემ დასტური მისცა მცველებს და უფლისწულიც გამობრძანდა ეზოში. – შენი უნდა მშინებოდა? შენი მსხვერპლი შეიძლებოდა გავმხდარიყავი?! – გაახსენდა უფლისწულს ბრძენი ვეზირის შეგონებანი, მივარდა მოკლულ მგელს და თავში რამდენჯერმე უთავაზა წიხლი. მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდათ ხელმწიფესა და ბრძენ ვეზირს. უფლისწულს ფეხში შეესო მოკლული მგლის კბილი. დაესივნენ სასახლის ექიმები უფლისწულს, სისხლიც გამოადინეს, მალამოც ბევრი უსვეს, მაგრამ უშედეგოდ. სიმსივნე უფრო მატულობდა. ბოლოს უფლისწული სულ დასივდა და დაბადებიდან, ზუსტად თორმეტი წლის, თორმეტი დღისა და თორმეტი საათის შემდეგ გარდაიცვალა. არნახულმა და არგაგონილმა მწუხარებამ მოიცვა მშობლები, სასახლე, ახლობლები, მთელი ქვეყანა.

გამოცხადდა საყოველთაო გლოვა, რომელმაც ბაიას ყურამდე ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც მიაღწია. კალათში საჭირო წამლები, ბალახები ჩააწყო და სასახლისკენ მიმავალ გზას დაადგა. სასახლეში გლოვა და ზარი გრძელდებოდა... უნდა ითქვას, რომ მომხდარი დიდად არ გაჰკვირვებიათ ხელმწიფესა და მის ბრძენ ვეზირს. – რა მოვიფიქროთ, როგორი ახსნა მოვუძებნოთ



ფაქტს, რომ მიცვალებულის დამარხვას მხოლოდ მეცხრე დღეს ვაპირებთო, – ჰკითხა ბრძენ ვეზირს ხელმწიფემ, მოგვიანებით. – ამ საქმის მოგვარება მე მომანდე, მბრძანებელო, ბედი ჩვენი რომ ზამთარია... სასახლეში ვიტყვი, რომ ხელმწიფე თავის ერთადერთ შვილს ისე უნდა გამოემშვიდობოს, როგორც მას შეშვენის, საამისოდ კი დროა საჭირო და ეს დრო უფლისწულის გარდაცვალებიდან მეცხრე დღე იქნება. მინდა გთხოვოთ, რომ მეტი შეკითხვებით ხელმწიფეს ნუ შეაწუხებთო. ხელმწიფეს ჭკუაში დაუჯდა ვეზირის სიტყვები და თანხმობა თავის დაკვრით გამოხატა. ხანმოკლე თათბირის შემდეგ გადაწყდა, რომ ვეზირი თვითონ წასულიყო ბაიას მოსაყვანად. სწორედ ამ დროს კარზე ფრთხილად დააკაკუნეს, შემოვიდა მსახური, რომელმაც თქვა: ეზოში ათიოდე წლის პირმშვენიერი გოგონა ზის, ტირის და დაჟინებით ითხოვს უფლისწულის ოთახში შესვლასო. ამბობს, რომ სანამ ჩემს ნათქვამს ხელმწიფეს არ მოახსენებთ, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო. ამის გამგონე ხელმწიფემ და ვეზირმა ერთმანეთს გადახედეს და მსახურს გოგონას სასწრაფოდ შემოყვანა უბრძანეს. შეიყვანეს ბაია დარბაზში, სადაც უფლისწულის ცხედარი ესვენა. ხორბლისფერი თმები თეძოებს უფარავდა გოგონას. ზღვისფერი თვალები კი მეტისმეტი ტირილისგან დასიებოდა. მიუხედავად ამისა, ლურჯ კაბაში გამოწყობილი ბაია ნამდვილ ანგელოზს ჰგავდა. მიუახლოვდა თუ არა გოგონა ხცედარს, კალათიდან ფრთხილად ამოიღო ბალახები, ზედ ნელსაცხები წაუსვა, ცხედარს ცხვირთან დაადო და, დაჩოქილმა ლოცვა აღავლინა. ლოცვის დასასრულს, ბაიას თვალებს ცრემლები მოსწყდა და უფლისწულს სახეზე დაეღვარა. ...და მოხდა სასწაული: უფლისწულმა

ჯერ ხელ-ფეხი აამოძრავა, მერე წამოიწია, წამოჯდა და გაიზმორა. ეს რამდენი ხანი მძინებიაო, ჩაილაპარაკა და ზეზე წამოდგა! ჭირისუფალნი შეჩოჩქოლდნენ. დედოფალს, მეტისმეტი სიხარულისგან გული შეუღონდა. ვიდრე სეფექალნი და სასახლის ექიმები მის მოსულიერებას ცდილობდნენ, ხელმწიფე დინჯად მიუახლოვდა უფლისწულს, ცალი ხელით გულზე მიიკრა შვილი, მეორე ხელით კი, ბაია ჩაიხუტა გულში! ცხრა დღე და ცხრა ღამე სუფრა არ აულაგებიათ სასახლეში. გახარებული ქვეშევრდომნი მოდიოდნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და შვილის მეორედ დაბადებას ულოცავდნენ ხელმწიფესა და დედოფალს. სიხარულის ზენიტში მყოფმა ხელმწიფემ შიკრიკი აფრინა ბაიას მშობლებთან. დიდი ძღვენი მიართვეს ღარიბ ცოლ-ქმარს და ხელმწიფის დანაბარებიც აუწყეს: თუ სამუდამოდ არა, გარკვეული დროით მაინც გადმოდით საცხოვრებლად სასახლეში, რათა ერთად დავტკბეთ ჩვენი შვილების ცქერითო. ზუსტად ხუთი წლის შემდეგ კი, ხელმწიფემ ტახტის მემკვიდრეს დიდი ქორწილი გადაუხადა. ამჟამად თორმეტი დღე ისხდნენ პურობად! ბედნიერი ჩანდა უფლისწული, რომელსაც მხარს უმშვენებდა ულამაზესი პატარძალი, სახელად ბაია, მისი სიცოცხლის მხსნელი!

ჭირი იქა, ფქვილი აქა,
დავამთავრე – მეტი რა ვთქვა.
ზღაპრის მთქმელი – თქვენი ბებო,
ტკბილი ძილი – პატარებო!

2017 წ. აგვისტო.

## ღორი და მელია
**(ზღაპარი)**



ეს ამბავი, შავ მთასთან რომ დაბურული ტყეა, იქ მოხდა. ტყეში, სხვა ცხოველებთან ერთად ღორი და მელიაც ცხოვრობს. ღორს ძალიან უყვარს ღრუტუნი და ახლობლებმა მას ღრუტუნა შეარქვეს. რაც შეეხება მელიას, მისი ამბავი ცოტა სხვანაირად არის. ერთხელ მელია კუდით გაება ხაფანგში. გატანჯულმა ნადირმა დიდხანს ათრია ეს ხაფანგი, ათრია და მერე, ბუჩქებში დატოვა. უფრო სწორად, ხაფანგი დატოვა და კუდის მეოთხედიც ზედ მიაყოლა!სწორედ ამის შემდეგ გახდა ჩვენი მელია–მელაკუდა! ღორსა და მელიას ერთმანეთთან კარგი მეზობლობა აკავშირებდათ. ღრუტუნას ბუნაგი ბებერ მუხასთან აქვს გამართული, რომელშიც დედა ღორთან და თორმეტ გოჭთან ერთად ცხოვრობს. მელაკუდა კი თავის სოროში ბინადრობს დედა მელიასთან და სამ ლეკვთან ერთად. სოროდან იწყება ბილიკი, რომელიც სოფლის შარაგზისკენ მიიკლაკნება... ამ სოროში, ისე როგორც ღრუტუნას ბუნაგში, უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ მათი წინაპრები. დაბურულ ტყეში ყველასი და ყველაფრის მბრძანებელი ლომი გახლავთ, რომელიც იმდენი დემოკრატია ბუნებით, რომ რჩევას ჭკვიან და გამოცდილ ცხოველებს ეკითხება. ის კი არა, ჭკუადამჯდარ ფრინველებთანაც უყვარს საუბარი. ერთ დღეს ტყეში, ლომის





ბრძანებით, ქარის წისქვილი დადგეს. აღსრულდა ტყის ბინადართა სურვილი და ოცნება. ახლა მთავარი ის იყო, თუ ვინ იმუშავებდა ამ წისქვილში, ვის გაუღიმებდა ბედი! ბევრი რომ არ გავაგრძელო, ბუს რჩევით, ლომმა მეწისქვილედ ღორი დანიშნა, ხოლო თანაშემწედ მელია დაუყენა. რაღა ღორი და მელია ამოირჩიესო, იკითხავთ ალბათ და მართალიც იქნებით, რადგან იგივე შეკითხვა ლომსაც გაუჩნდა. – ღორი კარგი მეურნე გახლავსო, ასე დაახასიათა ჩვენი ღრუტუნა ბუმ ლომთან. თორმეტი გოჭი ჰყავს და თორმეტივე ისე გამოიყურება, უნებლიედ იტყვი: ნეტავი თქვენს მშობლებსო! გარდა მაგისა, ბუნაგიც მშვენივრად აქვს მოწყობილი... რაც შეეხება მელაკუდას, –აგრძელებს ლომთან საუბარს ბუ, მის ჭკუასა და გონიერებაზე ლე-

გენდები დადის და ოჯახსაც მშვენივრად უძღვებაო... ამ საქმისთვის ორივე გამოდგება, თუ სურვილი და მონდომებაც ექნებათო! ის ნანატრი დღეც დადგა, როცა დაბურულ ტყეში მთელი დატვირთვით ამუშავდა ქარის წისქვილი. დიდი მონდომებით შრომობდნენ წისქვილში ღორი და მელია. ღამ-ღამობით მონაცვლეობით რჩებოდნენ ობიექტზე და, რომ იტყვიან, ტყავიდან ძვრებოდნენ, რათა უკმაყოფილების საბაბი არ მიეცათ, არც ლომისთვის და არც სხვებისთვის. წისქვილი მთლიანად აკმაყოფილებდა ტყის ბინადართა მოთხოვნილებებს და არც დასაქმებულები უჩიოდნენ ბედს. რომ არა ღორის ამბიციები, ვინ იცის რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ტყის ბინადართა იდილია. – დღეს კი ვცხოვრობთ კარგად, მაგრამ რა იქნება ხვალ, არავინ იცისო, ჩაილაპარაკა ღრუტუნამ მელაკუდას გასაგონად. ხომ არ აჯობებდა, წისქვილის ქვეშ საიდუმლო საკუჭნაო მოგვეწყო და მინდის ნაწილი იქ დაგვემალაო. ამ საკუჭნაოს, შემდეგში, საიდუმლო ხვრელით დავუკავშირდებით და კიდევ უფრო გავკეთდებითო! როგორც ჰგავს, ღორის ნათქვამი, მელიასაც დაუჯდა ჭკუაში. დიდი შრომა დასჭირდა ორივეს იმისათვის, რომ ეს ჩანაფიქრი განეხორციელებინა. შეთანხმებულად მოქმედებდნენ თანამეინახეები და შედეგმაც არ დააყოვნა: ახალი საკუჭნაო მინდით გაივსო. მადა ჭამაში მოდისო, ნათქვამია და ჩვენი საქმოსნებიც





უფრო აფართოებდნენ საკუჭნაოს. სწორედ მაშინ, როცა მეზობლები თავიანთ ბნელ საქმეს აკეთებდნენ, გაისმა საშინელი ხმაური, წისქვილი შეირყა, მერე მთვრალივით შებარბაცდა და ძირს მოადინა ბრაგვანი. მეტისმეტი ტკივილისგან ღრუტუნამ და მელაკუდამ გონი დაკარგეს...რომ არა თვითგადარჩენის ინსტიქტი, ორივენი საკუთარი ნებით გათხრილ ორმოში ჩაიმარხებოდნენ. ბევრი ტანჯვა–წვალების შემდეგ, როგორც იქნა თავი დააღწიეს ან ჯოჯოხეთს. მეტიმეტად ცუდად გამოიყურებოდა მელია. ზურგი და ბეჭები გადაყვლეფოდა. რაც შეეხება ღორს, არც ის იყო უკეთეს დღეში: ფეხი ელრძო და დინგიდანაც სისხლი სდიოდა! მოითქვა თუ არა სული მელაკუდამ, წყენით მიმართა ღრუტუნას: – ყველაფერი შენი ბრალია, შენ რომ არ გეღორა და თვითნებურად არ გვეწარმოებინა მიწისქვეშა სამუშაოები, ეს არ მოხდებოდაო. – შენი გამკვირვებიაო, –ვალში არ დარჩა ღორიც, ჩემი საქმე ღორობაა და ვიღორე კიდეც...შენ რაღა გრჯიდა, დასჯერებოდი იმას, რაც ღმერთმა სინით მოგართვაო! – არც ღორობა მესწავლება ვინმესგან, თუ მოვინდომებ, რა თქმა



უნდა... ამჟამინდელი ცოდვა კი, შენს კისერზე იყოსო, თქვა მელიამ და თავისი გადაყვლეფილი ზურგი აქცია მეზობელს. ამ დროს გაისმა ყვავის ყრანტალი. აი, რას ჩიოდა ყვანჩალა: – წისქვილი რომ დაინგრა, ის უფრო მადარდებს, ვიდრე თქვენი მდგომარეობა; რაც შეგემთხვათ, ყველაფერი ახია თქვენზე, თქვე ყურუმსაღებო თქვენა!ვის ქონებას მარხავდით მიწაში!მადა გაგეხსნათ არა?! თქვე გაუმაძღრებო, თქვენა!–არ ცხრებოდა ყვავი. მელიას კი მაღლა ახედვის და ყვავისთვის პასუხის გაცემის თავიც აღარ ჰქონდა!ღორი ხომ ისედაც ვერ იხედება მაღლა...ასეთ მდგომარეობაში, მით უფრო! ყურებჩამოყრილმა ღრუტუნამ ეგლა ჩაილაპარაკა: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!მერე აიღო ჯოხი, ზედ დაეყრდნო და, რის ვაივაგლახით გასწია ბუნაგისკენ. იმავეს აპირებდნენ მელაკუდა და ყვანჩალაც, როცა ჭივჭავის ხმა შემოესმათ: – ყვანჩრო, მე ბევრი რამ ვიცი ამ საქმის ირგვლივ... თუ მომისმენ, მოგიყვებიო! – აბა შენ იცი, ყურადღებით გისმენო, –თქვა ყვანჩალამ და იმ ტოტზე გადაფრინდა, სადაც ჭივჭავი მოკალათებულიყო. ჭივჭავმა კი ასე დაასრულა თავისი მონოლოგი: თავიდანვე წამხდარ საქმეს, ბოლოში რას უშველი, ვინც ზომაზე მეტი ჭამოს, გასკდომოდეს მუცელი! 2017 წ. გაზაფხული

ოთხშ. 18: 45

# ტყის გადამრჩენი
(ზღაპარი)

იყო და...საბედნიეროდ, ახლაცაა ერთი უღრანი ტყე, სადაც ძლიერ ფესვებზე ამაყად წამომართულან მარადმწვანე და ფოთლოვანი ხეები. ტყეში უხვადაა ველური ხილი, კენკრა...ზოგ მცენარეს სამკურნალო თვისება აქვს, რომელსაც მშვენივრად იყენებს ტყის ერთ–ერთი ბინადარი. უღრან ტყეში ბინადრობენ გარეული ცხოველები: ლომი, ვეფხვი, დათვი, მელა, ტურა, მგელი, მაჩვი. ტყე სავსეა ნაირ–ნაირი ფრინველით, რომელთა ჭიკჭიკი ერთ რამედა ღირს!აქ შეხვდებით კოდალას, ჩხიკვს, შაშვს, ყვავს, ქედანს, მოლაღურს, ბულბულს...იქვე, კლდის წვერზე ბუდობს ფრინველთა მეფე და მბრძანებელი არწივი. უღრან ტყეში ყველამ შესანიშნავად იცის თავისი საქმე. უთენია ილვიძებს კოდალა და შესაშური ენერგიით იწყებს თავის საქმიანობას. პირველ რიგში ხანდაზმულ ხეებს გასინჯავს საგულდაგულოდ, თუ საჭიროდ ჩათვლის, პირველად დახმარებასაც აღმოუჩენს და მერე სხვა ხეებისკენ გადაინაცვლებს. ზედმიწევნით იცის კოდალამ ყველა სამკურნალო მცენარე. კრეფს მათ, აშრობს და სპეციალურად მოწყობილ საკუჭნაოში ინახავს. ამ წამლებს კოდალა უანგაროდ ურიგებს ტყის ყველა ბინადარს. ბევრს ზრუნავს კოდალა იმ ხეებზე, რომელთა კანქვეშ ჭიაღუები ბუდობენ. ხელმარჯვედ ამოაცლის მათ ყველა პარაზიტს, რითაც სიცოცხლეს უხანგრძლივებს დაავადებულ მცენარეებს. ამ უანგარო ზრუნვისთვის შეიყვარა კოდალა მთელმა ტყემ. იმავე მიზეზით შეარქვეს ამ პატარა ფრთოსანს "ტყის მკურნალი". სწორედ ამიტომ ერიდებიან სოფლის ონავარი ბიჭები კოდალასათვის შურდულის დამიზნებას... ყველა სულიერი თავისი გაკეთებული საქმით ფასობს. ზოგი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, ზოგსაც ზერელე საქმე უყვარს, რაც, ხშირ შემთხვევაში, სავალალო შედეგით მთავრდება. ერთ მშვენიერ დღეს, უღრან ტყეში მოხდა ამბავი, რომლის გამოც ჩხიკვი, სახელად ჯაფარა, მომეტებულად შეიყვარა ტყის ყველა ბინადარმა. იმ დღეს ადრე გამოღვიძა ჯაფარას. ზეზე წამოფრინდა თუ არა, თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ჯერ ტყეს შემოუფრინა, ბილიკები დაზვერა, წყაროსთან შეჩერდა, რომელიღაც ფრინველიც გამოაჯავრა მისივე ხმით და მაღალი ხის ტოტზე შემომჯდარმა გააგრძელა ტყის თვალთვალი. უცებ ხმაური შემოესმა. ყურებდაცქვეტილი ჯაფარა მიჰყვა ამ ხმას და მალე დარწმუნდა, რომ ტყეში მონადირეები აგროვებდნენ ფიჩხს, რომ ცეცხლი დაენთოთ და მასზე ნანადირევი შეეწვათ. დანაყრდნენ თუ არა მონადირეები, იქვე თვალის



მოტყუება გადაწყვიტეს. დაღლილებს მალე ჩაეძინათ და ისეთი ხვრინვა ამოუშვეს, თქვენი მოწონებული!ცეცხლის ჩაქრობა აზრადაც არავის მოსვლია! ცოტა ხნის შემდეგ კოცონიდან ნაპერწკალი ავარდა, ხმელ ბალახს მოედო და ფიჩხამდე მიაღწია. იქვე იდგა ხმელი თელაც... მძინარე მონადირეებს, რა თქმა უნდა, არაფერი გაუგიათ. სამაგიეროდ ფხიზლობდა ტყის ერთგული დარაჯი–ჩხიკვი. სწრაფად და სწორად შეაფასა ჯაფარამ შექმნილი მდგომარეობა; ელვის სისწრაფით აიჭრა მაღლა, ცაში და ყველაზე დიდ, ღონიერ ღრუბელს შეევედრა: მთელი ტყე და მისი მობინადრენი განსაცდელშია, იქნებ მადლი მოისხა და წვიმა მოიყვანოო! ამის გამგონე შავი ღრუბელი კიდევ უფრო გამუქდა, გაიბერა და თავის ირგვლივ მყოფ ღრუბლებს მიმართა: ვისაც ღონე გერჩით, მომყევით, უღრანი ტყისკენ მივფრინავთ! ამასობაში ცეცხლი უფრო გაძლიერდა, ხმელ თელამდე მიაღწია, ალი მაღლა აიჭრა და მთელ ხეს მოედო! მერე ცა ჩამობნელდა. მალე ელვამ გაანათა იქაურობა. გაისმა გამაყრუებელი გრუხუნი და ისეთი წვიმა წამოვიდა, თითქოს ცას საყრდენი გამოეცალაო! ჩხიკვი ჯაფარას სიმამაცის წყალობით და ღრუბელთა დახმარებით, ყველაფერი კარგად დამთავრდა. ტყეს წვიმამ დროულად მოუსწრო. კოკისპირულმა წვიმამ ცეცხლი ადვილად ჩააქრო. ასე გადაურჩნენ ხანძარს ტყე და მისი ბინადარნი. დამფრთხალი და შეშინებული მონადირეებიც მიხვდნენ თავიანთ უნებლიე დანაშაულს, მაგრამ რაღას იზამდნენ! გინდა თუ არა, კარგი და ცუდი ამბები სწრაფად ვრცელდება. უღრან ტყეში ყველამ გაიგო ჩხიკვი ჯაფარას

გმირობის ამბავი. მადლობის ნიშნად, ტყის ბინადარნი ხელს ართმევდნენ, ეფერებოდნენ და მასთან სიახლოვეს ცდილობდნენ! უღრანი ტყის ბინადართა გადაწყვეტილებით, ჩხიკვი ჯაფარა არჩეულ იქნა ამავე ტყის საპატიო წევრად. ფრინველთა მეფემ, არწივმა საკუთარი ხელით გადასცა მას სიგელი, რომელშიც წერია: "ტყის გადამრჩენ ჩხიკვ ჯაფარას–მადლიერნი ბინადარნი". ამბობენ, რომ ამ ყურადღებამ ძალზე გაახარაო ჩვენი ჯაფარა. ეგ ხომ ბუნებრივიცაა: დამსახურებული ჯილდო და შექება ყველას უნდა ახარებდეს! იმასაც ამბობენ, რომ ჯაფარა ამ სიგელს ძალიან უფრთხილდება და ინახავს ბებერი ხის ფუღუროშიო. თუ უღრან ტყეს სტუმრად ეწვევით და ჯაფარას ნახვასაც გადაწყვეტთ, იგი ამ სიგელს უსათუოდ გიჩვენებთ! ამ ზღაპარით, ყმაწვილებო, გაგაცანით მისი გმირი, მეც ვიძინებ თქვენთან ერთად, ნახვამდის და ტკბილი ძილი!

2017 წ. ზაფხული

## ქოჩორა და მურია

იყო ერთი დიასახლისი, რომელსაც კარის მეზობელმა საჩუქრად იხვის კვერცხები მოართვა და უთხრა: ჩემმა ვახვახა იხვმა დადო, ახალია და სანდო. შენგან დიდად ვარ დავალებული და მინდა, რაღაცით მეც გასიამოვნოო. დიასახლისმა მადლობა გადაუხადა მეზობლის ქალს და იხვის კვერცხები ქათმის კრუხ ქოჩორას შეულაგა.



გამოცდილი და გულადი კრუხი იყო ქოჩორა. იშვიათად თუ გაალაყებდა კვერცხს და გამოჩეკილ წიწილებს ხომ თან ჰყვებოდა. ერთთავად თავს დაჰგურგურებდა. გამოჩეკამდე, თანაბრად რომ გაეთბო კვერცხებს ხან ნისკარტით ურევდა, ჩვენი ქოჩორა და ხან ფეხებით. ფრთებსაც განივრად გაშლიდა, გაიფხორებოდა და მთელი ტანით ისე დაფარავდა კვერცხებს, რომ ერთიც კი არ დარჩებოდა უყურადღებოდ. ახლახან რომ კვერცხები შეულაგა დიასახლისმა, იმოდენა კვერცხები თვალითაც არ ენახა ქოჩორას, რადგან აქამდე მხოლოდ ქათმის კვერცხებზე სვამდნენ. ალბათ ამით აიხსნება გაოცება, რომელიც მის ოდნავ ელამ თვალებს დაეტყო, როცა დიასახლისმა იხვის კვერცხებზე დასვა. გავიდა ზუსტად ერთი თვე. საღამოს, ძილბურანში მყოფ ქოჩორას უცნაური ხმა შემოესმა. ყური მიუგდო და ხმა კვერცხებიდან მოდიოდა. ხომ არ მეჩვენება, ეგ რა უცნაური ხმა მომდისო, გაიფიქრა კრუხმა და სმენა დაძაბა. ხმა ისევ განმეორდა, ამჟამად უფრო ძლიერად. ჩვენი ქოჩორა სულ მალე დარწმუნდა, რომ არაფერი მოსჩვენებია. იმ მოზრდილი კვერცხებიდან უჩვეულო არსებები გამოიჩეკნენ, რომელთაც ბრტყელი ნისკარტი და ნიჩბებივით ფეხები ჰქონდა. ცამეტი შესაძლებლობიდან ცამეტი ჭუკი, გაიფიქრა საკუთარი თავით კმაყოფილმა ქოჩორამ და ბუდიდან კვერცხების ნაჭუჭების გადმოყრა დაიწყო. ეზოს ონკანს დიასახლისმა ძველი, მოზრდილი გობი მიუმარჯვა, წყლით პირამდე აავსო და...ბევრი რომ არ გავაგრძელო, იხვის ჭუკები თავს ისე გრძნობდნენ წყლით სავსე გობში, როგორც თევზი გამდინარე წყალში. იმავეს ვერ ვიტყოდი ქოჩორა კრუხზე, რომელიც გარშემო ქოთქოთით უვლიდა გობს და უცნაურ ხმებს გამოსცემდა. თითქოს შეშინებული იყო პაწია ჭუკების ანცობით, ან სულაც იმით, რომ ზედმეტი არ მოსვლოდათ და არ გაციებულიყვნენ, ან თავს არავინ დასხმოდა. მოკლედ, რას გაუგებ შვილებზე მზრუნველი დედის გულს! სულ დამავიწყდა მეთქვა, რომ დიასახლისის ეზოში ცხოვრობდა ქოჩორას ერთგული მეგობარი მურია, რომელმაც გასულ წელს ქორის კლანჭებიდან იხსნა ქოჩორას ნაბოლარა წიწილა. ამ შემთხვევამ დაამეგობრა ისინი.



დაინახა თუ არა მურია ქოჩორამ გაიფიქრა: სანამ მურია ეზოში მეყოლება, შიში არაფრის მექნება. "ღმერთო, შენ მიეც დიდი დღენი ჩემს მხსნელსო. "თქვა თავისთვის კრუხმა, მერე

წყალი დალია და მაღლა აიხედა!სწორედ ამ დროს მოირბინა მურიამაც და მრავალშვილიანობა მიულოცა მეგობარს. მიხარია, რომ ნამატითა გხედავ ეზოში. ეგ რა ლამაზი არსებანი გამოგიჩეკავს, ჩემო დაიკოო, უთხრა დობილს და გობისკენ მიაპყრო მზერა, სადაც ჭუკები იქაურობას იკლებდნენ ანცობით. –მეც მახარებს შენი ნახვაო, კაკანით უთხრა ძმობილს ქოჩორამ და თავმომწონედ შეხედა გობს, რომელშიც მისთვის ყველაზე საყვარელი არსებანი ნებივრობდნენ. შუადღისას, როცა დიასახლისი საკვებს დაუყრიდა ქოჩორასა და მის ჭუკებს, კრუხის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა: ქოთქოთით მიირბენდა გობთან, მერე საკენკთან. გაიფხორებოდა (კუდსა და ფრთებს მარაოსავით გაშლიდა) და ჭუკებისთვის მისახვედრ ენაზე რაღაცას ეტყოდა. მომეჩვენა, რომ კრუხი ამას ამბობდა: ჩქარა ამოდი, ჭამეთ, დაისვენეთ და ისევ ჩახტით გობში; რომ აგიკრძალოთ, რა აზრი აქვს, მაინც არ დაიშლითო. მართალია წყალი არ ეთმობოდა ჭუკებს, მაგრამ დედის სიტყვა მათთვის კანონი იყო და უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. ყველაზე ბედნიერი სწორედ ამ დროს იყო ჩვენი ქოჩორა. ნეტა გენახათ, თუ როგორ დაჰგურგურებდა და, თითქოს რაღაცას "უხსნიდა" პატარებს. ამჟამად ასეთი შინაარსის მომეჩვენა ქოჩორას "სიტყვები"–ცურაობაც კარგია, მაგრამ მარტო ეგ ვერ გიშველით, კარგად უნდა იკვებოთ, რომ მოღონიერდეთ და ჭალაში ჩასვლა შევძლოთ, მალე ალბათ გობშიც ვეღარ მოთავსდებით, გახსოვდეთ, პატარებო, რომ ხმელეთიც ისეთივე საინტერესო უნდა იყოს თქვენთვის, როგორც წყალი, რათა ბალახიც მოძოვოთ და ჭიაღუებიც დაიჭიროთო ხანდახან. გავიდა ორი კვირა და იხვის ჭუკებმაც საგრძნობლად მოიმატეს, მოღონიერდნენ, გათამამდნენ კიდეც, ბალახის წიწკვნაც შეუყვარდათ და დედის ხმაზეც უფრო რეაგირებდნენ. თანდაყოლილმა ინსტიქტმა უკარნახა დედა კრუხს, რომ დრო იყო ჭალაში წაესხა ჭუკები და ღელე ეჩვენებინა მათთვის. რომ იტყვიან: კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, სწორედ ასე დაემართა ჩვენს ქოჩორას. დიასახლისს საგულდაგულოდ დაეკეტა ჭიშკარი, არც სხვა ვინმე იყო სახლში; ეტყობოდა, ყველა საქმეზე იყო გასულნი. მოიწყინა ქოჩორამ და ახლა ღობეში დაუწყო გადაძრომს ძებნა, მაგრამ ამაოდ. მერე მურიას სთხოვა: მეგობარო, იქნებ ღობე გაანგრიო, ცოტათი მაინც, რომ გასვლა შევძლოთ, ძალიან გთხოვ და უარი არ მითხრაო. შენი ხმალი და ჩემი კისერიო, უპასუხა მურიამ და ცხვირი და კბილები აამუშავა. გაძვრა კრუხი ღობეში და რიგრიგობით გაიყოლია ჭუკებიც, რომლებიც ტუსტუსით მისდევდნენ ქოჩორა კრუხს, თუმც არ იცოდნენ–სად და რისთვის. სახლში დარჩენილმა მურიამ მოიწყინა. ეს რა ჩავიდინე, ფიქრობდა თავისთვის. დიასახლისმა ხომ მე ჩამაბარა ისინი. თავს იმით ხომ ვერ ვიმართლებ, რომ ძალიან შემეხვეწა ქოჩორა...არა, რაიმე უნდა ვიღონოო. ცუდი რომ არაფერი შეემთხვეთ, წავალ და მე თვითონ მოვძებნი, ღელის გარდა სად წავიდოდნენ!?მერე, რატომღაც გობთან მივიდა მურია, დაყნოსა და თითქოს მიხვდა თუ რა უნდა გაეკეთებინა. კუდის ქიცინითა და გზის ყნოსვით გაუყვა ღელისკენ მიმავალ ბილიკს. ღელეს რომ მიუახლოვდა მაღლა აიხედა მურიამ და რას ხედავს, ძერა ირაოს აკეთებს ზუსტად იმ ადგილას, სადაც ქოჩორა და მისი ჭუკები იმყოფებიან.



ამ დროს ქოჩორა ხან მიწას ქექავდა ფეხით, ხან კიდევ შემოსული ძურწას მარცვლებს კენკავდა. აზრადაც ვერ ხვდებოდა თუ რა საშიშროება მოელოდა ზემოდან. სწრაფად და ფრთხილად მიუახლოვდა მურია ფრინველებს და იქვე, ახლოს მყოფ ბუჩქებში დაიმალა. ძერამაც არ დააყოვნა და იერიში პირდაპირ ქოჩორაზე მიიტანა, რადგან მტაცებელმა იაზრა, რომ კრუხი თავს შეაკლავდა და ჭუკებს მაინც არ გაატანდა. დიდხანს აღარ უფიქრია მურიას. ყეფით გაექანა, მაღლა ახტა და მკერდით დაეტაკა მოძალადეს, რომელიც ზემოდან მოქცეოდა მსხვერპლს და ცდილობდა თვალები ამოეჩიჩქნა მისთვის. მურიას გამოჩენამ დააბნია მტაცებელი, მაგრამ გონსაც მალევე მოეგო და გაგულისებულმა იმით, რომ გემრიელ ლუკმას ჰკარგავდა, იერიში ახლა მურიაზე მიიტანა. მურიამაც უმატა ყეფასა და ღრენას, მაგრამ მალე დარწმუნდა,

რომ თვითონაც იერიშზე უნდა გადასულიყო, რადგან ძერას მიზანში მისი თვალები ჰქონდა ამოღებული. სული მოითქვა ქოჩორამაც, ჯერ დამფრთხალი და გაფანტული ჭუკები მოაქუჩა, ბუჩქებში შელალა და მკაცრად გააფრთხილა: არამც და არამც ცხვირი არ გამოჰყოთ აქედან, ვიდრე მე არ გიხმობთო. იმის გაცნობიერებამ, რომ ამჟამად მურია თვითონ საჭიროებდა მეგობრის დახმარებას, ძალა შეჰმატა ქოჩორას და შურდულივით გაექანა ბრძოლის ველისაკენ. ამასობაში იმარჯვა მურიამ და ძერას, მარცხენა ფეხზე კბილი წაატანა. მეგობრის სიახლოვით გამხნევებული კრუხი მაღლა აფრინდა, გაავებული ეცა ძერას და მარჯვენა თვალი ამოჩიჩქნა. მურია საერთოდ არ ელოდებოდა დამხმარე ძალას, (ქოჩორა ჯერაც ჭუკებთან ეგულებოდა) მოიერიშე კრუხის გამოჩენამ, უნებურად დააბნია იგი და...ინსტიქტურად, პირი უშვა ძერას. თვაკისჩინწართმეული ძერა მთვრალივით შეტორტმანდა და იმის შიშით, რომ მეორე თვალიც არ დავკარგოო, ძლივს აფრინდა მაღლა. მურიამ და ქოჩორამ კარგად დაინახეს, რომ ძერას მომტვრეული ფეხი ზედ ეკიდა საცოდავად. ტკივილითა და სიბრაზით გამწარებული მტაცებელი ალბათ ფიქრობდა: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო! სულ სხვა მდგომარეობა გახლდათ მეორე მხარეს: მოითქვეს თუ არა სული ნაომარმა კრუხმა და ამ ომის გმირმა მურიამ, წყლით გაიგრილეს გული. მერე კი სამალავს მიაშურეს, სადაც დამფრთხალი ჭუკები შეყუჟულიყვნენ. ერთმანეთის ნახვით გახარებული ქოჩორა და მისი ჭუკები დიდ ხვევნა–ალერსში იყვნენ. მურია კი–სიხარულით გარს უვლიდა ყველას. ის იყო დიასახლისმა წკნელი მოიმარჯვა და ალაგეს (ჭიშკრის ამაღლებული შესასვლელი, მიუწვდომელი საქონლისთვის) გადმოაბიჯა, რომ სახლისკენ მომავალი ქოჩორა და მურია დაინახა, რომელთაც ტუსტუსით მოსდევდა იხვის ჭუკები. დიასახლისმა უნებლიედ გადათვალა ჭუკები და შეწუხდა იმის გამო, რომ ადგილზე მხოლოდ თორმეტი ჭუკი იყო. ის იყო მეცამეტე იხვის ამბავი უნდა ეკითხა დიასახლისს, რომ მურია მიუახლოვდა, რომლის ზურგიდანაც ერთი იხვის ჭუკი ჩამოციცდა და კოჭლობით გასწია კრუხისკენ. ნუ იტყვით, თურმე ეკალი შერჭობოდა ფეხში; რის გამოც სიარული უჭირდა. მურიას კი, სიამოვნებით შეუთავაზებია მისთვის ზურგი. დიასახლისმა ალერსით გადაუსვა თავზე ხელი მურიას და უთხრა: შემდეგში, მხოლოდ შენი იმედით თუ გავგზავნი ქოჩორასა და მის ჭუკებს ჭალაშიო. მურიამ კუდი გააქიცინა და ასე მიმართა დიასახლისს: "ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო. " ამის შემდეგ დიასახლისმა ფეხიდან ეკალი ამოაცალა იხვის ჭუკს, სპირტითაც დაუმუშავა და სხვებთან ერთად ისიც დააბინავა. მურიას კი სადილისას შეგროვილი საუკეთესო ძვლები და გემრიელი სალაფავი შესთავაზა ვახშმად. ქოჩორა და მურიკელა, განუყრელი მეგობრები. მშვენიერი ფინალია– გმადლობ, ჩემო ტკბილო ბები!

## მებადური და მისი შვილობილი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. იყო ერთი მებადური, რომელიც თევზებსაც მოხერხებულად იჭერდა და, ზამთარში, როცა საქმე ნაკლებად ჰქონდა, მშვენიერ ბადეებსაც ქსოვდა. სასროლი, საჩხრეკი, ხელის ბადე, მოკლედ, რა გინდა, რომ მის ხელს არ მოექსოვოს. მეუღლე და ოთხი შვილი ჰყავდა მებადურს. უფროსები ქალები იყვნენ, დაოჯახებულები და თავიანთ ოჯახებში ცხოვრობდნენ. მებადურთან ორი ვაჟი ცხოვრობდა, რომლებიც შესანიშნავად ფლობდნენ მამის ხელობას. გამართული სახლ–კარისა და მსხმოიარე ბაღ–ვენახის პატრონი იყო მებადური; ჰყავდა ცხვარი, თხა, ღორი, და მსხვილფეხა საქონელიც დაუდიოდა ნახირში. ჰქონდა, აგრეთვე მშვენივრად მოვლილი ბაღჩა–ბოსტანი, რომელსაც სხვა საოჯახო საქმეებთან ერთად მებადურის მეუღლე უძღვებოდა. იმდენი სხვადასხვანაირი ფრინველი დადიოდა მათ ეზოში, რომ ფეხის აქცევაც კი გაგიძნელდებოდათ. ძირითადში, მებადურს, თევზის დაჭერაში უმცროსი ვაჟი შველოდა; რომელსაც გაზაფხულზე თექვსმეტი წელი შეუსრულდა. ორი წლით მასზე უფროსი ძმაკი, მეტწილად, ვაჭრობით იყო დაკავებული. ყიდდა ნამატ საქონელს, თევზს, ბადეებს... მებადურის ოჯახის მახლობლად ცხოვრობდა ერთი ღარიბი კაცი, რომელსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებდა და მამის დანატოვარ ოჯახს დიდი ვერაფერი შესძინა. ერთი თხა და რამდენიმე ქათამი. სულ ეს იყო მისი ავლა– დიდება. –შენ რომ არ მყავდე, წყალიც არ წამიღებდაო, –ეტყოდა ღარიბი მეზობლის ცოლი მებადურის მეუღლეს, როცა ეს უკანასკნელი, ხან შვილების ნახმარ ტანსაცმელს, ხან კიდევ ცხიმს, წველას, თევზს მიაწოდებდა. მსგავსი ან ოდნავ განსხვავებული ნობათით, მება-

დურიც ხშირად სტუმრობდა შეჭირვებულ ოჯახს, ერთ ორ იმედიან სიტყვასაც ეტყოდა გასამხნევებლად და შინ გამოსწევდა. დიდი ეზო ჰქონდა მებადურს, მამისგან დანატოვარი; შარშან ეზო შუაზე გაჰყო და უფროსი ვაჟისთვის მშვენიერი სახლი ააშენა. როცა დაოორწინდები–ცალკე გახვალ და იცხოვრებო, ღიმილით უთხრა მამამ შვილს, მერე თვალი ჩაუკრა და დასძინა: უმცროსმა ძმამ არ დაგასწროს დაქორწინებაო. ძმებმა ერთმანეთს შეხედეს, გულიანად გაიცინეს და მადიანად გააგრძელეს ვახშმობა. ერთ საღამოს, დაღლილი მებადური დასაძინებლად ადრიანად დაწვა. ნაშუაღამებს ნახა სიზმარი. გამოეღვიძა აფორიაქებულს და ძილში ნანახი რომ არ დავიწყებოდა, გულში რამდენჯერმე გაიმეორა: თუ გინდა ცხონდე, ერთ რჩევას მოგცემ და ყური დამიგდეო, უთხრა მებადურს სიზმარში სანდომიანი სახის მოხუცმა. –ღარიბ მეზობელს რომ ხელს უმართავ, ამაში კარგის მეტს ვერაფერს ვხედავ. გეცოდინება, რომ იმ ოჯახში ყმაწვილი წამოიზარდა. თუ გინდა, რომ მამამისივით, ისიც სხვისი ხელის შემყურე არ იყოს, მადლი ჰქენი და შეგირდად აიყვანეო. სიამოვნებითო, -უთხრა მებადურმა მოხუცს და თავი დაუკრა. ერთ, შედარებით თავისუფალ დღეს, მებადური ხელდამშვენებული ეწვია ღარიბ მეზობელს. –მინდა შენი ვაჟი შეგირდად ავიყვანოო, უთხრა მებადურმა მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ მეზობელს. თუ ჭკუაში დაგიჯდებათ ჩემი ნათქვამი, ხვალვე მითხარი პასუხი, საქმეს გაჯანჯლება არ უხდებაო. სექტემბრის მშვენიერი საღამო იყო. მებადურმა ის იყო ხელ–პირი დაიბანა და შინ აპირებდა შესვლას, რომ ჭიშკარს ღარიბი მეზობელი მოადგა თავის თოთხმეტი წლის ყმაწვილთან ერთად. –გენდობი და შენი მჯერა, ჩემი შვილის იმედიცა მაქვს; ღმერთსა ვთხოვ, ეს იმედი არ გამცრუებოდესო, უთხრა გამომშვიდობებისას მეზობელმა მებადურს და მის გამოწვდილ ხელს მარჯვენა შეაგება! საიმედო ოჯახში გტოვებო, უთხრა შვილს, მამაშვილურად მიესიყვარულს და შინისკენ გასწია. შვილივით მიიღეს ყმაწვილი მებადურის ოჯახში. ოჯახის უფროსი შვილობილს ეძახდა; დიასახლისი კი, ენას ისე არ მოაბრუნებდა, რომ მისთვის "შვილოთი" არ მიემართა. ვაჟები ყმაწვილს "ძმობილოს" დასძახოდნენ და მის გარეშე პურს არ გატეხავდნენ. ყველაფერი ძველებურად მიდიოდა მებადურის ოჯახში. სიახლე მხოლოდ ის გახლდათ, რომ მებადურს, ახლა უკვე, ორი ვაჟი დაჰყავდა სათევზაოდ: უმცროსი ვაჟი და შვილობილი. რაც შეეხება უფროს ვაჟს, მამის სურვილით, იგი სხვა საქმით იყო დაკავებული. სულ მალე აუღო ალღო საქმეს მებადურის შვილობილმა. თევზჭერაშიც აქტიურად ჩაება და ბადის ქსოვაშიც დაოსტატდა. რამდენჯერმე ბაზარშიც კი გაჰყვა ძმობილს, რითაც ყველაზე მეტად მამობილს ასიამოვნა. ნახირში წასვლის სურვილიც მრავალჯერ გამოთქვა შვილობილმა. –ყოჩაღ, შვილობილი, შრიმაში სათაკილო არაფერია, კარგმა მეურნემ ყველა საქმე ზედმიწევნით უნდა იცოდეს, ვინ იცის, რომელი სად გამოადგეს! მალე თევზსაჭერ და ბადისაქსოვ იარაღებს მოგცემ, ბევრ სხვა რამესაც გაგატან და მამასთან დაგაბრუნებ. ოღონდ, ჯერ შენი სახლი უნდა შევაკეთოთ, საამისოდ ცოტა ფულიც დავზოგეო. გახსოვდეს, რომ მამაშენის ოჯახი ფეხზე შენ უნდა დააყენო. საბრალო კაცი ავადმყოფობამ დაჩაგრაო, -უთხრა მებადურმა, ორი წლის გასვლის შემდეგ, შვილობილს. ამ საუბრიდან გავიდა ერთი თვე. მებადურს ციება შეეყარა და ლოგინს მიაჯაჭვა. ექიმები, წამლები, ექიმბაშთა რჩევები–ყველა დროულად მიაშველეს, მაგრამ უშედეგოდ, მებადურს გამოკეთება არ დატყობია. ერთ დღეს, როცა ყმაწვილები მებადურის გარეშე თევზაობდნენ, შვილობილმა განსაკუთრებული სილამაზის თევზი დაიჭირა. ის იყო ხელში აიყვანა, რათა თავისი



ძმობილისთვის ეჩვენებინა, რომ თევზმა ენა ამოიდგა და ყმაწვილ მეთევზეს მიმართა: –თუ გამიშვებ ბედსა გწევ. შენ ოღონდ თქვი და, სამი სურვილის ასრულება ჩემზე იყოსო. –შენს გაშვებას ისედაც ვაპირებდი, რაღამც მთხოვე, მით უფროო, -ღიმილით უთხრა თევზს მებადურის შვი-

ლობილმა. –ნუღარ აყოვნებ ძმობილო, ჩაუთქვი სურვილები, ოღონდ დაფიქრდი, მერე არ ინანო. გააფრთხილა მეთევზე ოქროს (როგორც შემდეგ გაირკვა) თევზმა.

–კარგი, ძმობილო, რახანია მამა მყავს ავადმყოფობისგან დაბეჩავებული, თუ მომირჩენ, შენი ვალიდან ვერასდროს ამოვალო, მოკრძალებით აუწყა სათქმელი ყმაწვილმა მეთევზემ თევზს. –ეს ერთი სურვილი, ძმობილო, შეგიძლია მეორეც მითხრაო, წაათამამა თევზმა ახალბედა მეთევზე. –ერთი თვე იქნება, რაც მამობილი გამიხდა ავად, იმასაც რომ მომირჩენდე, ჩემზე ბედნიერი კაცი დედამიწაზე არ გაივლისო–იყო პასუხი. –ძმობილო, მოგეხსენება, რომ ღმერთი სამობითაა, მესამე სურვილიც გამიმხილე და ამით გავათაოთო. თქვა თევზმა და პირი საცოდავად დააღო, ეტყობოდა, რომ სუნთქვა უჭირდა, უწყლოდ დიდხანს ვერ სძლებდა. –რაღამც ასეა ვიტყვი: ალალი შრომით იმდენი მინდა მქონდეს, რომ სხვებსაც ვუწილადოო. თქვა ყმაწვილმა, თევზს ლამაზ თავზე აკოცა და მდინარეში შეაცურა. მოითქვა თუ არა სული თევზმა, წყალში ჩაიყურყუმალა და მალე თვალსაც მიეფარა. შინდაბრუნებულ ვაჟებს ასეთი სურათი დახვდათ: სრულიად გამოჯანმრთელებული მებადური და თავისი ღარიბი მეზობელი ეზოში ტკბილად საუბრობდნენ! უზომოდ გახარებული ვაჟები ხან ერთს ეხვეოდნენ, ხან მეორეს. მოდიოდნენ მეზობლები, ახლობლები, მოკეთენი და ორივეს ულოცავდნენ გამოჯანმრთელებას. სამი დღე–ღამე ქეიფი არ შეწყვეტილა მებადურის ოჯახში. მებადურმა შეასრულა დანაპირები: სახლიც საფუძვლიანად შეაკეთებინა შვილობილს და თევზსაჭერი, ბადისაქსო ვი თუ სხვა დანიშნულების იარაღებიც მისცა. გარდა ამისა, გაატანა სავსე დეკეული, წყვილად მოზვერი, ორი თხა, სამი ცხვარი და მოზრდილი ბურვაკიც, საშობაოდ. გააგრძელა მამის კერაზე შრომა და ცხოვრება მებადურის შვილობილმა. ბევრს შრომობდა, ნაშრომი კი, თვითონაც ჰყოფნიდა და გაჭირვებაში მყოფ მოყვასსაც ეხმარებოდა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
დავამთავრე, მეტი რა ვთქვა,
ქატი იქა, ფქვილი აქა,
დროა, დაიძინოთ ახლა!

## ხაზედაშე ქვევრი

იყო ერთი გამრჯე და ალალ–მართალი კაცი, რომელსაც სახელად ლაზარე ერქვა. გულიანი შრომა იცოდა ლაზარემ და მისი სამუშაო დღეც უთენია იწყებოდა. სამუშაო იარაღების მოვლა–გაფრთხილება უყვარდა ძალიან; თავისთან შრომობდა ლაზარე თუ სხვას ეხმარებოდა, ყველგან გულიანად ირჯებოდა. ამ ღვთისნიერ კაცს ირგვლივ ყველა ემადლიერებოდა. უყვარდა თავის მოწესრიგება და, გლეხკაცის პირობაზე, ლაზათიანად ჩაცმულ–დახურული დადიოდა. სოფლის სადალაქოშიც დროულად შეივლიდა ლაზარე, თმებს შეიკრეჭდა, წვერ–ულვაშს შეისწორებდა და მერე, დინჯად, აუჩქარებლად გაუყვებოდა სახლისკენ მიმავალ გზა–შარას. რაც შეეხება ლაზარეს მეუღლე მარიამს: მუხლჩაუხრელად ტრიალებდა იგი თავის კარ–მიდამოში; კრუხ–წიწილის ყურისგდება იყო, ბოსტნის მოვლა თუ სადილ–ვახშამის მომზადება, მარიამი ყველაფერს დროულად და ხარისხიანად აკეთებდა. გამრჯე ცოლ–ქმარს შვილებიც სანიმუშონი ჰყავდათ. მეტად დაუზარელი შვილები გყავსო, ჩემო ლაზარე, ეტყოდნენ მეზობლები და შვილების შექებით ნასიამოვნები ლაზარეც სიამოვნებით ჩამოისმევდა წვერ–ულვაშზე ხელს და მთელი დღე გაჰყვებოდა ეს სასიამოვნო განწყობა. თავის დროზე, მღვდელი იყო ლაზარეს მამა, რომელიც კეთილსინდისიერად ემსახურებოდა სოფელს და მრევლიც კმაყოფილი ჰყავდათ. სწორედ მამისგან მოდევდა ლაზარეს ღვთის სიყვარული და თაყვანისცემა. დილით, რაც უნდა საშური საქმე ჰქონოდა "მამაო ჩვენოს" იტყოდა, პირ–ჯვარს გადაიწერდა და საქმეზე ამის შემდეგ გასწევდა. წყაროს წყალივით წინ–წინ წამოვიდა ლაზარეს ოჯახის საქმე. მამის დანატოვარ, გამართულ სახლ–კარს, ლაზარემაც ბევრი რამ შესძინა. ქვაც აქვს და კაკალიცო, იტყოდნენ ლაზარეს შესახებ მეზობლები და მართალნიც იყვნენ. ლაზარესთან მისული სტუმარი ყოველთვის კმაყოფილი ტოვებდა ოჯახს. იმ ავადმოსაგონარ დროს, როცა კარგ მეურნესაც კი, კულაკებად (სხვისი შრომით გამდიდრებულად) თვლიდნენ და ათასი მაქინაციებით აწიოკებდნენ კიდეც, ლაზარეს სახლის კარსაც მოადგა ეგრეთწოდებული მთავრობის კაცი, სახელად გიგუშა, რომელსაც ეტყობოდა, რომ გვარიანად გადაეყლურწა სადღაც და ლაპარაკის ხასიათზე დამდგარიყო. – მარანი უნდა დაგითვალიეროო, საზეიმო ტონით გამოუცხადა ლაზარეს და მარნის კარის გაღება უბრძანა. – ღიაა და მიბრძანდიო, მშვიდად მიუგო ლაზარემ და მარ-

ნის კარები უჩვენა. – გირჩევნია დროზე ამოღერღო, თუ სად გადამალე ძვირფასეულობა, ჩვენ ყველაფერი ვიცით, ადრე თუ გვიან, ყველაფერსიპოვნიან და მერე ვერავინ გიშველისო, – უთხრა მარანში უაზრო ბორიალით დაღლილმა გიგუშამ ლაზარეს და იქვე ჩამარხულ საზედაშე ქვევრს, პატარა ქოცოს ფეხი დაადო. –გიგუშა, ჯერ ერთი, რა ოქრო-ვერცხლის და სიმდიდრის პატრონი მე მნახე. მამა-პაპა მყავდა მომხვეჭელი თუ რა. იქნებ მე ვარ ზარმაცი და უქნარა. დღე და ღამე ვშრომობ, თუ არ გჯერა, ამ ხელებს შეხედე და დაიჯერებ. ყველაფერი რასაც აქ ხედავ, ალალი შრომითაა შეძენილ-გაკეთბული. მეორეც კიდევ, კარგს იზამ თუ ფეხს დაბლა ჩამოდგამ. ემაგ ქვევრში ზედაშე ასხია და... როგორ თუ შენიშვნა გამიბედეო, გაგულისდა გიგუშა, სიტყვაც არ დაამთავრებინა ლაზარეს, ისე მოუქნია წიხლი. იმარჯვა ლაზარემ, გვერდზე გახტა და მისთვის გამიზნული ჩექმიანი წიხლი ქვევრის ყელს მოხვდა. ხმაურზე მარიამი შემოვარდა მარანში. – ეგ ფეხი მოგტყდეს შე არაკაცო, შენა. ნეტავი ვიცოდე, რა დაკარგე, რომ დადიხარ და დაეძებ! ახლა ეგ სიტყვები იუკადრისა გიგუშამ და მარჯვენა ფეხი, ახლა უკვე გამიზნულად, ქვევრს ჩასცხო გამეტებით. ჩაიმტვრა მამა–პაპისგან ნალოლიავები ქვევრი! ცოლ–ქმარმა ერთმანეთს შეხედეს. გიგუშამ მედიდურად გადახედა ორივეს და გამომწვევად თქვა: – ხომ ხედავთ, საღ–სალამათი გახლავარ და თქვენი ღმერთიც ვერაფერს დამაკლებსო! – ღმერთი ყველასია, შე ცოდვის შვილო, შენა, – თქვა ლაზარემ და დაამატა: გირჩევ წახვიდე საიდანაც მოხეტებულხარ, ვიდრე ცოდვა არ ჩამიდენიაო და კარისაკენ მიუთითა დაუპატიჟებელ სტუმარს. მარიამმა კი ქოქოლა მიაყარა კარისაკენ მიტრიალებულ გიგუშას და მერე, სიბრალულის გამომხატველი ტონით უთხრა: –მეტი რაღა უნდა დაგაკლოს, შე უბედურო შენა, გაუგიჟებიხარ და ესააო! ერთი წლის შემდეგ, შემოდგომის პირზე, გიგუშას შეშით დატვირთული ურემი დაუგორდს და ზედ იმ ფეხზე გადაუარა, რომელ ფეხსაც მთელი ძალით ურტყამდა ლაზარეს მარანში ჩაფლულ საზედაშე ქვევრს! სულსმებრძოლი გიგუშა საავადმყოფოში გააქანეს, ბევრიც უმკურნალეს ფეხზე, ექიმბაშების რჩევებიც არ დატოვეს უყურადღებოდ, მაგრამ უშედეგოდ. ექიმებმა შიგ მუხლში მოჰკვეთეს მარჯვენა ფეხი გიგუშას! უბედური შემთხვევისგან დაზღვეული არავინაა და ეს შემთხვევაც მას მიაწერეს. გავიდა ორი დღეც და, დახეთ საოცრებას, მოკვეთილი ფეხის ზემოთ, მუხლიდან ერთ მტკაველზე, არც მეტი და არც ნაკლები, –გიგუშას ქვევრის ფორმის ფიგურა გამოესახა! – დიდება შენ და უფალო, დიდია ძალა შენი! – ტირილით ამბობდა ათივე თითებზე სანთელანთებული გიგუშას ცოლი; მკერდზე მჯიღისცემით, ღმერთს პატიებას სთხოვდა ქმრის უმსგავსი საქციელის გამო. მერე, როდესაც გიგუშას ოდნავი მომჯობინება დაეტყო, დედამ იხმო შვილები და უთხრა: – ილოცეთ შვილებო, ილოცეთ, რაც მამათქვენს შეემთხვა, უბედური შემთხვევა როდია...ადრეც მივედი და, გიგუშას მაგივრად ლაზარეს ოჯახს მოვუბოდიშე. ლაზარე და მარიამი აქეთ მაწყნარებდნენ. მიპატიებია მეზობელოო, მთავარია ღმერთმა შეუნდოს და აპატიოსო, – მითხრა წამოსვლისას ლაზარემ, მაგრამ... გადავწყვიტე, როცა მამას საავადმყოფოდან გამოწერენ, ორი წლის მოზვერი რომ გვყავს, სამღვთო გადავიხადოთ იმით და მეზობლები მოვიპატიჟოთო. გუშინ, საავადმყოფოში რომ ვიყავი, მამათქვენს დაველაპარაკე ამ თემაზე. შეშინებულია და გატეხილი. ამბობს, რომ ინანიებს ჩადენილს. –კარგს იზამ დედაჩემო, მშვენივრად მოგიფიქრებია, იქნებ ახლა მაინც მოეგოს გონს მამა.



მის ამბავს ყველანი განვიცდითო, – ყველას მაგივრად თქვა უფროსმა ვაჟმა და დედას ამოუდგა გვერდით. – უფალი მოწყალეა, იმედია გადმოგვხედავს და ჩვენს ვედრებას შეისმენს. – თქვა გიგუშას ცოლმა, პირჯვარი გადაიწერა რამდენჯერმე და ღმერთს დანაპირების შესრულება აღუთქვა.

ჭირი იქ, ლხინი აქაო,
ქატო იქ, ფქვილი აქაო;
პირჯვარი გადავიწეროთ,
და დავიძინოთ ახლაო!

# სიყვარულით მოლაპარაკე მნათობები

გამიგონია, რომ მთვარეს ნამეტნავად შეუყვარდა მზე და, ერთ მშვენიერ დღეს, სიყვარულშიც გამოუტყდაო. გულისფანცქალით ელოდებოდა თურმე სასურველი ქალის პასუხს მთვარე და წუთი საათად ეჩვენებოდა, საათი კი მთელ დღედ. მერე, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა ვაჟმა ასეთი ლექსი მისწერა მიჯნურს:

მზევ, გახსენი ბაგე,
და მითხარი რამე,
უშენობით ვკვდები,
აგრემც გენაცვალე!

მთელი დღე ელოდებოდა ამ ლექსის პასუხს მთვარე. პასუხი კი, რატომღაც, აგვიანებდა. თურმე, ნუ იტყვით, ქალი შეგნებულად იქცეოდა ასე, ვაჟს რომ უფრო შეჰყვარებოდა. როგორც იქნა მოსწყინდა მზეს კეკლუცობა და მთვარესთვის გასაგზავნი ლექსიც დაწერა:

მთვარევ, შენთან ყოფნის,
შემომიჩნდა ჟია –
თავს ვიკავებ, რადგან,
მაინც ქალი მქვია!

რამდენჯერმე გადაიკითხა თავისი ნაწერი მზემ და დაასკვნა: მგონი არ უნდა იყოს ურიგო, მაგრამ ქალური ინტუიცია მკარნახობს, რომ რაღაცა აკლიაო. ცოტა ხანს იფიქრა და ერთი სტროფი კიდევ დაამატა:

თუ გიყვარვარ მართლა,
და ვარ შენი გოგო,
თანახმა ვარ, მოდი,
რომ ცოლობა მთხოვო!

ქალის უსტარმა მეტად გაახარა გამიჯნურებული მთვარე და ეს სიხარული უმალ გაუზიარა მზეს. აი, რას სწერდა ვაჟი ქალს:

საღამოსვე გნახავ...
როგორ გამახარე!
სიყვარულით გკოცნის
შენი სატრფო – მთვარე!

ამ ლექსის დაწერიდან ზუსტად ერთი კვირის თავზე მზე და მთვარე დაქორწინდნენ კიდეც და ისეთი ქორწილი გადაიხადეს, რომ ჩიტის რძეც არ აკლდა სუფრას. მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ ქორწილს თვით ღმერთი თამადობდა! ნეფე-პატარძლის დღეგრძელობისას ღმერთმა ბრძანა: ბევრი ვიფიქრე, თუ რა მომერთმია თქვენთვის საჩუქრად. მსურდა, საჩუქარი განსხვავებულიც ყოფილიყო და ახალდაქორწინებულთა გულებიც მომეგო. ბოლოს გადავწყვიტე, რომ თითო სურვილი ორივეს აგისრულოთ. საამისოდ მზად გახლავარ და ახლა თქვენი სურვილები გამაცანითო. რადგან ასეა, პირველი მე ვიტყვი, თქვა მთვარემ და ღმერთს მოწიწებით შეხედა. – მინდა გთხოვოთ, რომ ჩვენი არსებობა და სიყვარული მარადიული იყოს! მოკლედ თქვა მთვარემ და მეუღლეს ანიშნა: ახლა შენი დროა, შეგიძლია თქვაო. – მინდა ბევრი შვილები გვყავდეს და ისინიც მარადისობას ეზიარონო... თქვა მზემ და თავი მორცხვად დახარა. ორივე სურვილი აღსრულებული იქნება, ოღონდ რაღაცას განვმარტავ და კარგად მომისმინეთო: – ურიცხვი შვილები გეყოლებათ ვარსკვლავების სახით და ისინიც, თქვენსავით ზეცაში იცხოვრებენ. თუ რომელიმე დედამიწაზე ცხოვრებას მოისურვებს, მაშინ იგი ადამიანად, ჩვეულებრივ მოკვდავად იქცევა, რომელიც მართალია მოკვდავია, მაგრამ მისი სული არასოდეს კვდებაო. დედამიწაზე ადამიანად ჩამოსული ვარსკვლავი კი, მუდამ თვალსაჩინო ცხოვრების გზას გადის. იგი ან ხელოვანია, ან გმირი, ან ბრძენი – ხალხთა წინამძღოლად მოსული. – ბრძანა

უფალმა, საუბრის დასრულების ნიშნად, კვერთხი სამჯერ დაიქნია და ტახტრევანზე დაბრძანდა. სახეგაბადრული მთვარე მიეახლა ღმერთს, მადლი მოახსენა ზღაპრული საჩუქრისთვის და მისგან სიტყვის თქმის უფლება ითხოვა. – ორივეს გისმენთ, რაც გინდათ თქვითო. – ბრძანა უფალმა და თავისი ყურადღება ნეფე-დედოფლისაკენ მიაპყრო. – პატარა საჩუქარი მეც მოვუმზადე ჩემს დედოფალს; მართალია, ღმერთის საჩუქარს ვერ შეედრება, მაგრამ მეპატიება, რადგან გრძნობა ამ ფორმით გამოვხატეო! სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად, მინდა მზეს გადავცე ის სითბო, რომელსაც სხეულით ვატარებ. ამიერიდან ჩემთვის მისი სითბოც საკმარისი იქნებაო. – თქვა მთვარემ და მზეს შეხედა. – შენდამი ერთგულების ნიშნად, ვიღებ შენი სხეულის სითბოს, ზედ ვუმატებ ჩემი გულის სიმხურვალეს და ვაქცევ მას უზარმაზარ ენერგიად, რომელსაც ყველას ვუწილადებო. – თქვა მზემ ნაზად და გულშიჩამწვდომად. ამ სიტყვებით გულგამთბარმა მთვარემ მთელი თავისი სხეულის სითბო მზეს გადაულოცა. აღასრულა ღმერთმა დანაპირები. მზე, მთვარე, ვარსკვლავები... მარადიული მცნებაა, რომელიც არსებობდა ჩვენამდე, არსებობს ახლაც და იარსებებს მომავალშიც! რაც შეეხება მზისა და მთვარის ურთიერთობას: მათ დღესაც ძველებურად უყვართ ერთმანეთი. მზე მცხუნვარეა, მთვარე კი გრილი... ისინი ერთმანეთს ავსებენ და არიან სრულ ჰარმონიაში. ყველამ ვიცით, რომ მზე ფლობს უზარმაზარ სითბოს, რომელსაც უშურველად უწილადებს მთელს პლანეტას. მზისა და მთვარის შვილებზე, ვარსკვლავებზეც მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა. ქვიშასავით გამრავლდნენ. ეს სიმრავლე თვალშისაცემია იმდენად, რამდენადაც მათი დათვლა ჯერ არავის მოუხერხებია. იმასაც ამბობენ, რომ ზოგიერთი ვარსკვლავი ზეცაში ვერ მოთავსდა, თუ იქაურობას ვერ შეეგუა, ცას მოსწყდა და ჩვეულებრივი მოკვდავივით, დედამიწაზე გააგრძელა ცხოვრება. ყურმოკვრით ვიცი, რომ ზეცაში მცხოვრებ ვარსკვლავებსა და ჩვენს მშვენიერ პლანეტაზე დასახლებულ კაცთა მოდგმას ძალიან უყვართ ერთმანეთი. განსაკუთრებით ითქმის ეს ბავშვებზე. ვარსკვლავებმა ეს გრძნობა ლექსის სახით ჩამოაყალიბეს და თქვენთან გამოგზავნეს ბავშვებო! აი ისიც:



მოგესალმებით ბავშვებო,
თქვენთან ბაასი მომინდა;
ვარსკვლავეთიდან მიიღეთ:
პირზე კოცნა და მოკითხვა!

პატარებო! ვიდრე საპასუხო ლექსს მისწერდეთ ვარსკვლავებს, უფლებას ვიტოვებ, ერთი პატარა ლექსი, ეპილოგის სახით, მეც დაგიწეროთ და ამით დაგემშვიდობოთ... ნახვამდის?!

ჭირი და ქატო მტერს ჰქონდეს,
ჩვენ კი: ფქვილი და ლხინიო,
დღეისთვის საკმარისია.
ახლა კი – ტკბილი ძილიო!



აზა ასლანიძე

## შემოდგომა

ღამღამობით უკვე ცივა,
იცრემლება ხშირად წვიმა.
შემოდგომა ქოლგით ხელში,
დააბიჯებს ოქროს ტყეში.



## გაიხარა

ალუბალი აყვავდაო!
გაიხარა იმდენად,
თითქოს პაპამ გაზაფხული,
წელს იხილა პირველად.

## ათინათი

ათინათი მიბოძა
ჭუჭრუტანამ, პაწიამ.
მზესავით რომ ანთია, –
ოქროს ათინათია!

## ყველა ხეზე ჩიტი გალობს

ზუმუხტოვან ტყეებიდან,
კარგად ისმის მათი ხმები
და პირველად ზამთრის მერე
ამ ზღაპრული ხმებით ვტკბები.
ყველა ხეზე ჩიტი გალობს,
ბუდეს თავზე ევლებიან,
მეჩვენება თითქოს ირგვლივ, –
მომღერალი ხეებია!



## გვირილები

ოქროსფერი ქუდები აქვთ,
წამწამები – თეთრი.
როგორ გვანან ერთმანეთს,
დააკვირდით ერთი!
ველ-მინდვრებზე შეფენილი
გვირილების დედა,
ამ ტყუპისცალ გვირილებს,
როგორ არჩევს ნეტა?



## გაზაფხულო, რა მოგაქვს

გაზაფხულო, რა მოგაქვს?
– სიხარული ულევი,
მზით გამთბარი ქვეყანა,
მზით გამთბარი გულები.
ხმაწკრიალა წვიმები –
მარგალიტის ასხმულა.
პატარების ღიმილად
ციდან ჩამომარცვლულა.



## ფანტელებმა გაგვახარა

ცა ფიფქებით გაბარდნილა,
ვესალმებით ზამთრის დილას,
საჩეჩელით თოვლის ბებო
ცაზე ჩეჩავს ღრუბლის ფთილას.
ფაფუკელა ღრუბლის ფთილას
სულს უბერავს თოვლის პაპა
და ჯადოსნურ ვერცხლის კვერთხით
ქვეყნად ბროლს და ალმასს ფანტავს...
ფანტელებმა გაგვახარა,
ვესალმებით ზამთრის დილას,
საჩეჩელით თოვლის ბებო
ცაზე ჩეჩავს ღრუბლის ფთილას.

**„მეზღაპრე“ ლალი კახიძე**



## „სასწაული“
ზღაპარი

იყო და არა იყო რა იყო ერთი ჩიტი ნისკარტა, მთელი დღე დახტოდა და ნისკარტით ხეებს უკაკუნებდა: – კაკ-კუკ; კაკ-კუკ!

ერთ დღეს მეფის ვაჟი სანადიროდ შევიდა ამ ტყეში, თავის ნაზირ-ვეზირით უამრავი ამალით. არის სიცილ-ხარხარი, ლექსთა ცვენა, შაირები სიმღერები და დიდი გართობაა. უცებ ამინდი შეიცვალა – ქარიშხალმა ტყეს გადაუქროლა. ჭექა-ქუხილი მოედო ცისკამარას. უცებ მეხი ჩამოვარდა და დაეცა მეფის ვაჟს – უფლისწულს დაეცა. უფლისწული გარდაიცვალა. შეწუხდა მთელი ამალა. რა ქნან? მეფე, დედოფალს როგორ შეატყობინონ? ეს შემზარავი ამბავი? ნაზირ-ვეზირი ყურებჩამოყრილნი ზიან და დიდი გლოვა აქვთ.



სად იყო, სად არა ამ დროს გამოჩნდა ჩიტი ნისკარტა. მან ყვალაფერ დაინახა რაც მოხდა მიფრინდა მეფის ვაჟთან და თავში დაუკაკუნა თავის ნისკარტით. მოხდა სასწაული მეფის ვაჟმა თვალი გაახილა. ჩიტმა გაფრენა გადაწყვიტა, მაგრამ მეფის ვაჟმა მოახერხა მისი ხელით დაჭერა, – სად მიფრინავ? მე შენ სიცოცხლე მაჩუქე. მე შენ ვერსად ვერ გაგიშვებ. შენ ჩემი ჩიტი ხარ. ის მოეფერა ჩიტს, აკოცა და უცებ (ისევ მოხდა სასწაული) ჩიტი ულამაზეს ქალწულად გადაიქცა. ქერა, ცისფერთვალება ულამაზესი ფერია, რომელსაც მარწყვივით ტუჩები ჰქონდა.

– შენ რა გქვია ჩემო ულამაზესო?

მე ნია მქვია.

– მე გიორგი. გიორგიმ იმ წუთში გადაწყვიტა დანიას ცოლობა სთხოვა. იქორწინეს და ასე დაბრუნდნენ სასახლეში.

ხედავთ ჩემო პატარებო სასწაულების უნდა გჯეროდეთ, სასწაულები ხდება.

ტკბილი ძილი ჩემო პატარებო.

## მელია და ბავშვები

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ჯადოქარი სახელად „კაკალა“ – კერკეტი კაკალივით იყო და თან ძალიან ბოროტი. ის დადიოდა სოფლებში და პატარა ბავშვებს, შოკოლადისა და ტკბილეულის ნუკბარით აჯილდოვებდა და თვაისკენ იზიდავდა ის დადიოდა მთაში – ბარში და უამრავი რაოდენობის ბავშვები მოაგროვა. შემდეგ მისი გზაკვრული გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ ეს პატარა ულამაზესი ბავშვები ცხრა მთას იქით მიჰყავდა და ფუტკრებად გადააქცევდა მთაში უამრავი სკა გაჩნდა. სკები კი ივსებოდა უგემრიელესი თაფლით, „კაკალას“ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ტკბებოდა, თავის მოსავალს, რომ ხედავდა.





ამ მთას სადაც ფუტკრები მოამრავლა კუდიანმა „კაკალამ“, გარშემო ერტყა ტყე. ტყეში ძალიან ლამაზი მელაკუდა ცხოვრობდა. ულამაზეს ფერებში იყო მი-

სი ლამაზი გრძელი კუდი. მელია თვალყურს ადევნებდა „კაკალას“ ბოროტ საქმეებს. ის ცდილობდა ბავშვები როგორმე დაეხსნა მისგან და წამოეყვანა მთიდან.



ერთ მშვენიერ დღეს მელაკუდა გაეცნო „კაკალას“, „კაკალას“ თვალს არ გამოჰპარვია მელაკუდას მშვენიერ ფერებში შეღებული კუდი, მოეწონა და უთხრა:

– მელაკუდა მშვენიერო, ეგ ხელობა მეც მასწავლე როგორ შეიღებე კუდი?

– ძალიან კარგიო – უთხრა მელამ. აიყვანა კაკალა სახლის სახურავზე, დაასხა ზევიდან წყალი და დაარიგა.

– ასე იჯექი, ხმა არ ამოიღო და ეხლავე შეიღებებიო.

იჯდა „კაკალა“ იმის მოლოდინში, რომ სასწაულ ფერებში შეიღებებიო.

მელიამ დო იხელთა მიეპარა უკნიდან კრა ფეხი და კლდიდან დააგორა. ბოროტმა „კაკალამ“ სული დალია. გაიქცა გახარებული მელია სკებისკენ და მიმართა ბავშვებს:

– ბავშვებო თქვენ თავისუფლები ხართ. ცოტახანში თვითოეული ფუტკარი ბავშვად გადაიქცა. იყო სიხარული, ჟრიამული, მხიარულება.

ხედავთ ბავშვებო როგორი სიკეთე გააკეთა მელაკუდამ? ისევ და ისევ სიკეთემ გაიმარჯვა. ტკბილი ძილი პატარებო.

## „სამეფო ქორწილი“

ზამთარია თოვს. ლუმლიდან ბოლი ამოდის, ცეცხლი არ ქრება, ვინაიდან დიდი ზამთარი მოვიდა ქართლის ერთ-ერთ სოფელში.

ამ ოჯახში ცხოვრობს დედა ვარიკო, შვილი გოგია და შვილიშვილი თეონა. ოჯახში ყველა შრომობდა, თეონას დედა მის მშობიარობას გადაჰყვა და თეონა ბებიამ ვარიკომ და მამამ გაზარდა. ამ მშვიდ ოჯახს, არეულობა და წუხილი დაატყდა თავს. მამამ ცოლი მოიყვანა ფეფო, ფეფოს თეონას ტოლი შვილი მოჰყვა ფაცო. დედაშვილი ძალიან ბოროტები იყვნენ. თავიანთი წესები და კანონები დაარსეს ამ უწყინარ ოჯახში.



ყოველ დილით დედინაცვალი ფეფო, თეონას ტყეში აგზავნიდა ფიჩხების მოსაგროვებლად და თან სახლში უნდა მოეტანა. ვერავინ ეწინააღმდეგებოდა ბოროტ ქალს. თავის ფაცოს კი ყოველ დილით ცხელ რძეს ასმევდა, შემდეგ ჩათბილულ ლოგინში აწვენდა და სადილამდე აძინებდა, რომ კარგად დასვენებულს მიერთვა შემწვარი წიწილა. საწყალი თეონა კი ტყეში იყინებოდა.

სად იყო სად არა, უცებ ციდან ჩამოვარდა თბილი ქურქი, თავის თბილი ქუდითა და ხელთათმანით.

– ჩაიცვი არ გაცივდე, – მოესმა ხმა



გოგონა შეკრთა. ჩაიცვა თეონამ და დათბუნდა. ამ დროს გამოჩნდა ციგა რომელშიც თეთრი რაში იყო შებმული. შიგ ლამაზად, ერთ ზომაზე დაჭრილი შეშის ნაჭრები ეწყო. ან ვინ დაჭრა ასეთი ლამაზი ზომის თითქმის ერთნაირი შეშის ნაჭრები?

– დაჯექი თეონა წაგიყვან უთხრა ცხენმა. თეონა უსიტყვოდ ჩაჯდა ციგაში და ელვის სისწრაფით დაიძრა ციგა. – მიქროდა თეონა, დათოვლილი ნაძვები სიხარულით შესცქეროდნენ თეონას და თან ლოცავდნენ.

საღამო ხანს მივიდა თეონა სახლში, მამა და ბებია შეწუხებულები იყვნენ.

– რად დაგაგვიანდა შვილო?

– ბებია ხედავ ღმერთმა რა საჩუქრები გამომიგზავნა? – ხედავ რამდენი შეშა მოვიტანე? ბებია გაოგნებული იყო. ამ დროს ხმაურით გამოვარდა ფეფო. რას ხედავს ლამაზ ქურქში დამშვენებული თეონა. შურით გასკდა დედაკაცი და შეშის დანახვაზე გული წაუვიდა ბოროტს.

მეორე დილით თეონა აღარ გაუშვა ტყეში.

ქმარს უთხრა:

– ცხენები შეაბი და ჩემი ფაცო წაიყვანე ტყეში, მოაგროვოს ფიჩხები. დაემორჩილა გოგია ფეფოს და დატოვა ტყეში ფაცო. ყინავს, ცივა. მიუჩვეველი ფაცო მოიღუშა, შეწუხდა. ახედავს ცას და იწყებს ჩხუბს:

– გადმომიგდე თეონაზე ლამაზი ქურქი არ გესმის? – მშია, მცივა. ან სად არის შეშა? გაოგნებული იყვნენ ნაძვები მის საქციელზე ამ დროს ამოვარდა საშინელი ქარ-ბუქი და ფაცო გაიყინა, ერთ-ერთი ნაძვის ქვეშ.

გავიდა ორი დღე, შეწუხდა ფეფო შვილი რომ არ დაბრუნდა ლამაზ ქურქში გამოწყობილი ქმარს უბრძანა:

– გოგია წადი და სასწრაფოდ მომიძებნე ჩემი შვილი, ჩემი ფაცო და მომიყვანე. წავიდა გოგია მოსაძებნად და რას ხედავს: გაყინული ფაცო. ჩასვა მარხილში და წამოიყვანა სახლში. ეს რომ დედამ დაინახა ისეთი კივილი მორთო



– ცა და დედამიწა შეძრა. ღმერთს ეხვეწებოდა –

– დიდო უფალო! ოღონდ ჩემი შვილი დამიბრუნე და არასოდეს, არასოდეს ცუდ საქმეს არ ჩავიდენ.

ისმინა უფალმა მისი ვედრება და დააბრუნა გაყინული ფაცო და თვალები გაახილა.

დედა-შვილი სამუდამოდ დატკბენ. ხედავთ რა ძლიერია უფლის ძალა? თუ ადამიანები გამოსწორდებიან და ცუდს არ ჩაიდენენ ყველას აპატიებს უფალი. თეონას კი ბედი ეწვია. ციგაში შებმული თეთრი რაში ულამაზეს ჭაბუკად გადაიქცა და თეონას მამას თეონას ხელი სთხოვა.

ბერდია – მეფის ვაჟი იყო. თეონას მამა დათანხმდა თეონას გათხოვებას. დიდი სიხარული იყო მეფის კარზე. ერთ კვირაში დიდებული ქორწილი გადაიხადა მეფემ – ნამდვილი სამეფო ქორწილი ასე დასრულდა ეს ზღაპარი – ძილი ნებისა ჩემო პატარებო.

## არწივი

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო და არა იყო რა – იყო ზღაპარი არის და მუდამ იქნება ის ხომ ჩვენი ცხოვრების ნაწილია? ზღაპრები არის ბავშვებისთვის და არის დიდებისთვის. ყველას გვიყვარს ზღაპრები.

ჩვენმა „მეზღაპრემ“ გადაწყვიტა მიიღოს მონაწილეობა ამ მშვენიერ ზღაპარში. გაუდგა გზას და მიადგა მზიურ ქალაქს. საოცარი სანახაობაა მზიურ ქალაქში. ყვავის ხეები, იფურჩქნება უჩვეულო ფერის ვარდები, ხრიზანტემები, გეორგინები აგერ გაპრანჭული იასამანი გადასცქერის მის გვერდზე მყოფ ბდღვრიალა ნეკერჩხალს, რომელიც ბიბინებს ყვითელ-ნარინჯის ფერებში. ამ სილამაზის შემდეგ ხედავს „მეზღაპრე“ ამოთხრილ უზარმაზარ ორმოს – უცებ გაიფიქრა: – მოდი აქ ავაშენებ სახლს სართულებიანს და შიგ იცხოვრებენ ფრინველ-ცხოველი. მე მათ შევუქმნი ზამთარში კომფორტს. მთავარია ვიპოვო მშენებელი.



გაუდგა გზას, გზად შემოხვდა მგლების ხროვა გაუზიარა თავის ჩანაფიქრი. მგლები

უცებ დათანხმდნენ, მაგრამ ამაოდ. დაპირება დაპირებად დარჩა. უამრავი მშენებლები მოდიოდნენ, მათ შორის ტურების ხროვაც ცდილობდა როგორმე მოტყუებით ხელში ჩაეგდოთ აქაურობა, მაგრამ „მეზღაპრე“ ძალიან მკაცრად აკონტროლებდა ყველაფერს. 8 წელი დაპირებებში ტყუილში ამყოფეს ჩვენი „მეზღაპრე“ რომელიც ძალიან მონდომებული იყო ცხოველ-ფრინველის კეთილდღეობისთვის!



დადარდიანდა „მეზღაპრე“ რა ქნას არ იცის იფიქრა ტყეში შევალ სოკოს დავკრეფ და გულს გადავაყოლებ. სად იყო და სად არა გაისმა საყვირის ხმა – ცხოველთ მეფე ლომი მობრძანდება. მოკრძალებით შეხვდნენ ცხოველები ლომს. ლომმა შეამჩნია „მეზღაპრე“ მიუახლოვდა და უთხრა: – რატომ მოგიწყენია? შენს თვალებში დარდს ვხედავ აბა მითხარი რას დარდობ?

„მეზღაპრემ“ ყველაფერი უამბო ლომს, ლომმა ყურადღებით მოუსმინა და დახმარებას დაპირდა – მე შენ მოგიძებნი ღირსეულ მშენებელს. რომელიც პირნათლად შეასრულებს შენს სურვილს. რამდენიმე წუთში აშრიალდა ხეები, აჟღურტულდა ჩიტები. აჭიკჭიკდნენ მერცხლები, ბულბულმა მრავალჟამიერი შემოსძახა, ტოროლამ ბანი მისცა. სასწაული სანახაობა შეიქმნა არწივმა გადაუფრინა ტყეს, ძირს დაეშვა, ასე შეხვდნენ ფრინველთ მეფეს არწივ კობას თავის ფრინველები. დინჯი, ლამაზი ღირსეული მომღიმარი არწივი პირდაპირ გაემართა აგრეთვე (ლომისაკენ) მიესალმა აგრეთვე მოკრძალებით „მეზღაპრეს“.

ლომმა ყველაფერი მოუყვა დაწვრილებით, მშვიდათ მოუსმინა არწივმა და დათანხმდა, რომ ის ააშენებდა ცხოველ-ფრინველთათვის სახლს. გაიხარა „მეზღაპრემ“ ძლივს აუსრულდა მრავალიწლის ოცნება.

ოცნებები სრულდება მთავარია იბრძოლო მოინდომო გქონდეს იმედი და რაც მთავარია ილოცო, უფალს ევედრო, დიდება უფალს.

არწივს და მის ლამაზ ოჯახს ჯამრთელობა ბედნიერება, დიდხანს სიცოცხლე.

თქვენ კი ძვირფასო მკითხველო ტკბილი ძილი.

**გივი ჯახუა**



## ოდოია

ოყიანი თოხი უზომოდ დამძიმდა, ოქროს ხავერდში გახვეული დილის მზე სარეველამოძალებულ ყანებს უხვად აფრქვევს ცინცხალ სხივებს, მახვილივით ასხლეტილი სიმინდის ბასრ ფხებზე ჯერ კიდევ ლალისფრად ციმციმებს ცვარ-ნამი.

შარშანდელმა მოუსავლიანობამ შავი დღე აყარა ისედაც კუჭგამომხმარ და არაქათგამოცლილ სოფელს. ქვეყნის სატკივარ-გასაჭირს ბუნებამაც თავისი დაუმატა. ჯერ იყო და ახალ ნათესებს წვიმამ იმდენი უთხლაშუნა, მარცვალი მიწაშივე ამოალპო. რაც ავდარს გადაურჩა, გვალვამ ახანძრა. ჰოდა, შიმშილმა არხეინად შეაღო სამზარეულოს კარები და შუაგულ კერიაზე უბოდიშოდ მოიკალათა.

სამაგიეროდ, წელს ერთბაშად ზღვად მოსკდა და ამობიბინდა თვალსაწიერზე გადაფენილი ყანები. მიწამ ხვავრიელად ამოიყოლა მადლი და ბარაქა, მადიანად აწოვა ძუძუ და მზესთან შეასისხლხორცა. ბალახ-ბულახიც ასე აიჯაგრა, სადაცაა ყანყრატოში მისწვდებოდა ლორთქო ღეროებს და მოგუდავდა.

ამ დროს ალიონთან ერთად იღვიძებდა ხოლმე ოდოია. ლარივით გატყორცნილ მწკრივებზე ჩამორიგებული გლეხების ერთ თავში ამოყვებოდა ცხელ სუნთქვას, ისე აზავთდებოდა, აიგრაგნებოდა მოავდრე ღრუბელივით, ერთბაშად გაითავისებდა ცისქვეშეთს, შენივთდებოდა მზესთან და გრიგალებთან, შორს, საფლავთან ბალახებში მიმობნეულ წინაპართა სახელებს ფარნავაზს, დავითს, წათეს, მაძინიას, მარიამს, შაქას... აიტაცებდა, ააფორიაქებდა. მერე მსუბუქი ფრთებით გაიშლიგინებდა, გაინავარდებდა, თბილ მიწას ნისლის კალთებით გულში ჩაეკვრებოდა, ჩაკოცნიდა, იქვე ჩაინავლებოდა თითქოს, გაქრებოდა და უცაბედად ისევ თოხის პირს ჟრუანტელად აეკიდებოდა ცაგახსნილი და კვლავ გრიალებდა, გუგუნებდა, ძლევამოსილი და სათავემორღვეული – ოდო-ია-დოდოია დო-დო-დო...



მაშინ თოხის პრიალა ტარებიც ხანჯალივით ელავდნენ მზეზე ოფლის ნაკადულები ღარავდა გლეხკაცის გარუჯულ სახესა და გულმკერდს.

გუჯუ ბაბუა ამტკიცებდა, იმ ოდოიას ჟრუანტელი დღეში მტკაველის სიმაღლეზე ზრდიდაო სიმინდს.

სამი წელია, რაც ომმა ზურგზე მოიკიდა ოდოია და სისხლისწვეთებად მიმოფანტა შორეულ ცისქვეშეთში. გრიგალებთან შეჯახებულს, ცეცხლთან ნარკინალს ყუმბარებით დამზრალ-დახეთქილ მიწაში მარცვალ-მარცვალ მარხავდა.

და ხმებისაგან დაიცალა სოფელი.



მათოხარი აღარავინ დარჩა. თვრამეტ წელს გადაცილებულ ყმაწვილებს, ჯერ დედის რძის გემო რომ დაჰკრავდათ, მეორე დღეს თუ არ წაიყვანდნენ, მერე თვითონ მიდიოდნენ ფრონტზე მოხალისედ. მოხუცებილა დაღანღალებდნენ შუკებსა და ორღობეებში, იხტიბარგაუტეხავნი, წელებზე ფეხს იდგამდნენ, ჩვენც აგვიყოლიებდნენ გვწინამძღვრობდნენ, სოფლის სამამაკაცო საქმეებს გვაჩვევდნენ და გვწვრთნიდნენ.

და აი, რიჟრაჟიდან ვდგევარ, ვიქნევ და ვიქნევ მამისეულ ოყიანს. ჩემი კბილა ლექსოც რომ არ გამოჩნდა? ალბათ ძალიან გაუჭირდა. დაჯაბნა უძლურებამ, არადა, გვერდით ხმის გამცემი რომ გიდგას, ისიც დიდია ღვთის წყალობაზე.

არც უფრო მაღლა მიიწევს გავარვარებული მზე, მით უფრო მიმძიმდება მკლავები. თოხის ყოველი მოქნევა, თითოეული ძირი სიმინდის შემოვლა არაქათს მაცლის; არც თუ ისე შორს მდგარი ჭადრები, ცაში აწვდილი კენწეროების ოდნავი რხევა მაცდურად მიხმობს გრილ, ხასხასა ბალახზე დაფენილი ჩრდილებისაკენ. ეს ფესვებძლიერი ჭადრები საუკუნის წინათ გუჯუ ბაბუას დიდ პაპას მაძინიას, ოჯახის მეათე შვილს, დაურგავს და მას შემდეგ ერთგულად დარაჯობენ გზის გასაყარს, ამ გოლიათებმა უკლებლივ სათითაოდ გააცილეს საომრად სოფლის წვერულვაშაბიბინებული ვაჟკაცები, გოგონებიც კი და, ვინ იცის, უკან დაბრუნებულს რამდენს მოითვლიან!

და ახლა, ამ სიცხე-ლადარში, თავად თოხისტარის ხელა, ვუბაყუნებ და ვუბაყუნებ ისედაც დამძიმებულ თოხს.

თითქოს თავბრუ მეხვევა, თვალებზე ბინდი მელაციცება, მზეც უცნაურად აიმღვრა, გადამწიფებული ნესვივით გაყვითლდა და დაიდღაბნა ცაზე. ნარინჯისფერ სივრცეში ჰაერიც შედედდა,

შენივთდა, ცხელი მტვერი მითუთქავს ნესტოებსა და ფილტვებს შევბარბაცდი კიდეც და, რომ არ წავქცეულიყავი, იქვე ფხვიერ მიწაზე ჩავიმუხლე.

– მუშა-კაცს გაუმარჯოს, ყოჩაღ, კარგად გითოხნია, ბაბუ – ძილბურანში მყოფს ჩამესმა გუჯუ ბაბუას, სოფლის მახვშისა და მოძღვრის, ბუხუნი ალბათ, მხოლოდ ამ ხმას შეეძლო მაშინ ჩემი გამოფხიზლება. მკვირცხლად კი ვცადე წამოხტომა, მაგრამ ისე ვიყავი მისავათებული, როგორც მითხრა დაისვენეო, იქვე ჩავიკეცე.



– ძაან კი დაცხა, დღეს ცეცხლს დაანთებს ალბათ ეგ დალოცვილი, – თითქოს თავისთვის მოლაპარაკე მოხუცი დინჯად დასწვდა ჩემს თოხს და ისე ძლიერად, გემრიელად მოუსვა, მწკრივში ჩამდგარი სიმინდის ღეროები ააშრიალა და აამღერა.

– თავისუფლად, ასე ხალვათად გეჭიროს, ბაბუ ძალდაუტანებლად... ხელი არ დაგეღლება, მიწაც დაგირბილდება, გაგიფხვიერდება და მოგყვება, – მარიგებდა ბრიგადირი, თან მსუბუქად, ჰაეროვნად ათამაშებდა თოხს. პირბასრი, ლაპლაპა ლითონიც რიტმულად იტყორცნებოდა ზევით-ქვევით, უმოწყალოდ ცელავდა სარეველა ბალახს და მწვანე ნოტიონ სურნელით იჟღინთებოდა იქაურობა.

„ოდო, დო-ია, ო ჰო-ჰო“ – რაღაც წყვეტილი ბგერები მოწყდა მეყანურის გაქვავებულ ბაგეებს, დამსახურებული ხმები, დაჭრილი მტრედები აფარფატდნენ მზით გათანგულ უფერო სივრცეში და მე ვხედავდი, თუ როგორ ეცემოდნენ ძირს ეს დაჭრილი მტრედები ბელტებად, დო-დო-დო... თოხის პირთან ქვავდებოდა მოცელილი ბალახი.

ანაზდად გამახსენდა დედაჩემის ნაამბობი, წუხელ ბებიას რომ უყვებოდა, მესამე ვაჟის შავი ქაღალდი მოუვიდა გუჯუ უბედურსო.

თავად სვეგამწარებულ ბებიას, კვალდაკარგული სამი შვილის დედას, ჩიბუხი გაუვარდა ხელიდან. კარგახანს ხმა ვერ ამოიღო, მშრალი, გამოფიტული თვალებით მისჩერებოდა ნაჭაზე ჩამოკიდებულ მოქოთქოთე კარდალას.

– ეგ რა თქვი, ადამიანო, მერედა, ცოცხალია! – შეიცხადა მეზობელის ბებიამ.

– არ დაიჯერა, ფოსტალიონს ასე უთხრა, თუ კიდევ გნახე ჭიშკართან მოსული, მაგ დაფეხვილ ფეხებს მოგაფშვნიო. გააფრთხილა, ეგ ამბავი არსად წამოგცდესო, დეპეშაც უკან გაატანა... ომში ვაჟკაცები გავგზავნე და არა ქაღალდებიო.

– კაცი კი არა, რკინა ყოფილა ეგ უბედური, პიტალო კლდეც კი დაიმსხვრეოდა ამდენ ჭირვარამში, ახლა კი კედელზე მოპარპალე ცეცხლს, მის თავთან მორრივით გადებულ, უცნაურ იეროგლიფებიან წარმართულ ყვირბებს ესიტყვებოდა სასოწარკვეთილი ბებია.

ეს რკინა და კლდე-პიტალო მარჯვედ იქნევდა ახლა თოხს და თითქოს ჰაერიც ტორტმანობდა მისი მძლავრი ფილტვების ამონაბოლქვისაგან. ამ გოლიათ სხეულში ყრუ ტკივილები და ბოლმა საწუთროს უკუღმართობად გრიგალებდა, უხმო სატკივარი ფლეთდა მის ყოველ უჯრედს, ყოველ ძარღვს, მაგრამ იმდენად ძლიერი მასალისგან იყო ნაშენები, მოკვდავის თვალს არ შეეძლო მისი სულის ჭრილობათა ხილვა და ასე დააბიჯებს მიწაზე, დადის და თან სითბოს ახვავებს ადამის ძეთა სასიკეთოდ.

კარგა რომ წაიმანძილა, მერე უნიათოდ მყოფს მომიბრუნდა, თოხი წამოაქცია და ზედ ყუასთან ჩამოჯდა.

ოხ-ოხოია, მარჯა. – გულის ქუხილად აღმოხდა ჩვეული წარმართული სიტყვები და ქუდი მოიხადა.

– დილით წახემსება ვერ მოვასწარი, თითო ლუკმა გავტეხოთ, ბაბუ! – მითხრა და ვერცხლის აზნიდიან ქამარზე ჩამოკიდებული ფუთა ჩამოხსნა, გაშალა, შინ ნახევარი მჭადი და ორიოდე ნაჭერჭყინტი ყველი იდო.

გუშინდელს აქეთ ლუკმა არ ჩამედო. დედამ მეზობლისაგან ერთი თეფში სიმინდის ფქვილი ისესხა. მჭადი გამოაცხო და ძმებს სამად გაგვიყო, თვითონ ისე მზეჩამდგარი თვალებით გვიყუ-

რებდა, თითქოს უზენაესი ბედნიერება გვწვდეოდეს. რამდენიმე წამში ნამცეციც აღარ დაგვრჩენია. დედა რომ კუჭგამომწვარი იყო, არც კი მოგვგონებია მაშინ.

ბაბუა გუჯუც დედაჩემის თვალებით მიყურებდა ახლა. ხელი არაფრისთვის უხლია. მადიანად ვილუკმებოდი, ქვეშ-ქვეშ გავხედავდი ბერიკაცს და ანაზდად გამახსენდა ამ რამდენიმე დღის წინ აგიტატორი რომ გაგვინიორწყლა.

ჭადრის ქვეშ ვისხედით. კარგა მოზრდილი ნაკვეთი გავთოხნეთ და გრილოს მივაშურეთ. სწორედ აქ წამოგვადგა მიხეილა აგიტატორი, სოფლის ერთადერთი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ომისათვის საჭირო ჯანი არ უწილადა ბუნებამ. მოგვესალმა. მერე რაღაც-რუღაცეები იბჟუტურა, ბოლოს გაყვითლებული გაზეთი ამოიღო და ათეისტურ თემაზე კარგა მოზრდილი წერილი წაგვიკითხა.

– ეს ყველაფერი კარგი, ჩემო მიხეილო, წამიერი დუმილის შემდეგ წამოიწყო მოხუცმა, – კი, ბატონო, ღმერთი არ არისო, გავიგეთ, არ უნდათ და ნუ უნდათ. ეგ კი ვერ გამიგია, ასე ძალიან რად იკლავთ თავს ამის მტკიცებაზე. ან ამდენ დროს და ქაღალდს რისთვისღა ხარჯავთ. მე, მაგალითად, სულ არ მაწუხებს მისი ყოფნაარყოფნა, არც ისე ბევრს ითხოვს ჩემგან, ათასში ერთხელ ცხვარს ან მამალს თუ მოვუკითხავ. იმასაც ჩვენ გეახლებით ხოლმე.



ათასჟამიდან მოსდგამდა გუჯუს, ეზოში მდგარი ძირძველმუხების დაღვარჭნილ ფესვებთან ჩაფლული ქვევრების თავზე წამოჩოქილს, შორეული კერპთმოთაყვანე წინაპრების მაგიურ სიტყვათა ჩურჩული. თვითონ კერპებმა თუ იციან მათი მნიშვნელობა.

მიხეილმა თვალები ააპარპალა, ჯერ გუჯუ ბაბუას მიაჩერდა მერე დაბნეულმა გადმოგვხედა, ვერ გაეგო, რა უნდოდათ მისგან.

– შენ ეგ მითხარი, ფრონტიდან რა ისმის, ის მამაძაღლი ჰიტლერი რას ფიქრობს, თორემ ღმერთი რომ ყოფილიყო, ამდენ უმანკო ბალღებს ასე უმოწყალოდ არ გახვეტავდა სასაკლაოზე.

– ჩვენები უტევენ! – შვებით ამოისუნთქა მიხეილამ, მერე რაღაც-რაღაცეები იბჟუტურა, მაგრამ მაინცდამაინც ახალი არაფერი შეგვიტყვია და ისიც უხმოდ, ნაჩქარევად წაცალფეხდა.



ჭამას მალე მოვრჩი, ასე რომ, ვერც კი გავიგე, როგორ შემომადნა ხელში მჭადი და ყველი.

– წავალ ახლა მე, სხვებსაც მივხედავ, – თქვა და ხელსახოცი აფერთხა, შეახვია და ისევ ღვედზე გამოიკრა, – აბა, შენ იცი, ბაბუ, ძალიან უჭირს სიმინდს, ყანასაც უჭირს და ქვეყანასაც, იქნებ ვუშველოთ რამე ამ უბედურ დროებას, – და წავიდა, ჯერ ნელა აფუჩუნდა ხარისტყავის ქალამნები, მერე მოუჩქარა გულჯავრიანად. ახლა ფეხს ისე გამეტებით ურტყამდა მიწას, თითქოს მეტეორის ნამსხვრევები ცვივაო. მიწას თუ უჯავრდებოდა მოხუცი.

ჩემთვის კი მეორედ ინათა იმ დღეს, უმალ დამიბრუნდა თვალთა ნათელი, წყაზარი მზეც უცებ გამოიკვეთა ცის ფერმკრთალ ფონზე და სხივებად ჩამოწვერთული წვეთებად მეღვრებოდა სხეულში, სისხლს მიჩუხჩუხებდა და ცეცხლით მივსებდა ძარღვებს, იმ ძალას მმატებდა, ახლა ამ თოხსა და ყანას, ჩემს სოფელს, იმ შორეთში წასულ ბიჭებს რომ სჭირდებოდათ. გუჯუ ბაბუამ რომ დამიტოვა ოდოიას ომახიანი სიმღერის ერთი ნატეხი, ზედაშედ აჟღერდა ჩემს სულში და თოხიც წინ წაიმძღვარა.

# თარგმანები



მაყვალა გონაშვილი

## პოემა

### მარ ბაჯიევი

### ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ მივიდა ალმანბეტი ყაზახ კოკჩე-ხანთან

(გაგრძელება)

პოემის დასაწყისი იხილეთ
ანთოლოგიის №№ 3, 4, 5, 6 ტომსა და ჟურნალი
„ათინათის“ №№ 18, 19, 20, 21, 22,23, 24, 25 ნომრებში

ჰეი, ყური მომაპყარით,
შემეპარა სევდა ხმაში,
მე გიამბობთ როგორ მოხვდა
ალმანბეტი სარ-არკაში.
გეტყვით, როგორ გადმოლახა
ტრამალები, მთები, ტბები,
ბოლოს ველზე დაინახა
ყაზახების იურტები.
აიდარკან იყო ხანი
იმ მადლიან სარ-არკაში
და მმართველი მასთან ერთად
იყო კოკჩე, მისი ვაჟი.
დაინახა ერთხელ კოკჩემ
მგზავრი ვინმე, უცხოელი
და ტრამალის ტრადიციით,
ცოდვიანიც, უცოდველიც
უნდა სახლში მოიწვიო,
სუფრა უნდა გაუშალო
თუ არა და, გაგჭორავენ,
რა მშიერი გაუშვაო.
როცა კარგად დანაყრდება
გამოკითხო დაწვრილებით,
ვინ არის და სადაური,
რისთვის თელა გზაწვრილები.
ალმანბეტმა უთხრა ყაზახს,
მამითა ვარ ჩინელიო,
დედა იყო ყირგიზი და
დედისა მაქვს იერიო.
ამ ჩემს გულში ავდარია,
თუმცა ქვეყნად დარიაო,
ორგულობამ გამაშმაგა,
ბედკრულს ხელი დამრიაო.
როდი მოსწონს უსამართლოს
სამართალი, ანდა წესი,
ამ ცხოვრების საწამლავი
მე ბოლომდე თითქმის შევსვი,
შეეწირა დედა ჩემს დარდს,
გადამეჭრა ძირი, ფესვი,
რა ყოფილა კაცის გული,
თვით ალმასზე უმაგრესი.
კოკჩემ უთხრა, ალმანბეტო,
გეყო დარდი, ვაი-ვიში,
ხეტიალი აღმა-დაღმა,
ორპირობა, დევნა, შიში.
დაივიწყე მოძმის მტრობა
ძმად მიგულე ლხინშიც, ჭირშიც,
ჩვენთან დარჩი, დაბანაკდი
და კარავსაც ჩვენ გაგიშლით.
გულით ილხენს მასპინძელი
ენამჭევრობს ბრძენი ალმა,
სანუგეშოდ, საიმედოდ
ბედი შემოუტრიალდა.
ექვსი თვეა ალმანბეტი,
ყაზახებთან დაბანაკდა
არც საჭმელი, არც სასმელი
არაფერი მას არ აკლდა.
როდი იყო თავად ალმაც
უქმად, გულხელდაკრეფილი,
მან ჯიგიტებს შეასწავლა
ბრძოლის ყველა გაკვეთილი.
როგორ უნდა დაედევნო
გაქცეულს და დაეწიო,
როგორ უნდა დაუმსხვრიო,
ერთი დაკვრით ლავიწიო,
როგორ უნდა იმკურნალო,
თუკი ცეცხლით დაიწვიო.
შეასწავლა ისრის სროლა,
ორთაბრძოლის ყველა ფანდი,
როგორ უნდა გამოიცნო
მსტოვარი და სიაბანდი,
როგორ უნდა გაუმკლავდე,
თუ ზღვის ტალღამ გაგიტაცა,
ცბიერ მტერთან რომ ბრძოლაში
მთავარია თავის დაცვა.

ამუდარიის ნაპირას
რა ცხენები ბალახობენ,
ფრუტუნებენ, ჭიხვინებენ
იქნებ პატრონს მოუხმობენ.
გაშლილ ველზე ნავარდობენ
ერთურთს ეთამაშებიან
ხან ჟოლოის მოპარული
კოკჩეხანის რაშებია.
ნეტავ საით მიიჩქარის
ჯიგიტებთან ერთად ალმა,
ჟოლოი ხანს თავს დაესხა
და ცხენები გამოლალა.
საყვარელი ბედაურის
ჭიხვინი რომ გაიგონა,
კოკჩე გარეთ გამოვარდა,
ალმა მკერდში ჩაიკონა.
ასე გახდა ალმანბეტი
ყაზახთათვის მისაბაძი,
მან სახელი მოიხვეჭა,
ოქრო-ვერცხლზე დიდი განძი.
ყველა ალმას იმედზეა,
თუკი ვინმე ავად არის,
თავადაა მოსამართლეც,
ალამდარიც თავად არის.
საუბრობენ მის რჩევებზე,
რა სიკეთე უთესია,
ალმანბეტი ხან კოკჩესთვის
ძმაზე უფრო უტკბესია.
– მომისმინე, ჩემო ქმარო, –
ერთხელ კოკჩეს უთხრა ქალმა –
იცი, ბევრი გაამწარა
ალმანბეტის სამართალმა.
ჩემგან ან რა გესწავლება,
ბოროტია კაცის გული,
ვინც მოიგო, ისა ხარობს,
მაგრამ ცხარობს წაგებული.
მინდა გითხრა, შურთ ყაზახებს
უცხო კაცთან შენი ძმობაც.
ალმანბეტს თუ გადაარჩენს
მხოლოდ შენი მფარველობა.
ზოგჯერ სიტყვა უნებური
გაალვივებს ეჭვის მარცვალს.
კოკჩემ უთხრა ცოლს: „ალმანბეტს
არ სჭირდება შენი დაცვა“.
ვინა გთხოვა შენ, აკერკეჩ,
იმ ჩინელზე იდარდეო,
რა კაცია, კარგად ვიცი,
საქმეც მიტომ მივანდეო.
კოკჩემ გულში გაიფიქრა:
„ქალი მაინც არის ქალი“
ბოლოს ცეცხლად გადიქცევა,
ეჭვის თუნდაც ნაპერწკალი.
ხმა გავარდა ყაზახებშიც,

როგორ უნდა გაბედოსო,
იმ უცხო კაცს, თურმე თავად
ხანის ცოლი მფარველობსო.
ასე მიტომ ყელყელაობს,
კანონებით გაგვამწარა
და როგორც ნეხვს, ისე გვტკეპნის,
ეგ ჩინელი მაწანწალა.
სამშობლოდან გაქცეული
ბატონობას მიტომ ბედავს,
გასულელდა კოკჩეხანი,
ყველას პირი დაგვიკეტა.
ჩამოსულმა სხვის მინათად
ყაზახები როგორ მწყემსოს?
გავაძევოთ მოსამართლე,
რადაც უნდა დაგვიჯდესო.
და აბუჩად აგდებისთვის
დავუყენოთ ალმას თვალი,
მოისყიდეს მსახურები
გაავრცელეს ჭორ-მართალი.
თითქოს ალმას აკერკეჩის
მოსდებია ტრფობის ალი
და ყაზახთა ადათ-წესებს,
თითქოს არად აგდებს ქალი.
საცოდავი კოკჩე-ხანი,
როცა მიდის სანადიროდ,
აკერკეჩი იწვევს სატრფოს,
სააშიკოდ, სანადიმოდ.
როცა კოკჩე უმცროს ცოლთან
ალერსით და ვნებით ტკბება,
მის უფროს ცოლს ის ჩინელი
ღამით, საიდუმლოდ ხვდება.
გაგიგიათ, ავი სიტყვით,
შეძახილით, სარო გახმა,
ხან კოკჩემდეც მიაღწია
მონაჭორმა, მონაჩმახმა,
ბობოქარ ზღვას დაემსგავსა,
გოლიათი კოკჩეს გული,
„დამაცადონ, დღე ვაწიო,
ტანჯვად ექცეთ სიყვარული“.
მძვინვარებდა კოკჩეხანი:
„ჩამოვგლიჯავ ჩინელს ნიღაბს“.
ხან მეგობრებს აგინებდა,
ხან ცოლსა და ხანაც იღბალს.
„მე ვუბოძე მას კარავი,
მოსამართლის ხალათიო,
იმ ჩინელმა ნუთუ მართლა
გამიბედა ღალატიო.
ალმანბეტმა სიკეთის წილ
ცხრა ლახვარი დამცა მკერდში,
ნუთუ მართლა გაორგულდა,
ნუთუ მრუშობს აკერკეჩი?“
მიეძალა მწარე არაყს,
ლამის თრობა ექცეს ჩვევად,

დაიბარა ახლობლები
ტყუილ-მართლის გასარჩევად.
თქვა: – „ჩემამდე მოაღწია
საშინელმა ხმებმა, ძმებო,
თუ ჭორები ტყუილია,
მთქმელს უთუოდ ვანანებო.
ენას ამოვგლიჯავ ძირში,
ჩემს ღმერთს, ჩემს კაცობას ვფიცავ,
გაჩენის დღეს ვაწყევლინებ,
შეითანიც ვერ დაიცავს,
ხოლო თუკი ალმანბეტმა
დაარღვია ძმობის ფიცი,
ერთი წამით არ დავინდობ,
ვერაგ ჩინელს მოვკლავ, იცით.
ბაიბიჩეს მრუშობისთვის
მე უკუღმა შევსვამ ცხენზე,
თუ ღალატი ვაპატიო,
დამიბნელდეს მაშინ ეს მზე!“
აიდარკანხანმა კოკჩეს,
უთხრა: – შვილო, მიკვირს შენი,
ცოლზე ასე ლაპარაკი,
ვაჟკაცი ხარ, არ შეგშვენის.
ამდენ სმისგან, ვხედავ თავგზა
აგბნევია, ეჭვიანობ.
ცოლი შეგხვდა მზის სადარი
და მის ქმრობას ნუთუ ნანობ?
მხოლოდ შენ რომ გეკუთვნოდეს
ქალი ღმერთის სადარიო,
უნდა მოაჯადოვო და
უნდა ტრფობით გადარიო,
რომ არ ჩაქრეს თქვენ ორს შორის
სიყვარულის ლადარიო.
თქვეს ცბიერმა მეგობრებმა:
აიდარკან, ბრძენთა-ბრძენო,
რატომ ცდილობ ბაიბიჩეს
ერთგულება დაგვაჯერო.
კარგად იცით, ჩვენ ოჯახის
სიწმინდით და მადლით ვხარობთ,
სად გვცალია, რომ ჩვენს ცოლებს
ვუდარაჯოთ, ვუთვალთვალოთ.
„იქნებ რამე გაგიგია,
შენ რა იცი?“ – ჰკითხეს ტოკოლს.
ბიიდაი, კოკჩეს ცოლი
ჰგავდა მართლაც ვარდის კოკორს.
ვარდის ჰქონდა ლალის ბაგე,
სინატიფე და სურნელი,
მაგრამ იყო ახალგაზრდა,
ქარაფშუტა და სულელი.
თქვა: – მე მიყვარს აკერკეჩი
სიკვდილისთვის მენანება,
უფროსი ცოლის თვალთვალი
ტოკოლს როდი მევალება.
მე რას გეტყვით საიმედოს?
საგულისხმოს მე რას გირჩევთ,
ან რა ვიცი, თქვენს მალულად
რას აკეთებს ბაიბიჩე.
თუკი მართლა ცოდვილია,
თუ დაუგეს ტრფობის მახე,
დაე, თავად აღიაროს,
მე რა მოსამართლე მნახეთ.
გააცოფა ცოლის სიტყვამ,
რა უნდოდა კოკჩეს მეტი,
სიბრაზისგან წამოწითლდა,
თქვა: მომგვარეთ ალმანბეტი.
შემოვიდა მოსამართლე
ყველას გულით მიესალმა:
– გამარჯობა, მეგობრებო!
– გაგიმარჯოს! – უთხრეს ალმას.
უცებ ხანმა იღრიალა: –
„კაცები ხართ, თუ ჩვრებიო,
ამ ჩინელის დანახვაზე,
მოგეღრიცათ ტუჩებიო.
წეღან მოკვლას უპირებდით,
ახლა ტკბილად მიესალმეთ,
კარგად ვხედავ, შიშისაგან
რომ შარვლებში ჩაისვარეთ.“
– მითხარ, კოკჩე, რაზე ცხარობ,
რატომ მიშლი ბრაზით ხელებს?
ამ ჩვენს ძმობას უნებურად
იქნებ ჩრდილი მივაყენე?
„გესმით, გესმით, რაებს როშავს,
მეუბნება, რაზე ცხარობ,
ზოგჯერ, ვარდის ბაღში თურმე,
ეკლიანი ბუჩქიც ხარობს.
სადაც ცხოვრობს მეფე-ლომი,
იქ ბუნაგში ღმუის დათვი,
ცაში მქროლავ ჩიტ-ბატონას,
ბოლოს ელის კაკანათი.
– მე ვყოფილვარ ეკალი და
შენ კი ვარდი ედემ-ბაღში,
შენი შიშით, მეფე ლომო,
ვიმალები მე ბუნაგში?
მაგ შურიან მეგობრებთან
არას გარგებს მასლაათი,
ნუ გგონივარ ჩიტბატონა,
დამიჭირო კაკანათით!
დაიყვირა კოკჩემ ძლიერ:
– დაიმოკლე, ალმა, ენა.
არ დაინდოთ, ჯიგიტებო,
გათოკეთ ეს გაიძვერა.
დატრიალდა ალმანბეტი
ჩიტუნებში როგორც ძერა,
მე გაჩვენებთ, თუ ვინ არის,
მოღალატე, გაიძვერა.
ერთი ვნახოთ, ჯიგიტებო,
ვის შეგრჩებათ მხრებზე თავი,

უთავოს არ შეაწუხებს,
საფიქრალი, საზრუნავი!“
ყველამ იცის ალმანბეტის
სიმამაცე, მოხერხება,
ას ჯიგიტთან მას ერთადერთს
შეუძლია გამკლავება.
მაგრამ ბრძენი რის ბრძენია,
აჰყვეს მარტო გულის ნებას,
ალმანბეტმა დაიოკა
სიბრაზე და მძვინვარება.
თქვა: – „თუ ხანი რაზე ბრაზობს,
ახლა ჩემთვის ნათელია,
დამთვრალა, დავიწყებია,
რომ ის ხალხის მმართველია.
ერთგული ვარ ჩემი ფიცის,
რად დამწამა ორგულობა,
ასე რატომ გაიბზარა
უმტკიცესი ჩვენი ძმობა.
არ შეშვენის დიდებულ ხანს,
იქცეოდეს, როგორც ცეტი,
სულ მშვიდობით ბრძანდებოდეთ!“ –
ცხენს მოახტა ალმანბეტი.
როცა ხანის კარავს გასცდა
აკერკეჩი დაეწია:
„როგორ მსურდა, რომ კოკჩესთვის
მუდამ ძმობა გაგეწია.
ნუ იჩქარი, ალმანბეტო,
დაელოდე გათენებას,
ხანს სიმთვრალე გადაუვლის,
თავადა გთხოვს პატიებას.“
ალმამ უთხრა: – „შენი ქმარი
ვხედავ, ეჭვით ავად არის,
არ ყოფილა ამ მიწაზე
სიკეთე და სამართალი.
ყველგან ვხვდები ღალატს, მტრობას,
ნეტა ვიყო ვის იმედზე,
რა ამაოდ ვხეტიალობ
წუთისოფლის ბილიკებზე.
გინდა ცხრა ზღვა გადავლახო,
ვერ ვიპოვი მაინც საშველს,
ბედისწერის ტალღა ბედკრულს
რა ნავივით მათამაშებს.
გულსა სტანჯავს იარები
გინდ ძველი და გინდ ახალი,
ყველგან ეჭვის ჭაობია,
სიძულვილის ნიაღვარი.
უნდა ვნახო მე ბურულჩა,
სამშობლოში წავალ, დაო!
მერე, თუნდა იქვე მომკლან,
თუნდაც, იქვე გამათაონ!

**ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ მივიდა ალმანბეტი მანასთან**

ერთი დღეც იყო და მანასმა
ძმობილებს უხმო,
„რად სხედხართ ასე მოწყენილი,
უსიტყვოდ, უხმოდ?
მახსოვს, დრო იყო, თვით სიკვდილიც
მიგაჩნდათ არად,
რად ჩამოგტირით ეგ ცხვირ-პირი,
რა ნაღველს მალავთ?
მახსოვს მე თქვენი თავდადება
მშობელ მიწისთვის,
ახლა კი უკვე მშობლიური
ზეცა გვახურავს,
სხვა რაღა დაგვრჩა, ვინებივროთ,
ხშირად ვამთქნაროთ
და გადავიქცეთ ფალავნები
მუცლის მსახურად.
ეს საზარელი სიმშვიდე რად
გვექცა ჭაობად?
ფუჰ, ამის დედა,
ნუთუ სისხლი ამისთვის ვღვარეთ?
ვითომ კვლავ გვიხმობს დობულბასი
ყველას საომრად,
ცხენებს მოვახტეთ,
სანადიროდ წავიდეთ მალე!
დავაფრთხოთ მგლები,
გავიხაროთ ნანადირევით,
და ვხოცოთ ისრით გარეული
თხა და ირემი.
იქნებ ცხენებზე შესახტომად
ხელს გიშლით ღიპი?
იქნებ დაბერდით უძლეველი
ჩემი გმირები?
ეხ, შევარდენო, აკ-შუმკარო!
გცვივა ბუმბული,
რაღაც სიზანტე შეგპარვია,
მართლა ბებერო,
შენც მოგცვეთია ეგ კბილები,
ჩემო მწევარო,
შენ და შევარდენს, ჩემს ერთგულ ძმებს
უნდა გეფეროთ.
ცისკენ აიჭრა აკ-შუმკარი,
დაჰქრის მწევარი,
მუხლებში ძალა კვლავ ჩაუდგათ
მამაც ფალავნებს
და ერ-მანასმაც, ვით ბრძოლისას,
ისე დასჭექა:
თქვა: – მეგობრებო, წინ, წინ გასწით,
ღმერთი გფარავდეთ.
ყველა ისარი მიზანს მოხვდა,
როდი გაცუდდა,

ითვლიდნენ დაჭრილ ნიამორებს,
თხებს და არხარებს,
ხუმრობს მანასი:
– მე მეგონა, მართლა დაბერდით,
თქვენი სიმარდე, მებრძოლებო,
როგორ მახარებს.
ტალასის პირას ჩამოსხდნენ და
დაანთეს ცეცხლი,
თან მწვადებს წვავენ,
თანაც თვალი უჭირავთ გზისკენ.
უცებ დალანდეს, ვინმე უცხო,
მარტოდ მავალი,
ცხენებს მოახტნენ ჯიგიტები,
გაკურცხლეს მისკენ.
– ვინა ხარ? – ჰკითხეს –
ამ მხარეში რას იარები?
– მე ვარ ჩინელი,
მომაქვს გული ნაიარევი.
– თუ ჩინელი ხარ,
ჩვენთან მოსვლას აქ როგორ ბედავ?
– თქვენიანი ვარ,
მე გამზარდა ყირგიზმა დედამ.
ბიძაჩემია ალოოკე
თქვენი მოსისხლე,
აზიზი ჰქვია, ჯიგიტებო,
ჩემს მშობელ მამას.
მტრად მექცა ჩემი საკუთარი
მამა და ბიძა,
რომ არ დაგღალოთ,
მოკლედ გეტყვით: მე ვეძებ მანასს.
მას მოვახმარო მინდა ჩემი
ცოდნა, ძალ-ღონე,
მას ვემსახურო მთელი გულით,
მთელი არსებით.
ხომ არ გგონიათ
ალოოკე მართლაც ძმად გექცათ,
უნდა იძიოს თქვენზე შური,
თქვენ კი რას ელით?
სხვა რაღა გითხრათ?
ალმანბეტი მქვია სახელად.
ოცდარვა წლის ვარ
და ათასი ვნახე სიავე,
გამოვექეცი სიძულვილის
ათას მდინარეს,
ათასი ველი,
ათასი მთა გადმოვიარე.
თქვენთან მოვედი,
თქვენ ხართ ჩემი ბოლო იმედი,
თქვენთან მოვედი,
ჩემი ბედი აქ უნდა ვცადო,
მე ერ-მანასის სიცოცხლისთვის
თავს არ დავზოგავ,
ვეთაყვანები,
თუკი მანაც მიმიღო ძმადო.
და გოლიათი ერ-მანასი
ძლიერ მოხიბლა.
უცხო ვაჟკაცის გულწრფელობამ,
ქცევამ, იერმა,
და გაახსენდა უცნაური
ღამის სიზმარი,
თაყვანის ნიშნად
დაუჩოქა სპილომ ძლიერმა.
და ერ-მანასმა
ასე ჰკითხა მონადირეებს,
რა გადავწყვიტოთ?
უცხოს ნდობა მაინც ძნელია,
ის ყირგიზია დედის მხრიდან,
ანუ ჩვენი ძმა,
მაგრამ ჩინელი არის მამით,
ანუ მტერია.
მას ერ-ბაკაიმ უპასუხა,
მისმინე, მანას,
კაცის შეცნობა თუმც ძნელია,
მე გული მიგრძნობს,
რომ ალმანბეტი წრფელია და
ალალმართალი,
ერთი ლომგულიც ჩვენს ამქარში
მივიღოთ, ვიძმოთ!
და გოლიათმა უთხრა სტუმარს
– მე ვარ მანასი,
შენთვის აძგერდა, მეგობარო,
გული ხალასი,
მე ძმობის ნიშნად მომიცია,
ჩემო ალმანბეტ,
ჩემი მახვილი,
მჭრელი, ბასრი, როგორც ალმასი.
გადაეხვივნენ ძმობილები
ერთმანეთს ტკბილად.
და გაიშალა სუფრა,
იყო ლხინი, ღრეობა.
მოდუდუნებდა ტალასი და
მოიმღეროდა,
სულგანაბული მას უსმენდა
მთელი ხეობა.

(გაგრძელება იქნება)

**Ratiani Lali**
*Professor Doctor Staatlicher Universität Suchumi*



**WEG DES RUHMES**
**FORTSETZUNG**

Kommen wir zum im März dieses Jahres organisierten und der Frau Asmati gewidmeten Abend zurück. Das war für Gulnazi die erste Veranstaltung, die sie geführt hatte.

Wir sind in einen riesigen und gut beleuchteten Raum, aus drei Teilen bestehend, eingetreten.Man hatte in der Mitte des Raums Tribüne und Stühle für die Mitglieder des Präsidiums gestellt. An den Wänden hingen die als gestrikte Erzeugnisse genannte Gemälde von der Frau, die einen groβartigen Namen der bekannten Hauptperson aus dem Poem „Der Recke im Tiegerfell"- Asmati- trägt. Nennen Sie sie, wie sie wollen und die Wahrheit wird in beiden Fällen an ihrer Seite sein.

Von den Gemälden sind die Farben, Ozean der Farben, Simphonie der Farben zu spüren, die sich mit dem Geheimniss der Tempelswänden mündeten. Das ist doch das untene Teil des Haupttempels, das, was es nicht über die Erde, sondern unter der Erde gibt. Es sei erwähnt, daβ Sameba-Tempel eine Doppelstruktur hat und vielleicht deswegen empfindet man hier etwas Geheimnissvolles. Mich beweltigt doch solch ein Gefühl, daβ dieses Buch allmählich die Form des dokumentaren oder, die Form des dokumentar-literarischen Romans gewinnt.

Die realen Menschen bewegten sich ähnlich der Haupthelden des Romans hin und her im Tempel unter den Eindrücken des Abends und des Geheimnisses der Gemälde.

Der Abend begann nach dem Segnen und der Weihung des Erzbischofs. Seinem Segnen hatte der ganze Raum so sehr gefolgt, alsob der Tempel sich in den Ozean der Seelen verwandelt wäre. Die Redner tratten dann nacheinander auf. Frau Gulnazi kontrollierte den ganzen Prozess vorsichtig, aufmerksam, mit guter Beachtungsgabe und führte die Veranstaltung so, als wäre sie ein erfahrener Dirigent.

Dabei waren solche sowohl bekannte als auch unbekannte Persönlichkeiten, wie die Herren Otaraschwili Wadschja, Sagliani Erekle, Schemokmedeli Dawid, Indschjia Dschjemal, die Damen Dschjatschwadse Thamar, Schekiladse Lamsira und viele andere. Unter ihnen war auch einer der besten Maler unseres Landes –Adamia Reso. Man kann mir dabei zuwilligen, daβ es nicht leicht ist, solch eine Veranstaltung zu führen.

Ich hatte unterdessen im Jahre 2012 einen den ersten von Gulnasis Akademie organiosierte Tempelsabende nach ihrem Wunsch geführt. Von allen wurde es anerkannt, daβ ich diesen verantwortungsvollen Auftrag gut erfüllt hatte.(In solchen Sachen hatte ich doch eine gute Erfahrung gehabt.)In den Sälen und Räumen, wo ich die Veranstaltungen geführt hatte, übertrieb im allgemeinen die Zahl der Jugendlichen, aber an den überwiegenden Mehrzahl der von den Akademien organisierten Abeden, waren mehr ältere Menschen. Deswegen, wäre es besser, wenn die Veranstaltungen von solchen erfahrenen Menschen geführt werden, wie eben Frau Gulnazi ist.

Sie sollen mir aber nicht so verstehen, als hätte beim Asmatis Abend an den Jugendlichen gefehlt. Im Gegenteil, es war sichtig, daβ die Jugendlichen hauptsächlich beauftragt waren, die Veranstaltung musikalisch zu gestalten. Die Wände des Tempels waren doch mit den Stimmen der Seiten- und Blasinstrumenten- als göttliche Instrumenten benannte Salamuri und Pfeife gesättig. Es war so, alsob die Pfeife im Gotteshaus mehr von der Einfluβkraft erfüllt wäre.

In Frage kommt, warum ich eben diesen Abend ausgewällt und dieser Abend so tief die Spuren in meinem Herzen und Vernunft hinterlassen hatten? Vielleicht deswegen, daβ man mich schon seit einem Jahr für einen Teil der Akademie hält und mein Gedicht an diesem Tag für die Mehrheit der Anwesenden der Akademie zum ersten Mal vorgetragen, vertönt wurde. Man hat sich früher mit Kachas Lyrik durch offene Lesung vertraut gemacht. Was es aber mich angehnt, lese ich meine eigene Gedichte vor dem

Auditorium ganz selten. Ich bevorzuge sie entweder allein fur mich hin oder im Kreise der nähsten Menschen aufzulesen.

An diesem Abend habe ich eine kurze Rede gehalten, nach mir ging zuir Tribüne Kacha. Ich

wuβte Bescheid darüber, was fur eine Aufgabe er von der Königen der georgischen Kultur, Mutter-Königin Frau Gulnasi erhalten hatte. Kacha sollte an diesem Tag hauptschlich seine eigene Gedichte vortragen und darunter soll unbedingt ein von den Beiden Gedichten, entweder „Stürmische Gebirgskette“ oder „Graneli-Gott“sein.

Von Kacha wurden während der öffentlichen Lesung die Veränderungen bei der Reihenfolge der Gedichte vorgenommen, zuerst hatte er mein eigenes Geschöpf unter dem Tittel „Abstandslosigkeit“ und dann sein Gedicht „Graneli-Gott“ aufgesagt.

Diese Veranstaltung war von Anfang an als Abend-Ausstellung gedacht. Einige Menschen sollten ihre Aufmerksamkeit auf die Tribüne richten, während die Anderen durch das leise Gehen die Gemälde betrachteten, um dann ihre Ansichten und Gedanken ins Eindrückenbuch einzutragen. Unsere Standpunkte haben wir auch in dieses Buch eingeschrieben.

Kacha trug die Gedichte mit solcher Energie und Ladung vor, daβ die Jenigen, die die Gemälde beobachteten, sich zu ihm gewendet hatten und auf Stelle gestarrt waren. Der Erfolg der Gedichte war ganz offen.Von den einigen Menschen und darunter auch Adamia Reso wurden diese lyrische Geschöpfe als Meisterwerke unzögernd genannt worden.

Diese Geschiche kam anschlieβend der Veranstaltung vor und der Abend hatte aber mehr als zwei Stunden gedauert.

Ich kann mich dazu an eine der Unterhaltungen erinnern, die zwischen den Frauen Guralia Nanuka und Zanawa Mimosa nach einer anderen Veranstaltung geführt wurde.(Unter den Anwesenden waren viele solche bekannte Persönlichkeiten, wie Sicharulidse Giwi, Arabuli Koba, Thumanischwili Mischa, Tscherkesischwili Nika, Awsadschjanischwili Tengo und v.a.) Frau Nanuka sagte, daβ die Literatur und die Kunst im Allgemeinen unbedingt einige Patrioten haben sollte. Mit Hilfe ähnlicher Abende könnte die Zahl der Literatur- und Kunstpatrioten vermehrt werden. Frau Mimosa willigte ihr zu, und sagte, daβ der Patriot oder der für die Heimat entflammte Mensch von seiner Seite her/.von sich selbst natürlich auch Kunstpatriot sein wird.

Im Falle von Frau Gulnazi ist das Gefühl des Patriotismus und der Kunst in der Tat so sehr miteinander verbunden, alsob sich diese zwei zuletzt als ein Wesen formiert hätten.

Der Leser hat vielleicht bemerkt, daβ in meinem dokumentaren oder literarisch-dokumentaren Werk nebeneinander das Erzählen und philologische Vorhergehen/Vorgänge zusammenexistieren. Und jetzt ist es Zeit das Gewand des Literat-Philologens umzuhängen und zur Gulnazis Tätigkeit wieder zurückzukommen.

Ich habe ihr bestes literarisches Werk, ihr poetisches Buch unter dem Titel“In den Armen der Sonne“ einiges Mal erwähnt. Das ist eben ein groβes, umfangreiches Geschöpf, das ich als ein sonnenfarbiges Buch genannt habe. Fast alle Dichter, Poeten,Publizisten haben in ihren eigenen

Tätigkeit ein Lieblingswerk. Solch ein ausgewähltes Geschöpf im Falle von Gulnazi soll eben dieses Buch sein.

„Ich mache ein Spiel mit dem Wind dieser Zeit.
Und wandere hin und her, nach oben und nach unten
Bald trete ich auf die milde Wiese
Bald beobachte das blinzelnde Wasser
Es ist schön, wie es glänzt
O, ja, ich habe auf der Fluβsohle
Auch die Hoffnung gefangen
Es ist wohlwollend, es läβt mich nicht leiden,
Weil ich zu ihr mit dem Glaube gegangen bin..“

Diese zehnsilbige Zeilen sind aus dem sonnenfarbigen Buch entnommen worden..

Was kann man dazu sagen?

Ich habe mir immer über die Schönheit der Einfachheit und sich in dieser Einfachheit plötzlich gemischtes Poetisch-philosophische Erkenntnis gewundert. Der Eindruck wird noch mehr durch den Effekt der Unerwartetheit, Überraschung gestärkt.

„Ich mag alles, was es einfach ist, “so einfach könnte Galaktion, König unserer Poesie solche nicht einfache Phrasen ausdrücken.

In die Genialität der Bescheidenheit hatte sich am besten vielleicht Akaki vertieft und von diesem Weg hatte er sich niemals abgeweicht. Er war erstaunlich poetisch und bescheiden, er schuff seine literarische Meisterwerke in guter und süßer georgischen Sprache. Die Bescheidenheit war für ihn alle. Er strebte innerlich nach der Komplizität und Hochmeisterhaftigkeit. Er war Barataschwilis und Akakis Weg gegangen, der ihn weiter entwickelt hatte. Nur Akaki war von diesen Beiden genial bescheiden und derjenige, der echt die Bescheidenheit vergötterte.

Akakisähnliche Seeligkeit scheint es heute auch aktuell zu sein, was es man besonders in Imeretien, Kartli, Kachetien und auch in Guria spüren kann. In diesen Gegenden sprechen die Volksgedichtesager, Poeten auf Akakis Sprache. Kartli und Kachetien gehören natürlich zum Ost und die Sprache ist dort mehr schwerfällig. Aber, im Westgeorgien bleibt Akaki als allerbeste, musterhaftester Dichter heute auch. Frau Gulnazi stammt aus westlichen Teil Georgiens und die Einfachheit und Bescheidenheit- das sind für ihre Gedichte die wesentlichen charakteristische Striche oder Züge. Sie sollen mir aber nicht so verstehen, daβ alle Dichter aus dem Westgeorgien auf diese Weise schreiben. Einfach gelingt es ihnen ihre tiefe Gedanken ganz einfach auszudrücken und ihre „geflügelte Wörter erreichen den Leservernunft ganz leicht .

Nehmen wir als Beispiel folgendes:“ Auf der Fluβsohle des klaren Wassers gefangene Hoffnung“- diese Zeilen zeigen sich vom ersten Blick an als einfache Aussage und ohne weiteres nur als schöne literarische Phrasen und poetisches Malen .

In Frage kommt, was für ein Symbol versteckt sich unter diesen Zeilen, wie „auf der Fuβsohle des klaren Wassers“?.

Was ist unter solcher Hoffnung zu verstehen, wodurch man es weiter nicht leiden kann, wenn man zum Jam, Elend mit der Glaube entgegengeht?

Man kann dazu bemerken, was für ein philosophisch-religioses Feld hinter diesen auf ersten Blick einfachen Zeilen entfaltet ist und was für eine allgemeinmenschliche Fragen der Text enthält.

Es ist vielleich so:

Ohne Tiefe gibt es kein Meer und keinen Ozean.

Die Kunstgebirgskette kann auch ohne Höhen nicht weiterexistieren....

Ich erinnere mich an die sechziegen Jahre des vergangenen Jahrhunderts. Es war 1968 Jahr, als sich in Groβbritanien solche drei Rockgruppen formiert haben, wie: „Led Sepelin′,“Diph Pharphli“, „Blacks Sabat,“ während in Amerika zu dieser Zeit die musikalische Gruppe „Dorsi“ wirkte. Das waren eben solche musikalische Kollektiven, die die musikalische Poesie, verfeinert, verkompliziert und den einfachen Unterhaltungsliedern eine ganz andere Tiefe, anderen geistig-philosophioschen Charakter zugegeben hatten.

Ich weiβ es nicht, warum mir aus meinen Büchern „Die Geschichte des georgischen Rocks“weniger gefällt, ungeachtet dessen, daβ es interessante Seiten enthält, wo ich über unsere Rockgruppen „Okeane,“ „Blus Mobili,“ “Mdsime Dschjwari“schreibe. Diese drei Gruppen sind 1988 in Tbilissi eben zum zwanzigsten Jahrestag nach der Bildung der groβen britischen musikalischen Kollektiven entstanden, die besonders ab 1989 überall beliebt wurden. Dieses Erreignis hatte für Georgien als ein guter Parallell/ein gutes Beispiel gedient, weil Georgien immer modernen Welterreignissen parallell zu folgen versuchte.

Die Texte des groβartigen georgischen Rock-Triuwirates zeichneten sich nicht so tief aus, wie es auch die Texte des groβartigen britischen Rock-Triuwirates waren.

„Zgwari“, „Trioleti“, „Awtoebi“, „Wardispheri Autobusi“und v. a. als georgische Tätigkeitskollektiven unterschieden sich im Gegenteil, von einander durch die Verfeinerung der Texte, die sich aber immer, sich auf der poetischen georgischen Bühne auf diese Weise zu zeigen bemühten, wie sich das Tezett von Ali-Phrese-Formen auf dem Ring darstellte. Ich weiβ nicht genau, wie es ilhen gelang oder es heute auch gelingt so aufzutreten. Ich freue mich aber sehr darüber, daβ ich Teilnehmer, Augenzeuger dieser Prozesse war.

Diese Vorgänge habe ich doch beschrieben, damit die Leser es spüren, daβ es in der Wirklichkeit die Einfachheit nicht existiert. Einen Vorrang sollte die gut, leicht und einfach ausgesprochene Aussage haben. Es ist aber fast unmöglich, eine volle Bescheidenheit in der Kunst einfach auszudrücken, sie ist was anders! Das Geschik der Einsamkeit ist oft das Eigentum des groβen und reichen Seelen, weil selbst ein poetisches Gefühl, die poetische Welt ein kompliziertes Erreigniss ist.

“Wenn ich dich erblicke,
Sieht alles ringsum so schön aus.
Am Tage rauscht Platane
Mein Herz, als ein Raum
erfüllt sich von Leiden.
Das Seelenschmerz und Unwetter wohnt innen in mir
Der Wolkenhaufe zerstreut sich
In den Armen der Sonne.“

Das ist ein Auszug aus der Libeslyrik von Frau Charaischwili Gulnazi, der solche empfindliche und komplizierte Zeilen enthält, wie selbst die Liebe ist.

Wenn man jemanden liebt, wie es in der Wirklichkeit vorkommt, wird die Welt ringsherum schöner. Man sagt mir, daβ sich meine Philologie der Philosophie ähnelt. Mir gefällt eben die poetisch-philosophische und die durch den suchenden Vernunft gesehene Welt.

Die Poesie, Musik, Philosophie-es sind die am meisten ausgewählte drei gute Dinge, eigenartiges Tezett des menschlichen Gedankens.Nach ihnen stehen/ kommen die Malerei, Prosa und noch andere Eigentümer der Menschheit.

“Mein Herz ist der von Leiden erfühllte Raum.“- so wendet sich die Dichterin an uns und diese Phrase ist vor allem die Poesie und dann eine eigenartige Philosophie. Das ist doch die mit der schönen Melancholie gefärbte literarische Malerei, die zu den Reihen der unvergesslichen poetischen Gesichter zugezählt werden soll,,,

In den ersten Jahrzehnten dieses Jahrhunderts gab es eine poetische Gruppe “Samkauli“(was es aus dem Georgischen ins Deutsche “Schmuck“ bedeutet). Eines der Mitglieder dieser Vereinigung war Sanguri Giorgi , der eben durch seine Liebeslyrik bekannt wurde. Er hatte, wie ich mit meinem Bruder zusammen hunderachtundvierzigste Schule der Hauptstadt besucht. Giorgi Schrieb noch von den Schulzeiten her. Dann hatte er sich für die Schauspielkunst und das Leben des Schauspielers interessiert. Die Poesei hatte er aber nie vergessen. Im Gegenteil, nachdem er sich mit den Schrifrstellern, Publizisten ( unter ihnen waren Amaglobeli Rati, Bugadse Lascha. Gogibedaschwili Dawit/Dephi) und v. a.) bekannt gemacht hatte, wurde er bald als Mitglied der schöpferischen Gruppe geworden. Seine Gruppe “Samkauli“ und noch andere literarische Kollektiven, unter ihnen auch “Wardispheri Autobusi“, waren sich einst miteinander gegenbergestellt. Zu dieser Zeit gab auch die Gruppe “Trioleti“unter der Leitung von Mischa (Mischo) Thumanischwili. Eben Philosoph Schatirischwili Sasa war derjenige, der zu dieser Periode zu erforschen versuchte, ob Getiaschwili Reso ein groβer Dichter war…

Kurz ausgesagt, es erreignete sich viel Interessantes.

Die Literatur entwickelte sich weiter.

Ich lobte und kritisierte zugleich neue georgische Renaussance, Aufschwung der Kunst und auch das neue georgische Leben. Natürlich ist die Irrealität oder die Kunst schöner als die Wirklichkeit -das Leben und darüber gibt es auch in meiner Poesie nicht zu staunen. Soweit die Kunst realistisch ist, ist sie doch keine Realität, sie ist nicht irdische Höhe. und erotisch

Die Liebeslyrik von Sanguri Giorgi ist eben irdisch, mehr und mehr irdisch und der Dichter hat soviel Meisterchaft alles in die poetischen Rahmen einzusetzen. Viele stellen ihn als Verteidiger der Erotik dar.

Was anders ist in diesem Fall aber die Liebeslyrik von Gulnazi. Das sich während der Jahre formierte ihr schriftstelleische Stil geht nicht von ihrer Seite her über die Grenze. Für sie ist die Liebe ein volles, etwas Besonderes, erhöhtes, poetisches Erreigniss, eine Mischung vom Traum und der Realität, wodurch sich Gott in einen Menschen und der Mensch in Gott verwandelt wird. Die Liebe ist hier als Meer und Ozean der Traurigkeit und der Freude dargestellt, die mehr das Betrübnis enthält, vielleicht deshalb, daβ die poetische Traurigkeit die Schönheit der Welt ist und die Gröβte Liebe seltener ein Glückliches Ende hat.

“Ich bin übermüdet von diesen Gedanken,
Von den Trännenwellen
Ich mag einen Traum-ich sehe drin dich
Ich wärme mich durchs Gefühl.
Wenn meine Augen dir nichts sagen,
dann stürze ich mich ins Meer und schwimme
Und bleibe auf einsame Insel allein“

Es sind herrliche, aber schmerzhafte Zeilen. Die Traurigkeit und das poetisch ausgesagte Betrübnis passt dem Gedicht, um so mehr, Die Traurigkeit ist doch von selbst auch ein Teil der Dichtung

Immer mehr und mehr wird das Seelenschmerz, Herzweh der Dichterin in ihren anderen Gedichten gezeigt:

“Dir werde ich diese Zeilen nicht mehr schreiben
Und die Wonne nicht mehr schenken.
Es soll dir genügen,
Du hast mir das Herz völlig entnommen
Du sollst glauben,
meine Seele erträgt
im Gefängnis nicht mehr
Irgendwocher höre ich
die kalten Stimmen des Gözendieners“

Diese Zeilen enthalten eine groβe Kraft, eine groβe seelige Aufladung, Aufmunterung und eine solche Ladung der Wörter gründet sich auf das wahre Gefühl. Die Meisterhaft der Dichterin ist eben in ihrer Wahrhaftigkeit, in der Wahrhaftigkeit des Gefühls gut sichtbar.Wenn das Wort gebrochen oder gefällscht wird , ist das hin-das Gedicht wird einfach nicht gelungen werden.

Nie war Gulnazi falsch gewesen, immer hatte sie Recht gehabt und ein tragisches Unterteil, Bodenteil der Stärke ihrer Gedichte liegt eben an ihrer Wahrhaftigkeit. Poetische Schauspielkunst –das ist kein Spiel. Hier, in der Poesie eine Rolle zu spielen, das ist ein sehr bedinglicher Ausweg. Die Maske hat auch eine ganz andere Belastung, ganz andere Symbole. Poetische Schauspielkunst, Kunstgriff ist nur die Suche nach der Realität, sowohl im Leben im Allgemeinen, als auch konkret in der Liebe.

Sowohl die Tätigkeit jedes echten Dichters, als auch die Poesie von Gulnazi Charaischwili hat ihre charakteristische Eigenschaften, Züge. Das ist zum Beispiel, allumfassende Einfachheit, Bescheidenheit. oder solche Einfachheit, worunter auch die Komplizität in einem eigenen Kopf zu verstehen ist. Ich habe schon gesagt, daβ es eine schöne Einfachheit nicht existiert, weil in diesem Fall auch an der Komplizität liegt. Die Waisen haben uns immer gelehrt, daβ die Schönheit schwierig sei. Frau Gulnazi vermeidet in ihrer Poesie zu experimentieren und auch die auffalende Neugkeit einzuführen Die Untersuchungen und die Neugkeiten verstecken sich hinter den Wald der Wörter. Gulnazi Charaischwili scheint, klassische georgische Gedichte zu lieben und dieser Linie bis zum Ende zu folgen. Gulnazi gelingt es, die Zeilen und die Silben beliebiegen Groβes zu besitzen und dabei ist sie zu stark. Sie schreibt erfolgreich, sowohl gewöhnliche Gedichte, als auch die Gedichte unter Verwendung des Akrostichus. Die besonderen Züge ihrer Lyrik, ihrer Poesie zieigen sich im Allgemeinen darin, daβ Frau Gulnazi eine wahre Meisterin der poetischen Gesichter und ihr Gefühl eine wahrhaftige, echte Kraft ist.

Und, also wie soll es heiβen, ist das Gedicht kein Gefühl?

# პროზა



რევაზ მიშველაძე

## ეს ჩემი ქუჩაა

გამარჯობათ, პატივცემულო ტელემაყურებლებო.

ეს ჩემი ქუჩაა, მე მაშიკო ვარ.

მთაწმინდისკენ აღმავალ ამ ქუჩას ვორონცოვამდე მთაწმინდის ქუჩა ერქვა. მეფისნაცვალმა სახელი გადაარქვა და არსენალის ქუჩა უწოდა, ხოლო 1925 წლიდან 1991 წლის 26 მაისამდე ჩემს ქუჩას ვართაბეკოვის ქუჩა ერქვა.

ზვიად გამსახურდიამ პრეზიდენტად არჩევისთანავე სახელი შეუცვალა ვართაბეკოვის ქუჩას და ოცდათორმეტიანელთა ქუჩა უწოდა.

ქუჩას დღესაც ოცდათორმეტიანელთა ქუჩა ჰქვია.

მე, როგორც მოგახსენეთ, მაშიკო ვარ.

ტელემაყურებლისთვის ადვილი მისახვედრია, რატომ ერქვა ამ ქუჩას მთაწმინდის ქუჩა.

არც იმის მიხვედრა გაგიჭირდებათ, რომ ვორონცოვს მთაწმინდის კალთაზე გამოქვაბულებში რუსეთის წინააღმდეგ ამბოხებულთა დასაშოშმინებელი არსენალის საწყობები ჰქონდა და არსენალის ქუჩაც მოქალაქეთა გასაფრთხილებლად გაჩნდა.

ბევრმა არ იცის, ვინ იყო ვართაბეკოვი და რატომ ერქვა თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს ქუჩას, ლამის სამოცდაათი წლის მანძილზე, ვართაბეკოვის ქუჩა.

ძვირფასო მაყურებლებო, მოგეხსენებათ 1921 წლის 25 თებერვალს დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრო წითელი რუსეთის მეთერთმეტე არმიამ.

ბოლშევიკებმა ცეცხლით და მახვილით გაავრცელეს საქართველოში რუსული დიქტატურა.

ანექსირებულ და ოკუპირებულ ქვეყანაში წითელი ტერორი მძვინვარებდა.

ილიას და აკაკის მიერ შეღვიძებულ საქართველოს ჯერ კიდევ ვერ მოესწრო ის საბედისწერო ჩაძინება, დღემდე რომ მოგვყვა და სულს უხუთავს პირქვედამხობილ ქართველ ხალხს.

1924 წელს საქართველო აუჯანყდა რუსეთს.

ბოლშევიკებმა სისხლში ჩაახშვეს 1924 წლის აჯანყება.

დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები და დახვრეტები.

მძვინვარე სამეულები აპატიმრებდნენ და ხვრეტდნენ ქვეყნის თითქმის ყოველ მესამე მოქალაქეს.

დანაშაულს არავინ იძიებდა.

დასახვრეტად საკმარისი იყო თუ ქუჩაში თავაწეული გაივლიდი, თუ ცნობილი გვარის წარმომადგენელი ბრძანდებოდი, თუ ბოლშევიკებს კი არა, სხვა რომელიმე პარტიას თანაუგრძნობდი და ბოლოს და ბოლოს, თუ ჰალსტუხი გეკეთა.

წითელი ტერორის ულმობელი გამტარებელი ჩეკა გახლდათ.

ჩეკისტები არავის ინდობდნენ.

შავჯუბაჩიანი და გრძელმაუზერიანი „წითელი გუშაგების" ჩექმის ჭრიალზე ტანში აციებდა მთელ საქართველოს.

ძვირფასო ტელემაყურებლებო, მე მაშიკო ვარ.

იცით, როდის მოხდა საქართველოში პირველი ავიაკატასტროფა?

1925 წლის 16 აგვისტოს.

იმ დროს საბჭოთა საქართველოს სულ სამი პროპელერიანი, ორფრთიანი თვითმფრინავი ჰყავდა.

დენიკინისთვის სოჭში წართმეული ეს ნახევრადსამხედრო თვითმფრინავები პილოტიანად შვიდ მგზავრს იტევდნენ და საათში მხოლოდ სამოცდაათი კილომეტრით ფრენა შეეძლოთ.

მაშ ასე, 1925 წლის 16 აგვისტოს, 2 საათზე თბილისის ბალახბილიკიანი აეროდრომიდან აფრინდა თვითმფრინავი „სოკოლ-2" და გეზი ბათუმისკენ აიღო.

თვითმდრინავის ბორტზე იმყოფებოდნენ მაღალჩინოსანი ჩეკისტები: ვართაბეკოვი, სერგეევი, შურკინი, ალიზადე, მინასიანი და ხუბუტია.

ეს ექვსეული საქართველოს ბოლშევიკური ხელმძღვანელობის დასაყრდენს წარმოადგენდა.

ისინი იგზავნებოდნენ ოპერატიული დავალებით სწორედ იმ წერტილში, სადაც საეჭვო ფუსფუსის გეშს აიღებდა საიდუმლო სამსახურის უფროსი.

ორი დღეც არ სჭირდებოდა „შესანიშნავ ექვსეულს" წესრიგის დამყარებისთვის.

შეპასუხებისთვის ადგილზე ხვრეტდნენ ურჩებს. ბოლშევიკური ხაზის გამტარებლებს აწინაურებდნენ, მეჩრდილეე, მედლეხვალიე, მოჭოჭმანე, მოლაყბე ელემენტებს იქვე ასამართლებდნენ და ეტაპით გზავნიდნენ დედაქალაქში.

ძნელი მისახვედრი როდია ის გარემოება, რომ ჩეკისტ მაღალჩინოსანთა ეს გადაფრენაც ბათუმში ბოლშევიკური წესრიგის დამყარებისკენ იყო მიმართული.

როგორც ახლა გაირკვა, თვითმფრინავს მართავდა ოცდაცხრა წლის პილოტი გერგაია.

გერგაიას საფრენოსნო კურსები ბაქოში დაემთავრებინა და მალე რვა თვე გახდებოდა, რაც საბჭოთა ავიაციას ემსახურებოდა.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, აფრენიდან ზუსტად ოცდაშვიდ წუთში თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა.

ქართული ავიაცია, მოგეხსენებათ, ღარიბი ავიაციაა. ჩვენ ძირითადად თითქმის ამორტიზებული, მალე ჩამოსაწერი თვითმფრინავებით დავფრინავთ, როგორც მსოფლიოს ყველა განვითარებადი სახელმწიფო.

და მაინც, ქართულ ავიაციას თითქოს ქუდბედი დაჰყვაო, ამ ოთხმოცდაათი წლის მანძილზე ავიაკატასტროფათა რიცხვი მარჯვენა ხელზე თითების რაოდენობას არ აღემატება.

პირველი ავიაკატასტროფა კი, როგორც მოგახსენეთ, 1925 წლის 16 აგვისტოს ზედაზენის მთასთან მოხდა და კატასტროფას ექვსი ბოლშევიკი ჩეკისტი (ვართბეკოვი, სერგეევი, შურკინი, ალიზადე, მინასიანი, ხუბუტია) და პილოტი გერგაია შეეწირნენ.

საბჭოთა რადიომ და გაზეთებმა კატასტროფა უამინდობას დააბრალეს. რაც შეეხება შავ ყუთს, შავი ყუთები იმ დროს არ არსებობდა და, კიდეც რომ არსებულიყო, ეჭვი მეპარება, რომ საბჭოთა საინფორმაციო ორგანოები იმ დროს პირველი ქართული ავიაკატასტროფის ნამდვილ მიზეზებს გაახმაურებდნენ.

ახლა, გორისკენ გზა რომ გაჰყავდათ, ექსკავატორმა თვითმფრინავის ჟანგისგან შეჭმული ნაწილები და ადამიანის ძვლები ამოყარა.

დაინიშნა ექსპერტიზა, რომელმაც დაადგინა, რომ საქმე სწორედ რომ 1925 წლის 16 აგვისტოს ავიაკატასტროფასთან გვაქვს.

გვამებიდან ხუთს გულის ფიცარი აქვს გახვრეტილი, ესე იგი მიბჯენით გულში აქვს ნასროლი. ერთს საფეთქელში აქვს ტყვია მოხვედრილი და მასრა კეფიდან გასული არ არის. იგი სავარაუდოდ პილოტი გერგაია გახლავთ.

მეშვიდე მსხვერპლს კი თვითმფრინავის შტურვალი ჩაუბლუჯავს ხორცგაცლილ მტევნებში.

ექსპერტიზა თვითმფრინავში მომხდარი ტრაგედიის ასეთ „განვითარებას“ გვთავაზობს:

პილოტმა გერგაიამ შვიდტყვიანი პარაბელუმით დახოცა ხუთი ჩეკისტი. მეექვსეს – ვართაბეკოვს იარაღის მუქარით უბრძანა შტურვალთან დამჯდარიყო და თვითმფრინავი დაესვა. თვითონ კი ტყვია საფეთქელში დაიხალა. სულ რაღაც ხუთიოდ წუთში თვითმფრინავი მცხეთასთან, ზედაზნის მთის ახლოს, კილომეტრნახევარში ბორცვს შეეჯახა და ჩამოვარდა.

მერე ის იყო არსენალის ქუჩას „გმირულად დაღუპული ჩეკისტის“ ვართაბეკოვის სახელი დაარქვეს და საბჭოთა იმპერიის დამხობა რომ არა, ვინ იცის რამდენხანს ერქმეოდა.

ახლა ყოფილ ვართაბეკოვის ქუჩას ოცდათორმეტიანელთა ქუჩა ჰქვია.

ეს ჩემი ქუჩაა, მე მაშიკო ვარ.

## ყოჩაღ, ორჯონიკიძევ!

მიტინგზე ჩემ გვერდით იდგა ღრმად მოხუცზე უფრო ღრმად მოხუცი ქალი. იმ ასაკისა და ისე დაბერებული, რომ ვერაფრით წარმოიდგენდი, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ახალგაზრდობაში.

ჩვენ წინ გაბმულ თოკს დაეყრდნობოდა ხოლმე, რომ არ წაქცეულიყო.

იდაყვებამდე აქაჩა თეთრი გაცვეთილი ხელთათმანები, მარჯვენა ხელში დაკეცილი მარაო ეჭირა და თუმცა ძალიან ცხელოდა, ეტყობოდა, მარაოს ქნევის თავიც აღარ ჰქონდა.

შიშით გავხედავდი ხანდახან. ექიმი ვარ და ისეთი ფერი ედო, ბოლოსწინა მოსვლა მაინც იყო.

პირველად შევნიშნე იმ დღეს, რომ ყურები ყველაზე ბოლოს, ღრმა სიბერეში ჭკნება. ყურებიანად დაბერებული გახლდათ ქალბატონი.

ტანსაცმელიც საუკუნისწინანდელი ეცვა: ალაგ-ალაგ ბეწვგაცლილი ხავერდის ძველთაძველი ქვედაკაბა და ნაქარგიანად გამოხუნებული სპილოსძვლისფერი „კოფთა“.

მიტინგზე გამომსვლელი მორიგ მგზნებარე გამოსვლას რომ დააფრქვევდა სიტყვასდანატრებულ ხალხს, საუკუნის დედაბერი ჩაიჩიფჩიფებდა: „ახ ტი ნეგადიაი“, „ახ ტი სატანა“, „რასტრელიატ ტებია მალო“.

ვისზე ბრძანებთ, ქალბატონო-მეთქი, შევკადრე.

ახლაღა შევამჩნიე, რომ ქართული იერი არ ჰქონდა, თუმცა იმ ასაკისა იყო, რომ ვისი იერი ჰქონდა, ეშმაკიც ველარ მიხვდებოდა.

გაკვირვებით შემომხედა.

– რა კითხვა უნდა, ვიზე და ამ გათახსირებულებზე. შეიძლება, მთავრობას ასე უტიფრად აგინებდე? ვინ არიან, საიდან მოვიდნენ?

– რომელ მთავრობას, ქალბატონო, თვითონ რომ მილიარდები ჩაიჯიბა და ხალხი შიმშილით სიკვდილისთვის რომ გაწირა?

– დიახაც დასჯის ღირსი არიან. ქვეყნის დანგრევას აპირებენ. სტალინი უნდათ, ბერია უნდათ ამათ და ისწავლიან ჭკუას.

– ქალბატონო, ჩვენ აქ ყველანი ხელისუფლების უკმაყოფილო ხალხი ვართ და თქვენ რაღაზე შეიწუხეთ ამ სიცხეში თავი? თუ ხელისუფლების ქომაგი ხართ, მჯდარიყავით სახლში.

– მე არავის აპეკუნი არა ვარ. მე წესრიგის და კანონის მომხრე ვარ. ასე როგორ შეიძლება, მხარზე აქვთ ენა გადებული...

ამით დავამთავრე მოხუცთან საუბარი. მივხვდი, რომ მასთან კამათს აზრი არ ჰქონდა და ყურადღება მაშინღა მივაქციე, როცა თოკზე თავი ჩამოკიდა. ჯერ უკან გადაქანდა, მერე წინ გადმოქანდა, მესამე შეტორტმანებაზე ხელი შევაშველე, რომ არ წაქცეულიყო.

მიტინგს გამოვარიდე.

მოსწავლეთა სასახლის ღობესთან, ქვის მოაჯირზე დავსვი, პირში ვალიდოლი ჩავუდე და სული მოვათქმევინე.

მადლიერი თვალებით მომაჩერდა.

– სასწრაფოს დავუძახებ, ქალბატონო.

– არა, არა, ნუ შეწუხდებით... ახლა კარგად ვარ... ასე ხშირად მემართება. გმადლობთ, სახლში წავალ.

წამოდგა, მაგრამ ჩანს, თავბრუ დაეხვა და ისევ დაჯდა.

– ცოტა ხანს ვიქნები და წავალ... აქვე ვცხოვრობ, ჩიტაძის ბოლოში.

– აღარ მოვცილდი. გზაში არ წაიქცეს-მეთქი და სახლამდე ავაცილე.

შინ შემიპატიჟა. შევყევი. პირველ სართულზე ერთოთახიანში ცხოვრობდა. ოთახში ძველი ავეჯის, მტვრისა და ნაფტალინის სუნი იდგა. აქ ყველაფერი მათი პატრონივით ძველი იყო.

– წნევის აპარატი თუ გაქვთ, ქალბატონო?

გავუზომე. მიუხედავად იმისა, რომ ამოდენა აღმართი ამოვიარეთ, ასი სამოცზე აქვს.

– საშიში არაფერია. თქვენს ასაკში ნორმალურია.

ჩაი გააწყო, პიტნის ჩაი მიყვარს, მაგრამ პიტნას ველარ ვშოულობო. ლამბაქით ალუბლის მურაბა ჩამოდგა დაბალ მაგიდაზე. ნამცხვარზე ბოდიში მოიხადა და ძველი გამხმარი პურის ნაჭრები დააწყო თეფშზე.

აი, რა მიამბო:

ჩემი ქალიშვილობის გვარი ბოიკო გახლავთ და ახლაც ბოიკო ვარ, რადგანაც არ გავთხოვდიო. ჩემი გაუთხოვრობა ჩემმა ხასიათმა განაპირობა: ბავშვობიდანვე უკარება და ამპარტავანი ვიყავიო. ორმოცი წელი მინისტრთა საბჭოს კანცელარიაში წერილების განყოფილებაში ვიმუშავე. ორმოცი წელი ერთ სკამზე ვიჯექი და პენსიაზეც იქედან გავედიო.

დედა შვიდი წლისას მომიკვდა მალარიით. მთელი სიცოცხლე მე და მამაჩემმა ერთად გავატარეთ. მამას ცოლი აღარ შეურთავს. ვცხოვრობდით ასე, შეხმატკბილებულად. ვერც ერთს ვერ წარმოგვედგინა, მესამე ადამიანი შემოსულიყო ჩვენს ცხოვრებაში და ორის იდილია დაერღვიაო. მამაჩემი სამხედრო გახლდათ. სამხედრო კომისარიატში მუშაობდა და 1965 წელს საღსალამათი კაცი ხანდაზმულობის მიზეზით შემცირებაში რომ მოაყოლეს, ვერ აიტანა და იმავე საღამოს აქ, ამ ოთახში, ამ ჭაღზე თავი ჩამოიხრჩო.

მამაჩემი წესრიგიანი, უპრეტენზიო, მაგრამ თავმომწონე კაცი იყო. ჩვენი გვარი უკრაინულია, მაგრამ მამა წარმოშობით რიაზანიდან გახლდათო. 19 წლის ზემდეგი მე-11 არმიას ჩამოჰყოლია თბილისში, მოწონებია აქაურობა, ქართველ ქალზე დაქორწინებულა (დედაჩემი ჩახვაძე იყო) და აქ დარჩენილაო. თქვენ წეღან ჩემი კატეგორიულობა გაგიკვირდათ, მაგრამ ნუ გამკიცხავთ, რა ვქნა, მე კანონმორჩილი ქალი ვარ, ასე გავიზარდე და ბუნტოვშჩიკებს ვერ ვეგუებიო. დიდი მადლობა ყურადღებისთვის, ადამიანები ამ ბოლო დროს ისე გაცივდნენ, რომ ის, რაც თქვენ გააკეთეთ, ხომ ჩვეულებრივი, ელემენტარული ყურადღებაა, მაგრამ ესეც იშვიათობაა ჩვენს დროშიო.

რას ბრძანებთ, ქალბატონო. სხვას რომ თავი დავანებოთ, მე ექიმი ვარ და ეს ჩემი მოვალეობაა-მეთქი. რომ დავემშვიდობე და ჭიშკრისკენ წავედი, ერთი წამით მოითმინეთო, მომაძახა. შებრუნდა, მწვანეყდიანი სქელი რვეული გამოიტანა და გამომიწოდა:

– ეს რვეული მამაჩემის ბიბლიოთეკიდანაა. წაიკითხეთ, იქნებ დაგაინტერესოთ. თუ არ დაგაინტერესათ, გადააგდეთ, ნულარ დამიბრუნებთ, მე აღარ მჭირდება.

თავდაღმართზე რომ დავეშვი, რვეულს დავხედე, გრძელი, ძველი, საკმაოდ სქელი, გახუნებული რემენგტონზე დაბეჭდილი რუსული ტექსტის ზემოთ აწერია: „სრულიად საიდუმლოდ“. ქვემოთ – „საქართველოს სამხედრო-სტრატეგიული ნარკვევი“. უფრო ქვემოთ – „XI არმიის შტაბი, 1920 წელი“.

მთელი ღამე ვკითხულობდი რუსების მიერ შედგენილ საქართველოს დაპყრობის გეგმას. ხელში ჩამივარდა უნიკალური წიგნი, რომელიც ალბათ ჩვენს ისტორიკოსებს ხელთ არ ჰქონიათ, თორემ ბოლშევიკების მტკნარ სიცრუეს, XI არმია საქართველოში ქართველების მისაშველებლად შევიდაო, მათივე სიტყვებით უპასუხებდნენ.

აი, რამდენიმე სტრიქონი ამ წიგნიდან:

„ახლა, როცა დაშნაკებზე გაბრაზებული ქემალ-ფაშა სომხეთში შეიჭრა, სწორედ ახლა გვაქვს დრო ავიღოთ თბილისი. ხვალ თუ ზეგ საბჭოთა წყობილება სომხეთშიც დამყარდება, მაგრამ ახლა ჩვენი სტრატეგიული ამოცანა თბილისში შესვლაა...“

„თუ სომხეთი საქართველოს მიხმარებას გადაწყვეტს, უნდა ვისარგებლოთ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის შეურიგებელი მტრობით და აზერბაიჯანის ჯარები უნდა მივმართოთ სომხეთის წინააღმდეგ...“

„უნდა ვისარგებლოთ საქართველო-აზერბაიჯანის პირობითი საზღვრით და XI არმია უნდა დავძრათ ზაქათალა-სიღნაღი-თბილისის მიმართულებით. ზაქათალის რაიონი სადავო რაიონია. საქართველოს ხელისუფლებას სურდა, მიეერთებინა ზაქათალა, მაგრამ საბოლოოდ ის მაინც აზერბაიჯანს დარჩა, რადგანაც ადგილობრივმა მუსულმანურმა მოსახლეობამ არ მოისურვა საქართველოსთან მიერთება...“

„ჩვენი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რომ XI არმია საქართველოში უნდა შეიჭრას მოულოდნელად და ელვისებურად. XI არმიის მოქმედებას უნდა ახლდეს აგიტაციური პროპაგანდა (ბოლშევიკ თანამოაზრეთა დასახმარებლად) და პარტიზანული მოქმედება...“

„თბილისის აღება ორი მიმართულებით დარტყმის შედეგად უმოკლეს დროში შეიძლება: ა) ზაქათალა-სიღნაღი-თბილისის და ბ) ვლადიკავკაზი-თბილისის მიმართულებით. თბილისის მენშევიკური მთავრობა უნიათოა და შეიძლება თბილისში თოფის გაუსროლელად შევიდეთ...“

მერე ჩამოთვლილია დაწვრილებით, რა შეიარაღება აქვს XI არმიას, რამდენი ჯარისკაცი ჰყავს და რა იარაღის პატრონია საქართველო, რა არსენალი აქვთ სომხეთს თუ აზერბაიჯანს (ნარკვევის ავტორების შეშფოთებას მხოლოდ ის გარემოება იწვევს, რომ „სომხეთს ახლახან ამერიკამ საქართველოზე გავლით 2000 ტყვიამფრქვევი გამოუგზავნა“. თუმცა იქიდან 400 ტყვიამფრქვევი საქართველომ თავისთვის დაიტოვაო, წუხს ბოლშევიკური დაზვერვა.

გაოცებას ისიც იწვევს, რომ XI არმიის შტაბმა იცის საქართველოს ყველა ხეობის, ყველა სოფლის სახელი. იცის საქართველოს იარაღის თითოეული საწყობი და ისიც, რა განწყობილებაა საქართველოს მოსახლეობაში. მტრისთვის ზუსტადაა ცნობილი „დამოუკიდებელი საქართველოს“ მატერიალური რესურსები – მისი სურსათის მარაგი და ის ადგილებიც ტყეებში, სადაც შეშინებული ქართული მოსახლეობა შეიძლება გაიხიზნოს.

ესეც შენი მოუმზადებელი და მაწანწალა ჯარისკაცებისგან შეკოწიწებული XI არმია.

ყოჩაღ, წინაპართა საფლავების მხვნელო, ორჯონიკიძევ!

...ისევ წამოვედი, არ დამიწყია ახსნა ჩემი პატიენტისთვის, რომ მამამისმა ბოიკომ თავი იმის გამო როდი ჩამოიხრჩო, რომ შემცირებაში მოაყოლეს.

სულერთია, მაინც ვერ გამიგებდა.

# ბობოხიძე

***

გიგა ბობოხიძე ახალგაზრდობიდან სიბერეში ისე გადავიდა, არც გაუგია.

ნაცნობის შეკითხვას, რა ჰქენი გიგა, ცოლი რატომ არ შეირთეო, ამოჩემებულ „რა მეჩქარე-ბას“ შეაგებებდა და აბეზარ კეთილმოსურნეს სწრაფად გაეცლებოდა.

რატომღაც ეგონა, რომ მისთვის დრო არ გადიოდა და უწინდებურად სასურველი სასიძო იყო.

ქალებთან გიგას სასიყვარულო-სქესობრივი ურთიერთობა ზაფხულში იწყებოდა და ზაფხულ-შივე მთავრდებოდა.

საკურორტო სიყვარულის გარდა, გიგას სხვა სიყვარული არ სწამდა.

ყველაფერს აკეთებდა, რომ პლაჟზე გაცნობილი ბანოვანის გატაცება აქეთ, სექტემბერში არ გადმოყოლოდა.

გამცდენია ქალიო, ამბობდა, ქალს იმდენი ყურადღება და დრო სჭირდება, შენი საქმე გვერ-დზე უნდა გადადო და თან უნდა გადაჰყვეო.

რა იყო ეს „მისი საქმე“, რომლის გამოც გიგა ისეთ ღვთიურ საზრუნავს თმობდა, როგორც ქალი გახლავთ?

რა იყო და საუნივერსიტეტო საქმიანობა.

რაც უნივერსიტეტი დაამთავრა და კათედრაზე დატოვეს, გიგას ცხოვრებაში საოცარი გარ-დატეხა მოხდა.

ეკონომიკის ფაკულტეტის უმცროს მასწავლებელს ეგონა, რომ აწ და მარადის უფლება აღარ ჰქონდა ჩვეულებრივი მოკვდავის ცხოვრებით ეცხოვრა.

კითხულობდა ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდა.

როცა ლექცია არ ჰქონდა, ბუკინისტებისკენ გარბოდა და დიდხანს ბუტბუტით არჩევდა ღვთისგან და კაცისგან მივიწყებულ წიგნებს. ხელფასის ლამის ორმესამედს წიგნებში ხარჯავდა.

წიგნებისთვის ყველაფერს მოიკლებდა. გიგასთვის არ არსებობდა ცნება „სპეციალური ლიტე-რატურა“. მართალია, ბუღალტერიას ასწავლიდა, მაგრამ ეგონა, რაკი ლექტორი იყო, ყველაფერი უნდა ცოდნოდა, თავს არ ზოგავდა, რომ კაცობრიობის მთელი ცოდნა დაეგროვებინა და გონება-ში საიმედოდ შეენახა.

„სტუდენტმა რომ მკითხოს და არ ვიცოდე, ხომ მომეჭრა თავიო“, იტყოდა და ერთნაირი გუ-ლისყურით კითხულობდა წიგნებს ეგვიპტური მუმიების დაბალზამების ხელოვნებაზე, კაუჩუკის დამზადების ტექნოლოგიაზე, ციური სხეულების მოძრაობის სიჩქარის გამოანგარიშების პრინცი-პებზე, ბრინჯის სამი მოსავლის მოყვანის წესებზე და ბუასილის მკურნალობის უახლოეს მეთო-დებზე...

კითხულობდა აბსოლიტურად ყველა გაზეთს და ჟურნალს, რაც საქართველოში გამოდიოდა და რაც უცხოეთიდან საქართველოში შემოაღწევდა.

თქვენ როგორ ფიქრობთ, წაკითხულ პრესას სანაგვე ყუთში ყრიდა ან ქაღალდის მაკულატუ-რად იყენებდა?

არამც და არამც.

კითხულობდა და იატაკზე აწყობდა.

და გიგას პატარა, ოროთახიან ბინაში იატაკიდან ჭრამდე აღმართულიყო გაზეთ-ჟურნალთა სვეტები.

გიგა არ სცნობდა ცოდნის შენახვის ისეთ მაგიურ ყუთს, როგორიც გახლავთ კომპიუტერი. „რა სჯობია, ბიჭო, დაბეჭდილს, როცა გინდა გადაშლი და წაიკითხავ. კომპიუტერი ეშმაკისაა. აურევს საინფორმაციო ბლოკს კომპიუტერის ყაჩაღი ან სულაც გრიპი შეეყრება კომპიუტერს და უყარე მერე კაკალი“, იტყოდა გიგა და იქნებ მართლიც იყო.

სამაგიეროდ, დაურეკავდი ბობოხიძეს და შვიდ წუთში გაგცემდა პასუხს იმის შესახებ, თუ ვინ გაიტანა მეორე ბურთი (თავით) 2010 წლის კორეის გუნდებს შორის, რა ერქვა ჰონდურასის მრეწველობის და მდგრადი განვითარების მინისტრს, რომელ კოლეჯში სწავლობდა ობამას უფ-

როსი ქალიშვილი, რა შემოსავალი შემოსდიოდა ლუჟკოვის ოჯახის თვეში მეფუტკრეობისგან და რა უშლიდა ხელს ნაბუკოს პროექტის მშენებლობას.

ხომ არსებობენ მოყოყმანე ადამიანები. მთელი ცხოვრება რომ ყოყმანს უნდებიან. გადაწყვიტა რომ არ შეუძლიათ და მთელი სიცოცხლის მანძილზე ყოყმანისგან რომ იტანჯებიან.

გიგამ ყოყმანი არ იცოდა რა იყო.

იგი დარწმუნებული კაცი გახლდათ, დარწმუნებული თავის სიმართლეში და თავისი ცხოვრების პრინციპებში.

გიგასთვის მოვლენებთან დამოკიდებულების განმსაზღვრელი ძირითადად ორი ნაწილაკი – „ჰო“ და „არა“ გახლდათ.

მის ირგვლივ მომხდარს თავისი შეხედულებების დამადასტურებელ ფაქტებად იყენებდა და თავისი ჭკუით დიახაც რომ კმაყოფილი იყო.

თუ ვინმე იტყოდა, სიდედრი ავად გამიხდაო, გიგას პასუხი მზად ჰქონდა – „ა, ბიჭო, არ ვამბობდი მე, ცოლშვილი ხლაფორთია-მეთქი? ცოლის შერთვა რო კაი ყოფილიყო, შენ დამასწრებდი მეე? უარე ახლა სიდედრს“.

საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა და ხალხი ზეიმობდა, გიგა არ უერთდებოდა საერთო აღტაცებას.

„ნახავთ თქვენ ამას რა მოყვება, მეიცათ ცოტა ხანს. ამხელა სახელმწიფოს დანგრევა ასე თუ ჩაივლის, ნახავთ თქვენ“.

და ყველა მეზობელმა რომ „თავისუფალი“ საქართველოს ჩაყლაპვა მოინდომა და საქართველო შინაურმა ომმა მოიცვა, გიგა უნივერსიტეტის დერეფანში ქადაგებდა:

„არ ვამბობდი მეე? ჯერ სადა ხართ, ბარე ორ დღეს მოგენატრებათ რუსის თეთრი პური და რუსი გოგოების თეთრი ტრაკი“.

ლიფტში და თვითმფრინავში კატეგორიულად არ ჯდებოდა.

თვითმფრინავზე ამბობდა; მე იმნაირი იღბალი მაქვს, მაინცდამაინც იმ თვითმფრინავს გაუჩერდება ძრავი, რომელშიც მე ვიქნებიო. რაც შეეხება ლიფტს, დენი წარამარა ითიშება ამ ქვეყანაში, ლიფტს როგორ ვენდო, არავითარი სურვილი არ მაქვს ლიფტის კაბინაში უჰაეროდ გამოკეტილმა მაიმუნივით ვიჩხავლო და წიხლები ვურტყა დურალუმინის კარებსო.

მაცივარი გათიშული ჰქონდა. შიგ მეჩვიდმეტე პარტყრილობის რეზოლუციებს, იმპერიალიზმის განმაქიქებელ ბროშურებს და ახალთახალ, ჩაუცმელ „შიბლეტებს“ ინახავდა.

წესად ჰქონდა, ახალ ფეხსაცმელს (და სხვათა შორის ტანსაცმელსაც) ყიდვიდან სამ-ოთხ წელიწადს მაინც არ იცვამდა.

ძველთაძველ მამაპაპურ სკივრში გაცვეთილი კვართები, იდაყვთან გაცრეცილი ჩრჩილისგან შეჭმული კოსტიუმები და მოდიდან გამოსული ორასამდე გამოხუნებული ჰალსტუხი ელაგა.

საერთოდ, ვადაგასულ და სახმარად უვარგის ნივთებს გადასაგდებად ვერ იმეტებდა და სამზარეულო გავსებული ჰქონდა ცარიელი ბორჯომის ბოთლებით და ერთმანეთზე გულმოდგინედ დაწყობილი ცელოფნის პარკებითაც კი.

ავადმყოფობის ძალიან ეშინოდა და ფანჯარას თითქმის არასდროს აღებდა, ოთახს არ ანიავებდა.

ზაფხულშიც კი ოფლისგან შეჭმულ შალის ჯემპრს იცვამდა და ისე იძინებდა.

გამჭოლი ქარის პანიკური შიში ჰქონდა.

გამოწერილი ჰქონდა გაზეთი „ჯანმრთელობა“ და თუ ამ გაზეთში რაიმე ახალი წამლის რეკლამას წააწყდებოდა, იმ წამლის სახელწოდებას გულმოდგინებით ამოიწერდა, გავარდებოდა აფთიაქისკენ და ყიდულობდა.

ერთი კარადა ვადაგასული და ვადაგაუსვლელი წამლებით ჰქონდა სავსე. რომ ჰკითხავდნენ, რად გინდა ეს შენთვის გამოუსადეგარი წამლებიო, შუბლს შეიკრავდა და შენიშვნის მიმცემს დაუცაცხანებდა: „რა გესმის, ბიჭო, შენ. ვინ იცის წინასწარ ვის რა სნება დაეტაკება. წინასწარ თუ არ მოიმარაგე წამალი, ავად რო გახდები, წამალზე სირბილის თავი მექნება მეო? მე შენ გეტყვი, იშოვი, რა წამალიც დაგჭირდება მაშინათვეო“.

უაღრესად მოწყალე და კეთილი გული ჰქონდა. თუ მეგობარ-ახლობელთაგან ვინმე ავად გაუხდებოდა, მაშინვე მის გვერდით გაჩნდებოდა და სანამ არ წამოაყენებდა, არ მოეშვებოდა.

ყოველგვარი სიახლე ჭირივით სძულდა. არა მარტო სძულდა, აშინებდა კიდეც.

კომუნისტური პარტიის მანდატები ყველამ რო გადაყარა, გიგას გულდაგულ ჰქონდა შენახული მაგიდის უჯრაში.

არ შეიძლება კომუნისტები არ მობრუნდნენ, რას მიშლის, მეგდოს მანდატი უჯრაში, ჭამა ამას არ უნდა და სმაო.

სხვა პარტიაში, როგორ დაუკარგავ, არ შესულა.

ასეთი იყო გიგა.

სამოცს რომ გადააბიჯა, ყველაფერზე დაეჭვება დასჩემდა.

რომ გაიგებდა, ამერიკის ჯარი ერაყში შევიდაო, მაშინვე დასძენდა, მოლაპარაკებული იქნებიან სადამ ჰუსეინთან, ისე არ შევიდოდა ამერიკაო.

რომ ეტყოდნენ, სადამ ჰუსეინი იმალებაო.

არ დაიჯეროთ, თვითონ ამერიკელებთან იქნება გადამალულიო.

რომ გაიგო, სადამ ჰუსეინი გაასამართლეს და ჩამოახრჩესო, ჩაიხითხითა: ვის ატყუებენ მაგენი, ჰუსეინის ფიტულს გააკეთებდნენ და იმას ჩამოახრჩობდნენო.

რაც შეეხება საქართველოში დატრიალებული ცოდვის კალოს, გიგა ბობოხიძე ყველაფერზე ამბობდა: როგორ ტყუვდებით, თქვე საცოდავებო, ნუთუ ვერ ატყობთ, რომ რუსეთმა და ამერიკამ გაიყვეს საქართველო და ისინი ერთმანეთთან შეუთანხმებლად წკირს არ გაანძრევენ ჩვენს მიწაზეო.

უნივერსიტეტიდან გათავისუფლების ბრძანება რომ გადასცეს, არც ეს დაიჯერა. ვილაცის მიერ მოგონილი ბოროტი ხუმრობა ეგონა.

ხელფასი რომ შეუწყვიტეს და ლექციების ცხრილში თავისი თავი ვერ აღმოაჩინა, მხოლოდ მაშინ ირწმუნა, რომ მისი გათავისუფლება მწარე სიმართლე იყო.

შინ ლასლასით მივიდა.

„როგორ, რანაირად... ასე უპრაგონოდ, ასე გაუფრთხილებლად როგორ გამომაგდეს. სად წავიდე ახლა მე... მე ხომ სხვაგან ერთი დღეც არ მიმუშავია... უნივერსიტეტი ხომ ჩემთვის მარტო სამსახური არ იყო... რას გაიგებენ ესენი, რა იყო ჩემთვის უნივერსიტეტი..."

გათავისუფლებიდან ორი კვირის თავზე დამბლა დაეცა და აღარც ამდგარა.

ნეკროლოგს ხელს მეგობართა მცირე ჯგუფი აწერდა.

**თეა კანდელაკი**



## მიწის სურნელი

ირგვლივ გარინდულა სამყარო და მხოლოდ-ღა ისმის ხმაური წვიმის.

დანამულ მიწის სურნელი მძაფრი, მახსენებს ჩემგან შორს შთენილ თბილისს, დაჯავშნულ ხეებს მწვანე ფოთლებით და თავ ამოყრილ თაკარა კვირტებს, რარიგ მთანგავდა სურნელი მათი, თავს რომ უბნევდა ქლურტულა გვრიტებს.

... მთანგავს სურნელი, დიახ, კვლავ მთანგავს, შორით ჩრდილივით ადევნებული, სიოს ნავარდზე სხეული ჩემი დაღლილი თითქოს და თან ვნებული... მიჰყვება როკვით თავნებას ნავარდს და მინდორ-მინდორ, მთებზე თუ ველად უყვება ყველას რეალურს ზღაპრად და გახსენება კვლავ ნატვრით თანგავს.

... ირგვლივ გარინდულა სამყარო და მხოლოდ-ღა ისმის ხმაური წვიმის. დანამულ მიწის სურნელი მძაფრი, მახსენებს ჩემგან შორ შთენილ თბილისს.

2002

ფლორიდა, სინგერ აილენდი, აშშ

## ვის – რა... და – რატომ ?!

ადამიანმა, რომელმაც არ იცის, როგორ მოხაზოს „ანი“, ან „ჰოე“... რომელმაც არ იცის, მასში შემავალ ასო-ბგერათა კოდის საიდუმლო და სასწაულებრივი ძალით, მისი ხელით წინადადება დაიწერება, კი არ უნდა განვიკითხოთ და განვკიცხოთ, არამედ, დიდის მონდომებით უნდა შევასწავლოთ ანბანი და მის დედააზრს ჩავაწვდინოთ.

ასევე – ხატწერა. ეს მადლმოსილი საიდუმლო, თუ ვინმე ცოდვილი სული, განგების ძალით ხატს დაწერს, არ განვიკითხოთ – რატომ?!, ან, – რისთვის?! ღვთის სამსახურში ყოფნის სურვილიც კი, უცილობლად ანადგურებს ავსა და ეშმაკს. მას უფრო მეტად უნდა მოკიდოს ღვთიურმა ხელი, რომ, წმინდა გზისკენ მობრუნებული „სხვამ“ არ წაგლიჯოს.

არ განიკვირვოთ, თუ, ცოდვილზეც ღმერთმა ინება მადლის დაქნთხევა, იქნებ, ამ მადლმა, უფრო მეტი ასწავლოს მას და უფრო მრავლის მთქმელი იყოს განსაწმედელად.

ამ საუფლოში, ჯერ ვერავინ ჩასწვდომია უფლის სასწაულს.

ყველა ქმედება, გამოწვეული – ცუდით, თუ კარგით, უფლისვე ნებით, მის საუფლოსკენ მიმავალთა გამოცდებია...

და ვინ საიდან იწყებს სიტყვის თქმას ამ წმინდა გზაზე – უფალმა იცის. მხოლოდ, მან იცის, ჩვენს – ცოდვილთა თავს, თუ, რა დათესოს.

ზოგს შეიძლება, იმაზე მეტი უბოძოს ნიჭი, ვინც ამას, თუნდაც სხვაზე ნაკლებად იმსახურებდეს, ისიც (ჩვენს თვალში). ნუ განვიკითხავთ, იქნებ, მართლაც ღმერთის ხელია მის თავს დასხმული?!. და ეს, ერთგვარი გამოცდაა, როგორც მისი – (განკითხულისა), ასევე ჩვენიც.

– დაეუფლება ამპარტავნება, ან სიამაყე?! – არავინ იცის.

– ან, ჩვენი სული, დათმობაზე თუ წავა შურთან?!

– „ანი“ და „ჰოე“... მასში მყოფი საფეხურები, ამ საწუთროსთვის უმძიმესი გამოცდებია.

ნუ განვიკითხავთ, ვინ როგორი ასო მოხაზა, თუ ასოებით – ღვთის სიტყვები დაიწერება. დედააზრს ჩავწვდეთ... და მერწმუნეთ, მაშინათვე მოვნახავთ პასუხს, – ვის, რა? და რატომ? (დაანათლა თავზე უფალმა).

28 ქრისტესშობისთვე
2004

## სული

დაღლილიყო...

პატარა ფოთოლზე მისვენებულიყო, ვით ციცინათელა ორ ზღვას შუა გამორიყულ დუმფარის ტანზე.

მთლად მოტეხილი ფრთები უმოძრაოდ დაესვენებინა მთრთოლვარე სხეულზე. გული უცემდა მონოტონურად, უთრთოდა ტანი და მისი თრთოლვა, ამ მიმოფლეთილ თალხ სახვევიდან შიგადაშიგ კვეთავდა შიშველ სხეულის ნაკვთებს.

...სციოდა, მაგრამ გულ-მუცელში თითქოს მწვავედ უხურდა შანთი. ცვარით დაფარულ ნატიფ სახეზე მინაბულ თვალებს, შემოჯაროდა შავ წამწამთა ურღვევი ჯარი...

სტკიოდა, მაგრამ, ამ ტკივილში ეფინა შვებად მუზებთან ერთად მოფრენილი რითმები თალხი...

... და წერდა ფიქრებს, ფირუზისფრად გაშლილ ტალღებზე. კალამი მისი, მის თვალთაგან მონადენი ცრემლები იყო...და ირწეოდა გამჭვირვალე ცრემლებთა ჯარით, ქართულ ანბანთა ასო-ასოდ მქროლავი რითმა.

...სტკიოდა ისევ მას ციდა სული და მხოლოდ უფლის სასწაულის იმედი ჰქონდა. ხედავდა, როგორ მიათრევდა მის სხეულს შორით, ნაგლეჯ-ნაგლეჯად, ყვავ-ყორნების საზარი ხროვა.

სტკიოდა სული და გულთან ახლოს, სადაც უფლის სანთელი ენთო, გადარჩენოდა მას მხოლოდ გული და ძელიცხოვლის საიდუმლო ლამპარად ენთო.

დრო კი მიჰქროდა...

... მაგრამ ტკივილს, უფრო და უფრო უმწვავებდა ნაიარევი, ნაიარევი და მოლოდინი... იქ, შორი-ახლოს ათენის მთიდან მადლი ღვიოდა და მის ნათელით მოკაშკაშე სწერდა სტრიქონებს. სწერდა და მერე, კვლავ მალამოდ ედებოდა დაშანთულ სხეულს, რომლის წიაღიც მავანთ-მავანს, ფარისევლის მძლავრ მარწუხებში, მომწყვდეული ჰყავდათ სიწმინდე და „ხელთუქმნელი“-ც მდუმარებით ელოდა უფალს, რათა აღსრულდეს დაწერილი „ლაზარე“-ს ენით.

...ვერვინ წარუვა ამ ქვეყნიურ დარდსა და ურვას. ეს ტკივილები ამზადებდა მას საქორწინოდ, აღსავლის კართან განწმედილი, რომ წარდგომოდა საუფლოს უფალს...

დაღლილიყო...

პატარა ფოთოლზე მისვენებულიყო ვით ციცინათელა, ორ ზღვას შუა გამორიყულ დუმფარის ტანზე...

05.29.2005
აშშ

**სერგი ლომაძე**



## პოეზიის „ანთოლოგიური“ სალამო

საუკეთესო მოგონებების დიდი ნაწილი მაკავშირებს სამების ტაძართან. უამრავ პოეტურ ბატალიაში ვყოფილვარ აქ, სადაც ერთადაა ღმერთი და ხელოვნება. კარგად დაგვებედა, ხელოვანებს, დიდი ტაძარი (და თვით ხელოვნებაც ხომ „ტაძარია“, ხოლო მისი მსახურნი – პოეტები, მუსიკოსები, მხატვრები, მოქანდაკეები, პროზაიკოსები თუ სხვანი, „ქურუმნი“ არიან). ძალიან გავიხარე, როცა აკადემიური ანთოლოგიის მეექვსე ტომის ორი პრეზენტაციიდან პირველი დავგეგმეთ სწორედ დიდ წმინდა ტაძარში, სამების ამ უწმინდეს სახლში.

პრეზიდიუმში ხუთი ადამიანი ვიყავით წარმოდგენილნი: აკადემიის პრეზიდენტი – გულნაზ ხარაიშვილი, მე და კახა საერო პირებს წარმოვადგენდით, ხოლო სასულიერო პირებს წარმოადგენდნენ მამა ამირანი და მამა დავითი. დარბაზი ნელ-ნელა შეივსო დამსწრეებით. მათ იცოდნენ, რომ ანთოლოგია შემაჯამებელი ნაშრომია აკადემიის, და წლის ბოლოს, დეკემბერში, ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებაა (ღონისძიებებია) დაგეგმილი, რამეთუ ისინი სწორედ ჩვენს დიდ ანთოლოგიას უკავშირდება, რომლის ტომებშიც თითქმის მთელი თანამედროვე ლიტერატურაა მოქცეული, მითუმეტეს – პოეზია, ყველაზე დიდი დოზით რომაა წარმოდგენილი, ხოლო ხელოვნებას, ამ მოწითალო – მოშინდისფრო ტომებში, მეცნიერებაც ემატება.



გურამ ჭავჭანიძე, ლამზირა შეყილაძე. ლეილა გაფრინდაშვილი და გულნაზ ხარაიშვილი

საღამო მამა ამირანმა გახსნა (დიდი თადეოზის მემკვიდრემ აკადემიაში), ხოლო წამყვანებად მე და კახა ვიყავით განმწესებულნი. ასეთ სიტუაციაში ხომ, თითქმის ყოველთვის, კახა მე მითმობს უპირატესობას, და ღონისძიება, დიდწილად, მე მიმყავს.

ის დღე, ხუთი დეკემბერი, პოეზიას დაეთმო, აკადემიის (და სხვა) პოეტებს, რომელნიც ანთოლოგიის აღნიშნულმა ტომმა შემოგვთავაზა.

მაინც რა არის პოეზია (უდიდესი გრძნობა)?

პოეზია არის უმაღლესი ხელოვნება, რომელიც თავის თავში მოიცავს რელიგიასაც, ფილოსოფიასაც და სხვა სივრცეებსაც. იგი სამყაროსეულია, იგი, პოეზია, თვითონაა სამყარო. რთულია დიდი პოეტის გამოცნობა. მაგალითად, რუსთაველი გენიალურად წერდა, ჯონ ქითსი არ წერდა გენიალურად, ხოლო ღმერთკაცი იესო თითქმის საერთოდ არ წერდა, თუმცაღა სამივენი გენიალური პოეტები იყვნენ. მაშ რა აერთიანებთ ნამდვილ პოეტებს, რაა მათი ამოსაცნობი ნიშან-თვისება? დიდი პოეტი დიდი გრძნობის, დიდი პოეტური გრძნობის ადამიანია, განსაკუთრებული გრძნობის ადამიანი, და ესაა ერთ-ერთი უმთავრესი ნიშან-თვისებათაგანი, რომელიც მას გამოარჩევს. დიდი და საშუალო გრძნობის კაცი, გარკვეულწილად შეიცნობს პოეტს, ხოლო დაბალი გრძნობისას, ანუ უგრძნობელს, ეს ძალიან გაუჭირდება. უგრძნობლობა შორსაა პოეზიის ჩაწვდომისაგან.

პოეტებს გვიყვარს ერთმანეთის შეცნობა – შეფასება – დაფასება, და მე დავტკბი იმ ფესტივალით, რომელიც დიდ ტაძარში მოვაწყვეთ. იმდენი პოეტი გამოვიდა, რომ მათს სახელებს აქ აღარ ჩამოვწერ, რამეთუ მთელს გვერდს წაიღებს. თითომ თითო შესანიშნავი ლექსი წაიკითხა. გამონაკლისი კახა ბაციკაძე („ზღვარის“ ლიდერი), რომელსაც რამდენიმე ლირიკული ქმნილების წაკითხვის საშუალება მიეცა. მახსოვს, რომ არაერთხელ გამოვიყვანე ტრიბუნასთან ლიანა (ლია

ოსიაშვილიც, ხოლო გურამ ჭავჭანიძისა და ლამზირა შეყილაძის პოეტური დუეტი ლამის „ლოგო" გახდეს ჩვენი აკადემიისა.

აბა როგორ იქნება, რომ ამდენ პოეტში ერთი მუსიკოსი არ გამოვარჩიო! თანაც სულ ახალგაზრდა, ულამაზესი გოგონა, გასაოცარი ხმით. იგი რამდენჯერმე გამოვიდა მისი სახელია თაკო ნებაძე.

ამ თეთრ ზამთარში გაათბო ეკლესიის კედლები მისმა ბულბულისებურმა გალობამ. ფანდურის თანხლებით მღერის. როგორც ჩანს, ფოლკლორული მუსიკის მიმდევარია უფრო.

არ უნდა გამომრჩეს საჩხერიდან ოჯახითურთ ჩამოსული სტუმარიც, ბატონი ნუკრი ლობჟანიძე რომელიც თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეა თავის რაიონში და ამიტომაც ვაღიარეთ აკადემიის ღირსეულ წევრად. ორგანიზაციის მდივანმა – გიორგი ბეჟიტაშვილმა გადასცა, მას დიპლომი.



**სერგი ლომაძე, გულნაზ ხარაიშვილი, მამა ამირანი და ნუგზარ ნადარაია**

შთამბეჭდავი იყო ერეკლე საღლიანის სიტყვით გამოსვლაც, ლექსითურთ. ერეკლე ნაღდი ორატორი გახლავთ, ყოველი მისი გამოსვლა ეფექტურია. აენთება და აანთებს დარბაზს. ასეთი „ანთებული" სვანი ძნელად რომ მეორეც ნახოთ...

მოკლედ, ძირითადი აქცენტი პოეზიაზე გაკეთდა, და ეს მოხდა არა მარტო ამ კონკრეტულ საღამოზე, არამედ, ჩვენი აკადემიის შვიდწლიან ისტორიაში, ბოლო ხუთი წელი მაინცაა დომინანტი პოეზია. რუსთაველის ქვეყანაში სხვანაირად ვერც იქნებოდა. ჩემს ერთ ძველ, დიდ და უცნაურ პოემაში, რომელსაც „იესო" ჰქვია, პირველი ნაწილის ორასსამოცდამეორე (262) კუპლეტიდან არის ასეთი სტრიქონები (აქ „პროზაულად" დავწერ): „თუმცა... საქმე მაქვს ბევრი ესოდენ, რომ ზოგ თემისთვის ვერა მცალია... ან სხვა რა გითხრათ... არავის შეცვლა განმიზრახავს მე... იყვნენ, არიან... ერთს მაინც ვიტყვი ჩვენს რუსთაველზე, – ბევრ რამის გამო მეფობს ძალიან, მეტად მაღლაა შოთა რუსთაველი, იგი პოეტი-იდეალია... წელგამართულად, ამაყად ვდგავარ, – აქ, ჩვენს მიწაზე, ღმერთის კვალია"... დიახ, ასეა: შოთა რუსთაველმა, ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში, პოეტურ კამერტონზე ააწყო ქვეყანა, ლექსის ქვა-დუღაბით აღაშენა კედელნი საქართველოსი ამ ღმერთკაცმა და ჩვენმა აკადემიამ შეინარჩუნა ეს ხაზი. აქ, აკადემიაში, პოეზიაა, სწორედ, სალოცავი ხატიც, და თაფლად დაღვრილი, ალიცლიცებული სანთელიც, ხოლო თვით ტაძარიც იგია, ნეტარია აქაცდა ცათა შინაც...

ძალიან გაგვიმართლა იმაში, რომ აკადემიის პრეზიდენტიც პოეტია, როცა ქალბატონი გულნაზი მივიდა ტრიბუნასთან, მთელი დარბაზი გაისუსა. იგი, რომელიც ასე უწყობს ხელს პოეზიის აღზევებას, ამჟამად სიტყვა-თქმით უფრო შემოიფარგლა, მისი ლექსები თითქმის არ გაჟღერებულა საღამოზე. ვფიქრობ, მან დაზოგა ძალები, რადგანაც აშკარა იყო იმ დროს, რომ ეს პრეზენტაცია წარმატებული აღმოჩნდა, რომ ნამდვილად შედგა საღამო, და იგი უკვე ფიქრობდა თერთმეტი დეკემბრის მოსაგებ საღამო-ღონისძიებაზე ანუ მეორე პრეზენტაციაზე, მწერალთა სახლში რომ უნდა გაიმართოს. ისე, ერთი კარგი საქმე მაინც მოასწრო ჩვენმა ხელმძღვანელმა, – ტრიბუნიდან გაამხნევა ლია ოსიაშვილი. მე მიხარია, რომ ლიას დაბრუნება უკვე არაერთხელ შედგა, და იგი ძველებურად წარმატებულია. კალამი, მგონი, უკეთესადაც კი უჭრის ბოლო დროს. მან, უდიდესი ნებისყოფის დაძაბვის ხარჯზე, და ჩვენი აკადემიის თანადგომითაც თითქმის დაამარცხა უმძიმესი დეპრესია. ვინც მიდის (ამ შემთხვევაში – აკადემიიდან), იგი უნდა დაბრუნდეს, მე მიყვარს დაბრუნება...



ლეილა გაფრინდაშვილი, ლალი ასაბაშვილი, გულნაზ ხარაიშვილი, მაკა ბურდული და ზეინაბ ასისტიშვილი

საღამო როგორც დაიწყო, ისე დასრულდა: ტაძრის მაღალ ტრიბუნასთან ისევ მამა ამირანი მივიდა. ლექსი, მისი პროზა... ხოლო გიჟდებიან ამ თეთრი დეკანოზის სიმღერაზე. და აი, აჟღერდა საოცარი ბანი ტაძრის კედლებში. დიდებულმა აკუსტიკამ მიმოხატა ხმა სივრცეში...

ხომ ბევრი ვთქვი;

არადა, კიდევ რამდენი დარჩა უთქმელი!

რატომ არ აქვს ადამიანს ისეთი ძალა! რომ ყოველივე ჩაატიოს ერთ სიტყვაში, რატომ?!

რად ვერა ვხდებით ყოვლისშემძლენი?! – აი, ეს არავინ იცის... იქნებ იმიტომ, რომ ძნელია ღმერთად ყოფნა, მაგრამ განა ადამიანად ყოფნა კი ადვილია?!...

მაგრამ ახლა პოეტურ-ფილოსოფიური, თუმცა შორეული, განყენებული მსჯელობის დრო არა გვაქვს. წინ თერთმეტი დეკემბრის ღონისძიებაა!

და მაინც: ვფიქრობ, ბევრი რამ დამრჩა უთქმელი. აბა განა იმის გამოტოვება იქნებოდა, იქვე, ტაძარში, ქალბატონმა გულნაზიმ, ერთი სულ ახალგაზრდა პოეტი რომ აღმოაჩინა? ბიჭს, თუ არა ვცდები, ბექა ერქვა, და მის სიცოცხლეში პირველად, თანაც სრულიად მოულოდნელად, თანაც ამ რანგის საღამოზე მოუხდა გამოსვლა! ან განა იმის გამოტოვება იქნებოდა, ამერიკაში მყოფი ქართველი ემიგრანტის, ულამაზესი თეა კანდელაკის ლექსები რომ წაიკითხა მისმა უნიჭიერესმა ნათესავმა ლიზი ნადირაშვილმა პატარა გოგონამ, რომელსაც დიდი პერსპექტივა აქვს, მისი ნიჭის მიხედვით ვიმსჯელებთ!...

ეხ, კიდევ რამდენი რამ დამრჩა უთქმელი, თუნდაც ბელას ან რომელიმე სხვისი გაელვება, მაგრამ...

მოკლედ, წინ თერთმეტი დეკემბრის საღამოა, რომელსაც პირადად ქალბატონი გულნაზი გაუძღვება, ხოლო რადგანაც ღონისძიებას, ის სარდლობს, ესე იგი... არა, მეც ძალიან სერიოზულ საქმეს გაუძეხი, მაგრამ, ჩანს, თერთმეტში კიდევ უფრო სერიოზული რამ გველის. მაშ სწორება თერთმეტისაკენ! როგორც ჭადრაკის დიდოსტატებს უყვართ ხოლმე თქმა: მეგობრებო, წამზომი ჩართულია!...

დიდი ანთოლოგიის პირველი პრეზენტაცია მოვიგეთ;

თუმცა ... მეორეა მოსაგები! . . .

სერგი ლომაძე

# „ანთოლოგიის" მეექვსე ტომი

ეს თითქოს მხოლოდ ჩვენი აკადემიის ანთოლიგია და არა ანთოლოგია თანამედროვე მწერლობისა სრულიად. მიუხედავად ამისა, ამ ტომებში თავი მოიყარა მეოცე-ოცდამეერთე საუკუნის ხელოვანთა (და მეცნიერთა) დიდმა ნაწილმა, დაახლოებით ასე – სამოციანელებიდან მოყოლებული, დღემდე! მაშ, ჩვენეული ტომები, ნელ-ნელა, ძალიან მნიშვნელოვან მოვლენად იქცა, დიდ ანთოლოგიად.






ლევან ბაბუხარდია, ტატო ხარატიშვილი



მამა ამირანი და მურმან გელენიძე



გულნაზ ხარაიშვილი



უშანგი მოსიაშვილი, რევაზ მიშველაძე და იროდი ასანაშვილი



გელა ლარიაშვილი და უშანგი მოსიაშვილი



რევაზ მიშველაძე, გულნაზ ხარაიშვილი, კახა ბაციკაძე



სოსო სიგუა

წლის ბოლოს, თერთმეტ დეკემბერს, ორშაბათ დღეს, სწორედ აკადემიურ ანთოლოგიას მიეძღვნა რიგით მეორე სხდომა, ამჯერად – მწერალთა სახლში. თუმცა ჩემი სტატია, უფრო, თვით მეექვსე ტომს ეძღვნება და არა სხდომას (ღონისძიებას). მის შესახებ, შეკრების შესახებ, გარკვეულწილად მაინც ვიტყვი: ეს იყო მეტად წარმომადგენლობითი საღამო უამრავი ცნობილი და ნაკლებად ცნობილი პიროვნებით. რაც ბატონი ჯანსუღი გარდაიცვალა, მას შემდეგ ხუთი მმართველი დარჩა, ექვსთაგან, მწერალთა კავშირში, და ამ ხუთიდან (სამდივნო თუ დირექტორატი ანუ დაახლოებით თანაბარი უფლებების მქონე თანათავმჯდომარენი) საღამოს სამი ესწრებოდა. ვერ მოვიდა მხოლოდ ქალბატონი მაყვალა და ბატონი თემური. ღონისძიებას არ აკლდა ცნობილი მწერლები (პოეტები, პროზაიკოსები), მხატვრები, სასულიერო პირები და სხვა. ორი აკადემიის პრეზიდენტი იყო წარმოდგენილი სხდომაზე, ხოლო ერთ-ერთ მათგანს – ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს, მიყავდა ეს ღონისძიება, მას კი მე და კახა ვუმშვენებდით გვერდს პრეზიდიუმში.

სიმართლისათვის უნდა ითქვას, რომ საღამო იყო კარგი, მაგრამ სკანდალური. სკანდალური გახლდათ, მაგალითად, ჩემი და კახას გამოსვლები. ჩვენ (მე – უფრო) ყველა და ყველაფერი გავაკრიტიკეთ, ეს კრიტიკა დიდად გასცდა ანთოლოგიის ფარგლებს, და ვნანობ, რომ თუმცა ჩვენს სიტყვებში იყო, საკმაოდ, სიმართლე, მაინც სჯობდა ალბათ, სულ არაფერი გვეთქვა, რადგანაც თვით სიმართლეც კი არა ღირს იმად, რომ გული დაწყვიტო ერთ ან რამდენიმე ადამიანს მით უმეტეს – უფროსი თაობის წარმომადგენლებს. სიმართლე სიმართლედ, მაგრამ მეტი ტაქტიანობაა საჭირო. იმ საღამოზე ეს ტაქტიანობა, სიფრთხილე, გარკვეულ ადამიანებს თითქოს დაგვავიწყდა ერთბაშად (არა მარტო მე და კახას), და რომ არა ქალბატონი გულნაზის მართებული პოლიტიკა, ერთ მომენტში შეიძლებოდა საერთოდ დაკარგულიყო სადავეები, მდინარება ღონისძიებისა... მე ვიღებ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე სამწუხაროა, რომ ცხოვრებაში არაერთხელ მომიწია მობოდიშება (აი, მართალიც რომ ვიყო, როცა ადამიანებს რაიმეს ვაწყენინებ, ამას ვერ ვეგუები)...



გულნაზ ხარაიშვილი და მურმან გელენიძე



გულნაზ ხარაიშვილი და ნუგზარ ნადარაია

რაც შეეხება თვით ანთოლოგიის აღნიშნულ ტომს. ესაა გაუმჯობესებული ვერსია წინამორბედ ტომთა. ჩვენ დღემუდამ წინსვლაზე ვართ ორიენტირებულნი, ამიტომაც ვცდილობთ, ჟურნალის და ანთოლოგიის ყოველმა ახალმა ნომერმა წინას აჯობოს, საერთოდ, ყველაფრის გაუმჯობესებას ვესწრაფვით, და ეს, ნაწილობრივ მაინც, გამოგვდის.

აი, მეექვსე ტომი.

პირადად მე, ის, ნამდვილ მიღწევად მიმაჩნია. იგი დაყოფილია სხვადასხვა განყოფილებებად. ეს ცნობილი, ტრადიციული, ვიტყოდი, რომ გულნაზისეული დაყოფაა: შესავალი ნაწილი; პოეზია; კრიტიკა; ჩემი პოემა „უსაზღვროება", რომელიც ცალკე გამოიყო (აქვე ვიტყვი, რომ „უსაზღვროება" ჩემს საუკეთესო პოემათა ჩამონათვალში შედის, რომელთა შორისაც ასევე დავასახელებ – „იესოს", „მეფეების ბაღს" (იგივე „თეთრ ბაღს"), „ირეალურ მეფეს", ჯერაც დაუსრულებელ „ფოთოლცვენანს" და ზოგ სხვას. აქვე დავსძენდი, რომ პოემა „იესოთი" იწყება დიდი, თეთრი ტრილოგია, ჩემივე სხვა ტრილოგიების ერთ-ერთი და ძირითადი საფუძველი); მერეა რუბრიკა – ბავშვები ჩვენი მომავალია; მერეა – აკროსტიხები; ბეჟან ხარაიშვილის უკვდავება; თარგმანები; სიბრძნის სკივრი; ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა, შემეცნებითი სამყარო; პროზა (ვიტყოდი – პროზა და პუბლიცისტიკა); სიკეთის ამაგდარი; რას წერენ ჟურნალ „ათინათზე"; წერილები; ის-

ტორია; ეკონომიკა; სოფლის მეურნეობა; ხელოვნება (უფრო სხვა ასპექტში დანახული); საქართველო ჩემი ბედია; მათემატიკა; ინტერვიუები; სადაც დიდი ადგილი უჭირავს ნორჩი ათინათელების თვალით დანახულ ცნობილ ადამიანებს; და თვით ნორჩი ათინათელები.


მაია ხოფერია, ეთერ მდინარაძე


სერგი ლომაძე და ბაღათერ არაბული


ჯუმბერ ხარაიშვილი


ლიანა ოსიაშვილი


სერგი ლომაძე, თაკო ნებაძე და გულნაზ ხარაიშვილი


ავთო და ციური ხარაიშვილები


ლიანა ოსიაშვილი და მაკა ბურდული


ქალბატონი თამარი და იზა ჭიკაიძე

აუცილებლად უნდა ჩამომეთვალა ეს რუბრიკები, რომ ამ სტატიის მკითხველს სწორად გაეგო, თუ როგორ ჯანსაღ, მყარ ჩონჩხზეა აგებული მთელი სხეული, ჯანსაღი სხეული ანთოლოგიისა. აი, რაგვარ კარკასზეა აშენებული ეს დიდი კორპუსი სრული წიგნისა. ჩვენს საერთო მუშაო-

ბას თვალმიდევნებული მკითხველი შეატყობდა, რომ ანთოლოგიათა ძირითადი სტრუქტურა ერთია, იგი ოდნავ თუ კორექტირდება, მაგრამ დახვეწილია თითოეული რუბრიკა. დიდი მუშაობაა გაწეული, თვალშისაცემია, კანთიელია (მკვეთრია) წინსვლა.


ნათელა ხარაიშვილი


ნაილი ხარაიშვილი


ბაღათერ არაული და მანანა გორგლიშვილი


ლიანა ჯანეზაშვილი, მანანა ბრაჭული და სოსო სიგუა


ნუგზარ ნადარაია და რეზო ადამია


ლამარა გერგედავა და მარიამ იოსელიანი

რაც შეეხება კონკრეტულად ავტორებს, ანთოლოგიაში რომ შევიდნენ;

ჯერ მარტო თვითონ ანთოლოგიაში მოხვედრა უკვე პატივია ადამიანისათვის და ეს მის ღირსებაზე მეტყველებს, ხოლო ორმაგი პატივია, როცა რამდენიმე ტომში ხარ წარმოდგენილი.

ჩვენს ტომებში ვერ მოხვდება სრულიად არაფრისმთქმელი ავტორი! დიახ, ეს გამორიცხულია! ჩვენ სიყალბეზე, არა ვმუშაობთ.

მაგრამ ისიც მართალია, რომ ავტორთა შორის მკვეთრი განსხვავებაა, ე სკი ნაკლი სრულიადაც არ გახლავთ, პირიქით, კარგიცაა მრავალფეროვნებისათვის. აბა ერთი ანთოლოგია მაინც დამისახელეთ, ერთი, ერთადერთი რომელიმე ანთოლოგია, სადაც მხოლოდ ძალუმი ავტორებია წამოდგენილი, მხოლოდ შედევრები წერია! არა, ასეთი არ არსებობს (თითქმის არ არსებობს მაინც)!

მაგალითისათვის: გალაკტიონი ხვდებოდა ზოგ ისეთ ანთოლოგიაში, კრებულში, რომლის ავტორთა ნახევარზე მეტი დღეს აღარავის ახსოვს, მაგრამ მას პროტესტი არ გამოუთქვამს, და არც ის უთქვამს – ჩემი რუბრიკა გამოყავით ცალკეო. ეს რომ განეცხადებინა, განა მართლი არ იქნებოდა? – ვკითხულობ რიტორიკულად, მაგრამ ამით დაარღვევდა, დიდი პოეტი, კოლეგიალობასაც, ანთოლოგიის ზოგად პრინციპსაც და გაანაწყენებდა კიდეც უამრავ ადამიანს. ასეთია

ცხოვრება. სიმართლე ყოველთვის არ ითქმის (თუმცა ამას სხვებს რას ვეუბნები, როცა თვითონ არაერთხელ ვივიწყებ ხოლმე).

მოკლედ, ჩვენს ანთოლოგიაში გამართლებულია ყველა ავტორი.

ქალბატონი გულნაზის შედევრი-მიგნებაა თაობათა კავშირი, ამ კავშირის წინ წამოწევა.

ხომაა დიდი, საშუალო და სუსტი მწერალი. (დიდი მწერალი შეიძლება გენიოსიც იყოს).

ასევეა დაყოფა თაობებშიც, ოღონდაც აქ ოთხი საფეხური მაინცაა სამის მაგიერ: ძველი, საშუალო, ახალი, და აი, უკვე უახლესი თაობაც გამოჩნდა. და ყველა, ყველა ესენი მოიცვა ჩვენმა აკადემიამ, თავისი ჟურნალით, თავისი ანთოლოგიით!

წყალგამყოფი იყო, პირობითად მაინც, 1993 წელი, როცა დაეცა სოხუმი, დაიღუპა ზვიადი და ზოგი სხვა მოვლენაც მოხდა. ასე დასრულდა ეპოქა, ეპოქა ადრეული დროის დიადი ხალხისა. იმ ადამიანთაგან ზოგმა გააგრძელა სიცოცხლე, თუმცა უკვე სხვა ეპოქაში. ოთხმოცდათოთხმეტი წელი (1994) საწყისია ახალი ეპოქის, ახალი დროის, ან ეს არის სასრულ-საწყისი. ამ წელსაც მოხდა მთელი რიგი მოვლენებისა. მოდით, მარტო საქართველოთი არ შემოვიფარგლოთ, და ვთქვათ, რომ, მაგალითად, ამერიკაში თავი მოიკლა გენიალურმა პოეტმა-როკმენმა კურტ კობეინმა, და ამით, გარკვეულწილად, დაასრულა ადრეული კულტურის ტიტანთა ეპოქა. იყო სხვა ამბებიც, დიახ, იმ წელს დასრულდა, საბოლოოდ, ძველი ხანა, და დაიწყო დრო ახალი, ჯერ შესავლით, გარდამავალი პერიოდით მაგრამ მაინც, უკვე იგრძნობოდა, უკვე იდგა ახალი დრო, ახალი ათასწლეული (ათასწლეულები).

მოკლედ, არის ძველი თაობა, არის საშუალო (ანუ ოთხმოცდაათიანელები, - ჩემი თაობა, - მეოცე – ოცდამეერთე საუკუნის, ერთობლივად, პირველი ნამდვილი წამომადგენელნი, თანაც ახლანდელი საუკუნე, ოცდამეერთე, უფროა ჩვენი).

ახალნი (ორიათასიანელები) და აი, უახლესნი – თაობა ათიანი წლებისა, ესაა ჯეჯილი მომავლის. ესაა, დღეს, ყოველთა ძირითადი იმედი.

და ყველა, ყველა მოაქცია ჩვენმა დიდმა ანთოლოგიამ თავის თავში, ხოლო მეექვსე ტომი ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია...



„ანთოლოგიის" მეექვსე ტომის პრეზენტაცია

მოკლედ არის ბევრი მიზეზი, რის გამოც ძალიან დასაფასებელია ეს წიგნი. კი, ხარვეზები აქაცაა. უნაკლო არაფერა. მაგრამ რომ მახსენდება ის ტიტანური შრომა, რომელსაც გულნაზ ხარაიშვილი ეწევა საზოგადო ასპარეზზე, არ შემიძლია არ გავაღმერთო მისეული საქმენი, მისეული ტომები ანთოლოგიისა. მე დღემდე არ ვიცი, რა სახსრებით, რა ძალით აკეთებს ამ ყოველივეს ეს განსახიერება ქართველი ქალის ფენომენისა, და, თუ არა ვცდები, ერთადერთი ქალბატონი, რომელიც არის შემქმნელიც და პრეზიდენტიც (მოქმედი პრეზიდენტი!) აკადემიის. შემქმნელი და

ლიდერი ტოლ-სწორნი არიან, ხოლო თუ ორივე ეს „ტიტული" ერთ პიროვნებას უპყრია ხელთ... მოკლედ, რაღაზეა საუბარი!...

ადრევე ვთქვი, რომ სხდომას კავშირის სამი მდივან-თავმჯდომარე ესწრებოდა, ბატონი – რეზო მიშველაძე, სოსო სიგუა, ბალათურ არაბული, ხოლო ბატონი თემური და ქალბატონი მაყვალა არ იყვნენ, საპატიო მიზეზთა გამო.

და ესწრებოდა-მეთქი, სხდომას, უამრავი სხვა ცნობილი სახეც, ასევე – შედარებით უცნობი პიროვნებანიც.

მწერალთა სახლში უკვე მეორედ შედგა დიდი წიგნის განხილვა, რომელმაც, პირველი, საოცარი ღონისძიებისაგან განსხვავებით, დიდ ვნებათაღელვაში ჩაიარა. დარბაზის სარკეებიან კედლებს აწყდებოდნენ ოკეანედ მოვარდნილი ემოციები.

და, ახლა რომ ვაკვირდები (ბატონმა სოსომაც დამიდასტურა ეს საღამოს მერე რომ მესაუბრა) – კარგი იყო სწორედ ასეთი ღონისძიება, სწორედ ასეთი!

დიახ, ხანდახან განსხვავებული საღამოებიც უნდა შედგეს. ერთფეროვნებას მრავალფეროვნება სჯობს...



**P. S.** ანთოლოგიის წაკითხვისას შეიძლება გარკვეულმა ადამიანებმა ჩათვალონ, რომ ჩვენ (ჯგუფ „ზღვარის" წევრები) ცალკე ვართ გამოყოფილნი, რომ ცალკე რუბრიკა გვაქვს. არაა ასე. ცალბატონმა გულნაზიმ ეს მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ ჩვენი მკვეთრად ჯგუფური შრომისათვის გაესვა ხაზი ლიტერატურულ სივრცეში, თორემ აქ რაიმე სხვა გამორჩეულობაზე ლაპარაკი არაა. მან, უბრალოდ, პოეზიის რუბრიკაში ჯგუფ „ზღვარის" პოეტებად დაგვაფიქსირა. ესაა და ეს, ხოლო თუ ჩაითვლება, რომ აღნიშნული ამბავი მაინც რაღაც გამორჩეულობას, ცალკე მდომარეობას გვანიჭებს დიდ წიგნში, და რომ ამით ჩვენ განსაკუთრებით ვჩანვართ სხვა ავტორთა შორის, ვთხოვთ რედაქტორს, რომ ეს რუბრიკის მსგავსი დანაყოფი, რომელიც ასე მიყვარდა, აღარ გამოარჩიოს. მე თუმცა ვერა ვარ ბერივით თავმდაბალი, მაინც არ მინდა გამორჩეულად დავფიქსირდე (დავფიქსირდეთ) იმ წიგნში, სადაც ჩვენი მეგობარ-ამხანაგებიც არიან წარმოდგენილნი და ჩვენზე უფროსი კოლეგებიც – ასაკით, სტაჟით უფროსნი... „ზღვარელებს" არც 2002-2003 წლებში გამოგვირჩევია სხვათაგან, როცა ჰამლეტის შესახებ როკ-ოპერის შექმნას ვიწყებდით, არც 2006 წელს, როცა პოეტური წიგნი და მუსიკალური ალბომი ერთად გამოვეცით, არც სხვა დროს...

**გულნაზ ხარაიშვილი**



## სიკეთე არასოდეს იკარგება

რუსთავში 2000 წელს ჩამოვედი, 30 წელი საჯარო სამსახურში, ბიბლიოთეკის დირექტორად ვიმუშავე, ვიცი რა არის ბიბლიოთეკა, წიგნი და მკითხველთან მუშაობა. ეს ფაქიზი, მაგრამ შრომატევადი სამსახური ერთი შეხედვით იოლი ჰგონია ბევრს, არა, ეს ასე ნამდვილად არაა. ბიბლიოთეკაში მუშაობა ეს იგივეა, მთელი დღე სამზარეულოში რომ მუშაობს დიასახლისი და მეორე დღეს ისევ ხელმეორედ უნდა გააკეთო, წინადღინდელი დატვირთვა, უკვალოდ გაქრა, დანაყრდნენ და მორჩა. ამას ნამდვილად ჩემი პრაქტიკული მუშაობიდან გამომდინარე, მოგახსენებთ, რომ ომის პერიოდში სხვადასხვა სამუშაოს ვასრულებდი (სამაჩაბლოდან ვარ) დირექტორიც ვიყავი დამლაგებელიც და მყიდველ-გამყიდველი. რა დამავიწყებს იმ პერიოდს, როცა რუსთავში ჩამოვედით, ოჯახში ლუკმაპური რომ შემეტანა, ვყიდულობდი ერთი კეთილშობილი ქალბატონისგან ტანსაცმელს, რომელსაც სახელად ლუდა ერქვა, რასაც ვერ გავყიდდი, უკან იბრუნებდა. ბაზარში ვერ დავდექი, ისევ ინტელიგენციასთან გამოვნახე საერთო ენა, რუსთავის მერია იყო ჩემი ოჯახის მარჩენალი, შემქონდა არაჩვეულებრივ ქალბატონებთან საოჯახო თეთრეული, ტანსაცმელი და ყიდულობდნენ, ასე გავხდი მერიის თანამშრომელი (რა თქმა უნდა ხუმრობით) მახსოვს იმ პერიოდში განათლების განყოფილების გამგე (ასე ეწოდებოდა ახლანდელ რესურსცენტრს) იყო ქალბატონი



ნანა დალაქიშვილი. როდესაც მის სამუშაო ოთახში შევედი ჯერ გავესაუბრე, ხელჩანთა მოხერხებულ ადგილზე დავდე და გული გადავუშალე (რასაც ახლა საჭიროდ არ ვთვლი ფურცელზე გადავიტანო), ამასაც დავძენ, მომისმინა ქალბატონმა ნანამ და მითხრა: ქვის გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, მოგისმინოს და შენი ტკივილი არ გაიზიაროსო. ხელჩანთა, გავხსენი, შეიძლება არც უნდოდა, მაგრამ რამდენიმე დასახელების პირსახოცი და თეთრეული აილო. მეორედ როდესაც მივედი, რუსთავის სკოლის დირექტორებთან ჰქონდა შეხვედრა. დამინახა თუ არა, თათბირის დაწყებამდე მიმილო და მითხრა, თუკი რამეს მოიტან ყოველთვის შემეხმიანე. იცით? ქალბატონო, ნანა, ჩემს ოჯახში ყველა უმაღლესი განათლებით ვართ, ჩემი რძალი პედაგოგია, ათი წელიწადი დაწყებით სკოლაში პედაგოგად მუშაობდა, ხომ არაფერი ადგილი გამოიძებნება რომელიმე სკოლაში? ჩაფიქრდა … დუმილის შემდეგ მპასუხობს, მეცხრე სკოლაში დირექტორის მოადგილის ადგილია მგონი, ახლა შემოვლენ ჩემთან გავესაუბრები. ოთახი დავტოვე, გარეთ გავჩერდი სანამ თათბირი არ დამთავრდა, ყველანი აქეთ-იქით წავიდნენ, მე გარეთ ვზივარ, გამოდის ქალბატონი ნანა და გაკვირვებული მეკითხება აქა ხართ? – კი-მეთქი, ვუპასუხე. ხვალ მეცხრე სკოლას მიაკითხეთ ქალბატონ მარის და თქვენი რძალი დაიწყებს მუშაობასო. შვებით ამოვისუნთქე ამჟამად ჩემი რძალი ცირა მიქელაძე რუსთავის №1 ბაღში მუშაობს ფსიქოლოგად, რადგან მას პუშკინის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული ფსიქოლოგიის განხრით.



**რუსთავის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი**

გავიდა ფიზიკურად შრომის დრო და ჩემი ადგილი მოვნახე თბილისში. კულტურის ცენტრის დირექტორად ვიმუშავე რამდენიმე წელიწადი, რუსთავის სკოლა ლამპარსაც თბილად გავიხსენებ, თბილისში ფილიალის გახსნასაც, მოსაგონარს რა გამოლევს. დამსახურებებზე საუბარისგან თავს შევიკავებ ერთი კი საამაყოა, იმჟამად თბილისში ვმუშაობდი ჩემი იდეით გახსნილ სკოლა „ლამ-

პარის“ დირექტორის მოადგილედ. ვგრძნობდი, რომ მეტს შევძლებდი, გავხსენი მოსამზადებელი ცენტრი, დავუკავშირდი ბატონ ჯუმბერ ლეჟავას და ვთხოვე, რომ მისივე სახელობის აკადემია დაგვეარსებინა, რა თქმა უნდა, მე უნდა მემუშავა და მისი სახელი უნდა რქმეოდა. მეამაყება, რომ ერთ უბრალო ქალბატონს მანდო თავისი სახელი. როგორ ვასრულებ ამას მომავალი შეაფასებს. ეს შესავალი იმიტომ ჩავთვალე საჭიროდ, რომ აკადემიასთან არსებულ ჟურნალ „ათინათს“ ვუშვებ, რომელიც სამეცნიერო-შემეცნებითია და წელიწადში ერთხელ ანთოლოგიას, წელს მეექვსე ტომი გამოვუშვი, წინადღით სამებაში მქონდა (ახალგაზრდულ ცენტრში) პრეზენტაცია. მამა ამირან ამირანაშვილმა გახსნა იგი, მეუფე თადეოზის შემდეგ, ჩვენი აკადემიის მოძღვარი გახდა.



ირაკლი ტაბალუა, რუსთავის მერი



ლევან ონიანი, რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე



ამირან ჯანჯღავა, რუსთავის მერიის წარმომადგენელი, პოეტი

მეორე დღეს, რუსთავის ცენტრალური ბიბლიოთეკის ღონისძიების დაწყებამდე, მეცნიერებათა აკადემიაში მომიწია ჩასვლა, წიგნებს ელოდებოდნენ, ბატონი როინ მეტრეველი და ბატონი გიორგი კვესიტაძე. ასეთ ადამიანებთან ურთიერთობით სტიუმული მემატება და დაღლა ჩემში არ არსებობს. თბილისი ერთ საათში მოვიარე და გავემზადე რუსთავის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში წასასვლელად. გზად მიმავალს ლამაზი ხელოვნური ვარდები შემომხვდა, ათი ცალი ვიყიდე, ვაზაში ჩასაწყობად უჩუმრად მივართვი ბიბლიოთეკის თანამშრომელს, პოეტ ქალბატონს ლია ბეჟანიშვილს, ეს ქალბატონი თავმდაბლობისა და ნიჭიერების ეტალონია, დირექტორი ვიკითხე, ქალბატონი თეა ჟვანია. ამ ქალბატონს სკოლის დირექტორობიდან ვიცნობ. ღმერთს მისთვის ყველაფერი მიუცია და არაფერი წაურთმევია. სიყვარულს, სიფაქიზის, საქმისადმი ერთგულების ზღვა ლიცლიცობს მის მაყვალივით შავ თვალებში. თეა უკვე დარბაზში იყო. გასაკვირი და გასახარელი ის ფაქტი იყო რომ ამ მოუცლელობის პერიოდში, როდესაც ახლახან დამთავრდა არჩევნები, კარზე მომდგარია ახალი წელი. იქ ბრძანდებოდნენ: ქალაქის მერი ბატონი ირაკლი ტაბალუა, საკრებულოს თავჯდომარე ბატონი ... ონიანი მერიის თანამშრომელი პოეტი რუსთავის მწერალთა გაერთიანების თავჯდომარეს ქალბატონ მარინე ცხვედიაშვილის სიტყვებით გამოვიდნენ: ქალბატონი თინათინ სიყმაშვილი, პოეტი და ჟურნალისტი, ლია მარტაშვილი ბევრი თაობის აღმზრდელი და პედაგოგი, ღონიძიებაში მონაწილეობდნენ: პოეტები, მაია რაზმაძე, ნანა ყალიჩავა, ცირა ბულბულაშვილი, ლამზირა შეყილაძე და სხვები. ხოლო ამირან ჯანჯღავას გამოსვლამ და ლექსის წაკითხვა სულ სხვანაირი ცეცხლი დაანთო, ცეცხლი პოეზიისა, სხვალინდელი დღისა და უკვდავებისა. თვალწინ დამიდგნენ ჩემი „ზღვარის“ ბიჭები: სერგი ლომაძე და კახა ბაციკაძე, თითქოს რაღაცა მაკლდა, ვერ ვკმაყოფილდებოდი, შინაგანად ვწრიალებდი ხშირად ვიხედებოდი ამირან ჯანჯღავასკენ, რომელშიც ჩემი „ზღვარელების“ ჟინს ვხედავდი, უკიდეგანო პოეზიას, იდუმალებას და ხვალინდელი დღის გაგრძელებას. ერთს აუცილებლად დავძენ: ისეთი ყურადღება რაც რუსთავის მერიისგან აქვთ პოეტებს, იშვიათია, ან თითქმის არ არის რეგიონებში. თუმცა მე მათ არ ვაწუხებ, რატომღაც ასე აღვიქვამ, ლუკმაში რატომ ჩავეზიარო, ჩემით ვიწვალო და ცის აღმართის კიბეები ნაბიჯ-ნაბიჯ ავიარო. ისე, რუსთავის ხელმძღვანელობის მხრიდან სწორი ნაბიჯი იქნება გადადგმული, იმ თვალსაზრისით, თუკი ჟურნალი „ათინათი“ და „ანთოლოგია“ შევა რუსთავის ბიბლიოთეკებსა და ფილიალებში.

# მეუღლის დამფასებელი

როცა სვეტა მოსიაშვილის გაზრდილი შვილი დაიბადა (გაზრდილი და არა შობილი) მოუთმენლად ელოდა როდის წამოიყვანდა სახლში და თავისი უბე-კალთით გაათბობდა. ასეც მოიქცა თავისი მაზლისცოლისაგან გაჩენილი შვილი იშვილა და ამით კიდევ უფრო დაამტკიცა ქმრის დიდი სიყვარული და პატივისცემა. იცოდა, რომ ოჯახის წევრები, მეუღლე ბონდო მოსიაშვილი, ბებია – ბაბუა თავის სისხლსა და ხორცს ალმაცერად არ შეხედავდნენ, როდესაც სამსახურში წავიდოდა მის შვილს (ბოდუნას) ყურადღება არ მოაკლდებოდა, ბოდუნა როცა წამოიზარდა საჭიროდ ჩათვალა, სიმართლე ეთქვა შვილისათვის, რომ მერე გული არაფერზე დაწყვეტოდა. პატარა ბოდუნა ჩვეულებრივად შეხვდა ამ ამბის მხილებას. როდესაც სვეტა სამსახურში წავიდოდა, თავისი სითბოთი გაჯერებულ შვილს უდარდელად უტოვებდა დედამთილს და მამამთილს, რადგან ბონდოც მუშაობდა აგარაში, იგი იყო კვების მრეწველობის მთავარი ინჟინერი.


სვეტა მოსიაშვილი


ბონდო მოსიაშვილი


ბოდუნა მოსიაშვილი


ბოდუნა მოსიაშვილი სამსახურში

სამსახურიდან დაბრუნებულ სვეტას, ბოდუნას ბრიალა თვალები გულში სითბოთი ელვრებოდა და დაფოფინებდა ერთადერთ ვაჟს, რომელსაც უნდა გაემრავლებინა ოჯახი, გაზრდილიყო, ესწავლა, ემუშავა, დაქორწინებულიყო, შვილებში და შვილიშვილებში უნდა ჩაეფლო ბონდო და სვეტა. ასეც ხდებოდა, ბოდუნა, როცა სკოლის ასაკის გახდა, საცხიურის სკოლაში შეიყვანეს.

სკოლაში გამოირჩეოდა სილამაზით, ზრდილობით ნიჭით, განსაკუთრებულად მეგობრობდა თავის ბიძაშვილ ნატო მოსიაშვილთან, ფიზიკურად ისე გავდა ნატოს ნამდვილი დაძმა ეგონებოდა ვინაც არ იცოდა მათი ბიძაშვილური ნათესაობა; ბოდუნას ქონდა წითელი გაბუტული ტუჩები, თეთრი ქათქათა კბილები, ქერა ტალღული თმები, საშუალოზე ოდნავ მაღალი ბოდუნა, ყველას ყურადღებას იპყრობდა. სილამაზეს თან ახლდა სიდარბაისლე, სიკეთე, ზრდილობა. ბედნიერების მწვერვალი აშუქებდა ოჯახს. სხვათა დამხმარე და პატივისმცემლები იყვნენ, სხვისი არაფერი ჭირდებოდათ, პირიქით, ბოდუნას დედა სვეტა სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ რანაირი დაღლილიც არ უნდა ყოფილიყო, თუ ვინმეს სჭირდებოდა დახმარება სამედიცინო თვალსაზრისით ყველას ყურადღებას აქცევდა. იგი სპეციალობით ექთანი იყო და ქარელის სავადმყოფოში მუშაობდა ქირურგიულ განყოფილებაში, მისი სიღრმე მრავალფეროვნება და ეთიკური ხარისხი პირდაპირ კოპირებულად ისახებოდა ბოდუნას თვისებებშიც, დედის დარიგებას მთლიანად ამომწურავად იყენებდა თავის პირად ცხოვრებაში. ის მეგობრობდა ყველასთან, შეეძლო ურთიერთობის დამყარება ყველანაირი ხასიათის ადამიანებთან, მისი ინტერესი მხოლოდ საკუთარი ნებასურვილის დაკმაყოფილება კი არ იყო სხვათა გახარებაც გახლდათ. ამიტომაც მთლიანად იხარჯებოდა ყველასთვის.


დედამთილი და რძალი
ივლია და სვეტა მოსიაშვილები


ბოდუნა მოსიაშვილი

საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა და ჩაირიცხა ახალციხის უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იურიდიულიც დაამთავრა ლექციებს კითხულობდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მისი გამოჩენა სტუდენტებისათვის ზეიმი იყო.

ცა მოწმენდილზე, სრულიად მოულოდნელად ბონდო გახდა ავად, სვეტა თავს ევლებოდა თავის საყვარელ მეუღლეს, ბოლოს იძულებულ გახდა სამსახურისთვის თავი დაენებებინა და მეუღლისათვის ყურადღება არ მოეკლო. ასეც მოიქცა, მედიცინის მუშაკს შეეძლო ექიმის გამოწერილი წამლების გაანალიზება და მეუღლისათვის სწორი მკურნალობის ჩატარება. წელი-წელს ემატებოდა და ბონდოს გამოჯამრთელება უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მიუხედავად დიდი მცდელობისა ბონდო მოსიაშვილი გარდაიცვალა.

ბოდუნასათვის მტკივნეული აღმოჩნდა თავისი გამზრდელი მამის გარდაცვალება და ძალიან ჩქარა დაიდო მის გვერდით ბინა, თუ რა მოხდა, ამის აღწერა არ ძალმიძს და მაპატიოს ამ ამბით დაინტერესებულმა მკითხველმა.



მარიამ ჩაგელიშვილი



მალხაზ ჩაგელიშვილი

## ციცინათელა

*ეს პატარა გოგონა რომლის სურათსაც ციცინათელა შევარქვი, ავარიის მსხვერპლი გახდა. ავარიისა რომლის საჭეს თვითონ ანგელოზის დედა მართავდა, მანქანაში ამ პატარა გოგონასთან სხვებიც ისხდნენ, ყველა გადარჩა ეს გოგონა რომლის თვალებიდან უკვდავების ზღვა ლიცლიცებს თითქოსდა საუბრობს და ამბობს მე ღამის ციცინათელა ვარ, უკუნეთს რომ ანათებსო.*

ბნელეთის გასაშუქებლად
უფლის მორჩილი წავედი
ავანთე ღამის შუქებად,
ჩემს ბედისწერას დავნებდი.

პატარა ფერიავ, გზა ნათელი გქონებოდეს, უცოდველო ანგელოზო.

ამ პატარა ანგელოზის სურათს ფოტოატელიეში შემთხვევით წავაწყდი, ჟურნალ „ათინათში" მზის სხივებივით შემოვაბრწყინე. ერთი წლის შემდეგ მისი ბიძა, მალხაზ ჩაგელაშვილი წავიდა იქ, სადაც ყველას თავისი სიკეთის მიხედვით სამუდამო ადგილები ეძლევათ. ღრმადა ვარ დარწმუნებული, ახალგაზრდა, ნიჭიერს, განათლებულ პიროვნებას ღმერთი შესაფერის საპატარძლოს დაახვედრებდა, რადგან იგი დაოჯახებული არ იყო. ეს სიტყვები არ ჩამითვალოთ ლიტონ სიტყვებად. ამას ქადაგებს თვითონ რელიგია. ვინც სიკეთეს აკეთებს, იგი უკვდავია. რაც შეეხება მალხაზის დედას, რა თქმა უნდა, ენატრება შვილი და შვილიშვილი და ცრემლნარევი სიტყვებით ულოცავს დაბადების დამდეგ 2018 წელს.

**გივი ჯახუა**



# მამა-პაპანი რა ქმნიდან...

ერთბაშად ჩამოთოვა. წინ დღით კი დეკემბრისათვის უჩვეულოდ აცხუნებდა სამხრეთის ცაზე გაკრული ყვითელი მზე. ღამეც ვარსკვლავებით მოიკენჭა. თუ როდის დაიძენძა ცა ღრუბლებით, როდის თოვა მოიფიქრა, კაცმა არ უწყის, ეგ კი იყო, დილას მუხლებამდე ეყარა ფუმფულა თოვლი და რძისფერ სივრცეში კვლავ უთავბოლოდ რიალებდნენ თეთრი პეპლები.

ლადო ჩვეულებრივზე ადრე წამოდგა. უძილობისაგან დაბინდული მზერა ფანჯრიდან შემოტყორცნილმა სითეთრემ თვალი რომ მოჭრა, ფარდა ბოლომდე გასწია. გაუკვირდა. წამით სიხარულიც კი დაეუფლა. რაღაც ბავშვურმა ჟინმა აიტაცა. მერე გახურებული შუბლი ცივ სარკმელს მიადო და, სანამ არ შესცივდა, გარინდული იდგა. მერე ჯიუტად შემობრუნდა, სასწრაფოდ გადაიცვა, ხელ-პირი დაიბანა, გარედან დანაფოტებული შეშა შემოიტანა და ბუხარში შეყარა. ცოტა ნავთიც დაასხა და ცეცხლიც აბრიალდა. მოღუშული სახე, ფართო, ნაოჭებით დაღარული შუბლი ერთბაშად გაუნათდა. სინათლის ლიცლიცს თვალი გაადევნა. მერე ბავშვების საწოლისკენ გაიხედა: სამი თმახუჭუჭა ბიჭუნა ერთმანეთს ჩახუტებოდა. უმცროსს საბანი გადახდოდა და ვარდისფერი სხეული მოუჩანდა. ფრთხილად მივიდა, ნაზად ეამბორა, შიშველი ტანი დაუთბუნა. მეორე ოთახში გავიდა, მაგიდაზე დაყრილი წიგნები და რვეულები გადაარჩია, წასაღები ცალკე გადასდო, სხვები კარადაში ჩაკეტა.

– ადექი? – გარედან შემოსულმა მეუღლემ ყასიდად იკითხა. თან ახლად მოწველილი, ოხშივარავარდნილი რძე მაგიდაზე დადგა.

– ჰო, ადრე ვარ წასასვლელი, – მეტი არაფერი თქმულა. ისედაც ბევრი იცოდნენ ამ დღისაც და ხვალისაც. თავთავისთვის ფიქრობდნენ და ფუსფუსებდნენ. ალიონის მყუდროება ნაჯახის მჭახე ხმამ დაარღვია. გუჯუ შეშას აპობდა. ლადო შეკრთა. როგორ უნდოდა მოხუცისათვის გაესწრო...

– ამ კაცის მოსვენება არ იქნება...

– ეჰ, რა ქნას. დარდი საწოლში კი არა, დედამიწაზე როგორ აძლებინებს?

რომელიღაც ბავშვმა ამოიკვნესა, გვერდი იბრუნა. ორივემ ერთდროულად გადახედეს პატარებს. მათი მზერაც იქ, მათი სიცოცხლის გაგრძელებასთან შეიკრა წრედ და იქვე გაიყინა.

– წავედი მე, – თქვა და წიგნების შეკვრას ხელი დაავლო.

– ცხელი რძე მაინც დაგელია.

– დიდი თოვლია, უნდა ვიჩქარო.

– წაიხემსე მაინც, – ჩააცივდა თამრო.

– აბა, შენ იცი! ბავშვებს გაუფრთხილდი! – თქვა და დამნაშავესავით მოარიდა მზერა.

– აღარ შემობრუნდები?

– არ ვიცი, იქნებ დრო არ მეყოს, – კარი აჩქარებით გამოაღო და გავიდა.

გუჯუ ახლა კერკეტა მორს ჩაციებოდა. დაღვარჭნილი, ერთმანეთს გადაკოსებული ფესვები პირბასრ ნაჯახს აღარ იკარებდა. ყოველ დარტყმაზე ზარივით რეკდა რკინად ქცეული. აკაციის სოლი მოიშველია და ძლივს უქნა პირი.

– დილა მშვიდობისა, ბაბა.

– გაგიმარჯოს, შვილო.

– მივდივარ.

– ჰა?

– მივდივარ-მეთქი, კარგად იყავი...

– მაშ, მიდიხარ, აბა?!

– აბა, როგორ მოვიქცე, ბაბა! ქვეყანა იქაა, ჩემი დაბარტყებული ბალღებიც პირწმინდად გაიკრიფნენ.

– გუშინ ბარდღამ გამოიარა.

– რაო, რა მინდაო?

– ორ თვეში დირექტორებზე ჯავშანი იქნებაო.

– დიდი ხანია მე ეგ ვიცი, ბაბა.

– გული რომ აწუხებს, დავაწვენო...

– მაგისათვის მოიცალა ვითომ? – თოვლის ფანტელებმა ცივი ღიმილი მოსტაცეს ლადოს, გუჯუმ ნაჯახი წვერით ჩაასო ძირკვში.

– არა, მაგისათვის თავს არ მოიკლავს, მაგი ისეთია, არ უქნია გამჩენს.

– შეშა უნდა, ხომ?

– ორი საჟენი... ათსაც მივცემდი...

– არ გაცივდეს, დროზე მიაშველე...

– ოთხნი იქ არიან და არცერთის არაფერი ისმის...

– ომია, მამა.

– ჩემგან არ ეყოფა მერე ქვეყანას?.. – გუჯუ შებრუნდა და ნერვიულად მოცახცახე მარჯვენა კვლავ ნაჯახის ტარისაკენ გაიწვდინა.

– გუშინ ბუჭულა წაიყვანეს. ცხვირმოუხოცელს რომ ეძახდი.

გუჯუმ მაღლა შემართა ნაჯახი, ვერცხლის სითეთრემ სწრაფად გაიელვა და გაჯიუტებული ძირკვი ორად გადავარდა.

– თავს გაუფრთხილდი მაინც.

– დარდი ნუ გაქვს, ბაბა...

ლადო უკვე ჭიშკართან მიარღვევდა მუხლებამდე თოვლს. სხვებზე ადრე მიდიოდა ყოველთვის, ჩვევად ექცა გზის გაკვალვა. დარშიც და ავდარშიც ხარირემივით მიუძღოდა სოფლის მართვეებს. სკოლამდე სამი ვერსი ჰქონდა გასავლელი. მის ნამუხლარს იმედიანად მიჰყვებოდნენ.

შუკის მოსახვევთან, მარჯვნივ, განმარტოებით მდგარი ისლის დაფეხვილი ქოხის წინ შავებში ჩაცმული დედაკაცი იცდიდა. ლადო რომ შენიშნა, ფაციფუცით მოაშურა ჭიშკარს.

– რაო, მარიამ, ბიჭი ცუდად ხომ არ არის?

ქალი აიწურა, სათქმელი უცებ გაუცივდა მოკუმულ ბაგესთან.

– არ იტყვი, ადამიანო?!

– რა ვქნა, ლადოს ჭირიმე, ფეხზე არ აცვია...

ლადო წამით შეყოყმანდა, თოვლი ფეხით გატკეპნა, ფაფუკი ჩქამი გაილო. წაფერდილი ქოხის კარს ერთი გახედა. მერე ნერვიულად გააქნია თავი, უხმოდ გატრიალდა უკან.

– თამრო! – შორიდან გასძახა მეუღლეს.

თამრო თვალცრემლიანი იდგა სარკმელთან, გზას გაჰყურებდა, იმ გზას, რომელსაც მიჰყავდა და უკან არავინ დაუბრუნებია. როცა ლადოს ხმა შემოესმა, გული აუჩქარდა, თავს მაინც სძლია.

– რა დაგავიწყდა?

– ჩემი ფეხსაცმელი გამოიტანე.

– რომელი?

– აბა, რომელი მაქვს?

– ეგ მაინც ყოფილიყო სახლში! – საყვედურივით დასცდა.

– კარგახანს არ დამჭირდება და...

თამრო უსიტყვოდ შეტრიალდა ფეხსაცმელები გაზეთში შეახვია და ჭიშკართან გამოუტანა.

ლადომ ახლაღა შეამჩნია, გუშინდელს აქეთ ჭაღარა შეჰპარვია თამროს.

– პალტო თუ გაატანე კოსტას ბიჭს? – გაახსენდა.

– ჰო, გუშინ დილით...

– ცუდად ახველებს, საეჭვოა.

– რაღაც ფილტვებში ვერაა რიგზე, არადა ჩასაცმელიც არა აქვს.

ექიმი სჭირდება, იქნებ რაიმე მოახერხო.

კოსტას ოთხი ბავშვის სადარდებელი გაჰყვა ომში.

იღლიაში ამოიდო ფეხსაცმელი ლადომ.

მარიამი კვლავ ჭიშკართან იდგა.

ჩააცვი და წამოვიდეს, გაკვეთილები არ გააცდინოს, დამამთავრებელ კლასშია...

მარიამს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერაფერი მოიძია, უხმოდ შეჰყურებდა გრძელი ნაბიჯებით მიმავალი სკოლის დირექტორის განიერ ბეჭებს, დღეს მოხრილი და დაპატარავებული ეჩვენა.

ლადოს კი ბევრი საფიქრალი ჰქონდა ამ დილის საქმეები უნდა გადააბაროს მოადგილეს, მერე რაიონში წავა კომისარიატში. ალბათ დღესვე გაჰყვება ეშელონს მტერი კავკასიონს მოადგა.

სადღაც სოფლის ცენტრში ბოძზე ჩამოკიდებული რეპროდუქტორი ხრიპინებდა. მერე სიმღერის ხმა გაისმა „მამა-პაპანი რა ქმნილა-ა-ან"... ომახიანად გუგუნებდნენ კახელი ვაჟკაცები.

**ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე**



## კრიტიკით არა, სიყვარულით ვამბობ...

დღევანდელ, ანუ 632 გვერდიან ანთოლოგიის გამოცემის საზეიმო დღეზე, არ მინდა ბუნდოვნად მაინც ვახსენო ჩემი ტკივილიანი არსებობა, რითაც შეიძლება ვინმეს უნებურად გული ვატკინო. ამ ჩემთვის გაუსაძლის ყოფაში შევეცდები მცირე რეგლამენტისას შუქურა ანთოლოგიაზე სათქმელი ლაკონური შტრიხებით შემდეგნაირად გამოვხატო.

იმ მსოფლიო შემაზანზარებელმა საბჭოთა იმპერიამ თავისი სამოცდათ წლიანი არსებობის მანძილზე აღნიშნული ანთოლოგიის მზგავსის რამოდენიმე ცალის და სახის გამოცემა თუ მოახერხა, რომელსაც ასობით და ათასობით ლიტერატორი, მეცნიერი თუ ტექნიკური მუშაკი ემსახურებოდა და ხაზგასმით ვახსენებ ყველაზე მთავარს; რასაც ახლა ერთად-ერთი ბოჰემა ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი აკეთებს, რომელ საუნჯე გამოცემასაც არც იმ ხანად და არც ამხანად ანალოგი არ გააჩნია. ეს კი უკვე საქვეყნო ტრიუმფია და რაც ნიშნავს, რომ ერში ასეთი ამოცანის ამოხსნის ალგორითმზე მხოლოდ და მხოლოდ, თავადვე რებუსით მოცულ ქალბატონ გულნაზის მიუწვდება ხელ-გონება.

აღნიშნულ სიტყვაკაზმულ ანთოლოგიის და გნებავთ თემის გადახვევად ჩამეთვალოს, 25-ე ნომერჩაუვარდნელ, აიაზმით ნაპკურ წმინდა ნინოს ხატით, საყდრით, ზარებით, ჯვრით დამშვენებულ სალბუნ ყდიანი „ათინათის" გამოცემას კი სულ მცირე, ელემენტარული: სინტაქსის, მორფოლოგიის, ორთოგრაფიის, კორექტურის, ფონეტიკის, დილოგიის, საბავშვო ნაწარმოებთა მეცნიერების, სემასიოლოგიის, გნოსეოლოგიის, სტილისტიკის, ისტორიის მეცნიერების, ლინგვისტიკის, მითოლოგიური ფილოსოფიის, ფრაზეოლოგიის, ავტორებთან გლობალურ-აკადემიური მიდგომის, ლექსიკოლოგიის, აბრევიატურის, ესეიების ცოდნის და რაც პირველ მთავარია ქალ-მამულიშვილობა სჭირდება, ხოლო ამდაგვარს კი დიპლომიანობა, ბიძიან-მამინობა, კაცლონიერება დიდ ბიზნესმენობა ვერ განაპირობებს, თუ არა კურთხეულ-ბოძებული მადლიან ქართულ-გენური უნივერსალ გულნაზისეული პირად ნიჭიერება.

„საქმემან შენმან გამოგაჩინოსო", აკი რედაქტორის მანტიით მოსილს ნ რაოდენობით უმშვენიერესი ლექსები, სტატიები, რეცენზიები, მთლიანი საგაზეთო გვერდები, ზეპირთქმულებები, წიგნიც კი მიუძღვნეს, მაგრამ მგონია მხატრული სათქმელი არ არსებობს, ასეთი ფანტასტიური უნივერსალ ქალბატონის, ანუ მისი ოკეანესავით უშრეტი თეოლოგიური ხედვის დასურათხატება რომ მოიცვას, რაც ტოლფასია სულმნათის თქმისა: „ ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშაო", რამე თუ ხელთ უპყრია თემიდას მითიური სასწორი დღევანდელ საერო ღრმა სასიტყვეთში ავტორთა მყისიერ ქმნილებათა საწონ-საძიებლად, ანუ სხვათა ნიჭიერების წარმოსაჩენად დიადემა ანთოლოგი-

ასა თუ პერგამენტულ „ათინათში“ გამოსამზეურებლად. რომელიც ქალბატონ გულნაზის მეცნიერულ-ჯადოსნური კალმის წყალობით სამ თვეში ერთხელ ჟურნალი და წლის ბოლოს ანთოლოგია რომ გამოიცემა. მათ მეექვსე და ოცდამეხუთე ნომრის გამოცემას კი სწორედ ათეული თუ ასეული რედ-წევრი სჭირდება და არა ფორმალურად პატივისცემის ნიშნით შერჩეული ტიტულოვანი რედ-კოლეგია, რასაც კრიტიკით არა სიყვარულით ვამბობ და ეს იმ ფონზე, როცა ავტორობას და რედ-წევრობას შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც უკუნსა და რეალურ ათინათს შორის.

ყველა ზემოთქმულიდან გამომდინარე, მითუმეტეს ამ ქვეყნად მრავალი რამ სუბიექტური მრწამსით რომა, ვინ გამკილავს იქნებ მართლაც და მხოლოდ გულში გასავლებ, მაგრამ ამჯერად კი ხმამაღალ ნათქვამზე , რომ სუბიექტი ვისაც ეს სტრიქონები მიუძღვნეს: „შენ საქართველოს დედოფლობა დაგმშვენდებოდა“ ვერც ერთ პარალელში ახლოსაც ვერ დაუდგება, არისტოკრატიულ, ერის კოლორიტ ქალბატონ გულნაზის და თანაც, როგორც უკვე ავღნიშნე დღევანდელ ცნობილ ნიჭიერ პოეტებივით დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, ვინ იცის „მერის“ ნაცვლად გულნაზი დაეწერა „გალას“. და მე მეამაყება ბუნებით თავმდაბალ, ყოვლად ექსტრა-ორდინალურ, დედაშვილურ ბანოვანის, შარავანდედით მოსილ ანთოლოგიის, გამომცემლის ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის ახლო ნაცნობობა, მასთან ურთიერთობა, მეტადრე საამაყო რომაა მისი თანამოქალაქეობა, იმ ქალაქით, თუმცა მრავალგზით სისხმორწყულ, მაგრამ უკვე ღრმად ფრთაშეკვეცილ სამშობლოში ჟამთაბერულად ბოსტან-ქალაქი და ამხანობით პროვინციული პატარა რუსთავ-ქალაქი რომ ჰქვია.

რააც შეხება ახალშობილ ანთოლოგიაზე აპოდიქტურ ციტირებას, ეს შემდეგში იყოს და ვიდრე ახლა ლექსს წაგიკითხავთ წინასწარ მადლობას გიხდით მოსმენისათვის: გულნაზ ხარაიშვილს. /ქართულ ღრმა სიტყვის სიბრძნე თუ ხიბლი/ შენთვის ვითაა ტკბილი რომანი,/ ანთოლოგიაც და „ათინათიც“ /ორივე შენი შვილი რომ არი. /თან ცხოვრების გზის იგავ-არაკნიც, /ჭკვიან კალამით რომ აგიხსნია, /მჯერა, ქალს ერის სამსახურისთვის /ბრწყინვალე ვარსკვლავს რომ გაგიხსნიან.

**ლია მარტაშვილი**
ნიკო ნიკოლაძის პრემიის
ლაურეანტი, ჟურნალისტი



## პოეტი ქალების საღამო რუსთავში

რუსთავს ლიტერატურული ცხოვრების დიდი ტრადიციები აქვს.ქალაქის დაარსებიდან დღემდე არაერთი ნიჭიერი პოეტი და მწერალი დაფრთიანდა, გაიზარდა და დღეს უკვე ცნობილ შემოქმედად იქცა.ასეთთა მიერ გამოცემულ პოეტურ და მწერულ კრებულებს არამხოლოდ საქართველოში,არამედ საზღვარგარეთაც კითხულობენ.



შემოქმედთა შორის უმეტესობა-ქალია.

მარინე ცხვედიაშვილი,თინათინ სიყვმაშვილი,ლია ბეჟანიშვილი,თამარ ჯაჭვაძე,მაია რაზმაძე, ქეთევან სოხაძე, ნანა ყალიჩავა,გულნაზი ხარაიშვილი, ლამზირა შეყილაძე, ნორეტა გელაშვილი, ცირა ბულაშვილი, ნელი მანჩხაშვილი, ლალი მჭედლიძე, და სხვანი.თავიანთი მაღალმხატრული ნაწარმოებებით ხშირად იბეჭდებიან სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში და მუდმივად იბეჭდებიან ქვემო ქართლის რე-

გიონალურ ყოველწლიურ ლიტერატურულ კრებულებში, რომლის გამოცემა ტრადიციად ექცა რუსთავისა და ქვემო ქართლის.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნიჭიერი ქართველი პოეტის მარინე ცხვედია შვილის დამსახურების შესახებ ამ ორგანიზაციის არსებობა გაძლიერებისათვის. და მიუხედავად იმ მწარე რეალობისა რომ, რუსთაველ მწერლებს სახლი არა აქვთ, ამ ქალაქში ინტელიგეციის ეს ნაწილი მუდამ ქალაქის რჩეულთა შორისაა და რუსთავის ინტერესებისათვის მებრძოლთა წინა რიგებში დგას.



ლია მარტაშვილი, მარინე ცხვედიაშვილი და თინათინ სიყმაშვილი



ლია ბეჟანიშვილი და თეა ჟვანია

ბოლო წლებში შემოქმედების საქმიანობის ცენტრმა ილია ჭავჭავაზის სახელობის მთავარ ბიბლიოთეკაში გადმოინაცვლა (გაერთიანების დირექტორი თეა ჟვანია) და შემთხვევითი არ არის რომ ამ აკადემიურმა დაწესებულებამ აიღო საკუთარ თავზე მუდმივ რეჟიმში ღონისძიებათა ჩატარება-მასპინძლობა, რუსთავში ჩამოსულ შემოქმედ სტუმრების მიღება, წიგნების პრეზენტაცია,წიგნების გამოცემა, გამოფენების მოწყობა,ახალგაზრდთა შემოქმედთა წარმოჩენა და სხვა რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორს თეა ჟვანიას. ყველაფერი ეს მიზნად ისახავს არა მხოლოდ წიგნიერების ამაღლებას,შემოქმედთა ხელის შეწყობას,არამედ თაობათა კავშირის გაღრმავებას, საგანმანათლებლო დაწესებულებების მუდმივ კავშირს რუსთაველ მოსახლეობასთან საქმიან და მიზან მიმართულ კონტაქტებს.აღარაფერს ვამბობთ ესთეტიზმსა და ემოციურ სიამოვნებაზე რომელსაც ასეთი შეხვედრების დროს იღებენ მაყურებლები და მსმენელები აღნიშნა მარინე ცხვედიაშვილმა. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრად იქცა სულ ცოტა ხნის წინ ბიბლიოთეკაში გამართული ღონისძიება სახელწოდებით „ჩვენ რუსთაველი პოეტი ქალბაქტონები“ რომლის ინიციატორები იყვნენ საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი ქ.თეა ჟვანია და მთავარი ბიბლიოთეკარი ლია ბეჟანიშვილი.



ღონისძიებას დაესწრნენ ქალაქის ახლადარჩეული მერი ირაკლი ტაბაღუა, საკრებულოს თავჯდომარე ლევან ონიანი, საკრებულოს წევრები და მერიის სამსახურის ხელმძღვანელები. ღონისძიე-

ბას უძღვებოდა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის რუსთავისა და ქვემო ქართლის ორგანიზაციის თავჯდომარე მარინე ცხვედიაშვილი. პოეზიის საღამოს შესავალში პოეტმა, შიო მღვიმელის პრემიის ლაურეანტმა ლია ბეჯანიშვილმა აღნიშნა, რომ ძნელბედობის ჟამს ქართველი ქალები გადამწყვეტ სიტყვას ამბობდნენ,საქართველოს ისტორია სახელოვან ქალთა და პოეტ ქალთა ისტორიაცაა. დღეს ჭეშმარიტი სიტყვა მკითხველთან მისული სიყვარულისა და სიკეთის მქადაგებელი უნდა იყოს.საქართველოს დღეს მწერლის მართალმა სიტყვამაც უნდა უშველოს აღნიშნა ლ. ბეჯანიშვილმა.

პოეზიის საღამოს მსვლელობაში მონაწილეობა მიიღეს მ. ცხვედიაშვილმა, თ. სიყმაშვილმა, ქ. სოხაძემ ნ. ყალიჩავამ მ. რაზმაძემ, ნ. გელაშვილმა, ლ. შეყილაძემ, ლ. მჭედლიძემ და სხვებმა,მაგრამ მარტო ლექსებით არა, ისინი პირდაპირ აუდიტორიაში, უშუალოდ ესაუბრებოდნენ თვითმართველობის ხელმძღვანელებს, ურჩევდნენ, გვერდში დგომას პირდებოდნენ.

სიტყვით გამოვიდნენ და ქალბატონებს გულთბილად მიესალმნენ ირაკლი ტაბაღუა და ლევან ონიანი.მათ თანადგომა,გულწრფელი თანამოაზრეობა აღუთქვეს ქალბატონებს და იმედი მისცეს,რომ ახლო მომავალშივე დაიწყება შემოქმედთა სახლისთვის გამოყოფილი შენობის რემონტი. ამ უკანასკნელისთვის ზრუნვა ყოფილმა საკრებულოს წევრმა სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელმა, კერძო სკოლა „მილენიუმის“ დირექტორმა ელზა ლეკვეიშვილმა ითავა.



ღონისძიების მომხიბვლელ ნაწილად იქცა პოეტი ქალების მიერ საკუთარი ნაწარმოებების წაკითხვა და შემდეგ მათი დაჯილდოება გაერთიენების დირექტორის მიერ. რუსთაველ მწერალ ქალებს ღირებული ფასიანი საჩუქრები და სპეციალური სიგელები გადაეცათ, იმ არამატერიალური ღვაწლისთვის, რომელსაც ისინი წლების განმავლობაში ეწევიან რუსთავში.

და ბოლოს კიდევ ერთი თვე და ჩვენს მშობლიურ ქალაქს დაარსებიდან 70 წელი უსრულდება.ეს |თარიღი მნიშვნელოვანი და ძვირფასია მთელი ქართველი ხალხისთვის იმიტომ რომ, 70 წლის წინ სწორედ ეს ქალაქი გადაიქცა პატარა,ერთიან საქართველოდ,სადაც ყველა კუთხის ქართველები მოეშურებოდნენ მეტალურგიული ქარხნის ასაშენებლად. ასე რომ რუსთავი ძმობის, მეგობრობის, სიკეთისა და პოეზიის ქალაქია, რომელსაც შეუძლია კვლავაც და მარადიულადაც გაიმეოროს პოეტის სიტყვები: “ვარ რუსთაველი და მიხარია“.

**გულნარა შოთაშვილი**



# გაგრძელება

მძინარე ტარიელს ზარების რეკვა ჩაესმა, ლოგინიდან ფიცხლად წამოდგა, სახეზე ცივი წყალი შეისხა, ეზოში გავიდა და წვრილფეხს მიხედა. აჭყვიტინებულ ღორებს სალაფავი დაუსხა, ბოსლის კარი შეხსნა ძროხის მოსაწველად, რომ ლოგინად ჩავარდნილი ცოლისთვის თბილი რძე დაელევინებია, მაგრამ ბავშვის გულამოსკვნილმა ტირილმა ელდა ელვასავით გაუყარა გულში, ძროხის საწველი ვედრო ხელიდან გააგდებინა, მუხლები მოკვეთა, საწოლ ოთახში ძლივს შეიტანა მოწყვეტილი წელი და დედაშვილის ცოდვამ დაფერფლა კაცი. შვილი გულში ჩაეკრა საროს და მის ღრიალზე ცრემლად იღვრებოდა.

ტარიელი კარებში ჩაჯდა და უცრემლოდ ატირდა.

სარო მეორე შვილს ელოდა, მაგრამ ტოქსიკურმა ფეხმძიმობამ ისე დაასუსტა, ლარზე გადაბიჯება უჭირდა, დღე-ღამეზე ილეოდა მისი სიცოცხლე და გამოსავალი ვერსად მოეძებნათ.

ატირებულ საროს ჩაცვენილ ლოყებზე ცრემლი წყაროსავით მოწანწკარებდა და გაფითრებული ტუჩებით ჩურჩულებდა.

– ჩემი აღსასრული მოახლოვებულია, ჩემო ბიჭო, რა გეშველება უჩემოდ შვილო, იქნებ ეს ცოდვის შვილიც ცოცხალი დარჩეს, ამ ცოდვით სავსე ქვეყანაზე და დედის სითბოს მოკლებული ქვასავით გულის პატრონი გაიზარდოს, თუმცა ჯერ კიდევ მაქვს ღმერთის იმედი, იქნებ არ გამწიროს და ობლად არ დამიტოვოს შვილები.

ტარიელს თვალწინ გაურბინა თავისმა ობლობამ, გასაჭირმა, უქონლობამ... და გაიხსენა ზაქრო პაპა რომ არ გამოჩენოდა, დედის გზას გაუდგებოდა ისიც. სიკვდილისაგან განადგურებული ზაქრო საკუთარი შვილივით ზრდიდა ტარიელს, სიკეთე და კაცური საქმე ასწავლა. მერე იყო და ობოლი სარო შეუყვარდა. ოჯახი შექმნეს, კერია გაიჩინეს. მაშინღა შეხედა ცხოვრებას პირისპირ და ყველა გასაჭირი დაივიწყა.

საროს მადლიანმა მარჯვენამ, ცოლ-ქმარის მუხლჩაუხრელმა შრომამ ოჯახი ფეხზე დააყენა და გაიხარა ტარიელმაც, რა არ გამოუდიოდა საროს მარჯვენას – კერვა, ქსოვა, ქსელის ბეჭვა, ბაღ-ვენახის მოვლა.

წლის თავზე ბიჭი შეეძინათ და ამაღლდა სახლის ჭერი, მათ ოჯახში მზე შემოსახლდა და სიხარულიც უძირო და უნაპირო გახდა ოკეანესავით.

ბიჭს ზვიადი დაარქვეს.

სარო რიჟრაჟს აჰყვებოდა ხოლმე და შუაღამემდე დაუღალავად შრომობდა. გახარებული ტარიელი ხშირად იტყოდა „ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვა-ო".

ზაქრო კმაყოფილი იყო გაზრდილის ვაჟკაცობით, მისი ოჯახის სიკეთე გულს უხარებდა, ცოლ-შვილის სიკვდილით დაჩაგრულ კაცს. ტარიელს ხშირად ახმარდა თავის მადლიან მარჯვენას და ოჯახის წევრად თვლიდნენ ისინიც.

ზვიადი უკვე სამი წლისა იყო და ერთ შვილზე ხომ არ დარჩებოდნენ? ღმერთმა საროს მეორე შვილის გაჩენა დაუკანონა და მან ტარიელს მეორე შვილის მოლოდინი ახარა. მორცხვად დახარა გრძელწამწამიანი თვალები, ლოყები ატმის ყვავილივით აუყვავდა. აბა კაცს შვილებით ვინ დააკმაყოფილებს? ტარიელიც კაცი იყო და გაახარა მეორე შვილის მოლოდინმა, რა იცოდა, თუ ასეთ დღეში ჩაუვარდებოდა მოსიყვარულე ცოლი თორემ...

ახლა იწვა სარო და ელოდა დღე რას მოუტანდა და ღამე როგორ დილას გაუთენებდა. იცოდა ტარიელმა უდედობას რა მოსდევდა და ყოველნაირად ცდილობდა ცოლისათვის ნუგეში ეცა, ღმერთს შესთხოვდა, შვილები მამის ბედისანი არ ყოფილიყვნენ.

– სარო, კარგი გენაცვალე, გულს რატომ იხეთქავ წინდაწინ, აი ნახავ ჩემი ობლობის გამჩენი და ჩვენი შვილების ბედ-იღბალი კარგად გადაგარჩენს. ნუ მოიკლავ ძალით თავს, შე ქალო, ბავშვი მაინც შეიბრალე.

ტარიელი მთაში გაზრდილი, მთასავით ზვიადი და გაუტეხელი, – გულით ისეთი საწყალი და გულსუსტი იყო, ცრემლს გვრიდა სხვისი ტანჯვა, ცოლის ცრემლი და გოდება ხომ გულზე მო-

ურჩენელ იარას უჩენდა ვაჟკაცს. ახლაც თვალები აუწყლიანდა, საროს სასთუმალი და საბანი მოხერხებულად შეუსწორა, შვილი ხელში აიყვანა, თმებზე მოეფერა, შუბლზე ეამბორა, სიტყვის თქმა კი ველარ მოახერხა.

საროს შეებრალა მეუღლე.

– მაპატიე ჩემო ტარიელ, ვიცი არ ვარგა სისუსტე, მაგრამ... ყველაფერი კარგად დამთავრდება, ჩვენი ოჯახის სისპეტაკე და ჩვენი მარჯვენის მადლი გადამარჩენს, აი ნახავ თუ ასე არ იყოს...

– ეგრე, შე ქალო, ნურც მე მიხეთქავ გულს და შენც წინდაწინ ნუ მოიკლავ თავს...

დღე დღეს მისდევდა, საროს უკეთესობა დაეტყო. ლოგინიდან ადგა. ერთ დღეს ბაღშიც ჩავიდა, ეზო-გარემოც მოიარა და გახარებული, ტყიდან მობრუნებულ ქმარს ჭიშკარში შეეგება, გაიხარა ტარიელის დაჩაგრულმა გულმაც, შეკრული წარბები გაეხსნა. ცოლს ხელი მოხვია, ბავშვს ხელი ჩაჰკიდა და სახლის წინ დარგულ თუთის ხის ძირში ძელსკამზე ჩამოსხდნენ, სიხარულმა დაღლა დაავიწყა ვაჟკაცს. იქვე ივახშმეს. სარო მალე დაიქანცა, ტარიელმა ცოლ-შვილი სახლში შეიყვანა, და როცა დედა შვილმა დაიძინა, ისევ ძელსკამს დაუბრუნდა და მთვარის ოქროსფერ სხივებში გახვეულ მიდამოს აღტაცებით გადახედა.

ბადრი მთვარეც იზიარებდა ვაჟკაცის სიხარულს, გაღიმებული დასცქეროდა დედამიწას და სხივებს მძივებად აქარგავდა ტარიელის კარმიდამოს.

ამ დღიდან მოყოლებული ტარიელის ოჯახში სიხარულმა დაისადგურა, საროც უკეთესობას გრძნობდა და აბა რა დაანაღვლიანებდა, ცოლის მოსიყვარულე ვაჟკაცს. ტყიდან ისე არ დაბრუნდებოდა ნანადირევი არ მოეტანა ან არ მოეყვანა და მისი გული არ გაეხარებია. ცოლი კი ქმარშვილის სიხარულით ხარობდა.

საროს მალე ქალიშვილი შეეძინა, შვილი ისე გავდა დედას, როგორც ერთი ხის ორი ნაყოფი. სახელად ცარო დაარქვეს. ბავშვი ძალზე წყნარი და იოლი საზრდელი გამოდგა. არავის აწუხებდა, ბანგდალეულივით ეძინა და მხოლოდ ჭამისათვის იღვიძებდა. დედა ხანდისხან ძალით აღვიძებდა და აკნიდან ამოჰყავდა – ხან საბანაოდ, ხან მოსაფერებლად.

დღე – დღეს მისდევდა, ცარო უკვე წლისა ხდებოდა, ფეხზე დაბაჩუნებდა და ენას იტეხდა. მისმა ტიტინმა გაახარა მშობლები. უფროსმა შვილმა წესად დაიდო დაიკოს გარეშე ფეხი არსად გაედგა. უხაროდათ მშობლებს და-ძმის სიყვარული, იცოდნენ ბავშვობის სიყვარული არასოდეს გაფერმკრთალდებოდა და სხვასაც მაგალითს მისცემდნენ თავისი საქციელით.

რელიგიური დღესასწაული ახლოვდებოდა, ყველა თავისებურად ემზადებოდა, ბაზარზე მიჰქონდათ რაც გასაყიდად ემეტებოდათ, მერე სურსათ-სანოვაგითა და ტანსაცმელ-ფეხსაცმლით სავსე ხურჯინებით ბრუნდებოდნენ სოფელში. ტარიელიც ორი კვირის წინ წასული, ძლივს ამობრუნდა სახლში, გახვითქული და დატვირთული მიეახლა ცოლ-შვილს.

გაიხარა სარომ, ბავშვებს ტანსაცმელი შეუკერა და გულგალაღებულმა ღიღინით აავსო სახლკარი. ბაზარი შორს ჰქონდათ და ეცოდებოდა ქმრის ხშირად გაგზავნა. იქამდე მისვლას მთელი დღე სჭირდებოდა, აბა ამ მთაში მანქანას ვინ მისცემდათ, ფეხით დადიოდნენ და კიდევაც იმიტომ უჭირდათ.

დღესასწაულის წინადღით ტარიელმა სანადიროდ წასვლა გადაწყვიტა. ზვიადი ექვსი წლისა იყო და მასაც მოუნდა წაყოლოდა. ტარიელმა გაიცინა, ეს სიცილი სიხარულისა იყო, რადგან ზვიადის საქციელში მამამ ვაჟკაცობის მარცვალი აღმოაჩინა და მიხვდა, ლომის ბოკვერი ლომს დაემსგავსებოდა. უარის თქმას კი მოერიდა, იცოდა ახლა თუ ცუდად შეეხებოდა ბავშვის თავმოყვარეობას, ველარასოდეს გამოისყიდდა დანაშაულს, მით უმეტეს, რომ ბიჭი გონებრივად ათი წლის ასაკისას უტოლდებოდა და ისე უნდოდა დაესაბუთებია ტარიელს მისი სანადიროდ წაყვანის შეუძლებლობა, რომ ზვიადი ვერ მიმხვდარიყო, მამას რომ ჯერ ძალზედ პატარად მიაჩნდა, მაგრამ არც ის უნდოდა გაემჟღავნებინა რომ არავითარ შემთხვევაში არ სურდა ბავშვის წაყვანა. ამიტომ ისე რბილად და სიყვარულით მოუთათუნა ლოყაზე ხელი ბიჭს, და ის უთხრა, რასაც ყველა მშობელი ეტყოდა მცირეწლოვან ბავშვს:

– რას ამბობ შვილო, მე უთენია უნდა გავუდგე გზას და შენ როგორ გაგაღვიძო?! მე და ალუდა მივდივართ, შენ სად ივლი ჩვენთან.

ზვიადმა იცოდა მამის გაუტეხელი ხასიათი, პირმოკუმული ჩამოჯდა სკამზე და მოსიყვარულე თვალებით დაუწყო მამას ყურება.

ბიჭს უარი ეთქვა, ტარიელი სიტყვას სიცოცხლის ფასად აღარ გატეხდა.

ღამე გაუტყდა ზვიადს, ვერ იქნა და ვერ დაიძინა, ისე მოუნდა მამის მოსიყვარულება, რომ ველარ მოითმინა, ლოგინიდან ჩამოცურდა და მამას ჩაეკრა. დაღლილ ტარიელს შვილის მისვლა არ გაუგია, მხოლოდ სარომ გადმოხედა მოციმციმე თვალებით მამა-შვილს და ცაროს პირში ძუძუ ჩაუდო.

მამის ძლიერ მკერდს მიეკრა ზვიადი და დამშვიდდა. მისი ვაჟკაცური სუნთქვა, რის დროსაც მკერდი მძლავრად აუდ-ჩაუდიოდა, სიამოვნებას გვრიდა ბავშვს. ქვეყანაზე არავინ ეგულებოდა მასზედ ღონიერი და კეთილი, მის წარმოდგენაში მამა უძლეველი და უალამაზესი ადამიანი იყო, ამიტომაც უყვარდა მშობელი და სიტყვის შებრუნებას ვერ უბედავდა. მამის მკერდზე განაბული ძილის ნაცვლად ოცნებას გაჰყვა... და ეზმანა...

მიდის ზვიადი აყვავებულ და დასიცხულ ველზე, მამის სუნთქვა გრილ ნიავად ელამუნება სახეზე, მინდორზე შვლის ნუკრი დანავარდობს, ნუკრი ზვიადს უახლოვდება და ცაროს სახეს იღებს. ზვიადმა ხელში აიყვანა დაიკო და გულზე მიიკრა. აყვავებული ველი უეცრად ჩამობნელდა ბავშვები შიშით ერთ ადგილზე გაქვავდნენ, საშინელმა ქუხილმა არემარეს გადაუარა. შეშინებული ზვიადი იქით იცქირება საიდანაც მდინარის შხუილი ისმის. ცოტაც და აზვირთებულ-ამღვრეული ტალღები ბავშვებს შემოადგება ირგვლივ. წყალს ტარიელი მოაპობდა რომ შვილებს მიშველებოდა, მაგრამ ტალღის მძლავრმა დარტყმამ ღონე გამოაცალა, ჩაძირა და როცა მდინარის ზედაპირზე ისევ გამოჩნდა, უკვე ველარაფერს ხედავდა. ზვიადი მიხვდა მამამისი მდინარემ დაახრჩო და სასოწარკვეთით იყვირა, მამაა!

ტარიელი შვილის ხმამ გამოაღვიძა, უკვე რიჟრაჟი დგებოდა. გაოცდა, როგორ გათენდა რომ ვერ გავიგეო და ბიჭს გაეხუმრა:

– შემარცხვინე მონადირე კაცი შვილო? გინდა მიმახვედრო რომ ფხიზელი ძილი არ ვიცი?

– მამა ნუ წახვალ სანადიროდ, გეხვეწები – ბავშვის ხმაში შეშფოთება შენიშნა, მამამ თავზე ხელი გადაუსვა, თავის ვაჟკაცს და დარიგების კილოთი უთხრა:

– მე არ ვიცი შვილო სად რა მომელის, ვაჟკაცი ყველაფრისათვის მზად უნდა იყოს. შენ კი არ უნდა შეგაშინოს შემთხვევით თავზე დატეხილმა უბედურებამ, დედას და დას პატრონობა უნდა, ძველთაძველი თქმულებაა „უბედურების უფსკრულს არ შეუშინდე, ბედნიერების მწვერვალზე არ იამაყო" – ვაჟკაცმა უბედურებაც და ბედნიერებაც ერთნაირად უნდა შეიფეროს, ხალხი არ უნდა გააცინო.

ტარიელმა შვილს ლოყები დაუკოცნა, მერე ცაროს საწოლთან მივიდა, ბავშვის ფუნჩულა ხელი ლოყაზე მოისვა, თმებზე ეამბორა რომ არ გაეღვიძებია წვერების შეხებას, ცოლს აკოცა და კარებში გასულმა შეახსენა ზვიადს – არ დაგავიწყდეს, რაც გითხარი შვილო, დედას გაუგონე, დაიკო არ გააწვალო. თუ შემხვდა დავიჭერ და პატარა დათუნიას მოგიყვან. აბა თქვენ იცით – დაემშვიდობა კარებში გასული და თვალს მიეფარა.

ცუდად ენიშნა საროს ქმრის ფიქრიანი ხმა. გული ცუდს უგრძობდა. გაუნძრევლად იდგა აივანზე და იქით იცქირებოდა, საითაც ტარიელმა მეტრიანი ნაბიჯებით გააბოტა.

მთელი დღე გული ვერაფერს დაუდო. ბავშვებს დასდევდა და გზისკენ ეჭირა თვალი. ღამდენჯერ არ ჩაეკითხა ზვიადს ძილში მისი ყვირილის მიზეზს ვერაფერი ათქმევინა: იცოდა ბიჭმა დედას ძალიან სჯეროდა სიზმრებისა და არ უნდოდა კაეშანი მიემატებია მისთვის.

დაღამდა, ტარიელი არ სჩანდა, მთელი ღამე თეთრად გაათენეს დედა-შვილმა, მხოლოდ ცაროს ეძინა, ბავშვური, უდარდელი ძილით, ღამეც გაიცრიცა, სოფელი ამოძრავდა, სარო ალუდას ცოლთან გადავიდა ამბის გასაგებად და ელდა ეცა – ალუდა და მეზობლის სხვა მამაკაცები სადღაც მიდიოდნენ თოკებითა და ბარ-კეტებით. საროს დანახვაზე ალუდა შეკრთა, სარომ კი მთელი ქალის გულთამხილველი თვალები დახარა და აღელვებით შეეკითხა:

– ალუდა, ძმაო, ტარიელი რატომ არ მოვიდა ამდენხანს? – ღელვამ ლაპარაკის უნარი წაართვა.

ალუდამ კი ნუგეშის მიცემაც ვერ მოახერხა – მალე მოვაო – მიუგდო სიტყვა ელდანაცემ ქალს და წინ მიმავალ თანასოფლელებს ძუნძულით გამოუდგა.

მუხლი მოეჭრა საროს, მიხვდა ქალი, ტარიელის თავს კარგი ამბავი არ იყო, მაგრამ ჯერ მაინც ენთო გულში ცოტაოდენი იმედის ლამპარი. დაღამდა. სარომაც სახლს მიაშურა. ბავშვებს ჩასძინებოდათ, დააწვინა და თვითონაც იქვე ჩამოჯდა. მაგრამ ველარ მოისვენა, მეზობლის ქალს

შეეხვეწა ბავშვებისათვის ყური ეგდო, თვითონ კი ტყისაკენ გაუდგა გზას. ფიქრში გართული ქალი ისე ღრმად შესულიყო ტყეში, რომ როცა გამოერკვა შიშმა თავზარი დასცა. იმის გაფიქრებამ, რომ ქმარიც ამავე ტყეში იყო, ოდნავ გაუნელა შიში. ყური მიუგდო ტყის შარიშურს, ტყიურთა თავისებურმა ხმაურმა გაართო და გაუკვირდა, მთაში გაზრდილ ქალს, რომ აქამდე არ შეუმჩნევია ეს წარმტაცი და ლაღი მუსიკა.

არემარე უცნაურმა ღრიალმა შეარყია, სარო გამოფხიზლდა, გულში შეჭრილმა ელდამ მიწას ფეხებით მიალურსმა, გაშეშდა, ძარღვებში დავლილმა შიშმა ღონე მოსტაცა, მაგრამ არაადამიანური ენერგიის დაძაბვით მოიკრიბა გაფანტული გონება, მობრუნდა და სახლისაკენ სირბილით დაადგა გზას ცოტა მანძილი გაირბინა და წინიდან შემოგებებულმა ორმა მოკიაფე კელაპტარმა გზა გადაუღობა, იძალა ქალმა, სირბილით მოინდომა გვერდის ავლა, მაგრამ ისე მძლავრად დაიღრიალა ნადირმა სარო მიხვდა, მისი სიცოცხლე მალე დასრულდებოდა, მუხლი მოეკვეთა, უახლოესი ხის ძირში ჩაჯდა, თვალები დახუჭა. უცებ არემარე დღესავით გაანათა ჩირაღდნების შუქმა, მონადირეებს გატყავებული ნადირი მოჰქონდათ და წინ მიმავალნი გზას უნათებდნენ კვარის ჩირაღდნებით.

ნადირი შეაკრთო სინათლის გამოჩენამ, მაგრამ მხეცური გულმოდგინებით არ სურდა ნადავლის დაკარგვა. ის იყო ხის ძირში ჩამჯდარ ქალთან მივიდა ტორებაწეული, რომ თოფის გრიალმა არემარე შეაზანზარა. ნადირმა ხროტინისებური გმინვა ამოუშვა, ჩაიჩოქა, მერე ისევ წამოიწია, მაგრამ თოფის მეორედ გასროლამ ისევ მიწაზე განათრხო ტყიური.

ძლივს გაარჩია სარომ, რომ მის ახლოს ადამიანები ტრიალებდნენ. თვალები გაახილა, გული არ წასვლია ზოგიერთი ქალივით, მაგრამ შიშმა აზროვნებისა და შემეცნების უნარი წაართვა. როდის – როდის გონს მოეგო და იცნო მის წინ მუხლებზე დაჩოქილი ტარიელი, ყურისძირებსა და მკერდს ცივი, ანკარა წყაროს წყლით რომ უზელდა. პირზე ღიმილი გადაეფინა.

ცოცხალი ხარ კაცო? – აღმოხდა ჩურჩულით და უსიცოცხლო თვალებით აათვალიერ-ჩაათვალიერა ტანზე.

– რა მოგივიდა გენაცვალე, სარო, აბა კარგად შემომხედე, აქ რამ მოგიყვანა, მოჩვენება ხომ არა ხარ ქალაუ, რამ გაგაბედვინა ამ ნადირების სამეფოში შემოსვლა?! ასეთი მოუფიქრებელი საქციელი როგორ გეკადრება ორი შვილის დედას! იმ ოხერს რომ მოეკალი რა პასუხს აძლევდი ცაროს? მე რა მოძებნა მინდოდა ადამიანო, პირველად ხომ არ ვარ სანადიროდ წამოსული? აბა ხმა გამეცი, მითხარი აქ როგორ გაჩნდი?

სარო ხმას ვერ იღებდა, ტარიელის მხარზე ჩამოეყრდნო თავი და ისე სუნთქავდა, თითქოს შინაგანი ცეცხლით იწვისო. ტარიელი მიხვდა, ქალი ისე იყო შიშით გათანგული დიდხანს ვერ მოახერხებდა ხმის ამოღებას, ამიტომ ამხანაგების დახმარებით ტოტებისაგან ჯალამბარი გააკეთა, ზედ მწვანე ყლორტების ლეიბი დააფინეს და სარო დააწვინეს.

სვენებ-სვენებით მიჰყავდათ სარო სახლისაკენ და გაოგნებულნი ხმას ვერ იღებდნენ. ბოლოს ალუდა ალაპარაკდა, მოუყვა ტარიელს, საროს როგორ შეეფეთა სახლიდან გამოსული და დაუმატა:

– მე ჯერ არ ვიცოდი, ხევში როგორ მდგომარეობაში იყავი და საროსათვის რა მეთქვა. ჩემი ბრალია... რა ვიცოდი, თუ ასე მოხდებოდა?!

ტარიელს კრიჭა შეჰკროდა. საროს უეცარმა დამუნჯებამ თავზარი დასცა. ელდა და დარდი უფრო გაუორკეცდა, როცა ლამფის შუქზე მეუღლის გაფითრებული სახე და უაზროდ გახელილი თვალები დაინახა. სოფელში მლოცავი, ალუდას დედა, მზექალა მოიყვანა. ქალმა ბევრი იპუტუნა, მაგრამ საროს უკეთესობა არ დასტყობია, და ტარიელმა მეზობლებს სთხოვა ცოლის ექიმებთან წაყვანაში მოხმარებოდნენ.

ვინ ეტყოდა უარს, ყველას უყვარდა უცოდველი და გაჭირვებაში ხელის წამშველებელი ოჯახი. ყველაზე მეტად ბავშვების ცოდვა წვავდათ. მეზობლის ქალები ოჯახის თავს დასტრიალებდნენ აგვარებდნენ საროს ავადმყოფობით ჩამორჩენილ საქმეს, მაგრამ ბავშვებს ვერაფერს უხერხებდნენ. ცარო დედის მკერდს ვერა და ვერ მოსწყვიტეს, ძუძუს კბილებს უჭერდა და პირმოკუმული ღრიალებდა, როცა წაყვანას მოინდომებდნენ, ქალები რომ გაეცლებოდნენ, დედას უფრო მეტად მიეხუტებოდა.

***გაგრძელება იქნება***

**ბელა ალანია**



# სიყვარული გამოძახებით

ჩემი თანაკლასელი ქეთი რამდენიმე კორპუსის იქით ცხოვრობდა. წლების განმავლობაში ქირის გადახდა გაუძნელდა და ნათესავებთან დაბინავდა. ტარიელი, ოთხმოცდაათ წელს მიტანებული, ქალაქში ცნობილი და დაფასებული ფსიქიატრი გახლდათ. სახლში მარტოდმარტო ცხოვრობდა. თუმცა ერთ დროს კი იყო დაცოლშვილებული, მაგრამ დიდი ხნის წინათ გაიყარნენ და არც ყოფილი მეუღლე იყო უკვე ცოცხალი. მისი ერთადერთი ვაჟი საზღვარგარეთ ცხოვრობდა. დროდადრო ეხმიანებოდა მამას და ყოველთვიურად მატერიალურადაც ეხმარებოდა.

ბოლო რამდენიმე წელი იყო, რაც ექიმობას თავი დაანება. პაციენტები თავს დასტრიალებდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შესაშური ჯანმრთელობა ჰქონდა, ასაკმა მაინც თავისი პრობლემები მოიტანა. რამდენიმე თვეა, ტარიელს სიკვდილის შიში დასჩემდა. ხანდახან ცახცახი აიტანდა და შველას ითხოვდა. უკვე სასწრაფოს ყველა ბრიგადა იცნობდა მას. მოვიდოდნენ მორიგეები, როგორც წესი, წნევა-პულსს გაუზომავდნენ, კარდიოგრამას გადაუღებდნენ, ბოლოს დამამშვიდებელ აბებს გადააყლაპებდნენ და ემშვიდობებოდნენ შემდეგ გამოძახებამდე. იმდენჯერ ატეხა ტარიელმა ცრუ განგაში, არიქა, ვკვდებიო, რომ უკვე სასწრაფომაც მიატოვა. ოჯახს ურჩიეს, ვინმე ცნობილი ფსიქიატრი გამოიძახეთ ან ფსიქოლოგი, ის მიხედავსო. დიდ უხერხულობაში ვარდებოდა ჩემი მეგობარი ქეთი. აღარ იცოდა, რა ექნა. ქალაქის ყველა ფსიქიატრმაც უკვე მოინახულა ტარიელი. ზედმეტ სიტყვას ვინ შებედავდა, მოხუცი ხომ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ეს ახალგაზრდა ექიმები სულ მისი მოსწავლეები იყვნენ.

შეწუხებულმა ქეთის დახმარება შევთავაზე.

– დამირეკე და მოვალ ტარიელთან. ეგებ, ექიმის მოვალეობა მე შევასრულო. შიგადაშიგ დამშვიდდება. ისიც კარგად იქნება და შენც. ჩვენი პაროლი იყოს „სასწრაფოა?" – მეტყვი და მივხვდები, რომ გჭირდები და თქვენკენ გამოვეშურები.

ქეთიმ საგულდაგულოდ მომიმზადა „აიბოლიტის" ხალათი და სხვა აღჭურვილობა – ფონენდოსკოპი და წნევის აპარატი. სამედიცინო ჩაქუჩი ხომ ისედაც ჰქონდა ტარიელს მრავალწლიანი ექიმობიდან; ასევე, წითელი ჯვრის ნიშნით და შიგნით უამრავი აბით თუ ნემსით სავსე წამლების ჩანთა.

– სასწრაფოა? – არ დააყოვნა ზარმა მეორე დღესვე. რა თქმა უნდა, ქეთი რეკავდა.

– სასწრაფოა, აბა რა! – ვუპასუხე და არც დაველოდებივარ, ისე სწრაფად გავიქეცი. ერთი კორპუსი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე სულ ფეხით გავირბინე და აი, თითქმის მივედი. მეათე სართულზე ზარი დავრეკე. გაღიმებულმა ქეთიმ კარი გამიღო და ტარიელის გასაგონად ხმამაღლა მითხრა:

– მობრძანდით, ქალბატონო, ბატონი ტარიელი გელოდებათ. ოთახი აქვეა.

გრძელი დერეფნის ბოლოს ტარიელის საძინებელი დავინახე. თვალშისაცემი იყო ყვავილების სიმრავლე ოთახში. ყველაფერი ყვაოდა და საოცარ სურნელს აფრქვევდა. იქაურობა მოვათვალიერე. მიუხედავად ქეთის დაჟინებული თხოვნისა, პირველად ვიყავი მისი ნათესავის სახლში.

ჩვენს ცელქობაზე მეღიმებოდა და ვცდილობდი, სახიდან ცელქი ატინათები მომეშორებინა.

ბატონი ტარიელი გრძელ ტახტზე იწვა. თვალი მოეჭუტა და ხვნეშოდა. საწოლზე ჩამოვჯექი. წნევა გავუზომე, პულსი დავუთვალე, ყელშიც კი ჩავხედე, თვალის გუგები დავუთვალიერე. ბოლოს ვთხოვე, საწოლზე წამომჯდარიყო და თავისი სამუშაო ჩაქუჩი მუხლისთავებზე მივუკაკუნე. ამ ყველაფერს ისე ვაკეთებდი, როგორც გამოცდილ ექიმს შეეფერება. მოხუცი ცნობისმოყვარეობით შემათვალიერებდა ხოლმე და გაქუცულ ულვაშებში კმაყოფილი იღიმოდა.

ვიზიტის ბოლოს სრულიად უვნებელი, დამამშვიდებელი აბი გადავაყლაპე და იმედიანად დავუბარე:

– ბატონო ტარიელ, სრულიად ჯანმრთელი ბრძანდებით. ჩემი ვარაუდით, დიდხანს იცოცხლებთ. მხოლოდ ერთს გთხოვთ, არაფერზე არ ინერვიულოთ. მშვიდად იძინეთ!

„გამოძახებები" სულ უფრო და უფრო გახშირდა. ტარიელი თანდათანობით უკეთესად, მხნედ მხვდებოდა. სახე ვარდისფრად შეფაკლოდა და უფრო მოწესრიგებულადაც გამოიყურებოდა. მოხუცი ახლა უკვე სამუშაო მაგიდასთან მიმჯდარიყო. შარვალ-კოსტიუმიც ჩაეცვა, პენსნე მაგიდა-

ზე დაედო და თავი წიგნებში ჩაერგო. ვერავინ იტყოდა, თუ ასეთი ასაკოვანი იყო. თანდათან გამიშინაურდა კიდეც, თუმცა ჩვეულ ზღვარს არასოდეს გადასულა. მორიდებულად სახელითაც კი მომმართავდა.

– სასწრაფოა? – დამირეკა იმ დილით ქეთიმ. კვირა დღე იყო და საწოლიდან ადგომის თავიც არ მქონდა. მისაღები გამოცდებისთვის ვამზადებდი აბიტურიენტებს მათემატიკაში. მძიმე პერიოდი მქონდა. დღე და ღამეს ვასწორებდი, ძალიან გადაღლილი ვიყავი. არ ვიცი, რა დამემართა, დაუფიქრებლად, უცებ მივახალე ჩემს მეგობარს:

– არა, ქალბატონო, სახანძროა!

ორი დღის შემდეგაც იგივე გავუმეორე, თან სიცილისგან ვიგუდებოდი. რატომღაც ონავრობის ხასიათზე ვიყავი. ვატყობდი, ჩემი ოხუნჯობით ჩემს ახლობელ ადამიანს ძალიან ვაწყენინე. კარგა ხანი იყო გასული და არც კი შემხმიანებია. ვიტანჯებოდი, ნეტავ, როგორ უნდა გამომესყიდა დანაშაული, ჰოდა, მეც დავურეკე:

– ქეთი, მაპატიე, გეხვეწები, ხომ კარგად ხართ? ბატონი ტარიელი ხომ კარგადაა?

– არა, კარგად არ არის, რეანიმაციაშია, – მიპასუხა ქეთიმ მკაცრი ხმით.

რამდენიმე წუთში ტაქსიში ჩავჯექი და რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებასთან მივედი. შიგნით არავის უშვებდნენ.

– მე მისი ექიმი ვარ, – ვთქვი და ცრემლი ვერ შევიკავე, – ჩემი ნახვა ესიამოვნება. ვიცი, მას რა სტკივა და რა უხარია. მთელი წლის განმავლობაში ვიარე ბატონ ტარიელთან და ახლოს გავიცანი, – მუდარის ხმით ვუთხარი მორიგე ექიმს.

მას არაფერი უთქვამს, ისე შემიძლვა მოხუცთან.

ტარიელი თვალდახუჭული იწვა. სახეზე ფერი არ ედო. გადასხმებს უკეთებდნენ. კარდიოაპარატურა ჩართული ჰქონდა და მის პულსაციას გადმოსცემდა ხმამაღლა. ეკრანზე წითელი ხაზი იკლაკნებოდა, ადიოდა-ჩადიოდა, ადიოდა-ჩადიოდა...

მისკენ დავიხარე და ხმადაბლა ყურში ვუჩურჩულე:

– ბატონო ტარიელ, როგორ ხართ? უჩემობა ხომ არ დაგეტყოთ?

იმ წამსვე თვალები გაახილა. შემომაცქერდა, თითქოს ვერც დაიჯერა, რომ მე ვიყავი. საოცრად თბილი იყო მისი მზერა. რაღაცას მელაპარაკებოდნენ მისი თვალები – აუხსნელს, საინტერესოს.

– მაპატიეთ, ბატონო ტარიელ!

ჩემი ხელი აიღო და თავის ბებერ, დანაოჭებულ ხელებს გადაუსვა. ცივი ხელისგულები ჰქონდა, მაგრამ მაინც დიდი სითბო გადმომედო.

– არაფერია, ჩემო გოგო. შენგან მართლა კარგი ექიმი დადგებოდა. ჩემი ჩაქუჩი ძალიან გიხდებოდა. ამ ჩაქუჩით ლამის სამოცდაათი წელი ვიმუშავე. ერთმანეთს შევაბერდით. როგორ მონდომებით იქნევდი, არ მინდოდა, ხელი შემეშალა, – თქვა და ჩაიხითხითა.

– თქვენ იცოდით, რომ გატყუებდით?

სახე უცებ შეეცვალა, ახლა უკვე პირქუში გაუხდა. თვალებიდან ცრემლი გადმოუგორდა, ნაოჭების ღრმა ღარებში ჩაეღვარა, იდინა და ყელთან გაუჩინარდა. მიმძიმდა ყურება. მოხუცი ტიროდა და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა. ბოლოს ძლივს ამოილუღლუღა:

– ძალიან შეგაწუხეთ. ცხოვრებაში სულ ორჯერ ვიტირე: პირველად, როცა დედა გარდამეცვალა, მეორედ – ახლა. რა უცნაური შეგრძნება მაქვს. ნეტავ, რატომ ვტირი? ალბათ, ფიქრობთ, რომ ერთი სულელი მოხუცი ვარ და რას ვლაპარაკობ თვითონაც არ ვიცი. მომიტევეთ, გეთაყვა. ლოგიკურია, რომ დაგღალეთ და თქვენც მიმატოვეთ. დროა, მოვკვდე! სიცოცხლის ხალისი დავკარგე. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ამ ასაკში შევძლებდი ვინმეს შეყვარებას. ერთი რამ იცოდეთ, რომ თქვენი დამსახურებით ბედნიერი წავალ ამ ქვეყნიდან. მთელი ცხოვრება ველოდი სიყვარულს და ის სიკვდილის წინ მეწვია. დარჩენილი წუთები იმაზე ვიფიქრებ, როგორ ვათენებდი და ვაღამებდი ჩემი „სასწრაფოს ექიმის" მოლოდინში, რაოდენ დიდი ბედნიერება იყო თქვენი პაციენტობა და კიდევ, ჩემთან სახლში ხომ მიხვალთ, ჩემი ბალიშის ქვეშ ბარათებს იპოვით, რომლებიც თქვენ გეკუთვნით. როცა წაიკითხავთ, ყველაფერს მიხვდებით.

წაუკითხავადაც ყველაფერს მივხვდი. ოთახიდან დაბნეული გამოვედი.

ექიმმა მითხრა, რომ ტარიელს დაუძლურება სჭირს, მას რამდენიმე დღეა არაფერი უჭამიაო. ეს „რამდენიმე დღე" სწორედ ის დრო იყო, რაც მე მასთან არ დავდიოდი.

ჩემი ნახევარი საუკუნის მეგობარი ქეთი კუთხეში პატარა გოგოსავით მიმჯდარიყო. ამხელა ქალი ჩუმად სლუკუნებდა. რეანიმაციიდან გამოსულს შეშფოთებული შემომეგება.

– გადარჩება? – ისე მკითხა, როგორც ექიმს ეკითხებიან, როცა ავადმყოფის პალატიდან გამოდის. მერე რატომღაც ბეჭებზე ხელები შემომხვია. კარგა ხანს ვიდექით ასე ჩახუტებულები. თავი უარყოფის ნიშნად გავუქნიე და მდუმარედ კიბეს ჩავუყევი. სულში საშინელი ნაღველი ჩამ-

დგომოდა, თითქოს გულს მიგლეჯდა. საკუთარ თავს ვუჯავრდებოდი. რა მოხდებოდა, რომ კი-დევ ერთი ტყუილი მეთქვა:

_ ბატონო ტარიელ, თქვენ უნდა იცოცხლოთ, დიდხანს, დიდხანს, რადგან ძალიან მჭირდებით, რადგან მეც, მეც ძალიან მიყვარხართ.

## ბარათები

1. სასწრაფოს ექიმი მოვიდაო, მითხრა ქეთიმ და გამოიქცა თქვენთან შესახვედრად. ოთახში შემოხვედით გაღიმებული. სკამზე კი არა, საწოლზე ჩამოჯექით და ამით გამაკვირვეთ. როგორც ახლობელმა, თვალებში ჩამხედეთ. თავიდან შევკრთი, მეგონა, დასცინოდით ჩემს სიბერეს. მერე მივხვდი, ჩემი თვალების ფსკერზე დამალულ სიკვდილს აფრთხობდით.

უხერხული იქნებოდა, თქვენი კეთილგანწყობა უპასუხოდ დამეტოვებინა, ამიტომ მეც გაგი-ღიმეთ.

ასე გაგიცანით.

2. ლაღად გადმოაბიჯეთ ზღურბლს და წარმომიდექით:

– თქვენი სასწრაფოს ექიმი ვარ.

ჩამოჯექით საწოლზე, ცდილობდით, წნევა გაგეზომათ. მერე ჩემი სამუშაო ჩაქუჩი უხერხუ-ლად ატრიალეთ. მივხვდი, პირველად გეჭირათ ხელში. უნდა მეთქვა, თავის ადგილას დადეთ-მეთქი, მაგრამ გავჩუმდი. სიამოვნების გაჭიანურება მინდოდა, როგორ წვალობდით. სასაცილო იყავით. თქვენი გულისხმიერება მომეწონა.

როცა საექიმო პროცედურები დაამთავრეთ, ამოისუნთქეთ. ვიძაბები, როცა არაპროფესიო-ნალს ვხედავ, ამიტომ მეც მომეშვა გულზე.

როგორ სიზმრებს ხედავთო, მკითხეთ. ასეთ შეკითხვებს მეც ვუსვამდი ჩემს პაციენტებს. ფსიქიკური აშლილობის გამო, ისინი ხშირად ყვიროდნენ და ჩხუბობდნენ სიზმრებში.

არსებობს ადამიანის გონებაში აღბეჭდილი ეპიზოდები, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ემოციებზე. ეს განწყობები ხშირად სიზმრებში გრძელდება. სიზმრების გჯერათ თუ არაო, როცა მკითხეთ, გიპასუხეთ და თქვენ ეს პასუხი მოგეწონათ. ასე თქვით, გონიერ ადამიანებთან ურთი-ერთობა როგორ მხიბლავსო. არადა, ჩემი პასუხი მარტივი იყო:

– რა უცნაურია, როცა ადამიანებს შავი კატის ეშინიათ, რომელიც გზაზე გადაურბენს. ეშინი-ათ ცუდი სიზმრების და ღმერთისაც არ ერიდებათ. მე რომ ურწმუნო ვიყო, ან ექიმი არ ვიყო, ალბათ, მეც შემეშინდებოდა უამრავი სისულელის.

3. – ბოლოს როდის იყავით კარგ გუნებაზე? – მკითხეთ და ისე დამაკვირდით, გეგონება, ჩემს სახეზე რამის ამოკითხვა გსურდათ. თქვენ ყველაფერს ხვდებით, იმასაც, რომ სიცოცხლის ბოლოს მარტოობამ ხელი დამრია; იმასაც, რომ სწორედ მარტოობა მიმაქანებს დასასრულისკენ. როგორი შიშნაჭამი თვალებით მიცქერით, როცა უფერულს მხედავთ. უცნობი ადამიანის ავადო-ბას რომ განიცდით, გამოდის, რომ კარგი ადამიანი ბრძანდებით. ასე მგონია, გინდათ, რომ გზა გამინათოთ. წინ მიდიხართ და მექაჩებით, რომ ბნელ გვირაბში არ ჩავრჩე.

რამდენი ხანია, არავის უკითხავს, თუ რა მომწონს და რა მიხარია. მქრქალ ჰორიზონტს ჩემი ვიწრო ჭუჭრუტანიდან ვუცქერი და თითქმის ვერაფერს ვხედავ, გარდა აღსასრულის მოახლოე-ბის კონტურებისა.

არც კი ვიცი, ვინ ხართ და რატომ დადიხართ ჩემთან. ვატყობ, ჩემს აზრებს აგროვებთ. ნე-ტავ, რაში გჭირდებათ? იქნებ, ფიქრობთ, რომ გონებაარეული ბებრუხანა ვარ? რამდენ შეკით-ხვას დაგისვამდით, მაგრამ მეშინია, რომ არ დაფრთხეთ. საერთოდაც ვხვდები, რომ ექიმიც კი არ ხართ და ეტყობა, რომ ქეთის კეთილი ოინებია თქვენი ვიზიტები. არადა, მე ხომ სხეული არ მტკივა, მე სული მტკივა და სწორედ ჩემ განსაკურნებლად მოდიხართ. აბა, სხვა ვინ მკითხავს, როგორ სიზმრებს ვხედავ ან რა ხასიათზე ვარ; რა მიხარია და მწყინს; ვჭამე თუ არა; რომელი პოეტი მომწონს ან რომელი მწერალი; ვინ მომიყვება საინტერესო ჩანახატს ან ვინ მაჩვენებს უახლესი მხატვრობის შედევრებს, ასე კოხტად, გულდასმით ამოჭრილს, ამობეჭდილს, საგულდა-გულოდ ჩემთვის.

თქვენი კეთილისმოქმედი ტყუილი ჩემზე კარგ ზეგავლენას ახდენს. ახლა ეს არის მთავარი. მოდიხართ და თრგუნავთ ჩემში დაბუდებულ შიშს.

არა, თქვენ უფალის გამოგზავნილი ნამდვილი საოცრება ხართ!

4. სულ დათვლილი მაქვს თქვენი ვიზიტები. დღეს მეექვსედ მოხვედით. შემოაბიჯეთ ფეხი ოთახში და აღტაცებით ხელი გამომიწოდეთ. თითქოს სავსე გული მოგქონდათ და გადმომეცით. მომეჩვენა, რომ მწვანედ შეიფოთლა ჩემი ხმელი ტოტები.

იცით, რომ შეუძლებელი შესძელით? თქვენ ჩემს სულში ლამპარი დაანთეთ. ის ბჟუტავს მხოლოდ თქვენით და თქვენთვის.

ფანჯრიდან მოსჩანან მოჟღურტულე ბელურები. მათ ბუდე აქვთ აქვე ახლოს. საწოლიდანაც კი ვხედავ. რაოდენ სიმსუბუქეს ვგრძნობ, ასე მგონია, ძალა შემწევს, მეც ვიფრინო მათსავით. ავდგე და ვიფრინო. ასე მგონია, მეც ერთ-ერთი იმათგანი გავხდი. თურმე ას წელს მიტანებული მოხუციც შეიძლება, ბელურას შეგრძნებებით ცხოვრობდეს. ბელურას ხანმოკლე სიცოცხლის ხიბლი გაითავისოს, მისი მოცინარე თვალებით შეაფასოს ცხოვრების სილამაზე. ისე გაუჩინარდეს ლაჟვარდისფერ ცაში, რომ ვერც კი იპოვო.

ფერი შესძინეთ ჩემს უფერულობას. ერთი დაჩრდილული ადგილიდან მზეზე გადავინაცვლე. მორევიდან ამოვედი და ვეფიცხები სიმშრალეს და სინათლეს. ჩაკეტილი წრეც ირღვევა.

5. შეუძლებელია, ისევ საწოლში დაგხვდეთ. ჩემი პიჯაკი მოვისინჯე, ძალიან განიერი აღმოჩნდა. არა, ეს მე დავჩაჩანაკდი. როგორ დალეულა ჩემი სულის სამყოფელი. ძლივს დავათრევდი სხეულს, გამზადებულს მოუსავლეთისთვის. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ასე გულგაწვრილებული ყოფნა არ მინდა.

ჰალსტუხიც გავიკეთე. მართალია, სარკეში ჩახედვას გავექეცი, მაგრამ ერთ რამეს მივხვდი: რეალობას თუ ვერ ცვლი, იმდენი გამბედაობა მაინც უნდა გქონდეს, რომ ღირსეულად შეხვდე და შეეგუო. იმ შემთხვევაში, თუ ოდნავ მაინც გაქვს შანსი, რაიმე უკეთესობისკენ შეცვალო და წინააღმდეგობების გადალახვის გეშინია, გამოდის, რომ სუსტი და მხდალი ხარ.

ასე თვალშისაცემად ჩაცმული სასაცილო ხომ არ გამოვჩნდები? ღიმმორეული სახით რომ შემომხედოთ ან დამცინოთ, ამას ვერ გადავიტან.

6. ბევრი სიტყვის მნიშვნელობას ახლა მივხვდი, მაგალითად, სიტყვა „გაცისკროვნებული". სწორედ ასე მითხარით, როცა ოთახში შემოაბიჯეთ და დამინახეთ შარვალ-კოსტიუმში გამოწყობილი, სამუშაო მაგიდასთან მჯდარი; სახე მართლა გამებადრა. თქვენ ძალიან გაგიხარდათ, სიხარულით აენთო თქვენი თვალები, როცა თქვენ წინაშე არა დავრდომილი მოხუცი, არამედ ჯენტლმენი იდგა. ეს სიტყვა თქვენ მიწოდეთ, როცა მომმართეთ. მახრჩობს სიტყვათა ნიაღვარი, რომ გიპასუხოთ, გითხრათ, რომ არაჩვეულებრივი ხართ და მეც ამიტომ ვარ ასე გაცისკროვნებული. რაოდენ მამხელს ჩემი მზერა, მაგრამ ვერც კი ამჩნევთ ამას.

დღეს უფრო ძლიერი ვარ, ვიდრე გუშინ. ეს თქვენი დამსახურებაა. ჩემი წვეტიანი ხელჯოხი იქვე კუთხეშია მიყუდებული. აუცილებლად გადავაგდებ, რომ თვალში არ მეჩხირებოდეს და ჩემს უძლურებას არ მახსენებდეს. მკერდზე უკვე აღარ მაქვს ხელები გადაჯვარედინებული. სუსტი იმედი დაიბადა ჩემში და ვიბრძვი, რომ იცოცხლოს.

7. ყვავილების სურნელი მხიბლავს, – თქვით და ძალიან მეამა, რომ ჩემი ოთახის ყვავილებით მოიხიბლეთ. მეც აგყევით და წლების

გაუზიარებელი ემოცია, სიხარული გაგინაწილეთ. დიდხანს დარჩით. დროც კი დავინიშნე – მთელი ორი საათი იყავით ჩემთან. რა ცოტა ყოფილა ორი საათი.

ბუნების ყვავილობა გადამდებია. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ყველა, ვინც ამ სილამაზეს აღიქვამს, თავადაც იწყებს ყვავილობას.

არც კი ვიცი, როგორ გავბედო ამაზე ფიქრი. ჩემი სიყვარული წყალი იქნებოდა, ასე რომ სჭირდებოდა ყვავილებს. ღმერთო, ეს რა ფიქრები მომდის თავში.

ხშირად, რასაც ფიქრობ, ხმამაღლა რომ თქვა, საკუთარი თავის შეგრცხვებოდა.

8. ქეთი მებუზღუნება, მეუბნება, რომ ერიდება სასწრაფოს გამოძახება. როგორ გავუმხილო, რომ თქვენ იმაზე მეტი ხართ, ვიდრე უბრალოდ სასწრაფოს ექიმი. არ ვიცი, როგორ ახერხებთ ჩემ გაოცებას. გუშინწინ მკითხეთ, ექიმი მხოლოდ იმედია ადამიანისთვის, თუ უფრო მეტიო.

ნეტავ, რა იგულისხმეთ? ვშიშობ, რომ მიუხვდით ჩემს ნაფიქრალს. რას არ დავთმობდი, რომ გამეგო, რატომ მკითხეთ ასეთი დაჟინებით.

სული ამიფორიაქდა. მეწვოდა შიგნიდან ყველა გრაგნილი, ჩემს გულზე დახვეული. რა უნდა მეპასუხა თქვენთვის?

ის ხომ არა, რომ თქვენ ჩემი სევდა გაფანტეთ.

ის ხომ არა, რომ კოპლებიან ჩითის კაბას ჰგავხართ – სუფთას, ლამაზს, პატრონის მოლოდინით დაღლილს, ქარი გაფენილს რომ არხევს მდელოზე.

ის ხომ არა, რომ მახელებს თქვენი მოლოდინი და რომ იცოდეთ, როგორ მეძაბება სხეული, როცა მესმის თქვენი ქუსლების ხმა, როგორ ღვივის ჩემს სულში სიცოცხლის ნაპერწკალი და თითქოს ვიბადები ხელახლა. ხელახლა ვისუნთქავ ჰაერს, ხელახლა ვხედავ სინათლეს, ხელახლა ვიწყებ ცხოვრებასა და სამყაროს აღქმას.

რა შეგძლებიათ?! ცოტა ხნის წინ, როცა ლოგინში ჩავარდნილი

სიკვდილს ველოდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ გრძნობებზე დავიწყებდი ფიქრს და საწოლისკენ გახედვაც კი არ მომინდებოდა.

9. დღეს ქეთის დაბადების დღე იყო. მეგობრები ეწვივნენ. თქვენი ხმა შემომესმა ოთახიდან. ჩემთან არ შემოხვედით. თქვენ ხომ „სასწრაფოს ექიმი" ხართ და მე არ გამომიძახებიხართ.

მოუთმენლობამ ხელი მტაცა და კარადისკენ გამაქანა. შარვალ-კოსტიუმში გამოვეწყე. ფეხაკრეფით მივუახლოვდი ქეთის ოთახის კარს. ჩემდა სამარცხვინოდ, მივაყურადე. ასეთი რამ არასოდეს მიკადრებია. თქვენ ხმამაღლა იცინოდით. რა ლაღი იყო თქვენი კისკისი! ან იქნებ, მომეჩვენა და თქვენ საერთოდაც არ იყავით? მინდოდა დაკაკუნება. შემეშინდა, რამე არ გავაფუჭო, არ დავაფრთხო ჩემი „ექიმი" და არ დავკარგო-მეთქი.

უკან გამოვბრუნდი. გულაღმა გაშოტილი ვწევარ. ცუდი ფიქრები თავს დამესხნენ. მოსვენებას არ მაძლევდნენ. ამაფორიაქეს. გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. რამდენი წელია, არ გამიგია მისი ასეთი ღელვა.

რა ვქნა?

ეს რა მემართება?

10. როგორ გიხდებოდათ შინდისფერი კაბა! ასეთ საყელოს დედაჩემი ატარებდა – ხელით მოქარგულს და თეთრს. მუხლებმიტყუპებული ზიხართ ხოლმე, როგორც სკოლის მოსწავლე. თმა უკან გადავარცხნილი უფრო გიხდებათ. რა საოცარი ფერისაა ეს თმა. ოქროსფრად როგორ ღვივის მზეზე. თქვენც ხომ სწორედ იმ ადგილზე გიყვართ ჯდომა, სადაც მზე ივანებს.

რატომ ამოიოხრეთ და რატომ მითხარით, რომ მარტოობა სულაც არ არის დამღლელი? ვინ იცის, გულს მიკეთებდით ან იქნებ, საკუთარ თავს იმშვიდებდით? ყურებამდე გაწითლდით, როცა გითხარით, რომ თქვენისთანა ქალი მარტო არ უნდა იყოს. ის მუდამ უნდა უყვარდეთ-მეთქი. ეს რა თამამი ვყოფილ17

ვარ, როგორ შემოგბედეთ, არც კი ვიცი. როგორ აგიციმციმდათ თვალები, მერე გადამალეთ წამწამების ქვეშ და უცებ, თითქოს, ბავშვი გახდით. არადა, ჩვენ ხომ გულში სულ ბავშვებად ვრჩებით. უბრალოდ, დიდობა დაგვავალა დრო-ჟამმა. ამ მოვალეობას სხვებთან ვასრულებთ, მაგრამ როცა საკუთარ თავთან მარტო ვრჩებით ისევ ბავშვობას ვუბრუნდებით.

11. თქვენ მითხარით, რომ ბევრი პაციენტი მყავდა. ისიც კი იცოდით, რომ უამრავ წერილს ვიღებდი ფსიქიატრიულიდან. სასიამოვნოდ გამაკვირვეთ. გამიხარდა, რომ ჩემი ცხოვრების არც თუ ისე უმნიშვნელო დეტალები იცოდით.

ჩემი ავადმყოფები ძალიან მგრძნობიარენი და სპეციფიკური ხალხია. სურათები ჩემი ოთახის კედლებზე მათი ნამუშევრებია. მათ თვალმოუშორებლად შემიძლია ვუცქირო და ავადმყოფობის კვალი ვეძებო. ეს ნახატები მათ განცდებზე საუბრობენ. იმ წამებს აღბეჭდავენ, როდესაც სულიერად ავადმყოფები შედევრებს ქმნიდნენ, დიახ, შედევრებს და ეს სულაც არ არის ხმამაღალი ნათქვამი.

თქვენ ძალიან გგავთ ჩემი საწოლის თავზე დაკიდებული პორტრეტი. ასეთი მსგავსება მაშინებს. ეს ხომ მრავალი წლის წინ არის დახატული. მხატვარმა-პაციენტმა მაშინ კატეგორიულად მითხრა, ეს თქვენი მეუღლეაო. მის ავადმყოფურ ფანტაზიას ანგარიში გავუწიე და დავეთანხმე. მეუღლე არ მყავდა და პაციენტის არეული ფიქრები სასაცილოდ მომეჩვენა. მაკვირვებს შემთხვევითობა.

როგორ მინდა, ერთხელაც დააკვირდეთ და თქვენი თავი ამოიცნოთ კედლიდან. ეს უტყვი ხატება არ მცილდება. მაგიდასთან ვზივარ თუ ფანჯარასთან ვდგავარ, თვალს მაყოლებს.

ამის შესახებ ხმამაღლა ვერ ვიტყვი, მიხვდებით, რატომაც.

12. დღეს ენერგიულად წამოვდექი. ლამაზი დილა გათენდა. გულის გამაწყალებელი ქარი ჩადგა და სიმშვიდე დადგა.

წიგნები გადავახარისხე. ჩემს ნაშრომებს გადავხედე. რამდენი მიწერია და კიდევ შევძლებ, ბევრი რამ მოვასწრო. ფსიქიატრია რთული დარგია. მინდა, ჩემს ნაშრომებში ადამიანური ფაქტორი ჭარბობდეს. წამალი ყოველთვის არ ყოფილა სამკურნალო საშუალება, კიდევ უფრო ძლიერი ურთიერთობებია და ის მიზეზები, რის გამოც ფსიქიკურად ავადდებიან ადამიანები.

ახლოს რომ იყოთ, მოგიყვებოდით, როგორ ვწერდი ჩემს სასწავლო სახელმძღვანელოებს ფსიქიატრიაში. როგორ განვიცდიდი, როდესაც ისინი დღის შუქს ნახულობდნენ და როცა მათ სტუდენტთა ხელში ვხედავდი.

ერთ-ერთი წიგნიდან ჩემი პაციენტის წერილი გადმოვარდა. ეტყობა, ჩავდე და წაკითხვა გადამავიწყდა. ეს წერილი ორმოცი წლის წინანდელია. რა დრო გასულა?! ახლა ვკითხულობ და ვიხსენებ, ეს ის ახალგაზრდა ქალი ხომ არ არის, დედ-მამა და და-ძმა ავარიით რომ დაეღუპა. მხოლოდ თვითონ გადარჩა, მაგრამ ვაი, ამ გადარჩენას. ათი წელი ფსიქიატრიულში იწვა, მომკითხავიც არავინ ჰყავდა.

რა სულელი ვყოფილვარ, რომ ვერ მივხვდი, თურმე როგორ ვყვარებივარ. ეს წერილი მაშინვე რომ მენახა, სხვანაირად მოვიქცეოდი. თუმცა არც კი ვიცი, რას ნიშნავს სხვანაირად მოქცევა. ნეტავ, ცოცხლი იყოს! როგორ ვიპოვო, რომ მოვიკითხო? მინდა, ყურადღება გამოვიჩინო. ორმოცი წლის წინანდელი წერილიც იმსახურებს პასუხის გაცემას. უპასუხოდ დატოვება არაჯენტლმენურია. ასე არასოდეს ვიქცევი.

ანა ჩემზე ბევრად ახალგაზრდა იყო და ალბათ, ცოცხალია და თავსაც კარგად გრძნობს. უნდა დამეხმაროთ და გადასცეთ ეს ბარათი ჩემგან.

ანა,

მაშინვე ვერ გიპასუხეთ. არ ვიცი, თქვენ ჩადეთ უჩუმრად წერილი წიგნში თუ მე. ახლა ამას მნიშვნელობა არ აქვს.

მახსოვს თქვენი წყლიანი თვალები, სასთუმალთან დამალული სურათები.

ეს წერილი ორმოცი წლის შემდეგ ვნახე. არც კი ვიცი, რას

გეტყოდით მაშინვე რომ მენახა. თუმცა დროს რა მნიშვნელობა აქვს. ნამდვილი გრძნობა არ ქრება, არ იკარგება და ვიცი, ახლაც გესიამოვნებათ ჩემი გზავნილი.

მიხარია, რომ სიყვარული კვლავაც შესძელით. ესე იგი, თქვენ გადარჩით და გამოჯანმრთელდით.

როდესაც ეს წერილი წავიკითხე, დავრწმუნდი, რომ თქვენ შესანიშნავი დედა და მეუღლე იქნებოდით.

მინდა, ბედნიერი იყოთ!

პატივისცემით, თქვენი ექიმი ტარიელ ფავლენიშვილი.

თბილისი

15 მაისი 2015 წელი

13. სარკის აღარ მეშინია. მერე რა, რომ 89 წლის ვარ. ადამიანი იმდენ წელს ცოცხლობს, რამდენი ხანიც შეუძლია, იყოს შეყვარებული.

მიყვარხარ, ვამბობ ჩურჩულით. მიყვარხარ, ვამბობ უფრო ხმამაღლა. დავდივარ ოთახში წინ და უკან, წინ და უკან.

მიყვარხარ! ცხოვრებაში პირველად ვარ ასე შეყვარებული.

ღმერთო, რა ბედნიერი ვარ თქვენი არსებობით! უცილობელი სასწაული ხართ!

14. დღეს ისევ მოხვედით. ასე არავინ იღიმის და ასე არავინ მიყურებს თვალებში. ვცდილობ, ავიტანო მათი მხურვალება, არაფერი შემეტყოს, არ შევიმჩნიო, არ მოგაშტერდეთ.

ვცდილობ, როგორმე გავიგო, რა სპეციალობა გაქვთ. ამისათვის სხვადასხვა კითხვებს გისვამთ. ვვარაუდობ, რომ ან პედაგოგი ხართ ან ფსიქოლოგი.

ალბათ, შეამჩნიეთ ახალი პერანგი, რომელიც პირველად მაცვია. გუშინ ქეთის ვაყიდინე და საგულდაგულოდ გამოვეწყე. სხვა დროს ხომ არ გითქვამთ, რომ ელეგანტურად გამოვიყურები. დღეს კი მითხარით.

წნევას მაინც მიზომავთ. ეს ხომ თქვენი ვიზიტის განუყოფელი ნაწილია. უნდა გითხრათ, რომ უკვე კარგად გამოგდით. ჩაქუჩის ხმარებაც ისწავლეთ. თვალის გუგებსაც უკეთ ათვალიერებთ. დღეს ხელითაც შემეხეთ. გულისყურით უსმენდით ჩემს გულს, მაგრამ მაინც ვერაფერი გაიგეთ. ან ეგებ, კიდეც გაიგეთ, მოურჩენელი რომ გავხდი თქვენგან და უბრალოდ, ჩემსავით თავს იკატუნებთ?

შეუცნობელმა დარდმა შემიპყრო. რატომ მიმძიმს თქვენთან განშორება ან წინასწარ რატომ ვთრთი სიამით, როცა გელოდებით? თქვენი წასვლის შემდეგაც ვერ გიცილებთ და დღის შთაბეჭდილებებს რატომ ვიახლებ თქვენზე ფიქრით? ვინ მეტყვის პასუხს ამ შეკითხვებზე. რა ვქნა, ვის გავანდო ჩემი დარდი?

15. დღესაც მოხვედით. რომ იცოდეთ, როგორ მიჭირს ქეთის დაყოლიება და რაოდენი ძალისხმევა მჭირდება, რომ გამოგიძახოთ. ძალიან მაბრაზებს. სიბრაზისგან ზღვასაც კი მოედება თეთრი ქაფი, მე კი ხმის ამოღებაც მიჭირს. მეშინია, ისე არ გავაბრაზო, რომ მიმატოვოს. ის ხომ ჩემ გამო გადმოსახლდა ჩემს ბინაში. ადგება და წავა სადმე, უფრო მშვიდად იცხოვრებს. ასე რომ მადლობელი უნდა ვიყო, რომ ყურადღებას მაქცევს.

როგორ მეშინია იმის გაფიქრებისაც კი, რომ ცხოვრების მოციმციმე შუქი უცებ ჩაქრება, როგორც კი ჩემს გრძნობას გაგიმხელთ და თქვენს მკვეთრ რეაქციას შემაგებებთ, ან საჭიროა კი ამის გამხელა?

ტყვე ვარ ამ გრძნობის, რომლის არსებობა არ ვიცოდი, არ გამომიცდია, არ მიგრძვნია, ისე განვვლე ცხოვრება. რა უცნაურია, რომ ასე მტანჯავს, მაწუხებს, მტკივა და მე მაინც ბედნიერი ვარ. რა უცნაურია, რომ კუთხეში მიმწყვდეული ბევრად თავისუფალი გავხდი.

უშიშრად გნებდებით. ვინ იცის, ამაოა ჩემი ოცნება.

რა გულუბრყვილოა ჩემი სიყვარული. ჯინივით ამოძვრა, გადმოიღვარა ჩემი გულიდან და ახლა აღარ იცის, სად დაივანოს.

ხშირად ვფიქრობ, არსებობს კი უფსკრული ჩვენ შორის? თქვენ

ხომ შედარებით ახალგაზრდა ხართ. როგორ მინდა, ამოვავსო ჩემი ფიქრებით, სითბოთი და სიყვარულით ეს დაცილება.

მეგონა, ბებერი გული მქონდა, თურმე გულს ასაკი არ ჰქონია. არ გამიმართლა! შეიძლება, არც თქვენ. ოცდაათი წელია გაწელილი ჩვენ შორის. ჩემი თეთრი თმა გაშინებთ? დროის მანქანისთვის ხომ ოცდაათი წელი, რომელიც ჩვენ შორისაა, არაფერს ნიშნავს. თუმცა ვინ იცის?! დროს თავისი სამუშაოს ყოველი წამი დათვლილი აქვს, ალბათ, საშლელს არ მიაკარებს ნაწვალებს.

რამდენ სისულელეს ვფიქრობ, რა შუაშია წლები, რა შუაშია დაცილება, როცა საქმე გრძნობებს ეხება. თავისუფალი სული დაჰქრის უკიდეგანოდ და არ იცის არანაირი დაბრკოლება, წინააღმდეგობა, ბარიერი... მას უყვარს, უყვარს და მორჩა! ეს გრძნობა ყველაფერს იტევს.

16. მახელებს მოლოდინი. თქვენი ფეხსაცმელების ქუსლების ხმა გულს მიჩქროლებს. ჩამესმის მათი კაკუნი მაშინაც კი, როცა არავინაა. ო, როგორ მიყვარს ეს ხმა, როცა მიახლოვდება, მიახლოვდება და შემდეგ შემოანათებთ.

ტაკ-ტუკ, ტაკ-ტუკ და მოდის დიდი ენერგია, რომელსაც მოაქვს სიცოცხლე პეშვით, რომ გულზე დამაფრქვიოს.

სარკესთან ვდგავარ და ჩემს თავს ვათვალიერებ. მოლუშულ შუბლს ვხსნი. ხმამაღლა ვამბობ, მე თქვენ მიყვარხართ! ეს მე ვარ, მე. მერე ვიღებ ქაღალდს, კალამს და ვწერ, ვწერ, ვწერ. უკვე მეასედ დავწერე, ეგებ, უფრო მეტადაც, რომ მიყვარხართ. აი, აქ დევს ეს ფურცლები. ნახეთ! ეს ფურცლები ყველგან მიმოვაბნიე, მთელ ოთახში. არც კი ვიცი, რას ჩავდივარ.

გონს გვიან მოვეგე. ავკრიფე და ბალიშის ქვეშ დავმალე. ქეთი რომ შემოვიდეს, რას იფიქრებს?! ეს რომ გაიგოს, რას მეტყვის?! ეგებ, თქვენთან შეხვედრაც ამიკრძალოს. მერე რა ვქნა?

17. თოვლი მოვიდა. გარეთ ქარი ქშუის. იმ დღესაც თოვდა, როცა პირველად მოხვედით ჩემთან. წნევა არც კი გამისინჯეთ. ნეტავ, რა ხდება? მე ხომ მოვკვდები უთქვენობით.

საკუთარი კედელი ავაგე ჩვენ შორის, რადგან თქვენ მიმართ რიდს ვერ მოვერიე. ასე ვფრთხილობდი, არაფერი გაგეგოთ, ნუთუ რამეს მიმიხვდით და მიმატოვებთ?

მე ხომ ბეჭდის ჩუქება მინდოდა და ვერ შემოგბედეთ. გარეთ გასვლა რომ შემეძლოს, უკეთესსაც შევიძენდი თქვენთვის. ისიც არ ვიცი, დაბადების დღე როდის გაქვთ, რომ ამ მიზეზით გაჩუქოთ. როცა გკითხეთ, არ მიპასუხეთ.

გულხარბი არ ვარ, მაგრამ დრო არ აუფერულებს, არ ანელებს გრძნობებს. რამდენი დღეა, არ მინახავხართ და კიდევ უფრო მენატრებით.

ფოთოლშემჭკნარი ხეც ელოდება გაზაფხულს.

მინავლებული კოცონიც აფრქვევს სითბოს.

თვალი გამიუფერულდა. ისეთი სიმკვეთრით ვერ აღვიქვამ გარემოს და მოვლენებს, რადგან ჩემი თვალსხივოსანი ვერ მინათებს გზას.

მიტოვებულ სახლს დავემსგავსე, კარს რომ მიხურავ და ურდულს გაუყრი...

თურმე ასაკსრულობა არ იძლევა გამოცდილებას, როცა საქმე გრძნობებს ეხება. არ ვიცი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე?! სიკვდილის შიში ვძლიე, მაგრამ თქვენი დაკარგვის შიში მჯაბნის. ეს უარესი ყოფილა. არ მინდა, ჩავუღრმავდე ამ თემას. ვეჭიდები ფიქრებს, რომელიც ჩვენს შეხვედრებს მაგონებს.

18. დღეს ჩემი დაბადების დღე იყო. ქეთის ვთხოვე, რომ გამოეძახებინეთ. რამდენიმე ხნის შემდეგ შემოვიდა ოთახში და გამომიცხადა, რომ თქვენ შვებულებაში ხართ.

სიცივემ ამიტანა. ფეხარეული მივედი საწოლამდე. უნიადაგობა ვიგრძენი. იცით, ეს რა გრძნობაა? როცა ფესვებს საკვები არ აქვს და ძალიან სწყურია. სწორედ ასე დამემართა.

ნუგეშს ვერ მომგვრიდა ვერც ის, რომ ცოტა ხანში სხვა ექიმები მოვიდნენ. ნემსი გამიკეთეს და დამაძინეს.

აი, ასეთი დაბადების დღე მქონდა.

19. ისევ გელოდებით და არ მოდიხართ. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს, ხევში ჩანთქმული ქვა ვარ. იმ წამიდან, როგორც კი მოვწყდი კლდის ქიმს, დამთავრდა განუყრელობის გრძნობა და უთქვენობის უფსკრულში ვეშვები. რა ღრმაა ეს უფსკრული! კედლებს ვეხეთქები. მტკივა ყველა უჯრედი, ნერვი, სისხლი.

იცით, როგორია სისხლის ტკივილი? როცა გეყინება ძარღვში და არ იძვრის, ქვავდება.

მოდით ჩემთან! არ მიმატოვოთ! მე ხომ მოვკვდები უთქვენოდ! ასე მზეჩამქრალი დიდხანს ვერ გავძლებ.

ნუ შემიბრალებთ! მძულს ეს გრძნობა. კერიაზე ისევ ღვივის ნაღვერდალი და გთხოვთ, ნუ ჩააქრობთ მას!

უბრალოდ, მიწამლეთ თქვენი მოსვლით და ჩემი დაგმანული სული გაანიავეთ.

როგორც ნატრობენ ქუფრი ღრუბლის დანახვისას მზიან ამინდს, ასე გინატრეთ. ნუთუ ზღაპარი დასრულდა და გამოვფხიზლდი?! მე ხომ თქვენ მიყვარხართ!

20.

ქეთიმ თქვა, რომ არ მოხვალთ, რადგან აღარ მუშაობთ სასწრაფოს ექიმად.

თუმცა უწინდებურად მშვენიერია, ალბათ, დღე. იასამნის სურნელი შემოვიდა ფანჯრიდან. ვგრძნობ, როგორ ირხევა თოვლივით ყვავილგამოსული ვაშლის ხის რტოები...

ახალგამომცხვარი პურის სურნელი მცემს, სოფლის ფურნეებს რომ ჩაუვლი და გეცემა... მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რომ სიცოცხლე გავაგრძელო...

ვერ ვდგები, თითქოს გავშეშდი. მოწყვეტილი და ძალაგამოლეული ვწევარ. სახე წითლად ამიფორაჯდა. მიმქრალი გახდა ისევ ჩემი თვალები.

გულს მიღრღნის უმწეობა, საკუთარი თავის აუტანლობა.

ჩვევა დაირღვა. ტყუილად ვცდილობ, აღვადგინო უწინდელობა. კედელზე კვლავ შევცქერი ნახატს და თქვენი გამოსახულებაც მამშვიდებს, თუმცა შთაბეჭდილებები ნელ-ნელა ფერმკრთალდება. თქვენ დანახვას არაფერი ცვლის.

ჩემს გრძნობებს წარმოსახვაც აცოცხლებს. ჩემი ლანდი დაფრინავს ოთახში და კუთხე-კუთხე აზნევს წარწერებს სიყვარულზე. უამრავ შუქსავსე და უხილავ გზებზე დაქრის და ყველგან ხელს აფათურებს. წარსულს, აწმყოს ეხება და წეწავს ჩემი სულის ანარეკლს. როგორც იქნა, გააღწია ოთახიდან და მზერის მიღმა გადაინაცვლა. ვგრძნობ, თითქოს გემის ქიმზე დგას. ჭახჭახა მზე დანათის თავზე. შედის აზვირთებულ ოკეანეში. უკან რჩება ჩემი დაკონკილი ცხოვრების ხერგები. უკან რჩება ხმელეთი.

დგას და ნელ-ნელა თვალს ეფარება, დროდადრო იკარგება თვალთახედვიდან, თითქოს, იძირება, ინთქმება სივრცეში...

დგას და ხელს უქნევს გამცილებლებს...

გეძებთ, მაგრამ ისევ არ სჩანხართ. მეგონა, მოხვიდოდით, რომ ბეჭედი გადმომეცა. მინდა, რომ დაიტოვოთ სამახსოვროდ. დახედავთ და გაიხსენებთ მოხუცს, რომელსაც უყვარდით.

უცნაური გრძნობაა დამშვიდობება...

* * *

ჩავიკითხე დღიური. ცრემლი მოვიწმინდე, ჩანაწერები ჩანთაში ჩავიდე და სასწრაფოდ საავადმყოფოსკენ გავეშურე.

მოხუცი სუნთქავდა. როცა ჩემი ქუსლების კაკუნის ხმა გაიგონა, თვალები გაახილა. ვატყობდი, რომ გაუხარდა ჩემი ნახვა. ხელი მაღლა ავწიე და თითზე მისი ნაჩუქარი ბეჭედი ვაჩვენე, რომელიც წამოსვლისას გავიკეთე იმ თითზე, რომელზეც გათხოვილი ან დანიშნული ქალები იკეთებენ... ხელი ხელზე დავადე, ვცდილობდი, გათოშილი გამეთბო.

შემომხედა და გამიღიმა. შემდეგ თვალებიდან ცრემლები ღაპა-ღუპით წამოსცვივდა. მერე თვალები მაღლა აღაპყრო, გაშტერებით უცქეროდა რაღაცას. ცოტა ხნის შემდეგ შემომხედა, თითქოს, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა. მეც ვაპირებდი, მაგრამ თვალები მილულა.

ვინ იცის, საით, იქნებ, ზღვაში ან ცაში გაემგზავრა.

2016

**რეზო ემელიანე ადამია**



# მ ზ ე
# ჰაცარა წიგნი დიდ მოვლენებზე

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის V, VI ნომრებში, ჟურნალ „ათინათის“ №22-ში)

„სულიერი სიმშვიდე საუკეთესო
გამოსავალია უბედურების დროს“
(მაკციუსი).

ჩვენს ირგვლივ სახეზეა, სასიკვდილოდ არ ებრძვიან ერთმანეთს მხეცები, ცხოველები, ქვეწარმავლები და თევზები, როგორც გიამბეთ, შიმშილია მათი ბოროტების თავწყარო. ურთიერთსისხლმდენ ადამიანებს ფილოსოფოსებმა, მეცნიერებმა და ხელოვანებმა პირდაპირ – მხეცი შეარქვეს. არა, ბატონებო! ეს მსუბუქი ფორმაა მათ შავ ხასიათთან მოსარგებად. ადამიანი თავის ჯიშთან ურთიერთობით უფრო პოტენციური მკვლელია – განუზომლად ნაჩქარევი.

ამ საშინელმა გაჩენით, ამოუძირკვავმა სენმა, ეკლესიებში, სინაგოგებში, მეჩეთებში და ბუდისტურ სალოცავებში შეაღწია და ნებისმიერი აღმსარებლობის სივრცეშიც. ჭირად განვრცობა ღიად ნაწილობრივ ყველგან მიმდინარეობს, ფარული უბედურება კი ბევრად მეტია... აქედან გამომდინარე, მომავლის რელიგიური სარწმუნოებები მარადიულ განახლებებს და ღვთიურ აზრთა სიახლეებს მოითხოვს.

წყვდიადური? არა! ამ შემთხვევაში სულ სხვა შესატყვისი ფორმაა მოსაძებნი: როდესაც ნებისმიერი ადამიანი, სისხლის დენას რომ ნახავს, უმალ შეიცვლება მისი ბინდმოცული განწყობილება, შემდგომ თვითნებურად გადაინაცვლებს მილიონობით წლის წინანდელ დროში და ამ უხილაობიდან გამჟღავნებული საშიში მხეცის ინსტინქტი ილვიძებს. ხოლო ბუნებით თუ მიდრეკილია სადიზმისაკენ, მაშინ იმ წამიერ მონაკვეთში თავის ინდივიდს აღარ ეკუთვნის, მაგრამ მასში დაბადებიდან გარკვეული ზომით ჩასახული ღვთიური სიკეთის ძალა ჯაბნის ამ საშინელების გამხელას.

როგორც ვთქვით, პიროვნება სისხლს როგორც იხილავს, ტანთ აჟრჟოლებს ამაზრზენდ-უჩვეულოდ. რატომ? ყველას გვიკვირს, რათა უბოროტესმა მხეცმა არ გაიღვიძოს ჩვენში და სხეულის დამცველი უცნაური შემტევი ფსიქოლოგია ბრძოლას უცხადებს ამ დროშივე თავწამოყოფილ ველურ ფორმათა მოსვლას. გველი ხშირად გაურბის ცხოველს თუ ადამიანს, რათა არ ჩამოაგდოს სიკვდილი. მათგან უფრო ბოროტად გაჩენილი კი ყოველთვის მზადაა ავის ქმედებისთვის, მაგრამ, კიდევ კარგი, მხეცებივით ან ადამიანივით მსხვერპლზე საგანგებოდ არ ნადირობენ.

ათეისტებისა და მცირედ მორწმუნეთა გასაგონად მინდა ვთქვა, სამყაროს ღმერთს, ადამიანის გაჩენასთან ერთად სარწმუნოება რომ არ ჩამოეგზავნა, მართლაც მხეცები და მკვლელები როგორი ქარბორბალასნაირი მოქმედებით იქნებოდნენ ერთმანეთის მიმართ (გამონაკლისის გარდა); მასიურ შემთხვევაში ძალით მოთრეული სიკვდილი იქნებოდა უწყვეტი სისხლის დენით, თუმცა ყოველივე არ გვაკლია ჩვენგან წამებულ პლანეტაზე...

„სამყარო სიკეთისა და ბოროტების საზრძანებელია“...

უბედური შემთხვევისგან მწარედ დაღონებულნი, სოფელში თუ ქალაქად იტყვიან, საშინელი უკანონობაა სიკვდილიო. მართლაც რომ ის უკეთური ჯალათი არავითარ წესს, ასაკს, ზეზნეობას, სიყვარულს, ღვთისმოსაობას, უფალს და მტყუან-მართალს, ბოროტსა და კეთილს არ არჩევს. სადაც სუსტ ადგილს შეამჩნევს, იქვე ამოიძუძგება შავქაცვებიანი ზღარბივით და თავისას ჩაიდენს. ჩვენ ძალიან ხშირად საგანგებოდ ვაპოეტიზებთ ქვეყნის უამრავ მოვლენებს, მაგრამ სინამდვილეში ხომ მრავალი მოვლენა უკეთურობისა და ცოდვის მორევში ცურავს, რა თქმა უნდა, ყოველი სიცოცხლეც. ამდაგვარ კოსმოსურ უსაშველო მოვლენებს სამყაროს მრავალსისტემიანი სივრცეც ვერ აგვარებს. ალბათ უმართებულობის უმართავი ალიაქოთი მთელ უსასრულობაშიც ტრიალებს. აქედან გამომდინარე, ღვთიურ ჭეშმარიტებასაც უჭირს. ამ შეუღწეველსა და მიუდგომელ შემთხვევაში, ადამის მოდგმას, თავისი რჩეული გენიებითაც, არ მიუწვდება გონი და თვალი, მაგრამ აგვედევნება ურთულესი აზრი და ფიქრი: ამ სახის უკანონობა უსასრულობის ურთუ-

ლეს კანონზომიერებას ხომ არ ავითარებს? პარალელი: ხომ გვიკვირს, გველის მომაკვდინებელი შხამი რომ კურნავს სნეულებს...

„ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა" – გენიალურმა მგოსანმა და მოაზროვნემ შოთა რუსთაველმა ღრმა ფილოსოფიურად იქადაგა. მეტის თქმა და აზრთა სიღრმისეული გახსნა ამ შემთხვევაში შეუძლებელია. სამყაროს აუცილებელი საჭიროებისთვის დაკანონებული, ჩვენთვის კი უკიდურესი უკანონობა მართავს საცოდავ კოსმოსს, სადაც სინათლის, ცეცხლის, სიცივის, პლანეტების არსებობის, სიკვდილის, სიძულვილის, ბნელის, უხილაობის, სულთა მარადიულობის, ფერის, ხაზის, ფორმათა, მეხსიერების განძის და სხვა მრავალ ელემენტთა სავსეობა და მოძრაობებია. ამ შემთხვევაშიც ძალაუნებურად უკიდურესი მორჩილებითი ნებელობაა უმკაცრეს მოვლენებთან.

ვაიდა, საცოდავო ადამიანო! ქვეყნიურ მრავალ ტანჯვასთან ერთად შეუფერებელი, საშინელი მოუშორებელი უბოროტესი ხასიათი სულს და გენს რომ გიღრღნის. დაძაბული ფიქრისა და ეჭვების გარეშე, უზარმაზარი და უშორესი შხამმფრქვეველი პლანეტა, რომელიც უწყვეტად გზავნის ყოველთა საწამლავ ეშმაკეულ სხივებს, დღენიადაგ მისგან რომ იმუხტება ადამიანი და ყოველი ცოცხალი არსებაც. დედამიწელების სასიკეთოდ ამ უმძიმეს ძალას გამუდმებით ებრძვის კეთილი პლანეტების უწყვეტი სხივთა დენა, რითაც უფლისმიერი მეთვალყურეობაა. რასაც მე აქ ვყვები, საიდუმლოთა გამხელა კი არ გახლავთ, მხოლოდ ჩივილია უძლური პიროვნებისა. ყოველგვარი კეთილისმყოფელური ბრძოლა ამ უწმინდურობასთან დროებით გვაშორებს ან წამიერად გვავიწყებს. სიმართლის თქმა უნდა გავბედოთ და სანამ ადამიანი სამყაროში, მშობლიურ დედამიწაზე სიცოცხლეს აგრძელებს და ძარღვში სისხლი, კოსმოსური უნიკალური შემადგენლობა მიმოქცევაშია, მისი დაღვრის ველური ჟინი სამარადისოდ იქნება. ამ ურთულეს შემთხვევაში ვამჟღავნებთ მხეცზე ბევრად უფრო უარეს თვისებას და ამდაგვარი სამყაროსეული უსასტიკესი თვისებებით ივლის ადამიანი ნებისმიერ ცივილიზაციაში და ათასწლეულებიდან მილიარდობითწლეულებში...

„სამყაროს უხილავი მედლის ორივე სახე სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულობაა".

ათასობით წლის მიღმა, წარსულში ჩაძირულ საოცრებებს გვიყვება იდუმალმთხრობელი ისტორიკოს-მემატიანე. თურმე, კავკასიონის მიუვალ მთებს შუა, მრავალმღვიმიან ადგილას გაჩენილა უცნაური და ზეცისკენ მხედველი ტომი, რომელთაც საკუთარი ენა უბოძა უფალმა, ტომობრივი სახე და ხასიათი... უცხო და იქითა გარემოსთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონიათ. ფანტასტიური სივრციდან იდუმალებით მოვლენილი ხალხი ბუნებრივი თუ თვითგანვითარებით ცხოვრობდა, სალაპარაკო ენა ნელ-ნელა მდიდრდებოდა, რა თქმა უნდა, ვერავითარ დამწერლობასა და ცივილიზაციის ნიშნებს ვერ შეამჩნევდით. უფრო კეთილი ცხოველური თვისებები სჭარბობდათ და ზეციურობებზე თანმიმდევრულად უვითარდებოდათ შეხედულებები...

მუდამდღე მზეს შესციმციმებდნენ და ღამეებს ხშირად მთვარის და ვარსკვლავების სევდიანი ცქერით ათენებდნენ; მიწა უფრო მისაწვდომი იყო მათთვის და ხშირად ბავშვურად კოცნიდნენ, თან გაშლილი ხელის თითებით ეფერებოდნენ; იკვებებოდნენ ბალახულის ძირებით და ტყის ნაყოფით, თაფლით. წყაროებიდან კამკამა წყალს პეშვით სვამდნენ გამონაკლისის გარდა. გამორჩეულნი კი ბუნებრივი თუ კაჟის ქვით ამოთლილი ქვის სხვადასხვა ფორმის სასმისების მაგვარებს იყენებდნენ; ცხოვრების პირობებით მგლებს მიბაძეს, მათსავით მოიწყვეს სამყოფელი და უკეთურთაგან შედარებით მიუვალნი გახდნენ. ბუნებრივი ნიჭის მქონე თითო-ოროლა მათგანმა, მეხისგან წაქცეული ხის მორიდან ქვის ნაჯახით გამოჩორკნეს მზის გამოსახულება, ერთ-ერთ შიშველ მაღლობზე დადგეს და მზის ამოხვლა-ჩასვლას იქ ხვდებოდნენ. ქანდაკებასთან სიახლოვეს არ მიდიოდნენ – ფიზიკურად არ ეკარებოდნენ. მასიურად გამართავდნენ ხოლმე არქაული გაურკვეველი მოძრაობებით ცეკვა-ხტუნაობას და სიცილ-ხარხარით ერთმანეთს კოცნიდნენ; ურთიერთისაკენ მიზიდული ქალ-ვაჟი ჩუმად იქაურობას განეშორებოდნენ, ტყეს შეაფარებდნენ თავს და ნაყოფიერდებოდნენ. ბავშვი რომ დაიბადებოდა, ბუნებრივად გარდაცვლილი ცხოველის რბილ ტყავში გაახვევდნენ, მზის გამოსახულების გვერდით დააწვენდნენ და უცხო, ყრუ-ტეხილი მელოდიებით უმღეროდნენ. მოზრდილებისა და ხნიერი ადამიანების ტანთშესამოსელი მხეცების ტყავები იყო, რასაც მდინარის პირას წინასწარ დიდხანს რეცხავდნენ და ქვიშით ამუშავებდნენ. ქალების შესამოსელი კი უფრო შვლის ან ირმის ულამაზესი ტყავი ჰქონდათ. გარდაცვლილებს ქვისგან არქაულად ქანდაკ-მზის გამოსახულებებს თავთან დაუსვენებდნენ. ყველაფრით და ყო-

ველმხრივ ცდილობდნენ მზისთვის მიებაძათ (ნეტავი, ჩვენს ეპოქაში მაგრე უახლოვდებოდნენ უფალს), მიემსგავსებოდნენ და ძალიან ბედნიერები იყვნენ. ღამით ნაკლული თუ სავსე მთვარის ცქერით მშვიდდებოდნენ; ლეგენდებს თხზავდნენ ციურ სხეულებზე და აგრე ართობდნენ და ეალერსებოდნენ ურთიერთს. ამ შემთხვევაშიც მიწას კოცნიდნენ და საამოდ ეფერებოდნენ. ზამთარი თითქმის არ იყო, უფრო გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის ხანგრძლივობა იყო პერიოდულად გადაბმული.

ქვეყნის იდუმალმემატიანე გვიყვება და გვარწმუნებს, იმ უძველეს დროში ეს ადამიანები ყოფილან ბედნიერები, თვისებით კეთილნი, ურთიერთმოყვარულნი და უღალატონი. ამ უცნაურმა ტომმა, რა თქმა უნდა, პირველყოფილი ადამიანის ქვის ხანის საწყისები თავის დროზევე გაიარა. მაშინ მხოლოდ კლდისა და მღვიმის კედლებზე ცხოველების ხატვით და ქვაში გამოქანდაკებით იყვნენ გართულნი. ხოლო საოცრება კოსმოსური ამაღლება და შეგრძნება ძლიერი განვითარების მეორე პერიოდ-ეტაპად უნდა ჩაითვალოს... მათ შემდგომ ადამის მოდგმას არ ღირსებია სამყაროსეული ჰარმონიის მაგდაგვარი შეგრძნების და წმიდა ზნეობის საზოგადოება. მომავალ ცივილიზაციებს და რელიგიათა გაჩენას შთაუნთქავს და გადაუშენებია ის უცხო მზიური ტომი. ამჟამად მაგ მიდამოებში უცნაური შემადგენლობისა და ფორმის თავის ქალებს პოულობენ, შუბლის ძვალი – კოპი რატომღაც ზეაწეულია თითქმის ყველასი.

ფრინველებსაც შურდათ მათი ყოფისა; მხოლოდ ზოგიერთი მხეცი დევნიდა, უთუოდ უკიდურესად მშიერნი, გამოკვების მიზნით, ინსტინქტურად აავებულნი. ცხოვრებაში არ იცოდნენ ზედმეტი ფიქრი, დარდი და ოცნება, ზრუნვა და მეცადინეობა. მხოლოდ ზეცა იყო მათი ყოველწუთიერი ურთიერთობა-გართობა. მიწასთან სიახლოვისას გრძნობდნენ უახლოეს მშობლიურ სითბოს და განუყრელ პატრონ-მეგობარს. საგულისხმოა, იმ ეპოქაში, როდესაც უფლის ნებით ცხოვრობდნენ, ისინი არაფერს არავის სწირავდნენ. შეწირვები შემდეგ ათასწლეულებში, დაცემულმა ადამიანებმა დაიწყეს. დღეისდღესაც ამდაგვარი უმსგავსოებებით რელიგია ღმერთს შორდება. ამ წმინდანურ საზოგადოებას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს მზის ეპოქის ადამიანები... მათი, თითქმის უმეტესობის საშუალო წლოვანება ყოფილა 100 წელი (ასე იკითხება ზეციურ მეხსიერებაში); ცხოვრობდნენ მშვიდობიანი და კეთილი ფრინველებივით და მოულოდნელად კვდებოდნენ (მიიძინებდნენ) ავადმყოფობის გარეშე...

ჩვენს ისტორიკოსებს ვერაფრით ვერ დავარწმუნებთ, ისინი უცხოპლანეტელები იყვნენ თუ არა. საბოლოოდ ხომ ჩვენც არ გვწამს. მაგრამ შორეულ იდუმალებას და კოსმოსურ მეხსიერებას ხომ გვერდს ვერ ავუვლით?..

„უნდა ჭამო, რომ იცხოვრო და არა იცხოვრო, რომ ჭამო“ – სოკრატე.

სოფელში გახლავართ. ადრიანი დილაა. უკვე გაეღვიძა ჩემს მეუღლესაც ნანის, (ბავშვებს – მედეას და მაიას – სძინავთ). და ვეკითხები: - დღეს რა ვჭამოთ სადილზე? – ხო! ჭრელა დედალს დავკლავ კვერცხმდებს. – არ გეცოდება, ადამიანო? – ვეუბნები. – აბა როგორ ვიარსებოთ? – აი და ჩვენი დაბადება, სიცოცხლე და აუცილებლობა დღიდან გაჩენისა. უცნაური ზეკოსმოსური, ზექვეყნიური, ზეღვთიური და ზეადამიანური არსიც, რომელიც იმუხტება სხვადასხვა ფერხასიათის და გაურკვეველი ზნეობის ვარსკვლავებიდან, აგრეთვე ისიც გამოსაკვლევია, თუ რა განუზომელი ელემენტთა ტევადობა გვეგზავნება მზის იდუმალებით სავსე სხივების მეოხებითაც... რომელიც გამუდმებით იწვის და უთვალავი, რაღაც სხვა უზარმაზარი დინამიკის შემადგენლობის და სიმხურვალის აფეთქებებია მზეზე. უსასრულო ფუნქციების ენერგიაა სამყაროში და აურაცხელი პლანეტების. აალებულმბორგავი ალიაქოთია სივრცეში. ზოგზე კი, პირიქით, დიდი გამყინვარებაა. მრავალთვისებიანი გაზაფეთქებული წვათა გალაქტიკების სიშორე კი აღუწერელი სანახაობისაა. უკუნეთისმიერი და დაუსრულებელი სივრცის კოსმოსური უმძიმესი ჯოჯოხეთს მიმსგავსებული ტრაგედია ხომ არაა ციურ სხეულთა უწყვეტი ცეცხლმოდებულთა არსებობა და უმძიმესი გამყინვარება?.. ადამიანის და ყოველი ცოცხალი არსების მრავალმხრივ ბოროტად ამტეხი თუ ბრძნული დამწყნარებელ-შემზავებელი ელემენტებითაა ყველაფერი დამუხტული.

ყოველივეს, ცუდის, კარგის და სიმართლის გამჟღავნების მეთოდით გადავხედოთ კაცთა მოდგმის ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს - ჩაჟამებულ მონაკვეთს, რომელიც ზემოთ ასახულ პლანეტათა მოცარტისეულ მუქ რეკვიემს აგვიღწერს. დაახლოებით მეთოთხმეტე საუკუნეა. შუა აზიიდან აიყარა თურქმენული მოდგმის ხალხი, მშიერ-მწყურვალნი, და შეესივნენ სამხრეთის მრავალ ცივილიზაციაგამოვლილ ულამაზესსა და უძველეს რასებს. დაიპყრეს ბიზანტია, კაბადოკია თავი-

სი ქრისტიანული ლაზეთით, გაანადგურეს ანტიკური ხელოვნების უნიკალური ნიმუშები, დაასახიჩრეს კაცობრიობის ერთ-ერთი საოცრებათაგანი აკროპოლი და ქანდაკება „ვენერა მილოსელის“ ქმნილება, ხელებმომტვრეული, ზღვაში ჩაძირეს, რომლის ბადალი შედევრი დედამიწაზე ჯერ არ შექმნილა. კაჭკაჭებივით დაეპატრონენ ირგვლივ მოვლილ მამულ-ბუდეებს, გააუქმეს ლეგენდარული ქალაქი კონსტანტინეპოლი, ქრისტიანული მართლმადიდებლობის ცენტრი და დაარქვეს ისტამბული. არ იკმარეს ყოველივე ბოროტება და შეესივნენ ევროპას, ალალმართალი, მშვიდობიანი ხალხის ხოცვით და დაპყრობებით ბულგარეთამდე გავიდნენ... ალაჰი მოუძღოდა მათ? თუ სხვა სალოცავები, უფალი! – მაშინ ისინი მრავალნიშნად რატომ დუმდნენ? არა მგონია! უთუოდ რომელიღაც უძლეველი გალაქტიკის თუ ბოროტი ვარსკვლავის მოუთოკავი ენერგია იყო მათში დაგუბებული. შემდეგ სასტიკად აკოსმოსებულებმა დაიპყრეს საქართველო, სომხეთი და ჩვენთვის მხოლოდ მომავლის იმედი – დუმდა ხანგრძლივად... (ამ შემთხვევაში წარსულის ჯვარცმაზე თავს ვიკავებ, რადგანაც კაცობრიობის ყველაზე უმძიმესი ბოროტებათაგანია...) უფრო უარესი მსვლელობა მოხდა ამერიკის კონტინენტზე – დამპყრობი ევროპელები ჩაუვიდნენ მტერსტუმრებად. ამოწყვიტეს აბორიგენი ანუ ადგილობრივი რასა, პირღიად დატოვეს მათი სავარაუდოდ კოსმოსურ-ლეგენდარული მზიური ცივილიზაცია და საცოდავ ღია ცისქვეშეთის ექსპონატებად აქციეს. მოსპეს ყველაფერი და ამაყად დააარსეს თავიანთი ახალი სახელმწიფო. აი, უხილავი კანონი შორეულიდან გადმოსროლილი ვარსკვლავეთის სხივბოროტებისა; თუ... არსებობს კიდევ რაღაც უმძიმესი ზეძალა?! – შევახსენოთ ერთმანეთს.

მშიერმა მამალმა, გვიანი შემოდგომის მწიფე ხორბლისფერმა ლომმა მოინადირა ულამაზესი ტანხატულა, გიშრისთვალება, ნათელი ჩალისფერი შველი. მხეცური დაუოკებელი ჟინით დაბრდღვნა, დაგლიჯა და გაავებული თვალცეცხლოვანი ხვრეპდა მის უმანკო სისხლს. როცა შიგნეულს მიადგა, ბალახის ღერო გაეჩხირა ალმოდებულ ხახაში, არ ესიამოვნა მხეცს და სისხლიანად გადმონერწყვა. თურმე ერთი საათის წინ ამ უმშვენიერეს არსებას ახლად ამოჯეჯილებული ხასხასა მწვანე ბალახი, რომელიც მცენარეული სიცოცხლის წყურვილით მზის სხივებს ეალერსებოდა, მშიერ ცხოველს გულმოდგინედ მოუძოვია მიწის პირამდე და ალმასისფერი ცრემლიანი მდელოთი გამძღარა. საღამოს გადიდგულებული და ძალაშემატებული ლომი გორასავით უზარმაზარ სპილოს შესჭიდებია, გაბრაზებულ სპილოს მფრინავი მეტეორივით ერთი შეუკივლია და უმოწყალოდ გაუსრესია ეს აღზევებული ბოროტი. აქაა, ხომ, განვრცობილი და უწყვეტი ჯაჭვი მარადიული ცოცხალთ ავსულობისა? არსებულიდან გამომდინარე, დაახლოებითი დასკვნის გამოტანაც შეიძლება – ყოველი ცოცხალი არსება ჭარბხასიათიანი სამყაროსეული ბოროტებითაა გაჟღენთილი, მაგრამ ხშირად სიკეთის სხივებიც გამოინათებს მათგან: უთუოდ სიკვდილის მარადიული არსებობა ამძაფრებს ყოველივეს.

„რა არის ადამიანი? ღმერთის ტრაგედია“ (მორგენშტერნი).

ამ სახის ყოფილა თურმე კოსმოსური, ძირფესვიანად ამოუხსნელი მარად მოძრავი დისციპლინა და არავითარი მხოლოდ ჯუნგლების კანონი. თავადვე მიწიერი ბუნება მსხვერპლია სამყაროს ანუ პლანეტარიუმის სასტიკი ზოგიერთი ზემაგნიტოვანი სხივთ ენერგიის და მპყრობელური ჰიპნოზმტყორცნელი ვარსკვლავძალმომრეობისა.

*(გაგრძელება იქნება შემდეგ ნომერში)*

**ანზორ ჯაფარიძე**



# ა ღ ს ა რ ე ბ ა

*გაგრძელება*
*დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №25-სა*
*და ანთოლოგიის მე-6 ტომში*

*******

***“მოლხენილთან ილხინეთ და მოტირალთან იტირეთ“***

ძალიან მძიმე ცხოვრება დაგვეწყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ინგრეოდა ეს ბოროტების მანქანა, იწყებოდა ახალი, ბურუსში გახვეული ცხოვრება, ჩამოუყალიბებლები ვიყავით – ველურებივით. დავესიეთ და დავუწყეთ ყველაფერს მოსპობა, თქვენ წარმოიდგინეთ, კულტურას, ხელოვნებას, განათლებასაც კი შევესიეთ და ხელვყავით, იყო განუკითხაობა! რა გვინდოდა, საით მივდიოდით, რა შედეგი მოყვებოდა ამას არ ვიცოდით! გვახსოვს, ჩინეთში რომ დაიწყო ხუნვეიბინებისა და ძაოფანების მოძრაობა, რამხელა აჟიოტაჟი ატყდა მსოფლიოში, მაგრამ ჩინელებმა იცოდნენ რას აკეთებდნენ, სასწაულ ნაბიჯს დგამდნენ, დღეს ჩინეთმა იმხელა ეკონომიკა შექმნა; კვების პროდუქტების 60% გააქვთ მსოფლიოში, მსუბუქი და მძიმე მრეწველობის საქონლის დიდი პროცენტით. მსოფლიო ჩინეთიდან მარაგდება. ჩინეთმა ერთ ძალიან დიდ განძს მიაგნო, მან დატოვა კოლექტივიც და აალორძინა კერძო საკუთრებაც, ვისაც უნდოდა და ძალა შესწევდა – კერძო ცხოვრებას აირჩევდა, ვისაც არ შეეძლო დამოუკიდებლად ცხოვრება, შებრძანდებოდა კოლექტივში ე.ი. შერეული კაპიტალიზმი განავითარეს, ალბათ კარგი იქნებოდა, ჩვენც გვეხმარა ჭკუა და ამ გზას დავდგომოდით.

*******

***ცხოვრება კი წვალებაა, მაგრამ***
***ცოცხალი მაინც სჯობია სიკვდილს.***
*მ. მაჭავარიანი*

გადიოდა წლები შრომაში, ჯაფაში, ჩემი მშობლების განსაკუთრებულად ის მახსენდება, რომ მიუხედავად ასეთი ავადმყოფობისა, ასეთი გაჭირვებისა, სულ სწავლაზე, მეცადინეობაზე გვიჩიჩინებდნენ, რა თქმა უნდა, თავზე დგომის საშუალება არ ჰქონდათ, ხშირად ნახვაც კი გვენატრებოდა, მაგრამ არაფერს ზოგავდნენ ოღონდ გვესწავლა, იმ დროს მაინც ყველას ოცნება უმაღლესი სასწავლებელი იყო, ასე გვწამდა: ყველა გაჭირვებისა და სიდუხჭირის მალამო იყო, ასე გვეგონა, უმაღლესს რომ დავამთავრებდით, ყველა პრობლემა გადაიჭრებოდა. მე, სიმართლე გითხრათ, ძალიან არ ვიკლავდი თავს და არც ვფიქრობდი სწავლის გაგრძელებაზე, მაგრამ განსაკუთრებით დედის სურვილი და ნატვრა რომ გამახსენდებოდა, ვცდილობდი არ გამეწბილებინა დედის იმედი. ხანდახან იმასაც ვფიქრობდი, მოვიწყობ სოფელში ცხოვრებას, მანქანას, სახლს, მოვიყვან ლამაზ სოფლელ გოგოს და ვიქნები ამ ცხოვრებით დამტკბარი, ნასიამოვნები-მეთქი. ბედი კი სულ სხვა რამეს მიმზადებდა; მამაჩემი, როგორც ზემოთაც ვისაუბრე, მეგობრების, სტუმრების მოყვარული კაცი იყო, ხშირად ვემსახურებოდი, ვმერიქიფეობდი, მივართმევდი, მოვართმევდი და რა თქმა უნდა, ეს თვისებები ჯდებოდა ჩემს ბუნებაშიც, მეც ვსწავლობდი ჩვენს ტრადიციებს, წეს-ჩვევებს, სტუმარმასპინძლობას; ერთ დღეს, მახსოვს (მე-8 კლასში ვიყავი), სოფელ რუისპირში მეზობელ დიდ სოფელში იყო საკმაოდ ძლიერი საშუალო სკოლა, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგებით, საკმაოდ დიდი სასკოლო კონტინგენტით, ამ სკოლაში სწავლობდა ამჟამად ჩემი მეუღლე ცისანა სეხნიაშვილი, მამამისი იყო ერთ-ერთი ძლიერი კოლმეურნეობის ცნობილი თავმჯდომარე, რაიონში წარმატებული პიროვნება ლადო სეხნიაშვილი, ორმეტრიანი კაცი, ერთ დღეს ვემსახურები სტუმ-

რებს, მამა თამადობს და მოულოდნელად ჩამესმა ყურში ასეთი ფრაზა, მამა თავის მეგობრებს მიმართავს: – ლადო სეხნიაშვილის ქალიშვილი ცისანა რომ ჩემი რძალი გახდებოდეს, მე რაღა მომკლავსო, მე ვიფიქრე, ალბათ მომეჩვენა, ყურმა მიმტყუნა-მეთქი, მეორედ კიდევ ისეთ დისტანციაზე, რომ კარგად გამეგო, გაიმეორა, გადავირიე, მამას თურმე რა ნატვრა ჰქონია, არადა მე მაშინ სულ სხვა აზრზე ვიყავი, ეს საოცარი სურვილი რომ გავიგე მამისაგან, დავიფიცე, გულზე მჯიღი დავირტყი, შვილი მოგიკვდეს, თუ არ შეგისრულო-მეთქი. ცისანა საერთოდ კარგად სწავლობდა, წარჩინებული მოსწავლე იყო და თანაც სკოლის კომკავშირის მდივანი, მე ვიყავი კლასბიუროს მდივანი, ხოდა, როგორც კი შემატყო სხვა თვალით რომ შევხედე, დაიწყო ჩემი კომკავშირული ლანძღვა-დამუშავება, სულ მე ვიყავი პროგრამაში, ჩამორჩენილი რგოლი, ასეთი და ისეთი და რა ვიცი... თვითონ კი, რომ იტყვიან, სათოფედ არ მეკარებოდა, ვჯიუტობდი მე და ისიც კერკეტა კაკალი შემხვდა. არ ვიხევდი მე და არ ტყდებოდა ის. ნელ-ნელა სწავლასაც მოვუმატე, უსწავლელს არ გამომყვება-მეთქი, ჰოდა ერთ მშვენიერ დღეს გავიგე, რომ ცისანა ჩაირიცხა თბილისში ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე, მე კი საერთოდ სწავლის გაგრძელებაზედაც არ ვფიქრობდი, მაშინ პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გამოცდები ცოტა გვიან იწყებოდა მშობლებმა ამიკრეს გუდა-ნაბადი და ჩამომიყვანეს თბილისში, ჩემი დეიდაშვილის ოჯახში (მაყვალა დავითაშვილი), მაყვალა და ჩემი დები მზრდიდნენ როგორც საკუთარ შვილს, არაფერს მაკლებდნენ, ხან ერთთან ვიყავი, ხან მეორესთან და ხან მესამესთან. სამივენი თბილისში იყვნენ გათხოვილი და საკუთარი ბინები ჰქონდათ. საერთოდ, ჩვენს თბილისში დაბინავებაში ჩემს დეიდაშვილ მაყვალას მიუძღვის დიდი წვლილი, მისი ქმარი ალექსანდრეც ბევრს გვეხმარებოდა. გამოცდების დაწყებამდე სულ რაღაც ნახევარი თვე იყო დარჩენილი. შემოვიწყე წიგნები და შევუდექი მეცადინეობას. ჩაკეტილი ვიყავი, 2-3 საათი მეძინა დღე-ღამეში, რაღაც ტიტანური შრომა გავწიე, ალბათ, მინიმუმი მაინც მოვასწარი გამოცდებზე გასასვლელად, გადაწყდა პირველი გამოცდის დღეც. მახსოვს ქართული წერა გვქონდა, მივედი ინსტიტუტში და შესასვლელში კარისკაცი მთხოვს პასპორტს, მოვისინჯე და რას ვხედავ, სახლში დამრჩენია, სასწრაფოდ დავჯექი ტაქსში და გავვარდი ნახალოვკაში (იქ ცხოვრობდა ჩემი დეიდაშვილი მაყვალა) – დავბრუნდი ისევ ინსტიტუტში და დიდი ხვეწნით შემიშვეს გამოცდაზე, ვხედავ უკანა რიგებში ყველა ადგილი დაკავებულია და სულ წინ გამომცდელებთან მომიხდა დაჯდომა, არადა "შპარგალკები" პატრონტაჟივით მაქვს შემორტყმული ტანზე, მაგრამ რად გინდა, ხელს ვერ ვატოკებ, ვიფიქრე, ვიფიქრე და ავირჩიე თავისუფალი თემა "ჩემი სოფელი". ვწერ გაცხარებული და მხარზე მირტყამს ხელს ჩემ უკან მჯდომი ვიღაც ახალგაზრდა და ჩურჩულით მეუბნება, ძმაკაც, ცოტა აქეთ ჩამოიჩოჩე თუ შეიძლებაო, თურმე ისიც დაგვიანებით შემოვიდა და მასაც აქვს მონადირესავით ერთი "პატრონტაჟი" შპარგალკები წელზე შემორტყმული. ბოლოს და ბოლოს მე დავწერ, სამიანი მივიღე და იმან ივაჟკაცა, ჩაშპარგალკდა და ოთხიანი მიიღო.

შემდგომ ერთად მოგვიწია სწავლა და დიდი მეგობრები გავხდით. ის იყო გურული, ჩოხატაურელი, გუთურელი გივი სირაძე, როგორც იქნა, წყალწყალა სამიანები მივიღე, ქულები არ მეყო და გარეთ დავრჩი.

ცისანა დარჩა თბილისში, მე კი ისევ სოფელში მიკრეს თავი. როგორ არ ხდება სასწაული ამ ქვეყანაზე. უკვე შემოდგომაა. დაიწყო სწავლა, ვარ განცდებში, სიზმარი ვნახე, ალაზანში ვდგევარ მუხლებამდე კამკამა წყალში და რას ვხედავ: ჩავიხედე და ოქროს მონეტებით, ოქროს ქვიშით არის სავსე ფსკერი, დავიხარე და ორივე მუჭით ვიღებ ოქროებს... გამეღვიძა და დავღონდი. ცოტა ხანში ჩვენთან იძახის ფოსტალიონი, დეპეშა არის თქვენს სახელზეო, წავიკითხე და გავოცდი, ჩარიცხული ხართ ინსტიტუტში დაუსწრებელ განყოფილებაზეო. ჰოი, საოცრებავ! თურმე სტუდენტები დაკლებიათ დაუსწრებელზე და ვისაც ცოტა უკეთესი ქულები გვქონდა გამოგვიძახეს. ასე გავხდი სტუდენტი, შემდგომ დაუსწრებელ განყოფილებაზე ვინც წარჩინებით დახურავდა კურსს დასწრებულზე გადავყავდით, დასწრებულის მეორე კურსზე დამსვეს. ცისანა სწავლობს უნივერსიტეტში. მე პუშკინში, ვხვდებით ერთმანეთს როგორც თანასკოლელები, როგორც თანასოფლელები, მაგრამ როგორც კი დავაპირებ ჩემს განცდებზე, გრძნობებზე საუბარს, მაშინვე გამირბის. შორიდან მესმის, "ანგრევს" ყველაფერს, ისე მაგრად სწავლობსო. გავიხედე და რას ვხედავ, უნი-

ვერსიტეტში გამოიკრა კედლის გაზეთი რუბრიკით: "ცისანა სეხნიაშვილის მორიგი ხუთიანი". გაშლილი ხუთი თითი არის ჩახატული, იქვე სტატიები მის წარმატებებზე, გავგიჟდი, დავიფიცე, მეც უნდა გავხდე ხუთოსანი, და ჩემი სურათიც უნდა გამოიკრას ჩემს ინსტიტუტში. გავასწორე დღე და ღამე, შეუძლებელი შევძელი – თურმე შეყვარებული უფრო ხშირად დებილდება ან გზას ასცდება, მე კი ჯიუტად მივიწევ წინ, საერთოდ ბავშვობიდან მქონდა პრინციპული და მეტად ჯიუტი ხასიათი. თუ რამეს ჩავიდებდი გულში, მოვკვდებოდი და მაინც შევასრულებდი, და აი ესეც შემისრულდა: ჩემი სურათი გამოიკრა ჩემს ინსტიტუტში ხუთოსნების სტენდზე, ველოდები ცისანას, ან დღეს ნახავს ჩემს წარმატებას ან ხვალ, მაგრამ მეტი არ არის ჩემი მტერი, ცისანა არ მიახლოვებია ჩემს სურათს. ერთ დღეს თელავში გადავწყვიტე თვითმფრინავით გადაფრენა, მაშინ ორფრთიანი, ეგრეთწოდებული "კუკურუზნიკები" დაფრინავდა, აფრენა და დაფრენა თითქმის ერთი იყო, სულ 15-20 წუთში ვიყავით ადგილზე. შევედი თვითმფრინავში და რას ვხედავ, ზის ცისანა სკამზე და გვერდით თავისუფალი ადგილია, მივუჯექი. აფრენა კი ვაცალე თვითმფრინავს და გავიმართე, მივმართე: – ახლა რას იზამ, მომისმენ თუ არა-თქო. იქნებ მფრინავს სთხოვო გაჩერება. გულწრფელად ავუხსენი სიყვარული, მოვასწარი სულ 20 წუთში, მთელი კავკასიონის და გომბორის მთების, ალაზნის ველების დამტკიცება, ყველაფერი შენი იქნება-მეთქი, ისე გავაბრუე, რომ ჩავფრინდით ტაქსის ფულის გადახდა იმან მომასწრო (ის უფრო მდიდარი იყო). დავთქვით პირობა – შეგვექმნა ოჯახი, მაგრამ ერთი პირობა მაინც ჩამომართვა, მე მამაჩემის ნებართვის გარეშე ვერ გამოგყვებიო, დამარიგა: – მე ქედში მივდივარ სტუმრად და ამ დროს მიდი მამაჩემთან მოსალაპარაკებლადო, ჯერ ვთქვი ამას როდემდის უნდა ვუგორო წითელი კვერცხები, მაგრამ მამაჩემის ნატვრა გამახსენდა, რას ვიზამდი, დავთანხმდი.

ახლა დადგა დრო ვინ უნდა მიმეყვანა შუამავლად, ბოლოს გადაწყდა ჩვენს ოჯახში, ძია გიგლა დედაბრიშვილი, აი ზემოთ, რომ ვისაუბრეთ, ყოფილა ლადო სეხნიაშვილის მეგობარი, მას ვთხოვეთ წარვედგინე სეხნიაანთ წინაშე. ძია გიგლამ ერთი კი მკითხა, შენ ლადო სეხნიაშვილს იცნობო, შვილო შენი სიგრძე მარტო ჩექმები აცვია და თუ გოგოს არ უყვარხარ, არ გამაბრიყვოო. შევფიცე, თავს იკლავს ჩემი გულისთვის-მეთქი. ბოლოს დაქოქა ძია გიგლამ მოსკვიჩი 412-ი, ახალი გამოშვება იყო და გავუდექით გზას. სეხნიაანთ უბანში უცნაური მიწაა, წებოიანი ტალახი, მანქანა ძლივს მიყავს, ჩავვარდით ერთ მოზრდილ გუბეში, აბა შვილო, მე ხომ ვერ გადმოვალ, შენ უნდა გადმოხვიდე და მიაწვეო. რას ვიზამდი, ახალი მოკასინები მაცია გაკრიალებული, ბზინავს სუფთად გაპარსული ვარ. სამჯერ მოვატარე საპარსი, ახალ შარვალ-კოსტიუმში ვარ გამოწყობილი. მოგჭამა ჭირი, მოვაწექი თუ არა გიგლა ძიამ გაზი მისცა, კარგად არ იცოდა მანქანის ტარება, ამოაბუქსავა და პირველივე აბაროტზე გადამასხა ტალახი, როგორც იქნა, გავედით სამშვიდობოს, შევგრიალდით ეზოში, გიგლა ძიამ სიგნალიც მისცა, უცნაური ჭყიპინა სიგნალი ჰქონდა 412-ს, გადმოვედით, ყველანი ეზოში არიან გამოფენილნი, გავიხედე ერთი მოხუცი ქალი მორბის, ნინა ბებო ყოფილა, შემდეგ გავიგე, ბახბახიანთ ქალი; მირბენს გარშემო ეს ქალი, მე გაოცებული ვარ, რა უნდა ვერ ვიგებ. ორი "კრუგი" დამარტყა და უკანვე გაიქცა. ვხედავ ჩემს სასიმამროს ეჩურჩულება რაღაცას და ვატყობ სასიმამროს ფერი ეცვლება. გიგლა ძია გადაეხვია ყველას გადაკოცნა შინაურულად, მე მოკრძალებით ვდგავარ, არავინ არ მაქცევს ყურადღებას, ცალკე მოკასინების დარდი მკლავს, ცალკე ახალი შარვალ-კოსტუმის, რომელიც სეხნიაანთ ტალახშია ამოსვრილი. ეს შარვალ-კოსტიუმი დედაჩემმა და მამაჩემმა ჩემი გაზრდილი ინდაურით მიყიდეს, ელიზბარს ვეძახოდი, მამალი ინდაური იყო, ზოგჯერ ვირივით ზედ აჯდებოდნენ ბავშვები. გიგლა ძია და ლადო დიდი მეგობრები იყვნენ და ისე რას გამოუშვებდნენ, შეიპატიჟეს, რას ვხედავ, მოხარშული დედალი ინდაური, ფეხებაწეული მთელ-მთელი, ტაბაკით ხინკალს ორთქლი ასდის, კახური "ვიჩინა" მოხარშული, ოხშივარი ასდის, მაგარი სუფრაა გაშლილი, არადა დედაჩემმა გაგვაფრთხილა, ლუკმა არ გატეხოთ, თორემ საქმე ჩაიშლებაო, გიგლა ძიაც პირადად იყო გაფრთხილებული. რას ვხედავ, გადაიხარა გიგლა ძია და აახია ინდაურს ბარკალი თავის თეძოთი. ვტაცე ხელი. ჩუმად ვუჩურჩულე: – გიგლა ძია, არ დამღუპო, ხომ გახსოვს რა დაგვაბარეს-თქო. გიგლა ძიამ შემომიბღვირა და მითხრა: – შვილო, სულ რომ დაუქორწინებელი დაგვრჩე, მე ამ ბარკალს ვერ გამაგდებინებო და ჩაჰკიდა პირი, რას ვიზამდი, გადავირიე, ჩაიშალა საქმე გადავწვდი და დაბოლმილმა

მეორე ბარკალი თავის თეძოიანად მე ავახიე, დალია გიგლა ძიამ, დავლიე მეც, მაგარი პური ვჭამეთ და წამოვედით გაურკვეველ ვითარებაში, სიტყვა არ თქმულა ჩემს შესახებ, სახლში მოვედით. დედაჩემი მეკითხება – რა ქენითო, მე ვუპასუხე – კარგად ვითოხლავეთთქო დავწექი და დავიძინე. მეორე დილას გვეძახიან, გავიხედე; შალვა ხვთისიაშვილი (მეტსახელად ბუზებიანი) შემდგომში ჩვენი მეჯვარე, ლადო ბაღსოლიანი, დათა ყალანდრიშვილი, ჩემი სიმამრის ძმები და მეგობრები დგანან ჩვენს კართან, გავეგებე, მომიკითხეს: შვილო ანზორ, რაღაც გაუგებრობა მოხდა და ერთხელ კიდევ ჩვენი ხათრით უნდა გამოგვყვეო. ძალიან ვარ გაბრაზებული, მაგრამ ისევ მამაჩემი მიდგას თვალწინ, რას ვიზამდი, ავდექი და ასევე როგორც ვიყავი გაუპარსავ-მოუწესრიგებელი, ჩავუჯექი მათივე მანქანაში და წავყევი. თურმე იმ საღამოს ცისანა ჩამოსულა ქედებიდან და რომ გაიგო რაც მოხდა, გადარეულა, ტირილი, ცრემლები, ჩემს სასიმამროს უთქვამს – დაწყნარდი, შვილო, დილაზე ამოვაყვანინებო, ჩემს მეგობრებს ვთხოვო, შევედით ეზოში ისევ იმ შემადგენლობით გამოიფინენ, ცისანა არ ჩანს, ისევ ბახბახაანთ ქალი მორბის ერთი შემხედა "კრუგის" გარეშე და გარბის ლადოსთან, ხმამაღლა ყვირის: ლადო, შვილო, წვერები ჰქონიაო, თავი მომიკვდეს შემეშალაო, თურმე წინა დღეს, რომ შემომირბინა, ლადოსთვის უთქვამს – წვერები არა აქვს, ქოსააო, იმაზე იყო ჩემი სიმამრი დაბოღმილი, ეგლა მაკლია ქოსას გავატანო ჩემი გოგოო.

მოკლედ, ასე იყო ჩვენი ისტორია. ქორწილი თოვლიან 1967 წლის იანვარში 28 რიცხვში გადავიხადეთ. ნეტავ იმ დროს! მამაჩემიც ბედნიერი იყო და მგონი ჩემი სიმამრიც, დაგვლოცეს: წლისთავზე ბიჭი გეყოლოთო და მართლა 28 იანვარს (1968) გვეყოლა ბიჭი – ვანო, მგონი საათიც კი დაემთხვა რომელ საათზეც დაგვლოცეს ბიჭი გეყოლოთო, იმ საათზე დაიბადა ჩვენი სიყრმის შვილი. ბინა ვიქირავეთ ბათუმის ქუჩაზე და 28 ნომერი გამოდგა, ჩვენი საკუთარი ბინა როდესაც გვეღირსა, წარმოიდგინეთ, ისიც 28 ნომერი გამოდგა. ძალიან ბევრი 28 რიცხვი გვაქვს ბედნიერი. ცხოვრების დაწყებისთანავე გადავწყვიტეთ დამოუკიდებლად გვეცხოვრა და მშობლებსაც კი უარი ვუთხარით ყოველგვარ დახმარებაზე. დაიწყო ბედნიერი ცხოვრება, სიყვარული, რწმენა, შემართება... ჩვენი ბინა სულ 16 კვ მეტრი იყო, არაფერი არ გვებადა. "ფეჩი" შევიძინეთ, მეგობრებმა სახერხიდან ნარჩენი "რეიკები" და ფიცრები გვაჩუქეს, ფეჩზე ვთბებოდით, ნარჩენი რეიკებისაგან გავაკეთე მაგიდა, სკამები, ტახტი ჩვენი სიყვარულის მოწმე და ერთი "ტაბურეტკა" წითელ მატერიაგადაკრული, რომელსაც "ყიზილბაში" დავარქვით. ეს "ყიზილბაში" ეხლაც გვაქვს, ცისანას ისე უყვარს, ორჯერ გადაიხადა ფული მის რესტავრაციაში, შეცვალეს მატერია, გალაკეს და გაამშვენიერეს, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას გვიდგას ახლაც, უკვე თანამედროვე ბინაში.

ნაქირავებ ბინაში ერთი პატარა შესასვლელი, "პადიეზდი" გვქონდა, საერთო იტალიური ეზო იყო. აქ გავაკეთე პატარა სათავსო, რომელსაც "სერვანდი" დავარქვით, რაღაც-რაღაცეებს ვინახავდით და მათ შორის შეშასაც. ერთხელ ტრამვაიში ვსხედვართ. ცისანა მეკითხება, წამოსვლისას სერვანდი თუ დაკეტეო, არ ვიცი შეშა კი შევალაგე და არ მახსოვს თუ დავკეტე-მეთქი, ტრამვაი კინაღამ გადაბრუნდა – ისე შემოტრიალდა 20-დე ადამიანი, რომელი ქვეყნიდან არიან ეს ხალხი, შეშას სერვანდში რა უნდაო... ბედნიერები ვიყავით, სიყვარული გვქონდა ურთიერთის და სითბო არ გვაკლდა სულისა, გამბედაობა და იმედი ახალგაზრდობის თვისებაა და ჩვენ უხვად ვიყავით ამ თვისებით დაჯილდოებულნი. ჩვენს მეგობრებს უყვარდათ ამ მყუდრო სიყვარულით გაჟღენთილ სავანეში მოსვლა. ცისანა კარგი კულინარი გამოდგა, გავახურებდით "ფეჩს" და შეშაზე აკეთებდა უგემრიელეს კერძებს, როგორღაც მივიყუჟებოდით ამ პატარა ოთახში და იყო სიმღერა და ლხინი, ცისანა კარგად მღეროდა, მამაჩემსაც სწორედ სიმღერით მოაწონა თავი.

***

## "ორაგული ღელეში ვერ ცურავს". "ოცნების კოშკიდან ნანგრევები არ რჩება".

როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ჩემთან ერთად სწავლობდნენ: გივი სირაძე (გურული), თემურ ჟორჟოლიანი (სვანი) და ალექსანდრე ახატნელი (ქართლელი). გადაბმული ძმობა გვქონდა, მახსოვს გურიაში პირველად რომ ჩავედი, გივი სირაძემ 1959 წლის 7 ნოემბერს მიგვიპატიჟა ჩოხა-

ტაურში, გუთურში. მამამისი, ცხონებული ვლადიმერი, პროკურორი კაცია, გაშლილი აქვთ საზეიმო სუფრა, თამადად ვინმე გალაქტიონ ჩხიკვიშვილი აირჩიეს, პირველი მშვიდობის სადღეგრძელო ითქვა, მეორედ კიდევ რაღაც სადღეგრძელო და აი მესმის ანზორ ჯაფარიძეს გაუმარჯოსო, გავოცდი, ვინ ჰყავთ ასეთი სტუმარი. – შენ, ახალგაზრდაო, – მომმართა თამადამ, მე კახეთში გაზრდილი ვარ და ჩვენებური კახური წესით, საპატიო სტუმარს სანამ კარგად არ მოგლიან, არ მოგიწყენენ, არ გადღეგრძელებენ, ბოლომდის მინდა ჩემთან მყავდეო. ხოლო გურიაში რას ვხედავ, პირიქით ყოფილა, შენ ხარ საპატიო სტუმარი ჩვენთვის, შენ იმსახურებ დიდ ყურადღებასო, მე ამდენი რა ვიცოდი, ვდგავარ მობუზული ამხელა საზოგადოებაში. გავიხედე ჯოხზე დაყრდნობილი შემოიყვანეს 90 წლის ვერიჩკა ბებია: დაიწყო ჩემი დალოცვა: – შვილო ანზორი, პროგრესი არ მოგშლოდეს და რეგრესი არ მოგცემოდესო. ჯერ პირველი კურსის სტუდენტები ვიყავით, პროგრესი ვიცოდი, მაგრამ რეგრესი რა იყო ვერ გავიგე, აღარ მახსოვს როგორ მომეფერა და შემამკო ცხონებულმა (გარდაცვლილია). ბებია წერილებს სწერდა შვილიშვილ გივის – თხაი, თხაი გოგოებში არ იარო და ყირაზე არ დადგეო. გივის უყვარდა ყირის გაჭიმვა და ახვეწიებდა ბებიას, ჩამოდი შვილოვო – სანამ ჯიბეში ფულს არ ჩაუდებდა არ ჩამოდიოდა.

უბედური ყავდა გამჩენს ჩემი სვანი მეგობარი თემურ ჟორჟოლიანი, ერთხელ მივედი სტუდქალაქში (ვაკეში) და მითხრეს: სტადიონზეაო, – სტუდქალაქს ჰქონდა პატარა სტადიონი, მივედი და რას ვხედავ, დაუყენებია უცხო თესლის ბიჭები, სტუდენტები (ისინიც იქ ცხოვრობდნენ) რიგში და გაუვლის თუ გამოუვლის ულაწუნებს სილას, მივვარდი: რას ჩადიხარ-მეთქი, თურმე საერთო საცხოვრებლის კორიდორში რადიო ეკიდა და დილის საარი – ქართული სიმღერები არ ესიამოვნათ რომელიღაც ვიგინდარებს, აუღიათ რადიო და იატაკზე დაუმტვრევიათ. მე მითხრა: – შენ არ ჩაერიოო, ერთი კვირა აწამა, სანამ არ გაარკვია, ვინ დაამტვრია და თვითონვე დაასჯევინა დამნაშავენი. ცეკვა იცოდა სასწაული, ტვისტი; რომ შემოარტყამდა მოკასინის ქუსლებს მის ყურებას არაფერი სჯობდა, ურხო კეკონენის წინდები ეცვა სისხლივით წითელი, ლაკის ფეხსაცმელები (ურხო კეკონენი ფინეთის პრეზიდენტი იყო და მისი სახელობის წინდები შემოვიდა მოდაში), მე კახეთში ჯაგებში, ბარდნარში ვენახებში გაზრდილი ბიჭი ვიყავი და ცეკვისა რა ვიცოდი, გადაიყვანდა თემური რომელიმე ლამაზმანს, მოღლიდა ცეკვით, დანარჩენ პროცედურებს მე ვასრულებდი, ეს პროვინციელი მოუხეშავი ბიჭი.

გენიოსი და თავიდანვე პროფესორა გვყავდა ალექსანდრე ახატნელი, საბურთალოს ქუჩაზე ცხოვრობდა – ინსტიტუტამდე ვაკეში ფეხით მოდიოდა, ზურგზე გადაკიდებული ბადე "სეტკა" წიგნებით ჰქონდა სავსე, გამაჩერებდა და მეტყოდა: – აბა გამომკითხე, 30 სიტყვა ვისწავლეო, გერმანულს სწავლობდა, ლექტორებს ეშინოდათ მისი, ისეთი კირკიტი იცოდა, მიადგამდა რომელიმე კლასიკოსს ფეხს და ამუშავებდა – წაღმა-უკუღმა, ეს ასე არ უნდა ეთქვაო და ის ისეო. ლექტორები ეხვეწებოდნენ: – ეს ხმა გარეთ რომ გავიდეს, სამსახურს დაგვაკარგვინებენო. ხოდა ეს ალიკა ავირჩიეთ ჩემს მეჯვარედ, რა თქმა უნდა, ქორწილში სხვა მეგობრებთან ერთად ისიც იყო, დამთავრდა ქორწილი, ჩამოვედით თბილისში, და მომაკითხა. – იქ, ქორწილში, იმდენ ხალხში ვერც კი დაგელაპარაკე წესიერადო და რესტორანში გეპატიჟებიო. დავთანხმდი, ვზივართ მე და ალიკა თითო ბოთლი რვა ნომერი გვაქვს დალეული. და აი, ალიკამ წამოიწყო თავისი ისტორია, ის ადრევე, სტუდენტობისას დაქორწინდა ლამაზ ქალზე, მამა ქართველი ჰყავდა ალიკას ცოლს და დედა რუსი, ხომ იცი. დიდი გამოცდილება მაქვს ცოლთან ურთიერთობისაო, ჩასიძებული იყო – ერთი მინდა გირჩიო, თუ ახლავე არ ეცადე და ცოლს ცოტა სუსხი არ აგრძნობინე, მერე იცი როგორ იციან თავზე წამოჯდომაო? და მოჰყვა, მე სმას მოვუმატე და სისხლი ლამის ტვინში ამასხას, წარმოვიდგინე ცისანა მხრებზე წამომჯდარი და აღვირით მმართავს, გადავირიე, აღარ ვიცი რა ვქნა, არადა სიყვარულის ნექტარი ჯერ კიდევ კარგად არ შემისვია, ველარ ვითმენ, ალიკას ვაჩქარებ, თუ ძმა ხარ მოვრჩეთთქო, ალიკამ დააბოლოვა – ძმაო ანზორ, ცოლი კარგად მყავს დამუშავებული, მაგრამ ცოტა სიდედრი ახურებსო, რომ მივალ სახლში შენც გაიგებო, რა დღეში ჩავაგდებო, ან მე უნდა ვიყო, ან ის. დავშორდით ერთმანეთს. სახლში შევედი თუ არა, ცისანამ შემატყო, ამის საქმე არ არის კარგადო, აქეთ მომეფერა, იქეთ ტკბილი სიტყვა იხმარა, მაგრამ მე ლობე-ყორეს ვედები, შარი მინდა მოვდო, ავუწიე ხმას, აუწია იმანაც, რომ ვერ გამაჩერა, მთხოვა ტელევი-

ზორს ავუწევო, დავთანხმდი, ვიფიქრე ალბათ ჩხუბის ხმა მეზობლებს არ უნდა გააგონოს-მეთქი. ხოდა, მეუბნება: – ანზორ, საინტერესო გადაცემაა საბერძნეთის ეკონომიკაზე, ეს მოვისმინოთ და მერე გავაგრძელოთო. გადავირიე, ვაგინებ ალიკას, ამას რა გამოასწორებს, თურმე ღადაობს, მე კი გულზე ვსკდები. ავდექი, მივწექი და მივიძინე, გათენდა. ერთი დღე გავიდა, მეორე... ალიკა არ ჩანს, არადა მაინტერესებს იმან რაღა ქნა, ამ დროს გამოჩნდა მტვერში ამოგანგლული, გაბურძგნილი თმით, გაუპარსავი. მივვარდი, ცუდად ხომ არ ხარ, რა დაგემართა-მეთქი, ნუ მკითხავ, სახლში რომ მივედი სიდედრი დამხვდა მარტოდმარტო (პაშა ერქვა) ვიფიქრე , ახლა მაქვს მომენტი, ახლა უნდა გავტეხო,. დავიწყე გინება, ავიღებ ერთ თეფშს, ერთ კედელს ვთხლიშავ, მეორეს – მეორე კედელს, ვბობოქრობ, ვანგრევ ყველაფერს. პაშა მუხლებზე დაეცა, მკოცნის, დაწყნარდი შვილო, მე მოვუმატე და მოვუმატე, უცებ რაღაც ხრიკი იხმარა, შემომაპარა, გული მაქვს ცუდად და გარეთ გავალ ერთი წუთით ჰაერზეო, მე შემეშინდა, არშემომაკვდეს-მეთქი, "მათოხლა", გარეთ „პადიეზდში" ტელეფონი ეკიდა, თურმე კამოს ქუჩაზე დაურეკია (მაშინ საგიჟეთი იქ იყო), სიძე გამიგიჟდა, მიშველეთო. ვაგრძელებ მტვრევას. არ გასულა დიდი დრო, გაიღო კარები და ორი ბეხლენი კაცი შემოვარდა, მოულოდნელად გადამაცვეს თავზე ტომარა და თოკებით შებოჭვა დამიწყეს, ვყვირივარ და ამ ყვირილში გამათრიეს გარეთ, წამიყვანეს – წამიღეს, აზრზე არ ვარ, მალევე ჩამეძინა, ნასვამს და ნანერვიულებს კარგა ხანს მეძინა, რომ გამომეღვიძა, ისევ ავტეხე ყვირილი, გამიხსენით, გიჟი ხომ არ გგონივართ-მეთქი, გაიმართა ექიმთა კონსილიუმი. გადაწყვიტეს: სიმპტომები ჯდება, ხელებს ამოძრავებენ, აქეთ გააყოლე თვალი, იქეთ გააყოლე თვალი და ვართ ამ დღეში. ახლაღა მოვიდა მამაჩემი, 500 მანეთი გადაიხადა (დიდი ფული იყო ეს) და ძლივს გამომიშვეს, თუ ძმა ხარ, მე ჩემს სიდედრს სათოფეზე აღარ გავეკარები და არც შენ გირჩევ ცოლის გამოსწორებას ამის შემდეგო.

*******

**"გამბედაობა და იმედი ახალგაზრდების თვისებაა".**
**"კაცი მიდის ბილიკ-ბილიკ,**
**კაცს უჭირავს სული კბილით"**
**........................................................**
**რაც არ უნდა იყო გმირი,**
**სული მაინც არის ტკბილი"**

**მ. მაჭავარიანი**

მე ძილსა თუ ღვიძილში, ჩემი სოფელი მელანდებოდა. მახსენდება იქაური გაჭირვება, მამაჩემი ხელობას მასწავლიდა, არდადეგებზე გარე სამუშაოებზედაც კი დავყავდი. არასოდეს გაალვიძებდა შეგირდს, მათზე ადრე ჯერ შენ უნდა ადგეო, შენ წინ უნდა იაროო და ნამძინარევი მივბლაყუნობდი მათთან ერთად სამუშაოდ. სადურგლო სამუშაოებს ვიღებდით: კარ-ფანჯარა, სახურავი, იატაკის დაგება, და თითქმის სახლს რაც უნდოდა, ავეჯით დამთავრებულს ვაბარებდით. მახსოვს, ერთხელ მე და შეგირდებმა მამაჩემის ჩუმად გამოუცხადეთ ოჯახის უფროსს, მარტო გაუფცქვნელ კვერცხს, ვჭამთ, გაუფცქვნელ კიტრს და პამიდორსო, პური არ გვიყვარსო. ადრე ერთ ბინძურ ოჯახში ვმუშაობდით, მდიდრები იყვნენ, მაგრამ საშინლად უსუფთაოები, ქალი ცომს რომ ზელდა ვხედავდით, ბავშვები მივიდოდნენ და წვინტლიანი ხელებით ეხმარებოდნენ დედას ცომის მოზელვაში...

სახლის უკან შემოღობილი ადგილი იყო, ვერაფერი ვერ შედიოდა (ქათამი-საქონელი), ფანჯრები ჰქონდა სახლს დაყოლებული შემოღობილის მხარეს. მამაჩემი თან სკოლაში პედაგოგად მუშაობდა, რომ გავიდოდა გარეთ ან სკოლაში, ჩვენთვის მოტანილ კერძს ასევე გადაუძახებ ფანჯრიდან გარეთ. ერთ დღეს შემოვარდა მამაჩემი, თქვენ გამჩენძაღლებო, თქვენ ასეთებო და ისეთებო, ეს რა გიქნიათო, გაოფლილია, დაღლილია, თურმე ჩვენი გადაყრილი საჭმელების გორა

უნახავს, ერთი კვირა ვმუშაობდით და დღეში 2-3-ჯერ ვყრიდით, უპოვნია ბარი და მიწაში დაუმარხია. ოჯახის უფროსმა არ ნახოსო. ხელები უროსავით მქონდა ნაჯახისა და შალაშინის ხმარებისაგან, გამახსენდებოდა ხოლმე ჩემი წარსული: მე და ჩემი ახალი მეგობრები, საგამოცდოდ რომ ვემზადებოდით, მე ვუკითხავდი მასალებს, მოსწყდებოდათ კისერი, – დავიღალეთ დაგვასვენეო. მე ჩემ გულში ვფიქრობდი, ოღონდ ის შალაშინი და ნაჯახი არ დამანახოთ და წიგნის კითხვა როგორ დამღლის-მეთქი. ესენი ფაქიზად იყვნენ გაზრდილნი. აი ასე ვყალიბდებოდით.

***

*"ღმერთმა კამათელი გააგორა"*
*აინშტაინი*

## „ჩვენ ძლიერთ გვმართებს ვზიდოთ უსუსურთა უძლურება და არ ვეძებოთ საკუთარი თავის სიამე"

ამაყია, ბედნიერია ადამიანი, რომელსაც გვარიშვილობა მფარველობს, გზამკვლევივით უძღვება წინ, რწმენას და იმედს აძლევს კაცს, საამაყო გვარისშვილი ვარო, მაგრამ, სამწუხაროდ, იტყვიან ხოლმე, დიდებულ გვარებს გლახა შვილები არცხვენენო.

რამდენიც გინდათ დაიარება ამ ქვეყანაზე ახლადშექმნილი გვარები, რომლებისაც მრავალ თავადსაც და აზნაურსაც შეეხარბება. სახელოვანი გვარები დიდი რუდუნებითა და სისხლისღვრით, თავდადებული გმირობით იქმნებოდა. დღეს საამაყო გვარის შვილი ის არის, ვინც დროშასავით მაღლა აწეულს დაატარებს სპეტაკად ინახავს თავის გვარს, გადასცემს თავის შთამომავლობას, მოდგმას, სამწუხაროდ და საუბედუროდ, რამდენი დადის დაკნინებული და ფიზიკურად დაცემული დიდგვაროვანი.

სოფელ იყალთოში მყავს უდიდესი მეგობარი, ვაჟკაცი, ელგუჯა ბოტკოველი, როდესაც თანამდებობები მეკავა და ვჩანდი, ბევრ ვითომ მეგობარს უფიცია ჩემი გვარი და სახელი, მაგრამ როგორც კი გადავდექი მათთვის საჭირო თანამდებობიდან, ყველა გაიფერთხა. სოფელი მიყვარს. მენატრებოდა სოფელში ჩასვლა, სოფელში ნაშრომს ტკბილ სიმყუდროვეში ლაღად ძილი. დედაჩემი გამაღვიძებდა – შვილო, უნდა გაგაღვიძო, აბა გაიხედე, რამდენი ხალხი გელოდება, მანქანები აღარ ეტევა ქუჩაშიო. ავდგებოდი ზლაზვნით, როგორც კი გადავდექი თანამდებობიდან, დედა მეხვეწებოდა, – რატომ ადექი შვილო, იძინე მშვიდად. არავინ აღარ გელოდებაო. აი ეს ვაჟკაცი ელგუჯა ბოტკოველი და რამდენიმე მეგობარი შემომრჩა, რომლებსაც ერთი წუთითაც არ მივუტოვებივარ, არ დავვიწყებივარ. კარგი ოჯახის შვილი არის ჩემი მეგობარი თავისი გერგილიანობით, მოხერხებულობით, გარჯით და ოფლისღვრით. ალბათ თელავის რაიონში ერთ-ერთი ულამაზესი სახლი აიშენა, სამოსახლო ადგილი შეარჩია იყალთოს აკადემიასთან, უკიდურეს, მაღლობ ადგილზე. ეს ადგილი თავად მაყაშვილებს ეკუთვნოდათ, ელგუჯას შესთავაზეს ხომ არ იყიდიო. ელგუჯამ იყიდა მათგან, მაყაშვილებს ელგუჯას მეზობლად ედგათ ერთსართულიანი ქვიტკირის სახლი. ერთ დილას გაიღვიძა ერთ-ერთმა ძმამ და აღვიძებს ძმებს, ადექით, გაიღვიძეთ, გაიხედეთ ელგუჯას რა ლამაზი სასახლე აუშენებიაო. მაყაშვილებს დარჩათ სამი ვაჟიშვილი, ერთმანეთზე უარესი ზანტები და უგერგილოები. დილაუთენია აიღებენ თოფებს და შეეფინებიან იყალთოს მთებზე გაშლილ ჯაგნარებს, სანადირო არაფერია და გულის ჭიას ახარებენ, ასე გაყავთ დრო ულიმღამოდ. სამივე ძმამ ერთად წამოიძახა: ახლა მამაჩვენი წამოახედა, შეგვაქებს რა ვაჟკაცები დავტოვე მემკვიდრეებადო, რა სახლკარი აუშენებიათო, ალბათ სიხარულით გაცოცხლდებაო. გვარის საამაყო ის არის, მშობელი რომ დაუტოვებს განძს, სახლ-კარს, მამულებს და მომავალი თაობა ხატად აქცევს, ფუძეს რომ განამტკიცებს, უბედურია ის გვარი, ის მშობელი, შვილი ფუძის სახლს რომ მიატოვებს; საგვარეულო სახლ-კარის გამოკეტვა, გაყიდვა დიდი ცოდვაა და აუცილებლად დაისჯება მისი ჩამდენი, ვაი იმ უბედურ გვარს, ძირძველ მამულებს რომ მოსპობს, ვენა-

ხებს რომ აჩეხავს, ლუდისა და კოკა-კოლას პროპაგანდას რომ დაიწყებს, სახნავ-სათესს იალაღად რომ აქცევს.

*******
**"დიდი რამე რომ აღმოაჩინო**
**და მტრის მახეში არ გაება,**
**რაა საჭირო?! –**
**თავშეკავება".**
**........................................................**
**"ლუკმა გახდები ყვავების, –**
**ნიჭი თუ არ გაქვს თავშეკავების"**
**........................................................**
**"ქვეყანა დაღუპა შურმა,**
**უღმერთოდ იცინის ღმერთი,**
**რა გალაპარაკებს თურმე!**
**გაჩერდი,**
**იყავი შენთვის!"**

**"ვით ამოღებული მოვდივარ ხმალი:**
**ფეხთ მიწა მაცვია,**
**თავს მხურავს ზეცა...**
**ღმერთო დიდებულო,**
**მამყოფე მარად**
**ისეთ ხასიათზე,**
**როგორზეც**
**დღეს ვარ...**

**მ. მაჭავარიანი**

გადის დრო, გადის ხანი და დედაჩემის შვილს მე რა გამაჩერებდა. მდორე ცხოვრებას ვერ ვეგუები ახლაც, მაშინ კი ხარივით ვბორგავდი. ვეძებდი ცხოვრებას, ვეძებდი სიახლეს, ვეძებდი მომავალს. 1964-1967 წლებში მეცნიერებათა აკადემიაში ვმუშაობდი, სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარემ, ცხონებულმა ვლადიმერ უზნაძემ, წამიყვანა თავისთან სამსახურში, როგორც წარჩინებული სტუდენტი და მუშაობა დამაწყებინა მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში, ვიყავი კომკავშირის მდივანი; ვმუშაობდი წიგნის ანოტაციაზე, კარტოთეკების განყოფილებაშიც მომიწია მუშაობა. ეს იყო ჩემთვის უდიდესი სკოლა, მიყვარდა წიგნი, დღედაღამ წიგნთან და კომკავშირულ მუშაობასთან მქონდა საქმე, წიგნის ანოტაცია ძალიან დიდ ცოდნას და ერუდიციას მოითხოვს; რამდენიმე სტრიქონში უნდა ჩამოაყალიბო წიგნის შინაარსი, ძირითადი საკვანძო საკითხი, ვისწავლე ბიბლიოგრაფიული კითხვა, თუ ჩვეულებრივ მკითხველს კვირები სჭირდება რაიმე სქელკანიანი წიგნის წასაკითხად, ვინც ბიბლიოგრაფიული კითხვა ვიცით, ერთ-ორ დღეში ვკითხულობთ; მიყვარდა წიგნი, მიყვარდა ლექსი, სულ თავთან მედო ლექსების კრებულები, ლექსებთან ერთად მეძინა. ამ დროს ყველას არ ჰქონდა უფლება სპეც-საცავში შესვლის, ანუ აკრძალულ გასაიდუმლოებული ლიტერატურის კითხვა, მე, როგორც კომკავშირული ორგანიზაციის მდივანს, უფლებას მაძლევდნენ. ამ დროს აკადემიის პრეზიდენტი იყო ნიკო მუსხელიშვილი. აკადემიის პრეზიდიუმში იყო ცხონებული კონსტანტინე გამსახურდია, მახსოვს, ჩოხა-ახალუხით დაიარებოდა, რომ შეგვხვდებოდა მეც და ახალგაზრდებსაც, თავის დახრით გვესალმებოდა, ხშირად ვესწრებოდი პრეზიდიუმის სხდომებს, ძალიან ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვანს ვიგებდი. ერთხელ, მახსოვს, ფეხზე ადგომით თაყვანი სცეს იმ პირებს, რომლე-

ბიც ამ დარბაზში სხედან, მაგრამ მათი სახელების გამხელის უფლება არ გვაქვსო, რომლებიც საზღვარგარეთთან თანამშრომლობენ და ბეწვის ხიდზე დადიანო, სიცოცხლეს სწირავენო. მაშინ გამძვინვარებული "სუკი" მუშაობდა და ალბათ თითოეული მოქალაქე ვიყავით გამადიდებელი შუშით შესწავლილი. ნახევარ განაკვეთზე ვმუშაობდი, 42 მანეთი მქონდა ხელფასი. ცისანა, როგორც წარჩინებული სტუდენტი უნივერსიტეტში დატოვეს. ლაბორანტად, დაახლოებით იმასაც ასეთი ხელფასი ჰქონდა, გვიჭირდა, მაგრამ არ გვეშინოდა – გამბედაობა და იმედი ხომ ახალგაზრდების თვისებაა – მე ვიცოდი, რომ უნდა გადამელახა ეს ბარიერი, ჩემი მიზანი იყო გამარჯვება; უნდა გამერღვია ცხოვრების მძიმე კარი, უნდა გამემარჯვა. ვიბრძოდი, ვბობოქრობდი, ვსწავლობდი, ვკითხულობდი ვეძებდი... მახსოვს, დეპეშა გავუგზავნე მამაჩემს, მუშაობა დავიწყე აკადემიაში და ვფიქრობდი მას გავახარებდი. უახლოეს ხანში მომიწია სოფელში ჩასვლა და მამა უხასიათოდ შემხვდა, გამოვკითხე – მამა, რატომ ხარ მოწყენილი? – ღმერთო, მიშველე, ამ ინვალიდმა კაცმა მითხრა, სანამ მე და დედაშენი ცოცხლები ვართ თქვენ უნდა ისწავლოთო. არ მოეწონა ჩემი მოსამსახურეობა, გადავწყვიტე ეს სურვილიც შემესრულებინა და დავიწყე მეცადინეობა, ამ დროს კანონი გამოვიდა, სტუდენტს, ვისაც წარჩინების დიპლომი ჰქონდა, უფლებას გვაძლევდნენ, მეორე ფაკულტეტზე, მეორე სასწავლებელში, განსხვავებული საგნების ჩაბარების შემდეგ ჩავრიცხულიყავით. მე ჰუმანიტარული საგნები მქონდა გავლილი და ტექნიკური საგნები არ ვიცოდი, ძალიან ცუდად ვიცოდი მათემატიკა, არადა ალბათობის თეორია იყო ყველაზე გადაულახავი, რთული საგანი, რომელიც უნდა ჩამებარებინა. პროფესორ კოლონიასათვის, ეს კოლონია, როგორც მზექალა შანიძე მკაცრი გამომცდელი იყო, პედანტურ წვრილმანებსაც კი აქცევდა ყურადღებას. – არ ვიცი, რამ გამაბედინა, ავიღე სახელმძღვანელოები და მე-3 მე-4 კლასიდან დავიწყე მათემატიკის ხელახლად შესწავლა, დღეს და ღამეს ვასწორებდი. ცისანა ძალიან ბევრს მეხმარებოდა, ეკონომიკური განათლება ხომ ცისანას გავლენით ჩავიდე გულში (დავამთავრე მრეწველობის დაგეგმვა), – წარმოიდგინეთ, დღესაც არ ვიცი ალბათობის თეორიის ანა-ბანა, ლექსივით ვსწავლობდი, დღე და ღამ ვიზუთხავდი, ცისანა დამსვამდა და ლექსივით ჩამოვუჭიკჭიკებდი. ალბათობის თეორიის იმ სასწავლო ნაწილს, რომელიც სავალდებულო იყო, როგორც იქნა, გავუძვერი კოლონიას, ჩავაბარე სხვა საგნებიც, სულ 5 თუ 6 საგანი და ჩავირიცხე მრეწველობის დაგეგმვაზე – საღამოს დასწრებულზე, გამომიჩნდა პრობლემა: ვინც ეკონომიურზე – საღამოს დასწრებულზე ან დაუსწრებელზე ვსწავლობდით, პროფილით მუშაობას გვთხოვდნენ, არადა ვარ ამ ინტელიგენციაში, ამ ნაღებში. მახსოვს ცხონებული ვასილ მჟავანაძე – ცეკას პირველი მდივანი – რუსთაველზე ჩამოვიდოდა მანქანიდან და ცენტრალური კომიტეტის შენობისაკენ, ჩიტაძის ქუჩით, ფეხით ამოუყვებოდა ისე, რომ მის ახლოს ვერავის ვხედავდით უცხოს, ან დაცვას, ან მილიციას, მოდიოდა წყნარად, ათვალიერებდა ყველაფერს. მე ვერიდებოდი, ქუჩის მეორე მხარეს გადავდიოდი, მაგრამ ქუდს მოიხრიდა ასე მოგვესალმებოდა, უაღრესად თავმდაბალი და საყვარელი კაცი იყო ცხონებული. სადაც წავიდოდა, რომელ კუთხეშიც რაღაც სიკეთეს სთესავდა. ახლაც ვხვდებით მის აშენებულ სამონადირეო სახლებს, სასახლეებს, მინდვრებში გაყვანილ გზებს, ვიღაც ინტრიგანი ეჯდა თურმე ერთხელ მანქანაში, კახეთში ცინკით დახურულ სახლებისაკენ გაახედეს – აი, ვასილ პავლეს ძევ, ეს სულ უკანონო გზებით არის გადახურულიო. მჟავანაძემ შეუტია: – რა იყო შე კაი კაცო, სახლი დახურა, სადმე ხომ არ გაიტანაო. საერთოდ ლეგენდები დადიოდა იმდროინდელ ხელმძღვანელებზე: გეგეშიძე გიორგი (ჟორა) იყო ცეკას მდივანი, უდიდესი პატრიოტი კაცი იყო. არსახსენებელი ნიკიტა ხრუშჩოვი რომ ჩამოვიდა საქართველოში, ბოღმით სკდებოდა ჩვენს ცხოვრებას რომ უყურებდა, მშენებარე ფილარმონიასთან და სპორტის სასახლესთან რომ გაატარეს, გააჩერებინა ესკორტი და ლანძღვით იკითხა: – ეს რა ხდება, ეს რა პომპეზური მშენებლობა წამოგიწყიათო. დაიბნა ყველა, ვერაფერს პასუხობენ. წინ წამოდგა ცხონებული ჟორა და რბილი ტონით წყნარად მიმართა: – ეს ამხანაგო ნიკიტა სერგის ძევ, რაღაც დაწუნებული ნარჩენი მასალები რომ გვრჩება სამშენებლო ობიექტებზე, იმისაგან ვაშენებთო. ნიკიტამ ხელი ჩაიქნია და ასე გადავრჩით. ადვილი შესაძლებელი იყო გაეცამტვერებინა ყველაფერი. აი ასე დაგვრჩა გეგეშიძის სახელზე, სახელმწიფო ფილარმონიის ბრწყინვალე შენობა და დიდებული სპორტის სასახლე.

ერთხელ ტაქსის მძღოლი მომიყვა, რიკოთზე გადმოვდიოდი, ქუთაისში წავიყვანე “კლიენტები”, უკან რომ მოვდიოდი დამიღამდა, შიშით და კანკალით (ღამის მეშინიაო) რიკოთზე სულ მაღალ ადგილას გავიხედე. ვხედავ, დგას შავი ვოლგა, სინათლეები ჩამქრალი აქვს, ვიფიქრე, ვინმე ავაზაკები ხომ არ არიანო და მივადექი კიდევაც ზედო; გადამიდგა ერთი კაცი, როგორც შემდეგ გავიგე, მძღოლი იყო, მოვიდა და მთხოვა, მანქანა გამიფუჭდა და იქნება ამ აღმართზე გადამიყვანო, დამეხმარეო. შეშინებულმა ჩავუბი “ბუქსირი ”, დავქოქე მანქანა და გავუდექით გზას, უღელტეხილზე რომ გადავედით, მადლობა მომიხადა და მითხრა: – აქედან აღარ შეგაწუხებთ, ვერ შეგბედავთო. იქ როგორ დავტოვებდი, ჩამოვიყვანე ხაშურში და პროფილაქტიკასთან ჩავხსენი “ბუქსირი”, გაიღო ვოლგის კარები და გადმოვიდა ცილინდრიანი კაცი, ამოიღო დიდი შეკვრა ფული და შემომთავაზა, მე კატეგორიულად ვიუარე, როგორ გეკადრებათ ფულს როგორ ავიღებ-მეთქი. ვიფიქრე, ოღონდ ამათ გავშორდე და მეტი არაფერი მინდა. ჩამოვედი თბილისში, მეორე დღეს ისევ სატაქსაოდ გამოვედი, უცებ ატყდა სირენების ხმა, შემომერტყა ინსპექციის მანქანები, შემომიძახეს: – ჩქარა გადმოდი მანქანიდანო, გადმოვედი გულგახეთქილი, ჩამსვეს თავიანთ მანქანაში და ჩიტაძის ქუჩაზე “ცეკაში” მიმიყვანეს. ყველა გვითმობს გზას მივყავარ კორიდორებით, შემდეგ ლიფტი და გაიღო ერთი დიდი კაბინეტის კარები და მობრძანდი ბატონოო, ფეხი შევადგი, მუხლები მიკანკალებს, გავიხედე და ძალიან, ძალიან გრძელ კაბინეტში, შორს ზის ვიღაც და მიღიმის, მოდი ახლოს, ნუ გერიდებაო, ერთი კი წავილუღლუღე: – რა დავაშავე, ბატონო. მან განაგრძო: შენ ის კაცი არა ხარ წუხელის “ბუქსირით” რომ წამოგვიყვანეო. კი ბატონო, ხომ არაფერი დამიშავებია-მეთქი. ისევ ვკანკალებდი, მე ვარ გეგეშიძეო, გამეცნო. გამომკითხა ჩემი ოჯახური მდგომარეობა, 5 შვილი მყავდა, ვცხოვრობდი სარდაფში, რომელიც “ატსტუპნოით” მქონდა აღებული. – ბატონო, კმაყოფილი ვარ ჩემი ბედის, დიდი მადლობა ყველაფერზე, – ვთქვი მე. ვხედავ, აიღო ყურმილი და ურეკავს ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს, ვინმე მელაძეს, ახლავე გამონახე 5-ოთახიანი ბინა, წაიყვანე მანქანები, გადაატანინეთ თავისი ბარგი, დაუდგით ტელეფონი და საკუთარი ტელეფონით დამალაპარაკეთო. ჩამსვეს ისევ ინსპექციის მანქანაში და ისევ სირენებით მიმაყენეს ჩემს სახლში. გამოცვივდა ჩემი ოჯახი წივილ-კივილით; ეს რა ხდება ჩვენს თავსო, დავიღუპეთო, ავარია ხომ არ მოგიხდაო, ჩაგვაბარგეს ჩვენი ბარგი-ბარხანით და შეგვასახლეს 5-ოთახიან ბინაში, ხმის კანკალით მოვუხადე ბატონ ჟორას მადლობაო....

აი ასეთი მამულიშვილები და დიდი სულის, გულის ადამიანები გვყავდა მთავრობაში, აქვე მინდა გავიხსენო ერთი მომენტი, კომუნისტებს წესად ჰქონდათ, სანამ კაცი არ დაღვინდებოდა, ასაკში არ შევიდოდა, ხალხის ბედს არ ანდობდნენ, თუ პრაქტიკულად არ ჩამოყალიბდებოდა კაცი, უნდა გაგვევლო რიგი ინსტანციები, მუშიდან დაწყებული და აი მერე თუ გვანდობდნენ ხალხის ბედს.

ერთხელ ასეთი პრეცენდენტი მოხდა ჩემს რაიონში, რაიკომის მდივნად დანიშნეს 32 წლის ბიჭი, ძალიან ჭკვიანი ახალგაზრდა იყო, კარგი ხელმძღვანელი. მახსოვს, მე თვითონ ვესწრებოდი ჩვენი კოლმეურნეობის საანგარიშო კრებას, მდივანი ატარებდა. ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ძია საქულა, უძლიერესი კაცი იყო, ამავე დროს პრინციპული და შეუპოვარი, არც ზევით და არც ქვევით უსამართლობას არავის პატიობდა, არ ეპუებოდა, და აი მდივანმა ჩაიდო გულში ამ კაცის მოშორება, მიმდინარეობს კრება: ძია საქულა აკეთებს მოხსენებას, ჩამოთვლის უზარმაზარ მიღწევებს. აყვავდა სოფელი, აშენდა სკოლა, საავადმყოფო; რაიონული დონის, საუკეთესო კინო-თეატრი, გზები მოასფალტდა, რადიო – ტელეფონების ქსელი, კაცი რომ ინატრებს, საქმე ისე მიდის, დაამთავრა მოხსენება და სიტყვა რაიკომის მდივანმა აიღო, შევყურებთ გაოცებული, აქებს და ადიდებს ძია საქულას, იმეორებს მის მიღწევებს, ისტორიულიაო. განუმეორებელიაო, მაგრამ გვმოძღვრავს ჩვენ თავს არ ეპატიება, ამხელა დამსახურების კაცი ასე გავიმეტოთო, ამ კაცს ახლა ოქროს გალია უნდა ავუშენოთ და ცივი ნიავი არ უნდა მივაკაროთო, აი მივცეთ თავმჯდომარეობა ვართანა ღუკასოვსო, თავის ცხოვრებაში ნორმალური დატვირთვა არ მიგვიცია, ახლა ამან ღვაროს ოფლიო. ხალხი გაბრიყვდა, არის ერთი ოვაცია, საქულა ძიასაც ცრემლები ადგას თვალებზე ასეთი “დაფასებისათვის”, მაგრამ აი დამთავრდა კრება და აბა ძია საქულ შენი ბარგი გაიტანე კაბინეტიდანო, მერეღა მიხვდა ძია საქულაც და ხალხიც, რაც გაუკეთეს ტექნი-

კურად. რაიკომის მდივანი მაშინ მეფე იყო რაიონში, ვინ შებედავდა უარს, დიდ საქმეებს აკეთებდა, მაგრამ ახალგაზრდობამ ერთი სენი შეჰყარა, მისი ყველა სურვილი განუსჯელად უნდა შესრულებულიყო ახალგაზრდა იყო და სისხლი უდუღდა.

ქალები, მათ შორის ხელმძღვანელი მუშაკების ცოლები, რომ მოიწყინა, კაცებზე გადავიდა, უკულმართი ცხოვრება დაიწყო, კავკასიონის მარმარილოს საბადოებთან აგებინებდა მდინარეებში ფაზენდებს, "საიდუმლო სერობისათვის" – ყოველგვარ უზნეობას ეწეოდა.

ყველანაირად შეუზღუდავი იყო – ფრთხილად, მეგობრებო, ნუ დაღუპავთ ახალგაზრდობას, მომავალ თაობას. აქვე მინდა გავიხსენო ცხონებული ჩემი სიმამრი ლადო სეხნიაშვილი. ვინმე უცხოს სხვა მხარის რომ აირჩევდნენ ჩვენს კოლმეურნეობაში, ასე იტყოდა ხოლმე: – ჩვენი სოფლელი ავირჩიოთ, ბატკანს რომ შეჭამს ძვალს მაინც გადაუგდებს ჩვენი სოფლის ძაღლსო. ერთხელ ახალი თაობის თავმჯდომარეებზე მელაპარაკებოდა, კრებას ესწრებოდა ხოლმე, პენსიაში ყოფნის დროს, რომ ვუყურებ როგორ ჩქარობენ კრების დამთავრებას და პურმარილზე წასვლასო – მიკვირს მათი მოქმედებაო. – რომელ წყალზე, რომელ ტყეში, რომელ მდელოზე გავშალოთ სუფრაო... – ჩემ დროსო, მეტყოდა ხოლმე რაიკომის მდივანი როგორ გაიყვანდა კვირას ყველა კოლმეურნეობა "ზებოვკით" არ შემოევლოვო. – მე კი, შვილო თავმჯდომარე რომ ვიყავი, დილით გადავტეხავდი ერთ კახურ შოთს, ნახევარს ერთ ჯიბეში ჩავიდებდი, ნახევარს მეორეშიო, გალიფე შარვალი მეცვა, დილით ჩავატარებდი თათბირს, გავუშვებდი ხალხს სამუშაოდ და დავუყვებოდი მინდვრებს, თითოეულ მთოხნელთან და მევენახესთან მივდიოდი ყოველდღეო. ჩავყვებოდი ალაზნის პირამდის, მწკრივ თელებს ვეძახდით – ალაზნის პირას იყო – თითქოს ხელოვნურად მწკრივში დარგული დიდი თელის ხეები, აქვე გამოდიოდა წყაროები, ცივი მიწისქვეშიდან ამოჩუხჩუხებდა – ერთ ნაჭერ ხმელ პურს ჩავალბობდი წყაროს წყალში, დავნაყრდებოდი, ცოტას წავუძინებდი და ისევ შემოვუყვებოდი სოფლის ნაკვეთებს. საღამოს ისევ თათბირი, მეორე ნატეხ პურს აქ შევჭამდი და ასე ვამთავრებდი ყოველ დღეს. აბა, შვილო, დღეს დიდი და პატარა ღვინის "შტოფებით" დარბის დილიდანვე, ვინ რა უნდა შეგვმატოსო.

***

*"მოგეხსენებათ, რა ძნელია პოემის წერა;*
*არა ერთი და ორი გახდა ამ საქმის წერა."*
*მ. მაჭავარიანი*

მიჭირს თანმიმდევრობის დაცვა. ვუბრუნდები ისევ ჩემი და ცისანას ცხოვრებას; ვეძებ სამსახურს, რომელიც პროფილით მუშაობაში ჩამეთვლება, წარვადგენ ცნობას და ისევ სტუდენტი ვარ. ბევრი ვეძებე სამსახური, მაგრამ ვერსად ვნახე შესაფერი. და აი, ლილოს ნავთობბაზა, უზარმაზარი ორგანიზაცია იყო. მთელ საბჭოთა კავშირში თავისი ტევადობით და ტექნიკური აღჭურვილობით მესამე იყო (80-1000 ტონა ტევადობის). დღე-ღამეში მაშინ 2400-2500 ტონა საწვავს გავცემდით. მე შემომთავაზეს რიგითი დისპეტჩერობა, საქმე მქონდა სასაქონლო ზედდებულებთან, მილიონ ლიტრებთან, ბუღალტერიასთან და ზუსტად ჩემს პროფილში ჯდებოდა. 1968 წელს დავიწყე მუშაობა, როგორც უკვე ვთქვი, რიგით დისპეტჩერად, ცენტრალიზებული გადაზიდვების განყოფილებაში, გამგე იყო აზერბაიჯანელი კაცი ასკარა, ორი უმაღლესი ჰქონდა დამთავრებული, განათლებული, კულტურული კაცი იყო, მაგრამ არყის მოტრფიალე გახლდათ. ვიჯექით, ვმუშაობდით, უცბად დაეწყებოდა ოფლიანობა, ხელების კანკალი, შევეხვეწებოდი ჰაერში გადითმეთქი. გავიდოდა და 5 წუთში დამშვიდებული, დაწყნარებული შემოვიდოდა. პირველ ხანებში ვერ ვხვდებოდი თუ რა ხდებოდა, მერე და მერე კი გავიგე, რომ ალკოჰოლიკი იყო. ერთხელ აღიარა. "ზემელზე" ცხოვრობდა. იქვე განთქმული დუქანი იყო. რომ ჩავდივარ დილას, გალაკტიონი მელოდებაო, ხაშსა და 200-200 გრამ არაყს მივირთმევთო. შემდეგ მეტროთი ავლაბარში ამოვდივარ იმ დროს მშრალი კანონი იყო, შინელის ჯიბეებით იდგნენ არყის გამყიდველები. დაუსხამდნენ 100 გრამს და ისევ მალავდნენ ბოთლს და ჭიქას, 200 გრამს დაურტყამო და ბოლოს ლილო. რომ ვიანგარიშეთ, დღის განმავლობაში ერთ ლიტრზე მეტი არყის დალევა გამოუვიდა დღეში, ხოლო რაც

აქტიური სმა დაიწყო, რომ გავიანგარიშეთ 48 ტონა არაყი ექნებოდა დალეული. ისე რკინასავით მაგარი ჯანმრთელი კაცი იყო. ქეიფი და სუფრა მისი ჰობი იყო. ამიყოლიებდა მეც და ხან ერთ, ხან მეორე მძღოლთან ვქეიფობდით. ერთხელ შემოყო თავი ერთმა ხნიერმა მძღოლმა და "ფორთოჩ-კიდან" ეუბნება ("შტრაფნოიში" უშვებდა) გაბრაზებული, შვილო ასკარ, რა გინდა ჩემგან; პაპა-შენმა მოკლა პაპაჩემი, მამაშენმა მოკლა მამაჩემი და შენ მე მკლავო; შეეცოდა ასკარას და აღარ გაუშვა "შტრაფნოიში". გავიხედე და საღამოს სახლში გვეპატიჟება, სუფრა არის გაშლილი, ჩიტის რძე არ აკლია. მე მოხერხებულად გავწიე თეფში გოჭის ხორციანად, ასკარა გადაწვდა და თავის-კენ მისწია, ჩავუჩურჩულე, – ასკარ, ღორის ხორცია არის-მეთქი. ასკარამ შემომიტია, ღორის კი არა, გოჭის ხორცია და თუ ძმა ხარ შემეშვიო. ერთხელ ასკარამ მითხრა: საქეიფოდ მივდივართო, მიმაყენა ნავთის წერტს, ჩავდივართ სარდაფში, ორი სართულია მიწაში, შევიხედე, პატარა ჯორ-კო მაგიდა დგას და პურმარილი არის გაშლილი, ნავთის გამყიდველი ორი კაცია, მე და ასაკარაც შევუერთდით. ის საღამო ჩემს მეხსიერებაში დარჩა ერთ-ერთ დაუვიწყარ საღამოდ, "პურის ჭამა" მართლაც ამას ერქვა;

ერთი მოგვარე მყავდა – გივი ჯაფარიძე – თელავის საყოფაცხოვრებო სამმართველოს უფ-როსი იყო, მან მომიყვა: – რაიონში ზემდგომები რომ ჩამოდიოდნენ, "ცეკა", "ტეკა" მორიგეობით გვავალებდნენ მასპინძლობას, ორგანიზაციის ხელმძღვანელებსო. ამჟამად მე შემხვდაო, არადა დიდი პიროვნება ჟორა გეგეშიძე არის ჩამოსულიო. ტრადიციულად პურ-მარილს წინანდლის ბაღ-ში ვაკეთებთო, მაგრამ ამჯერად, ჩემი ინიციატივით, სხვაგან, ქვემო ხოდაშენში გადავწყვიტე მასპინძლობაო. გავცდით წინანდალს და რაიკომის მდივანი იგლეჯს ყველაფერს, სად მიდიხარო, შევედით ერთ ორღობეში, მივადექით ლასტებით დაწნულ არყის სახდელ "ზადს", შევაღეთ ლას-ტის კარები და გაოცდა გეგეშიძე, მთელ-მთელი შემწვარი გოჭები, დაუჭრელი ინდაურები, დედ-ლები, ხაშლამა ყრია სუფრაზე მთელ-მთელი. გაგიჟდნენ: – ეს რა ვნახეთო, გეგეშიძეს წინასწარ ჰყავდა მდივანი გაფრთხილებული, სულ ორი საათი მაქვს დროო – დილის 7 საათზე წავიდა აღ-ფრთოვანებული, კახური სითბოთი გამთბარი და კმაყოფილი.

***

## მარტყოფელი მიხა

ერთი მძღოლი მყავდა იოსებ მათიაშვილი, სოფელ მარტყოფიდან. კარგი ვაჟკაცი კარგი პი-როვნება იყო, იუმორით დაჯილდოებული კაცი. ერთხელ შემოყო თავი შუკუმში და მეუბნება: ერ-თი საინტერესო რამ მინდა მოგიყვე, გთხოვ მომისმინოო. დაიწყო: – ჩვენს სოფელში ერთი მევე-ლე გვყავდა. მიხა ერქვა, იარაღის მოტრფიალე იყო, ჯვარედინად ჰქონდა "პატრონტაჟი" გადაკი-დებული, მაუზერი ქამარში გაჩრილი, თოფი მხარზე გადაკიდებული, ხანჯალი ურმის კონკილასა-ვით ჩამოკიდებული, აივლიდა და ჩამოივლიდა სოფელში, იარაღით კეკლუცობდა "ბლატაობდა", მისი რიდი ჰქონდათ და შიშიო, მაგრამ ერთ დღეს მარტყოფის ბირჟაზე მოვიდა ნირწამხდარიო, აჩეჩილ-დაჩეჩილი იყოო, ხალხმა მიმართა: მიხა რა დაგმართნიაო, მიხამ არც აილო და არც დაი-ლო, პირდაპირ დაიწყო მოყოლა: – კაცო, სოფლის ბოლოებს შემოუარე და სიცხისაგან დაქანცუ-ლი, დაღლილი, ვერხვის ჩრდილში მივწექი, ფოთლების შრიალი ნანასავით მესმის და მიმეძინაო. არ ვიცი, კაცო, რამდენ ხანს მეძინა... გამომეღვიძა და, რას ვხედავ, შარვალი მაქვს ჩახდილი და აშკარად ნახმარი ვარო, კაცო, ამ ქვეყანაზე ყველაფერი ხდება, მე სხვა კი არაფერი მიკვირს, ახ-ლაც გაოცებული ვარ, რა გული ჰქონდა იმ დალოცვილს "პატრონტაჟში" და იარაღში ვარ ჩამ-ჯდარი, რომ გამღვიძებოდა, რას აპირებდა, რას ფიქრობდაო. რა გული ჰქონია კაცო, რა გული ჰქონიაო. ხალხმა ხარხარი დაიწყო და იმ დღიდან ნახმარ მიხას ეძახიან.

*გაგრძელება იქნება*

ციცინო ჩხაიძე



# ანბანური ინტეგრალები

*გაგრძელება*
*დასაწყისი: ჟურნალი „ათინათის“ № 23, 24, 25*

## ნიშნობა

ნაალდგომევია.
ნანოს და ნოეს ნიშნობაა ნიკორწმინდაში.
ნანო ნუკრივით ნორჩია და ნატიფი.
ნიჭიერი, ნამუსიანი, ნორვეგიაში ნამუშევარი, ნიკორწმინდელი ნოე, ნანოსთვის ნატვრისთვალია და ნუგეში.
ნიშნობის ნადიმი ნაკადულზე, ნაწისქვილართან, „ნაძვნარშია“. ნადიმზე ნანადირევიცაა.

●

ნაქეიფარი და ნასიამოვნები ნათესავები, ნათლიები და ნათლულები ნახულობენ ნეფე-დედოფლისთვის ნაჩუქარ ნიგვზის ნაკეთობებს.
ნიშნობიდან, ნეფე-პატარძალი, ნოესთვის ნაცნობ ნორვეგიაში ნებივრობენ.
ნორვეგიის ნავსადგურში, ნიჩბებიან ნავზეა ნანო და ნოე.
ნოე ნიჩბებთანაა.
ნანო ნაბადმოსხმულია.

●

ნოეც ნაბადშია ნანოსთან.
ნანო და ნოე ნატრულ ნეტარებაშია.
ნებამიშვებული ნავი ნაპირთან ნარნარებს.

27.01.2015 წელი.
თბილისი.

## ოქროგულიანი

ორჯერ ომგამოვლილია ოტია.

●

ომი ომსკთან.
...ომსკი ოკუპირებულია.
– ოჰ! – ოხ! ოხრავს ოტია ორმოში.
ორი ოფიცრის ოპერატიული ორგანიზებულობითა და ორი ოპერაციიდან, ოტია ოთხბორბლიანშია.
– ორთავე? ორთავე? – ორმაგად ოხრავს ოტია.
– ოჯახი? ოლღა? – ოჰ! ოხერტიალი ომი.
ორმოცდაოთხის ოქტომბერში ოტია, ოთხბორბლიანითა და ოთხი ორდენით, ოჯახს ოკრიბაში „ოუყვანეს“.
ორომტრიალია ოჯახში. ოლღა ოჯახის ორგანიზებაშია. ოთხსულიანი ოჯახი ოლღაზეა.

ოლღასთვის ომი ოკრიბაშია – ორმაგი ოჯახური ომი. ოპტიმისტია ოლღა; „ოუვა“ ოჯახს, ორფეხს, ოთხფეხს,...

ოტია ოცნებაშიც ოხრავს: ოლონდაც ოჯახისთვის, ოლონდაც ოლღასთვის, და...
ოქროგულიანი ოტია ოსტატდება ოქრომჭედლობაში.
ოჯახისთავისთვის ოხვრა ოხრდება.

14.01.2015 წელი.
თბილისი.

# პასექი

პელო და პეტრე პანკისელი პენსიონერი პედაგოგებია.

პირველი პირმშო პილოტია და პოეტობს; პატარა – პატრიოტი პატრულია; პატარაზე პატარა, – პეტერბურგის პედაგოგიურში, პირველკურსელია.

●

პასექია, პარასკევი.

პეტრე და პელო პირმშოებით და პირმშოების პირმშოებით (პატარებით), პატარძლეულში, პაპუნა პაპასთან პარმალში პურმარილობენ.

პურ-მარილი პირთამდეა: პასკა, პურ-ფუნთუშეული, პამიდორი, პრასი, პილპილი,...

პაპა პაპუნა პატიჟებს პატარძლეულელთა „პარიკმახერს“, პატიოსან, პირიან პავლე პაპუაშვილს.

პატარები, პირმღიმარ, პირგაუპარსავ პაპისგან პატივშია. პრანჭია პატარები პაკაპუკობენ პაპისეულ პარკში და პწკარებში. პწკარში პოულობენ „პწკალას“* და პაპის პაპიროსს – „პრიმას“.

პატარების „პარადია“ პატარძლეულში, პაპა პაპუნასთან.

21.04.2015 წელი.
თბილისი.

# ჟინვალჰესზე

ჟანი და ჟერარი ჟურნალისტებია.
ჟღალთვალებიანი ჟერარი და ჟანგისფერთმიანი ჟანი ჟინვალში, ჟინვალჰესზეა.
ჟინვალჰესზეა ჟურნალ „ჟიურის“ ჟურნალისტებიც და ჟანდარმერიაც.
ჟინვალჰესზე ჟრიამულია.
ჟინჟღლავს.
ჟერარი ჟილეტით და ჟანი ჟოლოსფერი ჟაკეტით „ჟოლობთან“ ჟღურტულებენ.
ჟღურტულში ჟრუანტელით ჟრჟოლავენ.
„ჟოლობიდან“ ჟანგი ჟონავს.

15. 01.2015 წელი.
თბილისი.

*(გაგრძელება იქნება)*

* პწკალა – (გურ.) კიბე.

# დიდი მოგზაურობა

**ჯუმბერ ლეჟავა**




## ქ. ბრაზილიაში ბრაზილიის მთავრობის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში მოვხვდი, ღმერთმანი, კარგი თავგადასავალია!

ეს იყო ტიპიური ორსართულიანი სადა შენობა, განურჩეველი სხვა სახლთაგან, რომლის ტროტუარზეც ხალხი ჩვეულებრივად მიდი-მოდიოდა. ჭიშკრის გარეთ დაცვა არც ჰყავდა...

ვინ იყო სალვადორ ალიენდე, ან გენერალი პინოჩეტი? იყო თუ არა 1973 წლის გადატრიალება სამხედრო-ფაშისტური?

სანტიაგო-დე-ჩილედან არგენტინის საზღვრამდე თავგადასავლებით აღსავსე გზა მქონდა. ბევრი, ძალიან ბევრი მაქვს მოსაყოლი ამ ბრწყინვალე სახელმწიფოზე და მის ხალხზე...

არგენტინაში გადასვლა ზღვის დონიდან 4 400 მ. სიმაღლის მენდოსას უღელტეხილზე მომიწია. იგი ანდებისა და მთელი სამხრეთ ამერიკის უმაღლესი მწვერვალის – აკონკაგუას ძირში გადის. აკუნკაგუას სიმაღლე ზღვის დონიდან 6 960 მეტრია. მისი ყინულოვანი საფარველი 6კმ-მდე აღწევს.

არგენტინა ერთ-ერთი კარგად დასამახსოვრებელი სახელმწიფოა. იგი ფეხბურთით და მარადონათი, მოგზაურებთან შეხვედრებითა და ახალი ველოსიპედის გადმოცემით დამამახსოვრდა. ამასთან, შესანიშნავი არგენტინელებით – კაპიტან ფარიათი და კაპიტან ბერტოტოთი, რომლებმაც ანტარქტიდაზე ორჯერ გადამიყვანეს. მახსოვს ცეცხლოვანი მიწა და მისი დედაქალაქი უშუაია, შესანიშნავი ბუენოს-აირესი, მარ-დელ-პლატა, ლა-პლატა, კორდობა, მენდოზა, ფოზ-დეიგუასუ, ჩემთან დამეგობრებული დიდებული ხალხი, დამგზავრებული მოგზაური და... დაუვიწყარი შეხვედრა მარადონასთან!..

საინტერესოა, როგორ გავატარე 1998 წლის ახალი წლის დღეები მარ-დელ-პლატაში... რა თქმა უნდა, აქაც არ დამკლებია თავგადასავლები და კურიოზები. ვფიქრობ, წიგნი არგენტინის შესახებ საინტერესო გამომივა. მასში განსაკუთრებულად მინდა გამოვყო ამ შესანიშნავი ხალხის სამოსელი, ჩაცმის სტილი, ტრადიციები და, საერთოდ, ეთნოკულტურა.

საინტერესო ბიოგრაფიისა „ფოლკლენდის კუნძულები“. იგი 1982 წლის შემდეგ ინგლისელთა მფლობელობაშია. ყოველ ნაბიჯზე ვკითხულობთ: „მალვინი ჩვენი ტკივილია“. ყურადსაღებია

კუნძულებზე დაფიქსირებული ფაქტების საიდუმლოებანი. თავის დროზე მოგიყვებით იმაზე, თუ როგორ ვეწვიე სტუმრად ფოლკლენდის გუბერნატორს, ან რატომ მოვხვდი საპატიო წიგნში; რისთვის მომიწია ზამთარში ოკეანეში გადახტომა; როგორ დავუმეგობრდი ფოლკლენდელებს და ... ოკეანის თეთრპერანგიან, შავფრაკიან გრაფებს – სამეფო პინგვინებს...

ანტარქტიდა! – ჩემთვის ოცნებად ქცეული ყინულის კონტინენტი! ორჯერ დავიპყარი „მარადიული ზამთრის" ეს იდუმალი, ზღაპრული ქვეყანა. საინტერესოა, თუ როგორ მოვხვდი აქ... მისი დატოვების შემდეგ, ახალი ამოცანის შესრულება დავისახე მიზნად: მოგაწოდოთ ინფორმაცია სამხრეთის, სიცივისა და მაგნიტური პოლუსების დაპყრობის პროექტზე, რომელიც „ესპრო 2006"-ის გამოფენაზე წარვადგინეთ და ოქროს დიპლომებიც დავიმსახურეთ მე და უკრაინელმა მოგზაურმა ლეონიდ მიკულამ. მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, გამოსაცემად მოვამზადე წიგნი „ანტარქტიდული დღიურები".

... ბევრს მოგითხრობთ ურუგვაის რესპუბლიკაზე. ამ ულამაზესმა ხალხმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ ქვეყანას განათლების მაღალი დონით ვაფასებ.

**მაკლდა კვება. ღამეებს ღია ცის ქვეშ, ბუნებაში ვათევდი. უამრავი კოღო, ქვეწარმავალი, ნიანგი!... წამებით მივაღწიე სურინამის რესპუბლიკის საზღვარს. . . ეს იყო ჩემი VIA DOLOROSA, ჩემი VIA CRUCIS (ლათ.) – ტანჯვის გზა, ჯვარცმის გზა. რამდენჯერ გადავრჩი!!!**

აქ მდებარეობს მსოფლიოში უძველესი „გეოგრაფიისა და ისტორიის" ინსტიტუტი, მაღალპრესტიჟული ურუგვაის უნივერსიტეტი და სხვა კულტურული თუ არქიტექტურული ღირსშესანიშნაობანი.

ურუგვაი ცნობილია მაღალგანვითარებადი სოფლის მეურნეობით, უძველესი კულტურით, ტრადიციებით... თუნდაც ის რად ღირს, ურუგვაელები მსოფლიოს პირველი ჩემპიონები რომ გახდნენ ფეხბურთში, საინტერესოა ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობაც და სახელმწიფოებრივი მმართველობაც. დედაქალაქ მონტევიდეოში მსოფლიოში საუკეთესო კაპიტოლიუმია. მაინც რითაა გამორჩეული ეს კაპიტოლიუმი? – მოსაყოლი, მართლაც, რომ ძალიან ბევრი მაქვს!..

ურუგვაიდან, ისევ არგენტინის გავლით, პარაგვაის რესპუბლიკაში გავემგზავრე. იგი ორჯერ დიდია ურუგვაიზე ფართობითაც და მოსახლეობითაც.

**ატლანტაში სიურპრიზი მომიწყვეს: საქართველოს იმდროინდელი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის, ბატონი კახი ასათიანისა და ამავე დეპარტამენტის სპორტის მთავარი სამმართველოს უფროსის, ჩემი მეგობრის ბატონი ამირან აბესაძის დახმარებით ჩემი უმცროსი ქალიშვილი ხათუნა მესტუმრა.**

მომეწონა პარაგვაელების სტუმართმოყვარეობა. მათ მოკლე, მაგრამ საინტერესო ისტორია აქვთ – მრავალმხრივი ტრადიციებითა და კულტურით... წარმატებულნი არიან სპორტშიც. დედაქალაქი ასუნსიონიც მშვენიერია, თუმცა ქვეყანას არანაკლებ ამშვენებს სამი სახელმწიფოს ჩანჩქერი – საოცარი ფოზ-დე-იგუასუ.

ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკას 1998 წლის 2 თებერვალს ვესტუმრე. დედაქალაქი ბრაზილია (1960 წლიდან). ამ ზღაპრულ ქვეყანაში 3 თვე ვიმოგზაურე. და მთლიანად გავიარე სამხრეთიდან ჩრდილოეთ საზღვრამდე. ფანტასტიკურ ფოზ-დე-იგუასუზე კანტალა ენოტებმა მშიერი დამტოვეს... მოვინახულე სამხრეთ ამერიკის ევროპული ქალაქი კურიტიბა, შემდეგ ქალაქი სან-პაულო, რომელიც მსოფლიოში მეორეა მოსახლეობის რაოდენობით და ბრზილიის უმსხვილესი ეკონომიკური ცენტრია. შესანიშნავია სან-პაულოს შტატის მთავრობის სასახლე. ამ ქალაქს, ხშირად, ლათინური ამერიკის „ჩიკაგოთიც" მოიხსენიებენ. მკითხველს დააინტერესებს, თუ რისთვის დაერქვა ამ ქალაქს ლათინური ამერიკის ლოკომოტივი...

შემდეგ... რიო-დე-ჟანეირო! ეს ქალაქი პორტუგალიელი კონკისტადორების მიერ 1502 წელს დაარსებულა და ბრაზილიის 1960 წლამდე დედაქალაქი იყო. ამჟამად თავისივე სახელწოდების შტატის ადმინისტრაციული ცენტრია. იგი მსოფლიოს საუკეთესო ქალაქებში შედის. აქ, ბრაზილიის ერთ-ერთი უდიდესი გამომცემლობის მფლობელის სპონსორობით, რიო-დე-ჟანეიროს მსოფლიოში ცნობილ კარნავალის ოფიციალური სტუმარიც გავხდი. საინტერესოდ გავატარე დღეები კოპაკაბანას და ფლამენგოს პლაჟებზე... №1 თავდამსხმელი გავხდი ჟურნალისტ ფეხბურთელთა გუნდში.

რიო-დე-ჟანეიროში, კორკოვადუს მთაზე, რომელზეც ველსიპედით შეუსვენებლად ავედი, ძალზედ ეფექტურია ხელებგაშლილი ქრისტეს ქანდაკება... ჩემი იქ ყოფნის პერიოდიც მეტად საინტერესოა...

რისთვის ვცვლი მარშრუტს და მივდივარ ბრაზილიის დედაქალაქში ფანტასტიკური ქალაქის, ბელუ ორიზონტეს გავლით? ეს გზა მოგზაურობის ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთია. ქ. ბრაზილიაში ბრაზილიის მთავრობის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში მოვხვდი! ღმერთმანი, კარგი თავგადასავალია! აირტონ სენას ავტოდრომზე ფორმულა ერთისა და ფორმულა სამის პილოტებთან რამდენიმე დღის განმავლობაში ვვარჯიშობდი. ქალაქების – ბრაზილია – ბელემის 2 500 კმიანი მონაკვეთი ამაზონის ჯუნგლში გადის. საგულისხმოა, რომ ამ გზის პირველგამკვლევი მე ვარ! ქ. ბელემში ცნობილ ბრაზილიელ ველომოგზაურს – დეივ კრუზს შევხვდი. მან ჩემსმ მოგზაურობას მაღალი შეფასება მისცა.

**საინტერესოა თბილისიდან ჩამოსული ჩემი მოგზაურობის ულირს ორგანიზატორთან შეხვედრები. მან აქაც, მისთვის დამახასიათებელ სტილში სპონსორობის რამდენიმე ამერიკელი და სანტ-მარტინელი კანდიდატი ჩამომაშორა...**

მოგზაურობის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ნაწილს მდინარე ამაზონით ამაზონის ჯუნგლის დედაქალაქ მანაუსში ჩასვლა და უკან დაბრუნება წარმოადგენს. ურთულესი გზებით მოვხვდი ქ. მაკაპში. თუ რით არის ეს ქალაქი მსოფლიოში ერთადერთი და ცნობილი, ჩემი თავგადასავლების წიგნების შესაბამის ტომში წაიკითხავთ...

ერთ-ერთი ურთულესი გზა ბრაზილიის ქალაქ მაკაპადან საფრანგეთის გვიანამდე (ექვსას კილომეტრამდე დაუსახლებელი ტერიტორია) ამაზონის დელტის ჭაობიანი ჯუნგლით გავიარე. ამ საფათერაკო მარშრუტის გავლისას, უფალსა და საკუთარ თავს მინდობილი, არა ერთ განსაცდელს გადავურჩი.

გვიანას დედაქალაქ ჯორჯთაუნში ფრნაგმა ჟანდარმებმა შესანიშნავად მიმიღეს. ღამეც გამათევინეს. ეს ქვეყანა 1946 წლიდან ამ დეპარტამენტს საფრანგეთის მიერ დანიშნული პრეფექტი მართავს. ტერიტორია მეტწილად დაბლობია და მთლიანად ჯუნგლითაა დაფარული. ამ ქვეყნის საოკეანო ოცკილომეტრიანი ზოლი, თითქმის, მთლიანად დაჭაობებულია, რასაც საშინელი სიცხეები ერთვის. ყოველივე ეს სერიოზულ ექსტრემალურ პირობებს სისტემატურად მიქმნიდა.

სურინამში იგივე გადამხდა, რაც საფრანგეთის გვიანაში, მაგრამ ყველაფერს აქ ისიც დაემატა, რომ პარამარიბოში არც ერთმა ბანკმა არ გადამიხურდავა დოლარი, რამაც ჩემი ისედაც დამძიმებული მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. როგორ გამოვედი ამ მდომარეობიდან და როგორ ჩავედი გაიანას კოოპერატიულ რესპუბლიკაში, წაიკითხავთ წიგნში, რომელიც სურინამში ჩემს მოგზაურობას მიეძღვნება. იქ გაიგებთ, თუ რა უბედურებები გადამხდა ამ ქვეყანაში და როგორ დავძლიე სირთულეები...

გაიანას კოოპერატიულ რესპუბლიკას ეს სახელი 1970 წელს დაერქვა. ქვეყანა პატარა, მაგრამ ეთნიკურად ჭრელია, იგი ბრიტანეთის თანამეგობრობაში შედის. აქვს საინტერესო ისტორია და, თითქმის საკუთარი, იშვიათი ბუნება. აქ ძალიან მოიკიდეს ფეხი ინდოელებმა, რომელთა ხელშია მთელი სოფლის მეურნეობა... ხშირად გაიანას ექვსი ხალხის ქვეყანასაც ეძახიან... აქვთ სათანადო კულტურა, ტრადიციები, ასევე თანამედროვეობა... მაგალითად, წელიწადში ერთხელ, დედაქალაქ ჯორჯთაუნის ცენტრალურ მოედანზე ინდოელები და აფროგაიანელები იკრიბებიან და რამდენიმე წუთის განმავლობაში ჩხუბობენ, რათა გაარკვიონ, თუ ვინ უნდა იყოს ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი...

ამის შემდენ 4 თვის განმავლობაში ვმოგზაურობდი კარიბის ზღვის აუზის კუნძულებზე. ადგილობრივი ფრანგების, ინგლისელების, ამერიკელებისა და ჰოლანდიელების დახმარებით ყველა კუნძულოვან სახელმწიფოს ვეწვიე. საყურადღებოა კარიბის ზღვის კუნძულებისა და რეგიონის სახელწოდების წარმოშობისა და კოლონიზაციის ისტორია.

## მ ე დ ი ც ი ნ ა

# ადამიანის ორგანიზმის გამოჯანმრთელება მღვდელმოწამე სერაფიმეს (ჩიჩაგოვის) მეთოდის მიხედვით

**რა შეიძლება გააკეთოს ყოველმა ჩვენთაგანმა საკუთარი ჯანმრთელობის აღსადგენად**




არსებობს ყოველი ორგანიზმის მუშაობის დრო და აღდგენის დრო, და ამას ფიზიოლოგია ჰქვია. ეს მეცნიერება – ფიზიოლოგია – გარკვეული სერიოზული გამოკვლევების გარეშეა დარჩენილი იმის გამო რომ, რუსმა ფიზიოლოგმა, დიდებულმა მეცნიერმა პავლოვმა, თავის დროზე, არ გამოიჩინა სიფრთხილე და უმაღლეს ნერვულ ქმედებებზე იმუშავა, რაც საბჭოთა პერიოდში ფსიქოტროპულ იარაღს დაედო საფუძვლად. ამიტომ ძირითადი გამოკვლევა ინახება გრიფის – „საიდუმლოა“ – ქვეშ.

ფიზიოლოგია ეს 24 საათია, პერიოდი, როცა ყოველი ორგანო პროცესშია. ეს უპირობო რეფლექსებია, ისინი ადამიანზე არ არიან დამოკიდებულნი. თუ ჩვენ სწორედ ვიქცევით – ამა თუ იმ ორგანოს აღდგენისა და მუშაობის პერიოდში, – არასოდეს ვხვდებით ავად. კუჭი დილის 5 საათიდან იწყებს მუშაობას. ის გამოიმუშავებს მარილმჟავას და პეპსინებს, რომლებიც ხსნიან (განაზავებენ) ორგანიკას. უჯრედები, რომლებიც გამოიმუშავებენ ამას, ასევე ორგანული, ასევე ცოცხალნი არიან და მაშასადამე, არ შეუძლიათ იცოცხლონ მთელი დღე-ღამის განმავლობაში, რადგან ისინიც მარილმჟავას მიერ მუშავდებიან. ამიტომ კუჭი მაქსიმალურად, მთელი 12 საათის განმავლობაში, დილის 5 საათიდან საღამოს 5 საათამდე მუშაობს. საღამოს 6 საათისთვის კუჭში აღარ არის არც მარილმჟავა, არც უჯრედები, რომლებიც მას გამოიმუშავებენ, აქედან გამომდინარე საღამოს 6 საათის შემდეგ მიღებული საკვები არ აითვისება, არ მონელდება და კუჭში იდება და მომდევნო დღემდე ხრწნას დაექვემდებარება, ამის გამო ჩნდება დილაობით პირში უსიამოვნო სუნი, დაღლილობის მდგომარეობა და მადის არქონა.

რადგან მარილმჟავა ძალზე ძლიერი გამხსნელია, კუჭში უჯრედები რომ არ გაიხსნას, დღის განმავლობაში ყოველ ორ საათში ერთხელ რაღაც უნდა ჭამო. აუცილებელი არ არის დიდი რაოდენობით საკვები მიიღო, შეიძლება, უბრალოდ, წაიხემსო და რადგან ორგანიზმის სისტემა თვითაღმდგენია, თავად გიკარნახებს დღის ამა თუ იმ მონაკვეთში რომელი მიკროელემენტებია უფრო აუცილებელი. არანაირი დიეტა არ არის საჭირო. ყოველი ადამიანის სისხლს თავისი მდგომარეობა აქვს და მიკროელემენტებიც შესაბამისი სჭირდება: ერთისთვის თუთიის მიღებაა აუცილებელი, მეორესთვის მაგნიუმი, და ა.შ. მიკროელემენტებს ორგანიზმი „ითხოვს“ ამა თუ იმ პროდუქტის სახით, აუცილებელ ელემენტებს რომ შეიცავენ, ამიტომ არ არსებობს აკრძალული ან ნებადართული პროდუქტები. ორგანიზმის აღდგენისას საკვები მისთვის წამალი იქნება, ადამიანი კი აღარ იავადმყოფებს. ორგანიზმი თვითონ იპოვის პროდუქტს, რომელიც აუცილებელია მისი გამოჯამრთელებისათვის ისევე, როგორც ცხოველები პოულობენ სამკურნალო ბალახს (რომლის სახელიც არ იციან) და ჯანმრთელდებიან.

დღის განმავლობაში რაც შეიძლება ხშირად უნდა იკვებო; მაგალითად ორ საათში ერთხელ, ანუ დღეში 5-ჯერ, როგორც ეს სანატორიუმშია მიღებული. ყველაზე ძლიერ მარილმჟავას კუჭი დილაადრიან გამოიმუშავებს, ამიტომ ამ დროს ძლიერი შიმშილის გრძნობა გიჩნდება. ამ დროს კუჭში ახალგაზრდა უჯრედებია, სიმჟავე ძლიერია. მაშასადამე აუცილებელია, საუზმედ ცხოვე-

ლური წარმოშობის ცილები მიირთვა (მარხვის დროს ეს შეიძლება იყოს თევზი). სადილი სუპია, ხოლო ვახშამი – ფაფა, ნახშირწყლები, რადგან ისინი კუჭის მიერ არ მუშავდებიან და მალე გაივლიან, კუჭი კი აღდგენას დაიწყებს. ვახშამი შეიძლება შედგებოდეს ფაფისა ან ბოსტნეულისა ან მაკარონისაგან, მითუმეტეს რომ ისინი ხანგრძლივად იძლევიან დანაყრებულობის გრძნობას, რადგან მათ მონელებას დიდი დრო სჭირდება.

18 საათიდან მუშაობაში ერთვებიან თირკმელები. ისინი იწყებენ ფილტვრას, რათა ორგანიზმიდან გამოდევნონ ყველა მკვდარი უჯრედი, რომელიც კუჭმა გახსნა. თირკმელებს ძალზე ბლანტი სისხლის ფილტვრაში რომ დავეხმაროთ, 18 საათის შემდეგ შეიძლება დავლიოთ შემარილებული წყალი, ფიზიოლოგიური ხსნარის მსგავსი, აფთიაქში რომ იყიდება (მარილის კონცენტრაცია ფიზიოლოგიურ ხსნარში ძალზე ზუსტად არის დადგენილი, რადგან ის ვენის შიგნით შეყავთ). შეიძლება მას გემო გაუსინჯო, დაიმახსოვრო და თავად მოამზადო, მინერალურ წყალს „ესენდუკი" №4-სა და №17-ს – ასეთივე შემადგენლობა აქვს. ასე რომ 18 საათის შემდეგ მინერალური წყლის დალევა შეიძლება.

იმის გამო, რომ ჩვენ კალიუმით მდიდარ პროდუქტთა დიდ რაოდენობას ვიყენებთ, ახლა ყველას სისხლში მისი ჭარბი კონცენტრაცია გვაქვს. კუჭს არ შეუძლია ეს ჭარბი კალიუმი მჟავით „ჩააქროს", რის გამოც ორგანიზმი რეფლექსს იძლევა – პირი „შრობას" იწყებს. როცა ორგანიზმს თავად არ ძალუძს კალიუმის გამოდევნა, ცდილობს ის წყლით გადარეცხოს, რათა სისხლში თრომბი არ გაჩნდეს. ამ დროს წყურვილს გრძნობ. ადამიანს საერთოდ არ აქვს წყურვილის გრძნობა, თუ ორგანიზმის ყველა სისტემა ნორმალურად ფუნქციონირებს. მთელი სადღეღამისო სითხე არ უნდა აღემატებოდეს 500მლ-ს, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ თავი ჩაით „გაინებივროთ" და არა აუცილებლობის გამო.

ორგანიზმში ყველაზე ხშირი შემხვედრი რეაქცია ნეიტრალიზაციის რეაქციაა. მჟავას პლიუს ტუტე-წყალი. პირში ტუტე გარემოა. საკვები რეფლექტორულად განისაზღვრება, რეცეპტორები მუშაობენ, იღებენ რა გადაწყვეტილებას მჟავის ან კუჭქვეშა ჯირკვლის ფერმენტების გამომუშავების შესახებ. შემდგომ საკვები ჩადის კუჭში და მუშავდება მჟავით; კუჭის გავლის შემდეგ, მაგალითად წიწიბურას ფაფა შედის ნაწლავებში და კუჭქვეშა ჯირკვლის ფერმენტებით მონელდება. კუჭში მან გაიარა კუჭის წვენით დამუშავება, ხოლო ნაწლავებში – ტუტეთი. კიდევ ერთი ნეიტრალიზაციის რეაქცია. მას შემდეგ რაც კუჭქვეშა ჯირკვალმა დაამუშავა ეს ფაფა, – ხოლო მასში მცენარეული წარმოშობის ცილებია, – ეს ცილები იშლებიან ამინომჟავებად, რომლებიც ნაწლავებიდან სინთეზს ახდენს. ამინომჟავა ორპოლუსიანი აგურია: ერთ მხარეს ტუტეთა ჯგუფია, მეორე მხარეს – მჟავისა (კარბოქსიდული) ხდება ცილათა სინთეზი კარბოქსიდურთა და ტუტეთა (სხვადასხვა პოლუსის ჯგუფთა) შეერთების ანგარიშზე. ტუტე და კარბოქსიდული ჯგუფები ერთდებიან და იძლევიან წყალს. ცილა შედგება ათასი ამინომჟავისაგან, ამიტომ, გადაამუშავა რა წიწიბურას ფაფა, ორგანიზმა მოახდინა უმაღლესი ხარისხის სუფთა დისტილირებული წყლის უზარმაზარი რაოდენობის სინთეზირება. ის რაც ზედმეტია, ორგანიზმა შარდის სახით გამოდევნა. აღდგენის ჰორმონალურ მექანიზმთა ემოციურ დონეზე დარღვევას მთელი ორგანიზმის ემოციურ დარღვევამდე მივყავართ. დიეტური რეჟიმის დაცვისას კუჭის ფიზიოლოგიაში ჩნდება ატროფიული გასტრიტისაგან განკურნების დრო. 18 საათიდან უჯრედები რეგენერირდებიან, დილისთვის გამომუშავებულია მჟავის დიდი რაოდენობა. ორგანიზმის ყველა სისტემის სწორი მუშაობისას სიცოცხლისთვის საკმარისია ერთი ნაჭერი ჭვავის პურის მიღება, საიდანაც ორგანიზმი შეძლებს, მოახდინოს ყველა აუცილებელი ნივთიერებისა და ელემენტის სინთეზირება, C ვიტამინის გამოკლებით, რომელიც აგრეთვე გარედან უნდა მოდიოდეს, აქედან გამომდინარე, თუ ყველაფერი კარგად მუშაობს, ადამიანს სჭირდება ერთი ნაჭერი პური, ერთი თავი ხახვი და მარილი. სხვა ყველაფერი მხოლოდ ანაგვიანებს ორგანიზმს. კუჭი ახლა ვეღარაფერს ინელებს. ადამიანები პროდუქტების უზარმაზარ რაოდენობას ნთქავენ, მარხვების დროს რძის ნაწარმზე ლოცვა-კურთხევას იღებენ მაგრამ მარილმჟავას არარსებობის გამო არაფერი მუშავდება. ამიტომ ადამიანის მდგომარეობა მარხვის დროს კიდევ უფრო უარესდება, ხოლო ამგვარი კვებისას კუჭი არ აღდგება.

ექიმი გასტროენტეროლოგი – რომელიც სინჯავს პაციენტებს გასასინჯად უზმოზე რომ უნდა მოდიოდნენ, – აწყდება იმ ფაქტს, რომ დილით პაციენტებს საავსე კუჭი აქვთ, თუმცა არც ერთ მათგანს არ უსაუზმია. ადამიანმა საღამოს 8 საათზე მიიღო საკვები და ყველაფერი კუჭში დარჩა, კუჭი ღამის მანძილზე არ აღდგა. ადამიანს თავი ტკივა, რადგან მის ორგანიზმში დუღილი და

ლპობაა, უსიამოვნო სუნი ამოსდის პირიდან; ეს ყველაფერი წამლავს სისხლს, იგი თავს ცუდად გრძნობს. ექიმს არ შეუძლია კუჭი გასინჯოს. ექიმს მხოლოდ მაშინ ეძლევა ავადმყოფთა ნორმალურად გასინჯვის საშუალება, როცა მათ აფრთხილებს, წინა საღამოს არ ივახშმონ.

სერაფიმე ჩიგაგოვის სისტემაზე გადასვლისას, რაიმე სახის მკურნალობის არარსებობის მიუხედავად, ადამიანი მომხდარ ცვლილებას ამჩნევს: ტვინი უკეთ იწყებს მუშაობას, ადგილი აქვს მხედველობის აღდგენას, უმჯობესდება გარეგნობა.

რამდენადაც კალიუმი და ნატრიუმი ის ნივთიერებებია, რომლებიც ორგანიზმის მიერ კი არ სინთეზირდებიან, არამედ მოდიან გარედან (ძირითადად საკვებთან ერთად), ხოლო მთელი საკვები ამჟამად ძირითადად, კალიუმიანია, ადამიანის მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს რომ, რაციონში გაზარდოს ნატრიუმის შემცველ პროდუქტთა რაოდენობა და შეამციროს კალიუმიანთა რაოდენობა. 100 გრამ პროდუქტზე 2 გრამ კალიუმს (ეს სადღეღამისო ნორმაა) შეიცავს საფუარიანი პური. ამგვარად ერთი ნაჭერი პური (100 გრამი) შეიცავს კალიუმის სადღეღამისო ნორმას, რამეთუ საფუარი კალიუმის ყველაზე ძლიერი წყაროა. ამიტომ უკეთესია უსაფუარო პროდუქტები გამოვიყენოთ. კალიუმის კიდევ ერთი წყაროა ყველაფერი ტკბილი: თაფლი, მურაბა, ჩირი, ცოცხალი ხილი, თხილ-კაკალი, და მზესუმზირა. ეს პროდუქტები მცირე რაოდენობით უნდა მივიღოთ.

კვების რაციონში ნატრიუმის შემცველი პროდუქტების რაოდენობა უნდა გავზარდოთ. თუ მარხვას არ მივიღებთ მხედველობაში, ეს არის კვერცხი, თევზი, ხორცი, რძე, – ის რაც მარილმჟავას გამომუშავებას უწყობს ხელს. ნატრიუმის შემცველი პროდუქტები ეს ის ცილებია, რომლებიც კუჭმა უნდა გადაამუშაოს. მათ შორის არის სანელებლებიც – მდოგვი, პირშუშხა და აჯიკა. ეს ყველაფერი აძლიერებს მარილმჟავას გამომუშავებას, რაც ორგანიზმში შემოსულ საკვებს ასტერილებს. ამავე პროდუქტებს მიეკუთვნება ყველა დამწნილებული პროდუქტი (არა მარინადი, ძმრით რომ მზადდება), რომელმაც გაიარა ფერმენტაცია, დუღილი. როცა მცენარეული პროდუქტი დუღს, – ხოლო ის დუღს ორი კვირის მანძილზე, – დუღილის პროცესი ჩვეულებრივ კომბოსტოს ხორცად აქცევს. კუჭის მიერ დამწნილებული კომბოსტო აღიქმება როგორც ხორცი. კუჭი ამუშავებს მას და მარილმჟავას გამოყოფაც ძლიერდება. კუჭს ზიანი არ ადგება, რაც მარხვის დროს ძალზე მნიშვნელოვანია. ჩვენმა წინაპრებმა ეს კარგად იცოდნენ, ამიტომ როგორც კი მარხვა იწყებოდა, რუსეთში ისეთი პროდუქტების უზარმაზარ რაოდენობას იყენებდნენ, როგორიცაა დამჟავებული ვაშლი, მიწამაყვალა, დამწნილებული სოკო, კომბოსტოს მწნილი და ა. შ. ფერმენტაცია მაშინ მთავრდება, როცა წყდება ლორწოსა და გაზის წარმოშობა. შეიძლება გაასუფთაო სტაფილო, ჩააწყო მომინანქრებულ ჭურჭელში, ზემოდან „ანტონოვკა" ვაშლები დააწყო და მარილიანი წყალი დაასხა. ამის შემდეგ 2 კვირა რაიმე მძიმე საგნის ქვეშ გედგას. ზუსტად ასევე შეგიძლიათ მოამზადოთ ჭარხალი და მომავალ მოსავლამდე შეინახოთ. ამ პროდუქტთა გამოყენება არ იწვევს გაზების წარმოშობას მათ ინელებს კუჭი, ისინი შეიძლება მოხარშო, სალათის ინგრედიენტად გამოიყენო, სუპებში ჩაამატო, მაგრამ თან გაითვალისწინო, რომ ასეთი სტაფილო თუ ჭარხალი უფრო დიდხანს იხარშება, ვიდრე ჩვეულებრივი, რადგან ფერმენტაციის შემდეგ უფრო მაგარი ხდება, კუჭი ასეთ საკვებს ხორცივით იღებს, ეს ძალზე მნიშვნელოვანია მარხვის დროს, როდესაც ადამიანი უპირატესად ნახშირწყლებით იკვებება, რასაც სისხლის გასქელებამდე მივყავართ.

დამწნილებულის გარდა საკვებად ნებისმიერი კომბოსტო შეიძლება გამოიყენო. ეს შეიძლება იყოს ბროკოლი, ზღვის კომბოსტო, თავდახვეული კომბოსტო და არა მაინცდამაინც დამწნილებული. კომბოსტო შეიცავს ვიტამინ K-ს, რაც ანტიგასტრიტული ვიტამინია. კომბოსტოს წვენი გამოიყენება წყლულებისა და გასტრიტების დროს, რადგან ის აძლიერებს მარილმჟავას გამომუშავებას. კარტოფილში კალიუმის ძალზე დიდი რაოდენობაა. თუ კარტოფილს გაფცქვნი და მთელი ღამე წყალში დატოვებ, კალიუმი გამოვა, ხოლო კარტოფილი (გადაღვრი რა წყალს) შეგიძლია შეწვა ან მოხარშო.

ბურღულიც შეიცავს კალიუმს, მაგრამ თუ რაციონში ნატრიუმიანი პროდუქტები მეტია, ბურღული და მაკარონი შეიძლება და საჭიროცაა საკვებად გამოიყენო.

სასმელებიდან კარგად აითვისება ტომატის წვენი. შეიძლება აიღო პასტა, წყალში გახსნა და ტომატის წვენი გააკეთო ან თავად მოამზადო შემოდგომაზე. ტომატის წვენი მარილით უნდა შეაზავო.

ნატრიუმის დიდ რაოდენობას შეიცავს ვარდკაჭკაჭა. მას შეიძლება ჩვენი ყავაც ვუწოდოთ. ვარდკაჭკაჭა შემოდგომაზე ყვავილობის შემდეგ უნდა შეგროვდეს. ამ დროს მცენარის ფესვები

გროვდება. კიდევ ერთი მცენარე, რომელიც სასარგებლოა, არის თხაწართხალა ანუ წყალნაწყენი. მას ყვავილობის პერიოდში აგროვებენ, მაგრამ ყვავილებს კი არა, ფოთლებს იყენებენ. აუცილებელია შეგროვილი ფოთლების ფერმენტაცია ანუ მათი მექანიკური დამუშავება წვენის გამოსვლამდე. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ამ ფოთლების გახმობა. ჩაისთვის განკუთვნილი ყველა ბალახი და ნაკრები – პიტნა, ბარამბო, მოცხარისა და ალუბლის ფოთოლი აუცილებლად უნდა ფერმენტირდეს, რათა ჩაის მკვეთრი ფერი ჰქონდეს და სარგებლობაც მოგვიტანოს.

ჩაის სმა პირველად ჩინეთსა და იაპონიაში დაიწყეს, მაგრამ იქ ჩიას ძალზე მცირე პორციებით შეექცევიან. ტკბილი ჩაის სმა სასარგებლო არ არის, რადგან სისხლი ნატრიუმის ქლორიდს შეიცავს, ხოლო ტკბილი ჩაი, წყალი მაშინვე შეიწოვება სისხლის მიერ, რაც ნატრიუმის კონცენტრაციას ამცირებს; შემდგომ თირკმელები ამის ბლოკირებას ახდენენ და გარეთ აღარ გამოაქვთ.

ძალზე ხშირად წყურვილის გრძნობა სხვა გრძნობებში გვერევა. სიცხეში პაციენტებს ურჩევდნენ, არაფერი დაელიათ. თავად ექიმებიც არ სვავდნენ, არ იოფლებოდნენ და სიცხე არც უგრძვნიათ. იმისთვის, რომ შეამოწმო, მართლა უნდა თუ არა ადამიანს წყლის დალევა, შეიძლება ასეთი ცდა ჩაატარო: სიცხეში თბილი, ანადუღარი წყალი მისცე, თუ ადამიანი არ ისურვებს მის დალევას და ცივ წყალს მოითხოვს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას წყალი კი არა, გაგრილება სჭირდება, ამიტომ სიცხის დროს საკმარისია თავზე ყინულიანი სათბური დაიდო ან გრილი შხაპის ქვეშ დადგე, რომ წყურვილის გრძნობამ გაგიაროს. თუ ამ დროს დალევ ტკბილ წყალს ან წვენს, მაშინ არსებული შაქარი სისხლში შაქრის კონცენტრაციას გაზრდის, რაც ლორწოვანის გამოშრობას გამოიწვევს და სულ წყურვილის გრძნობა გექნება. შაქარი აიწევს და ინფაქტი ან ინსულტი რომ არ მიიღო, ორგანიზმი ნიადაგ წყლის მოთხოვნაში იქნება!

ნატრიუმით მდიდარი პროდუქტები რაციონის საფუძვლად უნდა იქცნენ, რამეთუ ადამიანი ჭამს არა სიამოვნებისთვის, არამედ არსებობის უნარის შესანარჩუნებლად. წმინდა მამები წერენ, რომ ადამიანი სუფრიდან შიმშილის მსუბუქი გრძნობით უნდა ადგეს. კუჭს არ შეუძლია საკვების დიდი რაოდენობის მონელება. მარილმჟავასაც ადამიანი ძალზედ მცირე რაოდენობით გამოიმუშავებს. ამისათვის საჭიროა, არეგულირო საკვების რაოდენობა, რაც ადამიანის სიმაღლესა და სხეულის აღნაგობაზე არის დამოკიდებული. კარგი იქნება, თუ ერთ ჯერზე მივიღებთ ერთმანეთზე მიტყუპებულ ორი ხელისგულის შესაბამისი რაოდენობის საკვებს, იმის მიუხედავად, თუ რას მივიღებთ. არ არის საჭირო კომპლექსური სადილების – პირველის, მეორეს და კიდევ კომპოტის მიღება. ამის მონელება შეუძლებელია. კვების პრინციპია, შეექცეოდე რაღაც ერთს. ფაფას, სუპს, ჩაის-ყველაფერს 1-2 საათის ინტერვალით უნდა მიირთმევდე. მაშინ კუჭი შეძლებს ყველაფრის გადამუშავებას.

წყალი და სითხე კუჭის მიერ არ შეიწოვება. მათ იწოვს მსხვილი ნაწლავი, ხოლო კუჭში მხოლოდ გაივლიან, თუ საკვების მიღებისთანავე დალევ ჩაის, წვენს ან ნებისმიერ სითხეს, იქნება კუჭში მანამ, სანამ ეს უკანასკნელი საკვებს ამუშავებს. ეს იმას ნიშნავს, რომ კუჭის წვენის კონცენტრაცია დაეცემა, საკვები დიდხანს იდგება გუნდად და ეს იქნება ძალზე ხანგრძლივი მონელება. ამიტომ დალევა შეიძლება ჭამამდე ერთი საათით ადრე ან ერთი საათის შემდეგ.

თუ ადამიანი გაითვალისწინებს ამ უბრალო ფიზიოლოგიურ პრინციპებს, ის შეწყვეტს ავადმყოფობას. ქლორის სწორი კონცენტრაციის დროს სისხლში გახსნას დაიწყებენ თრომბები, ხალები, სიმსივნეები, გამოსვლას დაიწყებს სილა, განიწმინდება სახსრები, აღდგება მხედველობა. გამოჯანმრთელების პირველი ნიშანი შარდის ფერის და სუნის შეცვლა იქნება, ადამიანს რომელიც ამ პრინციპით იცხოვრებს, სხეულზე ხალები აღარ ექნება.

არის შემოქმედი და არის მისი შემოქმედების გვირგვინი ანუ მწვერვალი – ადამიანი. შეუქმნია ღმერთს ადამიანი რათა მას არსებობა ხელოვნურად შეენარჩუნებინა- რაღაც მიკროელემენტებზე დამოკიდებულად შექმნა. ადამიანის ორგანიზმი თავად სრულყოფილებაა. როცა ორგანიზმი ამ რეჟიმში შედის, ხოლო ეს ერთკვირიანი წრიალისა თუ „მიმოხეთქების" შემდეგ ხდება, ადამიანის მდგომარეობა საოცრად იცვლება. ქრება სისუსტე, ჭამის შემდეგ ძალების მოზღვავებას გრძნობ, გარეგნულადაც იცვლები და გინდა რომ სულ უფრო უკეთ და უკეთ იყო.

## ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

**დათო ყანდაშვილი**



# სულიერ ფასეულობათა ანბანი

*გაგრძელება*
*დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის მე-5 ტომში,*
*ჟურნალ „ათინათის“ №№22, 23, 24-ში*

## თავი II
### გრძნობათა სამეფო
### ჭეშმარიტი სიყვარულის გამოვლინების რაობა

იმისათვის, რომ ჭეშმარიტი სიყვარულის გამოვლინება შევძლო საჭიროა ჭეშმარიტი ცოდნა მივიღო. იმისათვის, რომ ეს ცოდნა მივიღო, საჭიროა უფალი ღმერთის მიერ განჭვრეტილი მომავალი დავინახო. იმისათვის, რომ ეს მომავალი დავინახო, საჭიროა ჩემი საკუთარი წარსული დავინახო ჭეშმარიტების თვალით შეფასებული. იმისათვის, რომ ეს წარსული დავინახო, საჭიროა მივიღო აწმყო, როგორც ობიექტური რეალობა, შევიგრძნო განხორციელებული ჭეშმარიტება.

Признание надо заслужить,
А не насилием дабываться.
Да, лучше уж не чем не быть,
Чем из-за славы убиваться.

და საერთოდაც... რა არის თვითგამოვლინების მცდელობა იმ ნაწილში, რომელიც ჭეშმარიტი სიყვარულის გამოვლინებას არ ემსახურება?! თვითგამოვლინების ერთადერთი სალი აზრი ხომ კეთილის შობაშია.

Если могу видеть что я хочу, теряет смысла, если не вижу то, что должен. Если я пожелаю и захочу увидеть то, что должен, я прозрею.

როგორც წიგნის დასაწყისში არის მითითებული, ეს არის ურთიერთობის ფორმა თანასწორ ეთიკურ დონესთან მიმართებაში. ესე იგი ცოცხალი არსების, ინდივიდუალური სულის ურთიერთობა ზედმიწევნით თავის მსგავს ინდივიდუალურ სულთან ან ძალიან ახლოს მყოფი ეთიკური დონის ცოცხალ არსებასთან. ეს ძალიან წააგავს ურთიერთობას ფაქტიურად საკუთარ თავთან, მხოლოდ სხვა გარეგნულ ფორმაში და ინდივიდუალურ გამოვლინებაში გამოხატულთან. მაშინ მართლაც შეიძლება ითქვას, რომ აქ გულწრფელობის გამოვლინება ანუ საკუთარი თავის მთლიანად გახსნა, ყოველგვარი შებოჭილობისაგან და ხელოვნურობისაგან შესაძლებელიცაა და სასურველიც.

მაგრამ... სრული იდენტიფიკაციის შემთხვევაში მატერიალიზებული ნაწილის ასპექტს საერთოდ ეკარგება აზრი და ურთიერთობა დედამიწის პირობებშიც კი ნირვანას ემსგავსება. ეს მშვენიერი და შესანიშნავია სულიერ სამყაროში. მაგრამ მატერიალურ სამყაროში გაერთიანებული ძალისხმევით ან ზემოთა და ქვემოთა ეთიკურ დონეებთან მუშაობით დაკავდებიან, ან მათი საუბარი საკუთარ თავთან ლაპარაკს დაემსგავსება. აქ ლაპარაკი არის „მამაკაცთა“ (მამაკაცი და მამაკაცი) ან „ქალთა“ ურთიერთობებზე. სქემატურად ეს ნახატზე ასე გამოიყურება.




რეალურად ეს ეთიკურად აბსოლუტურად თანასწორი დონეებია, მაგრამ ურთიერთობების სიღრმისეული ინტერესები აშკარად გამოკვეთილია. ეს ორი მონათესავე ინდივიდუალური სულია, რომელთაც მართლა შეუძლიათ, გინდათ ფუნქციონალური თვალსაზრისით და გინდათ ვიზუალური თვალსაზრისით, ერთმანეთი სრულყოფილად შეავსონ და ერთმანეთისთვის თავის თავში არსებული საუკეთესო ნაწილების ურთიერთგაცვლით ერთ მთლიან ჰარმონიად იქცნენ.

ჩემთვის პირადად ეს არის სიყვარულის გამოვლინების ფენომენი მატერიალურ სამყაროში და ამას ფაქტიურად ალტერნატივა არ გააჩნია. მაშ ასე, ალბათ, როგორც მიხვდით უკვე, ეს თავი მიეძღვნება მამაკაცისა და ქალის, როგორც ურთიერთშემავსებელის, ოჯახის ფენომენს, იმას თუ რაზე უნდა იდგეს ოჯახი და როგორ შეძლოს გააკეთოს ის, რაც მართლა უნდა აკეთოს.

ამაში იმალება მიზეზი ზოგადად ქალისა და მამაკაცის ურთიერთლტოლვისა. არ არსებობს მამაკაცი, რომლისთვისაც შესაბამისად პარამეტრალურად ეთიკურად შესაფერისი ქალი არ არსებობდეს და რაღა თქმა უნდა – პირიქით, ეს, ვგონებ, ავტომატურად იგულისხმება.

მაგრამ საბაბმა, რომელიც მიზეზის სამსახურში უნდა მდგარიყო, არათუ მიზეზი დათრგუნა, უფრო მეტიც, გარკვეულწილად მიზნადაც კი გადაიქცა და მთელი საუკეთესო ნაწილის საშუალებად გამოყენება დაიწყო. ეს არის ვნება, სქესობრივი ურთიერთობების სექსუალურ ასპექტში გადაყვანის მცდელობა ცალსახად (სურვილი „ეგო"-სთან შერწყმისა).

იმისათვის, რომ ჭეშმარიტი სიყვარულის ჭეშმარიტად საჭირო მიმართულებით გამოვლინების არსობრივ რაობაში გავერკვე, ვგონებ, მეტი სხვა არჩევანი არც არსებობს გარდა ერთისა – გრძნობათა სამეფოში უნდა ვიმოგზაურო. ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც კეთილშობილება (სიკეთის შობა) თავისთავად, უშუალოდ, ყოველგვარი შინაგანი და გარეგანი ძალისხმევის გარეშე ვლინდება თავისი ბუნებრივი, რეალური სახით. ამ ჩემს მოგზაურობასაც ამ სულისკვეთებითა და სურვილით მოვახდენ, სურვილით – ვისწავლო, შევიგრძნო, შევითვისო და გავითავისო სიკეთის, ჭეშმარიტად საკეთებლის კეთების რაობა. ამ გზაზე დახარჯულ შრომას მივუძღვნი ჩემი გაკეთილშობილების სურვილს. რამეთუ ნებისმიერ მოქმედებას სჭირდება მიზანი, აი ეს იქნება ჩემი მიზანი ამ მოგზაურობის პროცესში და, ვფიქრობ, ოდნავი მატებაც კი ამ ასპექტისა ჩემში, უზარმაზარი წარმატება და წინსვლა იქნება.

გრძნობათა სამეფო, თავისი მუდმივი და უცვლელი სახით ყოველგვარი ფარდობითობებისა და შედარებითობების საზღვრებს იქით იმყოფება. რეალურად ის არის საყრდენი, რის მიხედვითაც და რასთან შედარებითობის შედეგადაც ახდენს გამოვლინებას სხვა ნებისმიერი სუბსტანცია: დროც, სივრცეც, კოსმიური გამოვლინებაც, მატერიაც და ნებისმიერი სხვა რამ, რაც გამოუვლინებელ მდგომარეობაში იმყოფება. მასთან შედარებითობის შედეგადაა გამოუვლინებელი ისიც, რაც გამოუვლინებელ მდგომარეობაში იმყოფება. გრძნობათა სამეფოს შეიძლება აბსოლუტური ჭეშმარიტების მქონის სტატუსი მივანიჭოთ, მაგრამ თავად მას აბსოლუტური ჭეშმარიტების მფლობელობის დარქმევის არც პრეტენზია აქვს და არც სურვილი. ის არის ის, რაც არის და ყოველგვარ შედარებითობებსა და ფარდობითობებზე მაღლა დგას. იქ არის ის, რაც არის და მხოლოდ ის ცოცხალი არსება შეძლებს იქ მოხვედრას, რომელსაც ექნება ის, რაც არის იქ. ჩემი სუბიექტური შეხედულებით, თვით მამა ღმერთიც კი მთელი თავისი უზარმაზარი ენერგიებითა და უზარმაზარი ცოდნით მიზანდასახულად მიისწრაფვის ამ სამეფოსკენ. სწორად რომ ვიყო გაგებული, მამა ღმერთის მოღვაწეობის თემასთან, ვფიქრობ, აუცილებელი იქნება, რომ გავჩერდე ორიოდ წუთით (როგორც ძირითადი თემიდან გადახვევასთან ამ შემთხვევაში).

მამა ღმერთის, როგორც ინდივიდუალური ცოცხალი არსების რეალობა სრულიად არაფარდობითია ყველა დანარჩენ არსებულ ინდივიდუალურ ცოცხალ არსებებთან მიმართებაში. მამა ღმერთის, როგორც მამა ღმერთის, რეალობა დაიწყო იქ, სადაც დამთავრდა ფარდობითობა, შეფარდებითობა მისი სხვა ცოცხალ არსებებთან მიმართებაში. სხვა ყველაფერი სამყაროში ფარდობითია რაღაცასთან მიმართებაში, მაგრამ ის რაღაცაც ფარდობითია სხვა რაღაცასთან მიმართებაში და ა. შ. მაგრამ არსებობს რაღაცაც, რომელიც არ არის ფარდობითი და რომელიც იყო საწყისი, ვიდრე დაიწყებოდა ამ ფარდობითობის მარათონი. მამა ღმერთიც კი თვითონ არის ფარდობითი იმ რაღაცასთან მიმართებაში. ის არის მიზეზი იმისა, რისთვისაც დაიწყო ეს ფარდობითობის, შედარებითობის მარათონი. ის არის ყველაზე უფრო მყარი, მდგრადი და სარწმუნო, ვიდრე მისკენ მიმავალი და მისგან გამომდინარე სხვა ყველა შედარებითი და ფარდობითი რეალობები.

აქვე, იძულებული ვარ გავაფართხილო ნებისმიერი, ვისაც ამის წაკითხვისა და გააზრების უნარი გააჩნია, ვისთვისაც ამის წაკითხვის შემდეგ მამა ღმერთის ავტორიტეტი და, თუ გნებავთ, შიშიც კი (რამეთუ იმხელა სიყვარული, რამხელაც მისი პერსონისთვისაა საჭირო მხოლოდ ე. წ. რჩეულთა ხვედრია) ოდნავ მაინც შემცირდება, იმდენითვე შემცირდება მისი ჭეშმარიტების შეცნობის, წვდომის უნარი, მისი სულიერი ჭუჭყი მყისეულად ზრდას დაიწყებს და დანარჩენს უკვე თქვენს ცხოვრებაში მომხდარი მოვლენები გადაგითარგმნიან თქვენივე სხეულისეულ დონეზე. მამა ღმერთი უზენაესი პიროვნებაა ყველა არსებულ ცოცხალ არსებებს შორის. ხოლო ვისაც პოზიტიურის დანახვა უნდა, მათ ვეტყვი: თუ უზენაესი ცოცხალი არსება, მამა ღმერთი მუდმივად ზრუნავს თავისი ინდივიდუალური სულის წინსვლაზე, თქვენ, უბრალო, რიგით ცოცხალ არსებებს როგორ შეგიძლიათ იფიქროთ ის, რომ რაღაც სულიერ დონეზე ჩაღრმავების შემდეგ იმ დონეს მიაღწიეთ, რომ სულიერი განწმენდა აღარ გესაჭიროებათ და თავს იმის უფლება შეგიძლიათ მისცეთ, რომ სხვა ცოცხალ არსებებს თქვენი შეცნობილი „აბსოლუტური ჭეშმარიტებით" ტვინი უბურღოთ, მეტწილად მათი ნება-სურვილის წინააღმდეგაც კი. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ იძულებული ვარ ეს ე. წ. რეკომენდაცია მივაწერო, ვგონებ, სრულიად გასაგები მიზეზების გამო. ვინც გაბრაზდება ან გაკრიტიკებას დაიწყებს, დაბეჯითებით ვარწმუნებ, რომ ეს მას ეხება, რაც ამ რეკომენდაციაშია. არჩევანი თქვენზეა. გირჩევთ ცხრაჯერ გაზომოთ, ვიდრე გადაჭრით.

მოდით, მთავარ თემას დავუბრუნდეთ. მაშ ასე, იმისათვის, რომ გრძნობათა სამეფოში მოგზაურობის უფლება (ვიზა) მივიღო, ელემენტარული ტესტი უნდა გავიარო, რომელიც ამ სამეფოში შეშვებისათვის არის აუცილებელი. პირველი და აუცილებელი პირობაა, პასუხი გავცე კითხვას, თუ რა არის გრძნობა? რა თქმა უნდა, ეს არ არის ის, რაც დედამიწაზე აღქმულ ფასეულობებში მოიაზრება, მაგრამ ის დედამიწის

პირობებშიც კი არსებობს და არის ის, რასაც ამ პლანეტაზე ყველაზე ნაკლებად აფასებენ. ეს არის რეალურად, ჭეშმარიტად რეალური, არაფარდობითი, არაშედარებითი რეალობის აღქმა, ანუ მთელი ყველაფერი არსებულის, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმის, ინტერესების ამსახველი ფასეულობა. აქ, დედამიწაზე ადამიანები თავისი პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობენ, სხვა ადამიანების ინტერესების არგათვალისწინებით, ამიტომ ამ ინტერესების ამსახველ შეგრძნებით ფასეულობას უფრო ემოციის დარქმევა შეესაბამება, ვიდრე გრძნობა. ამიტომ, მოდით შევთანხმდეთ, რომ ადამიანი იბრალებს გრძნობადობას და ცხოვრებაში ერთი-ორჯერ კანტი-კუნტად თუ მართლა იგრძნობს ხოლმე რამეს. რასაც გრძნობა მოიცავს, ბედნიერებისგან იფურჩქნება და იწვის.

ალბათ, გაგონილი გექნებათ, რომ ადამიანის ორგანიზმში პატარა ცოცხალი არსებები ბინადრობენ. მაგალითად, ავიღოთ ჭიები, რომლებსაც ბავშვობაში აღმოუჩენენ ხოლმე. თქვენ ჭამთ საჭმელს, ის ხვდება ნაწლავებში და კუჭში. ნაწლავები ადამიანს დაახლოებით 10-12 მეტრის სიგრძის აქვს. ისე რომ, ჭიები, ელოდებიან რა თავის ულუფას, საჭმლის მათთან მოხვედრისთანავე სიამოვნებით შეექცევიან. მაგრამ რამდენად შედის ჭიის ინტერესებში, უფრო სწორედ, რამდენად ზრუნავს ის გაუფრთხილდეს თქვენს ორგანიზმს, როგორც მყუდრო სახლს, რომლის არც აშენებაზე უფიქრია, არც კლიმატური პირობების შექმნაზე? არც უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე და არც საკვების შოვნაზე? ფაქტიურად ყველაფერი სრულიად გაუნძრევლად, თავისთავად ეძლევა და არც თავისნაირ ჭიებთან იკლებს განცხრომასა და დროსტარებას, ოჯახდება, ჰყავს შვილები, მაგრამ როგორც კი საჭმელი დაუგვიანდება ან მის შვილებს შემოაკლდებათ, გამწარებული, უკმაყოფილო ასეთი ჩვენი უსაქციელობით, პირდაპირ ნაწლავის კედლების წიწკვნას იწყებს. სწორედ ეს წიწკვნაა, იმ მწარე ტკივილს რომ ანიჭებს ჭიების მატარებელ ადამიანს. აი, ამდენს იმიტომ ვწერ, რომ შევძლო დაგანახოთ, რა არის გრძნობა, როცა პიროვნება იმ ინტერესების აღსრულებას ცდილობს, რომლებიც სხვათა ინტერესების შელახვის, სამყაროს კანონების დარღვევის ხარჯზე უნდა დაკმაყოფილდეს. რითია ის ადამიანი უკეთესი 10 მეტრიანი ნაწლავის რომელიღაც წერტილში მოთავსებულ ჭიაზე? მე ვიტყოდი – გაცილებით უარესია, რამეთუ ადამიანმა ადამიანობის პატივი დაკარგა და ჭიად გადაიქცა.

მაშასადამე, გრძნობა არის სიღრმის, შეგნების, პასუხისმგებლობის შინაგანად აღქმის ამსახველი ფასეულობა. გრძნობის ამსახველი საშუალებებიც მრავალია და ისინიც კოლექტიურად ერთმანეთის შევსებითა და ერთმანეთის გათვალისწინებით მოქმედებენ. დღესდღეობით აღიარებულია ადამიანთა მიერ ხუთი გრძნობის რაობა: ხედვა, გემოს შეგრძნება, სმენა, ყნოსვა და შეხება. მე ამ ზედაპირულ ჩამონათვალს დავუმატებდი კიდევ სამს: შინაგან შეგრძნებას, ანუ შეხებას გარეგანი ფიზიკური შეხების გარეშე, თვითგამოვლინების შეგრძნებას, რომლის ერთ-ერთ ნაირსახეობას მეტყველება წარმოადგენს და წარმოსახვის უნარს, თუნდაც ფიქრის საშუალებით. აი, ამ რვა გრძნობის უნარის ურთიერთშეზავებით ისეთი კოქტეილი შეიძლება მომზადდეს, რომელიც შეგვაძლებინებს გრძნობათა სამეფოში მოგზაურობის უფლება და შესაძლებლობა მივიღოთ. ეს ჩამონათვალი თუ რაღაცნაირად არ დაკომპლექტდება, ვგონებ, ძალიან ჩახლართულ ლაბირინთს დაემსგავსება. მოდით, კლასიფიცირება მოვახდინოთ, შევქმნათ ერთგვარი ანბანი. ამისთვის ყველასთვის ნაცნობ ადამიანურ ორგანოებს გამოვიყენებ. ესენია: თვალები, ენა, ყურები და ცხვირი (ეს ორგანოები გენიტალიების, სწორი ნაწლავის და მთელი ორგანიზმის ჰარმონიული ურთიერთშეზავების წარმომადგენლობითი შედეგობრივი მაჩვენებლები არიან).

| | **სასურველისკენ ანუ არჩ(ვ)ევანისკენ სწრაფვა** | **რჩ(ვ)ევების მიხედვით სასუველი ზომვა** | **სასურველის განხილვა განზოგადება** | **სასურველის აღსრულების უზრუნველყოფა** |
|---|---|---|---|---|
| | **ემოცია / რომანტიზმი** | **ამბიცია / მატერიალიზმი** | **გონება / იდეალიზმი** | **გრძნობა /რეალიზმი** |
| | **თვალები** | **ენა** | **ყურები** | **ცხვირი** |
| ემოცია | ცდუნება<br>გართობა<br>მიბაძვა<br>ვნება | განკითხვა-შთაგონება<br>დოგმატურობა<br>მნიშვნელოვნება | განხიბლვა –<br>გადასხვაფერება<br>აღშფოთება<br>ოცნება | აღფრთოვანება –<br>მოხიბლვა<br>ილუზია<br>შეცოდ(ვ)ება |
| ამბიცია | ხედვა – შიში<br>მოუთმენლობა<br>სასოწარკვეთა | გემოვნება<br>ეჭვიანობა<br>ტრაბახი | სმენა ცნობისმოყვარეობა<br>ფანტაზია | ყნოსვა<br>განცდა<br>ეიფორია |
| გონება | სქესობრივი ლტოლვა –<br>მონანიება<br>სირცხვილი | ტემპერამენტი –<br>აღსარება<br>სინდისი | წარმოსახვა – ღვთისნიერება საკუთარი „მე“-ს შეგრძნება | ინტუიცია –<br>სიმშვიდე<br>უშუალობა |
| ჭკუა | შეხებით შეგრძნება –<br>სიამოვნება | გულწრფელობა –<br>გაზიარება<br>მოთმინება | შექმნა, წარმოქმნა –<br>შეგნება, ცოდნა, წესრიგი | **შინაგანი<br>შეგრძნება –<br>ощущение** |
| გრძნობა | სულიერი ლტოლვა<br>მადლიერება –<br>მყუდროება<br>ნათელმხილველობა | გულწრფელობა –<br>გაზიარება<br>მოთმინება | ნეტარება –<br>განათლება<br>ჭეშმარიტება | თანაგრძნობა –<br>კეთილშობილება<br>ჰარმონიულობა<br>რეალობა |

ეს მხოლოდ იმის დემონსტრირებისათვის არ არის, რომ გამოჩნდეს გრძნობებთან და მის გადმომცემ ორგანოებთან რა საშინლად ძუნწი მიდგომა აქვს ადამიანს, თუმც ვგონებ, ეს არ შეიძლება არ დაინახოს და არ გაიგოს სიღრმეში შესვლის მსურველმა. აი, ეს შეფერადებული მართკუთხედია იმ შინაარსის მომცველი, რასაც ის გრძნობა მოიაზრებს, რომლის დანახვებას, გაგონებას, გამოთქმას და შეგრძნებასაც ამდენი ხანი ვცდილობ. მთელი ეს ლაბირინთი რომ არ ჩამომეწერა, ამას ვერ მოვახერხებდი. ეს იმდენად ერთი მთლიანი მონოლითური ორგანიზმია, რომ ქვედა საფეხურების ავლის გარეშე ზევით ვერავინ ვერ მოხვდება.

აი, ახლა უკვე შეიძლება გრძნობათა სამყაროში შევიხედოთ, თუ რა ხდება იქ და როგორ არის ყოველივე აწყობილი.

პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ აქ სრულყოფილად არის დაცული ობიექტურობა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, არავისა და არაფრის გულისათვის არასოდეს არავისი მხრიდან არ ირღვევა აქ არსებული კანონების უზენაესობა. თვითონ ეს კანონები კი არ არის ჩახლართული, გართულებული და სრულიად მარტივი აღსაქმელია ნებისმიერისათვის და ყველასათვის.

მეორე არის ის, რომ აბსოლუტურად ყველა თანასწორია არსებული მოქმედი კანონის წინაშე. არავის არ ეძლევა არავითარი შეღავათი სხვასთან მიმართებაში თავისი მდგომარეობის გამო და უფრო მაღალი იერარქიის წარმომადგენელი ცოცხალი არსებები უფრო მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევიან. სხვათა შორის, სწორედ ამის მიხედვით მიიღწევა აქ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა, ანუ წარმატება.

მესამე არის ის, რომ აბსოლუტურად ყველა იზიარებს ერთმმართველობის იდეას, ანუ ერთი, ყველაზე ღირსეული და ყველაზე კომპეტენტური ცოცხალი არსება, მეფე მართავს სამეფოს სტრატეგიულ მიმართულებას და არასდროს არავის არ უჩნდება სურვილი დაუპირისპირდეს, არ დაემორჩილოს, ანდა აუჯანყდეს მას, რამეთუ ყველა უკლებლივ აღიარებს მის უპირატესობას. მეფე კი თავად არის ცოცხალი მაგალითი, უზენაესი კანონების განუხრელი შემსრულებელი.

მეოთხე არის ერთიანობის, ერთ „მე"-დ არსებობის აღქმის იდეა, ანუ არ არსებობენ ე. წ. სხვები. ერთის შევიწროვების ხარჯზე მეორის გაფართოვება აქ უაზრო გაგებამდე დადის, რამეთუ ერთის ტკივილი ყველას ტკივილია, ერთის სიხარული ყველას სიხარულია. აქ ყველა ცოცხალი არსება ერთმანეთის მოყვასია. ***მათ კი მოყვასი ისე უყვართ, ვითარცა თავი თვისი.***

ამგვარად, როგორც ჩანს სტიმულირებულია საკუთარ თავში პასუხისმგებლობის ამაღლების მცდელობა, რამეთუ ეს წარმატების უცილობელი საწინდარია. პასუხისმგებლობის ცნებაში უფლებებისა და მოვალეობების თანასწორობას ვგულისხმობ. მაგრამ ცალსახად ერთის აწევა ხელოვნური გზით შეუძლებელია და სწორედ ეს არის ხოლმე მიზეზი მატერიალურ სამყაროში ჩამოვარდნისა. იმას ნურავინ დაიდებს მოვალეობად, რისი აწევის უნარიც არ გააჩნია. მოდით, უფრო თვალნათელი რომ გახდეს, რა არის ეს ყოველივე, ჩემეული შეხედულებით ჩამოყალიბებულ ქაოსების თეორიის არსს გაგაცნობთ, რომელიც სწორედ რომ წარმატების ზედმეტ მცდელობას მოსდევს.

(გაგრძელება იქნება)

# წერილები

ლუარა სორდია



## უსიყვარულოდ

გალაკტიონ ტაბიძემ ათეისტურ მეოცე საუკუნეში იცხოვრა. „ლუციფერის სამშობლოში“, ცალთვალა „მეფისტოფელის საუკუნეში“ ანტიქრისტეს ნაშიერები თარეშობდნენ და თავიანთ მისიად ხალხისთვის ღმერთის, სიყვარულის დავიწყებას მიიჩნევდნენ. ისინი იყვნენ სულის ჩაკვლის, სისხლისღვრის, ტირანიის დიდოსტატები.

გადმოისროლეს რა „მიწასთან დაბრუნების“ ლოზუნგი, პროლეტარულ მწერალთა უსახო ლეგიონებს ალბათ არასდროს მოზმანებიათ ზეცასთან მიახლოების აუცილებლობა, რადგან იმთავითვე დაჰყვათ ამაღლებულის ხილვისათვის დაგმანული მზერა.

გალაკტიონმა სიყვარულის მრავალსახეობას უმღერა. ამასთან, საღმრთო სიყვარული დასახა ყველაზე უძლეველ და ჭეშმარიტ გრძნობად.

მხოლოდ განსაკუთრებული, რჩეულთათვის დამახასიათებელი „ზექვეყნიური სიყვარულით“ იწვოდა პოეტი, ამიტომაც წვდებოდა სხვათათვის უხილავს და მოუხელთებელს.

ის იყო სიხარულშემოსილი, გაზაფხულშემოსილი, მზითშემოსილი, ანუ ღმერთშემოსილი: „მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება“ (ეს გრიგალია სიახლის) (1,200).

სიხარული საღმრთო სახელია: „აჰა, გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისა იქნება: „ვინაიდან დღეს დავითის ქალაქში იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი“ (ლუკას სახარება 2,10,11)(2,113).



გაზაფხული, ძველი ქართულით ზაფხული, უფლის სიმბოლოა ბიბლიის მიხედვით: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნი, 29/30,12) (2,550).

დავით წინასწარმეტყველის მიხედვით, „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12) (2,614).

პოეტების მეფე ხაზს უსვამდა თავისი სიყვარულის განსაკუთრებულობას:„... ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი აღმოვაჩინე მე სიყვარული, აღმოვაჩინე მთელი სამყარო, ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი“ (დადგა აგვისტო) (1,380).

მართლაც, პოეტის თანამედროვე ათეისტურ ეპოქაში ხელახლა აღმოსაჩენი გახდა უზენაესის სიყვარული, რადგან „სიყვარულის ხმა არსით ისმოდა“, მხოლოდ „დაცინვა, წყრომა და ირონია“ ეხერხებოდათ ღმერთთან მებრძოლ თაობებს.

გალაკტიონს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი ზეციურ ნათელთან, საღვთო სიბრძნესთან, საღვთო სიყვარულთან. მისთვის პოეზია იყო სულიწმინდის მადლი, სიტყვის ოსტატის მისია – რწმენის, სიყვარულის მსახურება, ხალხისთვის ტაძრისკენ სავალი გზის ჩვენება.

ამ მოსაზრების წყაროებს ქართველი პოეტი ზედმიწევნით იცნობდა.

პლატონის მიხედვით, „მხოლოდ სიყვარულს მიჰყავს კაცი ჭეშმარიტი გზით ამ ცხოვრებაში" (ნადიმი) (3,17).

შთაგონება, გენიალობა ეროსთან წილნაყარია.

არსებობს მიწიერი და ციური ეროსი.

პლატონი გამოჰყოფს ეროტიკულ მისტერიათა საწყის სტადიას უმაღლეს, ეპოპტიკურ სტადიამდე, რომლისთვისაც ეს საწყისი სტადია მხოლოდ პირველი საფეხურია (3,61). ამის შემდეგ კი იწყება „სულის მშვენების" უპირატესობის აღიარება „სხეულის მშვენებაზე", ... ეგ სული, მიქცეული მშვენიერების უკიდეგანო ოკეანის ჭვრეტად, უხვი სიბრძნისა, ვიდრე აგრე გაბრძნობილი და გამობრძმედილი არ მიადგება... ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებას... მოძღვრებას აბსოლუტური მშვენიერების შესახებ... ვინც ეროტიულ მისტერიათა ამ სტადიამდე ამაღლდება, ზიარების ზღვარს მიღწეული, იხილავს გასაოცარ მშვენიერებას, მშვენიერებას მარადიულს, ხელთუქმნელს და წარმოგვიდგენს მშვენიერებას, მშვენიერებას მარადიულს, სახიერს თავის ყველა გამოვლენაში, ყველა დროში, ყველა ასპექტში...

„ჭეშმარიტი გზა სიყვარულისა – ესაა გზა მშვენიერ საგანთაგან უმაღლეს მშვენიერებაზე თანდათანობით გადასვლისა... ესაა მშვენება წმინდა, შეურყვნელი და შეურევნელი კაცის ხორცით, ფერებითა და სხვა ხრწნადი გარსით შებღალული კი არა, ერთსახოვანი ღვთაებრივი მშვენიერება (3,63).

„სულის ნაყოფი სიბრძნეა და ყველა სახის სათნოება და მათ პოეტთა, იმ დემიურგოსთა ნაშიერად თვლიან, რომელთაც ფარულსა და იდუმალში ჩაწვდომის ნიჭი მომადლებიათ" (3,60).

მთელი ბიბლია სულის, სულიერების, სიბრძნის, სიყვარულის პრიმატს ქადაგებს, ხოლო სული კი ღმერთია: „... ხოლო უფალი სულ არს" (პავლე მოციქული, II კორინთელთა მიმართ 4,17) (2,386).

„სულიცა უფალ არს, ღმერთი სულია სახიერი, ღმერთი სულია ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს", გვმოძღვრავს პეტრე იბერი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი) (4,14,15).

პავლე მოციქული, როგორც „სულიწმიდის ქნარი", ასეთ სადიდებელს აღუვლენს სიყვარულს: „კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არა მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოჟღრიალე, მხოლოდ წკრიალა წინწილი.

„წინასწარმეტყველების მადლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო და მქონდეს მთელი რწმენა ისე, რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ.

„მთელი ქონება რომ გავიღო გლახაკთათვის და დასაწვავად მივცე ჩემი სხეული, სიყვარული თუ არა მაქვს, არას მარგია.

„სიყვარული სულგრძელია და ტკბილი. სიყვარულს არ შურს, სიყვარული არ ქედმაღლობს, არა ზვაობს".

„არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ იზრახავს ბოროტს.

„არ შეჰხარის უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს.

„ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს".

„სიყვარული არასოდეს არ გადავა, თუმცაღა წინასწარმეტყველებანი განქარდებიან, ენები დადუმდებიან და უქმი გახდება ცოდნა...

მთავარია „რწმენა, სასოება და სიყვარული, ხოლო ამათში უმეტესი სიყვარულია" (პავლე მოციქულის ეპისტოლენი, I კორინთელთა მიმართ, 13, 1,2,3,4,5,6,7,8, 13) (2,375-376).

პავლე მოციქული აცხადებდა: „ჩუენ ღუთის და არა ამ სოფლის სული მიგვიღებიეს" (I კორინთელთა, 2,12) (2,375-376).

თითქოს წმინდა მამის ღირსეულ შეპასუხებად ისმის გალაკტიონის სიტყვები: „მე სული არ მაქვს ამქვეყნიური... და ზექვეყნიურ სიყვარულით მწვავს გამოუთქმელი და მწარე ალი" (არ მინდა სიტყვა) (5,36).

იტალიური რენესანსის გიგანტს – დანტე ალიგიერს იზიდავდა „სიყვარული პირველი, პირველადი სიყვარული, სიყვარული ღვთაებრივი, სიყვარული დაუშრეტელი".

სულიერ ზეცაში შეიგრძნო დანტემ არამიწიერი სიქველე და იქვე შეიცნო" სიყვარული სხვადასხვაგვარი".

„ღვთაებრივი კომედიის" ავტორი მოგვიწოდებდა: „თვალი მივაპყროთ ახლა უკვე სიყვარულს პირველს".

ღვთაებრივი სიყვარულის ძალის შედეგია ყოველი სრულყოფილის გამოვლენა ამქვეყნად: „... სადაც კი სიყვარული მართლაც მისნური პირველი ძალით გამოიჩენს ქმედობის ძალას, იქ იბადება სრულყოფილი ანაზდეულად" (6,328).

დანტე ასკვნის: „სადაც ნათელი ცისიერი არ ბოძებულა, მანდ სუფევს ბნელი დანაჩრდილი სხეულთაგანის, იქ სიმრუმეა და ყოველგან შიშინებს შხამი" (6,352).

იოანე მოციქულის გამოცხადებაში ღმერთს ეწოდება „პირველი სიყვარული": ქრისტემ ეფესოს ეკლესიას ანგელოზის პირით შეუთვალა: „შენს საწინააღმდეგოდ ის მაქვს, რომ შენ მიატოვე შენი პირველი სიყვარული" (იოანეს გამოცხადება, 2,4) (2,492).

„პირველი სიყვარულის" – ღმერთის, რწმენის ერთგულებით გამორჩეული იყო გალაკტიონი. მის პოეზიაში საღვთო სიყვარული მოიხსენება, როგორც „პირველი სიყვარული, უკანასკნელი სიყვარული, მზიანი სიყვარული, ტრფობა სრული, ზექვეყნიური სიყვარული".

„ვეფხისტყაოსნის" სახისმეტყველებაში" ზვიად გამსახურდია აღნიშნავს, რომ „შუა საუკუნეების ევროპაში, პროვანსსა და იტალიაში არსებობდა მიმდინარეობა „მიჯნურობის მორწმუნენი", რომელიც წარმოადგენდა საიდუმლო ორგანიზაციას. ამ ორგანიზაციას ჰქონდა საიდუმლო მეტაფორული ენა, რომელიც სიმბოლოებისა და ალეგორიების მეშვეობით გადმოსცემდა სიყვარულის ინიციაციის მისტერიებს... იქ იყო გამეფებული „ერთადერთი ქალის" კულტი („ქალი" ამ შემთხვევაში ტრანსცენდენტური ინტელექტის, სიბრძნის, სოფიას სიმბოლო იყო... დანტე იყო წევრი მიჯნურობის მორწმუნეთა ძმობისა" (7,93).

სუფისტური ასკეტიზმი, ზ. გამსახურდიას აზრით, აღმოცენდა არაბეთის ქრისტიანი ბერების გავლენით (7,104).

„მიჯნურის სამსახური ღვთის სამსახურის ანარეკლია. მიჯნური განასახიერებს მარადქალურ საწყისს, სოფიას, ღვთისმშობელს. აქედანვე იშვა მიჯნურის მისტიური კულტიც" (7,167).

„სუფიები არიან პოეტები და მიჯნურები ერთდროულად. მათ გზას ეწოდება გზა მიჯნურობისა" (7,106).

სუფისტურ ასპექტში კითხულობს რუსთველურ მიჯნურობას ზ. გამსახურდია „ვეფხისტყაოსნის" სახისმეტყველებაში".

სუფისტურ სიყვარულს პოულობდნენ „ვეფხისტყაოსანში" ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი, კორნელი კეკელიძე (თუმცა კ. კეკელიძე არ იყო ამ საკითხში თანმიმდევრული, 1933 წელს იგი სუფისტურ თეორიას ავითარებდა, 1941წ. უარყო ეს აზრი, 1945წ. კი ისევ სუფიზმს დაუკავშირა).

სუფისტური სიყვარული უმთავრესია აღმოსავლურ პოეზიაში.

ჯალალ-ედ-დინ რუმი წერდა: „მე... ერთს ვუჭვრეტ ორსავ სოფელში... იგია პირველყოფილი და უკანასკნელი, იგია ცხადი და დაფარული. და ამ სოფელში ჩვენ ორს გარდა, სხვას არავის ვცნობ. მე სიყვარულმა დამათრო და ცნობისაგან მიხდილი მაქვს ორივ ქვეყანა".

სუფისტების მოძღვარი იბნ ელ არაბი წერდა: „მე მივსდევ რელიგიას სიყვარულისას. მე მიწოდებენ ხან ღაზელების მწყემსს, ხან ქრისტიან ბერს, ხანაც სპარსელ ბრძენს. ჩემი მიჯნური სამებაა, რომელიც არის მხოლოდ ერთი" (8,17).

გალაკტიონმა დაამკვიდრა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში საღვთო სიბრძნის გამომხატველი ლექსები, რომელიც ცნობილია „გაზელების" სახელწოდებით.

ამ ტრადიციების სათავე ქართველმა პოეტმა აღმოსავლურ ლირიკაში – ჯალალ-ედ-დინ რუმის, ნიზამის, ომარ ხაიამის, საადის შემოქმედებაში იპოვა და განაცხადა, რომ ისინი „სავსე პეშვებით ისვრიან აელვარებულ მარგალიტებს გაზელებისას".

წერილში „გაზელა" გალაკტიონი საუბრობს როგორც გაზელის წარმოშობაზე, ისე მის თავისებურებებზე: „გაზელა, როგორც ფორმა, ეკუთვნის სპარსეთის პოეზიას და ითვლება მის ერთ დამახასიათებელ ფორმად. მთელი პოეზია სპარსეთის, განსაკუთრებით მეორე პერიოდი (1106-1203), ერთი განუწყვეტელი დითირამბია უნაზესი გრძნობების. მშვენება შირაზის, პოეტი ჰაფეზი, მსოფლიოში განთქმული ლირიკოსი, რომელიც გავლენას ახდენდა ევროპის ლიტერატურაზე და რომლის გავლენის ქვეშ დასწერა გიოტემ თავისი „დასავლეთის დივანი", იყო უდიდესი პატრიოტი გაზელის. გიოტეს შემდეგ მთელს გერმანიას მოეფინა სასიყვარულო ლირიული ლექსები „გაზელების" სახელწოდებით, რომლებიც ხშირად იწოდებოდნენ „გაზელებად". მათში დაცული არ იყო ის თავისებურება, რომელიც სპარსულმა პოეზიამ დააკანონა გაზელისთვის".

„საქართველოშიც გაზელის მსგავსად დაიწერა ძალიან ბევრი ლექსი (ბესიკის, ალ. ჭავჭავაძის, საიათნოვას, მაგრამ მხოლოდ მსგავსად, არც ერთი ლექსი არ მოიპოვება ქართული გაზელა“.

გაზელის თავისებურება ისაა, რომ ერთი და იგივე სიტყვა ან გამოთქმა მეორდება ყოველი მეორე სტრიქონის ბოლოში, რის გამოც იგი დაყრუებულია უნაზესი სენტენციებით. ეს განმეორება სიტყვების არის უმთავრესი თვისება გაზელის... მას უნდა ჰქონდეს არანაკლები ხუთის და არაუმეტეს შვიდი ორსტრიქონიანი ტაეპისა“.

ამავე წერილში აღნიშნულია, რომ გაზელას წარმოშობა დაკავშირებული იყო სასანიდების დინასტიის სახელგანთქმული წარმომადგენლის – ბეჰრამგურის სახელთან, რომელიც იყო იდეალი რაინდის, მონადირისა და გულთამხილავის. მან მოიგონა პირველად მეტრული სიტყვა საყვარელი მონაქალის – დილარამის სტიმულით, რომელიც აღფრთოვანებული სიყვარულით, თავისი ბატონის პოეტურ სიტყვებზე უპასუხებდა ბოლო სიტყვების თანაბარი აღფრთოვანებით: „განა წარმოსადგენია ამაზე უფრო უმშვენიერესი წარმოშობა პირველი ლექსისა და გაზელისა?“ – ასკვნის გალაკტიონი (9,160-161).

„გაზელის მცოდნის“ ადრესატი თვით გალაკტიონი იყო: „შორეულ დღეებს მახლობლად უზის მცოდნე ჰაფიზის, მცოდნე გაზელის, ცივი ოცნება შხეფავს აუზის, ჩვენი დროც ისევ რუსთაველს ელის“ (ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის) (10,2015).

ქართულ პოეზიაში საღმრთო სიყვარულის იდეას იზიარებდნენ და „საყვარელს“ – ქრისტეს ეთაყვანებოდნენ დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ტერენტი გრანელი.

ქრისტე აკაკი წერეთლისთვის იყო უმაღლესი სიყვარული, „საყვარელი“ და „სულიკო“ ერთდროულად (სულიკო).

ხოლო „საყვარელის“ წყარო არის ბიბლია: „...ეს არის მეტრფე ჩემი, ეს არის საყვარელი ჩემი“ (ქებათა ქება სოლომონისა, 5,16) (11,17).

ასევე, ბიბლიაში ღმერთი მოიხსენება, როგორც „სულის შეყვარებული“... „სიყვარული“, „მეტრფე“, „სატრფო“ (ქებათა ქება სოლომონისა, 2,4,3,1) (11,15,16).

საღმრთო სიყვარულის იდეა ვლინდება რუსულ პოეზიაშიც.

„ციურ დედოფალს“ თაყვანს სცემდა ვლადიმერ სოლოვიოვი: „ჩემი სული... მიეახლება ციურ დედოფალს“ (12,12).

„ციურ მეუღლეს“, ღვთაებრივ ქალს უმღეროდა ალ. ბლოკი (მე ბნელ ტაძარში) (12,145).

„ზეციური ცოლი“ ეზმანებოდა ალ. ბლოკს ლაჟვარდებში: „ლაჟვარდებით გარემოცულს, დრო – დარბაზებს ანათებს, თეთრი, თეთრი ანგელოზი გზებს ვარდებით აღავსებს, ზეციური ჩემი ცოლი სტოვებს ცისფერ კამარას, გადიხსნება ოქროს რგოლი, ქათქათა ფრთებს დამალავს“ (12,168).

ვფიქრობთ, მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში საღმრთო სიყვარულის იდეის თანმიმდევრული ერთგულება – მსახურებით გამოირჩა გალაკტიონი.

ნიჰილიზმის, ცინიზმის ბატონობის ეპოქაში „მოკვდა“ ღმერთი, გამეფდნენ ანტიქრისტეს ნაშიერები, „ნათელის მგმობი“ ობივატელები, სისხლისღვრის, სულის ჩაკვლის ოსტატები. ამიტომაც არის გალაკტიონის პოეზიაში „წვალება და ვალალება გრძნობათ დამხობის“, მაგრამ მის ხსოვნაში მუდმივად ცოცხლობდა „ცისფერთვალება, იდუმალება შორეულ ტრფობის“ (ის) (1,40).

„იდუმალი, შორეული სატრფო“, „სხივნართ ელვა“, „შორეული ლანდი“ ბრბოში არ ცხადდება, მასთან შეხვედრა მხოლოდ „არსაამსოფლო გზით“ შეიძლება (სასიკვდილო მწუხარება) (13,305).

„ახლომდგომელი, მარადის დაფარული, მიუწვდომელი“ ზეციური სატრფო „შორეული და ახლობელია“ ერთდროულად (სადღაც მინახავს) (13,36), როგორც ნეტარი ავგუსტინე უწოდებდა ღმერთს.

პოეტი იტანჯებოდა „სიშორის სიახლოვით“ და „სიახლოვის სიშორით“.

არა ხორციელი, მიწიერი გრძნობები, არამედ „ციური ალერსი, „ციური ნანა“ იყო იდეალი: „ფიქალო მკერდზე არ ოცნებობს, არც გულზე, ის მხოლოდ ციურ ალერსზე გვედრის“ (სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებს) (14,56).

პოეტს რაინდობისთვის აქეზებს „სერაფიმთა ბაგეზე უნაზესი, ფაქიზი“ და ენატრება „შორეულთა ალერსი“ (ვიოლეს) (15,84).

შორეული სატრფო ვარსკვლავია, ცის თაღის შუქია, ღვთაებრივი ხმებით სიმღერებს რომ კარნახობს პოეტს და ისიც ცის სამსხვერპლოზე ალავლენს სიყვარულის დიდებას, ყველაფერი ქვეყნიური ამ ციური, ღვთაებრივი მშვენიერების ანარეკლად ისახება (ჩემი ვარსკვლავი, სატრფოო) (13,88).

ვარსკვლავი საღმრთო სახელია: „მე ვარ დავითს ფესვი და შთამომავალი, ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი" (იოანე მოციქულის გამოცხადება, 22,16) (2,521).

ზეციური, იდუმალი სატრფო, უხილავი ღმერთი პოეტის გულში იყო დავანებული: „ჩემს გულში ვეძებ ვარსკვლავებს, მთვარეს, მეგობრებს, სატრფოს ეშხით მღელვარეს" (ხშირად ვოცნებობ) (გალაკტიონი 15 ტომად, 1 ტ.I, თბ. 2016, გვ. 88).

მხოლოდ უზენაესის სიყვარულია „სრული ტრფობა" და ამიტომაც სანატრელია იმ სიყვარულის სიმღერა: „როგორ მიყვარდა! მაგრამ ხსოვნა იმ ტრფობის სრულის, დარჩა ჩემს გულში წარუშლელი და მოკამკამე, იმას იგონებს მოგონება დაღალულ გულის, იმ სიყვარულის მიმღერე რამე!"

კაცთათვის მიუწვდომელი და შეუცნობელი ღმერთის სახე მხოლოდ სიმბოლურ-ალეგორიულ სიტყვათშეთანხმებაში, ენიგმურ სახეებში უნდა გაცნობიერებულიყო და გალაკტიონი არა მარტო იყენებდა ტრადიციას, უსაზღვროდ აფართოებდა მის შესაძლებლობას, რაც ამ ლექსშიც ვლინდება: „ყმაწვილკაცობა, ყვავილები სიცოცხლის დილის ბურუსებს იქით გადიკარგა, როგორ ვეწამე. ახლა თავს მადგას მჭმუნვარება მომავლის ჩრდილის, იმ სიყმაწვილის მიმღერე რამე!" (მიმღერე რამე) (16,27).

„ყვავილების" გამოჩენით ძე ღმერთის მოვლინება გვეუწყება სოლომონის „ქებათა ქებაში": „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში" (ქებათა ქება სოლომონისა, II, 12) (11,15).

„მომავლის ჩრდილიც" ქრისტეზე მიგვანიშნებს, როგორც პავლე მოციქულის წერილში (კოლასელთა მიმართ 2,17) (2,433).

ის „მომხიბლავი" სიყვარული სატანურმა დრომ „სიზმარეული", აუხდენელი გახადა, მაგრამ რწმენა მისი მოვლინებისა, მაინც ალამაზებს არსებობას (ის ჩამომშორდა, როგორ სიზმარი) (1,17).

პოეტი „მთვრალი" იყო საღმრთო სიყვარულით, ის „სავსე ფიალით" ეწაფებოდა ოცნებას, მშვენიერებას (იმედთა ნაცვლად) (1,47).

ფიალა, თასი, ჭიქა, აზარფეშა მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია.

ბიბლიური წინასწარმეტყველი გვაუწყებს: „შენი თვალები იხილავენ მეფეს თავის მშვენებაში, დაინახავენ შორეულ ქვეყანას" (ესაია წინასწარმეტყველი, 33,17) (1,97).

„ქვეყნიურთა ვნებებს" განშორებულ, „სპეტაკ და უმწიკვლო, „ცის ვნებასთან" წილნაყარ პოეტს სიზმარეულ ხილვაში ევლინებოდა „წმინდა, შორი ქვეყანა", „ანგელოზთა ციური ნანა": „... მე მესიზმრება რაღაც წმინდა, შორი ქვეყანა, სადღაც, ოდესღაც ზმანებული, ერთხელ ნახული. მე მესიზმრება ანგელოზთა ციური ნანა, ღამის დუმილში ჩაქსოვილი და ჩასახული" (მე მესიზმრება) (1,39).

გალაკტიონი ხედავდა „ცათა ცას", უზენაეს მეუფეს – სიყვარულს, სამყაროს მამოძრავებელ ძალას, სილამაზის, უკვდავების მომნიჭებელს: „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ, უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ".

ამ სიყვარულს ღმერთი ეწოდება და დანტეს მიხედვით, ის სამყაროს, პლანეტებს აბრუნებს: „...წადილი, ნებისყოფა ჩემი შეირხა, როგორც ბორბალი, სიყვარულით მძლავრად დაძრული, იმ სიყვარულით, რაც აბრუნებს მზეს და პლანეტებს" (6,45).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ღმერთი არის „დიადი სიყვარული". „...ეს სამყარო დიადი სიყვარულით, რომლითაც მოწყალების გამო შენისა, ბრწყინავს და იწვის იგი, ვითარცა მარადიული შუვა დღე" (16,390).

გალაკტიონის პოეზიაში საღვთო სიყვარულს გულისხმობს როგორც „პირველი სიყვარული", ასევე „უკანასკნელი სიყვარული". „პირველი სიყვარული" ამ გრძნობის უპირველესობას, უზენაესობას, მის ხარისხს უსვამს ხაზს, ხოლო ეპითეტი „უკანასკნელი" გვაუწყებს, რომ ეს იშვიათი გრძნობა ადამიანის ცხოვრების მიმწუხრში, უკანასკნელ სტადიაში შეიგრძნობა და, საბოლოოდ, „პირველი" და „უკანასკნელი" ადამიანური სიყვარულის უმაღლესი, უზენაესი საფეხურია, ამიტომაც კეთდება აქცენტი ორივე ცნებაზე: „მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი, როგორც ყვავილი შემოდ-

გომის – ხშირად პირველს სჯობს, იგი არ უხმობს ქარიშხლიან, უმიზნო ვნებებს, არც ყმაწვილურ ჟინს, არც ველურ ხმებს იგი არ უხმობს“.

როგორც განსხვავებულია შემოდგომისა და გაზაფხულის ყვავილები, ასევე განსხვავებულია ხორციელი და სულიერი სიყვარული: „და შემოდგომის სიცივეში ველად გაზრდილი, ეს გაზაფხულის ნაზ ყვავილებს სულაც არა ჰგავს... სიოს მაგივრად ქარიშხალი ეალერსება და ვნების ნაცვლად უხმო ალერსს გარემოუცავს“.

გალაკტიონი აფიქსირებდა, რომ მის თანამედროვე ეპოქაში „მოკვდა“ უკვდავების მომნიჭებელი ღმერთი, ხოლო მისი უარმყოფელნი ვერასოდეს მისწვდებიან უკვდავებას: „და ჭკნება, ჭკნება სიყვარული უკანასკნელი, ჭკნება მწუხარედ, ნაზად, მაგრამ უსიხარულოდ და არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება, თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ“ (უსიყვარულოდ) (9,25)

პოეტის აზრით, უღმერთო არსებობა არარსებობის ტოლფარდია, ამიტომ ერთადერთი იმედი, ერთადერთი ხსნის გზა ისევ და ისევ „სიყვარულია“, „სიყვარულის სიმღერაა“: „...გულში ჟღერს რა ხანია, სიყვარულის სიმღერა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი“ (ილიას მოტივი) (1,602).

გალაკტიონის წინამორბედი ფრანგი სიმბოლისტი პოლ ვერლენი ივედრებოდა უზენაეს სიყვარულთან, მის „წმინდა ღვინოსთან“ (ღმერთთან) ზიარებას: „ღმერთო, შენი სიყვარულით უმოწყალოდ დამჭერ, სული ჩემი აზიარე შენი წმინდა ღვინით“ (17,90).

„არტისტული ყვავილების“ ავტორს, როგორც უზენაესთან წილნაყარს, უფლება ჰქონდა ეთქვა: „მე სიყვარულით ვიყავი მთვრალი“...

ასეთ თრობას უნდა ვუმადლოთ სიყვარულის უბადლო ცრუბადურის იმ მარადიულ შედევრებს, რომელთაც სულიწმინდის წარუხოცელი კვალი ატყვია...

**ლიტერატურა**


1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
3. პლატონი, „ნადიმი“, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ. 1964
4. ფსევდო-დიონისე არეოპაგელი (პეტრე იბერი), შრომები, ს. ენუქაშვილის რედაქციით, თბ. 1961
5. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, თბ. 2014
6. დანტე, ღვთაებრივი კომედია“, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941
7. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“, თბ. 1990
8. აღმოსავლური პოეზია, თ. ჩხენკელის თარგმანი, თბ. 1981
9. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 12, თბ. 1975
10. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1982
11. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1950
12. მარადი დღე, თბ. 1984
13. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1993
14. გალაკტიონ ტაბიძეს ხუთტომეული, ტ. 2, თბ. 2011
15. გალაკტიონ ტაბიძის ხუთტომეული, ტ. 1, თბ. 2011
16. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი,თბ. 1985
17. ფრანგი პოეტები, ფრანგულიდან თარგმანი გივი გეგეჭკორის, თბ. 1977

ოლეგ მელაძე



## სტუმარმასპინძლობის წესი ქართველ და კავკასიელ ხალხების ცხოვრებაში.

ყოფისა და კულტურის ძირითად კომპონენტებს შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი განეკუთნება სტუმარმასპინძლობის ტრადიციას, რაც უძველესი დროიდან მომდინარე და მსოფლიო ყველა ხალხის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი უნივერსალური მოვლენაა. მისი თავისებურება ვლინდება ამა თუ იმ ეთნოსის თუ ეთნოგრაფიული ჯგუფის ცხოვრების წესის შესაბამისად.ეს სპეციფიკა მკაფიოდ ჩანს კავკასიის მოსახლეობის ყოფაში, რისი საფუძველიც იყო თვით კავკასიის მკვიდრთა ღრმა ტრადიციულობა. სტუმართმოყვარეობა ქართველი და კავკასიელი ხალხების მაღალზნეობრივ თვისებათა ერთ-ერთ კატეგორიას განეკუთვნებოდა, ხოლო სტუმარმასპინლობა ღირშესანიშნავ საზოგადოებრივ ფენომენს წარმოადგენდა. ჳკავკასიის ხალხები ამ ჩვეულებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული და განმტკიცებული იმ თვალსაზრისის საფუძველზე, რომ ის სასარგებლო როლს ასრულებდა ნათესაური კავშირის შენარჩუნება-გაძლიერების, სოფლისა და თემის მკვიდრთა ურთერთდაახლოების, ხალხთა შორის კეთილზემობლური დამოკიდებულების განვითარების საქმეში. ეს ტრადიცია დიდ როლს ასრულებდა მძიმე საკომუნიკაციო პირობებში მცხოვრებ მთიელთა ყოფაში. ასეთ ვითარებაში მგზავრის უსაფრთხოების აუცილებელ პირობად ითვლებოდა სტუმრის მიღების სავალდებულო წესი. აღნიშნული ტრადიციის ესოდენ თვალსაჩინო ღირებულება განაპირობებდა მის სიცოცხლისუნარიანობას, რაც თავისთავად მოითხოვდა სტუმრის მიმართ მასპინძლის ამაღლებულ პასუხისმგებლობას.

სტუმარმასპინძლობის წესი და სტუმართმოყვარეობა რომ საყოველთაო მოვლენას წარმოადგენდა ქართველი და კავკასიელი ხალხების ცხოვრებაში და რომ ეს ჩვეულება მოსახლეობის ყველა ფენაში სრულდებოდა, ამაზე მეტყველებენ როგორც წერილობითი წყაროები, ისე უპირატესად ეთნოგრაფიული მონაცემები. ვახუშტი ბაგრატიონი ამიტომ მიიჩნევდა ქართველების ერთ-ერთ თვისებად მას, რომ ისინი არიან “სტუმართა და უცხოთა მოყუარენი”, რომ მათ “უყვართ სტუმარი და პატივსა უყოფენ და შეიწყნარებენ ფრიად”, რომ არიან “სტუმრის მოყუარენი და კეთილად შემწყნარენი”. შემთხვევითი არ არის, რომ ფეოდალური საქართველოს მმართველობის სისტემაში სამეფო კარზე არსებობდა მესტუმრეთუხუცესისა და მესტუმრეს თანამდებობა.ამ ტრადიციას პატივს მიაგებდნენ და ანგარიშს უწევდნენ როგორც სახელმწიფო აპარატის მოხელენი, ისე ქრისტიანული რელიგიის მსახურნი.

ნებისმიერი სხვა ხალხის ანალოგიურად კავკასიის ხალხთა ცხოვრებაშიც სტუმარმასპინძლობის თავისებურება თავს იჩენდა საოჯახო და საზოგადოებრივ ყოფაში. ამის შესაბამისად განიხილება ორი სახის სტუმარმასპინძლობა – საოჯახო და საზოგადოებრივი.პირველისთვის დამახასიათებელია ოჯახის პასუხისმგებლობა სტუმრის მიმართ და მასთან დაკავშირებული სავალდებულო წესების შესრულება. მისგან განსხვავებით საზოგადოებრივი ხასიათის სტუმარმასპინძლობა თავის გამოხატულებას პოულობდა ქორწილში, მიცვალებულის გლოვაში და ხალხურ დღესასწაულებში.

სტუმარმასპინძლობის დონეს განსაზღვრავს ორი ფაქტორი – მატერიალური და ზნეობრივი. მასპინძლის ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად სუფრა შეიძლებოდა ყოფილიყო მდიდრულად ან ღარიბულად გაწყობილი, მაგრამ ერთნაირად სავალდებულო იყო იმ წესების დაცვა, რაც ზნეობრივ კატეგორიას განეკუთვნებოდა. ეს თავის გამოხატულებას პოულობდა სტუმრის მიღე-

ბის და მისი გასტუმრების ტრადიციის აუცილებლობაში ყველა კომპონენტის გათვალისწინებით. კავკასიის ყველა ხალხში ადამიანის ქმედებას ამ შემთხვევაში განსაზღვრავდა იმის ღრმა რწმენა და შეგნება, რომ "სტუმარი ღვთისაა" და მის მიმართ მასპინძელს ღვთისნიერი დამოკიდებულება მართებდა. ეს დაუწერელი კანონი მოქმედებდა ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც რაღაცა გაუგებრობის მიზნით ოჯახს მოსისხლე მტერი ესტუმრებოდა. ტრადიცია მასპინძელს ავალდებულებდა სტუმრის ხელშეუხებლობას და მისი მშვიდობიანად გასტუმრების გარანტიას. მხოლოდ ამის შემდეგ იყო დასაშვები სამაგიეროს გადახდა შურისძიების ადათის გამოყენებით. აღნიშნულის დამადასტურებელია როგორც ეთნოგრაფიულად ისე იურიდიულად შესწავლილი ადათობრივი ნორმები, ისე მხატვრული ლიტერატურის მონაცემები. საილუსტრაციოდ იკმარებდა თუნდაც ვაჟა-ფშაველას პოემა "სტუმარ-მასპინძელი", რომელშიც რელიეფური სიცხადითაა წარმოდგენილი სტუმარმასპინძლობის ჩვეულების ხელყოფის ტრაგიკული სურათი.

იმის გამო, რომ სტუმრის მიღება და დაცვა უწმინდეს საზოგადოებრივ მოვალეობად ითვლებოდა, მასპინძელს მოეთხოვებოდა მტრისგან ან დამსჯელი ორგანოებისგან დევნილი სტუმრის მფარველობა. როგორი სახიფათოც არ უნდა ყოფილიყო დამნაშავედ ცნობილი კაცის სტუმრობა, ის უვნებლად უნდა გაესტუმრებინათ. უკიდურეს შემთხვევაში კი, თუ სტუმრის დაცვის შესაძლებლობა არ არსებობდა, წესად იყო მიღებული მისი გახიზვნა.

ყველა ვითარებაში – ინდივიდუალური სტუმრობის თუ საზოგადოებრივი ხასიათის სტუმარმასპინძლობაში სტუმრის მიღების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სასტუმრო ოთახის ან ნაგებობის არსებობა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სტუმრისთვის უმთავრესად განკუთვნილი ყოფილა საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთი ნაწილი. **ხევში** სტუმარს ღებულობდნენ და აძინებდნენ სამყოფოს – სახლის მთავარი განყოფილების ერთ-ერთ კუთხეში, ხოლო პრივილეგიურ ოჯახში ამ ფუნქციას ასრულებდა იზოლირებული ოთახი. **თუშეთში** სამსართულიანი სახლის მესამე სართული წარმოადგენდა სასტუმრო განყოფილებას, სადაც იდგა ნოხით, ჯიხვის ტყავით და მუთაქებით გაწყობილი ხის ტახტი. **ფშავში** სტუმარს ათავსებდნენ ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე, რომლის მარტივი შიდამოწყობილობის ატრიბუტს წარმოადგენდა მოჩუქურთმებული ტახტი მასზე გაფენილი ჭრელი ფარდაგებით. **სვანეთში** სასტუმრო ("გუბანდ") ერქვა სახლზე მიშენებულ განყოფილებას. ამისგან განსხვავებით, **რაჭაში** გვარს ერთი სასტუმრო სახლი ჰქონდათ, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გამოიყენებოდა საერთო – სოფლის სასტუმრო. ანალოგიური ვითარება დასტურდება **აჭარაშიც** სოფლის შესასვლელთან მდგარი დაბალი ჯარგვალის – სოფლის სასტუმროს სახით. აფხაზეთში თვით ღარიბი ოჯახიც კი ორ ფაცხას დგამდა – საჯალაბოდ და სასტუმროდ. ამ უკანასკნელში სტუმრისათვის განკუთვნილი იყო რამდენიმე ხელი საუკეთესო ლოგინი. ამისგან განსხვავებით მაჰმადიან აფხაზებში სასტუმროს ფუნქციას ასრულებდა მიცვალებულის სულის მოსახსენებლად სოფლის განაპირად აშენებული ე.წ. **აბაყა,** სადაც მგზავრისთვის საჭმელ-სასმელსაც დებდნენ.

XIX საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ჩრდილო კავკასიის მუსლიმანურ მოსახლეობაში საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა ე.წ. საყონაღო, რომლის სახელწოდება მომდინარეობს ყონაღ-იდან, თურქული სიტყვიდან (კუნაკ), რაც ნიშნავს სტუმარმასპინძლობით დამეგობრებულ პირს, ხოლო ამ ურთიერთობას ეწოდებოდა ყონაღობა. საყონაღო ერქვა ეზოში განცალკევებით მდგარ მცირე ზომის ერთკამერიან ნაგებობას.

მისი ინტერიერის მოწყობილობაში შედიოდა ხის საწოლები, დაბალი სკამები, კედლის თაროებზე დაწყობილი ლოგინი, ხალიჩით დაფარული კედელზე დაკიდებული იარაღი. ზოგიერთ საყონაღოში თაროებზე ეწყო დაკეცილი ხალიჩები და სამზითვო სკვირები შიგ ჩალაგებული ნივთებით. კედელზე ეკიდა რამდენიმე სინი და ლანგარი.თიხით მოტკეპნილ იატაკზე გაფენილი იყო ნანადირევის ტყავი ნამაზისათვის – ლოცვის პროცედურის შესრულებისთვის.ერთ-ერთ კედელში მოწყობილი იყო ბუხარი.

საყონაღო ჩრდილო კავკასიაში მრავალმხრივი ფუნქციის მატარებელი იყო. XIX საუკუნის დამკვირვებელთა ცნობების თანახმად, ოჯახის უფროსი კაცი აქ არა მარტო სტუმარს ღებულობდა, არამედ მთელ დღეს საყონაღოში ატარებდა და მხოლოდ საღამოს ბრუნდებოდა საჯალაბო

ოთახში. აქვე იკრიბებოდნენ მამაკაცები სათათბიროდ , ხოლო თავისუფალ დროს უცოლო ახალგაზრდებიც ერთობოდნენ.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ საყონაღოს არქაულ ფორმას წარმოადგენდა ეზოში მდგარი ნაგებობა. მერმინდელ სახეობად მიჩნეულია მრავალკამერიან საცხოვრებელ ნაგებობაში სასტუმროდ გამოყოფილი ოთახი.ოჯახს ორ ოთახზე მეტი რომ არ ჰქონოდა, ერთს უსათუოდ საყონაღოდ იყენებდა. ეს ოთახი ისევე იყო მოწყობილი, როგორც ეზოში მდგარი საყონაღო. ისიც ცნობილია, რომ ყოველ სოფელში ერთი საერთო საყონაღო იდგა, რომლის გამოყენება ნებისმიერ მგზავრს შეეძლო.

სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა სტუმრის მიღების წესი და გამასპინძლება (ცერემონიალი), რაც ინდივიდუალური თუ მასობრივი სტუმრიანობის შესაბამისად სრულდებოდა. ხევში არსებული ჩვეულების მიხედვით სტუმრად მოსული კაცი მასპინძლად საგულვებელ ოჯახს შეუკივლებდა ოჯახის უფროსის ან სხვა რომელიმე მამაკაცის სახელს. ყოვლად დაუშვებელი იყო ქალის სახელის დაძახება.გარეთ გამოსულ მასპინძელთან შეხვედრისა და ურთიერთმოკითხვის შემდეგ უმცროსები ცხენს ჩამოართმევდნენ, ხოლოდ ამის შემდეგ მასპინძელი სტუმარს სახლში შეიყვანდა. სტუმარი კერასთან დაიძახებდა — "აქა მშვიდობა" მასპინძელიც უპასუხებდა – "მშვიდობა მოგცათ უფალმა" ამას დიასახლისიც ეტყოდა, შემდეგ ერთიმეორეს მოიკითხავდნენ "თავად, საქონლით, ჯალაბობით", უმცროსები სტუმარს ახსნიდნენ ნაბადსა და იარაღს, ხოლო უფროსი კერასთან მდგარ გრძელ სკამზე დაჯდომას შესთავაზებდა. სტუმარ-მასპინძლის საუბარს მოჰყვებოდა სუფრის გაწყობა, მოლხენა და ბოლოს სამყოფში — საჯალაბოდ განკუთვნილ ოთახში სტუმრის დაძინება. Aანალოგიური წესები სრულდებოდა საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

XIX საუკუნეში მრავალმა მოგზაურმა უშუალო დაკვირვების საფუძველზე აღწერა სტუმრის მიღების წესი ჩრდილო კავკასიის ხალხებში.ადათობრივი სამართლის წყაროებიდან და ეთნოგრაფიული მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ კავკასიაში სტუმრის მიღების დროს მასპინძლებს შორის ფუნქციები ნაწილდებოდა მათი ასაკის შესაბამისად. როგორც წესი, ეზოში დახვედრა, სტუმრისთვის ცხენის , ნაბადის, ყაბალახისა და იარაღის ჩამორთმევა ახალგაზრდებს ევალებოდა, ხოლო საყონაღოში მას დაუხვდებოდა ოჯახის უფროსი. თუ სტუმარიც ხანდაზმული იყო, გამასპინძლებაც ოჯახის უფროსის მოვალეობას შეადგენდა,ხოლო ახალგაზრდა სტუმრისადმი პატრონობა მისი ასაკის მასპინძელს ევალებოდა.

ქართველ და კავკასიელ მთიელებში მიღებული ჩვეულების მიხედვით სტუმრისადმი მომსახურების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას შეადგენდა მისთვის ხელ-ფეხის დაბანა, რაც ახალგაზრდებისა და ქალების მოვალეობას შეადგენდა. მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა სტუმრისთვის სუფრის გაშლა.

სტუმრისადმი პატივისცემა მარტოოდენ მის კარგად მიღებასა და გამასპინძლებაში როდი გამოიხატებოდა. ზოგიერთ ხალხში მიღებული ყოფილა ურთიერთშორის სამახსოვრო ნივთების გაცვლა. მაგალითად, ვაინახებში არსებული ჩვეულების მიხედვით სტუმარს უფლება ჰქონდა წაეღო მასპინძლის შევერცხლილი ხანჯალი და სამაგიეროდ მისთვის დაეტოვებინა თავისი ხანჯალი ხის ქარქაშით. ამგვარი ხასიათის გაცვლა ვითომც დროებით ხდებოდა, მაგრამ მასპინძელს სირცხვილად ჩაეთვლებოდა ნასტუმრებ კაცთან ხანჯლის სათხოვნელად მისვლა. სტუმრის უფლებამოსილება უფრო შორსაც მიდიოდა.სტუმარს შესძლებია მასპინძლისათვის საჩუქრად მოეთხოვა რაიმე ნივთი ან პირუტყვი,რაზედაც უარის თქმა მიუღებელი ყოფილა. დასაშვებად ითვლებოდა, რომ თავის მხრივ მასპინძელს სტუმრისათვის საჩუქარი მოეთხოვა, მაგრამ უარის თქმა სტუმარს აუგად არ ჩაეთვლებოდა. მასპინძელს ყველა ღონე უნდა ეხმარა, რომ სტუმარი ნაწყენი არ წასულიყო. სტუმარს რომ სხვა მასპინძელი გაეჩინა, ყოფილი მასპინძელი ამით სახალხოდ შერცხვებოდა. სტუმარი იქ იმდენად დაფასებული იყო, რომ ამ ტრადიციაზე სოციალური განსხვავებაც კი ვერ მოქმედებდა. ნებისმიერი წოდების კაცს შეეძლო სტუმრებოდა თავადს და რამდენიმე ხანი დაეყო მის საყონაღოში.სტუმარს შესძლებია წასვლისას მისგან საჩუქრად მოეთხოვა ძროხა ან ცხენი. ძუნწის სახელის გავრცელების შიში მასპინძელს აიძულებდა ადათს დამორჩილებოდა და სტუმრის სურვილი დაეკმაყოფილებინა.

ყონაღობა ზოგჯერ დანათესავებამდეც კი მიდიოდა. თუ სტუმრის მოსვლისას მასპინძლის ოჯახში ვაჟი დაიბადებოდა, მასპინძლის თხოვნით ბიჭს სახელს არქმევდა სტუმარი.მოგზაურთა მიერ აღნიშნულია, რომ ჩვეულებისამებრ ის თავის სახელს არქმევდა. ამ დღიდან მათ შორის ნათესაური კავშირი მყარდებოდა, რაც განამტკიცებდა ყონაღობას, როგორც ნათესაურ კავშირთან გათანაბრებულ მოვლენას. ამის მაჩვენებელია მემკვიდრეობის წესი : მასპინძლის ოჯახში ყონაღის გარდაცვალების შემთხვევაში, მასპინძელს უფლება ჰქონდა თავისთვის დაეტოვებინა ის ნივთები, რომლებიც გარდაცვლილს, როგორც ყონაღს (და ამდენად ნათესავს) თან ახლდა.

XIX საუკუნის დამკვირვებლებს დაუმოწმებიათ სასჯელის ზომებიც სტუმარ-მასპინძლობის წესების დარღვევის შემთხვევაში. ფ. ლეონტოვიჩის მიერ გამოცემულ "კავკასიელ მთიელთა ადათებში" ფიქსირებული ცნობების მიხედვით ჩეჩნეთსა და ოსეთში სტუმრის შეურაცხყოფისათვის დამნაშავე ვალდებული იყო მასპინძლისათვის გადაეხადა უნაგირით აკაზმული ცხენი, იარაღი და 18 ძროხა, ხოლო ყოველივე ამას მასპინძელი გადასცემდა შეურაცხყოფილ სტუმარს. სტუმრის მოკვლის შემთხვევაში კი მკვლელი მასპინძელს უხდიდა სრულ საურავს მოკლულის ნათესავებისათვის გადასაცემად. ამასთან ერთად მკვლელი ყველა ვალდებულებას ასრულებდა მოკლულის ნათესავების დაშოშმინებისა და თავიდან ჩამოშორების მიზნით. სისხლის საურავის გადაუხდელობა შეუძლებელი იყო და თუ მკვლელი ამას დაუშვებდა და მოკლულის ოჯახისათვის მასპინძელთან არ მიიტანდა 70 ძროხის ღირებულების საურავს, მასპინძელი მოვალე იყო თვითონვე ეძია შური.სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციას ხალხი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ მასობრივადაც ხდებოდა სათანადო ზომების მიღება წესების დარღვევის შემთხვევაში. ეს ვლინდებოდა ისეთ ვითარებაში, როდესაც სტუმრის მოკვლის შემთხვევაში მკვლელი საურავს არ გადაიხდიდა და მასპინძელიც მასზე შურს არ იძიებდა. ხალხი ასეთ მასპინძელს ღამით კარებს ქვებით ამოუქოლავდა. ასეთ საშუალებას მიმართავდნენ ყოველ ღამეს, ვიდრე მასპინძელი სავალდებულო წესს არ შეასრულებდა.

კავკასიელ ხალხთა ყოფაში მნიშვნელოვან მოვლენად ითვლებოდა გამასპინძლება მასობრივი სტუმრიანობის შემთხვევაში, რასაც ადგილი ჰქონდა ქორწილში, გლოვის პროცესში და ხატობა-დღესასწაულებში. ცქორწილისა და გლოვის დროს ჩვეულებისამებრ მასპინძლის როლში იმყოფებოდა მექორწილის ან ჭირისუფლის ოჯახი. ასეთ ვითარებაში სტუმარ-მასპინძლობა მასობრივი ხასიათისა იყო იმდენად, რამდენადაც დიდი იყო სტუმართა რაოდენობა. მისგან განსხვავებით სტუმრობაც და მასპინძლობაც ორმხრივი მასობრივი ხასიათისა იყო ხალხური დღესასწაულების დროს. სოფლის ხატობა – დღესასწაულებში მოსულ სტუმარს თუ მასპინძელი არ ეყოლებოდა, მასპინძლის ფუნქციას ასრულებდა სოფლის ყველა მკვიდრი ხალხის მიერ შემუშავებული წეს-რიგის დაცვით. როგორც წესი, მხვეწარი ხატში ძღვენითა და საკლავით მიდიოდა, რომელიც სათანადო რიტუალის შესრულებისა და კულტის მსახურთა მხრიდან დამწყალობნების შემდეგ საერთო ლხინში ღებულობდა მონაწილეობას, მაგრამ მასპინძლის როლში მყოფი მოსახლეობა თავიდანვე თადარიგს იჭერდა. Aმ მხრივ საყურადღებოა ხევში არსებული წესი, რომლის შესრულების მიზნით ხატობის დაწყებამდე ყველა ოჯახის წარმომადგენელი ერობაში – სოფლის შესაკრებ ადგილას სტუმრების მიღება-განაწილებაში მონაწილეობდა. მასპინძლობას შესთავაზებდნენ იმათ, რომელთაც ამ სოფელში ნათესავი და მოკეთე არ ეყოლებოდათ. ერობიდან სახლში იქიდან სალოცავში სტუმრის წაყვანა ყოველი მოხევისთვის პრესტიჟულ საქმედ ითვლებოდა და მის აღსრულებას ყველა ხალისით ეკიდებოდა. ასეთ ვითარებაში მასპინძლის უმთავრეს მოვალეობას შეადგენდა ოჯახში ლხინის გაგრძელება, სტუმრის დაძინება და მშვიდობიანად გასტუმრება. რამდენადაც სტუმართმოყვარეობა ადამიანის ერთ-ერთ დიდ ღირსებად ითვლებოდა, ხოლო ამ საქმეში პასიურობა ხალხში პიროვნების ავტორიტეტს ამდაბლებდა, ამდენად სტუმარ-მასპინძლობა ფრიად საპასუხისმგებლო საზოგადოებრივ ხასიათს ატარებდა. მოხევეებთან ერთად ესოდენ დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ ხევსურებიც, რომელთა თვალსაზრისით "სტუმარშინშაუყვანელი" კაცი გაკიცხვას იმსახურებდა. ასეთი გაგებით ხვდებოდნენ სტუმარს ხევსურები საფეხვნოში — მამაკაცთა შესაკრებ ადგილას, სადაც სტუმარი მიდიოდა. ხოლო აქედან რომელიმე დამხვდური მასპინძლის მოვალეობას შეასრულებდა. ამ შემთხვევაში საფეხვნოს ისეთივე მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორიც ჰქონდა ერობას ხევში.აქ დამხვედრი ხევსურები როგორც კი შეიტყობ-

დნენ, რომ უცხო კაცს მასპინძელი ესაჭიროებოდა, დაუყონებლივ ცხენს ჩამოართმევდნენ და რომელიმე ახალგაზრდას ერთ-ერთ ოჯახში წააყვანინებდნენ. საფეხვნოში გასაუბრების, სადაურობის გამოკითხვისა და მოსვლის მიზეზის გაგების შემდეგ კი ყველა მასპინძლობას შესთავაზებდა, მაგრამ ბოლოს იქ მოუწევდა სტუმარს მისვლა, სადაც ცხენი იყო მიყვანილი. ოჯახში კი ყველა ის წესი შესრულდებოდა, რაც ტრადიციით იყო დაწესებული. ამათგან უმთავრესი იყო იარაღის ახსნა და ოჯახის უფროსისათვის მისი ჩაბარება, სტუმრისთვის ფეხსაცმელების გახდა და თათების ჩაცმა, სიცივეში ქურქის წამოსხმა, სუფრის გაწყობა, საუბრით, სიმღერით და ლექსებით თავის შექცევა და ბოლოს დაძინება. დილით კვლავ გაუმასპინძლდებოდნენ, ცხენს აუკაზმავდნენ, სოფლის ბოლომდე გააცილებდნენ და გზას სასმელით დაულოცავდნენ. ამ დროიდან სტუმარსა და მასპინძელს შორის მეგობრული ურთიერთობა მყარდებოდა. ჩვეულებისამებრ ხევსურეთში თუ საქართველოს სხვა კუთხეებში სტუმრობის ვადა არ იყო რეგლამენტირებული.უმეტეს შემთხვევაში სტუმარი მეორე დღეს მიდიოდა, ხოლო საჭირო საქმიანობის შემთხვევაში კი მეტ ხანსაც რჩებოდა.

მიპატიჟებისა და გამასპინძლებაში ოჯახის უფროსის პრიორიტეტი ერთნაირად დამახასიათებელი იყო საქართველოსა და კავკასიის ხალხებისთვის, ოღონდ სპეციფიკური ნიუანსების თანხლებით. ერთ-ერთი თავისებურება იმაში პოულობდა გამოხატულებას, რომ საქართველოში წესად არსებობდა უცნობი სტუმრისათვის ვინაობისა და მოსვლის მიზეზის კითხვა. ჩრდილო კავკასიის მოსახლეობაში კი ეს უტაქტობად ითვლებოდა. სპეციფიკა შეინიშნება სხვა მხრივაც. საქართველოში სტუმარს შეეძლო გადაადგილება სახლის ფარგლებში (გარდა საქალებო ნაწილისა), ხოლო ჩრდილო კავკასიაში სტუმარი საყონაღოს კედლებს ვერ გასცდებოდა. საქართველოს მთიანეთში სუფრაზე ქალების მომსახურება და თვით სასმელის დასხმაც (ფშავი, თუშეთი), რაც არ სრულდებოდა ჩრდილო კავკასიაში, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მაჰმადიანები სასმელს არ სვამდნენ და მეორეც იმიტომ, რომ მამაკაცების ტაბლასთან ქალების ტრიალი მიუღებელი იყო.

ოჯახში სტუმრის მოსვლისას თავის ვალდებულებას არ ივიწყებდნენ ნათესავები და მეზობლები. საქართველოს ყველა კუთხეში თუ დაინახავდნენ, რომ ოჯახს სრულფასოვანი გამასპინძლების საშუალება არ ექნებოდა, ნათესავები და მეზობლები საჭმელ-სასმელით შეეწეოდნენ. ამგვარი ჩვეულება თავისთავად ნათესაურ-მეზობლური ურთიერთდახმარების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა.

სტუმარმასპინძლობის ტრადიციის გამოყენების შესაძლებლობით სარგებლობდა ამანათად მოსული კაციც. ეს განსაკუთრებით ესაჭიროებოდა მკვლელობის მიზეზით გამოქცეულ კაცს, ვინც იცოდა, რომ სტუმრად თავშეფარების შემთხვევაში ის დაცული იქნებოდა. მასპინძელიც მას იცავდა, ხოლო სტუმრობის პერიოდი მთავრდებოდა იმ დღიდან, როდესაც ის გვარსა და თემს ხარ-ქვაბით შეეყრებოდა.

განხილული მონაცემების მიხედვით ნათლად გამოჩნდა, რომ კავკასიის მრავალეროვანი მოსახლეობა ხასიათდება ყოფისა და კულტურის თვითმყოფადობითა და ნაირსახეობით. ამ ხალხების ყოფისა და ტრადიციების თავისებურებანი საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა, დროთა ვითარებაში ტრანსფორმაციასაც განიცდიდა, მაგრამ ძირითადად ინარჩუნებდა კავკასიური ცხოვრების წესს მისი უმთავრესი კომპონენტებით.კავკასია განუმეორებელი მხარეა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით, სამეურნეო ყოფით, სოციალურ ურთიერთობათა ფორმებით, მატერიალური და სულიერი კულტურით, რომელთა ერთიანობა ქმნის კავკასიურ სამყაროს.

ლიანა ოსიაშვილი მელიქიძე



# გენიოსური ლექსი

როცა ანთოლოგიის მეექვსე ნომერში გამოქვეყნებულ ნიჭიერ პოეტთა ლექსებს ერთდროულად გავეცანი, მრავალი მათგანი თითქმის თანაბრად მომეწონა, მაგრამ ძალაუნებურად ერთ-ერთი განსაკუთრებით დამრჩა გონებაში.

ნათქვამი ბანალურ სიტყვებად რომ არ ჩაითვალოს საუკეთესო ავტორებსაც და მათ ლექსებსაც დავასახელებ. მაგალითად მაყვალა გონაშვილის: „ფერიცვალება", ერეკლე საღლიანის: „სალაღობო", ბალათურ არაბულის: „დედის და ძმის ხსოვნას", ტარიელ ხარხელაურის: „ვერ აგაცილე დაღლა". თამარ ჯაჭვაძის: „სველი თვალები", ლამარა ასისტიშვილის: „ქარიშხალი", თემურ ჩალაბაშვილის: „სანთელი" ნიკო ბაღაშვილის: „ფიქრი მაცალე" და მართლაც „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშაო", ძნელია ყველა ავტორთა და მათ სალბუნ ლექსთა ჩამოთვლა, მაგრამ ამ კლასიკურ ლექსთა ბუმში, გულში რომ სამუდამოდ დარჩება ქ-ნ გულნაზ ხარაიშვილის სენსაციური-ფავორიტული აქროსტიქში დაწერილი ის ლექსია რომლის სათაურიცაა: „მამა ამირან ამირანაშვილი საქართველოს სიმდიდრე და სიამაყეა".

მას შემდეგ რაც მამა ამირანზე ლიზი ნადირაშვილის ინტერვიუ წავიკითხე ანუ ახლოს გავეცანი პიროვნულ ბიოგრაფიას მისით მოხიბლული დავრჩი (რასაც მრავალ დისკრედიტებულ ღვთის მსახურზე ვერ ვიტყვი). სათაურის მიხედვით მეგონა ლექსიც მამაოზე იყო დაწერილი. ( რადგან განსაკუთრებით ბოლო ხანებში იგი პოეტთა მუზად იქცა). ამჯერად კი ეს მთალდ ასე არაა. ყოვლად წმინდანთან აქროსტიქული ლექსით აღსარების ჩაბარება უფროა: /„მ-ამაო, კრძალვით გეტყვი ჩემს სათქმელს,/ „ა-რ იტევს გული უკვე ნაფიქრალს". /შეეყავართ ლექსის ექსტაზში ავტორს /„ა-რც დავფიქრდები, გულს გადაგიშლი, /და აქ უკვე მთავარი სათქმელი: /„ მუმლი გარს მივლის აღარ მეშვება"... /„ი-მედის გზაზე მუდამ კვალს მიშლის" ,/ხოლო შემდეგ გულის ამაფორიაქებელი სტრიქონიც /„ რ-ამდეჯერ ჩემთან ბედსაც ეშლება"/, რაც კაცობრიობის 95 თუ არა 80 პროცენტის ტკივილიანი სათქმელის ამეტყველებაა...

აქროსტიკში ასეთი ზუსტ რითმიანი სათქმელის დაწერა კი მარტო ბეწვის ხიდზე ეკვილიბრისტიკის კი არა, მასზე ასკინკილით გავლას, ან კიდევ ციდან ჩამოშვებულ თოკზე ცალი ხელით ასვლას ნიშნავს. მითუმეტეს, რომ ვერ იგემებ აქროსტიქის სიღრმის გემოს თუ ასეთი ლექსის თვითეული ბგერა თუ სიტყვა დიოპტრში არაა შემოწმებულ-გამიზნული. იგი განსაკუთრებით მაშინაა რთული დასაწერი, თითქმის შეუძლებელი, როცა მისი სტრიქონთა პირველ ბგერათა შინარსი ლექსის სათაურია. მეტ ადრე როცა აღნიშნული ლექსის სათაური, კავშირთან ერთად, შვიდ სიტყვიანია. თორემ სტრიქონის პირველ ბგერათა რაიმე შინარსით მიღებული აქროსტიკული ლექსის დაწერა შედარებით მარტივია.

თორმეტ სტროფიანი ლექსის მომდევნო სტრიქონებში, სადაც აქროსტიქისთვის განსაზღრულ პირველი ასოები ორიონივითაა განცალკევებულ-გაბრწყინებული, ვკითხულობთ: /„ნ-ატყვიარ გულზე ბევრჯერ დამთოვა",/ „ა-ლბათ გადავლილი ბოლოსდაბოლოს" /„მ-ე ტკივილებთან ისევ მარტო ვარ" /ეს ფანტასტიური, ღრმად ჩასაფიქრებელი ნათქვამია.

ასეთი სტრიქონები კი გულს აჩუყებს, რადგან ავტორს მარტო ლექსით კი არა პიროვნულად ვიცნობ და მართალს ბჭობს: /„ ი-იცის უფალმა მტერსაც რომ ვლოცავ, /„რ-ა ვიცი მარგამ შური არ მიყვარს"/. პირველად, როცა ქალბატონი გულნაზი საუბარში „მტერს" ახსენებდა მიკვირდა, ვის ან რაში ჭირდებოდა მისი მტრობა, შემდგომში როცა ამდაგვარში დავრწმუნდი, გამიკვირდა ამ საამაყო ერისშვილისთვის, როგორ უნდა ეთქმევინებინათ მზგავსი, ჩიქორთული ლექსების და საქციელის პატრონ, ლიტერატულურ მტრებს და სწორეთ ასეთთა მიერ ატკიებული გულით ამბობს: /„ა-ხსარებაზე მომიწევს მოსვლა /„ნ-აისრი გული თუ ისევ მომყვა". /„ზოგი ჭირი მარგებელიაო", /უიმათოდ ასეთი მგრძნობიარე სტრიქონები ხომ ვერ შეიქმნებოდა, სტრიქოენბი რომელიც მაგონებს გასული საუკუნის სუპერ-წარმატებულ, მეფე პოეტის ედგარ პოს სალექსო ჟესტსა თუ კონცეფციას.

ამ დიდი ავტორის შემოქმედებაში როგორ შეიძელბა პესიმიზმი სჭარბობდეს, სწორედაც აქვეა ოპტიმისტური და ოპტიმალური, თან მამაოსადმი აპრობაციული სტრიქონებიც: /„ლ-ოცვა მიშვე-ლის დამლოცე მამავ, /„ი-მედიანო, ღვთის გზით მავალო“/... და კვლავ ფილუგრანულად ბაასი მამაოსთან: /„ვ-იცი მამაო დიდ ტვირთს ატარებ/ „ე-ს დიდი გზაა, ცათა სოფელის, /„ლ-ოცვით დაგვმოძლვრავ დიდს და პატარას“/ „ოქროს და ვერცხლის უარმყოფელი“/.

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო“, მინდა სათქმელი შევამოკლო, მაგრამ როგორ არ მოვიყ-ვანო ავტორის აპოთეოზი კვლავ მამაოსადმი: /„ს-ად არ იარა თქვენმა სახელმა,/ „ს-აამური ხმით ჭექდი გუგუნით“ /„ი-ქნება მართლაც ღმერთმა ინება „/ა-ხლა ღვთის ხმაზე რომ აბულბულდი“ /უქებს ღვთისმოსაობას კალმოსანი პოეტი.

მამაოსადმი ყველას არა აქვს ნამდვილი ნდობა და კვლავ ბრწყინვალე მჭევრმეტყველებით მოკძალებულად მიმართავს მამაოს: /„მ-ამა ამირან გთხოვ მაპატიო“ /„ა-მ გაზედვისთვის ვითხოვ შენდობას/, „ყ-ინვას გავურბი რომ არ დამთოვოს,“ /„ ე-ხლა ეს გული შენ ერთს გენდობა“/

ზემოთ ვახსენე; როგორ შეიძლება ასეთი ერის შვილის მტრობა მეთქი, დავამატებ, როგორ შეიძლება შვილ მკვდარ დედასთან, დიდ ავტორთან, ძლიერ რედაქტორთან, ასეთი მტრობა რა-საც ვერ მალავს ავტორი და კვლავ ეაჯება მამაოს: „დ-ედის ცრემლები არ მსურს იხილო,“/ „ა-ეს სიმწარე ჯვარცმის ტოლია“/ „ი-მ ტანჯვის მერე როგორ ვილხინო“ /„მ-ტერი კეთილსაც ბევრი მყოლია“/.

ზოგჯერ პოეზიის ვექტორს ანუ დიდსათქმელნი ლექსის პოეტურ საჭეს ველარ იმორჩილებენ და ბოლო და ყველაზე მთავარ სათქმელს მოაჩოლპოტებენ, რითაც ინტერესიან ლიტერატურის მოყვარულს გულ დაწყვეტილს ტოვებენ ხოლმე.

ამჯერად ყოვლად უნიკლური შემთხვევაა. ეს მართლაც და დიდებული ლექსი, დიდებულად მთავრდება, რამე თუ ავტორი მკითხველთან არ კეკლუცობს, თორემ მისი შესაძლებლობის მაჯის ცემა ვიცი როგორი იმპულსურია. მაღალმხატრულ დონეზე ასე ამთავრებს ამ საოცარ ზეციურ ლექსს. /„ე-იფელის კოშკს დარდებით მივწვდი“/ „დ-ედამ შვილი რომ მიწას დავუთმე“ /„ი-ქ ცის ქვეშეთში ქმარ-შვილი მიცდის“ /„ა-ქ კი სანთელი უნდა დაუნთო“.

ასეთ დიაპაზონის ლექსზე უბრალოდ ვერ ვიტყვი შაბლონურ ნათქვამს; ოქროს ასეობითაა ქართულ პოეზიაში ან თუნდაც სასწავლო წიგნებში შესატანი მეთქი.

**მასზე მხოლოდ და მხოლოდ ერთი ითქმება, რომ... ლექსი გენიოსურია...**

**ლიანა წურწუმია**



## ანტიკური ხელოვნება

### მიკენის ხელოვნება
### (ქალაქები: მიკენი, ტირინსი)

!

მიკენის კულტურა გაერთიანებული საბერძნეთის სიმბოლოა. მიკენელი ანუ კონტინენტელი ბერძნები ისტორიის ასპარეზზე ძვ. წ. XVI ს. უკვე ჩნდებიან. მათი დამკვიდრება არაა ერთდროული და მექანიკური პროცესი. დევკალიონის კატასტროფის დროს ბერძნულენოვან ტომებს მრავალ დასახლებაში საკმაოდ მყარი პოზიცია ეკავათ. კატასტროფამ კი სტიმული მისცა სხვადასხვა დასახლებაში რაოდენობრივი უპირატესობის თვისებრივ უპირატესობაში გადასვლას. ეგეიდის კუნძულებზე ბერძნები ხმელთა-შუა ზღვის იმ რეგიონში გამოვიდნენ, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციის სამშობლოდ ითვლება – მათთან პარალელურად მცირე აზიაში ხეთების მძლავრი იმპერია არსებობს. მიკენური

საბერძნეთის პერიოდს ემთხვევა ეგვიპტის ახალი მეფობის ხანის აღმავლობის პერიოდი. ანტოლიაში უგარიტულ-ფინიკიური კულტურა ყვავის.

მიკენი, როგორც კონტინენტური საბერძნეთის უმთავრესი დასახლება, ძვ. წ. XVII-XVI სს. მიჯნაზე უკვე არსებობს. მაგრამ ძვ. წ. XV ს.-დან მიკენური კულტურა და საზოგადოება განვითარების უმაღლეს ფაზაში შედის. აქაველ ტომთა ნაწილი კრეტაზე დასახლდება და კნოსოსის მდიდარი ტრადიციების მემკვიდრე ხდება. ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ პირველი ბერძნული დამწერლობა სწორედ აქ აღმოცენდა. მიკენი კრეტის მემკვიდრეა.

ქალაქი მიკენი ზღვის დონიდან 280 მ-ზეა გაშენებული მიკენის ბორცვზე. ქალაქს აკროპოლისი ჰქონდა, ციხესიმაგრე, გალავნით შემოზღუდული. გალავნის ქვები იმდენად დაუმუშავებულია, უხეშად გათლილი, რომ მის აგებას არაადანიამური ძალის მქონე კიკლოპებს (ციკლოპები) მიაწერდნენ. ამიტომ უზარმაზარ ქვა-ლოდებს კიკლოპებს უწოდებდნენ, ხოლო გალავანს „კიკლოპურს". გალავნის კედლის სისქე 5,50-7,50 მ-ია, სიმაღლე 12 მ. გალავნის შესასვლელი – მეგალითური არქიტექტურისა – დღემდე შემორჩენილია კარიბჭით, რომლის გვერდები პირდაღებულ და ყალყზე შემდგარ ლომებს წარმოადგენს. მიკენის კარიბჭეს „ლომთა კარიბჭეს" უწოდებენ. ორი ვეება ქვისგან გამოკვეთილი ლომის ფიგურები, რომელთა თავები დღეს ჩამოშლილია, მაინც შთამბეჭდავია. ეს კარიბჭე აშენებულია ძვ. წ. XII ს.-ში, როცა მიკენის კულტურა ზენიტში იყო. ქალაქის ცენტრში იდგა იმ დროის არქიტექტურის ძირითადი სახე — ქვის მასიური შენობა — მეგარიონი, რთული კონსტრუქციით, ეზოებით, პროპილეონით — სხვადასხვა დანიშნულების სახლებით, დარბაზებით, გალავნის გარეთ კი უბრალო ხალხის დასახლება იყო.

მიკენურ ფერწერაში გაქრა ის დინამიკურობა და სიახლისაკენ სწრაფვა, რაც მინოსურს ჰქონდა, სახვით ხელოვნებაში თავი იჩინა სქემატიზაციამ და გეომეტრიზაციამ. ეს კარგად ჩანს ძველი კრეტისა და აქაველთა კრეტის, ანუ გვიანმინოსური ხანის კერამიკულ ხელოვნებაში. მიკენურ კერამიკაზე ჩნდება ადამიანთა გამოსახულებები, როგორც ორნამენტიზაციის უმთავრესი ელემენტი.

მიკენის კულტურასა და ხელოვნებასთან დაკავშირებულია ის ამბები, რაც ჰომეროსის მითებმა შემოგვინახეს, კერძოდ, ტროას ომი, არგონავტები. მინოსური კრეტისგან მიკენელებმა მემკვიდრეობად მიიღეს ზღვაოსნობის სიყვარული და ტრადიციები. მიკენური საზოგადოება უკვე საკმაოდ დიფერენცირებულია, თუმცა იგი ვერ თავსდება ვერც გვაროვნული, ვერც მონათმფლობელური და ფეოდალური ფორმაციების კლასიფიკაციაში.

აქაველები ძვ. წ. XIII ს-ში ომს აწარმოებდნენ ტროას წინააღმდეგ, 1000-მდე ხომალდი და 100 000-მდე მეომარი გამოიყვანეს. ხეთური დოკუმენტებითაც მტკიცდება, რომ მცირე აზიის დასავლეთ სანაპირო ზოლში არსებობდა ხალხთა ძლიერი გაერთიანება, რომელშიც ტროაც შედიოდა (ხეთურად ტარჟირი). მიკენურ ეპოქაში უკვე გვხვდება ტერმინები: ანაქსი, ბასილევსი, დემოსი, რომლებიც ჰომეროსის ეპოქიდან გავრცელდნენ. მიკენურ წარწერებში გვხვდება ზევსის, პოსეიდონის, ჰერას, ათინას და სხვ. ღმერთების სახელები. მიკენის თანამედროვე ხეთური და ეგვიპტური წყაროები ადასტურებენ, რომ ბერძნები თავის თავს აქაველებს ეძახდნენ, სწორედ მათ შექმნეს საფუძველი ელინური კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

მიკენური კულტურის ზეობის ხანაა ძვ. წ. 1400-1200 წწ. დასკვნა: ბერძნები ეგეოსის ზღვიდან მოვიდნენ და მათ ღრუბელივით შეისრუტეს ძველაღმოსავლური ცივილიზაციებისა და მინოსურ-ბერძნული კულტურის ტრადიციები, გადახარშეს იგი და მისცეს თვითმყოფი ბერძნულ-ელინური ხასიათი. მიკენურმა მხატვრულმა კულტურამ მინოსურს დაუპირისპირა გეომეტრიზმი და სწრაფვა ფორმალიზმისაკენ. უპირატესობა მიენიჭა მეგარიონის ტიპის არქიტექტურას. რაფინირებულ მინოსურ არქიტექტურას ციკლოპური მშენებლობის ტიპი დაუპირისპირდა. ძვ. წ. XII-XI სს.-ის მიჯნისთვის მიკენის კულტურა განადგურებულია. კატასტროფას დორიელების შემოსევას უკავშირებენ.

ძვ. წ. XII ს.-დან იწყება ზღვის ხალხთა გადაადგილება, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო გვალვითა და შიმშილობით. ამ მოძრაობამ დაანგრია მიკენური ცივილიზაციის ცენტრები. იწყება ე. წ. „ბნელი წლები" (ძვ. წ. XI-Xსს.) – ამ დროს კონტინენტზე ჩრდილოეთიდან მოსული დორიელები ბატონდებიან, მათმა კულტურამ, რომელიც უფრო დაბალ დონეზე იდგა, ვიდრე აქაველთა, დაიწყო ახალი ხანა. იწყება კლასობრივი დიფერენციაცია, პრიმიტიულ სახეს იღებს

ხელოვნება, იზრდება გეომეტრიზაციისა და ფორმალისტური ტენდენციები. წამყვანი ხდება ხაზები, გეომეტრიული სამკუთხედები, წრეები, ოთხკუთხედები.

ეს ეპოქა მითების, ლეგენდების თხზვისა და რეპროდუცირების ხანაა. პოპულარულია მითი სამი ძმის — ზევსის, პოსეიდონის და ჰადესის შესახებ, მითი ურანოსისა და გეას, კრონოსისა და ზევსის შესახებ. ჩამოყალიბდა 12 ოლიმპიელი ღმერთის სიმბოლური ატრიბუტები: ზევსი (რომ. იუპიტერი) — წესრიგი, კანონზომიერება, ჰერა (რომ. იუნონა) — ქორწინების, მელოგინეთა ღმერთი; პოსეიდონი (ნეპტუნი) — ზღვის სტიქიონის, მიწის რყევის ღმერთი, დემეტრა (კიბილა) – დედამიწის ნაყოფიერების, სიუხვის ღმერთი, აპოლონი (რომ. აპოლონი) — ხელოვნებისა და მედიცინის, მზის, სინათლის, წესრიგის, ჰარმონიის ღმერთი, არტემიდა (რომ. დიანა) – ნადირობის, ფლორისა და ფაუნის ღმერთი, ჰეფესტო (რომ. ვულკანი) — ცეცხლის, მჭედლობის ღმერთი, ათენა პალადა (რომ. მინერვა) — სიბრძნის ქალღმერთი, აქაველთა მფარველი, არესი (რომ. მარსი) — ომის ღმერთი, აფროდიტა (რომ. ვენერა) — სილამაზის ქალღმერთი, ჰერმესი (რომ. მერკური) – ღმერთების შიკრიკი, მოგზაურობის, ვაჭრების, ქურდების ღმერთი, ჰესტია (რომ. ვესტია) – ოჯახის ქალღმერთი. მეცამეტე ღმერთად თვლიან ზევსისა და პოსეიდონის ძმას, ჰადესს (რომ. პლუტონი) — ქვესკნელის ღმერთს. გარდა ამისა, ყოველი მნათობი ღმერთის გამოვლენაა: მზე — ჰელიოსი, მთვარე — სელენა. მოირები ბედისწერის ქალღმერთებია, რომლებსაც ღმერთებიც კი ემორჩილებიან. საბერძნეთი ერთიანი ქვეყანა არ იყო, ამიტომ ღმერთებს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ეპითეტით მოიხსენიებდნენ, ღმერთები ადამიანური ვნებებით ცხოვრობდნენ მითებში.

მითოლოგიაში გამოიკვეთა გმირთა თაობაც. ძირითადია სამი გმირი – პერსევსი, ჰერაკლე და თეზევსი – ნახევრად ღმერთები, ნახევრად ადამიანები. ცალკე დგას დიონისე, რომელიც ოლიმპოზე არ ცხოვრობს, იგი კვდება და კვლავ ცოცხლდება, სიცოცხლის მანძილზე დედამიწაზე დადის და ვენახის გაშენებას, ღვინის დაყენებას ასწავლის ადამიანებს.

მითები თავისებურად აირეკლა ბერძნულ მხატვრულ ლიტერატურაში: მაგალითად, **აქილევსის მითი.** აქილევსი დემეტრამ ქუსლით დაიჭირა და ისე განბანა ჯადოსნურ მდინარეში, ამით იგი უვნებელი გახდა, მაგრამ ქუსლი მის სუსტ ადგილად დარჩა. თუმცა ჰომეროსს „ილიადაში" არ აქვს ნახსენები „ქუსლი". ან **არგონავტების მითი:** კოლხეთის მეფის ქალიშვილის, მედეას, დახმარებით ბერძენმა იასონმა კოლხეთიდან ოქროს საწმისი გაიტაცა. შეყვარებული მედეა საბერძნეთში გაჰყვა იასონს, რომელმაც ცოლქმრული ერთგულების ფიცი გატეხა. შურისძიების მიზნით მედეამ ჯადოსნური სითხით დაასველა სამოსი, რომელიც იასონის საცოლეს გაუგზავნა, როცა საპატარძლო საკურთხეველს მიუახლოვდა, ცეცხლი წაეკიდა.

მეტად პოპულარულია **მითი ორფევსზე**: ორფევსი კალიპეს შვილი იყო, მამა –აპოლონი. დაიბადა თრაკიაში, მას თავდავიწყებით უყვარდა მუსიკა და ტყის ნიმფა — ევრიდიკე.

**აპოლონი** ყველაზე პატივცემული ღმერთია ზევსის შვილებს შორის. რომაელებმა ყველა ღმერთს მოუძებნეს ადეკვატური სახელი, გარდა აპოლონისა. ავგუსტ ოქტავიანე ყველაზე დიდ პატივს აპოლონს მიაგებდა. საიდან მოვიდა აპოლონის კულტი?

მიკენელი ბერძნებისათვის აპოლონი უცხო ღმერთია. აპოლონის კულტის ჩასახვის ადგილად შუა დუნაი მიიჩნევა. ძვ. წ. XII-XI სს.-ში, როცა დორიელებმა აქაველები გამოდევნეს მიკენიდან, მათ ეკავათ დუნაის, ბალკანების შავი ზღვისპირეთის, მცირე აზიის, ეგეიდასა და პელოპონესის ტერიტორია. სწორედ დუნაიდან შემოიტანეს დორიელმა მეომრებმა აპოლონის კულტი მცირე აზიასა და ბალკანეთზე. ადრეულ ხანაში აპოლონი მწყემსების და მიწათ-მოქმედების ღმერთად ითვლებოდა. ბერძნულ მითოლოგიაში აპოლონი ზევსისა და ქალღმერთ ლეტოსის შვილია, არტემიდას ტყუპის ცალი. ლეტოსს ჰერამ მოლოგინების საშუალება არ მისცა, მაშინ ნეპტუნმა (პოსეიდონმა) ეგეოსის ზღვიდან კუნძული დელოსი ამოსწია, სადაც დაიბადნენ ტყუპები. აპოლონის პირველი ფუნქცია მზეს და სხივებს უკავშირდება. სხივები მისი ისრებია, რომლითაც იგი მოსავალს წვავს, ამიტომ ბერძნებს ეშინოდათ აპოლონის განრისხებისა.

**პერსევსი – არგოსის მეფე.** აკრისიოსი თავის მიწისქვეშა სასახლეში გამომწყვდეულ ქალიშვილს, დანაიას და ჩვილ შვილიშვილს, რომელიც ოქროს წვიმად მოვლენილი ზევსისგან შეეძინა, ხის კიდობანში ჩაკეტავს და ზღვაში გადაისვრის. გამოირიყებიან კუნძულ სერიფოსაზე და ხელში ჩაუვარდებიან მეფე პოლიდექტეს, რომელსაც დანაიას ცოლად შერთვა სურს. იგი დაავალებს თავის გერს, პერსევს, გორგონა მედუზას თავი მოუტანოს. ღმერთების დახმარებით

პერსევსი ასრულებს დავალებას, უკან დაბრუნებული დაიხსნის ურჩხულისაგან ლამაზ ანდრომედას და ცოლად შეირთავს, მედუზას თავს კი ათინას აჩუქებს. პაპის — აკრისიოსის — მოკვლის შემდეგ იგი არგოსის მეფე ხდება. პერსევსს მიაწერენ მიკენის დაარსებას.

**ჰერაკლეს მითი**: ჰერაკლე ზევსისა და ალკმენეს შვილია. აკვნის ჩვილი აღრჩობს ჰერას მიერ მოგზავნილ ორ გველს, ასრულებს მიკენის მეფის 12 დავალებას — კლავს ლომსა და ჰიდრას, ასუფთავებს ავგიას ბინძურ თავლას, იმორჩილებს კრეტის ველურ ხარს, ჰესპერიდების ბაღიდან იპარავს ოქროს ვაშლს, ამოიყვანს ცერბერს მიწისქვეშეთიდან, ატლასის ნაცვლად დაიჭერს ცის თაღს, მონაწილეობს არგონავტების ლაშქრობასა და ტროას დანგრევაში. ბოლოს იგი იმსხვერპლა კენტავრ ნუსოსის მიერ დამზადებულმა შხამმა, რომელიც ჰერაკლეს ცოლმა შეცდომით მის შესანარჩუნებლად გამოიყენა. საშინელი წამების თავიდან ასაცილებლად, ჰერაკლემ თავი დაიწვა. ზევსმა იგი გააღმერთა და ოლიმპოზე აიყვანა.

**თეზევსის მითი**: დაამარცხა მინოტავრი, სძლია ყაჩაღ პროკრუსტეს, თავისი ცოლის, ფედრას, ცილისწამების გამო დაწყევლა შვილი — ფედრას გერი, იპოლიტე და სასიკვდილოდ გასწირა იგი.

მითებისა და თქმულებათა სამი ციკლი გამოიყოფა – 1) თებეს ციკლი — ოიდიპოსის შესახებ. 2) არგონავტების ციკლი და 3) ტროას ციკლი.

ძვ. წ. IX-VIII სს. ბერძნული ცივილიზაციის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს პოლისი და დამწერლობა წარმოადგენს. პოლისის წარმოშობას საფუძვლად დაედო ქალაქ-სახელმწიფოების, კერძო საკუთრებისა და გვაროვნული ურთიერთობის რღვევის შემდეგ კლასობრივი საზოგადოების წარმოშობა. გვაროვნულ-ტომობრივ გაერთიანებებს მეფე-ბასილევსი ედგა სათა-ვეში. ქალაქ-სახელმწიფოს ცენტრი – ქალაქი – სპეციფიკური არქიტექტონიკით გამოირჩევა: მოედანი სახალხო კრებებისათვის – აგორა, ზემო ქალაქი სატაძრო კომპლექსით — აკროპოლით.

ამ პერიოდში დაიწყო ოლიმპიური თამაშები. იგი დაკავშირებულია ოლიმპიასთან. ოლიმპია და ოლიმპო სხვადასხვაა. ოლიმპოს მთა, თოვლით დაფარული მწვერვალით, ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილშია. მასზე ღმერთები ცხოვრობენ. ოლიმპია კი ქალაქია სამხრეთ საბერძნეთში, პელეპონესში, მწვანე მუხის ტევრით, ატეხილი ჭალებითა და ზევსის დიდებული ტაძრით. სწორედ ამ ტაძართან იმართებოდა ოლიმპიური თამაშები ოთხ წელიწადში ერთხელ, როცა მთელ საბერძნეთში მშვიდობა მყარდებოდა, ქალაქ-პოლისები წყვეტდნენ ომებს და მთელი საბერძნეთი აქეთკენ მოემართებოდა. გადმოცემით, ოლიმპიადის საწყისად ხუთი მოვლენაა მინიშნებული. პირველი ზევსის სახელს უკავშირდება: პრეისტორიულ ხანაში ღმერთებსა და ტიტანებს შორის ომების შემდეგ, ტიტანების გამარჯვების აღსანიშნავად ზევსმა მოაწყო გამარჯვებული ღმერთების შეჯიბრება: აპოლონმა ჰერმესს აჯობა სირბილში, ხოლო არესს – მუშტი-კრივში; მეორე მოვლენად მიჩნეულია ის დრო, როცა მეფე პელოპმა ეშმაკობით აჯობა მეფე ანომაის, მოისყიდა მეჯინიბე, რომელმაც მეფის ეტლს სადავეები არ დაუმაგრა და მოსახვევში ეტლი დაიმტვრა. მესამედ – როცა ჰერაკლემ ავგიას თავლის გაწმენდის შემდეგ ზევსის საპატივ-ცემულოდ შეჯიბრება მოაწყო. მეოთხედ – როცა მეფე იფიტი და სპარტელი მეფე ლიკურგი დაზავდნენ შეჯიბრების მოწყობის მიზნით. მეხუთეა: ძვ. წ 776 წ., როცა ქვის ფილებზე გამარ-ჯვებულთა სახელების წერა დაიწყეს. შეჯიბრება ზევსის საპატივცემულოდ მოეწყო.

ოლიმპიური თამაშები მწყემსებს ეხმარებოდა ხელობის უკეთ დაუფლებაში. ამდენად, ოლიმპიადას უშუალოდ პრაქტიკულ-პრაგმატული დანიშნულება ჰქონდა. მწყემსს ძალა და მოხერხება სჭირდებოდა. რისთვის? — იგი უნდა დაედევნოს ნადირს, ე.ი. მას სჭირდება სწრაფად სირბილი, გადახტომა, ჯოხის ან ქვის ზუსტი სროლა მიზანში, ძლიერი მკლავი, ჭიდაობა ნადირთან შესაბამულად, ე.ი. მკლავჭიდში ძლიერი უნდა იყოს. ამდენად, ხუთჭიდი, რაშიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ოლიმპიადაზე, მწყემსთა ცხოვრების წესიდან იყო ამოზრდილი. ოლიმპიადაში გამარჯვებულებს აჯილდოებდნენ ზეთისხილის გვირგვინით, დელფიურ თამაშებზე კი – დაფნის გვირგვინით. გამარჯვებულს უდგამდნენ ბიუსტს ან ქანდაკებას. ცნობილია ასეთი მითი: სახელგანთქმული ოლიმპიელის, დიაგორას, შვილიშვილებმა ოლიმპიადაში მიიღეს მონაწილეობა და გაიმარჯვეს. მერე გახარებულებმა პაპა მხრებზე შეისვეს და ისე შემოატარეს სტადიონი. სპარტელებმა დაუყვირეს: „მოკვდი დიაგორ! მიწაზე ამაზე მეტად დიდებას ვერ მოიპოვებ, ცაში კი მაინც ვერ ახვალ“.

ძვ. წ. 776 წელს, ოლიმპიადის ოფიციალურ დღესასწაულად გამოცხადების დღიდან, ბერძნებმა იწყეს წელთაღრიცხვა, იქმნება ფონეტიკური დამწერლობა. ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებში

უკვე იწყება გეომეტრიული პერიოდი, ამ დროისათვის ბერძნები ახდენდნენ ფინიკიური დამწერლობის რეორგანიზაციას. ასოებიდან მხოლოდ თანხმოვნები გადმოიტანეს, მას დაუმატეს ხმოვანთა აღმნიშვნელი ასოებიც. ბერძნულ ენაში 24 ამგვარი ნიშანი დაფიქსირდა. ბერძნებმა ფინიკიელებისაგან გადმოიღეს ასო-ნიშნები და მათი სახელწოდებები, დაუმატეს მათი ენისთვის დამახასიათებელი ბგერების შესატყვისი ნიშნები, რომლებიც ფინიკიურში არ იყო და შექმნეს ახალი ფონეტიკური სისტემა. სწორედ ეს დამწერლობა გახდა ეტრუსკული, ლათინური და სხვა ხალხების დამწერლობათა სისტემის საფუძველი.

ძვ. წ. IX-VIII სს-ში გეომეტრიზაციის სტილი ბატონდება კერამიკულ ხელოვნებაშიც. კრეტის კერამიკული ნაწარმის თავისებურება ის იყო, რომ კერამიკული ნაწარმი ცოცხალი არსების შთაბეჭდილებას ახდენდა, ზღვის ცხოველების გამოსახულების ფორმით იყო წარმოდგენილი ყოფითი საგნები (ვთქვათ, ფორმით მედუზა, კიბორჩხალა, თევზი, ფუნქციით კი დოქი, თეფში, ლარნაკი და ა.შ.). კრეტის კერამიკის ფერწერა ბუნებას აფიქსირებდა უცვლელი სახით, ცოცხლად და გასულიერებულად. გეომეტრიული პერიოდის კერამიკა კი აბსტრაჰირებულია, განზოგადებული, განყენებულია გარემო ბუნებისაგან. ამ პრიოდის ჭურჭელი, რომელიც თავის დროზე ყოფით დანიშნულებას ასრულებდა, დღეს ჩვენი აღქმისათვის ისტორიული და ესთეტიკური ღირებულებისაა მხოლოდ, აღიქმება როგორც ჩაკეტილი კონსტრუქცია. მისი ყვითელი ფონი და მოშავო ლაქებით შესრულებული ორნამენტი წესრიგისა და ჰარმონიის, სისტემატურობის შეგრძნებას იწვევს.

ყველაზე ცნობილი ნაწარმი ატიკაში გვხვდება. ძვ. წ. VIII ს-ის ე.წ. „დიპილონური ჭურჭელი" გეომეტრიული ხანის ხელოვნების საუკეთესო ნიმუშია. ეს ჭურჭელი მთლიანად დაფარულია განმეორებადი გეომეტრიული ორნამენტებით დამშვენებული სარტყლებით, რომლებიც ერთმანეთისაგან ხაზებით გამოიყოფიან. სარტყლებზე ასახულია ყოფითი და მითიური სიუჟეტები: მიცვალებულის დატირებისა და ტროას გმირის, ნესტორის, სცენები, თეზევსისა და არიადნეს ხომალდზე ასვლა, ოდისევსის ხომალდის დაღუპვა და სხვ. „ბნელი წლების" სქემატიზმი, რომელიც ღვთაებათა ხის სკულპტურისათვის იყო დამახასიათებელი, თანდათანობით ქვისგან დამზადებული გეომეტრიული მცირე ზომის ქანდაკებებში ფორმისა და კომპოზიციის უფრო რეალისტური აღქმით აღინიშნება. ეს მცირე ქანდაკებები ნიადაგს ამზადებენ არქაიკის, მოგვიანებით კი კლასიკური ბერძნული სკულპტურის აღმოცენებისათვის. გეომეტრიული სტატუებიდან ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს „ცხენები ოლიმპიიდან", ცალხელაწეული ბრინჯაოს კაცი, სტატუები დიპილონიდან, კიკლიდური კუნძულებიდან.

**ჰომეროსის პოემები** გეომეტრიული პერიოდის ყველაზე დიდი მონაპოვარია. ძველბერძნული და საერთოდ, მთელი ევროპული ლიტერატურის პირველი ძეგლებია მისი „ილიადა" და „ოდისეა". „ჰომეროსამდე არც ერთი პოეტის სახელის დასახელება არ შეგვიძლია", – წერდა არისტოტელე. მართალია, ბერძნულმა მითოლოგიამ კი შემოგვინახა რამდენიმე პოეტის სახელი, მაგალითად, ორფევსი, რომელიც თავისი სიმღერით კლდეებსაც კი ძრავდა; ამფიონი, რომლის სიმღერებზე ქვები მწკრივად ეწყობოდა. ფამიროსი, რომელიც მუზებს ეჯიბრებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ლეგენდებად ქცეული სახელებია. მათ ნაწარმოებებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

ჰომეროსი არქაულ პერიოდშივე ითვლებოდა მიბაძვის საგნად. ესქილე ამბობდა, რომ მისი შემოქმედება მხოლოდ „ჰომეროსის დიდი ლხინის ნასუფრალია". მისი პოემები ეროვნული ეპოსის შედევრებია, რომლებიც ენციკლოპედიურ ცოდნას შეიცავენ ბერძენი ხალხის ცხოვრების, მისწრაფებების, ვნებების, ფსიქოლოგიის შესახებ. მათი ზერელე გაცნობაც კი გვარწმუნებს, რომ ამ პოემების მითური სიუჟეტები საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და ფოლკლორული ხასიათი ჰქონდათ. თუ როგორ იქმნებოდა პოეზიის ნიმუშები, ამის შესახებ თავად ჰომეროსი გვამცნობს. აქედან ჩანს, რომ შრომითი, სარიტუალო, სადღესასწაულო, სამგლოვიარო სახის სიმღერები ინსტრუმენტების თანხლებით სრულდებოდა. „ილიადაში", რომელიც „ოდისეაზე" უფრო ადრეა შექმნილი, არაფერია ნათქვამი პროფესიონალი მომღერლების შესახებ. ვინ თხზავდა ამ სიმღერებს, ისიც არაა ცნობილი. „ოდისეაში" კი უკვე ვხვდებით პროფესიონალი მომღერლების სახელებს: „დომიდოკი", „ფამიროსი". მათი სიმღერები ღმერთებისა და გმირების სადიდებელი ჰიმნები იყო, რომელთაც აედები ასრულებდნენ. მათი სიმღერების ტექსტები მოკლედ მოთხრობილია „ოდისეაში". მაგალითად, დემოდოკი მღერის მხიარულ სიმღერას ჰეფესტოს შესახებ, რომელიც თავისი ცოლისა და არესის პაემანს ქურდულად უთვალთვალებს.

აედები, ძირითადად, შემსრულებლები, იმპროვიზაციის დიდი ოსტატები იყვნენ. აედების ხანა წინარეისტორიული ხანაა, ჰომეროსამდელი. ძვ. წ. IX-VIII სს. – ჰომეროსის დრო კი რაფსოდების ხანაა. ლირის ნაცვლად რაფსოდს („მთხრობელი") ხელში უჭირავს მწვანით შემოსილი კომბალი. გმირული სიმღერები, რომლებსაც რაფსოდები თხრობით გადმოსცემენ, დეკლამაციის სახეს იღებს. თხრობითმა სტილმა გამოდევნა სასიმღერო ლირიკა. თუ როდის მოხდა ეს, უცნობია, მაგრამ პლატონი უკვე ლაპარაკობს რაფსოდების თხრობის დეკლამაციური ხასიათისა და მისი ზემოქმედების შესახებ.

**მანანა კვატაია**

## კათარზისი – ლიტერატურული თამაშის ლაიტმოტივი

თამაშების თეორიის მიხედვით, თავისუფალი თვითგამორკვევის ფორმა თამაშია. ადამიანს ორი არჩევანი აქვს: იყოს არარაობა ან ითამაშოს (სარტრი). ჰაიზინგას განმარტებით, კულტურა თავისუფალი და პატიოსანი თამაშია, თამაში, თავის მხრივ, კულტურის ფენომენია. მისივე სიტყვით, „თამაშს შეუძლია სილამაზისა და ღვთაებრიობის ისეთ მწვერვალებს მიაღწიოს, სერიოზულობა რომ ახლოსაც ვერ მივა". 2008 წელს გამოქვეყნებულ ინტერვიუში კითხვაზე: „რომელ თამაშს ითამაშებდით სიამოვნებით?" გივი მარგველაშვილი პასუხობს: „ლიტერატურულ თამაშს. ამ თამაშით მე გავათავისუფლებდი წიგნის პერსონაჟს თავისივე თემისაგან და სხვა თემებში გადავიყვანდი, რომლებიც მას თავისი ერთი და იმავე თემის მონოტონური არსებობისაგან იხსნიდნენ".

მსგავსი ლაიტმოტივი იკვეთება რომანებისა და პროზაული კრებულების ნიჭიერიEავტორის ჯანო ჯიქიძის 2014 წელს გამოცემულ წიგნში „ტუიაჰ!", რომლის ანოტაციაში ვკითხულობთ: „ლიტერატურული თამაში, ასერიგად ნიშანდობლივი თანადროული სამყაროს ხელოვნებისათვის, ჯანო ჯიქიძის ხელში მეტად მიმზიდველი და შთამბეჭდავია, გარეგნულადაც ეფექტური და შინაგანადაც ექსპრესიული". კრებული ფორმით, თემატიკით, კონცეფციით განსხვავებულ ოთხ პროზაულ ტექსტს წარმოგვიდგენს. ავტორის ორიგინალური სახისმეტყველებითი კონცეფცია იკვეთება მოთხრობაში „ტუიაჰ!" აქ მწერალი საკუთარ კოსმოგონიას ქმნის. „იყავით გონიერნი, ვითარცა გველნი და უმანკონი, ვითარცა ტრედნი" (სახარება მათესი, 10.16) – ეს ეპიგრაფი მოთხრობის დედააზრთან გვაახლოებს.

თხზულების ორიგინალური სიუჟეტი ეხმიანება ცნობილ ლეგენდას: სიკვდილის მოახლოების ჟამს ადამმა თავის შვილი სეთი ედემის ბაღში გაგზავნა, რათა მას შესასვლელში მდგომი ანგელოზისაგან ადამიანებისათვის დაპირებული პატიების ზეთი ეთხოვა. სეთს ედემის ბაღში ქვესკნელის პირას მდგარი ჯვრის ფორმის უზარმაზარი ხე უხილავს, რომლის კენწერო ცას სწვდებოდა, მის ფესვებში კი კაენის სხეული მიებათ. ანგელოზმა სეთს პატიების ზეთი არ მისცა, სამაგიეროდ, აჩუქა სიცოცხლის ხის სამი თესლი, რომლითაც ის ადამთან დაბრუნდა. სამიოდე დღის შემდეგ ადამიც მიიცვალა. გარდაცვლილს პირში სამი თესლი ჩაუდეს, როგორც ანგელოზმა ბრძანა. თესლები სამ გადაგრეხილ ხედ ამოიზარდა და ადამის სისხლი შთანთქა, ე.ი. ადამის სიცოცხლე ამ, ცხოვრების ხეში გაგრძელდა. შესაბამისად, სიცოცხლის ხე ამბივალენტური სიდიდეა: ორივე ფუნქციის (სიკვდილისა და სიცოცხლის) მატარებელი.

ცხოვრების ხე მრავალი ხალხის მითოპოეტურ ცნობიერებაში ფიგურირებს. ის კოსმიური წესრიგისა და სამყაროს მთლიანობის სიმბოლური სახეა, ამავე დროს, იგი ქვეყნიერების ნაწილთა ურთიერთკავშირს განასახიერებს. სიცოცხლის ხე, როგორც სამყაროს მოდელი, კოსმიური სიმბოლოა, სამყაროს 3 განზომილებას რომ აერთიანებს: ქვესკნელს, მიწასა და ცას. მისი ფესვები ქვესკნელშია, ღერო სკნელში, წვერი ზეცას სწვდება.

ამ ლეგენდის ორიგინალურ რეინტერპრეტირებად წარმოგვიდგა ჯანო ჯიქიძის მოთხრობა „ტუიაჰ!“ მთავარი პერსონაჟის თავგადასავალი მოულოდნელი პერიპეტიებით ვითარდება. მტრის მიერ ბავშვობაშივე დაობლებული გმირი შურისმაძიებლად აღზარდეს. ისიც ომობდა, არბევდა, კლავდა და ამას იმის გამო აკეთებდა, რომ მტერი აქეთ არ მოხტომოდა. გმირის ცხოვრებაში კათარზისის მომენტი მაშინ დგება, როდესაც ის და მისი მოძმეები მაღალმთის სოფელ ბუდაჯვარს ქონების მოხვეჭის მიზნით დაარბევენ და მოსახლეობას გაჟლეტენ. თუმცა მომხვდურნი იმასაც შენიშნავენ, რომ ადგილზე ერთი ქალიც არ დახვედრიათ, სოფლის განაპირას, კლდის ძირში ეყარენ დაჩეხილები: „თურმე ქარაფიდან გადაჭრილან ხელიხელჩაკიდებულნი – ქალები და ბავშვები – ოცდათორმეტი სული.. ნანახმა შემძრა“. ეს ტრაგედია მთავარი გმირისათვის შემობრუნების წერტილი გახდა: მასში სხვა ადამიანმა გაიღვიძა: „ჩემ თავთან და მაღალ ღმერთთან აღთქმა დავდე: აღარასოდეს მივუხტებოდი, აღარ დავარბევდი, არ მოვკლავდი, აღარ ვიძალდებდი“, - ამბობს იგი.

გადის ათი წელი, მშვიდობიანობის ჟამს გმირი სამ ცოლს შეირთავს, ექვსი შვილი გაუჩნდება, თუმცა ამოწყვეტილი ნასოფლარის გახსენება მას მოძმეთა ცოდვების გამოსყიდვის სურვილს უღვიძებს, ყველაზე მეტად კი იმ ადგილის ხილვა სურს, სადაც სხვებთან ერთად ის ცოდვა-მადლი დაატრიალა და სადაც თვითმკვლელობის გარდა სხვა გამოსავალი აღარ დაუტოვა ბუდაჯვრელ ქალებსა და ბავშვებს. მთავარი პერსონაჟი სწორედ აქეთ გაეშურება.

ხდება ისე, რომ გმირის წინააღმდეგობის მიუხედავად, ამოწყვეტილი სოფელი სწორედ მისი შთამომავლების მეშვეობით აგრძელებს სიცოცხლეს. თუმცა თვით გმირი დასაღუპადაა განწირული: ის სოფლის ქალებმა ქვებით ჩაქოლეს, თუმცა ქვებისა და ლოდების ქვეშ ახალი სიცოცხლე ჩაისახა. ხე გაზაფხულის გასრულებამდე წამოიზარდა, გაიფოთლა. მარადმწვანე მცენარემ, რომელშიც მთავარი გმირი ტრანსფორმირდა, სხვა ნაყოფიც გამოიღო: მან ცნება „მტერი“ დაივიწყა. მოთხრობის ფინალში მოსისხლეთა პატრიარქი და მატრიარქი ერთმანეთს ხვდებიან და ყოფილ მტრებს შორის მშვიდობა ისადგურებს. ტუიას ხედ გარდასახული გმირის მისია წარმატებით შესრულდა: მტრობით დარღვეული წესრიგი აღდგა. „ჩემი ტუიობა დამთავრდა – მე მაპატიეს“. აქ კათარზისის ეკლიანი გზაც დასრულდა.

ჯანო ჯიქიძის სხვა მოთხრობაში „ჯანიშინისა!“ თავდანვე განსაზღვრულია ისტორიული ლოკალი: XVII საუკუნის საქართველო. სიმინდის შემოტანიდან „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგ მეექვსისეულ გამოცემამდე მკითხველი სრულიად მოულოდნელ პლასტებს აღმოაჩენს. „თავსართში“ დახასიათებულია ახალი მარცვლოვანი კულტურის დამკვიდრების შედეგი: „იხარა, უხვმოსავლიანობით აჯობა ღომს, დაიფქვა, ჭადად გამოცხვა.. გემრიელად მიეწო ყელს, მწვანილს, ლორს.. გაქართულდა და ქართველს თავი შეაყვარა“.

ავტორი მკითხველს სტამბოლის მონათა ბაზარშიც მიუძღვება, სადაც, მოთხრობის მიხედვით, „ჩალის ფასი ედო საქართველოდან გატაცებულ ხნიერ ტყვეს: ასევე – ფიზიკური ნაკლის მქონე ან ავადმყოფის გარეგნობის მქონე ახალგაზრდას“, თუმცა, როგორც ირკვევა, სტამბოლის ბაზარზე ქართველი კაცი ისედაც იაფად იყიდებოდა (მაშინ, როდესაც ძვირი ღირდა ქართველი ქალი – „სილამაზე მაშინაც ფასობდა“, - ვკითხულობთ ტექსტში), რასაც ჯანო ჯიქიძე ამგვარად ხსნის: „ქართველი მონად არ ვარგა.. ის პატრონს, ადრე თუ გვიან, უღალატებს“. მწერალი გულისტკივილით წერს საქართველოში ადამიანების მონებად გაყიდვის მანკიერ ტენდენციაზე, „კაიოსმალები“ და „ვაი-ქართველები“ რომ ამკვიდრებდნენ. “იმერეთის გონჯი მეფე, დადიანი და გურიელი, ურთიერთქიშპს გადაყოლილები, ნებით თუ უნებლიედ ხელს უწყობდნენ საქართველოს ავადმყოფობას“, - ვკითხულობთ მოთხრობაში. „ლიხთსიქითა ქართლის გამგებლის სამაგალითო ქცევა მათთვის მისაბაძი არ იყო“, - შენიშნულია სხვაგან.

ქართლის ჯანიშინის, ვახტანგ მეექვსის სახელს მოთხრობაში იდუმალი ისტორია უკავშირდება: ბათომის უბადრუკ ნავმისადგომზე ოსმალური გემიდან ტვირთს ეზიდებიან და ქართლისაკენ მაქვთ. მწერალი ქართული სტამბის დაარსების ისტორიის საკუთარ, თითქმის დეტექტურ ვერსიას გვთავაზობს, სტამბისა, სადაც სახარება, ჟამნი, „ვეფხისტყაოსანი“, „სიბრძნის კონა“, „სიბრძნე სიცრუისა“ და სხვა ქართული წიგნები უნდა დაებეჭდათ.

პოლისემანტიკური კონოტაციებითაა დატვირთული ჯანო ჯიქიძის მოთხრობა „ინდაურების მწყემსი“, სადაც თანამედროვეობა და წარსული ერთმანეთს ხვდება. გარეგნულად კონტექსტიდან ამოვარდნილად მოჩანს მთავარი პროტაგონისტი ცოტაი (ინდაურების მწყემსი), რომლის ჰაბიტუ-

სიც თავიდან ავტორის კეთილგანწყობასაც ვერ იმსახურებს. ის გახლავთ უცნაურად შემოსილი, კაფანდარა, წვრილკისერა, საშუალო ასაკის, საშუალო სიმაღლის ყარიბი, ერთ ხელში წკეპლით, მეორეში - გუდასტვირით. სწორედ ამ ძველ მუსიკალურ ინსტრუმენტზე დამღერების ჟამს მოინადირა ინდაურების მწყემსმა ავტორის გული. მერე კი ერთმანეთს მიჰყვა „ამბავი ათასწლოვანი მუხისა (აღბაღა და სულეიმანი)“, რომელიც დაუდ ხანის (დავით აღმაშენებლის) ეპოქის მონაკვეთს აღადგენს, „ამბავი შინ ცოცხლად დაბრუნებისა (პოსტულატოსი და კორნელიუსი)“, ამაზრზენი ისტორია პოლიცეუმის სერჟანტ კორნელიუსისა, გაუგონარი ცოდვით რომ დაიმძიმა ისედაც წაწყმედილი სული, „ამბავი განგმირული გმირებისა (ტოხბა და ბარ-ტოხბა)“, რომაელების მიერ ალყაშემორტყმული ებრაელების სულისშემძვრელ ისტორიას რომ გვიამბობს, „ამბავი სახიობისა და უნებლიე ქველმოქმედებისა (ობოლი ყულაბალადა)“, მთავარი გმირის საოცარ, ღამის ფანტასტიკურ თავგადასავალს რომ გვაუწყებს, „ნოშრევანის კიდობანი“, თანამედროვე ტრაგიკომედია, ნოეს კიდობნის ასოციაციას რომ იწვევს, „ამბავი ოთხგზის სიყვარულისა და დაქვრივებისა“ (ნამდვილი ამბავი). შუა საუკუნეების ბარდების, ტრუბადურებისა და მინეზინგერების თანამედროვე მემკვიდრე ინდაურების მწყემსი მოულოდნელი, ორიგინალური თხრობით და ტექსტში მიმალული ალეგორიებითა და სიბრძნით ატყვევებს მკითხველს. მოთხრობაში აშკარად იკვეთება ავტორის პოზიცია ჩვენი თანამედროვეობის მრავალი სატკივარის გამო.

თვით ეპიგრაფი ავტორის ჩანაფიქრს აცხადებს: „ცხოვრების გზაზე მიმავალ კაცს ჰყოფნის ორი ორიენტირი: მამა – ქვევით, მიწაზე და ზეციური მამა – ზევით, ცაში“. უნდა შევნიშნოთ, რომ ეპიგრაფები ჯანო ჯიქიძის ინტენციათა ერთგვარი გასაღებია. „ავტორი წიგნში ისე უნდა იყოს, როგორც ღმერთი თავის სამყაროში“ – გუსტავ ფლობერის ეს ფრაზა ჯანო ჯიქიძის ერთ-ერთ მოთხრობას უძღვის და, მართლაც, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის თავადაც წიგნში ყველგანაა და არსად.

იმავე კრებულში წარმოდგენილი ბოლო მოთხრობა „იგნაციადა“ მოვლენათა მოულოდნელი განვითარებით გამოირჩევა. აქ რეალიზდება პოსტმოდერნული ხაზი: „თამაში“ – „ირონია“. ცოლთან კამათისას 333-ე თეფშის გატეხვის მიზეზი ასეა ახსნილი: ავტორი მეუღლეს უმტკიცებს, რომ ჩვეულებრივი „ადამიანის გარდაცვალების შემდეგ სულმა უნდა გაიაროს საზვერეები; გაივლის – სამოთხეში მოხვდება, ვერა – ჯოჯოხეთში“, მწერლის გარდაცვალების შემთხვევაში კი მის ვირტუალურ ცოდვათა გათვალისწინებით ავტორმა უპირველესი საბაჟო, ანუ იგნაციუსების საბაჟო უნდა გაიაროს. ლათინური სიტყვა Iგნატიუს ასეა განმარტებული: „არმცოდნე“, ის, „ვისაც არ შეატყობინეს“. იქვე ჯანო ჯიქიძე ირონიით შენიშნავს: „უპირველესი საბაჟოს მებაჟეები შარიანი გამომძიებლებივით ექცევიან მწერლებს, არაფერს პატიობენ“.

ჯანო ჯიქიძის გმირები, ურთულესი, წინააღმდეგობებით აღსავსე ხვედრის მიუხედავად, შინაგანი განწმენდის, კათარზისისაკენ ისწრაფიან, რაც მკითხველის სულიერ ამაღლებას, ღვთაებრივთან მის მიახლებასაც განაპირობებს. კრებული „ტუიაჰ!“ იოჰან ჰაიზინგას ცნობილ შეგონებას გვახსენებს: თამაში კულტურის მაცოცხლებელი სულია, თამაშის როლის დაკნინება კულტურის დაკნინებასაც ნიშნავს.

**Ratiani Lali**
*Professor Doctor Staatlicher*
*Universität Sochumi*



# STRUKTUREL-SEMANTISCHE MODELLE IM SATZGEFÜGE MIT DEM KONZESSIVSATZ
(Einräumungssatz)

Der Konzessivsatz erfüllt im Satzgefüge die Funktion der Adverbialbestimmung der Einräumung – er weist auf den Umstand hin, der als Gegengrund, Gegenargument für die Verwirklichung des im Hauptsatz angegebenen Vorgangs auftritt und dem Sachverhalt des Hauptsatzes entgegenwirkt. Der Gegengrund erweist sich aber als nicht genug wirksam, nicht ausreichend effektiv, um die Ausführung des Vorgangs im Hauptsatz verhindern und das Hauptsatzgeschehen beeinflussen zu können – der Vorgang wird trotz allem realisiert, jedoch ohne die logische Folge des Vorgangs im Nebensatz darzustellen. Dementsprechend wird der Einräumungssatz auch der Satz **des unzureichenden** Grundes genannt.z.B.**Obwohl** das Wetter schlecht war, gingen wir spazieren. (R. Klappenbach).= Das Wetter war schlecht, ungeachtet dessen gingen wir spazieren.**Obgleich** er für die Unschuld des Angeklagten sachlich nicht argumentiert hat, hat er seine Zuhörer nicht überzeugen können. (D. WB.)= Er hat für die Unschuld des Angeklagten sachlich argumentiert, doch hat er seine Zuhörer nicht überzeugen können.

Der Konzessivsatz antwortet auf die Fragen: **trotz welchen Umstandes? wessen ungeachtet?z.B.**Auch hielt sie, **obgleich** sie sich als Jüdin fühlte, die moslemischen Bräuche weiter. (L. Feuchtwanger).Trotz welchen Umstandes hielt sie die moslemischen Bräuche weiter?Sie sah ihn lange an, obwohl sie nur seinem Seitenblick begegnete. (H. Mann).Wessen ungeachtet sah sie ihn an?

Die Stellung der Konzessivsätze im Satzgefüge ist frei – sie können eine **Vorder**-, **Zwischen- oder Nachstellung** einnehmen.z.B.**Obzwar** er nicht fahren wollte, nahm er den nächsten Zug. (DWB.)Die allermeisten Erwachsenen aber, **obwohl** man sie verehren und fürchten musste, waren tönerne Götter. (H. Hesse).Ich werde heute vieles erledigen müssen, **obschon** ich wenig Zeit habe. (DWB.)

Bei der Hervorhebung des nachgestellten Hauptsatzes erhält das finite Verb darin die Zweitstellung statt der Spitzenstellung. z.B.**Obwoh**l er sein Unrecht tief bereut, **fiel** das Eingeständnis ihm sichtlich schwer.**Wenn** er **auch** nicht völlig genesen ist, versäumte **er** seine Zeit nicht umsonst.

In solchen Fällen wird der Hauptsatz von dem Nebensatz durch eine Pause getrennt. Es ist auch zu bemerken, dass der Hauptsatz, der dem Nebensatz nachfolgt, oft die Korrelate: **doch, dennoch, trotzdem** enthält. Das finite Verb steht im nachgestellten Hauptsatz entweder in Erststellung wie:z.B.**Obwohl** ich diese Möglichkeit keineswegs ausschließe, **versuche** ich das Dunkel zwischen den schmalen Spalten **doch / dennoch** zu durchdrungen. oder nach dem Einleitungswort so:**Obwohl** ich diese Möglichkeit keineswegs ausschließe, **so** versuche ich das Dunkel zwischen den schmalen Spalten zu durchdringen.

Nach der Art der Verbindung mit dem Hauptsatz unterscheidet man **konjunktionale**, **relative** und **konjunktionslose / asyndetische Konzessivsätze**. Die konjunktionalen Konzessivsätze werden durch folgende Konjunktionen eingeleitet: **obwohl, obgleich** (geh.), **obschon** (geh.), **obzwar** (geh. veralt.), **ob auch** (dicht.), **wenngleich** (geh. selten.), **wennschon** (ugs. selten), **wenn auch** (ugs.), **auch wenn, und wenn** (ugs.), **selbst wenn** (veralt.), **wiewohl** (geh. veralt.), **wie auch, wie dem auch sei, sei es auch, es sei denn** (veralt.), **so...so, trotzdem** (ugs.), **ungeachtet dessen, dass** (offiz. veralt.).

Auf Grund der semantischen Identität – „Einräumung" werden die angeführten

Konjunktionen in eine Gruppe vereinigt. Im Rahmen dieser Gruppe sind nach den quantitativen Angaben der Konjunktionen zwei Untergruppen abzusondern. Die zahlenmäßig größere Untergruppe wird durch die Konjunktionen dargestellt: **obwohl, obgleich, obschon. obzwar, wenngleich, wennschon, wiewohl, wie auch, wie dem auch sei, sei es auch, sei dem, so...so, trotzdem, ungeachtet dessen, dass ...** Die zahlenmäßig kleinere Utergruppen umfasst die Konjuktionen: **wenn auch, auch wenn, selbst wenn und wenn.**

Außer dem quantitativen Unterschied lässt sich in den durch die genannten Konjunktionen eingeleiteten Sätzen der Unterschied auch in ihrer syntaktischen Funktion feststellen – die durch die Konjunktionen der

ersten, größeren Untergruppe eingeleiteten Nebensätze realisieren die rein konzessive Semantik und werden reine, echte, eigentliche Konzessivsätze genannt.z.B.Nur ein ganz junger Mensch unter ihnen, **obwohl** ihn die Polizisten im Hintergrund besonders scharf beobachten, hatte nicht diese gekränkte Miene. (L. Feuchtwanger).Ich hab' die jungen Herrschaften auch gleich erkannt, **trotzdem** es ein bisschen dunkel ist hier in den Gängen. (Th. Mann).

Die durch die Konjunktionen der zweiten, kleineren Untergruppe eingeleiteten Nebensätze weisen sowohl auf die konzessive, als auch auf die konditionale Bedeutung hin. Dementsprechend werden diese Sätze konditional-konzessive Nebensätze genannt.z.B. Sie bekommen keine Minuten, **und wenn** Sie verrecken. (H. Böll). In welchem Falle bekommen Sie keine Minuten? (konditionale Bedeutung).Trotz welchen Umstandes bekommen Sie keine Minuten? (konzessive Bedeutung).Vor Tagesanbruch müssen alle Unseren aus ihren Quartieren geholt werden, **auch wenn** Gewalt dafür nötig wäre. (H. Mann).In welchem Falle müssen alle Unseren aus ihren Quartieren geholt werden? (konditionale Bedeutung).Trotz welchen Umstandes müssen die Unseren aus ihren Quartieren geholt werden? (konzessive Bedeutung).

Im Hauptsatz mit einem durch die Konjunktion der ersten Gruppe eingeleiteten Nebensatz stehen oft die Korrelate **dennoch, trotzdem.** Wenn aber der Nebensatz mit der Konjunktion der zweiten Gruppe anfängt, so tritt im Hauptsatz das Korrelat **so...doch** auf. Im Rahmen der verallgemeinerten Semantik besteht zwischen den die Konzessivsätze einleitenden Konjunktionen gewisse Unterschiede auch in ihren stilistischen Merkmalen, ihrem Verwendungsbereich[1] und ihrer Verwendungsfrequenz. Am häufigsten werden die Konjunktionen der ersten Untergruppe – **obwohl, obgleich** gebraucht. Verhältnismäßig seltener tritt in den Konzessivsätzen die Konjunktion **obschon** auf. Die durch diese Konjunktionen eingeleiteten Sätze nennen einen realen, unzureichenden Grund und beziehen sich meistenteils auf die Vergangenheit oder Gegenwart.z.B.**Obwohl** sie die Teller leerschmatzen, den Rest aus dem Topfe verspeisen, kratzen mit den Löffeln jedes Krümelchen heraus, sind sie noch nicht satt. (E. Strittmatter).Zuweilen wankte sie vor Schwäche, **obgleich** vier Beine sie stützten. (R. Musil).Geld fehlt keins, **obschon** es ziemlich viel im Schreibtisch war. (Fr. Dürrenmatt).

Wenn aber die im Nebensatz geschilderten Gegebenheiten schon im Voraus für zweifelfrei, sicher gehalten werden, bezieht sich der Konzessivsatz, zwar ganz selten, auch auf die Zukunft. z.B.Er bittet jeden um Hilfe, **obwohl** ihm niemand seinen Beistand gewähren wird. (Chr. Hirte).

Der reale, unzureichende Grund wird durch die **trotzdem-** und **ungeachtet dessen, dass –** Nebensätze ausgedrückt. z.B.**Trotzdem** sie dem Jungen es verboten hatte, tat er es aber. (G. Wahrig).Er darf sich von dieser Arbeit nicht lossagen, **ungeachtet dessen,** dass sie ihn gar nicht interessiert. (Chr. Hirte).

Da in den durch die Konjunktionen der ersten Untergruppe eingeleiteten Sätzen der Vorgang immer real ist, werden hier die Zeitformen des Indikativs gebraucht.Auf einen unzureichenden Grund weisen außerdem die durch die Konjunktionen der zweiten Untergruppe- **wenn auch, auch wenn, selbst wenn, und wenn** eingeleiteten Nebensätze hin. Der Grund in diesen Sätzen kann irreal, potentiell oder hypothetisch sein. Demgemäß werden relativ häufig die Zeitformen des Konjunktivs II angewandt.z.B.**Auch wenn** er mich um Entschuldigung bäte, verziehe ich ihm sein unkorrektes Benehmen nicht. (ein irrealer, nicht realistisch durchführbarer Grund – er bittet mich nicht um Entschuldigung).**Wenn** er bei uns **auch** für längere Zeit bliebe, könnten wir uns seinetwegen keine Umstände machen. (ein potentieller Grund – möglicherweise bleibt er bei uns nicht).**Selbst wenn** er sein Gedächtnis angestrengt hätte, hätte er sich an dieses Ereignis nicht erinnern können, (ein hypothetischer Grund – vermutlich hat er sein Gedächtnis nicht angestrengt).

Wenn der **wenn auch**-Koszessivsatz im Satzgefüge dem Hauptsatz vorangeht, so leitet den nachstehenden Hauptsatz zumeist das Subjekt ein (s. das Satzbeispiel oben). Wenn der Hauptsatz aber das Korrelat so oder **so...doch** enthält so am Anfang des Satzes, **doch** vor dem sinntragenden Wort – nimmt das Prädikat im Hauptsatz die Spitzenstellung ein.z.B.**Wenn** er **auch** ihn selbst am Leben ließ, **so** scheute er sich (doch) nicht, Numitors Sohn hinterrücks auf der Jagd töten zu lassen. (R. Carstensen).

Zwischen den durch **auch wenn** und **wenn auch** eingeleiteten Nebensätzen lässt sich ein Unterschied feststellen der **auch** wenn-Nebensatz weist darauf hin, dass sie im Nebensatz genannte Sachlage zwar bedeutend ist, aber keinen Einfluss auf den Tatbestand, keine Wirkung auf den Sachverhalt des Hauptsatzes hat.z.B.Er kann mein Vertrauen nicht mehr gewinnen, **auch wenn** er sich ernstlich bemüht, mich von seiner Unschuld zu überzeugen.

[1] s. oben jede Konjunktion, die in Klammern angegebenen Kennzeichnungen.

In den Sätzen dieser Art ist die Konjunktion **auch wenn** durch die synonymische, schon veraltete Konjunktion **ungeachtet dessen, dass** zu ersetzen.z.B.Er kann mein Vertrauen nicht mehr gewinnen, **ungeachtet dessen, dass** er sich bemüht, mich von seiner Unschuld zu überzeugen.

In den **auch wenn**-Nebesätzen, die reale Sachverhalte beschreiben, werden die Zeitformen des Indikativs gebraucht.z.B.Sie beschlossen ihre Pläne termingerecht zu erfüllen, **auch wenn** sie es nur mit großen Anstrengungen erreichen können. (DWB).

Wenn aber der **auch wenn**-Nebensatz eine irreale Möglichkeit oder einen irrealen Wunsch nennt, so wird der Konjunktiv II erforderlich.z.B.**Auch wenn** man ihm eine große Summe angeboten hätte, hätte er seine Erklärung zu dem Tatbestand nicht verweigern können.

In den irrealen **auch wenn**-Nebensätzen kann das finite Verb auch mit dem Modalverb **sollen** im Präteritum Konjunktiv gebraucht werden, besonders in den konjunktionalen und konjunktionslosen Sätzen.z.B.Auch wenn man ihm eine große Summe **anbieten sollte,** hätte er seine Erklärung zu dem Tatbestand nicht verweigern können.

Identische semantische und syntaktische Funktionen haben die durch die Konjunktionen und **wenn** und **selbst wenn** eingeleiteten Nebensätze.z.B.Er will es durchsetzen, **und wenn** alle dagegen sind. (R. Klappenbach).**Selbst wenn** sie den Mut gehabt hätte, in die Tasche zu fassen, nachzuzählen sie wusste immer noch nichts. (H. Fallada}.

Die durch die Konjunktion **wenn auch** eingeleiteten Nebensätze schränken die Aussage im Hauptsatz ein. Die Einschränkung ist aber nicht bedeutsam genug, sie fügt der im Hauptsatz angegebenen Tatsache keinen Wert bei und spielt keine entscheidende Rolle. Der Hauptsatz enthält oft die Korrelate **so ... doch, denn ... noch.**z.B.Wenn sie auch leichtsinnig war, **so** konnte man ihr **doch** nicht gut den Platz am Tisch verweigern. (R. Musil).Wenn er auch für einen klugen Menschen gehalten wird, bemühte ich mich **dennoch** seine Behauptungen zu entkräftigen.

Die Konjunktion **wenn auch** kann durch die Konjunktion **obwohl** ersetzt werden. Es gibt aber einen Unterschied zwischen den **wenn auch** und **obwohl-**Sätzen durch den **wenn auch** Nebensatz wird die Irrelevanz des Gegengrundes hervorgehoben, durch den obwohl- Nebensatz aber wird der Gegengrund bloß genannt.z.BSie tappen ja noch im Dunkeln, **wenn** sie **auch** einen Verdacht haben. (Fr. Dürrenmatt).**Obwohl** er die vorigen Nächte kaum geschlafen hatte, spürte er keine Müdigkeit. (W. Bredel).

Der Konzessivsatz kann auch durch die aus mehreren Teilen bestehenden Konjunktion **„wenn...auch noch so"** eingeleitet werden. In den Sätzen dieser Art wird der Gegengrund, Gegenargument für die Verwirklichung des im Hauptsatz angegebenen Vorgangs schärfer als in den durch andere Konjunktionen eingeleiteten Sätzen.z.B.Wenn ich mich **auch noch** so gut für die Prüfung vorbereitet hatte, konnte ich auf einige Fragen des Professors nicht antworten.

Die Nebensätze dieser Art unterscheiden sich von den anderen dadurch, dass das Subjekt im Nebensatz unmittelbar nach **wenn** steht, der zweite Teil der Konjunktion **auch noch** folgt dem Subjekt.

Die Realisierung der konzessiven Semantik fördern außer den genannten Konjunktionen die Verbindungen der relativen Fragewörter-der Relativpronomen und Relativadverbien: **wer, was, welch, wo, wohin, wie, so,** mit der Partikel **auch; wer auch, was auch, welch auch, wo auch, wohin auch, wie auch, so auch.** Diese Verbindungen haben eine subordinierende Funktion, werden häufig mit **immer** verbunden und leiten relative Nebensätze ein. z.B.Dieser Zeuge zeigt mich an, **wo** ich ihm einmal **auch** geholfen habe. (R. Klappenbach).Trotz welchen Umstandes zeigt mich dieser Zeuge an?So gastlich dieses Landes **auch immer** erscheint, es droht uns mit Krieg. (R.Carstensen).[2] Wessenungeachtet droht es uns mit Krieg?

Nach dem Relativadverb **so** steht üblich ein Adjektiv – so stark / schön / jung. Oft wird **so** durch **wie** ersetzt.z.B.**So / wie** alt er auch war, konnte er die ganzen Tage nicht müßig herumsitzen. (R. Carstensen).

Da die relativen Konzessivsätze immer real sind, wird der Vorgang durch die Zeitformen des Indikativs in ihren Grundbedeutungen ausgedrückt. Von den Zeitformen des Konjunktivs wird in den Sätzen dieser Art nur das Präsens angewandt – es weist auf die einräumenden Verhältnisse in der Gegenwart und Zukunft hin. z.B.Wie fleißig man auch immer sei, hat man manchmal den Wunsch, ein paar Tage zu faulenzen.

---

[2] Die Wortstellung im Hauptsatz, dem ein Konzessivsatz vorausgeht (mit Ausnahme der konjunktionalen Konzessivsätze der ersten Untergruppe)-weicht von den üblichen Regeln ab das finite Verb im Nebensatz nimmt nur selten die Anfangstellung an. (M.G. Arsenjewa - Grammatik der deutschen Sprache, s. 371, §376.

Die konzessive Bedeutung kann durch das Verb **mögen** verstärkt werden.z.B.Wer **du** auch sein **magst,** ich glaube dir nicht. (R. Carstensen).Für alle Zeiten wird dein Name, **wohin** das Schicksal uns auch führen **mag,** bei uns in höchstem Ruhm erstrahlen. (H. Mann).

Nicht selten wird das Verb **mögen** zum Ausdruck der Vergangenheit im Präteritum gebraucht. z.B.**Mochte** die gegenwärtige politische Lage auch positiv eingeschätzt werden, man muss alles vom rechtlichen Standpunkt aus betrachten.

Die einräumende Semantik wird auch durch einige erstarkte Wendungen realisiert.z.B. **Es komme, was da wolle,** ich habe den Mann wieder auf freien Fuß gesetzt. (H. Fallada). Wie **dem auch sei,** bewältigen wir gemeinsam alle Schwierigkeiten.

Zu den Wendungen dieser Art gehören: **was es auch sein werde/was es auch sein möge/koste es, was es wolle/was es auch da kommen mag/möge, es komme, was da wolle/wie dem auch sei/wäre auch so schwer/geschehe was da wolle/koste es mir auch das Leben/sei es auch wie ein Klotz/sei es noch so schwer/mag es auch noch so schwierig sein** u.a.

Eine besondere Art der Konzessivsätze bilden die Nebensätze, die an den Hauptsatz unmittelbar, ohne Konjunktionen, Relativpronomen oder Relativadverbien angeknüpft werden. Diese Sätze werden durch das finite Verb eingeleitet und konjunktionslose, asyndetische Konzessivsätze genannt. Sie enthalten oft die Partikel **auch,** der im Hauptsatz das Korrelat **so ... doch** oder **so** entgegengesetzt wird.z.B.Ist er **auch** mein echter Freund, **so** kann ich ihm **doch** aufs Wort nicht glauben. Scheint diese Krankheit **auch** harmlos, **so** ist sie **doch** sehr gefährlich.

In den asyndetischen Sätzen hängt die Wahl des Modus selbst von der Art der Aussage ab-bei der Angabe einer realen Tatsache werden die Zeitformen des Indikativs gebraucht.z.B.Suchte der Student nach einem billigen Zimmer auch eifrig, so kann er es doch nicht finden.

Wenn aber eine Vermutung, eine Annahme, etwas als möglich Vorgestelltes angegeben wird, werden die Zeitformen des Konjunktivs angewandt. z.B.Hätte der Student nach einem billigen Zimmer auch eifrig gesucht, so hätte er es doch nicht finden können.

Zum Ausdruck der konzessiven Verhältnisse können zusätzlich einige Sprachstrukturen verwendet werden. Als gleichwertige Ersatzformen der konzessiven Nebensätze werden folgende sprachliche Einheiten genann:1. die präpositionale Fügung **– trotz + Genitiv.** z.B.**Trotzdem** er sich körperlich anstrengte, gewann er das Spiel doch nicht. **= Trotz der körperlichen Anstrengung** gewann er das Spiel doch nicht. 2.die Satzreihen mit den Konjunktionen: **trotzdem, dessenungeachtet, gleichwohl, nichtsdestoweniger:**z.B.**Obwohl** es oft regnete, war der Urlaub schön. = Es regnete oft, **trotzdem / dessenungeachtet / gleichwohl / nichtsdestoweniger** war der Urlaub schön.3. abgesonderte Substantive, Adjektive, Partizipien mit den Konjunktionen: **obwohl, obzwar, obgleich, obschon, wenn auch:**z.B.**Obwohl** sie ein schönes Paar bilden, können sie die schwierigen Probleme des Zusammenlebens nicht harmonisch lösen. = **Obwohl ein schönes Paar** können sie die schwierigen Probleme des Zusammenlebens nicht harmonisch lösen.4.**dass**-Sätze in Verbindung mit der **trotz**-Präpositionalphrase: trotz des Umstandes / der Warnung / der Bitte / des kalten Wetters u.a. z.B.**Trotzdem** es draußen kalt ist, ist es doch angenehm, frische Luft ins Zimmer hereinzulassen. = **Trotz des Umstandes,** dass es draußen kalt ist, ist es angenehm, frische Luft ins Zimmer hereinzulassen. 5.abgesonderte Apposition mit der Konjunktion **obwohl:**z.B.Seine Arbeit hatte einen großen Erfolg, **obwoh**l nur ein bescheidener Versuch war. = Seine Arbeit, obwohl nur **ein bescheidener Versuch,** hatte einen großen Erfolg. 6.Satzreihen mit den Konjunktionen: **dennoch, doch.Obwoh**l der Sturm wütete, landete das Schiff glücklich. = Der Sturm wütete, **dennoch / doch** landete das Schiff glücklich.7.die Partikel **auch** im Nebensatz und **doch** im Hauptsatz. z,B.Man kann die Sache retten, obwohl es zu schwer ist. = Ist es **auch** zu schwer, man kann die Sache **doch** retten.8.**so + Adj. / Partizip / Adv.**
**... ... ... auch-Satz.** z.B.**Obwohl** er auf dem Gebiet der Mathematik gut beschlagen war, konnte er das Rätsel nicht lösen. = **So gut er auch** auf dem Gebiet der Mathematik beschlagen war, konnte er das Rätsel nicht lösen. 9.**so + Adj. / Partizip / Adv. ... so + Adj.**
**/ Partizip / Adv.**z.B.**Obzwar** dieser Mensch gutmütig scheint, ist er in der Wirklichkeit sehr böse. = **So gutmütig** dieser Mensch scheint, **so böse** ist er in Wirklichkeit.

Die strukturell-semantischen Besonderheiten der Satzgefüge, die die Realisierung der syntaktischen Funktion der Adverbialbestimmung der Einräumung durch einen Nebensatz bedingen, können durch folgende strukturell-semantische Modelle dargestellt werden.

**I**

| HS-Subjekt | + Prädikat | + (Objekt) | +obwohl /obschon / obgleich NS |
|---|---|---|---|
| *Subst. Pron.<br>Person,Ding,<br>Erscheinung* | *Verb-Vorgang,<br>Zustand,<br>Veränderung<br>des Zustandes<br>Indikativ* | *Subst. Pron.<br>Person, Ding,<br>Erscheinung* | |

z.B.Ich habe Angst die heilige Messe zu hören, **obwohl** die Sanftmut der Liturgie zu meinen wenigen Freuden gehört. (H. Böll)

**II**

| +obwohl /obschon / obgleich NS | + HS-Prädikat | +Subjekt | + Objekt |
|---|---|---|---|
| | *Verb-Vorgang,<br>Zustand,<br>Veränderung<br>des Zustandes<br>Indikativ* | *Subst. Pron.<br>Person,Ding,<br>Erscheinung* | *Subst. Pron.<br>Person, Ding,<br>Erscheinung* |

z.B. Obgleich er überrascht war, behielt er doch äußerlich die Ruhe. (R. Klappenbach).

**III**

| HS-Subjekt | +obwohl-NS | + HS-Prädikat | + (Objekt) |
|---|---|---|---|
| *Subst. Pron.<br>Person,Ding,<br>Erscheinung* | | *Verb-Vorgang,<br>Zustand,<br>Veränderung<br>des Zustandes<br>Indikativ* | *Subst.Pronom<br>Person, Ding,<br>Erscheinung* |

z.B.Sehr viele Juden, obwohl sie nichts von ihrer Habe mitnehmen düften, wanderten aus.

**IV**

| auch wenn<br>selbst wenn -NS<br>und wenn | + HS-Prädikat | Subjekt | + (Objekt) | +Adver-<br>bialbest<br>immung |
|---|---|---|---|---|
| | *Verb-Vorgang,<br>Zustand,<br>Veränderung<br>des Zustandes<br>Indikativ,<br>Konjunktiv* | *Subst. Pron.<br>Person,Ding<br>Erscheinung* | *Subst. Pron.<br>Person, Ding,<br>Erscheinung* | |

z.B.Selbst wenn er von seiner Familie weit entfernt ist, ist er in Gedanken ständig mit ihr. Und wenn sein Vater noch sehr blass war, befand er sich auf dem Wege der Genesung.

**V**

| HS-Subjekt | + Prädikat | + (Objekt) | +(Negation) | auch wenn<br>selbst wenn -NS<br>und wenn |
|---|---|---|---|---|
| *Subst. Pron.<br>Person/Ding<br>Erscheinung* | *Verb-Vorgang,<br>Zustand,<br>Veränderung<br>des Zustandes<br>Indikativ,<br>Konjunktiv* | *Subst. Pron.<br>Person, Ding,<br>Erscheinung* | | |

z.B. Ich kann es nicht tun, und wenn du mich auch bittest. (G. Wahrig).

**VI**

| Wenn...auch-NS | + HS-so Prädikat + | Subjekt | +(doch) | + (Objekt) |
|---|---|---|---|---|
| | *Verb-Vorgang*<br>*Zustand,*<br>*Veränderung*<br>*des Zustandes*<br>*Indikativ,*<br>*Konjunktiv* | *Subst. Pron.*<br>*Person,Ding*<br>*Erscheinung* | | *Subst. Pron.*<br>*Person, Ding,*<br>*Erscheinung* |

z.B. Wenn er auch angestrengt war, hat er doch Spaß gemacht (Duden).

**VII**

| HS-Subjekt | + Prädikat | +(Objekt)+wenn auch-NS |
|---|---|---|
| *Subst. Pron.*<br>*Person,Ding,*<br>*Erscheinung* | *Verb-Vorgang,*<br>*Zustand,*<br>*Veränderung*<br>*des Zustandes* | |

z.B.Er hat Zeit, wenn er auch das Gegenteil behauptet.

**VIII**

| Wenn...auch noch so +NS | + HS-Prädikat | Subjekt | + (Objekt) |
|---|---|---|---|
| | *Verb-Vorgang*<br>*Zustand,*<br>*Veränderung*<br>*des Zustandes*<br>*Indikativ,*<br>*Konjunktiv* | *Subst. Pron.*<br>*Person,Ding*<br>*Erscheinung* | *Subst. Pron.*<br>*Person, Ding,*<br>*Erscheinung* |

z.B.Wenn das Kind sich auch noch so artig benimmt, bestraft die Erzieherin es oft.

**IX**

| HS-Subjekt | + Prädikat | + (Objekt) | + wo doch<br>wo auch -NS |
|---|---|---|---|
| | *Verb-Vorgang,*<br>*Zustand,*<br>*Veränderung*<br>*des Zustandes* | *Substantiv,*<br>*Pronomen*<br>*Person, Ding,*<br>*Erscheinung* | |

z.B.Sie singt ein Liedchen mit geschalten Stimme tadellos, wo sie doch früher nie ans Klavier gegangen war (E. Kästner).

**X**

| HS-Subjekt | + Prädikat | + (Objekt) | + Relatiopronomen/<br>Relativadverb–auch-NS |
|---|---|---|---|
| *Subst.-*<br>*Person/Ding*<br>*Erscheinung* | *Vorgang,*<br>*Zustand,*<br>*Veränderung*<br>*des Zustandes*<br>*Indikativ/*<br>*Konjunktiv* | *Subst./*<br>*Pronomen*<br>*Person/Ding/*<br>*Erscheinung* | |

z.B.Die Leistungen der Menschen werden manchmal nicht gerecht beurteilt, **wie** außerordentlich sie **auch** sind/seien.

**XI**

| HS-Prädikat | Subjekt | +auch(so)+Adverbialbestimmung |
|---|---|---|
| *Verb-Vorgang, Zustand, Veränderung des Zustandes* | *Subst. Pron.- Person,Ding, Erscheinung* | [*Adjektiv*] |
| +(so) + Prädikat [*Verb*] | Subjekt | +doch+ Adverbialbestimmung |
| | *Subst. Pron.- Person,Ding, Erscheinung* | [*Adjektiv*] |

z.B.S cheint der Konflikt auch leicht zu regeln, (so) verlaufen die Geschehnisse doch nicht ganz harmonisch.

**Konzessivsatz**
**Fragen zur Selbstkontrolle**

1. Welche syntaktische Funktion erfüllt der Konzessivsatz im Satzgefüge und worau fweist der Konzessivsatz hin? 2.Auf welche Fragen antworten die Konzessivsätze und wie sind die Konzessivsätze ihrer Stellung nach im Satzgefüge?3.Welche Arten der konzessiven Nebensätze unterscheidet man nach ihrer Verbindung mit dem Hauptsatz und durch welche Konjunktionen werden die Konzessivsätze eingeleitet?4.In wieviel Gruppen werden die Konzessivsätze einleitende Konjunktionen eingeteilt?5.Worin besteht der Unterschied zwischen den Konjunktionen dieser Gruppen?6.Welche Korrelate stehen oft im Hauptsatz, der durch die Konjunktionen der ersten Gruppe eingeleitet ist?7. Die Zeitformen welchen Modus werden in den Konzessivsätzen gebraucht? u. v.a.

**Konzessivsatz Übungen**

**1. In welchen von den angeführten Satzgefügen ist der *wenn*-Nebensatz ein Konzessivsatz. Stellen Sie zu jedem Nebensatz die passende Frage.**

l. Wenn die Gardinen sich irgendwo fest hacken, können sie leicht einen Riss haben. (Chr. Hirte). 2. Sie hätten es einfach nicht ertragen, wenn Leo auch noch katholisch gewesen wäre. (H. Böll). 3. Er gab sich große Mühe, wenngleich ihm die Arbeit wenig Freude machte. 4. Wenn die Zeit auch kurz ist, muss ich mich bemühen, alles fristgemäß zu erledigen. 5. Wenn man nichts aus eigenen Fehlern lernt, kann man sich keinen richtigen Weg im Leben finden. (H. Fallada). 6. Wenn die Maus satt ist, schmeckt das Mehl bitter. (Sprichwort). 7. Gesundheit schätzt man erst, wenn man sie verloren hat. (Sprichwort).

**2. Verbinden Sie die folgenden Satzpaare zu den Satzgefügen mit realen konjunktionalen Konzessivsätzen.**

l. Der Student hat bei der Prüfung die höchste Zensur bekommen. Er selbst ist mit seiner Antwort nicht zufrieden. 2. Er ist ein begabter Junge. Er kann wegen seiner Inkonsequenz keinen Erfolg haben. 3. Du bittest mich um Entschuldigung. Ich kann dir dein Benehmen nicht verzeihen. 4. Dieser junge Mann ist ein erfahrener Arzt. Er wird von seinen Kollegen wegen seiner Hochmütigkeit nicht geschätzt. 5. Das Geschenk der Eltern ist kein kostbares Stück. Es gefällt ihr sehr. 6. Er ist ein weltberühmter Sänger. Er kann diesmal das Publikum nicht beeindrucken. 7. Er strengte sich körperlich an. Er gewann das Spiel nicht.

**3. Verbinden Sie die Satzpaare zu den Satzgefügen mit irrealen konjunktionaten Konzessivsätzen. Gehrauchen Sie die Verben im richtigen Modus. Übersetzen Sie die Sätze ins Georgische.**

**Muster**: Der Nebel wurde dichter. Wir veränderten unsere Pläne nicht. -Wenn der Nebel auch dichter geworden wäre, (so) hätten wir unsere Pläne (doch) nicht verändert. *nisli Tundac / romc gaZlierebuliyo, Cvens gegmebs ar SevcvlidiT.*

1. Nicht alle in der Gruppe arbeiteten pflichtgemäß. Die Resultate blieben aus. 2. Dieser junge Wissenschaftler hat keinen großen Erfolg. Er denkt nicht folgerichtig. 3. Die meisten in unserer Gruppe arbeiteten im Verlauf des Jahres nicht eifrig. Sie erreichten nur klägliche Resultate. 4. Der Film erweckte in ihm bittere Gefühle. Er ließ sie sich nicht mitreißen. 5. Er hatte eine nervöse Erregung. Es gelang ihm seine

psychischen Empfindungen zu verbessern. 6. Er ist von diesem Gedanken sehr belastet. Er hält sich tapfer. 7. Vor Müdigkeit kann er sich nicht länger mutig halten. Er führte die Arbeit zu einem guten Ende.

**4. Vervollständigen Sie jeden Hauptsatz durch eine von unten angeführten relativen Nebensätzen. Beachten Sie dabei die inhaltliche Übereinstimmung der Haupt- und der Nebensätze. Übersetzten Sie die Satzgefüge ins Georgische.**

1. Sie gingen weiter, ... ... ...; 2. ... ... ..., sollen die Eltern seinen Wunsch erfüllen, 3. Wir halten zusammen ... ... ...; 4. Dieser Mann fügt mir kein Leid ... ... ...5. ... ... ...er gefällt uns nicht. 6. ... ... ..., er sieht sehr munter aus. 7. Wir dürfen nicht nachgeben, ... ... ... 8. ich erreiche mein Ziel, ... ... ... 9. Er lässt seinen Freund nicht im Stich, ... ... .... 10. Sie ist sehr schlau, ... ... ...

----------------------------------------------------------------------------------------------------

**wer auch sein könnte; was es auch koste; was es auch kommen mag; so hilflos er auch ist; so naiv sie auch aussieht; was es in unserem Leben auch geschieht: wohin der Weg auch führt; so alt er auch wäre; was dem Kind auch alles gefällt.**

**5. Ergänzen Sie die relativen Konzessivsätze durch passende Hauptsätze.**

l. Wo es auch schwer sein könnte, ... ... .... 2. Wo wir uns auch ansiedeln, ... ... ...3. Wo die Eltern auch wären, ... ... ... 4. ... ... ..., wie es mir auch nicht leicht fällt. 5. Obwohl meine Bemühungen auch von niemandem unterstützt werden, ... ... ...6. Wo er auch weit von mir ist, ... ... ...7. Wie du auch so müde bist, ... ... ...... ... ..

**6. Formen Sie die konjunktionalen Konzessivsätze in die konjunktionslosen Nebensätze um.**

**Muster:** Obwohl ich ihm wiederholt geschrieben habe, habe ich von ihm noch keine Antwort Habe ich ihm **auch** wiederholt geschrieben, (so) habe ich von ihm **doch** keine Antwort bekommen.

l. Obzwar diese Jungen schon erwachsen sind, sind sie in einem gewissen Sinne Kinder. (R. Klappenbach). 2. Obschon die Lampe oft ausgeschaltet worden ist, reagierte ich darauf nicht. (Chr. Hirte). 3. Ich beherrschte mich, wiewohl es mir nicht leicht fiel. (G. Wahrig).

4. Lange habe ich im Paradies gelebt, obwohl meine Eltern mich frühzeitig mit der Schlage bekannt machten. (H. Hesse). 5. Obwohl sie ihn verstanden hatte, überlegte sie eine Weile. (H. Mann). 6. Sie nickte zustimmend, wenngleich sie es nicht recht verstanden hatte. (R. Klappenbach). 7. Seine Schultern und die Brust entwickelten sich, obwohl er nicht zu wachsen schien. (H. Mann).

**7. Fügen Sie zu jedem von den angegebenen Hauptsätzen den durch eine passende erstarrte Wendung dargestellten Konzessivsatz zu.**

**Muster:** Das tue ich nicht, ... ... ...

Das tue ich nicht, und **wenn er sich auch auf den Kopf stellt.**

1. Er lässt seinen Freund nicht im Stich, ... ... ... 2. Wir beschließen unser Ziel zu erreichen ... ... ... 3. Der Chef bemüht sich die gute Miene zum bösen Spiel zu machen, 4. Der Junge bemüht sich die Ruhe zu bewahren, ... ... ... 5. ... ... ..., siehe ich dir in deiner schweren Lage zur Seite. 6. ... ... ..., beschloss der alte Mann seinen Plan zu verwirklichen. 7. ... ... ..., müssen wir unseren Nächsten in ihren Bemühungen unterstützen.

**8. Verwenden Sie zum Ausdruck der konzessiven Verhältnisse statt der angegebenen Nebensätze semantisch gleichwertige Ersatzformen.**

Muster: **Obzwar** sie Zwillinge sind, ähneln sie einander gar nicht. = Sie sind Zwillinge,
**trotzdem** ähneln sie sich gar nicht.

Obgleich er überrascht war, behielt er äußerlich die Ruhe. = Er war überrascht, **dennoch**
behielt er äußerlich die Ruhe.

Ich glaube es nicht einmal, **obwohl** ich mich für meine Kühle nicht entschuldigen will. – Ich glaube es nicht einmal, **doch** will ich mich für meine Kühle nicht entschuldigen.

1. Er raucht zu viel, trotzdem der Arzt ihm das Rauchen verboten hat. 2. Sie gab mir den Roman nicht zum Lesen, obgleich ich sie mehrere Male darum gebeten habe. 3. Trotzdem sich der Lehrer mit den leistungsschwachen Schülern große Mühe gegeben hat, machen sie keine Fortschritte. 4. Man öffnete die Tür nicht, obwohl das Getöseauchim Schlaf nicht zu überhören war. 5. Ungeachtet dessen, dass er seinen Zorn zu zügeln versuchte, konnte er sich doch nicht bezwingen. 6. Der Vorschlag unseres Kollegen wird angenommen, obwohl er noch diskutabeler ist. 7. Obzwar dieses moderne Lexikon in einer Auflage von 5000 Exemplaren herausgegeben ist, ist es doch nicht zugänglich..

**9. Formen Sie die angegebenen konjunktionslosen Konzessivsätze in konjunktionale Nebensätze um.**

**Muster**: Benimmt er sich auch nicht korrekt, (so) achtet darauf doch niemand. − Obwohl er sich nicht korrekt benimmt, achtet darauf niemand.

1. Er weicht doch nicht zurück, ist seine Angst vor dem Vater auch zu groß. *2.* Interessierst du dich auch nicht besonders für die Messe, nehme ich dich doch mit. 3. Wir haben auch keine Lust dazu, so erfüllen wir noch alle seine Forderungen. 4. Ist es auf diesem Gebiet auch nicht besonders gut beschlagen, so nimmt er doch an der Diskussion teil. 5. Darf ich die Stadt auch nicht verlassen, ist das für mich doch kein Kerker. 6. Verdient er das Geld auch ehrlich, schätzt man ihn doch nicht hoch. 7. Hat er sich für sein Benehmen auch nicht entschuldigt, so fühlt er sich ganz ruhig.

**10. Übersetzen Sie die Sätze ins Georgische.**

l. Sie glaubte ihm auch, und er ihr, obwohl beide es wussten. (H. Mann). 2. Er hatte merkwürdigerweise noch nie nach ihr gefragt, obgleich ihm ihr Aussehen auffiel. (R. Musil). 3, Wenn er sich auch nicht traute es zu wiederholen, sagte doch sein Schweigen alles. (R. Musil). 4. Wenn er gleich selbst nicht sportlich ist, so begeistert er sich dennoch für Sportsendungen. (R. Klappenbach). 5. Aber wenn ich ihn auch nicht sah, kaum seinen Atem hörte, ich weiß von ihm alles. (Fr. Dürrenmatt). 6. Er entließ beide Prinzen zu ihrer Sicherheit nach hinten, obwohl der eine tobte und der andere bittere tränen vergoss. (H. Mann). 7. Sie litten noch mehr und mehr als an Fleischvergiftung, an Traurigkeit und Öde, obgleich er so schön war. (R. Musil).

**11. Analysieren Sie syntaktisch und morphologisch die nachstehenden Sätze.**

l. So bejahrt er auch sei, besitzt er einen gesunden Sinn für die Freuden des Daseins. (R. Klappenbach). 2. Merkwürdigerweise hatte er auch noch nie nach ihr gefragt, obgleich ihm ihr Aussehen ausfiel. (R. Musil). 3. Von selbst will sie immer weiter, was auch darauf wird. (H. Mann). 4. Obwohl es immer das gleiche ist, bringe ich kein Achselzucken zustande. (Chr. Hirte). 5. Er konnte den Blick verändern, obwohl er aus gelbem Metall war. (H. Hesse). 6. Aber wenn es wohl auch nichts als dieses zähe Festhalten an ihrem Glauben war, so waren sie dennoch keine guten Christen. (R. Musil).

**ლალი რატიანი**

**სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები დათმობის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში**

**რეზიუმე**

ქვეწყობილი წინადადებების თავისებურებები, რომლებიც სინტაქსური ფუნქციების რეალიზაციას დამოკიდებული წინადადებებით განაპირობებენ, სქემატურად შესაძლებელია წარმოდგენილ იქნენ მრავალრიცხოვანი სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელების სახით.

ნაშრომის მიზანია რთული ქვეწყობილი წინადადებების, კერძოდ კი დათმობის გარემოებით დაქვემდებარებული წინადადებების დაწვრილებითი დახასიათება, მათი თავისებურებებისა და სპეციფიკის დადგენა, წინადადებების მოდელებისა და სტრუქტურების, მათი განსაზღვრული სინტაქსური ფუნქციების აღწერა, ცნობილი გერმანელი მწერლების ნაწარმოებებიდან ამოკრეფილი დათმობის გარემოებითი დაქვემდებარებული წინადადებების სახეებით გამყარებული სავარჯიშოების გაცნობა და მათი შესრულების აუცილებლობა, გერმანული ენის შესწავლისას ქართული აუდიტორიისათვის დამახასიათებელი სიძნელეების გათვალისწინება, გამონაკლისი შემთხვევების გამოვლენა.

ილუსტრირებული ენობრივი მასალა ხომ გერმანული წინადადების არა მხოლოდ სტრუქტურული თავისებურებების გაცნობის, არამედ ენის შემსწავლელთათვის ენობრივი ჩვევების გაუმჯობესებისა და შესაძლო შეცდომების არიდების გარანტიაა.

**Lali Ratiani**

**Structural – semantic Models in the adverbial clause of concession**

**Summary**

The features of complex sentences which condition the realization of syntactic function by subordinate clauses, schematically they can be presented as numerous structural- semantic models.

The purpose of the paper is to characterize in detail a complex sentence, privately a adverbial clause of concession determine their features and specifics, describe models and peculiarities of sentence structures and also present examples on adverbial clause of concession taken from famous German authors' works and necessity of doing them. It should be considered difficulties characterized for the Georgian audience during learning German and reveal exceptional cases.

The illustrated language material for language learners is the guarantee not only acquaintance of structural features of German sentences but development of language skills and avoiding of errors.

# პროექტი

**ქეთევან ცაბაძე**
*განათლების მაგისტრი*
*საგანმანათლებლო ცენტრი თალესი*



## პროფესიული განათლების სისტემის დაფინანსების საკითხები

პროფესიული განათლების ფინანსები მიეკუთვნება არაკომერციულ სფეროს. ამასთან, საგანმანათლებლო ორგანიზაციებს შესაძლოა ჰქონდეთ საკუთრების ნებისმიერი ფორმა (სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო) და ნებისმიერი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც გათვალისწინებულია არაკომერციული ორგანიზაციებისთვის. ყველაზე გავრცელებულ ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს დაწესებულება.

სახელმწიფო და მუნიციპალური საგანმანათლებლო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებს ძირითადად წარმოადგენენ საბიუჯეტო სახსრები და კომერციული ჯგუფების სტუდენტების სწავლის გადასახადი. ამის გათვალისწინებით, აღნიშნული ორგანიზაციები ბუღალტრულად აწარმოებენ ორ პარალელურ ბალანსს: საბიუჯეტო აღრიცხვით და ბუღალტრული აღრიცხვის ჩვეულებრივი სქემით, რომელიც მიღებულია მეურნე სუბიექტებისთვის. როგორც წესი, საბიუჯეტო დაფინანსების წილი უფრო დაბალია, ვიდრე კომერციულის. არასახელმწიფო საგანმანათლებლო ორგანიზაციების დაფინანსების წაყროებია, პირველ რიგში, საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემოსულობები, ხოლო აკრედიტირებულებისთვის შესაძლებელია დამატებითი წყაროს არსებობა საბიუჯეტო დაფინანსების სახით.

საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსებზე საერთო ფაქტორების (მეურნეობრიობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და დარგობრივი ტექნიკურ-ეკონომიკური თავისებურებები) გარდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს:

1. ობიექტური ხასიათის ფაქტორები. მათ შეიძლება მიეკუთვნოს სოციალური ფაქტორები, მოცემული რეგიონის ან ქალაქის დემოგრაფიული პირობები, კლიენტთა (შემსწავლელთა) გადახდისუნარიანობის დონე, მაკროეკონომიკური ფაქტორები;

2. სუბიექტური ხასიათის ფაქტორები, ანუ შესაძლო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები, რომელთა საშუალებით შეიძლება საბოლოო ჯამში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამა თუ იმ მაჩვენებელზე ზემოქმედება. მაგალითად, საგანმანათლებლო სფეროში სუბიექტური ფაქტორები შესაძლოა იყოს:

- პროფესიული მომზადების რეალიზებადი პროგრამები და მიმართულებები;
- საგანმანათლებლო პროცესის კომპიუტერიზაციის, ტექნიკური აღჭურვის ღონისძიებები;
- ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები (მაგალითად, ბრძანება სწავლის გადასახადის დადგენის შესახებ, ხელშეკრულებები იურიდიულ პირებთან სტუდენტების მიერ პრაქტიკების გავლის თაობაზე და სხვა);
- სასწავლო პროცესის გრაფიკების და სასწავლო გეგმების ოპტიმიზაცია და ა. შ.

ეს და სხვა ფაქტორები განსაზღვრავენ ფინანსების მართვას და ორგანიზაციას პროფესიული საქმიანობის მოცემულ სფეროში. ფინანსური ურთიერთობების ძირითად მონაწილეებს, პირველ რიგში, სტუდენტები, საგანმანათლებლო ორგანიზაციის პერსონალი (მასწავლებლები, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, დამხმარე პერსონალი და სხვა) და საგადასახადო ორგანოები წარმოადგენენ. საგანმანათლებლო საქმიანობის დაფინანსებისთვის სახსრების უკმარისობა საგანმანათლებლო ორგანიზაციებს აიძულებს შევიდნენ ფინანსურ ურთიერთობებში ბაზრის სხვა სუბიექტებთან, კერძოდ, სადაზღვევო კომპანიებთან (საგანმანათლებლო დაზღვევა), ბანკებთან (კრედიტების აღება), ინვესტორებთან (საგანმანათლებლო სერტიფიკატები, თამასუქები, ობლიგაციები), ასევე მოძებნონ დაფინანსების სხვა ლეგალური წყაროები.

საგანმანათლებლო ორგანიზაციის ხარჯები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

*1. პროფესიული განათლების დაწესებულების მუშაკთა შრომის ანაზღაურება, მათ შორის:*
- შტატიანი მასწავლებლების, შემთავსებელ-მასწავლებლების;
- ადმინისტრაციის მუშაკების;
- სასწავლო-დამხმარე პერსონალის;
- დანამატები შრომის ანაზღაურებაზე.

*2. გადასახადები, მოსაკრებლები, გადარიცხვები მიზნობრივ ფონდებში, მათ შორის ბიუჯეტში.*

*3. აღჭურვილობის შენახვის და გამოყენების ხარჯები:*
- კომპიუტერული ტექნიკის მომსახურების და მიმდინარე რემონტის, სწავლების ტექნიკური საშუალებების შენახვის ხარჯები;
- გამამრავლებელი ტექნიკის რემონტის და შენახვის ხარჯები;
- სასწავლო ავეჯის რემონტის და შენახვის ხარჯები;
- ელექტროენერგიის გადახდის ხარჯები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვა აღჭურვილობის შენახვის ხარჯები;
- ინტელექტუალური აქტივების ღირებულების ამორტიზაცია.

*4. ხარჯები შენობების, სასწავლო და დამხმარე ფართების შენახვაზე:*
- იჯარის გადასახადი;
- შენობების სასწავლო და დამხმარე ფართების მიმდინარე რემონტის ხარჯები;
- რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული ხარჯები;
- სასწავლო და დამხმარე ფართების დალაგების ხარჯები;
- კომუნალური მომსახურების, განათების ხარჯები;
- დაცვის და სახანძრო სიგნალიზაციის ხარჯები.

*5. მიზნობრივი ხარჯები:*
- სასწავლო ლიტერატურის შეძენის ხარჯები;
- დამხმარე მეთოდური მასალების, დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადების და გამოცემის ხარჯები;
- საკანცელარიო ხარჯები, დოკუმენტების ბლანკების შეძენა;
- სამივლინებო ხარჯები;
- ხარჯები ელექტროკავშირისთვის;
- გარკვეული სახის მეცადინეობების ჩასატარებლად სპეციალური ფართების იჯარის ხარჯები;

*6. ერთჯერადი ხარჯები:*
- სასწავლო აღჭურვილობის, მათ შორის სპეციალური ლაბორატორიული აღჭურვილობის, სადემონსტრაციო სტენდების ერთჯერადად შეძენის და განვითარების ხარჯები;
- სასწავლო ავეჯის ერთჯერადად შეძენის ხარჯები;
- სასწავლო ფართებისთვის დამხმარე აღჭურვილობების შეძენის ხარჯები;
- საკუთარი შენობების რემონტისთვის კაპიტალური ხარჯები.

*7. დამატებითი ხარჯები:*
- საკუთარი ან იჯარით აღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შენახვის ხარჯები;
- დამატებითი სამივლინებო ხარჯები (მეცადინეობების სხვა ქალაქში ჩატარებისთვის);
- კონფერენციების, სამეცნიერო თათბირების ჩატარების ხარჯები;
- საგანმანათლებლო საქმიანობის ატესტაციის, ლიცენზირების, განათლების სამინისტროს საატესტაციო კომისიის წევრების შრომის ანაზღაურების და მივლინების ხარჯები.

საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსების მართვასთან დაკავშირებით ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს საგანმანათლებლო მომსახურების თვითღირებულების და ფასის, როგორც მთავარი საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების მართვა. მოკლედ დავახასიათოთ ამ პრობლემის არსი.

აღნიშნული მაჩვენებლების მართვა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ძირითად სტადიებს (ეტაპებს):
- ფინანსური ანალიზი (განმსაზღვრელი ფაქტორების, თვითღირებულების და ფასის სტრუქტურის, ხარჯების მუხლების ცვლილების დინამიკის და ა. შ. ანალიზი);

- ფინანსური დაგეგმვა (პირველ რიგში შემოსავლების და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის შედგენა, საგანმანათლებლო მომსახურების კალკულაცია, შემოსულობების და გადახდების გრაფიკი და ა. შ.);
- მიღებული ფინანსური გადაწყვეტილებების რეალიზაცია და მათი შედეგების ანალიზი.

თვითღირებულების და ფასის ანალიზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, მათ შორის ახლად შექმნილებისთვის, რომლებიც სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან განსხვავებით არ ფინანსდებიან ბიუჯეტიდან. მათთვის აღნიშნული ფინანსური მაჩვენებლები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ძირითადი საშუალება კლიენტისთვის (შემსწავლელისთვის) კონკურენტულ ბრძოლაში.

საგანმანათლებლო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ფასიან საგანმანათლებლო საქმიანობას და კონკურენციაში არიან ერთმანეთთან, რისკავენ მოხვდნენ ორ უკიდურეს სიტუაციაში. საგანმანათლებლო მომსახურების ფასის შემცირებამ (შემსწავლელთა შესაძლო ბევრი ოდენობის მოზიდვის მიზნით) შეიძლება გამოიწვიოს სწავლების ხარისხის მკვეთრი დაწევა. და პირიქით, ფასის გაზრდამ შესაძლოა გამოიწვიოს შემსწავლელთა მკვეთრი გადინება სხვა დაწესებულებებში მათი გადასვლის გამო. როგორც შედეგი – ეს გამოიწვევს ფულადი შემოსულობების შემცირებას და ფინანსური მდგრადობის შესაძლო დაკარგვას.

ზოგადად, საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსური სტრატეგიის და იმავდროულად საფასო პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც სწავლების ფასის ოპტიმიზაცია ისეთ დონეზე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სწავლების მაღალი ხარისხი მინიმალური დანახარჯებით საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებიდან წმინდა მოგების მიღების გარეშე.

ფასის და თვითღირებულების განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზისას, შეიძლება აღვნიშნოთ მათი დიდი მრავალფეროვნება და დაჯგუფების და კლასიფიკაციის სირთულე, აგრეთვე რაოდენობრივი კავშირის დადგენის სირთულე საგანმანათლებლო მომსახურების თვითღირებულებაში ხარჯის მუხლსა და ცალკეულ ფაქტორს შორის.

როგორც ერთ-ერთი უმთავრესი, შეიძლება მიეთითოს სპეციალობის ფაქტორი. მაგალითად, საავიაციო-კოსმოსური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალობებისთვის საჭიროა ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება ძვირადღირებულ მაღალი სიზუსტის სასწავლო აღჭურვილობაზე. კომპიუტერული სპეციალობებისთვის საჭიროა პერსონალური კომპიუტერების დიდი ოდენობა, ქსელებში ხანგრძლივი მუშაობა. მთელ რიგ ტექნოლოგიურ სპეციალობებზე საჭიროა სასწავლო-გამოსაცდელი პოლიგონების არსებობა და ა. შ.

ფინანსური დაგეგმვისას დიდი მნიშვნელობა აქვს კალკულირების მეთოდის შერჩევას და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას. ნორმატიული მეთოდის პარალელურად, რომელიც ფართოდ გამოიყენება საბიუჯეტო საგანმანათლებლო ორგანიზაციების პრაქტიკაში, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვებიც, თვითღირებულების მაჩვენებელზე დამოკიდებულებით. მაგალითად, სწავლების თვითღირებულების მაჩვენებლისთვის სპეციალობის მიხედვით მთლიანობაში სწავლების მთელი პერიოდისათვის შესაძლოა ერთდროულად გამოყენებულ იქნეს ნორმატიული და დეტალირების მეთოდები.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ფინანსები. თბ. 2016.ცაავა გ, აბრამია თ, ცაავა დ. რისკოლოგია – ფინანსური და საბანკო საკრედიტო
2. ღუდუშაური ზ. – ფინანსური მენეჯმენტი: თეორია და პრაქტიკა, თბილისი,
3. გამომცემლობა შპს „მხს“, 2007.
4. ბოლონიის დეკლარაცია – უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე თბ., 1999.
5. Bodie Zvi, Merton C. Merton. Finance.: Prentice Hall, 2000.
6. Дробзина Л. А. – Финансы: Учебник для вузов. – М., ЮНИТИ, 2007.
7. Зви Боди, Роберт Мертон Финансы. пер. с англ. – Изд-во: Вильямс, 2007. – 592 с.
8. Ченг Ф. Ли, Джозеф И. Финнкрти. – Финансы корпорации: теория, методы и практика (пер. с англ.). – М., ИНФРА-М, 2009.
9. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/business/SMAKO_Press%20Release%202014.pdf
10. http://www.mes.gov.ge

## ისტორია

ნიკო ხერკელაძე



# შაჰ-აბას I, მისი მიზნები და განხორციელების მცდელობები აღმოსავლეთ საქართველოში

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-24-ებში
და ანთოლოგიის მე-5 ტომში)

### კახეთი აჯანყების ქარში

ჯერ კიდევ ლუარსაბის და თეიმურაზის იმერეთში ყოფნის დროს 1615 წელს, მეფე გიორგისთან და დიდებულებთან განსჯა-თათბირის შემდეგ, გადაწყდა, დაკავშირებოდნენ კახელ პატრიოტებს, ოსმალებისთვისაც ეთხოვათ დახმარება და ერთად ებრძოლათ ირანის წინააღმდეგ.

ოსმალეთს ირანთან თავისი ანგარიშის გასწორებაც უნდოდა 1613 წელს დადებული ზავის გამო და საბაბიც იპოვნა; იმავე 1615 წლის გაზაფხულზე ოსმალურმა ჯარმა, რომელსაც მეჰმედ-ფაშა მეთაურობდა, ირანის საზღვართან დაიბანაკა.

კახეთის მოსახლეობა ისედაც წკიპზე იყო, დრტვინავდა შაჰის ნამოქმედარით, ასევე შირვანელებიც. მათ გაიგეს, ოსმალური ჯარის მოძრაობა ირანის საზღვრებთან და აჯანყების თადარიგს შეუდგნენ.

კახეთში აჯანყების სულისჩამდგმელი დავით ჯანდიერი იყო.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ალავერდის ტაძარი ირანელებს ეკავათ, 1615 წლის 15 სექტემბერს, ალავერდობის დღესასწაულზე, ქართველებმა წირვის ჩასატარებლად ყიზილბაშებისაგან ტაძარში შესვლის უფლება ითხოვეს.

კახეთის მმართველის ისა-ხანის მოადგილედ შაჰის დანიშნულსა და ნდობით აღჭურვილ ჯანდიერს ირანელებმა თანხმობა განუცხადეს.

მლოცველებად გადაცმულმა ქართველმა მეომრებმა საზეიმო წირვის შემდეგ მთლიანად ამოხოცეს ალავერდის ტაძრის შემოგარენში დაბანაკებული ყიზილბაშები. კახეთს აჯანყების ცეცხლი მოედო. დავით ჯანდიერმა მეფე თეიმურაზს ქუთაისში კახეთის აჯანყება და ალავერდობისას მტრის განადგურება აუწყა.

თეიმურაზი კახეთში ჩამოვიდა იმერეთის მეფე გიორგის, ლევან დადიანის, გურიელისა და მათი ჯარების თანხლებით და აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. შირვანელებმაც მხარი აუბეს და დაიწყო კახეთის მიწიდან ყიზილბაშთა განდევნა-განადგურება.

ოსმალები ირანის საზღვარს ტკეპნიდნენ, არ აპირებდნენ დიდი მონდომებით ირანზე შეტევას, ამასობაში აცივდა, იგრძნობოდა ზამთრის მოახლოება. მეჰმედ-ფაშა ისედაც თავს არ იწუხებდა ბრძოლით, გაზაფხულამდე მოცდა გადაწყვიტა.

საგონებელში ჩაცვივდნენ თეიმურაზი და კახეთის აჯანყების სხვა მოთავეები, სამაგიეროდ, კახეთზე თავდასხმისათვის ხელსაყრელი გარემოება შეექმნა შაჰ-აბასს. შეჰყარა ყიზილბაშთა თხუთმეტატასიანი ლაშქარი, სარდლად ალი-ყული-ხანი დაუნიშნა და უმალ საქართველოსკენ დასძრა. ჯარს მოჰყვებოდნენ რჩეული სარდლებიც: ყარაბაღის მმართველი მოჰამედ- ხან ზიადოღლი, ისფენდიარ-ბეგი, ამირები ფეიქარ სულთან იგრიმი-დორთი და დელუ-მოჰამედი, ამასთანავე ქართველ შაჰისევანთა რაზმიც (ამის შესახებ მარტყოფის ბრძოლის დროსაც გვექნება მინიშნება).

ირანელებმა არაგვისა და წიწამურის სანახებში დაიბანაკეს. მათი მიზანი იყო სასტიკად გასწორებოდნენ კახეთის აჯანყების მოთავეებს და უკიდურეს შემთხვევაში გადაეკეტათ იმერეთისკენ გასასვლელი გზებიც, რომლებიც მათ ზოგიერთი სულმდაბალი ქართველი შაჰისევანისაგან იცოდნენ, მაგრამ ღმერთის წყალობით მათში იყვნენ გულმხურვალე, სამშობლოს მოყვარული გმირებიც, ისინი სიცოცხლის რისკის ფასად, მალულად ატყობინებდნენ თეიმურაზის ჯარს ირანული მხედრობის მარშრუტებსა და გეგმებს. მათაც ხერხიანად გამოიყენეს მტრის მიზანდასახულობათა ცოდნა და ხანდაუზმელად დაესხნენ თავს – 6 ათასი ქართველი იმ დროისთვის საუკეთესოდ აღჭურვილ 15000 ირანელს შეება.

ქართველები ზვავივით შეიჭრნენ მტრის შუა განლაგებაში და არივ-დაფანტეს მათი რიგები, რამდენიმე საათში მრავალი ირანელი განადგურდა, მოიკლა ირანელთა მეწინავე ჯარის სარდალი მოჰამედ-ხან ზიად-ოღლი. ქართველთა გაშმაგებული შეტევით თავგზააბნეულმა მტრის მარჯვენა და მარცხენა ფლანგებმა ბრძოლის ველი დატოვეს. შედრკნენ ცენტრის შენაერთებიც. გამოცდილი სარდლები ალი-ყული-ხანი და ისფენდიარ-ბეგი განაგრძობდნენ ბრძოლას, მაგრამ გამარჯვების სიო ქართველთა მხარეზე ქროდა, ირანელები თავის გადარჩენაზელა ფიქრობდნენ. მრავალი მტკვარში და არაგვში ჩაიხრჩო, გამარჯვებულმა ქართველებმა უამრავი ცხენი, აქლემი, ძვირფასეულობა და იარაღი იგდეს ხელთ.

ირანული ჯარის ნახევარზე მეტი განადგურდა, მათგან ძლივს გადარჩენილებს ისღა დარჩენოდათ, როგორმე გაეღწიათ ქართული ხმლებით წარმოქმნილი სასაკლაოდან და ალი-ყული-ხანის ბრძანებით როგორმე თბილისში ჩაეტანათ გალახული თავები. ქართული ჯარისაგან ოტებულნი, იქაც დიდხანს ვერ დარჩნენ.

ისქანდერ მუნშის თქმით, ალი-ყული-ხანმა თბილისის ციხე მურშიდ-ყული-ბეგის მეთოფეებს ჩააბარა, თვითონ განჯას გაემართა და იქლა დაისვენა.

ამ გამარჯვებამ გარდატეხა მოახდინა ქართული მოსახლე-ობის ცნობიერებაში, მათში მტერზე გამარჯვების, მტრის ძლევის რწმენის ჩანერგვისა და სულიერი სიმტკიცის ამაღლებისათვის. წიწამურის ბრძოლის მონაწილე 6 ათასი ქართველისგან უმეტესი კახელი იყო „მცირედი ქართლელთა ჯარისაგანაც ივსებოდაო," – გვაუწყებს ფარსადან გორგიჯანიძე.

ოსმალების იმედად თეიმურაზს არ უბრძოლია და არც ისინი გასცილებიან დისლოკაციის ადგილს. მათი მხრიდან ირანის საზღვრებთან მიახლოვება უფრო მანევრი იყო. პრაქტიკულად მათ მეტი არაფერი გაუკეთებიათ.

ქართველი ისტორიკოსების უმეტესობა აღნიშნავს, რომ თეიმურაზის მიერ წარმოებულ და გამარჯვებით დასრულებულ წიწამურის ომში კახელებს მარტო თავისთავის იმედად უხდებოდათ გამარჯვების მოპოვებაო.

სადავო არაა, რომ ქართველ მეომართა უმეტესობა კახელი იქნებოდა, მაგრამ ცნობილია ისიც, რომ კახეთის აჯანყების გამო სასწრაფოდ წამოსულ თეიმურაზს იმერეთის მეფე გიორგი, ლევან დადიანი და გურიელიც გამოჰყვნენ თავიანთი ლაშქრით, არაგვზე მათ დავით ჯანდიერი შეეგება თავისი კახელებით.

ამ შემთხვევაში, ჯერ ერთი, დ. ჯანდიერი არაგვთან სწორედაც რომ უნდა დახვედროდა დიდი ხნის წასვლის შემდეგ დაბრუნებულ მეფე თეიმურაზს, მეორეც, იმერეთის მეფე გამოჰყვა თეიმურაზს თავისი ჯარითა და დიდებულებით, სწორედ ამ ბრძოლაში დახმარების იმედს სიხარულით შეეგება დ. ჯანდიერი და რახან უკვე აქ იყვნენ, ჩემი მოსაზრებით, იმერთა მხედრობას კახელების მხარდამხარ აუცილებლად უნდა მიეღო მონაწილეობა წიწამურის ომში.

ვფიქრობ, ასევე, მეფეებთან ერთად თანამოძმეთა მისაშველებლად სამეგრელოდან ასეთ მანძილზე წამოსული ლევან დადიანი ის სახელოვანი ვაჟკაცია, რომელიც უბრძოლველად უკან არ გაბრუნდებოდა.

**შაჰ-აბასის განრისხების ცეცხლის შედეგები**

თეიმურაზ მეფის მიერ ალი-ყული-ხანის ლაშქრის განადგურების ცნობამ ირანში მალე ჩააღწია, შეზანზარდა შაჰ-აბასის დარბაზები. ისქანდერ მუნშის ცნობით, „...როცა ამ ამბავმა მი-

აღწია მაზანდარანში შაჰის უწმინდეს გონებას, ხელმწიფის კეთილშობილური აღტკინების ალი და მისი მძვინვარების ცეცხლი ისეთი ავარდა, რომ ყოველი მისი ნაპერწკალი ქვეყნიერების დამწველი იყო, ამიტომ მტკიცედ გადაწყვიტა საქართველოზე გალაშქრება და იქაურ ურჯულოთა დაქცევა, რომელთაც გაბედეს მუსულმანების დახოცვა".

„ირანის ლომმა" მოსვენება დაკარგა, ძილშიც და ღვიძილშიც თეიმურაზის სახე ელანდებოდა. მოლა-მუეძინებს უბრძანა, მთელი დღისა და ღამის განმავლობაში ეუწყებინათ ირანის მოსახლეობისათვის, საღვთო ომისათვის მომზადე-ბულიყვნენ. მცირე დროის შემდეგ დიდძალი ლაშქარი შეკრიბა, ისევ საქართველოსკენ გამოეშურა და 1616 წელს, ჯერ კიდევ ზამთარი არ იყო გასული, კახეთს ოთხივე მხრიდან გარს შემოერტყა. ამასთან შაჰმა გადაწყვიტა თავისი პოლიტიკა აღმოსავლეთ საქართველოში უფრო აქტიურად გაეტარებინა, თბილისში ჩავიდა და ქართლს ახალი მმართველი ბაგრატ-ხანი, სიმონ I-ლის ძმის დაუთ-ხანის ვაჟი დაუნიშნა; შემდეგ ისევ კახეთში გადავიდა და ჯარები ისეთნაირად განალაგა, რომ კახეთის მოსახლეობას გასწრება ვერ მოესწრო, „...ყოველი ჯგუფი ცალკე მხარეს გაგზავნეს თითო სახელოვანი ამირას მეთაურობით... (ებრძანათ) ქართველების სამყოფელს ოთხივე მხრიდან შემორტყმოდნენ, ნადირივით შუაში მოექციათ და ვისაც კი მისწვდებოდნენ, ისლამის ხალხთან მეომარი მათი მამაკაცები საღვთო ომის ელვარე მახვილით დაეხოცათ. იმ ურჯულოთაგან არც ერთი ცოცხალი არ გაეშვათ, ქალები და ბავშვები ტყვედ წამოეყვანათ, ხოლო საქონელი და ქონება, რაც ხელში ჩაუვარდებოდათ, მუსლიმანთა დავლა იქნებოდა" (ისქანდერ მუნში).

ირანელებმა ქართლისკენ გადასასვლელი ყველა გზაც შეკრეს. ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრები დაღესტნელები გააფრთხილეს, არ მიეღოთ კახეთიდან გაქცეული ლტოლვილები, ყველას ერთნაირად სიკვდილით გასწორებოდნენ...

ოსმალები ისევ უნიათოდ იდგნენ ირანის საზღვრებთან, მათგან დახმარება მოსალოდნელი არ იყო; ქართლშიც ვერ ჩანდა კახეთისათვის მისაშველებელი ძალები, ამიტომ ვერ გაბედა თეიმურაზმა ზღვად მომდგარ ირანელებთან შებრძოლება და ისევ დასავლეთ საქართველოში გაცლა ამჯობინა.

შაჰი არ ზოგავდა არც თავის ენერგიას და არცერთი ირანელი სარდლის ნიჭსა და გამოცდილებას, რათა კახეთი აღეგავა პირისაგან მიწისა. იმედი ჰქონდა, რომ ამით მომავალში ქართლსაც უფრო ადვილად დაიმორჩილებდა.

კახეთის მოსახლეობამ იცოდა შაჰის საშინელი გეგმები და შეძლებისდაგვარად ემზადებოდნენ წინააღმდეგობის გასაწევად. მათ მიმართეს ძველ, ნაცად ხერხს, კერძოდ ააგეს თხრილები და ხანდაკები, შიგ ალაზნის წყალი შეუშვეს და სიმაგრეებად აქციეს. პრაქტიკულად მდინარე ალაზნის მთელ გაღმა მხარეს თხრილებად გაკეთებულ სიმაგრეებში მოსახლეობა იყო შეხიზნული, ამ თხრილებს კი გარშემო ერტყა ასევე წყლით სავსე დამატებითი ორმაგი თხრილები, რომლებიც ფეხზე მდგომ ან ცხენზე მჯდომ კაცს მთლიანად ფარავდა. კეთდებოდა კიდევ დამატებითი თხრილები, სადაც ქართველი მეომრები საფრდებოდნენ. როგორც კი მტერი შევიდოდა სპეციალურად გაკეთებული სახელდახელო ხიდებით, დამხვდურები სასწრაფოდ ჩაშლიდნენ ამ ხიდებს, მტერი წყალსა და ქართველ მეომრებს შორის აღმოჩნდებოდა და იოლადაც უმკლავდებოდნენ.

თხრილებმა და სიღნაღებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს იმჟამინდელ საომარ მოქმედებებში. ერთ-ერთ ასეთ დიდ თხრილ-სიღნაღში 10000 სული ქალი, ბავშვი და მოხუცი ყოფილა გამაგრებული თავიანთი ქონებით.

ირანელმა სარდალმა ჰოსეინ-ბეგმა საკმაო რაოდენობის ჯარი გაგზავნა მის ასაღებად. როდესაც მტერი ხიდზე გადავიდა და შიგნით, თხრილების სიმაგრეში მოექცა, ქართველებმა ხიდი ჩაანგრიეს, მტერს უკან დაბრუნების საშუალება მოუსპეს, გაშმაგებით ეკვეთნენ და ისე გაჟლიტეს, მხოლოდ რამდენიმე კაცმა და თვითონ ჰოსეინ-ბეგმა ძლივს გაასწრეს სიკვდილს. სარდლის ასეთმა მოუფიქრებელმა და წარუმატებელმა ნაბიჯმა შაჰ-აბასი ისე განარისხა, თვითონ დასაჯა სიკვდილით წინდაუხედავი სარდალი. იმ სიმაგრის ასაღებად კი თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებული ყარჩიხა-ბეგი გაგზავნა.

სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლეს კახელებმა, სადაც კი მკლავი და ხმალი მიუწვდებოდათ, ცოცხალი ირანელი არ გაუშვიათ, მაგრამ სიმრავლემ მაინც თავისი გაიტანა; კაცების უმეტესობა მტერს შეაკვდა, ქალები და ბავშვები ტყვედ აიყვანეს, გადარჩენილებმა გუნდ-გუნდად გააღწიეს და ტყის სიღრმეს მისცეს თავი.

ოცი დღე-ღამის განმავლობაში ზანზარებდა ალაზნის მარცხენა მხარე ქართველი მოსახლეობისა და ირანული ჯარის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებებით, შემდეგ კმაყოფილი შაჰი ალაზანს გამოღმა გამოვიდა და მთავარ ბანაკში შეისვენა.

ირანელმა სარდლებმა უდიდესი სიბოროტის ერთგულება გაუწიეს თავიანთ მბრძანებელს; დაანგრიეს, რაც წინა შემოსევას გადარჩენოდა; კახთა ბაღჩა-ბაღებში ნაყოფის მსხმოიარე ხე აღარსად იდგა, გაიკაფა თითოეული ვაზი და ბუჩქი. რაც სპარსულ ხმალსა და ნაჯახს გადაურჩა, ცეცხლმა შთანთქა. „...რაც ხოცვა და რბევა, ძარცვა, ტყვევნა და ნგრევა ქვეყნისა და საცხოვრებლებისა კახეთის ქრისტიანებს თავს დაატყდათ, არ გაგონილა ისლამის გაჩენის დროიდან აქამომდე, რომ ასეთი რამ ისლამის ქვეყნების რომელიმე ხელმწიფისაგან მოსვლოდეთ მათ და მათი მამული ასე აოხრებულიყოს“ (ისქანდერ მუნში)

მალე შაჰ-აბასს აცნობეს, ოსმალური ჯარი ირანზე შეტევისათვის ემზადებაო; სწრაფად დატოვა კახეთი და თბილისის გავლით გოგჩის ტბისკენ გასწია.

ოსმალური ჯარის მიზანი ყარსის, არზრუმის, ერევნისა და სხვა ქალაქების დაპყრობა იყო, მაგრამ რაღაც შიშის გამო ძალიან დუნედ იქცეოდა; შაჰ-აბასმა და ოსმალეთის დიდმა ვეზირმა ისევ დასდეს ზავი, რომელიც ფორმალურ ხასიათს კი ატარებდა, მაგრამ ხელსაყრელი იყო შაჰ-აბასისთვის; მას კახეთის მოსახლეობის დაუმორჩილებლობა ზღვარგადასულ სიჯიუტედ მიაჩნდა, სწრაფად დატოვა გოგჩის ტბა და ისევ კახეთის „მოსარჯულებლად“ წამოვიდა.

კახელებმა როგორც კი შეიტყვეს შაჰის წასვლა, – არ კი იცოდნენ, სად და რატომ-იწყეს სამალავებიდან გამოსვლა და თავიანთი ბინა-თავშესაფრების შენება-განახლება. იმერეთიდან გადმოვიდნენ დავით ჯანდიერი და თამაზ ვაჩნაძე. მათ პირველ რიგში კახეთის გაფანტული მოსახლეობის თავმოყრა იწყეს და ახალი ენერგიით შეუდგნენ აჯანყების სამზადისს.

შაჰს როგორც კი აცნობეს კახელთა განახლებული თავდაცვითი მოძრაობა, ისევ შეკრიბა დიდი ჯარი, სათავეში თავისი სიძე ისა-ხან ყორჩიბაში ჩაუყენა და გააფრთხილა ყველა ირანელი ჯარისკაცი და სარდალი, არ დაენდოთ არცერთი ორფეხი და ოთხფეხი, სულერთიანად გაეწყვიტათ არა მხოლოდ ადამიანები, ყველა სულიერი, ცაში ფრინველი და ხმელეთზე შინაური თუ გარეული ცხოველიც კი.

კახი მოსახლეობის ნაწილმა ისევ სამალავებს მიაშურა. საარაკო შემართებით იბრძოდნენ ქიზიყელები, სიცივისა და ზამთრის სიმკაცრის გამო გაძნელდა თავდაცვა; მტერს მოსახლეობა ადვილად უვარდებოდა ხელში, უმრავლესობა ლტოლვილთა დიდ რიგებს უერთდებოდა. შაჰ-აბასის გულის მოსაგებად, დაღესტნის ფეოდალები თავიანთი მარბიელი რაზმებით გადასასვლელ ბილიკებზე უსაფრდებოდნენ ქართველებს, საბრალო ლტოლვილები უარეს მდგომარეობაში ცვიოდნენ.

კახეთში შაჰის ბოლო ორი შემოსევის შედეგად სულ გაიძარცვა და გაიზიდა, თუ კი რამ ღირებული შეექმნა ადამიანის ხელს. ეს ბრძოლები ერთი წლის მანძილზე მიმდინარეობდა. „მოსახლეობის ნაწილი იმერეთში გადავიდა, ნაწილი ქართლში. ადამიანის სუნიც კი აღარსად იყო დარჩენილიო“, – მოგვითხრობს ისქანდერ მუნში და მთელი ამ უბედურების მიზეზად თეიმურაზს ასახელებს, „მას არ ჰქონდა მოქნილი პოლიტიკა, რომ ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო“.

ცხადია, თეიმურაზს თავისი სამეფოსთვის მხოლოდ სიკეთე სურდა და რაც შეეძლო ყველაფერსაც აკეთებდა, სხვა რომ არა ვთქვათ, თუნდაც თავისი დედის, ქეთევან დედოფლისა და შვილების გაგზავნა ირანის კარზე დიდი მსხვერპლია მეფის მხრიდან, მაგრამ უშედეგო. „ჯობდა თვითონ ხლებოდა შაჰს, ასეთ შემთხვევაში ალბათ ცოტა უკეთესი იქნებოდა, მასში ახირებული სიჯიუტე მოჭარბებით სუნთქავდაო“, – ამბობს ფარსადან გორგიჯანიძე.

1612 წლის 20 მაისის იმ ავადსახსენებელი დღის შემდეგ 1615 წელს გიორგი სააკაძე პირველად ჩამოვიდა საქართველოში. ქაიხოსრო ჯავახიშვილმა როგორც კი გაიგო ეს ამბავი, ცოლშვილთან ერთად თავქუდმოგლეჯით გაიქცა დასავლეთ საქართვე-ლოსკენ. სურამთან წამოეწიv-

ნენ სააკაძისგან დადევნებული მოციქულები, დაამშვიდეს, დააჯერეს, რომ სააკაძე არაფერს ერჩოდა და ისიც, ზნეგალახული, დაბრუნდა უკან. დიდი ხანი არ გასულა, ქაიხოსრო ჯავახიშვილმა ჯარი ითხოვა შაჰისგან დროებით ქართლის გამგებლად დანიშნული ფარსადან ციციშვილისაგან: გიორგი სააკაძე დაბრუნებულა, ახლა ნოსტეშია, ჯარი მჭირდება, რომ ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოვუღოთ ჩვენი მოუსვენრობის მიზეზსო. ფარსადანს სიხარულით გაუყოლებია ჯარი.

გ. სააკაძე, ცხადია, ახლა უფრო მეტ სიფრთხილეს იჩენდა, ისევ გადაურჩა სიკვდილს. ხანდაკში გადავიდა ალშოფოთებული სულის დასამშვიდებლად.

მას შეეძლო ერთი ამოსუნთქვით გაენადგურებინა მოშურნენი, მაგრამ ქვეყანას არ არგებდა ეს საქციელი.

დიდი მოთმინება იყო საჭირო გიორგისაგან, ძალიან დიდი!

„თუ ხალხნი არ ვევარგებით,
რა ქნას სამშობლო მიწამა,
უთვალო უენ-პირომა,
თიხამ, ლამმა და ქვიშამა?“
ვაჟა-ფშაველა

ასეთი დიდი სულგრძელობა, რაც სააკაძემ გამოიჩინა 1615 წელს მოსისხლე მტრებისაგან ხელმეორედ მისი სასიკვდილოდ გამეტების დროს, ემსახურებოდა მხოლოდ ქართლის გადარჩენას შაჰის რისხვისაგან, რომ ქართლშიც არ განმეორებულიყო ის, რაც მან უკვე დამართა კახეთს და საერთოდ ძალზე დამაფიქრებელი მაგალითი იყო კახეთის ბედი ქართლელთათვის.

„მოსაზრება, თითქოს დიდებულნი, მივიდნენ შაჰთან, რომ უსაფრთხოების გარანტია ჰქონებოდათ, მცდარია. მაშინ ქაიხოსრო ჯავახიშვილი არც გაიქცეოდა იმერეთისკენ, მით უმეტეს, წარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო გ. სააკაძეზე მეორე თავდასხმა 1615 წელს; თუ კი შაჰის მფარველობა იყო გადამწყვეტი, არ შეეძლო ჯარის მიცემა ფარსადან ციციშვილს, ვინც სწორედ შაჰმა დასვა ქართლის გამგებლად; იმ დროისათვის შაჰის ერთგული კაცის მოკვლა ციციშვილს ვერ უნდა გაებედა“ (ჯანსუღ ღვინჯილია).

შაჰის ავკაცობა ახლა უფრო მეტად თვალსაჩინო ხდებოდა, დაუმალავი ბოროტება სააშკარაოზე გამოდიოდა და მეტ სიფხიზლეს ითხოვდა.

სააკაძეზე მეორედ თავდასხმამ კიდევ მეტი მოთმინება და ახალი კუთხით მოვლენების გაანალიზება მოითხოვა მისგან. სამი წელი 1612-1615, დროის ის მონაკვეთი იყო გიორგი სააკაძისა და შაჰის ურთიერთობაში, რომ მათ აუცილებლად უნდა შეეცნოთ ერთმანეთის ხასიათი აწონ-აზომვისა და დაკვირვების მეშვეობით, ამასთანავე ორივე დიდი პიროვნების აზრები და მიზნები სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა დასჯახებოდა ერთმანეთს. მართალია, მათ ერთმანეთი სჭირდებოდათ თავიანთი მიზნების მისაღწევად ცალ-ცალკე, მაგრამ დრომდე ძალებს ზომავდნენ, ბედისწერის ხელს შურისძიების ფარდა ჯერჯერობით გაუხსნელი ეჭირა.

გიორგი სააკაძე 1615 წელს საქართველოსკენ გამომგზავ-რებისას, რა თქმა უნდა, იფიქრებდა, როგორი შიში შეუვარდებოდათ გულში ჯავახიშვილ-ციციშვილებს, აკი მართლაც დაოთხილებმა იმერეთის გზას მისცეს თავი. სააკაძეს ეს არ გაჰკვირვებია, სრულიად ბუნებრივი მოქმედება იყო უსუსური მტრის მხრიდან და შემოაბრუნა კიდეც სანდო ხალხის მეშვეობით. ამ ტოლერანტული მოქმედებით იწყება გიორგი სააკაძის ბრძნული და შორსმჭვრეტელური პოლიტიკა საქართველოში. მისი მთავარი საზრუნავი იყო, რომ ქართლი მაინც გადაერჩინა აყრა-განადგურებისაგან, ამისათვის მოსახლეობის ნდობა და მხარდაჭერა სჭირდებოდა. მას რომ ქაიხოსრო ჯავახიშვილი არ გამოებრუნებინა, მაშინ წარმოჩნდებოდა, როგორც ზერელე, გულგრილი და შეიძლება შურისმაძიებელიც კი; ჭეშმარიტ ქრისტიანად დარჩენილმა გიორგი სააკაძემ პირადი წყენისა და ტკივილის დათმენის ხარჯზე ხალხის გულის მოსაგებად და მათი რწმენის განსამტკიცებლად ჩაიდინა ასეთი დიდსულოვანი საქციელი, ამით ყველას დაანახა, რომ არ აპირებდა სამაგიერო გადაეხადა მის წინააღმდეგ 1612 წლის მაისის შეთქმულებაში მონაწილეთათვის.

გიორგი სააკაძეს რომ შეურიგებელი პოზიცია დაეჭირა, მასა და მის მტრებს შორის გაგრძელდებოდა მუდმივი ანგარიშსწორება და მარტყოფის ბრძოლა შეიძლებოდა არც ყოფილიყო.

ქ. ჯავახიშვილი ზნეობადაცლილი კაცია, ერთიანად ასეთივეა სააკაძის ყველა მოწინააღმდეგე; მათ სულ ცოტა ხანში მიიღეს გადაწყვეტილება მეორედ მოეწყოთ შეთქმულება გიორგის გასანადგურებლად. ისინი დაუკვირდნენ შაჰის დამოკიდებულებას სააკაძისადმი, შეისწავლეს მათი ურთიერთობა და დარწმუნდნენ, რომ თუ ისინი სააკაძეს მოკლავდნენ, შაჰი დიდად არც გაუნაწყენდებოდათ. ასეთი „გარანტიის" საფუძველზე სცადეს მათ ხელმეორედ სააკაძის მოკვლა, მაგრამ „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების" – ქართლის გადამრჩენელს, წმინდა გიორგი მფარველობდა მუდამ ჟამს! მეორედაც გაუგო, გადარჩა და შეუნდო.

„შეიბრალე, უფალო, ისინი, რამეთუ არა უწყიან თუ რას სჩადიან!"

არ არის სააკაძის საქციელი ზოგადქრისტიანული და მართლმადიდებლური, ჩანს სადმე „კბილი კბილის წილ"?!

შაჰ-აბასს გიორგი სააკაძე იქ, თავისთან უფრო სჭირდებოდა სპარსეთის მოქიშპე ქვეყნების დასათრგუნად. აქ, საქართველოში, შაჰს სააკაძეზე უკეთეს სამსახურს ქართლის თავადები უწევდნენ.

მაინც ძალიან გაუკვირდა შაჰს, თუ რატომ დაინდო სააკაძემ, უკვე მეორეჯერ, მისი სიკვდილის მოსურნენი. უკვირდა და თან არც უკვირდა.

ალბათ უფრო არ უკვირდა, ეს ხომ გონიერი ადამიანის ნაბიჯია. ზოგჯერ თვით შაჰს, მის ქვეწარმავლურ ბუნებასაც დასჭირვებია მსხვერპლის ხელში ჩასაგდებად მოჩვენებითი სიმშვიდე ეთამაშა; შემდეგ სამალავიდან მოულოდნელად დაესხმოდა თავს და დაგესლილს, კრუნჩხვებადქცეულს ჟინიანი კმაყოფილებით უყურებდა.

ვთქვათ და გიორგი სააკაძეს მეორეჯერ სასიკვდილოდ გამეტებისათვის ხელი აელო ყველაფერზე და ერთიანად გაენადგურებინა თავისი მოსისხლე მტრები, ქაიხოსრო ჯავახიშვილით დაწყებული, ყველა უკლებლივ, საფიქრებელია, შაჰი არც მაშინ აიტკიებდა თავს; გავიხსენოთ, რა რეაქცია ჰქონდა, როცა თავისსავე კარზე აღზრდილი და თავისგანვე მკვლელად გაგზავნილი კონსტანტინე-მირზას სიკვდილი შეატყობინეს: „მამისა და ძმის მკვლელი უარესის ღირსიაო"(?!).

ასე შენიღბულად მოქმედებდა შაჰი ყოველთვის. გიორგი სააკაძისაგან პირადი მტრებისთვის სამაგიეროს მიგებით შაჰი კი გაიხარებდა, მაგრამ გულნატკენი დარჩებოდა ქართველი მოსახლეობა, მათ თვალში შეილახებოდა გიორგი სააკაძის პიროვნული სანდოობა. ქართველმა ერმა მას „დიდი მოურავი" უწოდა, წვრილმანი პირადი შურისძიება არ შეეფერებოდა მის მართლაცდა დიდ ღირსებებს და მესამე, მთავარი: მარტყოფის დიდი გამარჯვება, შესაძლოა, არც ხსენებულიყო ქართლის ცხოვრებაში. საკუთარ თავზე გამარჯვება ყველაზე დიდი გამარჯვებააო, – ამბობს სიბრძნე. მოზღვავებული ემოციების შეკავება-დათრგუნვა ყველას არ შეუძლია, მით უმეტეს, თუ ეს მთელი ოჯახის ამოწყვეტას ეხება, სააკაძის მტრებს კი სწორედ მისი დედაბუდიანად გაჟლეტა უნდოდათ.

გიორგი სააკაძეც ჩვეულებრივი მიწიერი მოკვდავი იყო, მისგან პატიებაც რთული ფსიქოლოგიური განცდების გარეშე არ მოხდებოდა. მასაც, როგორც ადამიანს, ექნებოდა მტრისთვის სამაგიეროს მიგების მძაფრი სურვილი, მაგრამ თავს სძლია, გააანალიზა და განსაზღვრა, რა იქნებოდა მისი სამშობლოსათვის უკეთესი; პირადი „მე" ანაცვალა ქვეყნის უანგარო სამსახურს.

ქვეყანა, მიწა-წყალი, თუნდაც სამეფო გიორგი სააკაძეზე ნაკლებად არ უყვარდათ იგივე თეიმურაზ მეფეს ან დავით ჯანდიერს, თუნდაც იმ ეპოქის მრავალ ქართველ პატრიოტს, უთანასწორო ბრძოლებში რომ იღუპებოდნენ, მაგრამ გიორგი სააკაძის მოქმედება შექმნილ ურთულეს ვითარებაში და იქ სწორი აზრისა და გზის პოვნა სულ სხვა შედეგებს იძლეოდა.

(გაგრძელება იქნება)

**ნუგზარ ნადარაია**



## ანციკურობიდან-დღევანდელობამდე

**გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგულაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას.**

2016 წლის 18 ივლისს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამართლებრივი ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ნიკოლოზ როსებაშვილის ხელმოწერით (წერილი N 25545) გამოგეგზავნათ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში 2016 წლის 12 ივლისს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე შემოსული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს წერილი, რომელიც შეეხებოდა მოსაზრებას ფოთისათვის მისი ისტორიული სახელის – ფაზისის სახელდების შესახებ.

ამავე საკითხთან დაკავშირებით, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" (28 აპრილი, 2017 წელი), გამოქვეყნდა საქართველოს ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის, ეკონომიკის დოქტორის ნუგზარ ნადარაიას, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის გერონტი კუხალეიშვილის, აკადემიის სწავლული მდივნის, პროფესორ ლიანა წურწუმია ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძეს სახელზე.

იმის გათვალისწინებით, რომ საკითხისადმი, საზოგადოებრივი ინტერესი დიდია, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ამ საკითხის განხილვის მიმდინარეობის თაობაზე. დამატებით გაცნობებთ, რომ ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს ინიციატივით 2017 წლის ივლისში ჩატარდა მოსახლეობის სოციოლოგიური კვლევა. სოციოლოგიური კვლევის შედეგები ასეთია:

სულ გამოიკითხა 1736 რესპონდენტი;

თანახმაა – 1285

თავი შეიკავა – 451-მა.

საქართველოს ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბირო მზადყოფნას გამოთქვამენ საჭიროების შემთხვევაში ითანამშრომლონ კომისიათან, ამ საკითხზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

**დავით მუსხელიშვილი**

* * *

## საქართველოს ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტს, ეკონომიკის დოქტორს ნუგზარ ნადარაიას

**ბატონო ნუგზარ,** პასუხად თქვენი წერილისა ფოთისათვის მისი ისტორიული სახელის – ფაზისის სახელწოდების შესახებ, გაახლებთ ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტის, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის დასკვნას საკითხთან დაკავშირებით.

**დიდი პატივისცემით, როინ მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი.**

## ერს თავისი ისტორია იცავს!
## „ფასოისა – ფოთისა იტყვს“

**ქალაქი** ფოთი ჩვენი ქვეყნის ფრიად მნიშვნელოვანი კულტურული და ეკონომიკური ცენტრია. ცნობილია, რომ იგი ამავე დროს ერთ-ერთი უძველესი ნავსადგურია შავ ზღვაზე, სადაც ძველმა ბერძენმა კოლონისტებმა ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში ემპორიონი, ანუ სავაჭრო ფაქტორია დაარსეს, რომელსაც ფაზისი ეწოდებოდა. ეს უკანასკნელი, ზოგიერთი ანტიკური წყაროს მიხედვით, ძველი კოლხეთის სამეფოს დედაქალაქადაც ითვლებოდა, სადაც ძველბერძნული თქმულების მიხედვით, არგონავტებმა ილაშქრეს ოქროს საწმისის მოსაპოვებლად.

როგორც ჩანს, „ფაზისის“ ასეთმა პოპულარობამ განაპირობა ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის სურვილი, რომ ფოთს გადაერქვას სახელი ამიერიდან ეწოდოს ფაზისი.



ამ თავისთავად კეთილშობილურ განზრახვასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: ფოთი არ არის ახალი სახელწოდება. ძველქართულ წყაროში იგი უკვე XI საუკუნეში იხსენიება, ხოლო ძველსომხურში, მსგავსი ფორმით „ფოთიით“ – VIII ს-ის დასაწყისისთვისაა დამოწმებული, რაც გულისხმობს, რომ ეს ქართული ტოპონიმი გაცილებით უფრო ძველია. მართლაც, მეცნიერები – ლინგვისტები, ისტორიკოსები – მათ შორის უცხოელებიც, საბუთიერად ფიქრობენ, რომ „ფოთი“ უცილობლოდ ადგილობრივი სახელწოდებაა, რომლის პროტოტიპი უკვე არსებობდა ქართულ-ზანური (მეგრულ-ჭანური) ენობრივი ერთობის დროს, ანუ რამდენიმე ათასწლეულის წინათ, ხოლო საერთო ქართული ეთნოსიდან მეგრულ-ჭანურის გამოყოფის შემდეგ, ანუ ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში უკვე უნდა არსებულიყო დღევანდელი ფორმით „ფოთი“. რაც შეეხება ბერძნულ „ფასისIIფაზისს“ იგი გაცილებით უფრო ახალია: ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში მოსულ ბერძენ კოლონისტებს ეს ტერმინი, როგორც ფიქრობენ, უნდა მიეღოთ „ფოთის“ აღმნიშვნელი სავარაუდო ძველი სვანური სახელწოდებისაგან.

ასეა თუ ისე, ერთი რამ სრულიად ცხადია: „ფოთი“ ადგილობრივი ძველისძველი ტოპონიმია, ხოლო „ფასისIIფაზისი“ – უცხო, ბერძნული. სწორედ ამიტომაა, რომ კონსტანტინოპოლის 553 წლის V მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილე ეპისკოპოსთა სიის ქართულ თარგმანში მოხსენიებული ფაზისის მღვდელმთავარის წოდებულება – „ეპისკოპოზი ფასოისა სოფელსა შინა მეგრელთასა“ – შუა საუკუნეების სქოლიასტის მიერ იქვეა განმარტებული: „ფოთსა იტყვს“, ანუ ფაზისი („ფასოი“), იგივე ფოთიაო.

ქალაქ ფოთის სახელწოდების ფაზისად შეცვლის მოსურნენი (ცხადია, თავისდა უნებურად, ძველი ქართული კვალის წაშლას და უცხოურის დამკვიდრებას ცდილობენ. დავარქვათ მაშ ციხისძირს პეტრონი, ცხუმს (სოხუმს) – სევასტოპოლისი და ა. შ. ?!

ღირს კი ამის კეთება?

## ვუწოდოთ ქალაქს „ფოთი-ფაზისი“

**პატივი** მივაგოთ ძველ კოლხურ, ე. ი. ქართულ და ძველბერძნულ ცივილიზაციათა ურთიერთობის ისტორიას და ქალაქ ფოთს ვუწოდოთ სრულქმნილი ისტორიული სახელი: ფოთი-ფაზისი...

ისტორიული ფაზისის რიტორიკული სკოლის (ცენტრის) მემკვიდრე საქართველოს ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის მრავალათასიან წევრთა სახელით პატივი მაქვს, გულწრფელი მადლობა გადავუხადო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობას, მის პრეზიდიუმს, პირადად ღვაწლმოსილ მეცნიერს, ისტორიული გეოგრაფიის თვალსაჩინო სპეციალისტს, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს ჩვენ მიერ დასმული ამოცანის არგუმენტირებულად წარმატებული რეალიზების საქმეში ფასდაუდებელი წვლილისთვის. მართლაც დროა, დამსახურებული პატივი მივაგოთ ძველკოლხურ, ე. ი. ქართულ და ძველბერძნულ ცივილიზაციათა ისტორიული ურთიერთობის საგნობრივ შესწავლას, სამეცნიერო პროპაგანდას და მსოფლიოში მიღებული ტოპონიმების ანალოგიურად („მაინის ფრანკფურტი“, „დონის როსტოვი“ და ა. შ. ) ქალაქ ფოთს ისტორიული სრულყოფილებისათვის ამიერიდან ეწოდოს – ქალაქი „ფოთი-ფაზისი“.

ვფიქრობ, ამით მნიშვნელოვნად გაიზრდება ქალაქისა და მხარის ტურისტული პოტენციალიც, შედეგად ასევე გაიზრდება საბიუჯეტო შემოსავლები.

გულითად მადლობასთან ერთად, გამოვთქვამთ სრულ მზადყოფნას ურთიერთ სამეცნიერო თანამშრომლობისათვის, „რათა გაიხაროს ყოველმა ქართველმა“, ამინ!

**სერგო ბარამიძე**

## „მშობლიური მიწის მტკაველიც კი არაა დასათმობი!

**ცნობილი** მამულიშვილის, ბატონ ნუგზარ ნადარაიას სურვილით და თხოვნით ვბეჭდავ ნაწყვეტს ფაზისის აკადემიის პოეტ-აკადემიკოსის **სერგო ბარამიძის** წიგნიდან „ჩემი თბილისი და საქართველო“.

...გასული საუკუნის 90-იან წლებში ვრედაქტორობდი გაზეთ „ფაზისს“, გავიცანი აფხაზეთიდან ლტოლვილი მრავალი პატრიოტი ქართველი, რომელთაგან გამოკვეთილად კეთილშობილურ წარმოდგენას მიქმნიდა სერგი საჯაია, იგი სოხუმიდან იყო და დედა იქაური ბერძენი ჰყავდა. დედამ შვილს ბერძნული ენა შეასწავლა. ვიხსენებ მის იუმორისტულ ფერებში ნაამბობს:

70-იანი წლების მიწურული იყო. მოსკოვში ვსტუმრობდი ჩემს ბერძენ ნათესავებს. წამოსვლისას მგზავრობა მომიწია რეისზე „მოსკოვი-ერევანი“. ნათესავებმა მიმაცილეს ვაგზალზე და ბერძნულად ვსაუბრობდით. ბილეთი ორადგილიან კუპეში მქონდა, სადაც დაგვხვდა ნაცნობი გარეგნობის სპორტულ პიჟამოში ჩაცმული ჭარმაგი კაცი. ნათესავები დამემშვიდობნენ და მატარებელიც დაიძრა.

ცოტა ხნის შემდეგ საუბარს შევყევით. იმ კაცმა მკითხა, მგონი, ბერძნულად საუბრობდით, ალბათ, საქართველოში მცხოვრები ბერძენი ხართო. რევერანსების გარეშე დავეთანხმე.

შემდეგ ის კაცი წარმომიდგა – მე გახლავართ საბჭოთა კავშირის მარშალი ივან ხრისტაფოროვიჩ ბაგრამიანი და მშობლიურ სომხეთში მივდივარო. საუბრისას ასეთი რამ მითხრა: ჩვენ კარგა ხნის წინათ შევქმნიდით დიდ სომხეთს სსრკ-ს ტერიტორიაზე, რომ არა... აბა გავხედოთ სომხების განსახლებას სომხეთის რესპუბლიკიდან ჩრდილოეთისაკენ – საქართველოში: ჯავახეთში, მესხეთში, აჭარაში, გურიაში... აფხაზეთში, რუსეთში: კრასნოდარის, სტავროპოლის მხარეებში უამრავი სომეხი ცხოვრობს. ამ ტერიტორიების გაერთიანებით მივიღებდით დიდ სომხეთს, მაგრამ ერთი დასახლება გვიშლის ხელს, სადაც ფეხი ვერ მოვიკიდეთ, ეს... მეგრელები არიან. ისინი არ გვიშვებენ და მთელ ამ დასახლებულ ტერიტორიებზე ვაკუუმს გვიქმნიანო.

მართლაც აფერუმ, ძმებო მეგრელებო, ასე სათუთად რომ უფრთხილდებით მშობლიურ ქართულ მიწას. თქვენებრი წინდახედულება სხვებსაც რომ ჰქონდეთ, ამ განზრახვას ხომ ვერ ჩაიდებდნენ გულში ჩვენი მეზობელი ჰაოსის შვილები?

მშობლიური მიწის მტკაველიც კი არაა დასათმობი!

## შემეცნებითი სამყარო

მამა ამირან ამირანაშვილი



# საუბარი რელიგიის ისტორიის შესახებ

გაგრძელება.
დასაწყისი ანთოლოგიაში № 6

## იუდაიზმი

იუდაიზმი ებრაელი ხალხის რელიგიაა. როგორც ბიბლიიდან ვიცით, მოსეს მიერ ებრაელებს მიეცათ სჯული, რომელიც მათ, როგორც ღვთის რჩეულებს, ამზადებდა ძე ღმერთის განკაცებამდე, ანუ ძველი ალთქმა იყო მომამზადებელი იმ წიაღისა, რომელშიც უნდა შობილიყო მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე.

ებრაელი ერი იყო ერთადერთი ერი, რომელსაც ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ ცოდნა თვით უფალმა აუწყა მოსეს პირით. ძველი ალთქმის რელიგია განსაზღვრავდა ებრაელთა ცხოვრებისა და პრაქტიკული საქმიანობის ყველა ასპექტს – ლოცვიდან და მსხვერპლშეწირვიდან დაწყებული, საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებებით დამთავრებული, მაგრამ როგორც ბიბლიური ისტორია გვიჩვენებს, ერს მთლიანობაში ძალზე უჭირდა მოსეს მცნებების მიხედვით ცხოვრება, იგი ხშირად მიიდრიკებოდა ხოლმე წარმართობისაკენ და უცხო ტომთა „ღმერთებს" სცემდა თაყვანს. ერის ამგარი განდგმილებისა და უსჯულოების მამხილებელნი იყვნენ წინასარმეტყველები, რომლებიც დაბნეულ ერს კვლავ ჭეშმარიტი ღმერთის აღიარებისა და თაყვანისცემისკენ მოუწოდებდნენ.

სულიერი ამპარტავნებით შეპყრობილმა ისრაელმა ვერ შეიცნო ქრისტე ღმერთად და მხსნელად. მათი მესიისადმი მოლოდინი დეფორმირებული გახლდათ. კერძოდ, ისინი პოლიტიკური ლიდერის მოსვლას ელოდნენ, რომელიც არა მარტო რომაელთა ბატონობისაგან გაათავისუფლებდა ებრაელებს, არამდ პირიქით, ყველა სხვა ხალხზე გააბატონებდა მათ. სირაელთა მაშინდელი მენტალიტეტისათვის სრულიად მიღებული აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ აბსოლუტურ არსებას, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს ადამიანთან, შეიძლება ჰყავდეს ძე, და ისიც დამცირებული და ჯვარცმული, ამიტომაც იქცა ქრისტე, როგორც პავლე მოციქული წერს „იუდეველთათვის საცდურად" და მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს მოწაფენი და მოციქულები ებრალები იყვნენ, ერმა მთლიანობაში მიანც უარყო მაცხოვარი. ამის შემდგომ მათ დაკარგეს ღვთის რჩეულობა, ხოლო იუდეური რელიგაა ქრისტანული ეკლესიის დაარსების შემდგომ უქმ იქმნა.

70 წელს რომაელებმა ებრაელთა აჯანყების საპასუხოდ დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს იერუსალიმის ტაძარი, რის შემდეგაც იუდაური ღვთისმსახურება სინაგოგაში (ებრ. ბეთ ჰა-ქნესეთ) ლოცვითა და ბიბლიის (თორის) შესწავლით ამოიწურება. ტაძრის დანგრევის შემდგომ არა მარტო მსხვერპლშეწირვა შეწყდა, არამედ იუდეველებმა ერთიანი სულიერი ცენტრიც დაჰკარგეს.

იუდაისტური რელიგია მთელი შემდგომი საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულ ებრაელთა ნაცინალური კონსოლიდაციისა და ეროვნული თვითშეგნების საფუძველს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ებრალეთა რელიგიური თვალსაზრისი შუა საუკუნეებში არსებითად ძველი ალთქმის წიგნებს (უპირველეს ყოვლისა მოსეს ხუთწიგნეულს – თორას) ემყარებოდა, ებრაელები ძველ რაბინთა გადმოცემებსაც აღიარებდნენ, რომლებიც თავდაპირველად ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას, მოგვიანებით კი ისინი ჩაიწერეს და „თალმუდის" (მოძღვრება, მეცნიერება) სახელით გააერთიანეს, რომელიც ებრაელთათვის მეორე კანონად იქცა. თალმუდის ორი სახეობა არსებობს: ბაბილონური და იერუსალიმური ანუ პალესტინური.

შუასაუკუნეობრივი იუდაიზმის წიაღში ჩაისახა ებრაული ფილოსოფიაც, თუმცა უნდა ითქვას, რომ მოსეს სჯულისა და ანტიკური ფილოსოფიის დაახლოებას სათავე ჯერ კიდევ ფილონ ალექსანდრიელმა დაუდო. ებრაული ფილოსოფია სამი მიმართულებით განვითარდა: ნეოპლატონური, არისტოტელური და კაბალისტური, პირველი მათგანის ძირითადი წარმომადგენელია XI საუკუნეში ესპანეთში მოღვაწე იბნ-გებიროლი, რომელიც სქოლასტიკოსთა შორის ავიცებრონის სახელითაა ცნობილი. არისტოტელური ფიოსოფია დასაბამს საადია ფაიუმისგან იღებს (IX-XI), ხო-

ლო მის ყველაზე დიდ წარმომადგენლად მოსე მაიმონიდი (XII საუკუნე) ითვლება. რაც შეეხება კაბალას, იგი გადმოცემულია ორ წიგნში: „იეცირასა“ და „ზოჰარაში“. პირველი მათგანი ბენ-აკიბას მიეწერება, ხოლო მეორე მის ვაჟს — სიმონ ბენ იოხიას, რომლებიც II საუკუნეში მოღვაწეობდნენ, თუმცა ზოგიერთ მკვლევარს კაბალა მხოლოდ შუა საუკუნეებში Eქმნილად მიაჩნია, როდესაც ებრაელებმა არაბთა მეშვეობით ნეოპლატონიზმი გაიცნეს და მისი მისტიციზმის გავლენა განიცადეს. როგორც ჩანს, მიუხედავად ძველი წარმომავლობისა, კაბალისტურმა მოძღვრებამ დასრულებული სახე შუა საუკუნეებში მიიღო. იგი ჩვენთვის იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც მისი საიდუმლო, ეზოტერიული სწავლება უხვად კვებავდა სხვადასხვა ოკულტურ მიმდინარეობას. აქიმიიდან მოყოლებული და ანთროპოსოფიით დასრულებული.

კაბალა თავს საიდუმლო მოძღვრებად ასაღებს. კაბალისტების მიხევით, საღმრთო წერილის გარეგანი შინაარსის ქვეშ უფრო ღრმა და მისტიკური აზრია დაფარული და სწორედ იგია სრული და საბოლოო ჭეშმარიტების წყარო, რომელიც ღმერთმა გაანდო მოსეს და გადმოცემით გადადიოდა თაობიდან თაობაში, ვიდრე საბოლოოდ კაბალისტურ წიგნებში არ იქნა ჩაწერილი. ზოგჯერ კაბალას ებრაულ გნოსტიციზმადაც მიიჩნევენ.

კაბალისტები თვითმყოფ ღვთაებრივ პრინციპს განიხილავენ, როგორც ერთგვაროვან, განუსაზღვრელსა და მარტივ ერთობას, რომელიც თავისი აბსოლუტური ტრანსცენდენტურობით არის საკუთრივ არარაღაც (ენ-სოფი), მაგრამ იგი იმავდროულად მაინც ყველაფერია, რადგანაც ყველაფერი მისგან იღებს დასაბამს.

ენსოფი არის დასაბამიერი ნათელი, რომელიც თავდაპირველად მთელ სივრცეს ავსებდა, მაგრამ იმისათვის, რომ რაღაც სხვა შექმნილიყო, მან თვითკონდენსაცია მოახდინა და ამ გზით წარმოქმნა სიცარიელე, რომელიც შემდეგ მისგანვე მომდინარე ზომიერი და თანდათანობით კლებადი შუქით აავსო. ასე დაუდო დასაბამი ღმერთმა საგნებს, ამიტომაც, კაბალისტების აზრით, როცა ამბობენ, რომ ღმერთმა სამყარო „არაფრისაგან“ შექმნა, „არაფერში“ ის გონითმიუწვდომელი ყოფიერება იგულისხმება, რომელშიაც უნდა მოვიაზროთ ღმერთი თავისი თვითმყოფადობით, ხოლო ის, რასაც „სამყაროს შექმნას“ ვუწოდებთ, სხვა არა არის რა, თუ არა სამყაროს ემანაცია ღვთაებრივი „არაფრისაგან“. აქ აშკარად ჩანს ნეოპლატონისტური ემანაციური პანთეიზმის გავლენა. პირველი, რაც ამ გზით წარმოსდგება ღმერთის, როგორც დასაბამური ნათელისაგან, არის პირველი კაცი ადამ კადმონი, რომელშიც განუსაზღვრელი პირველად გადადის განსაზღვრულში. იგი მთელი „შესაქმეს“ პროტოტიპია, ყველა არსების ერთობლიობა, მარადიული სიბრძნე. ღმერთის ჭეშმარიტი ძე, მასში როგორც მიკროკოსმოსში კონცენტრირებულია მთელი სამყაროული ყოფიერება.

ადამ კადმონის მეშვეობით ღმრთისაგან ემანირდება ათი სეფიროთი. ისინი ორმაგი თვალსაზრისით შეიძლება იქნენ განხილულნი: ერთი მხრივ ღმერთთან, ხოლო მეორე მხრივ სამყაროსთან მათი მიმართებით. პირველ შემთხვევაში ისინი ღმერთის შემოქმედებით ატრიბუტებად, მისი გამოვლენილი არსებობის მოდუსებად გვევლინებიან, ამიტომაც კაბალისტები მათ ღვთაებრივ სახეებს უწოდებენ. ე.ი. ღმერთი ფიროთების შუაგულშია ადამ კადმონი, რომელსაც ამის გამო შეიძლება მათი ერთობა ეწოდოს. სამყაროსთან მიმართებით კაბალისტებს სეფიროთები ათი სხივმფინარე კონცენტრული წრის სახით წარმოუდგენიათ. ისინი ღმერთისაგან იღებენ დასაბამს და ამრიგად განაპირობებენ სამყაროს დაბადებას.

ღმერთის ატრიბუტად თუ გამოვლინებებად წარმოსახული სეფიროთები სამ-სამადაა დაჯგუფებული. ისინი ერთმანეთს ექვემდებარებიან, რის შედეგადაც მიიღება სამგზისი სამება. მას ემატება მეათე სეფირა, როგორც სამივე სამების საერთო შედეგი.

პირველი და უმაღლესი სამება მოიცავს: გვირგვინს, სიბრძნესა და გონებას. მეორე სამება ასე წარმოგვიდგება: მშვენიერება, მოწყალება და სამართლიანობა, ხოლო მესამე სამება აერთიანებს: საფუძველს, ზეიმს და დიდებას. უკანასკნელი, მეათე სეფირაა მეუფება – დანარჩენ სეფიროთა შორის არსებული ჰარმონიისა და სამყაროზე მათი აბსოლუტური მბრძანებლობის გამოხატულება.

თუ სეფიროთებს სამყაროსთან მათი მიმართების მიხედვით განვიხილავთ, რადგან ისინი, როგორც ღვთაებრივი ემანაციები, განაპირობებენ სამყაროს დაბადებას, აქაც საქმე გვაქვს სამგზის სამნაწილედობასთან, სეფიროთთა სამგზისი სამების შესაბამისად არსებობს სამი სამყარო:

1. ბერია – უპირველესი და უზენაესი სეფირა, ესაა ე.წ. „შინაგანი“ ცა, ღვთის უშუალო საყდარი და ინტელიგიბელურ სულთა სავანე.

2. იეცირა – რომელიც მოსდევს ბერიას – სამი საშუალო სეფირის საბრძანისი.

იგია „გარეგანი“ ცა, უზენაესი და უნეტარესი სხეულებით მოსილი ანგელოზების სავანე. ანგელოზთა სავანეში დგას მეტატრონოსი.

3. ასია – ქვედა სამყარო. აქ სამი უკანასკნელი სეფირა მბრძანებლობს. იგი ელემენტთა და ბუნების სამყაროა.

ამ სამი სამყაროს ზემოთ დგას პირველნიმუშთა სამყარო – აცილუთი. მას ისე მიემართება ზემოხსენებული სამი სამყარო, როგორც ასლი დედანს. იგი არსებითად სხვა არაფერია, თუ არა თვით ადამ კადმონი, ვინაიდან სწორედ ის აერთიანებს თავის თავში ყველა იდეას, როგორც ყოველი საგნის პირველ ნიმუშს, მას შუალედური ადგილი უჭირავს ღვთაებრივსა და შექმნილ სამყაროთა შორის. თავის მხრივ ბერიას, იეცირასა და ასიას შორისაც ისეთივე თანაფარდობა არსებობს, როგორც პირველნიმუშსა და მის ხატს შორის ანუ უფრო მაღალი სამყარო მომდევნოს პირველნიმუშია.

ყველაზე დაბალ საფეხურზე ემანაციური ნაკადი მატერიაში გადადის, რომელიც იმის შედეგად იქმნება, რომ ღმერთიდან გამონაშუქი ნათელი თავისი პირველწყაროდან უკიდურესი სიშორის ზღვარზე თითმის ქრება და იშრიტება, იგია მიმქრალი ნათელი, სიბნელე და რაკი სიბნელე უპირისპირდება სინათლეს, ხოლო ეს უკანასკნელი კი სიკეთეა, ამიტომ მატერია ბოროტების საუფლოა. სიბნელეა ბოროტ სულთა და მათი მთავრის სამაელის საბრძანისი. ამრიგად, კაბალა ბოროტების საწყისად მატერიის აღიარებით უპირისპირდება ბოროტებაზე ბიბლიურ შეხედულებას, (რომლის მიხედვითაც ღმერთმა ყოველივე კეთილად შექმნა) და ნეოპლატონურ პოზიციაზე დგება.

კაბალისტები ლაპარაკობენ უწინ არსებულ სამყაროზე, რომელიც წინ უსწრებდა აწინდელს, მაგრამ ამ უკანასკნელის შექმნამდე დაიღუპა, რის მიზეზადაც ისინი ანგელოზთა დაცემას ასახელებენ. ანგელოზი ჩამოგდებულ იქნა. ამასთან ერთად დაიქცა თვით ის სამყაროც, რომლის ნანგრევებიდან აღდგა ახალი სამყარო, რომლის მბრძანებელიცაა ადამიანი.

კაბალისტური ანთროპოლოგია ადამიანში სხეულსა და სულს განასხვავებს, ხოლო ამ უკანასკნელს სამნაწილედად განიხილავს. ესენია: ნეფეში, რუახი და ნეშამა. ისინი სამ სამყაროს შეესაბანებიან: ნეფეში – ასიას, რუახი – იეცირას, ხოლო ნეშამა – ბერიას. ნეფეში – ცხოველური სიცოცხლისა და გრძნობადი აღქმის საწყისია, ნეშამა – წმინდა ინტელიგენციისა, სული რომელსაც ბოროტის ქმნა არ ძალუძს. რაც შეეხება რუახს, იგი ამ ორს შორის დგას, როგორც ზნეობრივი ცხოვრების სუბიექტი. ამის შესაბამისად, თუ რუახი ნეშამას ემორჩილება ადამიანი სათნო და კეთილია და პირიქით, ბიწიერია, თუ რუახი ნეფეშს, ანუ ქვენა გრძნობებს მორჩილებს.

სულის სამნაწილედობას კაბალისტები მისი წინარე არსებობის თეორიას უკავშირებენ. თუმცა სულის სხეულთან შეერთებას ორიგენესაგან განსხვავებით სულის ცოდვით დაცემის შედეგად არ მიიჩნევენ. მათი აზრით, ამგვარი შეერთების მიზეზი ისაა, რომ სულს წინასწარგანჩინებით ხვდება ასეთი ხვედრი: სხეულში ცხოვრებით მან უნდა მოიხადოს თავისი ვალი და აღასრულოს თავისი ამქვეყნიური დანიშნულება. კაბალისტების მტკიცებით, სული, რომელიც ბოროტად იყენებს თავისუფლებას ამქვეყნად, ჯერ კიდევ თავის ზესხეულებრივ არსებობაში თანდათანობით შორდებოდა ღმერთს და სწორედ ეს გახდა მისი ზნეობრივი მიზეზი.

კაბალა აღიარებს სულთა ტრანსმიგრაციის – მათი გადასახლებისა და გარდასხეულების თეორიას. იმისათვის, რომ აბსოლუტური არსების წიაღს დაუბრუნდნენ, სულებმა თავიანთი სულქმნილება უნდა განავითარონ ათასგვარი განსაცდელისა და გამოცდის გავლით და ასე მიაღწიონ თავიანთი წარმომავლობის შემეცნებას. თუკი ერთი სიცოცხლის განმავლობაში ვერ შეძლეს ამ ამოცანის შესრულება, მაშინ სულები სხვა სხეულში უნდა გადასახლდნენ. საბოლოოდ ისინი მაინც უბრუნდებიან ღმერთს და მის წიაღში განიღმრთობიან.

კაბალისტების ამგვარი თვალსაზრისი, ერთი მხრივ, ძალზე წააგავს სულთა შესახებ პლატონურ სწავლებას, მეორე მხრივ კი, ინდუიზმისათვის დამახასიათებელ მეტემფსიქოზის (რეინკარნაციის) თეორიას ეხმაურება, კაბალისტიკის ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ გვიანდელი იუდაიზმი საკმაოდ დასცილდა ძველაღთქმისეულ იუდაიზმს, ამიტომაც, ზოგიერთი მკვლევარი ებრაელთა დღევანდელ რელიგიას ნეოიუდაიზმად მოიხსენიებს. ამას გარდა, იუდაიზმი და კერძოდ მისი მისტიკური სწავლება, მკვეთრად დაუპირისპირდა ქრისტიანობას და დიდი ხნით მოწამლა ევროპის სულიერი ატმოსფერო.

# ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი



## ფინანსების თავისებურებები მარკეტინგული სტრატეგიის გატარებისას

სახელმწიფოს შიდა და საგარეო პოლიტიკის განუყოფელ ელემენტს – ფინანსური პოლიტიკა წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ შეიძლება როგორც მიზანდასახულობის, მარკეტინგის, მენეჯმენტის ერთობლიობის სახით იქნას წარმოდგენილი.

ფინანსური პოლიტიკა – არის სახელმწიფო ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც ფინანსური რესურსების მობილიზაციაზე, მათ გადანაწილებაზე და გამოყენებაზე არის მიმართული იმისთვის, რომ სახელმწიფომ საზოგადოებრივი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში თავისი ფუნქციები შეასრულოს, როგორებიცაა: ეკონომიკა, სოციალური სფეროი ან საერთაშორისო ურთიერთობები.

ფინანსური პოლიტიკა – არის სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ელემენტი, რომელიც მოიცავს: ფინანსური რესურსების განსაზღვრული წყაროების ფორმირების, ფინანსურ ინტსრუმენტებისა და მათი გამოყენების მეთოდების, ასევე დასახული მიზნების მიღწევის პრცოესში „მიზნები-რესურსები-ადამიანები“-ს სამკუთხედში ბალანსის მხარდაჭერის მეთოდების ერთობლიობას.

ფინანსური პოლიტიკის რეალიზაციის მიზნები და ინსტრუმენტები შეიძლება ფინანსური მარკეტინგული სტრატეგიის რეალიზაციისას იქნას განსაზღვრული.

ფინანსურ მარკეტინგს – შეიძლება ორი განმარტება გააჩნდეს: ფართო და ვიწრო.

ფინანსური მარკეტინგი (ფართო განმარტებით) – შეიძლება განსაზღვრული იქნას როგორც ფინანსური პოლიტიკს შემადგენელი ნაწილი, ომლიც კონკრეტული პირობებისა და მიზნებისათვის ყველაზე უფრო მაღალი ხარისხის შესაბამისობისი ფინანსური ინსტრუმენტებისა და მათი გამოყენების ხერხების შერჩევის უზრუნველყოფას ახორციელებს. ამრიგად, ფინანსური მარკეტინგი – ურთიერთდაკავშირებული წყვილის „ბაზრის სეგმენტი – ფინანსური ინსტრუმენტი“-ს შერჩევას მოიცავს.

ფინანსური მარკეტინგი (ვიწრო განმარტებით) – შეიძლება განსაზღვრული იქნას როგორც ფინანსური ბაზრის განსაზღვრულ სეგმენტებზე მოთხოვნის შექმნისა და ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენების მეთოდების ერთობლიობა.

ფინანსური მენეჯმენტი – განისაზღვრება როგორც ფინანსური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც „მიზნები-რესურსები-ადამიანები“-ს სამკუთხედში ბალანსის მხარდაჭერისა და ფინანსური ბაზრის სეგმენტებზე მარკეტინგის განხორციელებისას განსაზღვრული ფინანსური მარკეტინგის პროცესში შერჩეული ინტსრუმენტების გამოყენებით დასახული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფის მთლიან საქმიანობას მოიცავს.

„ფინანსური ინსტრუმენტის“ ცნების ვიწრო და ფართო განსჯა არის შესაძლებელი.

ფინანსური ინსტრუმენტების (აღნიშნული ტერმინის ვიწრო განსჯით) – გაიგება ფინანსურ ბაზრებზე განხორციელებადი მოკლევადიანი და გრძელვადიანი ინვესტირების სხვადასხვა ფორმები, რმოელთაც მიეკუთვნება: ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, ოფციონები, ფორვარდული კონტრაქტები, ფიუჩერსები და სვოპები.[3]

ფინანსური ინსტრუმენტები (ფართო გაგებით) – არის ფინანსურ ბაზრებზე იურიდიულად დადგენილი ურთიერთობების ფორმებისა და მათი გამოყენების მეთოდების ერთობლიობა, რომელთა გამოყენებით განაწილებითი და გადანაწილებითი ურთიერთობები ხორციელდება: ფულა-

[3] Ковалев В.В. – Финансовый анализ: Управление капиталом. Выбор инвестиций. Анализ отчетности. – Москва: Финансы и статистика, 1996._432с.

დი სახსრების ფონდებს (მაგალითად ობლიგაცია) შორის; ფულადი სახსრების ფონდებსა და არამატერიალურ აქტივებზე საკუთრებას (მაგალითად, ფრანჩაიზინგი) შორის; საკონვერტაციო ურთიერთობები ფულადი სასხრეიბს ფონდებსა და მატერიალური აქტივების საკუთრებას (მაგალითად, აქციები, ლიზინგი) შორის; საკონვერტაციო ურთიერთობები „სახელმწიფო კრედიტი – სახელმწიფო ტრასტი“ შორის. ასევე შეიძლება შემდეგი ინსტრუმენტები იქნას გამოყენებული: დოტაციები, ტრანსფერტი, სუბვენცია, შეღავათები, სახელმწიფო კრედიტი, გარანტია, გადასახადები, ფინანსური ლიზინგი, ფინანსური დერივატები, არაფონდური დაზღვევა, აკრედიტივი, ფაქტორინგი, ჩეკი, გირაო და იპოთეკა, პრივატიზაცია, ნაციონალიზაცია, სვოპი და ა.შ.

როგორც ცნობილია საქონელს შეიძლება ოთხი დონე ჰქონდეს: საქქონლის პირველ დონეს – ძირითად სარგებლიანობას ან მომსახურებას შეადგენს. საქონლის მეორე დონე მოიცავს: თვისებებს, ხარისხს, გარეთა გაფორმებას, სამარკო დასახელებას, შეფუთვას, გამომყენებლისათვის და მომხმარებლისათვის საქონლის უსაფრთხოების თავისებურებებს. საქონლის მესამე დონეში შედის: მოწოდებები და დაკრედიტება, მონტაჟი, გარანტია, გაყიდვის შემდგომი მომსახურება. საქონლის მეოთხე დონე ითვალისწინებს: ეკოლოგიურ დანახარჯებს დამზადებაზე და უტილიზაციაზე, მოდიფიკაციის შესაძლებლობას და ა.შ.

მარკეტინგული სტრატეგიის თავისებურებები ფინანსებში: გამყიდველის ბაზარს და მყიდველის ბაზარს ერთმანეთისაგან გამყიდველისა და მყიდველის ზემოქმედების ხასიათისა და აქტიურობის თანაფაროდობის მიხედვით განასხვავებენ.

გამყიდველის ბაზარი – არის ბაზარი, სადაც გამყიდველებს (მომწოდებლები) მეტი უფლებები გააჩნიათ, ვიდრე მყიდველებს (მომხმარებლები) და იქ მყიდველებს ყველაზე აქტიურ „ბაზრის მოღვაწეებად“ უხდებათ ყოფნა. აღნიშნული ბაზარი გასაღების სტრატეგიის პირობებში საქმიანობას შეესაბამება. მიღებულია, რომ გასაღების სტრატეგია საბაზრო საქმიანობის შემდეგ ეტაპებს მოიცავს: წარმოება, განაწილება, გაცვლა (სულ 3 ეტაპი). ამასთან, რეალობაა, რომ გასაღების სტრატეგიის ჩარჩოებშიც წარმოების ეტაპს წინ უნდა უსწრებდეს შემდეგი აუცილებელი და მნიშვნელობის ეტაპები, როგორებიცაა: მოთხოვნილების აღმოჩენა და აღნიშნული მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საქონლის, მომსახურების ან ფინანსური ინსტრუმენტების შემუშავება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ იქნება, ხოლო გაცვლის ობიექტი (საქონელი, ფინანსური ინსტრუმენტი) მოხმარებისათვის უვარგისობის მიზეზით მოხმარების ეტაპზე ვერ გადავა, ასეთი ბაზარი, ძირითადად სუფთა მონოპოლიის ბაზარზე დირექტიული ეკონომიკის პირობებში ყალიბდება.

მყიდველის ბაზარი – არის ბაზარი, სადაც მყიდველებს მეტი უფლებამოსილება გააჩნიათ, ხოლო ყველაზე აქტიურ „ბაზრის მოღვაწეებად“ გამყიდველებს უხდებათ ყოფნა.[4] ასეთ ბაზარზე საქმიანობა მარკეტინგული სტროატეგიის ჩარჩოებში ხორციელდება და თვით მარკეტინგული სტრატეგია შემდეგ ეტაპებს მოიცავს: მოთხოვნილების ანუ პრობლემის აღმოჩენისა და შესწავლა; საქონლის ანუ ფინანსური ინსტრუმენტის დამუშავება; წარმოება, განაწილება, გაცვლა, მოხმარება, უტილიზაცია (სულ 7 ეტაპი).

მარკეტინგული სტრატეგიის – გასაღების სტრატეგიისაგან განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მარკეტინგული სტრატეგიის პირობებში მოთხოვნილების ან პრობლემის აღმოჩენისა და შესწავლის, ასევე საქონლის ან ფინანსური ინსტრუმენტის დამუშავების ეტაპებს საგრძნობლად მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე გასაღების სტრატეგიისას. სწორედ ამიტომ ხდება მყიდველების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა შესაძლებელი, ხოლო ფინანსურ ინსტრუმენტს რეალურად მნიშვნელოვნად მეტი დონეები გააჩნია.

საბანკო სისტემაში მარკეტინგის პრინციპების გავრცელება და მარკეტინგის საბანკო სტრატეგიულ დაგეგმვაში ჩართვა მხოლოდ 80-იანი წლებიდან დაიწყო.[5] ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბანკები არც სტრატეგიულ დაგეგმვას და არც მარკეტინგს სათანადო ყურადღებას არ უთმობდნენ. ამასთან მარკეტინგის ქვეშ გაიგება სამეწარმეო საქმიანოიბს ისეთი სახეობა, რომელიც საქონლისა და მომსახურების მწარმოებლიდან მომხმარებლისაკენ მიმართვასთან არის დაკაშირებული. თანამედროვე პირობებში ბანკების მხრიდან მარკეტინგის პრობლემებისადმი ურად-

[4] Котлер Ф. Основы маркетинга. С. Петербург, АО "Коруна", АОЗТ "Литература плюс", 1994-с.698.

[5] Банковское дело: Учебник / под ред. проф. В.И. Колесникова, проф, Л.П. Кроневецкой. – Москва, Финансы и статистика, 1995, с. 480.

ღება საყოველთაოდ არის გამახვილებული.

აღნიშნულის საფუძვლად მსოფლიო ეკონომიკის ორი ტენდენცია შეიძლება აღინიშნოს:

1) საბანკო ინსტიტუტების, პროდუქტებისა და მომსახურების ინტერნაციონალიზაცია. აღნიშნულმა პროცესმა მრავალი პრობლემის ინტერნაციონალიზაცია გამოიწვია;

2) ფინანსური ბაზრების დარეგულირება. აღნიშნულმა პროცესმა სხვადასხვა სახის საკრედიტო სტრუქტურებს, პირველ რიგში – საშემნახველო და საინვესტიციო ინსტიტუტებს შორის ადრე არსებული მკაციო განსხვებების მოშლაში ჰპოვა ასახვა.

ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ თანამედრვოე პირობებში წარმოადგენენ, რომლებიც ქვეყნის ეროვნული (ცენტრალური) ბანკის მიერ დადგენილი წესების საფუძველზე და მოგების მიღების მიზნით ახორციელებენ თავიან საქმიანობას.

ფინანსური მარკეტინგის ამოცანები – ფინანსების სუბიექტების, ბაზრის ან გამოყენებადი ფინანსური ინსტრუმენტების ტიპების, საქმიანობის სპეციფიკის იერარქიულ დონესთან არის დაკავშირებული.

ფინანსების იერარქიის სამი დონე შეიძლება იქნას განხილული: სახელმწიფოებრივი, ადგილობრივი ფინანსები და საწარმოოს ფინანსები.

ფინანსური სისტემის ზედა – სახელმწიფო დონის ფინანსური საქმიანობის მიზნებია: შიდა და საგარეო ბაზრებზე ეროვნული პროდუქციის მცირე ბიზნესის იმ დონემდე განვითარება, სანამ ქვეყანაში მცირე, საშუალო და დიდ ბიზნესებს შოირს კონკურენტუნარიანობის ამაღლება, შრომის საერთაშორისო განვითარების სისტემაში (ნავთობი, გაზი, შეიარაღება, ფერადი და შავი ლითონების წარმოება და სხვა) დამკვიდრებული პროპორციის შესაბამისი მდგომარეობა არ იქნება მიღწეული და სხვა.

ადგილობრივი ფინანსების დონეზე შეიძლება, მაგალითად, ისეთი სახის მიზნები იქნას დასახული, როგორიცაა: ადგილობრივი სატელეფოლნო კავშირების, ცენტრალური გათბობის სისტემების, ადგილობრივი მრეწველობის განვითარება და სხვა.

საწარმოს ფინანსების დონეზე მიზნების სახით შეიძლება განხილული იქნას: ახალი წარმოების შექმნა, სამეცნიერო კვლევითი და საცდელ-საკონტრუქტორო სამუშაოების ჩატარება. მარკეტინგული კვლევების ჩატარებისას ხორციელდება კომერციულ კრედიტსა და ფინანსურ ინსტრუმენტებს: ლიზინგს, ფრანჩაიზინგს, ფასიან ქაღალდებს შორის არჩევის საკითხები.

უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური ბაზრებისა და იქ მიმდინარე პროცესების გართულებისას თავისი შემადგენლობით

სულ უფრო მეტ გავრცელებას ღებულობენ გიბრიდული საბანკო-ფინანსური ოპერაციები: ლიზინგი, ფაქტორინგი და სხვა. ხელისუფლების სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოები პრაქტიკაში იყენებენ ობლიგაციურ სესხებს მცურავი საპროცენტო განაკვეთით და სესხის მიზნობრიობის კონკრეტული მითითების გარეშე, რაც „სესხი-ტრასტი“-ს გიბრიდულ ურთიერთობებს წარმოშობს. შემდგომ განვითარებას იძენებ ფინანსური დერივატებიც.[6] ახალი დერივატების სინთეზისას ე.წ. „სამშენებლო მასალის – აგურების“ სახით გამოიყენებული იქნა ოფციონები, ფიუჩერსები, სვოპები. ფულადი სახსრების მნიშვნელოვან თანხებთან დაკავშირებულ ოპერაციებში მენეჯერები ფინანსურ ინჟინერინგის გამოყენებასაც მიმართავენ.

მარკეტინგული სტრატეგიის ჩარჩოებში კვლავწარმოების პროცესის სტადიები:

კვლავწარმოების პროცესის სტადიები გასაღების სტრატეგიის პირობებში

I სტადია მოთხოვნილებების (პრობლემების) აღმოჩენისა და შესწავლის ეტაპი

მოიცავს კრედიტისა და შრომის ანაზღაურების ფინასური კატეგორიებს

II სტადია

საქონლის (მომსახურების) ფინანსური ინსტრუმენტების დაპროექტების ეტაპი

მოიცავს კრედიტისა და შრომის ანაზღაურების ფინანსურ კატეგორიებს

III სტადია

წარმოების ეტაპი

მოიცავს კრედიტის, შრომის ანაზღაურების, არაფონდური და ფონდური დაზღვევის კატეგორიებს

[6] Колб Р.У. – Финансовые деривативы. _ Москва: Информационно-издательский дом "Филинь", 1997. _360 с.

IV სტადია

განაწილების ეტაპი

მოიცავს ფინანსების, კრედიტის, შრომის ანაზღაურების არაფონდური და ფონდური დაზღვევის კატეგორიებს

V სტადია გაცვლის ეტაპი

მოიცავს კრედიტის, ფასის, არაფონდური და ფონდური დაზღვევის კატეგორიებს

VI სტადია მომსახურების ეტაპი

მოიცავს ფინანსების, კრედიტის, შრომის ანაზღაურების არაფონდური და ფონდური დაზღვევის კატეგორიებს

VII სტადია უტილიზაციის ეტაპი

მოიცავს ფინანსების, კრედიტისა და ფონდური (ტრადიციული) დაზღვევის კატეგორიებს.

საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე პირობებში საწარმოებისა და მთლიანად ეკონომიკის მარკეტინგული სტრატეგიის ჩარჩოებში მუშაობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ:

- წარმოების (III სტადია) ეტაპს წინ უნდა უსწრებდეს მომხმარებლების მოთხოვნილებების აღმოჩენისა (I სტადია) და საქონლის (ფინანსური ინსტრუმენტის) დაპროექტების (II სტადია) ეტაპები, რომელთა აქტიური გამოყენებით ფასების დაპროექტება ხორციელდება;
- განაწილების (IV სტადია) ეტაპი შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: პირველი ნაწილი – საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების დანაწევრება-ანაზღაურების ფონდად და შემოსავლების სხვადასხვა სახეობებად (ანუ დამოუკიდებელ ეკონომიკურ ფონდებად). იგი უკვე კვლავწარმოებითი პროცესის მარკეტინგული სტრატეგიის ჩარჩოებში ფინანსური მენეჯმენტის სტრატეგიის დამუშავებისას იწყება, ხოლო კვლავწარმოებითი პროცესის განაწილების სტადიაზე მისი რეალიზაციისას მთავრდება. მეორე ნაწილი – მოიცავს ფინანსებს – მათი ვიწრო, ტრადიციული გაგებით და განაწილების ფინანსურ მეთოდებს, რომელსაც იქამდე მივყავართ, რომ უკვე განაწილებული საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის საბოლოო სტრუქტურის პროპორცია ფასში ჩადებული პროპორციისაგან განსხვავდება;
- ფასის მეშვეობით შესაძლებელია წინასწარ განისაზღვროს პროდუქციის რეალიზაციიდან მესაკუთრეებამდე ფულადი სახსრების ანუ შემოსავლის მოცულობის მიღების სიჩქარე. აღნიშნული გარემოება ობიექტურად არსებული და მარკეტინგში ცნობილი მოთხოვნის კანონთან არის დაკავშირებული: „რამდენად მაღალია ფასი, იმდენად დაბალია მოთხოვნა“. აღნიშნული კანონიდან გამონაკლისს წარმოადგენს გიფფენის ეფექტი – „პირველადი აუცილებლობის საქონლებზე ფასების ზრდამ შეიძლება მოთხოვნის გადიდება გამოიწვიოს და პირიქით.“ აქედან გამომდინარე ფასი – შემდგომი გადანაწილებითი პროცესის საფუძველს და საწარმოს ფინანსური მენეჯმენტის საყურადღებო ფაქტორს წარმოადგენს;
- თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში სასაქონლო ბაზრების უმეტესობაზე მარკეტინგულ სტრატეგიას იყენებენ. ამასთან, ფასი როგორც ღირებულების ფულადი გამოხატულება საქონლის გასაღებასთან მიმართებაში მნიშვნელოვანი ზომიერების ფარგლებში შეიძლება საბაზრო ღირებულების პირობებით განისაზღვროს, ანუ გასაღების სხვადასხვა არხებში ყიდვა-გაყიდვის, ანუ გაცვლის (V სტადია) აქტების განხორციელების დროსაც ღირებულების ფულადი ფორმით განაწილებას აქვს ადგილი. აღნიშნული ობიექტური გარემოების ფინანსური მენეჯმენტის რეალურ სტრატეგიაში იგნორირება პრაქტიკულად მიუღებელია.
- ფინანსები, ისევე როგორც სახელმწიფო კრედიტი, ღირებულეის ცალმხრივი მოძრაობით, აუნაზღაურებადობის პრინციპით და ფინანსური ინსტრუმენტის სახით იქნას განხილული. ფინანსები თავსითავად გაფართოებული კვლავწარმოების პირობების უზრუნველყოფის, სახელმწიფოს ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფულადი ფონდების (სახსრების) ფორმრებასთან, განაწილებასთან და მოხმარებასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს განაპირობებენ. განაწილებითი ურთიერთობების ნაირსახეობას იქამდე მივყავართ, რომ კვლავწარმოების პროცესის განაწილებით (IV სტადია) ეტაპზე სხვადასხვა ეკონომიკური კატეგორიები: ფინანსები, კრედიტი, შრომის ანაზღაურება და ფასებიც მოქმედებენ;

- საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების პირველადი განაწილებისას ფულადი სახსრების მიზნობრივი ფონდები: მუდმივი კაპიტალი, ხარჯები ხელფასებზე, მოგება, ანუ სხვადასხვა ფულადი შემოსავლებისა და დანაზოგების წარმოქმნა ხორციელდება, პროდუქციის შემდგომი რეალიზაციისას ამონაგების შემადგენლობიდან – მოგების, სოციალურ დაზღვევაზე ანარიცხების, ამორტიზაციული ანარიცხების და სხვათა გამოქვითვების განხორციელება ფინანსების გამოყენებით ხორციელდება და იგი, ყოველი მისი ნაწილის მიზნობრივ დანიშნულების შესაბამისად, ღირებულების განაწილების პროცესს ასახავს. მეურნე სუბიექტებს შორის ღირებულების შემდგომი გადანაწილება (მოგების ნაწილის სახელმწიფოს განკარგულებაში გადაცემა, ქვეყნის მოქალაქეების მიერ გადასახადების გადახდა და სხვა) და მოგების მიზნობრივი დანიშნულების კონკრეტიზაცია ასევე – ფინანსების ჩარჩოებში ხორციელდება. ფინანსების მატერიალური შინაარსი – ფულადი სახსრების მიზნობრივ ფონდებს და ერთობლიობაში ქვეყნის ფინანსურ რესურსებს შეადგენენ;
- ფინანსური რესურსების ნაწილის მეურნეობრიობის კონკრეტული სუბიექტისა და სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებობა, მოსახლეობის ფულადი სახსრებიდან მათი გამოყოფის, კერძოდ ფინანსებსა და შრომის ანაზღაურებას შორის ზღვარის გავლების შესაძლებლობას იძლევა. ამასთან ერთად მოსახლეობის ფულადი სახსრების ის ნაწილი, რომელიც ინვესტიციებზე მიიმართება და საკუთრების გადანაწილების პროცესშიც (პრივატიზაცია) მონაწილეობს, ფინანსებზე უნდა იქნას მიკუთვნებული;
- გავრცელებულია მოსაზრება, რომ ფინანსური ურთიერთობების წარმოშობისა და მისი არსებობის სფეროს კვლავწარმოების პროცესის ის სტადია წარმოადგენს, რომელზეც წარმოებული საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების განაწილება ხორციელდება. ფინანსური ურთიერთობების წარმოშობა ფულადი შემოსავლეიბსა და დანაზოგების ფორმირებასთან არის დაკავშირებული და ისინი ფინანსური რესურსების ფორმას ღებულობენ. ტრადიციული მიდგომისას ფინანსებში ძირითადად საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესის სამი: წარმოების, განაწილებისა და მოხმარების სტადიები, ზოგჯერ მეოთხეც – გაცვლის სტადიაც გამოყოფა (იხ. ნახ.2);
- შესაძლებლად გვესახება, რომ ფინანსური ურთიერთობები – ანუ ფულადი ფონდების სხვა სახეობის ფონდებში ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული ჰიბრიდული ურთიერთობებიც იქნას მიკუთვნებული, მაგალითად, ძირითადი ფონდები (აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენისას) და საბრუნავი ფონდები (სავაჭრო ბრუნვაში თამასუქების გამოყენებისას);
- ფინანსური ურთიერთობები შეიძლება ფონდური და არაფონდური ფორმებით არსებობდეს. ისტორიულად ფინანსური რესურსების გამოყენება ძირითადად სპეციალური მიზნობრივი დანიშნულებსი ფულადი ფონდების მეშვეობით ხორციელდებოდა. ფინანსური რესურსების გამოყენების ფონდური ფორმა ობიექტურად გაფართოებული კვლავწარმოების მოთხოვნილებებით არის განპირობებული და მათ არაფონდური ფორმის მიმართ ზოგიერთი უპირატესობაც კი გააჩნა. ამასთან ერთად (და ეს მნიშვნელოვანია) ფინანსების არაფონდური ფორმაც არის შესაძლებელი, რომელიც თანამედროვე პირობებში უფრო მეტი ინტენსიურობით ვითარდება (კრედიტი, შრომის ანაზღაურება, ფასი);
- ფინანსებს ასევე შეიძლება მიკუთვნებული იქნას ტრანსფორმირებადი ურთიერთობებიც: სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების ობიექტები პრივატიზაციისას „ფული-საკუთრება (საკუთრების ფორმა: ვფლობ, ვიყენებ, განვკარგავ)“, ლიზინგის, ფრანჩაიზინგის, გირაოს ხელშეკრულების, ფასიანი ქაღალდების კონვერტირებისას, სატრასტო ოპერაციები და სხვა;
- ფინანსები ეროვნული შემოსავლის შექმნასა და გამოყენებას შორის განუყოფელ შემაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს. ფულადი ფონდებისა და შემოსავლების ძირითად მატერიალურ წყაროს ქვეყნის ეროვნული შემოსავალი – ახლადშექმნილი ღირებულება, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ღირებულება (წარმოების პროცესში გამოყენებული წარმოების იარაღებისა და საშუალებების გამოქვითვით) წარმოადგენს;
- ეროვნული შემოსავლის სიდიდე საერთოსახელმწიფოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობებსა და საზოგადოებრივი წარმოების ხასიათს (მაგალითად, გაფართოებული) განსაზღვრავს. ეროვნული შემოსავალი იყოფა ორ ნაწილად – მოხმარების ფონდად და დაგროვების ფონდად. აღნიშნული ფონდების წილების თანაფარდობით ეკონომიკის განვითარე-

ბის პროპორციებისა და მისი სტრუქტურის განსაზღვრა არის შესაძლებელი;

• სახელმწიფო ზემოქმედება კვლავწარმოების პროცესზე ცალკეული საწარმოებისა და სახალახო მეურნეობის დარგების, სოციალური ღონისძიებების დაფინანსებისა და საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით ხორციელდება;

• გადანაწილების საფუძველზე მეორადი და წარმოებული შემოსავლები წარმოიქმნება. მათ მიეკუთვნება შემოსავლები, რომლებიც არასაწარმოო სფეროს დარგებიდან არის მიღებული, ასევე გადასახადები (საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებიდან და სვა). მეორადი შემოსავლებით ეროვნული შემოსავლის გამოყენების საბოლოო პროპორციები განისაზღვრება. ამასთან ფინანსებს უპირველეს ყოვლისა განმანაწილებელ კატეგორიად თვლიან;

• ფინანსური ამოცანების რეალიზება ეროვნული შემოსავლის მეორადი განაწილებისა და გადანაწილების მეშვეობით ხორციელდება. ასეთი გადანაწილების ძირითადი მიმართულების სახით შეიძლება დასახელებული იქნას სოციალური ხარჯები, ხარჯები თავდაცვაზე, ბუნების დამცავი ღონისძიებები, კატასტროფების, ავარიების შედეგების ლიკვიდაცია და სხვა;

• ბუნებრივი რესურსების მოძიებისა და გამოკვლევების, ასევე ეკოლოგიური საშიშროების ხარისხის გათავისების შესაბამისად კვლავწარმოებითი პროცესის ჩარჩოებში უტილიზაციის ეტაპის (VII სტადია) ფინანსური რესურსების უზრუნველყოფის აუცილებლობა თანდათან იზრდება.

• ზემოთაღნიშნულიდან გამომდნარე მარკეტინგული სტრატეგიის ჩარჩოებში და ეკოლოგიის მოთხოვნილებების გათვალისწინებით კვლავწარმოების პროცესი რეალურად შემდეგ ეტაპებს მოიცავს: მოთხოვნილების (პრობლემის) აღმოჩენისა და შესწავლის; საქონლის (მომსახურეობის), ფინანსური ინსტრუმენტების დაპროექტების; შემდეგ კი: წარმოების; განაწილების; გაცვლის; მოხმარებისა და, ბოლოს – სასაქონლო ნარჩენების უტილიზაციის ეტაპებს. ამასთან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფინანსებიც რეალურად ყველა სტადიებს მოიცავენ და მასში შემდეგი ეკონომიკური კატეგორიებია ჩართული: ფინანსები (ვიწრო გაგებით), კრედიტი, შრომის ანაზღაურება, ფასი, გადასახადი, დაზღვევა. მნიშვნელოვანია, რომ ფასი და შრომის ანაზღაურება ფინანსებთან დაკავშირებულია– ფინანსური ინსტრუმენტების: გადასახადებისა და შეღავათების მეშვეობით. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ გადასახადების მეშვეობით – ფინანსები კვლავწარმოების პროცესის ყველა სტადიებზე წარმოიქმნება და იგი საქონლის სხვადასხვა დონეებთან უშუალოდ არის დაკავშირებული;

• გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოებაც, რომ კვლავწარმოების პროცესის თითოეულ ეტაპზე საქმიანობა შესაძლებელია სხვადასხვა პროცენტული განაკვეთიანი გადასახადით დაიბეგროს. მენეჯერს თითოეული სახეობის სამუშაოს მოცულობის ცვალებადობით შეუძლია შესაბამისი ფონდების ფორმირებაზე მოახდინოს ზემოქმედება როგორც ბიუჯეტის დონეებზე, ასევე ადგილობრივ ფინანსებზე და საწარმოოს ფინანსებზეც. ფინანსურ მენეჯმენტში აღნიშნული გარემოება ღირებულების ელემენტების ოპტიმიზაციის მეთოდების ერთობლივი სახით განხილვისას ფინანსებთან მიმართებაში ფართო მიდგომის (განსჯის) შესაძლებლობას იძლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემდეგი მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

• ფინანსური პოლიტიკა – არის სოციალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტი. იგი ფინანსური მიზანდასახულობის, ფინანსური მარკეტინგისა და მენეჯმენტის ერთობლიობას წარმოადგენს;

• ფინანსური მარკეტინგი – არის არჩეული მიზნებისა და არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში – ფინანსური ინსტრუმენტების, ასევე მათი გამოყენების მეთოდების დამუშავების განსაზღვრისა და შერჩევის საშუალება;

• ფინანსური ინსტრუმენტს შეიძლება ოთხი დონე გააჩნდეს, რომლებიც განსაზღვრავენ: პირველ დონეზე – ფინანსური პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობას; მეორე დონეზე – დასადგენი ურთიერთობების ხასიათს; მესამე დონეზე – ინვესტორების მიწოდებისა და მომსახურების პირობებს; მეოთხე დონეზე კი – ხანგრძლივ საოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე კონკრეტული ინსტრუმენტის გამოყენებას;

• გასაღების სტრატეგია საბაზრო საქმიანობის შემდეგ ძირითად ეტაპებს მოიცავს: წარმოება, განაწილება, გაცვლა, მოხმარება;

- მარკეტინგული სტრატეგიის საბაზრო საქმიანობის რეალური ძირითადი ეტაპებია: მოთხოვნილების ანუ პრობლემის აღმოჩენა-შესწავლა; საქონილს (მომსახურების), ფინანსური ინსტრუმენტების დაპროექტება; წარმოება; განაწილება; გაცვლა; მოხმარება; უტილიზაცია (იხ. ნახ. 4).

ტერმინი მარკეტინგის მნიშვნელობის საფუძვლად მიჩნეულია სიტყვა „ბაზარი" (ინგლისურად მარკეტ). სიტყვასიტყვით ნიშნავს „ბაზარმცოდნეობას" და იგი საბაზრო ურთიერთობების სფეროში, უფრო ზუსტად „ბაზრის სფეროში საქმიანობას" გულისხმობს.

ტერმინი „მარკეტინგის" უამრავი განმარტება არსებობს როგორებიცაა: „მარკეტინგი მოთხოვნისა და მოწოდების გაწონასწორების პროცესია" ; „მარკეტინგი ბაზრის შესწავლისა და წარმოებული საქონლის გასაღების მიზნით სამომხმარებლო მოთხოვნაზე აქტიური ზემოქმედების ღონისძიებათა სისტემაა"; „მარკეტინგი მომხმარებლის შექმნაა" ; „მარკეტინგი არის მეწარმეობითი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია მწარმოებლიდან მომხმარებლამდე საქონლის და მომსახურების ნაკადის გადაგზავნასთან".[7]

მარკეტინგის როგორც მეცნიერების არსის გაგებისათვის აუცილებელია ისეთი ცნებების გაცნობა, როგორებიცაა: საჭიროება, მოთხოვნილება, მოთხოვნა, საქონელი, გაცვლა, გარიგება, რეალიზაცია, ბაზარი.

საერთაშორისო მარკეტინგი – წარმოადგენს აზროვნების განსაზღვრულ სახეობას, სამამულო, ასევე უცხოელი მომხმარებლების ყველა მოთხოვნილებები უფრო სრულად დაკმაყოფილების პოზიციიდან კომერციული–სამეურნეო გადაწყვეტილების მიღებისადმი მიდგომას.[8]

საერთასორისო მარკეტინგი – არის კომერციული სამყაროს საპასუხო რეაქცია ისეთი სხაის პროცესებში, როგორებიცაა : საერთაშორისო ბაზარზე პარტნიორული ურთიერთქმედებების ზრდა და გაფართოება, სამეწარმეო შესაძლებლობების გადიდება, სასაქონლო ასორტიმენტის სწრაფი განახლება, საბაზრო მოთხოვნის თავისებურებისა და სტუქტურის ხშირი ცვლილება, მისი კონიუქტურული ცვალებადობა, კონკურენციის გამწვავება, ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხის მოცულობისა და ხარისხის გაუმჯობესება.

მარკეტინგი – არის მენეჯმენტის შემადგენელი ნაწილი, რომელიც თანამედროვე მეთოდების საფუძველზე საწარმოს მუშაობის მუდმივად გაუმჯობესებისა და ბაზარზე მაქსიმალური საბოლოო სამეურნეო შედეგის მიღწევის მიზნით, მისი მართვის სისტემას წარმოადგენს. მენეჯმენტს გააჩნია ორი საფუძველი: ინოვაციის და მარკეტინგის.

მარკეტინგი უფრო ფართო გაგებით – საბაზრო საქმიანობის ფილოსოფიას წარმოადგენს, რომელიც მყიდველების მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებაზე და მოგების მიღებაზე არის მიმართული.

მარკეტინგის არსი მდგომარეობს შემდეგში: საჭიროა წარმოებული იქნას და გაიყიდოს მხოლოდ ის, რაც ბაზარს ჭირდება და არა თავს მოვახვიოთ მყიდველს ის, რაც უკვე წარმოებულია.

მარკეტინგის ძირითადი ფუნქციებია: ბაზრის კომპლექსური შესწავლა და პროგნოზირენა; ფირმის მიერ თავისი საწარმოო-გასაღებითი, ექსპორტული და სხვა შესაძლებლობების რეალური შეფასება; მარკეტინგული საქმიანობის გრძელვადიანი სტრატეგიის დამუშავება; სასაქონლო პოლიტიკის დაგეგმვა; საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტის მართვა; მოთხოვნის ფორმირება და გასაღების სტიმულირება; გასაღების დაგეგმვა და ორგანიზაცია; მარკეტინგული საქმიანობის ჩამოყალიბება და მისი მართვა.

მარკეტინგის მიზნები მისი ძირითადი პრინციპების განმსაზღვრელია, როგორებიცაა: მყიდველების მოთხოვნილებების შესაძლო მაქსიმალური დაკმაყოფილება; წარმოებისა და კომერციული საქმიანობის მომგებიანობის უზრუნველყოფა; საბაზრო ეკონომიკური სტრუქტურების ქცევის სტრატეგიისა და ტაქტიკის ერთიანობა. რაც შეეხება ფინანსებში მარკეტინგული სტრატეგიის თავისებურებებს უნდა აღინიშნოს, რომ გამყიდველის ბაზარს და მყიდველის ბაზარს მათი ძირითადად გამყიდველისა და მყიდველის აქტიურობის ურთიერთქმედებისა და თანაფარდობის ხასიათით განასხვავებენ.

ფინანსური პოლიტიკის რეალიზაციის მიზნები და ინსტრუმენტები შეიძლება ფინანსური

[7] ჯოლია გ. – მარკეტინგი. – თბილისი, გამომცემლობა „ლეგია", 1992-227გვ.
[8] ვასილიევი გ.ა. იბრაგიმოვი ლ.ა. – საერთასორისო მარკეტინგი: სახელმძღვანელო – მოსკოვი 1999.-199გვ.

მარკეტინგული სტრატეგიის რეალიზაციისას იქნა განსაზღვრული.

ფინანსური მარკეტინგი (ფართო გაგებით) – შეიძლება განისაზღვროს როგორც ფინანსური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც კონკრეტულ პირობებთან და მიზნებთან ყველაზე მეტი ხარისხით შესაბამისობისი ფინანსური ინსტრუმენტებისა და ხერხების გამოყენების არჩევის უზრუნველყოფას განაპირობებს. ფინანსური მარკეტინგი – ურთიერთდაკავშირებული წყვილის „ბაზრის სეგმენტი – ფინანსური ინსტრუმენტის" შერჩევას მოიცავს და შეიძლება შემდეგი ფინანსური ინსტუმენტები იქნას განხილული: დოტაციები, ტრასფერატი, სუბვენცია, შეღავათები, გადასახადები, ფასიანი ქაღალდები, დაზღვევა, გარანტია, სახელმწიფო კრედიტი, ლიზინგი, აკრედიტივი, ფაქტორანგი, ჩეკი, ფრანჩაიზინგი, გირაო, პრივაზიტაცია (ნაციონალიზაცია), სვოპი.

გამყიდველის ბაზარი – ასრის ბაზარი, სადაც გამყიდველებს მეტი უფლებამოსილება გააჩნიათ, ვიდრე მყიდველებს, და სადაც „ბაზრის მონაწილეთა" შორის მყიდველებს უფრო მეტად აქტიურებად ყოფნა უწევთ. აღნიშნული ბაზარი შეესაბამება გასაღების სტრატეგიის პირობებში საქმიანობას. ითვლება, რომ გასაღების სტრატეგია მოიცავს საბაზრო საქმიანობის შემდეგ ეტაპებს: წარმოება, განაწილება გაცვლა. ამასთან ნათელია, რომ გასაღების სტრატეგიის ჩარჩოებში – წარმოებას წინ უნდა უსწრებდეს მოთხოვნილების აღმოჩენა და მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საქონლის (მომსახურების) ან ფინანსური ინსტიტუტის დამუშავება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნილება არ იქნება დაკმაყოფილებული, ხოლო გაცვლის ობიექტი (საქონელი, ფინანსური ინსტრუმენტი), მოხმარებისათვის გამოუსადეგრობის გამო მოხმარების ეტაპზე ვერ გადავა. ასეთ ბაზარს ადგილი ჰქონდა დირექტიული ეკონომიკისა და სუფთა მონოპოლიური ბაზარის პირობებში.

მყიდველის ბაზარი – აღნიშნულ ბაზარზე მეტი ძალაუფლება მყიდველებს გააჩნიათ, ხოლო „ბაზრის მონაწილეებს" შორის უფრო მეტად აქტიურებად ყოფნა უწევთ გამყიდველებს. საქმიანობა ასეთ ბაზარზე მარკეტინგული სტრატეგიის ჩარჩოებში ხორციელდება. ითვლება, რომ მარკეტინგული სტრატეგია მოიცავს ეტაპებს: მოთხოვნილების ან პრობლემის აღმოჩენა და შესწავლა; საქონლის ან ფინანსური ინსტრუმენტის დამუშავენა; წარმოების; განაწილების; გაცვლის; მოხმარების; უტილიზაციის.

მარკენტინგული სტრატეგიის განსხვავება გასაღების სტრატეგიისაგან იმაში მდგომარეობს, რომ მარკეტინგული სტრატეგიისას მოთხოვნილების ან პრობლემის აღმოჩენისა და შესწავლის, აგრეთვე საქონლის ან ფინანსური ინსტრუმენტის დამუშავების ეტაპებს შესამჩნევად მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე გასაღების სტრატეგიისას. ამიტომ მყიდველების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უფრო მაღალი ხარისხით უზრუნველყოფის განხორციელება ხდება შესაძლებელი, ხოლო ფინანსურ ინსტრუმენტს მნიშვნელოვნად მეტი დონეები აქვს.

რაც შეეხება საბანკო სისტემაში მარკეტინგის პრინციპების გავრცელებას და საბანკო სტრატეგიულ დაგეგმვაში მარკეტინგის ჩართვას იგი მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. ბანკები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ არც სტრატეგიულ დაგეგემვას, არც მარკეტინგს. ამასთან მარკეტინგის ქვეშ (მარკეტინგის ამერიკული ასოციაციის განსაზღვრის მიხედვით) გაიგება სამეწარმეო საქმიანობის სახეობა, რომელიც მწარმოებლისაგან მომხმარებლისაკენ საქონლისა და მომსახურების მიმართვასთან არის დაკავშირებული. თანამედროვე პირობებში მარკეტინგის პრობლემებისადმი ბანკების ყურადღება საყოველთაოდ გაძლიერებულია.

აღნიშნულის საფუძვლად შეიძლება მსოფლიო ეკონომიკის ორი ტენდენცია დასახელდეს:

1) საბანკო ინსტიტუტების პროდუქტებისა და მომსახურების ინტერნაციონალიზაცია. აღნიშნულმა მრავალი პრობლემის ინტერნაციონალიზაციამდე მიგვიყვანა;

2) ფინანსური ბაზრის დარეგულირება. აღნიშნულმა პროცესმა თავისი გამოხატულება იპოვა სხვადასხვა სახეობის საკრედიტო ინსტიტუტებს შორის (სპეციალიზირებული, დარგობრივი, საბირჟო, სადაზღვევო, იპოთეკური, საადგილმამულო, ინოვაციური, სავაჭრო, კონვერსიული, საკრედიტო, საინვესტიციო, ვენჩურული, საშემნახველო და სხვა) და პირველ რიგში, – საშემნახველო და საინვესტიციო ინსტიტუტებს შორის ადრე არსებული მკვეთრი განსხვავების წაშლაში და დღეს უკვე ბანკები (ყველა საბანკო პროდუქტების შესრულების უფლებებით) უნივერსალურ საკრედიტო ინსტიტუტს წარმოადგენს.

რაც შეეხება ფინანსური ინსტიტუტების სინთეზს და ექსპერიმენტებს, უნდა აღინიშნოს, რომ

ფინანსური ბაზრებისა და პროცესების გართულებისას სულ უფრო მეტ გავრცელებას იძენს თავისი შემადგენლობით ჰიბრიდული საბანკო – ფინანსური ოპერაციები: ლიზინგი, ფაქტორინგი და სხვა. სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები საობლიგაციო სესხების პრაქტიკას იყენებენ მცურავი საპროცენტო განაკვეტით და სესხების მიზნების კონკრეტული მითითების გარეშე, რაც „სესხი-ტრასტის" ჰიბრიდული ურთიერთობების წარმოშობას აგანაპირობებენ. შემდგომ განვითარებას ღებულობენ ფინანსური დერივატები და ა.შ. ახალი დერივატების სინთეზისას „სამშენებლო მასალის-აგურის" სახით ოფციონები, ფიუჩერსები, სკოპები გამოიყენება.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. ვანიშვილი მ., ფარულავა დ., ფინანსების საფუძვლები – თბ., 2015.
2. ინგოროყვა ა., ცაავა გ., ფინანსური მენეჯმენტი. ტ. I-II. – თბ., 2011.
3. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ფინანსები. – თბ., 2016.
4. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ხიდირბეგიშვილი ნ., ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები. -თბ., 2017.
5. ფინანსები. ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი (2 წიგნად). ტომი I. წიგნი II. შემდგენელი და რედაქტორი, პროფესორი ლამარა ქოქიაური. – თბ., 2014.
6. ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ., რისკოლოგია. – თბ., 2007.
7. Дробзина Л. А. – Финансы: Учебник для вузов. – М., ЮНИТИ, 2007.
8. www.mof.ge
9. www.ekonomika.ge
10. www.un.org


**ნოდარ ხარაიშვილი**



# ფულის მნიშვნელობის შესახებ ეკონომიკაში

ფულის წარმოშობა ადამიანური ცივილიზაციისათვის უდიდესი კეთილდღეობა გახდა. ფულის, ანუ, ასეთი საერთო გაცვლის საშუალების გარეშე, ნამდვილი სპეციალიზაცია ვერ იარსებებდა, განვითარებული ეკონომიკა ვერ წარმოიშობოდა და ეკონომიკური განვითარება ლოკალურ და პრიმიტიულ დონეს ვერ გასცდებოდა. „ფულის" სახელწოდებით საქონელის წარმოშობამ – დაუყოფადობისა და „მოთხოვნილებების დაუმთხვევლობის" პრობლემები გააქრო, რომლებიც ბარტერულ საზოგადოებას მძიმედ აწვებოდა. ვინმე ჯონსს ეხლა უკვე შეუძლია დაიქირაოს მუშები და საზღაური გადაუხადოს მათ... ფულით. სმიტი მის მიერ დამზადებულ გუთანს გაასხვისებს, სანაცვლოდ ერთეულის სახით... ფულის მიღების გზით. ფულადი საქონელი – წვრილ ერთეულებად დაყოფადია და იგი ყველას მიერ მიღებადია. აღნიშნული ნიშნავს, რომ ყველა საქონელი და მომსახურება იყიდება ფულზე, რის შემდეგ ფული ადამიანისათვის სხვა საჭირო საქონლისა და მომსახურების შეძენისათვის შეიძლება ყველგან იქნას გამოიყენებული. ფულის მეშვეობით განვითარებული „წარმოების სტრუქტურის" ფორმირება არის შესაძლებელი, რომლის ჩარჩოებში მიწა, შრომითი მომსახურება და კაპიტალური საქონელი ერთობლივად მონაწილეობენ წარმოების განვითარების თითოეულ სტადიაზე და გადახდებს ფულადი სახით ღებულობენ.

ფულის წარმოშობას კიდევ ერთი უდიდესი სარგებლის მოტანის შესაძლებლობა გაუჩნდა. იმდენად, რამდენადაც ყველა გაცვლა ფულის მეშვეობით ხორციელდება, ამიტომ ყველა გაცვლითი ურთიერთობები ფულად ერთეულებში გამოიხატება. ამით ადამიანებს თითოეული საქონელის საბაზრო ღირებულების ნებისმიერი სხვა საქონელის ღირებულებასთან შედარების შესაძლებლობა ეძლევათ. დავუშვათ თუ ტელევიზორი იცვლება 3 უნცია ოქროზე, ხოლო ავტომობილი იცვლება 60 უნცია ოქროზე, ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, რომ ბაზარზე ერთი ავტომობილი „ღირს" 20 ტელევიზორი. სწორედ აღნიშნული გაცვლითი ურთიერთობები წარმოადგენს – ფასს, ხოლო ფულადი საქონელი კი – ყველა ფასებისათვის საერთო გამყოფის როლს ასრულებს. ფულადი ფასების მხოლოდ ბაზარზე დადგენა ქმნის პირობებს ცივილიზებული ეკონომიკის განვითარებისათვის, რამდენადაც მხოლოდ მათი მეშვოებით ეძლევათ მეწარმეებს ეკონომიკური ანგარიშსწორების განხორციელების შესაძლებლობები. ახლა უკვე მეწარმეებს შესაძლებლობა ეძლევათ იმსჯელონ იმის შესახებ, თუ რამდენაედ კარგად აკმაყოფილებენ ისინი მომხმარებლების მოთხოვნილებებს, რისი დადგენა საკუთარი პროდუქციის გასაყიდი ფასისა და წარმოების ფაქტორების ფასების (თავიანთი „დანახარჯები") თანაფარდობით არის შესაძლებელი. ფულად ერთეულებში გამოსახული ყველა აღნიშნული ფასებით მეწარმეებს შეუძლიათ დაადგინონ, ღებულობენ ისინი მოგებას თუ მათი საქმიანობა ზარალიანია. მხოლოდ ასეთი გაანგარიშების შედეგად ხორციელდება რესურსების, მათი გამოყენების ყველაზე წარმადობრივი ხარისხით განაწილება, ანუ ისეთი ხერხით, რომლებიც მომხმარებელთა მოთხოვნებს ყველაზე მაღალი ხარისხით აკმაყოფილებენ.

მრავალ ეკონომიკურ სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ ფული რამდენიმე ფუნქციას ასრულებს. ფული წარმოადგენს: გაცვლის საშუალებასაც, აღრიცხვის ერთეულსაც, ფასეულობის საზომსაც, ფასეულობის შენარჩუნების საშუალებასაც და ა.შ. მაგრამ ყველა ზემოთაღნიშნული ფუნქციები ერთი ძირითადი გარემოების შედეგს წარმოადგენს: ემსახუროს გაცვლის საშუალებას. სწორედ იმიტომ, რომ ოქრო საერთომიღებულ გაცვლის საშუალებას წარმოადგენს, ანუ ყველაზე უფრო მეტი გაცვლადობის შესაძლებლობას ფლობს, იგი შეიძლება დაგროვდეს კიდევაც, რომ გაცვლის საშუალების სახით იქნას გამოყენებული მომავალში, ზუსტად ისევე, როგორც ისინი დღესაც გამოყენება. სწორედ ამიტომ არის, რომ ყველა ფასები ოქროს ერთეულებშია გამოხატული.

ფული არ „ზომავს" ფასებს ან ფასეულობებს; ისინი ფასების გამოსახვისათვის საერთო გამყოფს წარმოადგენენ. ფასები გამოიხატება ფულში და არა მათი მეშვეობით იზომება. რადგანაც ოქრო ყველა გაცვლისათვის საქონლურ შუამავალს წარმოადგენს, იგი დღევანდელი და მომავალში მოსალოდნელი ფასების აღრიცხვის ერთეულის სახით შეიძლება იქნას გამოყენებული. მნიშვნელოვანია გაგებული იქნას, რომ ფული არ შეიძლება აღრიცხვის აბსტრაქტული ერთეული ან მოთხოვნილების უფლება იყოს. ისინი ასეთი სახის შეიძლება მხოლოდ იმ ზომიერებით იყოს, როგორითაც მან გაცვლის საშუალებას უნდა მოემსახუროს.

ფულადი ერთეული. ეხლა უკვე როდესაც ჩვენ გავიგეთ, თუ როგორ წარმოიშვა ფული და რისი გამოწვევა შეუძლია მათ, ჩვენ შეიძლება ვიკითხოთ, როგორ გამოიყენება ფულადი საქონელი? ანუ, უფრო კონკრეტულად, თუ რას წარმოადგენს თავისთავად ფულადი მარაგი, ანუ ფულის მიწოდების საერთო მოცულობა საზოგადოებაში და როგორ არის მოწყობილი ფულადი გაცვლა?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქონლის უმეტესობის გაყიდვა შეიძლება თითქმის ყველაფერზე განხორციელდეს, ყველა მატერიალური საქონელის განმასხვავებელი ნიშანთვისებები გააჩნიათ, ამიტომ ვაჭრობა ისეთ ერთეულებში მიმდინარეობს, როგორებიცაა: ტონა, ფუნტი, უნცია, გრანი (გრანი არის წონის საზომი =0,065 გრ.), გრამი და ა.შ.; ოქრო გამონაკლისს არ წარმოადგენს. ოქროზე, სხვა საქონელის მსგავსად, ვაჭრობა წონით ერთეულებში ხორციელდება (ოქროს ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას მისი ერთგვაროვნება წარმოადგენს: სხვა მრავალი საქონელისაგან განსხვავებით მას თვით ხარისხში განსხვავება არ გააჩნია. ერთი უნცია სუფთა ოქრო მთელ მსოფლიოში ნებისმიერი სხვა უნცია სუფთა ოქროს ტოლია).

ცხადია, რომ საერთო ერთეულის განზომილებას, რომელიც ვაჭრობაში გამოყენებისათვის არის არჩეული, ეკონომისტისათვის მას მნიშვნელობა არ აქვს. თუ ერთ ქვეყანაში ადამიანები მეტრულ სისტემას იყენებენ და გრამებში გაანგარიშებას ანიჭებენ უპირატესობას, სხვებში, როგორიცაა ინგლისი და ამერიკა – ისინი უპირატესობას გრანებს და უნციებს ანიჭებენ. წონის ყვე-

ლა ერთეულები – ერთიდან მეორეში ადვილად გადაიყვანება: ერთი ფუნტი უდრის 16 უნციას; ერთი უნცია =437,5 გრანს, ანუ 28,35 გრამს, ერთი გრანი =0,65 გრამს და ა.შ.[1]

იმის გათვალისწინებით, რომ ფულის სახით არჩეულია ოქრო, გაანგარიშებაში გამოყენებული ოქროს ერთეულის ზომიერების შესახებ საკითხი არსებითად არ არის მიჩნეული. ჯონსს შეუძლია ქურთუკი ერთ უნცია ოქროზე გაყიდოს ამერიკაში ან 28,35 გრამ ოქროდ საფრანგეთში, ამასთან ორივე ფასი იდენტურია.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ჩვენ ყველასათვის უკვე ცნობილ საკითხებს ვიხილავთ. მაგრამ რამდენი უბედურების თავიდან აცილება იქნებოდა შესაძლებელი, თუ კი ადამიანები აღნიშნულ უბრალო ჭეშმარიტებების სრულად გაგებას შეძლებდნენ! მაგალითად, თითქმის ყველა ფულის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ისინი სხვადასხვა აბსტრაქტული ერთეულია, რომელთაგან თითოეული განსაზღვრული ქვეყნისათვის არის დამახასიათებელი. ოქროს სტანდარტის პერიოდშიც კი ადამიანები ასევე ფიქრობდნენ. მაშინაც კი – ამერიკული ფული იყო „დოლარი“, საფრანგეთის – „ფრანკი“, გერმანიის – „მარკა“ და ა.შ. აღიარებული იყო, რომ ყველა ეროვნული ვალუტები „ოქროსთან იყო მიბმული“, მაგრამ ამასთან ყველა ისინი სუვერენულობისა და დამოუკიდებლობის სახით განიხილებოდა. აღნიშნულმა გარემოებამ, მოგვიანებით, ქვეყნებს ოქროს სტანდარტზე უარის თქმა გააადვილა. მაგრამ ქვეყნების ყველა ფულადი ერთეულები უბრალოდ ოქროსა და ვერცხლის წონითი ერთეულის სახელწოდებებს წარმოადგენდნენ.

ბრიტანეთის ფუნტი სტერლინგი თავიდან ფუნტი ვერცხლის წონას აღნიშნავდა. ხოლო რა არის დოლარი? თავიდან დოლარი წარმოადგენდა უნცია ვერცხლის წონის საერთომიღებულ სახელწოდებას, რომელიც ბოჰემის გრაფის ფონ შლიკის მიერ XVI საუკუნეში იჭედებოდა. გრაფი ფონ შლიკი წმინდა იოხამას ხეობაში (გერმანულად Joachimstal _ „იოჰამას ხეობას“ ნიშნავს) ცხოვრობდა. გრაფის მონეტებმს, მათი ერთნაირობისა და ლითონის სისუფთავის შედეგად, მაღალი რეპუტაცია დაუმსახურებია. მის ფულად ერთეულს მაშინ „Joachim's taler“-ის სახელწოდება ანუ უბრალოდ „ტალერის“ სახელწოდება დაერქვა. ამ სიტყვიდან (“ტალერი“) წარმოიშვა სიტყვა „დოლარი“.

ამრიგად, თავისუფალ ბაზარზე ფულადი ერთეულების სხვადასხვა სახელწოდებები – უბრალოდ წონითი ერთეულების განმსაზღვრელებს წარმოადგენენ. როდესაც 1933 წლამდე აშშ-ში ოქროს სტანდარტი არსებობდა, ადამიანები ხშირად ამბობდნენ, რომ „ოქროს ფასი“ „დაფიქსირებულია დონეზე: ოცი დოლარი – ერთ უნცია ოქროზე“. მაგრამ ასეთი შეხედულება ფულზე საშიშ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს. სინამდვილეში დოლარი იყო განსაზღვრული როგორც ოქროს ისეთი რაოდენობის სახელწოდება, რომელიც დაახლოებით 1/20 უნციას იწონიდა. სწორედ ამიტომ ერთი ქვეყნის ვალუტის მეორე ქვეყნის ვალუტაზე „გაცვლის კურსების“ შესახებ ყველა საუბარს ადამიანები შეცდომაში შეყავდა. „ფუნტი სტერლინგი“ სინამდვილეში 5 „დოლარზე“ არ „იცვლებოდა“ (რეალურად ფუნტი სტერლინგი 4,87 დოლარზე იცვლებოდა, და ციფრი 5 დოლარი – გაანგარიშების გამარტივებისათვის გამოიყენებოდა). დოლარი როგორც 1/20 უნცია ოქროს დონეზე იყო განსაზღვრული, ხოლო ფუნტი სტერლინგი მაშინ – 1/4 უნცია ოქროს დონეზე იყო დადგენილი. აი, რატომ არის, რომ ფუნტი სტერლინგი „იყიდებოდა“ 5 დოლარად – 1/4 უნცია ოქრო უბრალოდ 5/20 უნცია ოქროზე იცვლებოდა. ცხადია, რომ ასეთ „გაცვლებს“ და სახელწოდებების ასე დახლართულობას შეცდომაშიც შევყავდით.

სახელმწიფოს მიერ ფულადი გაცვლის სისტემაში ჩარევის შესახებ საკითხის განხილვისას, ქვემოთ, ჩვენ შევეცდებით აღვნიშნოთ თუ აღნიშნული არეულობა როგორ წარმოიშვა. აბსოლუტურად თავისუფალ ბაზარზე ოქრო შეიძლებოდა გაცვლილი ყოფილიყო უბრალოდ როგორც „გრამები“, „გრანები ან უნციები, და ყველა აღნიშნული ქვეყნების ფულადი ერთეულების სახელწოდება – „დოლარი“, „ფრანკი“ და ა.შ. შეიძლება ზედმეტადაც კი ჩაითვალოს. ამიტომ ჯერჯერობით ჩვენ ჩავთვლით, რომ ფული უშუალოდ გრამებში ან გრანებში იცვლებოდა.

ცხადია, რომ საერთომიღებული ერთეულის სახით ბაზარი ფულადი საქონლის ყველაზე მოხერხებულ წონას ირჩევს. თუ კი ფული დამზადებული იქნებოდა პლატინისაგან, ალბათ იგი უნციის წილებით გაიყიდებოდა; თუ კი გამოყენებული იქნებოდა რკინა, მაშინ გაანგარიშება იქნებოდა ფუნტებში ან ტონებში. ეკონომისტისათვის ფულადი ერთეულის მასშტაბს მნიშვნელობა არ აქვს.

ფულის ფორმები. თუ კი ფულადი ერთეულის მასშტაბსა და სახელწოდებას ეკონომიკური მნიშვნელობა არ გააჩნია, მაგრამ აღნიშნულის თქმა ფულადი ლითონის ფორმის შესახებ მიუღებელია. იმ მომენტიდან, როდესაც რომელიღაც სახეობის ლითონის საქონელი ფულის სახელწოდებას ღებულობს, ადამიანებისათვის ყველა მისაწვდომი ლითონის მარაგი ფულის მსოფლიო მარაგს ქმნის. თუ კი ფულს წარმოადგენს რკინა, მაშინ ფული იქნება ყველა რკინა დამოუკიდებლად იმისა, ისინი არსებობენ ბერკეტების (ზოდების) ან რთული მექანიზმების დეტალებში არიან წარმოდგენილები (აზიაში და აფრიკაში რკინის თოხები ფულის სახით აქტიურად გამოიყენებოდა). ოქრო გამოიყენებოდა ფულის სახით როგორც: თვითნაბადის, ოქროს ქვიშის და იუველური სამკაულების სახითაც. გასაკვირი არ არის, რომ ოქროთი ან სხვა სახის ფულით ვაჭრობა მათი სხვადასხვა ფორმებში არსებობის შემთხვევებშიც არის შესაძლებელი, რადგანაც მათი ერთადერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია – წონა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთი სახის ფორმები უფრო მოხერხებულია, ვიდრე სხვები. საუკუნეების განმავლობაში მცირე ყოფელდღიური გარიგებების მომსახურებისათვის ოქრო და ვერცხლი მონეტების ფორმით, ხოლო მსხვილი გარიგებებისათვის კი – დიდი ბერკეტების სახით გამოიყენებოდა. დანარჩენი ოქროსაგან იუველირული ნაკეთობები და სხვა ძვირფასეულობა მზადდებოდა. ლითონის ერთი ფორმიდან მეორეში ნებისმიერი გარდაქმნა – დროის, ძალისხმევისა და სხვა რესურსების დანახარჯებს მოითხოვს. აღნიშნული სამუშაოს შესრულება – ისეთივე ბიზნესია, როგორც ნებისმიერი სხვა საქმიანობა. ფასებიც აღნიშნულ მომსახურებაზე ისეთნაირადვე უნდა იქნას დადგენილი, როგორც ნებისმიერი ჩვეულებრივი მომსახურება.

ოქროს სტანდარტის პერიოდში მრავალი მონეტა რამდენადმე უფრო „ნამდვილ" ფულად ითვლებოდა, ვიდრე უბრალო, დაუჭედავი ოქროს „სხმულები" (ბერკეტების, ან რაიმე სხვა ფორმით). უბრალოდ სხმულისაგან მონეტების დამზადება უფრო მეტი ღირს, ვიდრე მონეტების სხმულებად გადადნობა, ამიტომ ბაზარზე მონეტებს მეტი ფასეულობა გააჩნდა.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. კაკულია რ. ბახტაძე ლ. საერთაშორისო სავალუტო საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები. თბილისი 2007.
2. კაკულია მ. სავალუტო სისტემების განვითარების პრობლემები საქართველოში. თბილისი 2001.
3. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ნუმიზმატიკა და ბონისტიკა. თბილისი 2014.
4. gfsis.org/media/download/library/articles/papava/Papava_Vector_of_Economc_ Development_of_Post-Communist_Georgia_GEO.pdf>.
5. Åslund A., (2009a). Implications of the Global Financial Crisis for Eastern Europe. Development & Transition 13, viewed 11 March2014, <
6. WB, (2014b). GDP per capita (current US$). The World Bank, 2014, viewed 11 March 2014, <http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD>.

**ჯუმბერ ხარაიშვილი**



# სიტუაციის შესატყვისი ეროვნული ვალუტების გაცვლითი კურსის შერჩევის შესახებ

ვალუტების სწორი გაცვლითი კურსის არჩევა ეკონომიკური სტაბილურობისათვის და ნებისმიერი განვითარებადი ქვეყნის ზრდისათვის არსებითს წარმოადგენს. როგორია გაცვლითი კურსების სხვადასხვა რეჟიმების უპირატესობები ან ნაკლოვანებები? როგორია გაცვლითი კურსის არჩევის დეტერმინანტები? საერთოდ რეჟიმის არჩევა მრავალ ფაქტორებზეა დამოკიდებული, როგორებიცაა:

- ქვეყნის ვაჭრობისა და ფინანსური ნაკადების სიდიდე და ღიადობა;
- წარმოებისა და ექსპორტის სტრუქტურა, ფინანსური განვითარების სტადია, ინფლაციური ისტორია, ეკონომიკური შერხევების ბუნება და წყაროები, რომელთანაც მოცემული ქვეყანა ხვდება;
- პოლიტიკური პირობები ქვეყანაში და პოლიტიკოსების პრიორიტეტები, ნდობა პოლიტიკური ინსტრუმენტებისადმი.

ამასთან არ შეიძლება ითქვას, რომ ვალუტების იდეალური გაცვლითი კურსი არსებობს, რომელიც ყველა ქვეყნისათვის იქნებოდა მისაღები. ეკონომისტების უმრავლესობა თვლიან, რომ ვალუტების გაცვლითი კურსების რეჟიმების შედარებითი უპირატესობები ეკონომიკურ შოკზეა დამოკიდებული. როდესაც დარტყმები ფულის შიდა ბაზრდიან გამომდინარეობს, მაშინ ფიქსირებული გაცვლითი რეჟიმები აღნიშნულ დარტყმებს ავტომატურად ანელებს რეალურ ეკონომიკაზე ზემოქმედებისაგან. ფულადი რესურსები იზრდება, რადგანაც მონეტარული ხელისუფლება, ადგილობრივი ვალუტის ღირებულების გადიდების თავიდან აცილების მიზნით, სავალუტო რეზერვებს ყიდულობენ და რეალური შემოსავალი უცვლელი დარჩება.

საპირისპიროდ, გაცვლითი კურსების მოქნილი გაცვლითი რეჟიმები შემოსავლების შემცირებას მოითხოვს, რომ ფულად სახსრებზე რეალური მოთხოვნა შემცირდეს და რეალური ფულადი მასა უცვლელ დონეზე დარჩეს. ამიტომ, თუ ეკონომიკაში დარტყმები მეტად ბევრია, მაშინ აქცენტი ფიქსირებულ რეჟიმზე უნდა გაკეთდეს.

ამასთან, როდესაც დარტყმები ძირითადი სახით რეალურია (არა ნომინალური), მაშინ მცურავი რეჟიმები თეორიულად უფრო ეფექტიან არჩევანს წარმოადგენს.

მთლიანობაში, დღეს სულ უფრო ისეთ სურათს ვხედავთ, როდესაც ქვეყნის მიერ განხორციელებადი ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის რეჟიმი ხშირად გამოცხადებულისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მაგალითად, ავიღოთ ცენტრალური ამერიკა 80-იანი წლების შუა პერიოდიდან: სალვადორი (1983-84), გვატამალა (1986-88) და ნიკარაგუა (1985-87) კლასიფიცირდებოდნენ როგორც დოლართან მიბმული რეჟიმები, მიუხედავად იმისა, რომ სამი ქვეყნიდან თითოეულმა რამდენიმე დევალვაცია განახორციელა, რომელიც ადგილობრივი ვალუტების ტოტალური გაუფასურებით დასრულდა 10%, 41% და 106%,ით შესაბამისად.

მცურავი კურსების შემთხვევაში, ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ მონეტარული პოლიტიკა გაცვლით კურსში ფლუქტუაციის შემცირებას დაუქვემდებაროს, რაც ფაქტიურად მცურავ კურსს ტოლს ხდსი ფიქსირებულთან. ნათელ მაგალითად აქ შეიძლება ისეთი ქვეყნები გამოდგეს, როგორიცაა ინდოეთი (1993-96) და ბრაზილია (1985-90).

ამიტომ ვალუტების გაცვლითი კურსების რეჟიმების კლასიფიკაცია საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენს. მთლიანობაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ გაცვლითი კურსის, ერთიანი რეჟიმის არ არსებობა, რომელიც ნებისმიერი გარემოების პირობებში ყველა ქვეყნისათვის ოპტიმალური

იქნებოდა, დღეს თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. საერთოდ, დღეს ნებისმიერი ქვეყნისათვის ვალუტების გაცვლითი კურსების მხოლოდ ორი განსხვავებული (და მათინაირსახეობები) ტიპი ან რეჟიმი არსებობს – ესენია: ფიქსირებული და მოქნილი გაცვლითი კურსები.

თითოეულ ტიპს თავისი უპირატესობები და თავისი ნაკლოვანებები გააჩნია ქვეყნების მიერ. მყარი სავალუტო კურსი გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისამდე გამოიყენებოდა. თანამედროვე პირობებში მსოფლიო ვალუტების გაცვლითი კურსების მოქნილ სისტემას იყენებს. აღნიშნულ სისტემას ისტორიულად ნაკლებად მდგრადობა ახასიათებს და როგორც წესი, მას ინფლაციის ზრდა და მიმდინარე ანგარიშების დეფიციტი ახლავს თან.

თანამედროვე პირობებში ფართოდ გამოყენებადი საქონელის ფიუჩერსული ბაზარი არსებობს, რომელიც გაცვლით კურსთან მიმართებაში განუსაზღვრელობის შემცირების შესაძლებლობას იძლევა სამომავალოდ, სხვა სიტყვებით დღეს ისეთი სახის ფინანსური ინსტრუმენტები არსებობს, რომლებიც სამომავლო გაცვლითი კურსების ცვალებადობისაგან საიმედოდ აზღვევენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დაზღვევა განსაზღვრული, ხშირად, არც ისე მცირე დანახარჯები ღირს.

მონეტარული პოლიტიკა თავსებადი უნდა იყოს გაცვლითი კურსის მიზნებთან. კარგად მართვადი და კონტროლირებადი ფინანსური სისტემა, აღრიცხვის სტანდარტების ადექვატურობა, ეფექტური კანომნდებლობა და იურიდიული დაწესებულებების სისტემები, საბანკო სფეროს რისკების კეთილსასურველი სავალუტო პოლიტიკა – ასეთია ვალუტის გაცვლითი კურსის რეჟიმისათვის მნიშვნელოვანი აუცილებელი პირობები, რათა კონკურენტუნარიანობა შენარჩუნდეს და სავალუტო კრიზისები იქნას აცილებული.

შედეგად – გაცვლითი რეჟიმების სპექტრის ე.წ. პოლუსებისაკენ გადანაცვლებადი ქვეყნების რიცხვი გაიზარდა, ანუ, ერთ პოლუსზე აღმოჩნდნენ ვალუტებზე დამოუკიდეებლი მცურავი კურსების მიმდევრები და მეორე პოლუსზე კი – დოლარიზაციის მხარდამჭერები. ჯამში შუალედური მიდგომა თანდათან ქრება, თუმცა შუალედურის გაქრობა არ ითვალისწინებს, რომ ყველა ქვეყნები პოლუსებისაკენ უნდა მიისწრაფოდნენ.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მოქნილი და ფიქსირებული გაცვლითი კურსის მხარდამჭერთა თვალსაზრისები მუდმივად იცვლება. თუმცა ერთიანი მსოფლიო ვალუტის სასარგებლოდ აზრი მეტი სიხშირით მუსირებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ – МВФ) – ევროს, იენისა და დოლარის სავალუტო ზონების ფიქსირებული გაცვლითი კურსების არსებითი მიღწევის მიზნით, ნებისმიერი მექანიზმის გამოყენების მცდელობის წინააღმდეგ გამოდის. МВФ-ი თვლის, რომ აღნიშნული სამი წამყვანი სავალუტო ზონები ოპტიმალური სავალუტო ზონების ჩვეულებრივ კრიტერიუმებს არ პასუხობენ.

გაცვლითი კურსის სტრატეგიის საკვანძო მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მდგრადი და კონკურენტული რეალური გაცვლითი კურსისათვის იქნას მხარი დაჭერილი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ ძირითად პრინციპებთან იქნება თავსებადი.



ნახ. 1

რეალური გაცვლითი კურსი – თავისთავად ერთი და იგივე საქონელის ღირებულების ორ ქვეყანაში შედარების შესაძლებლობას ითვალისწინებს. ამ მიზნით ერთმანეთის ავტომობილების ფასები შევადაროთ ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც აშშ-ში და იაპონიაში ვალუტების კურსის თანაფარდობა ტოლია 120– იენი ერთ დოლარზე. ახალი მანქანა აშშ-ში კი – 15000 დოლარი ღირს, ხოლო იაპონიაში – 1400000 იენია. ამ შემთხვევაში რეალური გაცვლითი კურ-

სი ტოლი იქნება (15000X120):1400000=1.29 აღნიშნული ნიშნავს, რომ ახალი მანქანა 29%-ით უფრო ძვირია აშშ-ში, ანუ დოლარი უფრო მეტად არის გადაფასებული. აშშ-ში მანქანის მყიდველებს ურჩევნიათ იენი იაპონიაში შეიძინონ. შედეგად იენზე მოთხოვნა იზრდება, ხოლო დოლარი უფასურდება.

ნომინალური გაცვლითი კურსი – მიუთითებს თუ რაოდენობის უცხოური ვალუტის შეძენა არის შესაძლებელი ეროვნულ ვალუტაზე. დავუშვათ, რომ აშშ დოლარის გაცვლითი კურსი იენთან მიმართებაში 110 იენის ტოლია. ერთი დღის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა – ერთ დოლარზე შეიძლება მეტი იენი იქნას შეძენილი.

გაცვლითი კურსის თეორიული საფუძველი საკმაოდ უბრალოა. თავისუფალი ბაზრის პირობებში გაცვლითი კურსი – სხვადასხვა ვალუტების მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედების შედეგია. სპეციფიკურ ვალუტაზე მოთხოვნა ქვეყნიდან ექსპორტს ნიშნავს, იმიტომ რომ ადამიანებს აღნიშნული სპეციფიკური ვალუტის შეძენა ექსპორტის საჭიროებისათვის ესაჭიროებათ. მეორე მხრივ, სპეციფიკური ვალუტის მიწოდება განისაღზვრება იმ თანხით, რომლის იმპორტირებას ახორციელებს მოცემული ქვეყანა, რადგანაც მოცემული ქვეყნის იმპორტიორებმა თავიანთი ვალუტა სხვა გარკვეულ ვალუტაზე უნდა გადაცვალონ, იმისათვის რომ საქონლის შეძენა შეძლონ. გადაკვეთის ის წერტილი, რომელშიც მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს გადაკვეთავენ, გაცვლითი კურსების წონასწორობის წერტილს წარმოქმნის. ქვემოთ მოყვანილ ნახაზზე (იხ. ნახ. 1) წონასწორობის წერტილი 1,60 (E) დონეზე იმყოფება, რომელშიც განსაზღვრული ვალუტის მოთხოვნა (C) და გარკვეული სხვა სპეციფიკური ვალუტის მიწოდება (П) არის გამოსახული.

გაცვლითი კურსი სხვადასხვა ქვეყნებში ვალუტის მსყიდველობით შესაძლებლობაზე მიუთითებს. ისინი საქონლის, მომსახურების, კაპიტალდაბანდებებისა და ინვესტიციების ფულად-საკრედიტო ფასეულობებს ურთიერთ შედარებადებად აქცევენ მთელ მსოფლიოში. გაცვლითი კურსი, მაგალითად, USD/CHF, 1,39 ამერიკული დოლარის ღირებულებას შვეიცარულ ფრანკებში გამოხატავს. თვით USD/CHF აღნიშვნის სისტემა – ისეთი სისტემაა, რომელიც სავალუტო ტრეიდერების მიერ გამოიყენება, თუმცა მათემატიკურად უფრო სწორი იქნებოდა გაცვლითი კურსი ისეთი ხერხით ყოფილიყო გამოსახული, რომელიც მიუთითებდა თუ რამდენი შვეიცარული ფრანკი უნდა გადავიხადოთ, რომ აშშ-ის ერთი დოლარი მივიღოთ. ასეთი გაცვლითი კურსის ფუნქციონირების შემთხვევაში, 1000000 შვეიცარულ ფრანკის საქონლის მომსახურების ან ფასი ქაღალდების შეძენა იქნებოდა შესაძლებელი, რომელიც 719424 აშშ დოლარი ეღირებოდა. თუ კი გაცვლითი კურსი 1,39-დან – 1,37-მდე დაეცემოდა, მაშინ შვეიცარული ფრანკი ფასებში გაიზრდებოდა. ამ შემთხვევაში გაცვლითი კურსი უფრო სასარგებლო იქნეობდა, და 1000 000 ფრანკზე ჩვენ უკვე საქონელის, მომსახურების და ა.შ. შეძენას შევძლებდით, რომლეიც 729929 აშშ დოლარი ეღირებოდა. თუ კი ერთი ვალუტა ფასში მატულობს, მაშინ მეორე – ავტომატურად მცირდება.

სხვადასხვა ქვეყნებს შორსი შეთანხმებიდან გამომდინარე, გაცვლითი კურსები შეიძლება ფიქსირებული ან მცურავი იყოს. თუ იგი თავისუფლად მცურავია, მაშინ მათი კურსები მხოლოდ თავისუფალი ვაჭრობის ძალისხმევით განისაზღვრება. ასევე ე.წ. გაცვლითი კურსის შუალედური რეჟიმიც არსებობს, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ვალუტის კურსებმა რაღაც ზღვრამდე შეუძლიათ თავისუფლად იცურაონ, რის შემდეგ ცენტრალური ბანკი სავალუტო ინტერვენციას ახრციელებს, და ამით შედმგომ ფლუქტუაციას ზღუდავს. ასეთ მიდგომას ზოგჯერ – „რეგულირებად მცურავ კურსს" უწოდებენ. არსებობს შუალედური რეჟიმიც, რომლის დროსაც მცურავ კურსს დაუწესდება მყარი პარამეტრები ან დერეფანი, რომელშიც ვალუტის კურსი შეიძლება იმყოფბეოდეს. ასეთ რეჟიმს – „მიზნობრივ ზონებს" უწოდებენ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების თანახმად, 184 ქვეყნიდან დაახლოებით 47 ქვეყანას – ვალუტის გაცვლის დამოუკიდებელი მცურავი კურსი გააჩნიათ; 45-ს – მტკიცე მიბმა აქვთ; 89-ს – საშუალო რეჟიმი ახასიათებთ; 37-მა ქვეყანამ – უარი თქვეს დამოუკიდებელ ვალუ-

ტაზე, რომელთაგან 12 ქვეყანა – ევროზონიდანაა, 14 ქვეყანა – აფრიკის ქვეყნებია, რომლებიც ჯერ საფრანგეთის ფრანკის ზონაში შედიოდნენ, შემდეგ კი – ევროს ზონაში.

ნებისმიერი ქვეყნისათვის სწორი გაცვლითი კურსის შერჩევა მეტად არსებითია, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის. თუ კი კურსი ფიქსირებულია, მაშინ ქვეყნები, რომლებიც მასში არიან ჩართულები, გარანტირებულია, რომ მათი ცენტრალური ბანკები ერთი სახეობის ვალუტას მეორეზე ფიქსირებული გაცვლითი კურსით გადაცვლიან. მცურავი ვალუტების კურსის შემთხვევაში, გაცვლითი კურსები მხოლოდ სავალუტო ბაზარზე დაფიქსირებული მოთხოვნისა და მიწოდებსი მონაცემებით განისაზღვრება.

სისტემაში, რომელიც ევროპული მონეტარული სისტემის ტიპის, ვალუტების ფიქსირებული და მცურავი კურსების ნაერთზე არის დაფუძნებული, ვალუტებს შორის პარიტეტები წინასწარ იქნა დაფიქსირებული, ხოლო გაცვლით კურსებთან მიმართებაში პარიტეტიდან განსაზღვრულ პროცენტულ დონეზე გადახრა იყო ნებადართული. ცენტრალური ბანკები ვალდებულები არიან ჩაერიონ მაშინ, როდესაც ვალუტები დერეფნის ზედა ან ქვედა ზღვრებს აღწევდნენ, რომელშიც ვალუტებს ცურვის უფლება ჰქონდათ.

"შეუძლებელი გასამმაგებულობის" თეორიის თანახმად ქვეყანას უფლება არ აქვს ერთდროულად: ფიქსირებული გაცვლითი კურსი, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება და დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკა გააჩნდეს ქვეყანას სამი მიზნიდან ერთდროულად მხოლოდ ორის დაცვის უფლება აქვს. მაგალითად, თუ ქვეყანამ ფიქსირებული გაცვლითი კურსი აირჩია, მაშინ მან დამოუკიედბელ მონეტარულ პოლიტიკაზე ან კაპიტალის გადაადგილებაზე კონტროლის დაწესებაზე უარი უნდა თქვას.

როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, გაცვლითი კურსების ორი ძირითადი რეჟიმი არსებობს: ფიქსირებული და მცურავი. მაგრამ ამ ორ რეჟიმს პრაქტიკულად სხვადასხვა ფორმა გააჩნია. მსოფლიო სავალუტო ფონდმა 1982 წელს ვალუტების გაცვლითი კურსის კლასიფიკაცირება ხუთ კატეგორიით განახორციელა:

1. ფიქსირებული ერთ საკვანძო ვალუტასთან (სავალუტო მართვის რეჟიმის ჩათვლით).

2. ფიქსირებული რეჟიმი ვალუტების კალათასთან.

3. შეზღუდული მცურავი კურსი (კვაზი-მიბმა), მცოცავი მიბმისა და ინდიკატორების ნაკრებზე დამოკიდებული მიბმის ჩათვლით.

4. მართვადი მცურავი კურსი (დერეფნების რეჟიმების ჩათვლით).

5. დამოუკიდებელი მცურავი კურსი.

თანამედროვე ეტაპზე მსოლფიო სავალვუტო ფონდმა (МВФ) ვალუტების გაცვლითი კურსების რეჟიმების კლასიფიცირება შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

1. გაცვლითი კურსის რეგულირება ცალკე საგადასახადო საშუალების არსებობის გარეშე. იგი გამოიყენება: ევროზონაში, აღმოსავლეთ-აფრიკული ეკონომიკური და მონეტარული კავშირი, ცენტრალურ-აფრიკული ეკონომიკური და მონეტარული კავშირი.

2. სავალუტო მართვა (არგენტინა, ბოსნია, ჰერცოგოვინა, ბრუნეი, ბულგარეთი, ჰონკონგი, ჯიბიუტი, ესტონეთი, ლიტვა).

3. კონვენციური ფიქსირებული მიბმა, როდესაც ქვეყანა თავის ვალუტას (ფორმალურად ან დე-ფაქტო) ძირითად ვალუტასთან ან ვალუტების კალათასთან ფისქირებული კურსით არის მიბმული, სადაც გაეცვლითი კურსი ცენტრალური კურსიდან ვიწრო საზღვრის ჩარჩოებში (+/– 1%) ივცლება (ჩინეთი, სალვადორი, ირანი, ერაყი, მაკედონია, სირია, თურქეთი, ქუვეითი, ლატვია და სხვა).

4. მიბმული გაცვლითი კურსების ჰორიზონტალური საზღვრების ჩარჩოებში. ვალუტის ღირებულების მხარდაჭერა ფორმალური ან ფაქტიური ფიქსირებული მიბმის ირგვლივ ფლუქტუაციის საზღვრების ჩარჩოებში, რომელთა ზღვრები უფრო ფართეა, ვიდრე +/-1%. მაგალითად, კიპრში (+-2,25%), ისლანდიაში (+-9%), ლივიაში (+-77,5%), ვიეტნამში (0,1%).

5. მცოცავი მიბმა (კოსტა-რიკა, ნიკარაგუა, ტუნისი, ბოლივია და ზიმბაბვე).

6. გაცვლითი კურსები მცოცავი საზღვრების ჩარჩოებში (ისრაელი +22%, გონდურასი +7%, უნგრეთი +2,25%, შრი-ლანკა +1%, ურუგვაი +3% და ვენესუელა +7,5%).

7. მართვადი მცურავი კურსი რაიმე სახის წინასწარი მითითებების გარეშე (ჩეხეთი, აზერბაიჯანი, ყირგიზეთი, ნიგერია, პაკისტანი, რუმინეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა, ალჟირი, ბელორუსია, ნორვეგია, სინგაპური, სლოვენია, უზბეკეთი).

8. დამოუკიდებელი ან თავისუფლად მცურავი კურსი (კოლუმბია, გვინეა, მონგოლეთი, ფილიპინები, ავსტრია, ბრაზილია, კანადა, ჩილი, პოლონეთი, შვეცია, დიდი ბრიტანეთი, ალბანეთი, სომხეთი, საქართველო, მექსიკა, მოლდავეთი, რუსეთი, ინდოეთი, იაპონია, შვეიცარია, აშშ).

სავალუტო რეჟიმების კიდევ ერთი ცნობილი კლასიფიკაცია არსებობს, რომელიც რეინგარტის და როგოვის მიერ არის დამუშავებული. აღნიშნული კლასიფიკაცია „ნატურალურის" სახელწოდებას ატარებს და მათ ვალუტების „თავისუფალი ვარდნის" რეჟიმი ცალკე კატეგორიად გამოყავს, სადაც პარალელური გაცვლითი კურსი ოფიციალური კურსისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მოცემული კლასიფიკაცია გაცვლითი რეჟიმების ხუთ კატეგორიას განასხვავებს – ფიქსირებული, შეზღუდულად ფიქსირებული, მართვადი მცურავი, თავისუფლად მცურავი და თავისუფლად ვარდნადი. ამ კატეგორიაში კიდევ თხუთმეტი დაშენებული სუბკატეგორია არსებობს.

შეგახსენებთ, რომ ვალუტის გაცვლითი კურსის რეჟიმების კლასიფიკაცია – ძალიან ძნელი საქმეა, რადგანაც მაკროეკონომიკური მოუწესრიგებლობა შეიძლება არაკორექტურად იქნას განსაზღვრული და აქედან გამომდინარე რეალური კურსები ოფიციალურისაგან შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს.

ოპტიმალური სავალუტო ზონები. სავალუტო კავშირების საქმიანობაში შესაბამისი საკუთარი „მომხრეები" და „მოწინააღმდეგეები" არსებობს. აქ ყველაზე რეალური სარგებელი იმაშია, რომ ტრანზაქციული დანახარჯების და გაცვლითი კურსის განუსაზღვრელობა მცირდება. ამავე დროს სავალუტო კავშირში – ფასების ტრანსპარატიულობა, პოლიტიკური დისციპლინა და გაცვლითი კურსის საიმედოობა იზრდება. მაგრამ მის ყველაზე მთავარ ნაკლოვანებას – კავშირის მონაწილე ქვეყნებში დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის არარსებობა წარმოადგენს.

მსოფლიოში სამი სავალუტო ზონა არსებობს: დოლარების, ევროსი და იენის. (თუმცა იუანის ზონაც მნიშვნელოვნად გვესახება). აღნიშნული სამი სავალუტო ზონა მსოფლიო ეკონომიკის 60%-ს მოიცავს. იმდენად, რამდენადაც ამ ზონებში ფასისებრი სტაბილურობის მაღალი ხარისხი არსებობს, ამიტომ ისინი სტაბილურობის კუნძულების სახით შეიძლება იქნას განხილული. სტაბილურობის მიუხედავად, ვალუტების გაცვლითი კურსები ვალატილურებია – დოლარის კურსი იენთან მიმართებაში ბოლო ათწლეულების მანძილზე არასტაბილურია, ასევე არასტაბილურია. დოლარის კურსი ევროსთან მიმართებაშიც.

XXI საუკუნის ძირითადი ამოცანაა – მოხდება თუ არა ფულად-საკრედიტო ბლოკების ფორმირება აღმოსავლეთ აზიაში და დასავლეთის ნახევარსფეროში. დოლართან, იენთან და ერთიან ევროპულ ვალუტასთან მიმართებაში, ერთი მეორესთან მიმართებაში მცურავი კურსებით ხასიათდებიან, ყველა დანარჩენი მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებს სამიდან ერთ-ერთი ბლოკისადმი სწრაფვას გამოამჟღავნებენ, თუმცა მიზმა საერთაშორისო თანამშრომლობას მოითხოვს, ხოლო ეფექტიანი თანამშრომლობა კი – ფულად-საკრედიტო უნიფიკაციას საჭიროებს.

ოპტიმალური სავალუტო ზონების თეორია საგადასახადო ბალანსების დაუბალანსებულობის კორექტირებისათვის გაცვლითი კურსების როლის ურფო სიღრმისეულად გაგების შესაძლებლობას იძლევა. მსოფლიო მთლიანობაში – პოლიტიკური თვალსაზრისით მთლიანობაში ერთი ერთეული არ არის. მსოფლიო თითქმის ორი ასეული დამოუკიდებელ ქვეყნებად არის დაყოფილი, რომელთა უმეტესობა კიდევ რეგიონებადაც არის დანაწევრებული.

ოპტიმალური სავალუტო ზონის შესახებ საკითხის განხილვა ორი მიმართულებით მიმდინარეობს. თავიდან გარკვეული უნდა იქნას ესა თუ ის ქვეყანა ოპტიმალურ სავალუტო ზონას წარმოადგენს თუ არა? ასევე, ასეთი ქვეყანა ფლობს თუ არა ისეთ თვისებებს, რომელიც მთელი ქვეყნის მაშსტაბით შესაძლებლობას მისცემს მას საკუთარი ვალუტა ოპტიმალურად გამოიყენოს ან

რეგიონალური ვალუტების დამკვიდრებისათვის უფრო უკეთესი შესაძლებლობებიც არსებობს. ასე, მაგალითად, ზოგიერთი ეკონომისტები (გხოში და ვოლფი – 1994 წ.) თვლიან, რომ აშშ ოპტიმალურ სავალუტო ზონას არ წარმოადგენს, და ისინი აშშ-ს სხვადასხვა რეგიონებისათვის ცალკეულ ვალუტებს თავაზობენ. თუ ასეთი ქვეყანა არა, თუ იგი დამოუკიდებელ ვალუტაზე იტყვის უარს და საერთო სავალუტო ზონის ნაწილი გახდება?

ოპტიმალური სავალუტო ზონების თეორია, რომელიც 1961 წელს რობერტ მანდელას მიერ იქნა დამუშავებული და იგი მაკკინენის მიერ – 1963 და კენენის მიერ – 1969 წელს იქნა გაფართოებული, იმ ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც სავალუტო კავშირების შექმნას ყველაზე უკეთესად მიესადაგებიან. რობერტ მაკკინენი მიუთითებს, რომ სავალუტო რეჟიმის არჩევისას ეკონომიკის ღიადობა და სიდიდე ფუნდამენტალურს წარმოადგენს. იგი ამტკიცებდა, რომ მცირე და ღია ეკონომიკამ, ყველაზე რეალურია, ფიქსირებული გაცვლითი კურსი აირჩიოს. პიტერ კენენმა თავის მხრივ შემოგვთავაზა, რომ ძალიან კონცენტრირებული საწარმოო სტრუქტურიანი ქვეყანაში უფრო მეტი ალბათობა არსებობს, რომ იქ ვალუტის გაცვლითი კურსის მოქნილი სისტემა იქნება არჩეული.

ოპტიმალური სავალუტო ზონების თეორია ითვალისწინებს, რომ საერთო ვალუტის მიღებისათვის ოთხი კრიტერიუმი არსებობს:

1. ქვეყნებს შორის ვაჭრობის ხარისხი, რომლებიც საერთო ვალუტის შემოღებას აპირებენ.
2. ხარისხი, რა დონემდეც სხვადასხვა ქვეყნები მსგავსი ეკონომიკურ დარტყმებს განიცდიან.
3. მუშახელის მობილურობის ხარისხი თითოეულ რეგიონში.
4. ფისკალური ტრანსფერტების თანხა რეგიონებს შორის.

იმისათვის, რომ ოპტიმალური სავალუტო ზონის თეორია ურფო სიღრმისეულად იქნას გაგებული, პიტერ კენნენის აზრით, მის საწყისებს უნდა დავუბრუნდეთ. იგი იყო კეინსიანური მაკროეკონომიკის პროდუქტი რომელიც ითვალისწინედა, რომ შრომის ანაზღაურება და ფასები ურთიერთდაკავშირებულია, და რომ კაპიტალის საერთაშორისო გადაადგილება მეტად არასაკმარისია, რათა შიდა პოლიტიკის ფუნქციონირებაზე მოახდინოს ზემოქმედება. აღნიშნული მოსაზრებების თანახმად ნომინალური სავალუტო კურსი განსაზღვრავს რეალურ სავალუტო კურსს, რაც, თავის მხრივ, მიმდინარე ანგარიშის ბალანსს გამოხატავს.

ამიტომ, ნომინალური გაცვლითი კურსი შეიძლება იქნას გამოყენებული, რომ რათა საგარეო ბალანსს (ანუ მიმდინარე ანგარიშის ბალანსის სასურველ მდგომარეობას) დაუჭიროს მხარი მაშინ, როდესაც მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა იმისთვის გამოიყენება, რომ შიდა ბალანსი იქნას მხარდაჭერილი (ანუ, მრეწველობის ზრდისა და დასაქმების ყველაზე მაღალი ნორმები, რომლებიც ფასების სტაბილურობასთან თავსებადია). გაცვლითი კურსი, ჰარი ჯონსონის თვალსაზრისით, ხარჯვით გადამრთველი ინსტრუმენტია, გაცვლითი კურსის ცვლილება ოპტიმაპლური რეაქციაა მაკროეკონომიკურ შოკზე, მაშინ როდესაც მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა – სწორედ თვით შოკურ გადამრთველს წარმოადგენს.

ოპტიმალური სავალუტო ზონების თეორია, გარკვეული ხარისხით, იმის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა, ჯგუფი ქვეყნებისათვის გონივრულია თუ არა ერთიანი ვალუტის სასარგებლოდ საკუთარ ვალუტებზე თქვან უარი. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთი წესი არსებობდა: ერთი ქვეყანა – ერთი ვალუტა. ეროვნული სიმბოლიკა მონეტებზე და ბანკნოტებზე აისახებოდა. საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ რა პირობებშია აღნიშნული შესაძლებელი. აღნიშნულ თეორიას ასეთი ქმედებისათვის ეკონომიკური და პოლიტიკური კრიტერიუმი გააჩნია. რამდენად მეტია გეოგრაფიული ზონები (მცირე გეოგრაფიული ზონები არ შეიძლება ოპტრიმალური იყოს) იმდენად მეტად დივერსიფიცირებულია იგი. ხოლო დივერსიფიკაცია მოცემულ შემთხვევაში – ეს ყოველთვის დიდი პრობლემებია: ეკონომიკურიც და პოლიტიკურიც. საერთო ვალუტა ერთიანი ცენტრალური ბანკის შექმნას მოითხვოს, რომელსაც თითოეულ ლოკალურ შემთხვევაზე რეაგირების შესაძლებლობა ყოველთვის არ აქვს. ქვეყნების მიერ საერთო ვალუტის არჩევისას ყველა-

ზე დიდ პრობლემას – ეკონომიკური დარტყმების ასსიმეტრიულობა წარმოადგენს, რომლებმაც შეიძლება ზემოქმედება მოახდინონ ქვეყნების ერთ კატეგორიაზე, ხოლო სხვებზე – არა.

გაცვლითი კურსი მნიშვნელოვან როლს კიდევ იმიტომ ასრულებს, რომ ფასები და შრომის ანაზღაურება ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ოპტიმალური სავალუტო ზონა იმ მახასია-თებლებზე ფოკუსირდება, რომლებიც გაცვლით კურსს სტაბილურად და მონეტარულ პოლიტი-კას კი– მეტ-ნაკლებად უნიტარულად აქცევენ.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. ბერიძე რ., „საბანკო მენეჯმენტი", გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი 2009, 363 გვ.;
2. გრიგალაშვილი ნ., „საბანკო დაკრედიტების სისტემის სრულყოფის გზები საქართველოში", გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი 2011, 130 გვ.;
3. კაკულია რ., ბაძტაძე ლ., კანდელაკიშვილი ლ., „საბანკო საქმე", თბილისი 2010, 473 გვ.;
4. კაკულია რ., გ. ძელაია გ., „ფულის მიმოქცევისა და კრედიტების ზოგადი თეორია", გამომცემლობა „ესპსკი", თბილისი 2003, 354 გვ.;
5. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა", თბილისი 2014, 548 გვ.;
6. ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ., „რისკოლოგია – ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი", თბილისი 2007, 567 გვ. ;
7. Панова Г.С. Кредитная политика коммерческого банка. _ М.: ИКЦ «ДИС», 2003. _ 464с. [22, ст.87–96];
8. Basel Committee on Banking Supervision (1988), International Convergence of Capital Measurement and Capital Standards;
9. Basel Committee on Banking Supervision (2005), An Explanatory Note on the Basel II IRB Risk Weight Functions;
10. Basel Committee on Banking Supervision (2006), Studies on credit risk concentration;
11. CRISI, Global Research & Analytics, `Credit Risk Estimation Techniques~, 2015, p.31;
12. Spendzharova A.B., `The Limits of Counter-cyclical Bank Regulation: Managing the Credit Booms in Central and Eastern Europe after EU Accession~, Spain 2014, p. 24;
13. <http://www.sabanko.com/
14. <http://www.nplg.gov.ge/

# სოფლის მეურნეობა

**ონერ ძაძუა**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი



## კაკლის კულტურა და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში

კაკალი – უძვირფასესი კაკლოვანი კულტურაა, მისი ნაყოფი ანუ ნიგოზი ხასიათდება განსაკუთრებული მაღალი ყუათიანობით, მასზე მოთხოვნილობა პრაქტიკულად შეუზღუდავია. შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინებს, ცხიმებს, ცილებსა და ნახშირწყლებს. კვებითი ღირებულებით უფრო მაღლა დგას: ვიდრე პური, ხორცი, რძე, უახლოვდება კარაქის ყუათიანობას. ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა კერძების, საკონდიტრო ნაწარმის მოსამზადებლად. რბილობისაგან იღებენ მაღალი კვებითი ღირებულების ზეთს, რომელიც წააგავს ზეთისხილის ზეთს, რომელიც  გამოიყენება კულინარიასა და მედიცინაში.

კაკლის მერქანი მიეკუთვნება მაღალი სიმკვრივის მქონე მცენარეთა მერქნის ჯგუფს გამოკვეთილი ზოლოვანი ფერებით. გამოიყენება ძირითადად საეკლესიო ხატების და სხვა ნაკეთობების, ძვირად ღირებული ავეჯის, პარკეტის წარმოებაში. კაკალი სწრაფმზარდი მძლავრი ხეა, რომელიც საშუალოდ სიმაღლეში 25 მეტრამდე იზრდება. მისი შტამბი 50-60 წლის ასაკში 0,5-0,8 მეტრი დიამეტრისა, აქვს მსხვილი მომრგვალო ფორმის ფოთლები, რომლებსაც ფიტონციდების მაღალი შემცველობა ახასიათებს და მსგავსად ევკალიპტისა, გამოიყენება კოღოებისა და სხვა მავნე მწერების წინააღმდეგ. შემჭიდროებულ ნარგაობაში ივითარებს მაღლა აშოლტილ ტანს, ხოლო ცალკე მდგარი ხე – მომრგვალო ფორმის, მეტად ლამაზი და ხანგრძლივი სიცოცხლის უნარის მქონე, ამავე დროს გზისპირებზე, ქარსაცავი ზოლებისა და პარკებისათვის საუკეთესო სახეივნო მცენარეა. სხვადასხვა წყაროების ცნობით, კაკალი უფრო ყინვაგამძლეა, ვიდრე წაბლი. აქედან გამომდინარე შეიძლება წინასწარ დავასკვნათ, რომ მისი გავრცელება შეიძლება საქართველოს მთისწინა ზონაშიც, სადაც ამჟამად მისი გაშენების დიდი შესაძლებლობები არსებობს, ამ ღონისძიებებზე განსაკუთრებით დაბალი დანახარჯების გაღების პირობებშიც კი.

კაკალს ამრავლებენ თესლით და მყნობით, პირველ წლებში ახალგაზრდა ხეები ინვითარებენ მძლავრ მთავარღერძა ფესვს. ამიტომ 2-3 წლის თესლნერგები უნდა გადაირგას მთავარი ღერძის გადაჭრით, რომელიც ამოჭრილ ორმოში გადარგვის დროს ირგვება ბრტყელ ქვაზე ან შუშის ნაჭერზე, რათა მთავარი ღერძი არგანივითაროს და სტიმული მიეცეს გვერდითი ფესვების განვითარებას, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს ამ კულტურის პროდუქტიულობას. ასეთ შემთხვევაში ზრდასრული ხის ფესვები 4 მეტრამდე სიღრმეზე ვრცელდებიან

და მათი განვითარება ნიადაგში ვარჯის სიგანეს აჭარბებს. თესლით გამრავლების შემთხვევაში მსხმიარობას კაკალი 7-8 წლის ასაკში იწყებს, ხოლო მყნობით მიღებული ნარგები 4-5 წლის ასაკში. მსხმოიარობს თითქმის ყოველწლიურიდ მაგრამ ძლიერ მსხმოიარობას ყოველთვის ცვლის შედარებით სუსტი მხმოიარობა. ზრდასრული მცენარიდან გარჩეული ნიგოზის მოსავალი 50-100 კგ-ია, ზოგჯერ კი ხელსაყრელ გარემო პირობებში 150 კგ-მდე.

კაკალი თესლით გამრავლებისას ითიშება და მიიღება დედა მცენარისაგან განსხვავებული თაობა. ამიტომ, ძვირფასი ჯიშების ნიშანთვისებების შესანარჩუნებლად კაკალს ამრავლებენ ვეგეტატიურად ან მყნობით, ძირითადად მყნობით.

კაკლის ნაყოფებს თესლისავთის ამზადებენ ჯანმრთელი და უხვმოსავლიანი ხეების სამხრეთი ექსპოზიციიდან. კაკალს თესავენ გვიან შემოდგომით ან ადრე გაზაფხულზე. გაზაფხულზე თესვისას თესლს უტარებენ 10-12 დღიან სტრატიფიკაციას (უნდა მოვათავსოთ გამდინარე წყალში) სანერგისათვის განკუთვნილი ნიადაგი შემოდგომით ღრმად იხვნება (45-50 სმ), წინასწარ შეაქვთ 40-50 ტ/ჰა ორგანული, აგრეთვე მინერალური (ფოსფოროვანი და კალიუმიანი) სასუქები, ხოლო აღმოცენების შემდეგ აზოტოვანი სასუქები 80-100 კგ/ჰა მომზადებული ნიადაგის ფიზიოლოგიურად მომწიფების შემდეგ მის ზედაპირს თანაბრად ასწორებენ და 70 სმ-იან და 8-10 სმ სიღრმის კვალებად ხაზავენ. კვალში კაკლის თესლს აწყობენ ზურგზე დაწვენილს, კვალის მიმართულებით ერთმანეთისაგან 20 სმ დაშორებით, 1 ჰა-ზე თესავენ 1000-1500 კგ კაკლის გადარჩეულ კონდიციურ თესლს.

საძირეთა სკოლაში მოვლის ძირითადი ღონისძიება რწყვა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში პირველ წელს უნდა ჩატარდეს არანაკლებ 10-ჯერ. ყოველი მორწყვის შემდეგ ნიადაგის ზედაპირი უნდა გაფხვიერდეს და გაიწმინდოს სარეველებისაგან. დამატებითი გამოკვების სახით შეაქვთ მინერალური სასუქები: 100-120 კგ აზოტი და 50-60 კგ ფოსფორი. თესლნერგები კარგი მოვლის შემთხვევაში პირველსავე წელს 60-70 სმ სიმაღლეს აღწევენ და კარგ სამყნობ მასალას წარმოადგენენ.



მყნობის საუკეთესო დროა – ზაფხული, ივნისიდან აგვისტომდე, სანერგეში კაკალს ამყნობენ სპეციალური ოთხკუთხა დანით, რომლის გვერდების ზომებია 3X1,7 სმ. ან პარალელურპირიანი სამყნობი დანით, რომელთა შორის მანძილი 3 სმ. ასეთი დანით ფესვის ყელიდან 10-12 სმ სიმაღლეზე საძირის ჩრდილოეთ მხარეს კანს ამოჭრიან. ზუსტად ასეთივე ამონაჭერს, ოღონდ კვირტიანს (ყლორტიანს) იღებენ იგივე დანით სამყნობი მასალიდან და ათავსებენ ამოჭრილ საძირეზე. შემდეგ მჭიდროდ ახვევენ პოლიქლორვინილის სპეციალური პერფორირებული აფსკით და ღიას უტოვებენ მხოლოდ ყლორტის თვალს.

მყნობიდან ორი კვირის შემდეგ ნამყენი ადგილიდან აფსკს ფრთხილად აცილებენ, რომ კალუსი არ გაიხსნას ან არ დაზიანდეს. ივნისში დამყნობილ საძირეს მყნობის წერტილიდან 10-15 სმ-ზე სეკატორით ჭრიან, რითაც აქტიურდება ნამყენი კვირტის ზრდა, 2 კვირის შემდეგ აცილებენ საძირიდან ამონაყარ კვირტებს. საძირეები, რომლებზეც მყნობა მოხდა ივნისში პირველსავე წელს ნამყენი 50-60 სმ-მდე იზრდება და ვეგეტაციის დასასრულს მთლიანად ყავისფერი ხდება. მეორე წლის გაზაფხულზე საძირის გადანაჭერი უნდა გადაიჭრას ნამყენი კვირტს ზემოთ, რომელიც დატოვებული იყო 10-15 სანტიმეტრი სიგრძის, მყნობიდან მეორე წელს ნამყენი აღწევს 2 მეტრის სიმაღლეს.

აგვისტოში დამყნობილ საძირეებზე კვირტს ზემოთ გადანაჭერს ვაკეთებთ შემდეგი წლის გაზაფხულზე, ამ დრომდე დამყნობილი თვალი რჩება მიძინებულ მდგომარეობაში, შესახვევი აფსკი აუცილებლად უნდა მოეშვას. გაზაფხულზე გამოღვიძებული თვალიდან ვეგეტაციის დასასრულამდე ნაზარდი 1-1,5 მეტრს მიაღწევს.

ერთწლიანი (აგვისტოში დამყნობილი), ან ერთნახევარი წლის ნამყენებს (ივნისი, ივლისი მყნობა) იღებენ გვიან შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე და გადააქვთ სანერგიდან სამრეწველო ბაღების გასაშენებლად.

სანერგე მეურნეობის ორგანიზაციული მოწყობისა და სამრეწველო საწარმოო პლანტაციების გეშენების საკითხებზე მასალები დაიბეჭდება ეტაპობრივად შემდეგ ნომრებზე.



# ნორჩი ათინათელები

**თაკო ნებაძე**



## ინტერვიუ მაყვალა გონაშვილთან

***თავდაპირველად მინდა თქვენს ბავშვობაზე გკითხოთ, როგორი ბავშვი იყავით? რა იყო თქვენი გატაცება:***

მე ვიყავი ძალიან ცელქი ბავშვი, როგორც ამბობენ განსაკუთრებით მიყვარდა ხეებზე ცოცვა და სახლის სახურავებზე სირბილი, ამის გამო ძალიან ბრაზობდა პაპა. მამა კახელი მყავს ამიტომ პაპა და ბებია კახეთში მყავდა, დედა კი გურულია, მეორე ბებია და პაპა – გურიაში. მთელი ჩემი ბავშვობა ამ ორ საოცარ კუთხეში გაილია, რომ იტყვიან. ზაფხულობით ვიყავი ხოლმე ერთი თვე გურიაში, ერთი თვე კახეთში. ერთი თვეც ხან მთაში, ან ზღვაზე მივყავდი ჩემს მშობლებს და მერე ისევ თბილისში ვეუბნებოდი ჩვენს სახლში. ძალიან მიყვარდა პაპებთან და ბებიებთან ყოფნა. პაპა მყავდა მეზღაპრე საოცარ ზღაპრებს მიყვებოდა და ძალიან მიყვარდა მისი მოსმენა. ძალიან ლამაზი იყო ჩემი ბავშვობა, ძალიან უდარდელი, როგორც ყველა ბავშვის და ძალიან ბედნიერი ვარ, როცა ვიხსენებ იმ წლებს.



***სად დაამთავრეთ საშუალო სკოლა?***

მე საშუალო სკოლა დავამთავრე თბილისში, 77-ე საშუალო სკოლა ეგრეთ წოდებული „კობახიძის“ სკოლა. ჩემი დირექტორი იყო, გრიშა კობახიძე, საოცრად სამართლიანი და კარგი ადამიანი. ჩემი კლასი იყო ექსპერიმენტული ფიზიკა-მათემატიკური, სკოლის დამთავრების შემდეგ კი ჩავაბარე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე.

***ბევრი ლექსის ავტორი ხართ? რა ასაკიდან დაიწყეთ წერა?***

წერა დავიწყე 6 წლის ასაკიდან და ვარ 20-ზე მეტი წიგნის ავტორი. ეს არის, როგორც პოეტური კრებული, ასევე თარგმანები, ზღაპრები, პიესები.

***რომელია თქვენი საყვარელი ლექსი? შეგიძლიათ წამიკითხოთ მონაკვეთი?***

სხვადასხვა დროს სხვადასხვა ლექსი მიყვარდა. მახსოვს ბავშვობაში მე-9 კლასში, გაზეთში წავიკითხე ჟურნალი „ცისკარი“ ახალგაზრდა პოეტებს ეძებსო, ჩემი 100 ფურცლიანი რვეული ავიღე, რომელიც სავსე იყო ლექსებით და წავედი ჟურნალ „ცისკარში“. ჯანსუღ ჩარკვიანმა ჩემმა უსაყვარლესმა პიროვნებამ გადაშალა ეს რვეული და დაიწყო კითხვა ერთ-ერთ ლექსზე ფეხზე ადგა, ხელი ჩამომართვა და მითხრა თქვენ პოეტი ყოფილხართ. ძალიან მიყვარდა ეს ლექსი, ლექს ერქვა „მარჩიელი“ და იყო გოგონაზე,

რომელიც მალავს სიყვარულს მე-9 კლასელია გოგო და ბიჭს უყვარს ძალიან, თუმცა არ აგრძნობინებს, ძალიან ლამაზი ლექსი იყო იმ დროისთვის. შემდეგ დავწერე ლექსი, რომელსაც „ვალი“ ჰქვია და უამრავი ლექსი მიყვარს, მაგრამ გამორჩეულად „მარჩიელი“ რადგან ჩემი ცხოვრების კრედოდ იქცა.

***რამდენი დედმამიშვილი გყავთ?***

მყავს ორი ძმა, შუათანა ძმა უცხოეთში ცხოვრობს, კანადაში. უმცროსი ძმა თბილისში. ჩემზე უმცროსები არიან. ჩემი პატარა ძმა იტყოდა ხოლმე ძმაო დითა ხარ ძლიერიო.

***რას ნიშნავს თქვენთვის მწერალთა კავშირის თავჯდომარეობა?***

უპირველესად ძალიან დიდ მოვალეობას. მე ვარ მე-17 მწერალთა კავშირის თავჯდომარე, მანამდე ისეთი დიდი ქართველები იყვნენ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელები, როცა ამირჩიეს შიშმა შემიპყრო. პირველი თავმჯდომარე იყო – კოტე მაყაშვილი, გამორჩეული ინტელიგენტი. მარო მაყაშვილის მამა, რომელიც იყო გმირი ქალი, როცა ნიკოლოზ მეფე საქართველოს ესტუმრა და კოტე მაყაშვილი გაიცნო, როგორც თავადი, მან უპასუხა, რომ თავადობაზე მეტად ის ულირდა, რომ პოეტი იყო. ეს უფრო დიდი პატივიაო. ეს იყო პირველი თავმჯდომარე მწერალთა კავშირის, რომელიც დაარსდა 1917 წელს. აქედან მოყოლებული ისეთი დიდი ქართველები იყვნენ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელები, როგორებიც იყვნენ მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, ნოდარ დუმბაძე, გრიგოლ აბაშიძე თუ დიდი ქართველი გვყავდა ყველა ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო და ეს არის ჩემთვის ძალიან დიდი პატივი და მოვალეობა. იმდენად დიდი, რომ როცა ამირჩიეს წავედი ეკლესიაში ვლოცულობდი და ღმერთს ვეკითძებოდი ამხელა პატივის მერე რამე საშიშროება ხომ არ მელისმეთქი და თანაც მე პირველი ქალი თავჯდომარე ვარ ამ ორგანიზაციის მართლაც მერე იმდენი რამე გადავიტანეთ ჩვენმა ორგანიზაციამ დაიწყო ამ შენობაზე ბრძოლა. ამ შენობის გაყიდვა უნდოდათ და ეტყობა ღმერთმა სიხარულთან ერთად რაღაც განსაცდელიც მომცა, რადგან მარტო პატივი არ არსებობს, ისე უდიდესი პატივია.

***იცნობთ ჟურნალ ათინათს ,რას იტყოდით?***

მე მიხარია, რომ ასეთი ჟურნალი არის და მაოცებს, რომ ჩვენი უსაყვარლესი ქალაბატონი გულნაზი ამ ურთულეს დროს როცა ამდენი ცნობილი ჟურნალი დაიხურა უსახსრობის გამო და ცისკარის სულს უბერავენ, რომ არსებობდეს. ამ დროს ქალბატონი გულნაზი ახერხებს, რომ გამოსცეს ჟურნალი და ხიდი გასდოს ახალგაზრდობასა და წინა თაობას შორის. მიმაჩნია, რომ კარგი და საინტერესო ჟურნალი არის, თუნდაც იმიტომ, რომ ახლა ორი ქალბატონი ვსხედვართ და ერთმანეთს ვესაუბრებით ქართულ მწერლობაზე.

***ცხოვრების გზის დასაწყისში ვინ შეგახვედრათ ბედმა ვინც თქვენზე გავლენა მოახდინა?***

მე მადლობელი ვარ უფალის, რომ ყოველთვის მიმართლებდა კარგ ადამიანებში, ჯერ იყო მე-7 კლასში როცა მე ტელევიზიაში მიმიწვიეს, როგორც ნორჩი პოეტი ქალბატონი რუსუდან გამსახურდია შემხვდა პროფესიის არჩევა ამ ქალბატონის დამსახურებაა. დავამთავრე თუ არა სკოლა ჩავაბარე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. ბედნიერი ვარ, რომ ტელევიზიაში მუშობის დროს დიდ ადამიანებს შევხვდი და მქონდა მათზე გადაცემები: რეზო ინანიშვილი, ნოდარ დუმბაძე, ანზორ სალუქვაძე ყველა იმ დიდ ადამიანზე ვინც იმ დროში მოღვაწეობდა ძალიან ბევრი ადამიანისგან დამამახსოვრდა ბევრი სიკეთე. სტუდენტობის დროს მყავდა ბრწყინვალე ლექტორი დავით გეწაძე, რომელიც ჩემთვის იყო სიკეთის მაგალითი, ლექციებს ვაცდენდი, რადგან სულ ფესტივალებზე დავდიოდი თურმე მიბარებდა მე მეგონა უნდა დამსაჯოს მეთქი, ბოლოს ვნახე, როგორც იქნა და მეუბნება გოგო გიბარებ, რადგან საჩუქარი ყოველდღე დამაქვს „ვეფხისტყაოსნ“-ის ხელნაწერიო. როგორც პოეტს ეს წიგნი მაჩუქა. ბატონი რეზო მიშველაძე ჩემი ლექტორი იყო უნიჭიერესი ადამიანი, საოცარი ლექციები ჰქონდა. დღეს ბედნიერი ვარ, რომ თანამშრომლები ვართ.

***იცნობდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?***

ბატონი ჯუმბერ ლეჟავა იყო ბრწყინვალე ადამიანი სამწუხაროდ უკანასკნელად მაჩაბელზე ვნახე, შევპირდით ერთმანეთს, რომ მალე ვნახავდით, თუმცა არ ვიყავი საქართველოში, როცა გავიგე რომ ბატონი ჯუმბერი გარდაიცვალა.

***მომიყევით თქვენს ოჯახზე.***

მე მყავს არაჩვეულებრივი მეუღლე მერაბ კეზუა მადლობელი ვარ უფლის ცხოვრების გზაზე, რომ შემახვედრა. ერთხელ ჩემ ბიჭს მასწავლებელმა გამოცანა კითხა:

„ორნი არიან, ტოლნი არიან

ერთად მიდიან, მიიმღერიან“

პასუხი არის ფეხები, ჩემმა შვილმა კი უპასუხა დედა და მამაო.

ორი შვილი მყავს ბიჭი და გოგო, ჰყავს მეუღლე ჩემი უსაყვარლესი რძალი ანა და ერთი პატარა შვილიშვილი, ცაბუნია 8 თვისაა და ძალიან სასაცილო გოგოა, ოჯაძში მხოლოდ მე მჩაგრავს, ვითომ მაშინებს. ჩემი მეუღლე და მე უკვე 25 წელზე მეტია ერთად ვართ იგი სულ გვერდით მიდგას, მაშინაც დამიდგა როცა ამ შენობის გაყიდვას აპირებდნენ, დიდი რისკი იყო ქალი, რომელიც ხელისუფლებას უპირისპირებოდა, მეუბნებოდა იბრძოლე, ბრძოლა აუცილებელიაო. გოგო 25 წლისაა.

***გაყვნენ შვილები თქვენს პროფესიას?***

გოგო 25 წლისაა და იურისტია, ბიჭი ჯერ ისევ სტუდენტია ბოლო კურსზეა, სამხატვრო აკადემიაში.

***რას უსურვებდით მომავალ თაობას?***

უპირველესად რასაც გისურვებთ ეს არის თითქოს ადრე ჩვენ გვეცინებოდა გურულებმა იცოდნენ მშვიდობის სადღეგრძელო, მაგრამ მაშინ არ ვიცოდით რა მნიშვნელოვანი იყო მშვიდობა მერე ვნახეთ ომები ხანგძლივი ომები, ეხლა დედამიწა ისე დაპატარავდა, რომ ამერიკაში რომ ქარიშხალია თითქოს მისი სუსხი აქამდე მოდის პატარა გახდა დედამიწა თავისი ინფორმაციული ერთიანობით ერთი რომელიმე პრეზიდენტის ერთი პატარა შეცდომაც იწვევს საშინელ ვნებათა ღელვებს. მინდა იცხოვროთ მშვიდობიან და სიყვარულით სავსე სამყაროში. არ მინდა სიყვარულის ნიჭი დაკარგოს მომავალმა თაობამ. ბევრი რამაა თქვენზე დამოკიდებული.

***დიდი მადლობა***

ჩემო პატარა სულ წარმატებები.

თამარ ხარაიშვილი



## ინტერვიუ რევაზ მიშველაძესთან

ბატონო რევაზ მე გახლავართ №175 საჯარო სკოლის VII6 (ხელ. ნინო გიგოლაშვილი) კლასის მოსწავლე თამარ ხარაიშვილი, აგრეთვე ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებთა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ნორჩი ათინათელი.

***თუ შეიძლება გვიამბოთ თქვენი წარსულის შესახებ როგორი ბავშვი იყავით?***

ამ კითხვაზე პასუხს ყველა ერთნაირად იწყებს, ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი. მე არ მინდა დავემსგავსო იმათ, ვინც ტრილიარული პასუხის მოცემა იცის. იმერეთში, რომ იტყვიან „ღვთის პირიდან გადავარდნილი"ისეთი ბავშვი ვიყავი ვერ მაკავებდნენ, V კლასიდან, რომ დავიწყე სკოლიდან და სახლიდან გაპარვა ასე მივედი X კლასამდე. X კლასში მოხდა ჩემს ბუნებაში, რაღაც განსაკუთრებული მეტამორფოზა. უეცრად დავდინჯდი, დავკაცდი. დავდიოდი მოსწავლეთა სასახლეში სამ წრეში: გიტარის, დრამის და ალპინისტთა წრეში.

***სად დაამთავრეთ საშუალო სკოლა?***

დავამთავრე ქუთაისის IV საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. ეს სკოლა დავამთავრეთ მე და როინ მეტრეველმა და ბევრმა სხვამ.

***როგორც ვიცი თქვენ ბრძანდებით 25 ტომეულის ამასთანავე მრავალი წიგნის ავტორი, მაინტერესებს რომელი ასაკიდან დაიწყეთ წერა?***

მე წერა დავიწყე მაშინ, როდესაც წერა ვისწავლე. ეს იყო საოცარი ბედნიერება ჩემს ცხოვრებაში, როცა „აი ია„დავწერე.

***თქვენი ნაწარმოებებიდან რომელი გიყვართ ყველაზე მეტად და რატომ?***

85 წიგნის ავტორი ვარ. დაწერილი მაქვს ძალიან ბევრი ნოველა. მე ვერც ერთ ნოველას ვერ გამოვყოფ, მაგრამ თუ მაინც გინდა მათქმევინოთ, ჩემი ნოველებიდან ყველაზე მეტად მიყვარს „ლომი".

***რამდენი დედმამიშვილი ხართ?***

ოთხი დედმამიშვილი ვართ. უფროსი და ნათელა მათემატიკოსია, შემდეგ მე, ჩემი მომდევნო ძმა გოგი მხატვარია, უმცროსი ძმა კი ფიზიკოსი.

***ვინ არის თქვენი საუკეთესო მეგობარი?***

მე ერთი მეგობარი არ მყავს, მეგობრებით მდიდარი კაცი ვარ. ჩემი საუკეთესო მეგობრები ახლა ჩემდა სამწუხაროდ „იმქვეყნად არიან": ლევან სანიკიძე, შოთა ნიშნიანიძე, ზურა ბოლქვაძე, ლევან ფანჯიკიძე, მორის ფოცხისვილი, გივი გამსახურდია და სოსო აბესაძე. ამ წუთისოფელს ცოტანი შემოვრჩით, ჩემი მეგობრები არიან: სოსო სიგუა, იგორ კვესელავა, მურმან თავდიშვილი და ცნობილი პოეტი მაყვალა გონაშვილი.

***იცნობთ ჟურნალ ათინათს?***

ჟურნალი ათინათი ძალიან მიყვარს და რაც გამოვიდა ყველა ნომერში არის ჩემი ნოველები და წერილები, რისთვისაც მე ულრმეს მადლობას ვუძლვნი გულნაზი ხარაიშვილს, რომელიც არის გულისხმიერი, დიდებული ქალბატონი, ჩინებული პოეტი და კარგი ადამიანი.

***ყველაზე ლამაზი დღე თქვენს ცხოვრებაში?***

ყველაზე ლამაზი დღე შემოქმედებითად იყო, როდესაც რუსთაველის პრემია მივიღე. პირად ცხოვრებაში ცოლის შერთვა და შვილის შეძენა.

***თქვენი მუშაობის პერიოდში რა გ ზა გაიარეთ?***

ისეთივე გზა, როგორიც ჩემი თაობის საქართველომ, ტანჯვის და შურის. წარმატება ერთბაშად არ მოსულა ჩემთან უამრავი ღამე გავათენე სტრიქონთან, ცდა არ დამიკლია. ჩემი ნაწარმოებების შემფასებლად მე არ გამოვდგები.

***ცხოვრების გ ზის დასაწყისში ვის შეგახვედრათ ბედმა, ვინაც თქვენზე გავლენა იქონია?***

ჩემზე გავლენა, როგორც ლიტერატორზე ძალიან ბევრმა ქართველმა მწერალმა იქონია. მე აღმზარდა და ლიტერატორად ჩამომაყალიბა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანმა„დღესაც ძილის წინ ვკითხულობ.

**ნინი ნებაძე**



## ინტერვიუ ბელა ალანიასთან

***თუ შეიძლება გაიხსენეთ თქვენი ბავშვობა?***

„ჩემი ბავშვობა, მინდორ-ველზე მიმოფენილ ღიღილოებს ჰგავს, მუდმივად ყვავის, მსხმოარობს სულის სუნძულზე“

ჩემი ბავშვობა, პირველი თოვლით აღტაცების ემოციას ჰგავს, მუდამ დამყვება, მაცოცხლებს და არსდროს მტოვებს“

დიახ, სწორედ ასეთი იყო ჩემი ბავშვობა: ლაღი, თავისუფალი, დატვირთული მრავალფეროვნებით, საინტერესო. ახლა კი, ამ თაფლის კასრიდან, წვეთ-წვეთობით ვიზოგავ მოგონებებს, რომ სიცოცხლის ბოლომდე მეყოს.

***სად დაამთავრეთ სკოლა? როგორგაიხსენებდით სკოლის პერიოდს?***

ვსწავლობდი სენაკის მეორე საშუალო სკოლაში. ჩვენი კლასი გამორჩეული იყო თავისი სიძლიერით, მაღალი აკადემიური მოსწრების ბავშვები ვსწავლობდით. მხოლოდ სწავლით დონით კი არა, ჩვენ ყველა ანსამბლ „მთიებში“, პანტელეიმონ ბოჯგუას ხელმძღვანელობით, ვმღეროდით, რამდენიმე კლასელი ვცეკვავდით ქართული ცეკვის ჯგუფში, მელსი გრიგოლიას მასწავლებლობით.

***მაინტერესებს რა ასაკიდან დაიწყეთ წერა?***

დავდიოდით პეტერბურგსა თუ ესტონეთში, ვატარებდიით კონცერტებს. იმ წუთებში, ასეთი ამაღლებული ემოციები მაწერინებდა უბის წიგნაკებში ლექსებს თუ ჩანახატებს. არასოდეს მიფიქრია, სამწეოზე გამომეტანა ჩემი გულის ნადები. კლასში მეტწილად თავისუფალი თემის წერას ვარჩევდი. ქართულის მასწავლებელი, ქ-ნი ფენია დარასელია, (რომელიც ჟიული შარტავას დედა გახლდათ) საგულდაგულოდ ინახავდა ჩემს ნაწერებს და სხვა კლასებშიც კითხულობდა. შესვენების დროს, სკოლის დერეფანში, მხვდებოდნენ მოსწავლეები და მიყვებოდნენ საკუთარ ემოციებზე... მიხაროდა, როცა ვგრძნობდი მათ ყურადღებას. იმ წლებში ვერ ვიფიქრებდი, რომ ოდესმე გამოვცემდი წიგნს და მკითხველის სიყვარული ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდებოდა.



***რას იტყვით თქვენს დედმამიშვილზე?***

მე და ჩემს ძმას გვიყვარდა, ბავშვებთან ერთად, კონცერტების, სპექტაკლების ორგანიზება. სამეზობლო დიდი გვყავდა. ყველა თავისი სკამით მოდიოდა და ჩვენ ვკითხოლობდით ლექსებს, ვმღეროდით... მეზობლები ოვაციებით გვხვდებოდნენ. ამ ყველაფერმა დიდი გავლენა იქონია ჩემზე, რომ უფრო თამამი გავმხდარიყავი, უფრო მიზანსწრაფული...

ერთხელ, მახსოვს, მე და ჩემი ძმა სკოლიდან ვბრუნდებოდით, გელა ორი წლით უმცროსი იყო ჩემზე. ავტობუსის გაჩერებაზე ყავარჯენზე დაყრდნობილი მოხუცი ქალი შევნიშნეთ. ეტყობოდა, გაჭირვებით ახერხებდა ფეხზე დგომას. მე მოხუცთან დავრჩი, ჩემი ძმა კი სახლში გაიქცა და სკამი მოურბენინა ბებოს. სამივე ველოდებოდით, სანამ სოფლისკენ მიმავალმა ავტობუსმა არ წაიყოლა მისი მზერა. ყურში ახლაც ჩამესმის მოხუცის ლოცვა, ცრემლით სავსე თვალები მან გვითხრა:

– გაიხარეთ, ბებია, გამრავლდით! არ არსებობს სიკეთეზე მეტი საჩუქარი და სხვისი ბედნიერებით გამოწვეულ სიხარულზე მეტი სიკეთე...

ჩემი მშობლები სამაგალითონი იყვნენ ჩემთვის. მამაჩემს დიდი იუმორის გრძნობა ჰქონდა, როგორც იტყვიან, ირგებდა იუმორს ტანზე ისე, როგორ ტანსაცმელს. ეს დიდი ნიჭი მხოლოდ გამორჩეულ ადამინეს ახასიათებს.

***ორიოდე სიტყვა თქვენს მშობლებზე?***

მამა უკრავდა გიტარაზე, მღეროდა.

დედა მეტყოდა, როცა ქართული ასოები გამოგყავს ქაღალდზე, შემოქმედებითად თუ არ მიუდექი ამ პროცესს, ვერ გაიგებ, ვერ შეიგრძნობ 33 ასო-ბგერის ძალას და მშვენიერებასო. მინდა, ჩემი ერთ-ერთი წიგნი, ჩემი ხელნაწერით გამოვცე.

ხელნაწერიდან დიდი ემოცია მოდის, ვიცი, მკითხველი მიხვდება, თუ რას ვგრძნობდი თითოეული ქართული ასოს გამოყვანისას.

მიხარია, რომ ჩემი ქალიშვილი დარეჯანს(დაკო) მხოლოდ წერა კი არა, ხატვა, ძერწვა ეხერხება. მისი ქანდაკებები ჩემს მისაღებ ოთახს ამშვენებს. აშკარად ხელოვნებისკენაა მიდრეკილი, ვფიქრობ, ეს ზეციური მადლია. დაკო კარგად ახერხებს, გონებასთან შერწყმული ფანტაზიები ჩვენამდე მოიტანოს.

ვაჟს უფრო ანალიტიკური ჭკუა აქვს, მაკვირვებს თავისი შორსმჭვრეტელობით. ის ხომ ჯერ ძალიან ახალგაზრდაა.

***იცნობთ ჟურნალ ათინათს?***

მე არა მარტო რესპოდენტი, არამედ ჟურნალ „ათინათის" აქტიური მკითხველი ვარ. აღფრთოვანებას იწვევს ქ-ნი გულნაზის დაუღალავი შრომა, რომ არ შეჩერდეს, არ შეყოვნდეს ჟურნალი იმ გზაზე, რომელსაც ლიტერატურის სიყვარული ჰქვია. მე არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ გამორჩეული მასალები უნდა იბეჭდებოდეს, მხოლოდ და მხოლოდ. ვფიქრობ, ვისაც სურვილი აქვს, ყველას უნდა მიეცეს სარბიელი, შანსი, რომ გვაჩვენოს თავისი შესაძლებლობები- მცირე თუ დიდი. შეეცადოს დაიმკვიდროს ადგილი მკითხველის გულში. როგორც მკითხველია განსხვავებული გემოვნების თუ ასაკის... ასეთი განსხვავებული უნდა იყოს მთხრობელი, მწერალი თუ პოეტი... დრო დაალაგებს, ვინ გადარჩება ამ გზაზე და წიგნის თაროზე, რომელი წიგნი დაიკავებს საპატიო ადგილს.

***რას იტყოდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავაზე?***

ბატონ ჯუმბერს პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ მისი საქმეები საუბრობენ მასზე.

„ეს მებრძოლი ხასიათი და მუდმივად სიახლის ძებნაა სწორედ ჩემი ცხოვრება და ჯერ კიდევ ბევრი მაქვს გასაკეთებელი'' თქვა გინესის 15 გზის რეკორდსმენმა. საქვეყნო ფაქტია, რომ მან 3333 დღე-ღამის განმავლობაში, რაც ცხრა წელიწადზე მეტს შეადგენს, ველოოსიპედით მარტომ მოიარა დედამიწის ყველა კონტინენტი, 232 ქვეყანა, ცხრაჯერ გადაკვეთა ეკვატორი და განვლო 264 ათსი კილომეტრი. ის გახლდათ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი.

დავფიქრებულვართ, რა მებრძოლი ხასიათი უნდა გქონდეს, რომ ეს შესძლო. დამერწმუნებით, რომ ეს შინაგანი ენერგია, სიმამაცე, მხოლოდ ერთეულების ხვედრია.

***იცნობდით ჯუმბერ ლეჟავას?***

ჩვენი შვილები მომავლის იმედია... იმედი, ის თილისმაა, რომელსაც მთელი ცხოვრება ატარებ და თუ დაკარგავ, ჩათვალეთ რომ იმ გემს ვემსგავსებით, რომელი შუა ოკეანეშია ჩაკარგული და შეიძლება ნაპირადე ვერც მიაღწიოს...

ვფიქრობ, საოცრად კარგი თაობა გვეზრდება: მახვილგონიერი, მაღალი გემოვნების, უფრო პრაგმატული... ერთადერთი რაზეც ვდარდობ ისაა, რომ დემოგრაფიული მდგომარეობა ძალიან არის გაუარესებული, ნიჭის და გაქანების დაუფასებლობა სტიმულს უკარგავს ახალგაზრდებს, ქვეყნიდან ხდება საუკეთესოთა გადინება. დაგვიბრუნდებიან ისინი?

***ცოტა რამ თქვენი შვილების შესახებ?***

იმედი მაცოცხლებს. ნუთუ, ჩვენი მომავალი გააციებს გულის თონეს, საიდანაც მოდის სისხლისმიერი სითბო და სიყვარული ჩვენი მიწის, ჩვენი ენის, ჩვენი წინაპრების, ჩვენი უკვდავების, რომელსაც სამსობლო ჰქვია...



გონგლიაშვილი მაია

## ლამაზი პეპლები

ლამაზი პეპლები ამბობენ,
სიცოცხლე ხანმოკლეაო
ვინ დაგვიდგინა სამი დღე
ფრთები არ გამიშლიაო.

## ყაყაჩო

ერთხელ ველზე ამოვიდა
მომტირალი ყაყაჩო
ნეტავი ვინ გიღალატა?
ჩემო ტურფა ლამაზო?

## ფიფქები

ლამაზი ფიფქები მოქრიან,
ყინვამ ყინულად აქცია
მინდა, რომ ხელით შევეხო
ლამაზია და ნაფცქია.

## გული

იასამანი როცა იფეთქებს
გული მაშინვე მშვიდდება
ამ სილამაზის ყურებით
სამყარო უფრო მდიდრდება.

## ფერიად გადავიქეცი

ფერიად გადავიქეცი
გავყევ ბილიკის შარასა,
გზას ზეწრად მოვეფინები
კვლავ თოვლი თუ დაფარავსა.

## *167-ე საჯარო სკოლის მკითხველთა კლუბი „მთიები“ შეხვედრა პოეტ მანანა ბრაჭულთან*

2017 წლის 13 დეკემბერს, თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მკითხველთა კლუბ „მთიების“ წევრები შეხვდნენ პოეტსა და პედაგოგს, მანანა ბრაჭულს.

ნორჩმა კრიტიკოსებმა და პოეტებმა მოწვეულ სტუმარს გააცნეს თავიანთი ნამუშევრები, მანანა ბრაჭულმა საინტერესოდ ისაუბრა ცხოვრებისეულ ეპიზოდებზე, წაიკითხა ლექსები, დასასრულს გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები. მოსწავლეებმა, ქალბატონი მანანა აირჩიეს მკითხველთა კლუბის საპატიო წევრად.

*კლუბის კურატორი-167-ე საჯარო სკოლის ქართული*
*ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი* ***ლამარა გერგედავა***

### *გთავაზობთ ზოგიერთი გამომსვლელის ნამუშევარს*

*მანანა ბრაჭული*
*„ქარის ვიოლინოები“*



ქარის ვიოლინოები

ქარის ვიოლინოებს გრძნობენ მომაკვდავები,
როს ირღვევა სულის და ხორცის ერთობლიობა
როცა ღია თვალებში ნვება მინის სიცივე,
როგორც ყავის ნალექი, რჩება გაურკვევლობა
ყველა ბრძოლის ცეცხლი და ყველა ომის დიდება,
მზესთან გაირინდება, როგორც ჩუმი სიკვდილი
რჩება ამოუხსნელი ცეცხლოვანი ქარაგმა
წერა? ხატი? ალალმა? – ბედი გაურკვეველი!
ფიქრი თავისუფალი – არსებობის სინათლე –
ყველა ყოფნის სიმართლედ რჩება დაუთმობელი
სიცოცხლისთვის სიკვდილის გზები გამოვიარეთ
ცეცხლოვან მდინარეზე როგორც მშვიდი ხიდები
და ქცეულნი ჩრდილებად მაინც ვგავართ სიცოცხლეს
ელეგიებს ქარების – ქარის ვიოლინოებს.

29.03.2017 წ. თბილისი

6

მარიამ ბექაური
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე*

მანანა ბრაჭულის „ქარის ვიოლინოები" სიკვდილსა და სიცოცხლეზეა. პოეტის თქმით, ადამიანს უამრავი ტანჯვა-დაბრკოლება ხვდება წუთისოფლის გზაზე, მისი ბედი გაურკვეველია, ლექსიდან, თითქოს, ცხოვრების სამდურავი ისმის...უნებლიეთ, რუსთაველი გვახსენდება:

***ვა სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,***
***ყოვლი შენი მონდომილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!***
***სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!***
***მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.***

მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება რთულია, მას აქვს ბედნიერი წუთებიც...

მანანა ბრაჭულის ლექსი ოპტიმისტურია...

პოეტი იყენებს ეპითეტებსა და შედარებებს, რაც ნაწარმოებს მიმზიდველობას მატებს...

●●●



ნათია ადვაძე
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე*

„ქარის ვიოლინოებს გრძნობენ მომაკვდავები" ...ეს სტრიქონები მანანა ბრაჭულის „ქარის ვიოლინოებიდანაა"... პოეტი ფიქრობს, რომ მომაკვდავებს ქარის ზუზუნი ვიოლინოს ხმასავით ჩაესმით, ისინი გრძნობენ მიწის სიცივეს...სიცოცხლე ბრძოლის ცეცხლივითაა, ჩრდილებად ქცეულნი მაინც ვგავართ სიცოცხლეს... გარდაცვალებამდე

მრავალი დაბრკოლება გველობება, მაგრამ მაინც არ უნდა დავშორდეთ სიცოცხლეს და თან: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“/რუსთაველი/ .

ჩვენ ვართ სიცოცხლის შვილები...პოეტის თქმით, ცხოვრების ყოველი საფეხური სიკვდილივით რთულია...

• • •



ნინი ამბარცუმიანი
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე*

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე, პოეტმა მანანა ბრაჭულმა, გარდა „ქარის ვიოლინოებისა“, სხვა ლექსშიც გაამახვილა ყურადღება:

***სიკვდილო***
***მაშინაურებ, სიკვდილო,***
***ცერზე გავაზი გიზივარ,***
***თვალს თვალში როგორ გამიყრი,***
***მზის და სინათლის გიჟი ვარ.***
***შიშით არ დავიწუწუნებ,***
***ავია შენი თავაზი?***
***ის მაინც წამიჩუჩულე,***
***გონჯი შეგხვდი თუ ლამაზი?!***

მიწის სიცივესთან სიახლოვის შემდეგ, პოეტის თქმით, რჩება ყავის ნალექის მსგავსი გაურკვევლობა... მაგრამ ადამიანები მაინც გვანან სიცოცხლეს, მზის და სინათლის მოყვარულები არიან...

გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველა, ის გვმოძღვრავს, რომ სიცოცხლის სილამაზეს შევიგრძნობთ სიკვდილის არსებობით, ის რომ არ იყოს ვერ დავაფასებდით წუთისოფლის ყოველდღიურობას „ღმერთმა გიშველოს სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“/ვაჟა-ფშაველა/.

• ••

**ელენე ლეთოდიანი**
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე*

მანანა ბრაჭულის „ქარის ვიოლინოებმა“, ადრე ხალხურ სიტყვიერებად მიჩნეული ლექსი გამახსენა

*„იმასაც მოკლედ უვლია, გრძლად ვინც გვეგონა იარა,*
*შუქს ბნელი შესჭამს, ვარდს-ჭია, კაცის გულს- ჯავრის იარა,*
*მოვა სიკვდილი უჩინო ერთ წამში აგვყრის იარაღს,*
*ჩვენ რას წავიღებთ სოფლიდან, სხვას არა წაუღია რა.“*
*/XX ს. ცნობილი სახალხო პოეტი მიხა ხელაშვილი/*

ლექსი ადამიანის არსსა და დანიშნულებაზე გვაფიქრებს, იმაზეც, რომ წუთისოფელი ხანმოკლეა, ათასგვარ წინააღმდეგობასთან გვიწევს გამკლავება, სიცოცხლისთვის სიკვდილის გზები უნდა გამოვიაროთ, ცეცხლოვან ხიდზე უნდა ვგავდეთ მშვიდ მდინარეებს და თვით სიცოცხლეს...

•••



**დაიანა აბშილავა**
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე*

მანანა ბრაჭული თანამედროვე ქართველი პოეტია. მისი პოეზია მრავალფეროვანი თემატიკით გამოირჩევა. ლექსში „ქარის ვიოლინოები“ ვკითხულობთ, რომ მომაკვდავები, როცა ირღვევა სულისა და ხორცის ერთობლიობა, გრძნობენ ქარის ვიოლინოებს, მაგრამ ჩრდილად ქცეულნიც კი მაინც გვანან სიცოცხლეს... სიცოცხლე კი მოგვიწოდებს, ამქვეყნიურობაში დავტოვოთ კვალი, სასახელო და მოსაგონარი :

*მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა,*
*უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა,*
*არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,*
*იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს*
*/ბარათაშვილი/*

• • •







მანანა ბრაჭულის ლექსი



*პირველი თოვლი*

პირველი თოვლი მოსული ადრე,
ვრცელი ბარათი მთელი წლის მერე,
ნამტირალევი დაყუჩდა სულში,
როგორც ქალაქში ივლისის ვერე.
მოდის ზამთარი თეთრი და მკაცრი,
სველი ქარებით და მშრალი ყინვით,
ცხოვრობს სოფელი ღმერთისგან შორი,
ბუხრის კვამლით და მამლის ყივილით.
მოდის ზამთარი და ისევ ცდილობს,
ცრემლად მაქციოს თოვლიან თვეში,
ძნელი იღბალი დამიგდოს მზითვად
და დამპატიჟოს სინათლის რთველში.

*24.11.2016 წ. თბილისი*



*უხილავიდან უხილავამდე*

მზის ხელებს ცხელი ჰქონდა ნებები
და ვნებებს ძარღვში მწვანე ფოთლისა,
აკრთობდა დარდი ხვალ დანებების –
ქიშპი ზაფხულთან შემოდგომისა.
უცეცხლოდ იწვის ახლა ტყეები,
თუმცა ხილული არსად არა ჩანს
უხიოლავიდან უხილავამდე
გრძნობებს ვკითხულობ უკვე დანაცარს.
ციცინათელებს – ფოთლებს – ფარვანებს
და კვდომას ცისფერ ეფემერების,
როგორც მამულის გულზე ჭრილობებს
თვალცრემლიანი მოვეფერები.

*7.11.2016 წ. თბილისი*

მანანა ბრაჭულის ლექსი



ლუკა ჩაჩანიძე
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე*

### *თოვლი*



*მიილია შემოდგომა, ალბათ, მალე ჩამობარდნის,*
*ცახცახებს და ეშინია, ბოლო ფოთლის ჩამოვარდნის,*
*აღმა-დაღმა დაქრის ქარი, არ თენდება, თითქოს ღამე,*
*გაძარცვულან ხეები და სიმორცხვისგან ხრიან თავებს,*
*ჩამოთოვა მთებზე უკვე, ჩამობარდნის იქაც მალე.*

• • •

თინათინ ზეიკიძე
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე*

### *წუთისოფელი*



*დრონი მეფობენ და რა მეფენი,*
*ვიცხოვროთ ღირსეულადა,*
*ღმერთთან არ ვიყოთ ვალში და*
*ვაკეთოთ სიკეთეები.*
*ხანმოკლე წუთისოფელი*
*მოკლე დროს საცხოვრისია,*
*ღმერთი გვიყურებს ზემოდან,*
*არ შევარცხვინოთ გვარია.*

• • •

ანა გაბიჩვაძე
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის*
*მე-5 კლასის მოსწავლე*



### *ზამთარი*

*ეს ზამთარი მობრძანდება,*
*თეთრწვერა და თმაჭაღარა,*
*გუნდამ, ციგამ, თოვლის კაცმა,*
*ყველამ ერთად გაგვახარა.*

• • •

მარიამ ხვედელიძე
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე*

### *ახალი წელი*

*საახალწლო საჩუქრები, ნაძვისხესთან ცეკვა,*
*მოდით, ერთად გავიხაროთ, ამ ახალ წელს ყველამ.*
*მოდის წელი საჩუქრებით, ოდელია დელა,*
*ჩვენ ყველანი ვიხალისებთ, ოდელია დელა.*
*ვხვდებით ყველა სიხარულით, ამ ახალ წელს დელა,*
*სიხარული, სიყვარული არ მოგვაკლდეს ერთად.*

• • •

ეკა კაპანაძე
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე*

### *ქართული ზეცა*

*ამ სილამაზეს გვერდს ვერ აუვლი, დღეა თუ ღამე.*
*როდესაც თვალწინ გადაგეშლება ნათელი ზეცა,*
*გაგახსენდება შენი ღირსება...როგორ დაფრინავს მერცხალი ცაში...*
*გაგახსენება ქვეყნის დიდება და...*
*თუ ყურს უგდებ ჩიტების სტვენას, დედის ნამღერიც გაგახსენდება...*

• • •

კესო სადუნიშვილი და ლუკა ჩაჩანიძე
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეები*

### *ცხოვრების ეტაპები*

*ბნელს შეცვლის მზე, ღრუბლები ჩავლენ,*
*ჩვენი სიცოცხლე სიყვარულია, მეგობრობაა,*
*წუხილს ქარს გავატანთ და ისევ ვიმეგობრებთ,*
*რა ჰქნან მათ, რომელთაც არ სწამთ მეგობრობა და სიყვარული.*

• • •



**დავით ზაქარეიშვილი**
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე*

„ქარის ვიოლინოებს გრძნობენ მომაკვდავები"...
ასე იწყება მანანა ბრაჭულის ლექსი...
გალაკტიონი გამახსენდა:

„კვდომა ბუნების წესია,
მაგრამ ჩემს გულში ასეა,
ნუ კვდება რაც უბრძნესია,
ნუ კვდება რაც ლამაზია"...

სანამ გარდავიცვლებით, დიდი გზების გავლაა საჭირო სიკვდილი რთულია და ამოუხსნელი როგორც ცეცხლოვანი ქარაგმა მაგრამ პოეტი გვასწავლის ..... და ქცეულნი ჩრდილებად მაინც ვგევარ სიცოცხლის ელეგიებს ქარების - ქარის ვიოლინოებს

● ● ●



# მილოცვა




ბეჟან, 33 წელიწადია ლოცავ და ლოცავ შენს დატოვილ 5 წლის ლაშას. ის უკვე ცოლ-შვილიანია, ჰყავს არაჩვეულებრივი მეუღლე, ხატია ხატიაშვილი და 3 შვილი. გიორგობის თვეში, 2017 წელს დაიბადა გიორგი. მჯერა და ღრმად მწამს, შენი ლოცვა ლაშას აძლიერებს. მე კი, ისღა დამრჩენია გთხოვო ერთი რამ, მიმიხედე ჩემს შვილს – გელა სხირტლაძეს. აქ კი, შენს შვილსა და შვილიშვილებს შეძლებისდაგვარად ყურადღებას არ მოვაკლებ.

შენი დაიკო გულნაზ ხარაიშვილი

# ჟურნალ „ათინათის“ რედაქცია სრულიად საქართველოს ულოცავს დამდეგ 2018 წელს



# იოანე, გილოცავ ახალ წელს!

***



*იოანე ლობჟანიძე – ჩემი პირველი შვილთაშვილი*

ჩემი შვილის ფესვის ამონაყარო,
ღურჯთვალებაავ, წაბლისფერი თმებით...
შენით გათბა ჩემი სულის სამყარო,
ყოველ ღამით, გლოცავ, ისე ვწვები,
ეგ, ფათუნა ფათუნები შემომხვიე.
გენაცვალე შვილთაშვილო ჩემო,
ჩემი ფიქრის ხეივანი შეარხიე,
მაგრძნობინე, კვლავ სიცოცხლის გემო
იოანე, გაიზარდე, იდავითე,
რაჭის მთა–ველს მიმოავლე თვალი,
შეისწავლი წარსულსა და მირ–მველ მითებს
გლოცავს ბებო და პოეტი ქალი.

**გულნაზ ხარაიშვილი, შენი დიდი ბებო**

# 29სარჩევი

**ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი**
უწმინდესო! .......... 2
**გულნაზ ხარაიშვილი**
*** რამდენ მადლს მაძლევ, ჩვენო წმინდანო... .......... 3
**მხატვარები: გიორგი ლარიაშვილი, ხატია ლარიაშვილი და არჩილ სარჯველაძე**
ხორცით ზიარება .......... 4
სისხლით ზიარება .......... 5
სისხლით ზიარება .......... 6
**გულნაზ ხარაიშვილი**
*** შენი სული ღმერთთან არის ვიცი... .......... 7
**ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე**
მამა ამირან .......... 8
**გულნაზ ხარაიშვილი**
ვიცი .......... 9

## პოეზია

**მეუფე თადეოზი(მირიან იორამაშვილი)**
ლ ო ც ვ ა ლ ე ქ ს ე ბ ა დ .......... 10
ციდან უფლის წყალობა მალე მოგვევლინება ..........
* * * ღმერთო, გვიშველე, კვლავ აგვიშენე... .......... 10
ლოცვა მუხლმოყრით .......... 11
ვედრება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი .......... 11
* * * ღმერთო, ამანთე წმინდა კელაპტრად... .......... 11
**მამა ამირან ამირანაშვილი**
სხალთის ზარები .......... 12
დაუფასებლობა .......... 12
* * * მთელი ცხოვრება ერთი ლექსია.......... 12
ცხოვრების გზაზე .......... 12
პირველი ოცი .......... 12
მეორე ოცი .......... 13
მესამე ოცი .......... 13
**მაყვალა გონაშვილი**
ოჯახი .......... 14
მერაბს .......... 14
სიტყვის „საწოვარა“ .......... 15
სამოთხე დედათა ფერხთითაა .......... 15

## ჯგუფი ხლვარი

**სერგი ლომაძე, კახა ბაციკაძე**
სანბენიტო – ოცდამეერთე .......... 16
**სერგი ლომაძე**
გული .......... 16
ლექსი, რომელიც ვერ დავასათაურე .......... 17
**კახა ბაციკაძე**
ცის ბინადარი .......... 17
ზეცისკენ .......... 17
მუსიკის დედოფალს .......... 17
სამყაროს შეგრძნება .......... 18
**გიორგი ზუხბაია**
პოეტების „რულეტკა“ .......... 18
რიქშა .......... 19
**თეა კანდელაკი**
დაბრუნება სამოთხეში.......... 20

ოი, ღმერთების დიადო მუზავ ... 20

პასუხი „არამკითხე მოამბეს“ ... 20

ქვათა ღაღადისი ... 21

შევედარო?! ... 21

რეალობა ... 21

ნუთუ ... 21

* * *ჯამბაზი ვარ თუ მარიონეტი? ... 21

**გურამ ჭავჭანიძე Гурам Чавчанидзе**

კარგი, ერთი! ... 22

პოეტის სიყვარული ... 22

თოვდა ... 22

ქალო, მზექალო! ... 22

შენი თვალები ... 22

დეკემბერია თბილისში ... 23

თბილის ქალაქს ... 23

ჩემს თბილის ქალაქს ... 23

მანანა გორგიშვილს ... 23

А и г у л ... 23

Я Вас люблю ... 23

**თამარ ჯაჭვაძე**

თუ ვერ მიცანი ... 24

სამშობლო მიკვდება ... 24

ლექსი ჩემი ტკივილების სამურველი ... 24

რატომ მიდიან?! ... 25

მადლობელი ვარ ბებო ... 25

ზეცას არ ვატკინო სულის ნაფეხური

* * * იქიქინე ქარო, ქარო არ იჩქარო! ... 25

**მანანა ბრაჭული**

*** თუ უხერხდება უარყოფას თქვენგან შენდობა.... ... 26

უცნობს ... 26

ნაწვიმარზე ... 26

ნოემბრის ეფემერა ... 26

ნონეტი ... 26

ეფემერა ... 27

ტრიოლეტი ... 27

მტვერია ... 27

შორია თამარ ... 27

ანაო! ... 27

**მანანა ზაზიკაშვილი**

საფიქრალი ... 28

ახალი წლის შემობრძანება ... 28

**ნანა ბერაია**

მამა დავითი ... 29

*** მხრებით ვატარეთ ისტორია,ქართული ზეცა... ... 29

*** წუხელ გახლეჩილ საქართველოს ვიყავ სტუმარი... ... 29

**მირან ჯანჯღავა**

ასეა რადგან ... 30

დეჟავუ ... 30

გადა-უშენო ... 30

შენი სქოლიო ... 31

უშენობის სამყარო ... 31

ფიფქების ქორო ... 31

**ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი**

კვამლი ბოლავს ... 32

ჭანგა ..................................... 32
საფლავის ქვებმა მიამბეს..................................... 32
*** რა გინდა ჩემგან ბულბულო... ..................................... 32
როგორ შევეცილო ღამეს..................................... 33
იხმაურეთ ..................................... 33
ნიშავ და ხარო ლაბაო..................................... 33

**ზეინაბ ასისტიშვილი**

რუსთავის გიმნაზიის პედაგოგს ..................................... 34
სიკეთე..................................... 34
დაკარგვა..................................... 35
ჩემს ახალსოფელს..................................... 35
ჭრელა-ჭრულა ფოთლები ..................................... 35

**ლამარა ასისტიშვილი-ჯამასპიშვილი**

ჩემს შვილიშვილს ..................................... 36
მე ყვარელში დავიბადე ..................................... 36
ყვარელი ჩემი სამშობლო არის ..................................... 36
*** „უხეშობას და სიბრიყვეს... ..................................... 36
„თავს განაცვალებ..." ..................................... 36
„ვედრება ღმერთთან" ..................................... 37
„ქართველო ვაზო"..................................... 37

**ილია ზაქარაშვილი**

*ამ სამყაროში მომიმრავლდნენ გარდაცვლილები... ..................................... 38

**ნაირა ნიჟარაძე**

ჯუმბერ ლეჟავას..................................... 39
წადი ..................................... 39

**ნანა გოგოლაძე**

*** რა ყოფილა სიყვარული... ..................................... 40
*** სიყვარულისთვის შექმნილხარ... ..................................... 40
*** გილოცავ დაბადების დღეს... ..................................... 40

**ნელი ქველაძე**

პირიმზეს ჩივილი ..................................... 41
ცეცხლში გაგვხვიეს... ..................................... 41

**გიგა მუჭაური**

სიკვდილ-სიცოცხლის სანაპიროსთან... ..................................... 42
* * * მუდამ ყველასი და არავისი... ..................................... 42

**არდევან ჯახაია**

სალვთო ლექსები..................................... 43
დედა მატრონას ..................................... 43
მისი ძალა იყო გასაოცარი ..................................... 43
წმინდა მამა გაბრიელი ..................................... 43
25 მაისი ..................................... 43

**ნუკრი ლობჟანიძე**

წვიმა, შენ და ყაყაჩო ..................................... 44
მხატვარი..................................... 44
*** ვნებდები ღამეს... ..................................... 44
*** შენ მოდიოდი ... ..................................... 44
პაპის საფლავთან..................................... 45
*** არც მოლოდინი... ..................................... 45
ვაზის ტირილი..................................... 45
ქვა და თავისუფლება..................................... 45
ფაზისი ..................................... 45
*** თოვდა..................................... 45
მონატრება ..................................... 45
მხატვარი..................................... 46
*** თვალებს საკუთარს ვერ ვცნობ ხანდახან... ..................................... 46
*** ცა სველი არის და ღამე ტირის... ..................................... 46

*** მარტი, ქარი და წვიმების თქეში... 46
ქვა და თავისუფლება 46
მონატრება 46
*** თოვდა 46
ვაზის ტირილი 46
წვიმა, შენ და ყაყაჩო 47
*** შენ მოდიოდი ... 47
პაპის საფლავთან 47
*** ვნებდები ღამეს... 47
*** არც მოლოდინი... 47
ფაზისი 47
**ლეილა გაფრინდაშვილი**
ყვირილა 48
მონატრება 48
მასწავლებელო 48
ცრემლი 49
გლოცავ 49
გვირილა 49
**ლეილა ვადაჭკორია**
დედა 50
ჩემო საბუდარავ 50
ედემი 50
ცის კაბადონი 50
ცხოვრება 51
ამ კაცს უყვარს საქართველო 51
თუკი... 51
ჩემს საუფლოსკენ 51
უთქმელად 51
მრევლის სავანე 51
**იზა ჭიკაიძე**
მოგიკვდი, ჩემო 52
ცოტა რამე გამაგებინეთ 52
ლევან ჟვანიას 52
ეს არს ქართველი 53
გაზრდა თუ გინდა 53
ჩრდილიდან სამზეოში 53
სამ მზის ნათლის ბრწყინვალებავ 53
**დათო ყანდაშვილი**
სიყვარული 54
უხილავი ვულკანი 54
Обязательное условие 54
Для соблюдения правил игры жизни 54
ლამაზი სევდა 54
განცდების წისქვილი 55
მარადისობა 55
Чего не недо забывать никогда 55
Любовь не привычка 55
**ილია სხირტლაძე**
სიყვარული მყარი და სათუთი იყო 56
ქალო მზესავით ნათელო 56
**იროდი ასანაშვილი**
ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო 57
**ლამზირა შეყილაძე**
სამშობლოვ ჩემო 58
საკუთარ ხსოვნას 58
არ დაიკარგები 58

*** თვალზე ბინდი, რომ გადგივლის... 58
მოვა სიკვდილი ესოდენ დიდი 59
ადამიანთა სენი 59
სერგი ლომაძეს 59
*** ვიცხოვრე მეამიტურად... 59
*** ხშირად მაგემეს სიმწარე... 59
**უშანგი მოსიაშვილი**
ოჰ, ღვინოვ! 60
სამთავისი 60
მეფე თამარი 61
სამშობლოს 61
სტალინს 62
ნუთუ დაკნინდა ქართველი ერი 62
შურიან კაცს 63
**მზიური დათიაშვილი-აფციაური**
ვუძღვნი ჩემს აწ გარდაცვლილ პირმშოს **ვასილ აფციაური** 65
**ტარიელ ხარხელაური**
*** დაზამთრდა 74
*** გაიცრიცება საღამოს ბინდი... 74
*** დახურეთ ზეცა... 74
*** მოვსულვარ ... 75
*** მე შევცვალე მთვარე წუხელ... 75
ლანდების დარბაზი 75
**ბეჟან ხარაიშვილი**
დაბადებულხარ ბიძია, ისე 77
* * * მე მივდიოდი საქართველოს გამოხრულ გულში – 77
* * * გულთან არ დამადო ხელი... 77
მეგობრისადმი 77
ხვედრი პოეტთა 77
* * * ჩემს სახლში რომ მასპინძლად დამიჯექი... 77
**გულნაზ ხარაიშვილი**
ღამე 78
ღამის პერანგი 78
მე ჩემს ბილიკს შევეხიზნე 78
ლექსის მდინარევ 78
არ მეტკინება 78
სილამაზეზე წარსული ყვება 78
... და უსასრულოდ 79
ტყვიებს მესვრიან 79
მივწვდი კენწეროს 79
როცა გარდაიცვალა 79
წავიდა 79
ტაფამწვარი 79
ქუჩები 79
დღეთა სიშორე 79
დაისია 79
*** ბედო, არ ძალმიძს ამდენი ცრემლი... 80
აღარ გახსენებ 80
*** არ მაქვს სურვილი შენთან შეხვედრის... 80
ვგრძნობ 80
რამდენჯერ 80
თურმე სხვებივით 80
მგონი ის არ არის 80
* * * მე გაგეცალე ახლა კარგად ვარ... 81
ბრმა ყოფილხარ 81
ყინვამ დამსუსხა 81

მადლი ........ 81
დანაყრდებოდი ........ 81
ნუ ბაირალობ ........ 81
ტკბილი ენით მოსაუბრევ ........ 81
როგორ შევაქო ........ 81
**პოეზია გურა-ანგურასი**
ლექსები და გლოვის ბალადა ........ 82
ოჰ, მოდი წვიმავ, წვიმაო...! ........ 82
სულო მცინარავ ........ 82
მე, ოცნებაში ბაბილონის კოშკნი ავაგე ........ 83
თვალნი ყინწვისის მზერა ცისკიდის შეერთვის ნისლს ........ 83
ბინდი დასწოლია მთებს ........ 83
მომდევს სატევრით ჩუმი მდევარი ........ 84
ორნამენტი მოკვეთილი ქვაზე ........ 84
ახსოვს ძველი ძეწნები ........ 84
ქარზე ........ 85
მთიბავი ცელს იქნევს ........ 86
ტბა ზამბახთა ლოდინის ........ 87
სამი დღით ადრე იწყებოდა ჩვენი ქეიფი ........ 88
წყნარი სონეტი თაქთაქიშვილის ........ 88
შიშველი მარტი ........ 88
ხეზე ვარსკვლავები დაეკიდა ........ 90
გასეირნება პლანეტა მარსზე ........ 90
ჯონდოს სიკვდილი და დატირება (გლოვის ბალადა) ........ 92
ჯონდოს სული და მისი ანდერძი ........ 99
**ფრიდონ ზოიძე**
აგვისტო ........ 100
გამოგზაურე ........ 100
ლექსი ........ 101
* * * ქართველის გულში არასოდეს შეწყდება ბრძოლა... ........ 101

## <u>საბავშვო განყოფილება</u>

**ნაირა ნიჟარაძე**
სამკურნალო და შხამიანი კენკრები ........ 102
ფრინველთა სერენადები ........ 105
**მზეგული ტყეშელაშვილი**
ბაია და უფლისწული ........ 108
ღორი და მელია ........ 110
ტყის გადამრჩენი ........ 112
ქოჩორა და მურია ........ 113
მებადური და მისი შვილობილი ........ 115
საზედაშე ქვევრი ........ 117
სიყვარულით მოლაპარაკე მნათობები ........ 119
**აზა ასლანიძე**
შემოდგომა ........ 121
გაიხარა ........ 121
ათინათი ........ 121
ყველა ხეზე ჩიტი გალობს ........ 121
გაზაფხულო, რა მოგაქვს ........ 121
გვირილები ........ 121
ფანტელებმა გაგვახარა ........ 121
**„მეზღაპრე“ ლალი კახიძე**
„სასწაული“ ........ 122
მელია და ბავშვები ........ 122
„სამეფო ქორწილი“ ........ 123
არწივი ........ 124

ოდოია ........ 125

## თარგმანები

**მაყვალა გონაშვილი**
მარ ბაჯიევი. პოემა ........ 129
**Ratiani Lali**
Weg des Ruhmes Fortsetzung ........ 134

## პროზა

**რევაზ მიშველაძე**
ეს ჩემი ქუჩაა ........ 139
ყოჩაღ, ორჯონიკიძევ! ........ 141
ზობოხიძე ........ 144
**თეა კანდელაკი**
მიწის სურნელი ........ 147
ვის – რა... და რატომ?! ........ 147
სული ........ 148
**სერგი ლომაძე**
პოეზიის „ანთოლოგიური” საღამო ........ 149
„ანთოლოგიის“ მეექვსე ტომი ........ 152
**გულნაზ ხარაიშვილი**
სიკეთე არასოდეს იკარგება ........ 158
მეუღლის დამფასებელი ........ 160
**მარიამ ჩაგელიშვილი**
ციცინათელა ........ 162
**მალხაზ ჩაგელიშვილი**
ციცინათელა ........ 162
**გივი ჯახუა**
მამა-პაპანი რა ქმნილან... ........ 163
**ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე**
კრიტიკით არა, სიყვარულით ვამბობ... ........ 165
**ლია მარტაშვილი**
პოეტი ქალების საღამო რუსთავში ........ 166
**გულნარა შოთაშვილი**
გაგრძელება ........ 169
**ბელა ალანია**
სიყვარული გამოძახებით ........ 173
ბარათები ........ 175
**რეზო ემელიანე ადამია**
მ ზ ე. პატარა წიგნი დიდ მოვლენებზე ........ 181
**ანზორ ჯაფარიძე**
აღსარება ........ 185
**ციცინო ჩხაიძე**
ანბანური ინტეგრალები ........ 197

## დიდი მოგზაურობა

**ჯუმბერ ლეჟავა**
ქ. ბრაზილიაში ბრაზილიის მთავრობის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში მოვხვდი, ღმერთმანი, კარგი თავგადასავალია! ........ 199

## მედიცინა

ადამიანის ორგანიზმის გამოჯანმრთელება მღვდელმოწამე სერაფიმეს (ჩიჩაგოვის) მეთოდის მიხედვით. რა შეიძლება გააკეთოს ყოველმა ჩვენთაგანმა საკუთარი ჯანმრთელობის აღსადგენად ........ 202

## ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

**დათო ყანდაშვილი**
სულიერ ფასეულობათა ანბანი ........................................................................................ 206

## წერილები

**ლუარა სორდია**
უსიყვარულოდ .............................................................................................................. 210
**ოლეგ მელაძე**
სტუმარმასპინძლობის წესი ქართველი და კავკასიელი ხალხების ცხოვრებაში ............ 216
**ლიანა ოსიაშვილი მელიქიძე**
გენიოსური ლექსი ......................................................................................................... 221
**ლიანა წურწუმია**
ანტიკური ხელოვნება...................................................................................................... 222
**მანანა კვატაია**
კათარზისი – ლიტერატურული თამაშის ლაიტმოტივი .................................................. 227
**Ratiani Lali**
Strukturel-semantische Modelle im Satzgefüge mit dem Konzessivsatz (Einräumungssatz) ....... 230

## პროექტი

**ქეთევან ცაბაძე**
პროფესიული განმათლების სისტემის დაფინანსების საკითხები ..................................... 239

## ისტორია

**ნიკო ხერკელაძე**
შაჰ-აბას I, მისი მიზნები და განხორციელების მცდელობები აღმოსავლეთ
საქართველოში................................................................................................................ 245
**ნუგზარ ნადარაია**
ანტიკურობიდან-დღევანდელობამდე ............................................................................. 248

## შემეცნებითი სამყარო

**მამა ამირან ამირანაშვილი**
საუბარი რელიგიის ისტორიის შესახებ ........................................................................... 251

## ეკონომიკა

**ვალერი მოსიაშვილი**
ფინანსების თავისებურებები მარკეტინგული სტრატეგიის გატარებისას ......................... 254
**ნოდარ ხარაიშვილი**
ფულის მნიშვნელობის შესახებ ეკონომიკაში ................................................................. 262
**ჯუმბერ ხარაიშვილი**
სიტუაციის შესატყვისიეროვნული ვალუტების გაცვლითი კურსის შერჩევის შესახებ .. 266

## სოფლის მეურნეობა

**ონერ ძაძუა**
კაკლის კულტურა და მისი განვითარების პერსექტივა საქართველოში.......................... 273

## ნორჩი ათინათელები

**თაკო ნებაძე**
ინტერვიუ მაყვალა გონაშვილთან .................................................................................. 276
**თამარ ხარაიშვილი**
ინტერვიუ რევაზ მიშველაძესთან..................................................................................... 279
**ნინი ნებაძე**
ინტერვიუ ბელა ალანიასთან........................................................................................... 280
**გონგლიაშვილი მაია**
ლამაზი პეპლები ............................................................................................................. 282

ფიფქები ........ 282
ყაყაჩო ........ 282
გული ........ 282
ფერიად გადავიქეცი ........ 282
**167-ე საჯარო სკოლის მკითხველთა კლუბი „მთიები“**
შეხვედრა პოეტ მანანა ბრაჭულთან ........ 290

მილოცვა

???ულოცავს ........ 290

# ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593657921;

0341227287.

790657921

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი. გარეკანის ბოლო გვერდზე რეზო ადამიას ხატი წმიდა გიორგი.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: გიორგი ბეჟიტაშვილი – პროფესორი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
ვანო შუშტაკაშვილი – პროფესორი და ალადინ გარაბაგლი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ისტორიის განყოფილების რედაქტორი: როინ მეტრეველი – ეროვნული
აკადემიის ვიცეპრეზიდენტი
მხატვრული განყოფილების რედაქტორები:
სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი.
ხელოვნების განყოფილების რედაქტორები: გელა ლარიაშვილი – მოქანდაკე,
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი.
საბავშვო განყოფილების რედაქტორები:
ლამარა გერგედავა – აკადემიის ნამდვილი წევრი
ყამარ ბლიაძე – ჟურნალ „ლამპარის“ დამფუძნებელი
სოფლის მეურნეობის განყოფილების რედაქტორები: ანზორ ჯაფარიძე,
ონერ ძაძუა

ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი(აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის
ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე-პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა სხირტლაძე და თამარ სხირტლაძე
ჟურნალი დაკაბადონდა გამომცემლობა „უნივერსალში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, II სართული, მეთხუთმეტე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge